საქართველოს ისტორია

ტომი 2 - საქართველო ქრისტიანობის მიღებიდან თამარ მეფის გარდაცვალებამდე

ავტორები: დ. მუსხელიშვილი, ო. ჯაფარიძე, გ. მელიქიშვილი, ა. აფაქიძე, მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, მ. სამსონაძე, ნ. ასათიანი, გ. ჯამბურია, გ. ოთხმეზური, მ. ნათმელაძე, ალ. ბენდიანიშვილი, ალ. დაუშვილი

შინაარსი

თავი I. საქართველო IV და V ს-ის პირველ ნახევარში....3

ქართლი IV ს-ის პირველ ნახევარში....3

ქართლი IV ს-ის მეორე და V ს-ის პირველ ნახევარში. 15

ეგრისი IV – V ს-ის პირველ ნახევარში. 24

თავი II. საქართველო V ს-ის II ნახევარში 36

ქართლი V ს-ის შუა ხანისათვის. 37

ეგრისი V ს-ის შუა ხანისათვის. 40

თავი III. საქართველო VI – VII ს-ის დასაწყისში 55

ქართლი VI – VII ს-ის დასაწყისში....55

ეგრისი VI საუკუნეში 72

თავი IV. საქართველო VII ს-ის პირველ ნახევარში 85

თავი V. საქართველო VII ს-ის მეორე ნახევარსა და VIII ს-ის პირველ ნახევარში....94

თავი VI. სოციალური განვითარება 111

თავი VII. საქართველო IX – X საუკუნეებში....126

ახალი სახელმწიფოების წარმოქმნა 126

კახეთი....128

ჰერეთი....135

თავი VIII. ეგრის-აფხაზეთი; აფხაზთა სამეფო 143

თავი IX. ქართველთა სამეფო (ტაოკლარჯეთი) 158

თავი X. ქართული შუასაუკუნოვანი მონარქიის შექმნა....183

თავი XI. საქართველოს გაერთიანების თავისებურებანი....199

თავი XII. სოციალურეკონომიკური ვითარება IX – X სს-ში....205

თავი XIII. კულტურა და იდეოლოგია IV – X საუკუნეები 219

თავი XIV. XI საუკუნის დასაწყისიდან 80-იან წლებამდე....270

ურთიერთობა ბიზანტიასთან. 271

ბიზანტია-ბულგარეთის ომი და საქართველო. გიორგი I. 272

ბაგრატ IV. 273

გიორგი II. “დიდი თურქობა”....274

თავი XV. დავით აღმაშენებელი 281

ღონისძიებები სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისა და ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის. 281
ბრძოლა დიდგვაროვან მოწინააღმდეგეებთან და ქვეყნის შემომტკიცება.....282
კახეთ-ჰერეთის შემოერთება. 286
ერწუხის ბრძოლა.....288
გარდაქმნები ეკლესიაში.....290
რუისურბნისის საეკლესიო კრება. 291
ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობის დაწესება. 296
საქართველოს საბოლოო შემომტკიცება.....300
თავი XVI. დიდგორის ბრძოლა.....307
ქართველთა ტოლერანტობა. 312
შირვანისა და ანისის გათავისუფლება. 313
ეკონომიკური მდგომარეობა. 314
საფინანსო ღონისძიებები.....316
თავი XVII. საგარეო პოლიტიკა 318
თავი XVIII. დავით აღმაშენებლის მემკვიდრენი 322
თავი XIX. მეფე თამარი.....327
თამარის გამეფება. 328
ყუთლუარსლანის გამოსვლა.....330
თამარის სახლობის საკითხი. 332
თავი XX. შამქორისა და ბასიანის ბრძოლები 339
თავი XXI. სოციალურეკონომიკური მდგომარეობა.....342
ხელოსნობა, ვაჭრობა.....344
სამოხელეო წყობის ზოგიერთი საკითხი. 345
საქართველოს სახელმწიფო საზღვრები.....347
თავი XXII. XI - XII სს. კულტურა 350
განათლება.....350
ქართული მწიგნობრობის კერები საზღვარგარეთ. 353
ხელოვნება. 354
ლიტერატურა.....359

თავი I. საქართველო IV და V ს-ის პირველ ნახევარში

ქართლი IV ს-ის პირველ ნახევარში.

ქართლის სამეფოს საზღვრები და ტერასული სტრუქტურა. IV ს-ში მახლობელ აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი პოლიტიკური და კულტურული მოვლენები განვითარდა. III ს-ის სოციალურეკონომიკურმა კრიზისმა რომის იმპერიაში ამ საუკუნის ბოლოსათვის, იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს (284 – 305 წწ.) გამოიწვია ერთიანი სახელმწიფოს ორ, დასავლეთის და აღმოსავლეთის ნაწილებად გაყოფა, რამაც დასრულებული სახე კონსტანტინე კეისრის (306 – 337 წწ.) მმართველობის პერიოდში მიიღო. იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც მოიცავდა თრაკიას, ეგვიპტეს და აზიის სამფლობელოებს, ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო ძლიერი იყო დასავლეთზე და ამიტომ იმპერიის პოლიტიკურმა ცენტრმაც აქეთ გადმოინაცვლა. 330 წლის 11 მაისს სახელმწიფოს დედაქალაქი გადმოტანილ იქნა ბოსფორის სრუტის ევროპულ ნაპირზე მდებარე ქალაქ ბიზანტიონში, რომელსაც ამიერიდან კონსტანტინოპოლი ეწოდა, ხოლო თვით აღმოსავლეთ რომის იმპერიას, რომელიც IV ს-ის ბოლოს, ფაქტობრივად, გამოეყო დასავლეთს, ამ დროიდან "ბიზანტიას" უწოდებენ.

ბუნებრივია, თუ რომის იმპერიის ცენტრის აღმოსავლეთით გადმოტანა და ამავე დროს ის ფაქტი, რომ IV სის პირველი ნახევარი იმპერიის აღმოსავლეთისაკენ საუკუნეთა მანძილზე თანდათანობითი ექსპანსიის კულმინაციური პერიოდია, პოლიტიკურკულტურულ ურთიერთობებს ქართლის სამეფოსა (იბერიის) და რომს შორის უფრო ინტენსიურს გახდიდა. მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ მას შემდეგ, რაც კონსტანტინე კეისრის დროს ქრისტიანობა რომში, ფაქტობრივად, სახელმწიფო რელიგიად იქნა გამოცხადებული, იმავე ხანებში ამ უდიდესი მნიშვნელობის კულტურულისტორიულ და პოლიტიკურ მოვლენას ჩვენშიც ჰქონდა ადგილი - 326 წ. ქართლის სამეფოში ქრისტიანობა სახელმწიფო კულტად გამოცხადდა. ამ ფაქტმა იბერიის მმართველთა მიერ, ფაქტობრივად, ახ. წელთაღრიცხვის დასაწყისიდანვე აღებული დასავლური ორიენტაციის კულტურულპოლიტიკური კურსი კიდევ უფრო განამტკიცა და, არსებითად, განსაზღვრა კიდეც ქართლის სამეფოს ისტორიული მომავალი.

მეორე მხრივ, ცხადია, რომის ექსპანსიას აღმოსავლეთისაკენ სასანური ირანის იმპერია ვერ შეურიგდებოდა, IV სის მეორე ნახევრიდან იგი თანდათან ძლიერდება და უტევს რომს, რომელიც უკან იხევს. 60იან წლებში მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარება IV სის ბოლოს ზავით გაფორმდა, რომლის შედეგად სადემარკაციო ხაზი იქნა გავლებული ორ ერთმანეთთან დაპირისპირებულ იმპერიას შორის, სამხრეთ კავკასიასაც შეეხო. სომხეთის დიდი ნაწილი ირანის მფლობელობაში გადავიდა. ქართლის სამეფოც ორად იქნა მათ შორის გაყოფილი და შემდგომშიც აღმოსავლეთ საქართველოში გავლენის სფეროთა განაწილებისათვის ბრძოლა არ შეწყვეტილა სასანური ირანის არაბთაგან საბოლოო დამხობამდე.

სოციალური განვითარების თვალსაზრისითაც IV ს. გარკვეულ მიჯნას წარმოადგენს. ეს არის პერიოდი, როდესაც წინა საუკუნეების სოციალურეკონომიკური განვითარების შედეგად ქართლის საზოგადოება აშკარად დაადგა ფეოდალური ურთიერთობების განვითარების გზას, რომელიც გამორიცხავდა აღმოსავლური ტიპის დესპოტიის ჩამოყალიბებას. ეს გარემოება განპირობებული იყო ქართლის სოციალური სტრუქტურით, რასაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანწილად ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და ამით განსაზღვრული ტერიტორიული სტრუქტურა ედო საფუძვლად.

ქართლის სამეფოს ტერიტორია IV სთვის, ძველ ვითარებასთან შედარებით, შემცირებული იყო. მართალია, ნიზიბინის ზავით რომსა და სპარსეთს შორის (298 წ.), მან დაიბრუნა სომხეთის მიერ წაღებული ქვემო ქართლის ტერიტორია (სომხური წყაროების "გუგარქი") და სახელმწიფო საზღვარი სამხრეთით კვლავ მტკვარარაქსის წყალგამყოფ ქედს გაჰყვა. მის ფარგლებში რჩებოდა კლარჯეთი, აჭარა, არტაანი და ჯავახეთი. ქართლს აღარ ეკუთვნოდა მდ. ჭოროხის ზემო წელის აუზი (სპერის და ტაოს პროვინციები). თუმცა ქვემო წელი ამ დროსაც მის ფარგლებში რჩებოდა. უკიდურესი სამხრეთაღმოსავლეთი საზღვარი მტკვრის მარჯვენა შენაკად ძეგამჩაიზე გადიოდა, რომელსაც მაშინ ბერდუჯის მდინარე ერქვა. მის მახლობლად დღევანდელ მდ. თაუზჩაის მტკვართან შესართავთან ქართული ციხექალაქი ხუნანი მდებარეობდა (ახლანდელი თოფრახკალა), გარდაბნის პროვინციის ცენტრი და ქართული სახელმწიფოებრიობის სამხრეთაღმოსავლეთის ფორპოსტი. გარდაბნის გადაღმა მტკვრისა და ალაზნის ქვემო დინებას შორის მდებარე კამბეჩოვანი (დაახლოებით დღევანდელი ქიზიყი) ასევე ჩამოშორებული იყო ქართლს და ალვანეთის სამეფოში შედიოდა ისევე, როგორც ალაზნის გაღმა მდებარე ჰერეთიც.

ქართლის სამეფოს დასავლეთი საზღვარი ლიხის ქედზე და შემდეგ აჭარაახალციხის ანუ მესხეთის მთაგრეხილზე გადიოდა. ასე რომ, სამცხე თორიანად (ბორჯომის ხეობა, ქვაბლიანის და ჯაყისწყლის ხევები) მის ფარგლებში იყო. ჩრდილოეთი საზღვარი კვლავ კავკასიონის ქედზე გადიოდა და ხევი დარიალის ხეობიანად ანუ ძველი წყაროების წანარეთის ხევი, სამეფოს უკიდურეს ჩრდილოეთ ფორპოსტს წარმოადგენდა.

სოციალურეკონომიკური განვითარების შედეგად და ფიზიკურგეოგრაფიული ლანდშაფტის სპეციფიკით იყო განპირობებული ქართლის სამეფოს შინაგანი ტერიტორიული სტრუქტურის თავისებურებაც. ქვეყანა დანაწევრებული იყო "ხევებად". "ხევი" – უძველესი ქართული ისტორიულგეოგრაფიული ერთეულია, რომელთა შერწყმის საფუძველზე წარმოიქმნა ქართლის სამეფო და რომლებიც სახელმწიფოს ძირეულ ადმინისტრაციულ ერთეულებს შეადგენდნენ. "ხევი" ამასთან ეთნოსოციალური ერთეული იყო და გულისხმობდა საზოგადოებას, გაერთიანებულს ერთ სარწყავ სისტემაზე დამოკიდებული მეურნეობით. ამდენად, "ხევი" შესაძლებელია რამდენიმე ფიზიკურგეოგრაფიულ ხევს მოიცავდეს. ქართლის სამეფოს ასეთი ტერიტორიული სტრუქტურის ნაკვალევი შემორჩენილია, როგორც ძველი წყაროებით დამოწმებულ ისტორიულ ტოპონიმიკაში, ისე დღევანდელ გეოგრაფიულ ნომენკლატურაშიც (მაგალითად: "კავთისხევი", "თეძმისხევი", "ხევი" და სხვ.)

"ხევები" ერთიანდებოდნენ "საერისთავოებში". ეს უკანასკნელი ქართული სახელმწიფოებრიობის ძირითადი სტრუქტურული ელემენტი იყო, რომელიც "ხევთა"

ერთობლიობას წარმოადგენდა და ცალკეულ ქართულ ისტორიულეთნოგრაფიულ პროვინციას შეადგენდა. ასე მაგალითად, ხუნანის საერისთავო იგივე გარდაბნის მხარე იყო, სამშვილდისა – გაჩიანის, შორაპნისა – არგვეთის, ოძრხისა – სამცხეჯარის და სხვ.

სამეფო რეზიდენცია კვლავ მცხეთა იყო.

ქართლი რომისა და ირანის იმპერიათა შორის. ქ. ნიზიბინში დადებული ზავის შედეგად შაჰანშაჰი ნარსე იძულებული იყო დაეთმო რომაელებისათვის ხუთი სომხური პროვინცია (ე. წ. დამოუკიდებელი სატრაპიები) შუამდინარეთში, კერძოდ მდ. ტიგროსის სათავეებში და აგრეთვე ეცნო რომის პროტექტორატი ე. წ. დიდ სომხეთსა და ქართლზეც. დიდი სომხეთის სამეფო ტახტზე იმპერატორ დიოკლეტიანეს ხელშეწყობით ჯდება თრდატ III. ქართლის მეფესაც ამიერიდან სამეფო ნიშნები რომის იმპერატორისაგან უნდა მიეღო.

ქართული წყაროების მიხედვით ამ დროს ქართლში მეფობს მირიანი. იგი ფარნავაზიანთა დინასტიის წარმომადგენელია, რასაც მოწმობს, ჯერ ერთი ის, რომ V სის სომეხი ისტორიკოსის ფავსტოს ბუზანდის ნიშანდობლივი მითითებით ეს დინასტია IV სის მეორე ნახევარში ჯერ კიდევ არსებობს ქართლში. და, მეორეც, "მოქცევაჲ ქართლისაჲს" მიხედვით მირიანი ქართლის მეფის ლევის (იგივე რევის) ძეა. ეს ძველი ქართული წყარო თითქოს საგანგებოდ, პირდაპირ გვაცნობებს, რომ "ლევ, მამაჲ მირიანისი" იყო. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ისიც, რომ იმავე ქართული წყაროების მიხედვით მირიანის უფროს ვაჟს რევი ერქვა: ქართველ მეფეთა და დიდებულთა შორის, ჩვეულებრივი იყო შვილიშვილისათვის პაპის სახელის დარქმევა.

მირიანის მეფობის თარიღების ზუსტი დადგენა ვერ ხერხდება. ერთი რამ კი ქართული და სომხური წყაროებიდან ცხადია, რომ მირიანი სომეხთა მეფის თრდატ III-ის (298 – 330 წწ.) და რომის იმპერატორ კონსტანტინეს (306 – 337 წწ.) თანამედროვეა და ამავე დროს ჯერ კიდევ ცოცხალია 361 წელს.

ქართლის სამეფოს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, უძველესი დროიდანვე კარგად იყო ცნობილი არა მხოლოდ მახლობელ აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთშიც.

ქართლის მეფეთა ხელთ იყო კავკასიონის ერთერთი უმნიშვნელოვანესი უღელტეხილის, დარიალანის ანუ "ოვსთა კარის" გასაღები და არსებითად მათ ნებასურვილზე იყო დამოკიდებული იმიერკავკასიის მეჯოგე ველურთა გადმოყვანა, იმ ნომადებისა, რომელთა თარეში სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა მახლობელი აღმოსავლეთის და საერთოდ დასავლეთის და აღმოსავლეთის ცივილიზებულ საზოგადოებას, მის სახელმწიფოებრიობას. სწორედ ეს განსაზღვრავდა მნიშვნელოვანწილად, აქ გამავალი საერთაშორისოსატრანზიტო სავაჭრო მაგისტრალების კონტროლთან ერთად, დასავლეთის და აღმოსავლეთის დიდი იმპერიების პერმანენტულ მისწრაფებას დაუფლებოდნენ ამიერკავკასიას, კერძოდ კი ამ რეგიონის ცენტრალურ ქვეყანას ქართლს და საკუთარი გავლენის ქვეშ მოექციათ მის მესვეურთა პოლიტიკა.

ქართლის მეფე მირიანი საკმაოდ ინტენსიურად იყო ჩართული იმდროინდელ საერთაშორისო ურთიერთობაში და მას ანგარიშს უწევდნენ, როგორც რომის იმპერატორი, ასევე

ირანის შაჰანშაჰი. ქართლის სამხედრო პოტენციალი ფრიად ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა ორ დიდ იმპერიას შორის საომარი დაპირისპირების პირობებში. მირიან მეფის დიპლომატიის ერთერთი მთავარი ამოცანა სწორედ ასეთ რთულ პირობებში ლავირების შესაძლებლობა უნდა ყოფილიყო.

მეფე მირიანის საგარეო და საშინაო პოლიტიკა. ქრისტიანობის მიღება. მეფე მირიანის საგარეო პოლიტიკაში ასევე დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა კავკასიის მთიანეთთან და იმიერკავკასიასთან ურთიერთობას. იმ პერიოდში ჩრდილოელ მეჯოგე - ნომადთა ურდოები თვით სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვისაც უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდნენ. "ქართლის ცხოვრებაში", ცხადია, ამ გარემოებამაც ჰპოვა ასახვა: მირიანმა "იწყო ბრძოლად ხაზართა, და მარადის ჰბრძოდის: ოდესმე გაადგიან მირიანს ლეკნი და მათ გამოიყვანიან რა ხაზარნი თანაშემწედ მათდა, მიეგების მათ წინა მირიან ჰერეთს ანუ მოვაკანს და მუნ ეწყჳს მათ; და ოდესმე დურძუკთა და დიდოთა მოირთნიან და გამოიყვანიან ხაზარნი, მაშინ ეწყჳს და ვეროდეს სძლეს ხაზართა, და ყოველადვე მირიან სძლის. და ესრეთ მრავალგზის გარდაიჴადა წყობა ხაზართა". მეორეგან აღნიშნულია, რომ "გარდამოვლეს ოვსთა... და განრყუნეს ქართლი. ხოლო მირიან გარესგარ გარდავიდა ოვსეთს, მოტყუენა ოვსეთი და მიუწია ხაზარეთამდი, და გარდამოვლო გზა დვალეთისა და მოვიდა შინა". ხაზართა ხსენება ამ დროს, ანაქრონიზმია, თხრობაც გაზვიადებულია, მაგრამ მთავარი ამ ცნობაში ის არის, რომ ხაზგასმულია მირიან მეფის საგარეო პოლიტიკის მეორე მთავარი ასპექტი - ურთიერთობა ჩრდილო კავკასიის მთიელებთან და ნომადებთან, რაც სავსებით რეალურია ამ დროისათვის.

ამ მხრივ საინტერესო ცნობებია დაცული სომხურ წყაროებში, კერძოდ, მოვსეს ხორენაცისთან, რომელიც მოგვითხრობს, რომ "შეიტყვეს რა ხოსროვის (სომეხთა მეფე 330 – 338 წლებში - დ. მ.) სილაჩრისა და მცონარობის შესახებ, მის დროს გაერთიანდნენ ჩრდილო კავკასიელები... სპარსთა მეფე შაპუჰის საიდუმლო ბრძანებით გამოილაშქრეს და დიდი, დაახლოებით ორი ბევრი (20000, დ. მ.) ლაშქრით მოაღწიეს ჩვენი ქვეყნის (სომხეთის, დ. მ.) შუაგულს. მათ წინ აღუდგა სომეხთა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჯარი... რაც შეეხება მირიანს, იგი (ბრძოლაში) დაეცა, ხოლო ჩვენი ჩრდილოეთის ჯარი დამარცხდა". როგორც ვხედავთ, სომეხი მემატიანე არ ღალატობს თავის მიერვე შეთხზულ კონცეფციას და მირიანი სომეხთა ჩრდილოეთის ლაშქრის მხედართმთავრად წარმოუდგენია; პირდაპირ მიუთითებს მის ბრძოლაზე ჩრდილო კავკასიელთა კოალიციასთან და ამით ადასტურებს ქართული წყაროს ჩვენებებს. ამასთან თვლის, რომ თვით მირიანი ამ ბრძოლის დროს დაღუპულა, რაც არ უნდა იყოს სწორი.

ფრიად მნიშვნელოვანი მონაცემებია შემონახული ქართულ წყაროებში მირიანის შიდასახელმწიფოებრივი კულტურულპოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ. ჯერ კიდევ თავისი ზეობის დასაწყისში, თანახმად ქართველი მემატიანისა, რომელიც მირიანს სპარსელ უფლისწულად თვლის, ამ უკანასკნელმა "შეიყუარნა ქართველნი და დაივიწყა ენა სპარსული და ისწავა ენა ქართული. და ჰმატა შემკობა კერპთა და ბომონთა, კეთილად იპყრნა ქურუმნი კერპთანი, და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსახურებასა მას კერპთასა, და შეამკო საფლავი ფარნავაზისი. ხოლო ესე ყოველი ქართველთა სათნოებისათჳს ქმნა, და

კეთილად იპყრნა ქართველნი ნიჭითა და ყოვლითა დიდებითა. და შეიყუარეს იგი ყოველთა ქართველთა უმეტეს ყოველთა მეფეთასა". მართალია, ლეონტი მროველს აქ, ფაქტობრივად, იმის ნიშანდობლივი ხაზგასმა სურს, თუ როგორ და რა საფუძველზე მოხდა "ირანელი უფლისწულის" კულტურულპოლიტიკური გაქართველება, მაგრამ არ არის გამორიცხული ეს თხრობა მირიანის მოღვაწეობის რეალურისტორიულ ფაქტებზე იყოს დამყარებული. ამაზე სწორედ მირიანის შემდგომი დიდი ეროვნულკულტურული და სახელმწიფოებრივი საქმიანობა მიგვანიშნებს. მემატიანეს სურს ხაზი გაუსვას იმას, რომ უკვე თავისი მოღვაწეობის პირველ ნახევარშივე მირიან მეფე ზრუნავს ქართული ენის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზრდაზე, ქართული ეროვნული კულტურის განვითარებაზე, ქართული სახელმწიფოებრიობის შემდგომ განმტკიცებაზე.

სწორედ მირიანის მეფობის პერიოდში მოხდა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი, რომელმაც მრავალი ასპექტით გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართველი ხალხის შემდგომი განვითარების ისტორიაში: ქრისტიანობის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება.

პოლიტიკური სიტუაცია მახლობელ აღმოსავლეთში საამისოდ ხელსაყრელი იყო: 298 წელს დადებული ზავი რომსა და ირანს შორის 40 წლის განმავლობაში არ დარღვეულა, რაც ცხადია, სტაბილურ ვითარებას ქმნიდა რეგიონში; IV ს-ის 60-იან წლებამდე ქართლი, ფაქტობრივად, ირანის პოლიტიკური თვალსაწიერის მიღმა რჩებოდა; ხოლო რომმა, რომლის აღმოსავლეთისაკენ თანდათანობითი ექსპანსიის პროცესმა კულმინაციას III სის ბოლოს მიაღწია, თავისი ეს უპირატესობა სწორედ IV ს-ის 60იან წლებამდე შეინარჩუნა. ამავე პერიოდში ქართლი რომის პროტექტორატის ქვეშ იყო, ხოლო მას შემდეგ, რაც 313 წლის მილანის ედიქტით ქრისტიანული თემების დევნა შეწყდა რომის იმპერიის ტერიტორიაზე, ქართლში მის ქადაგებას, თუკი საამისო შინაგანი პირობები არსებობდა, ხელს ვეღარაფერი შეუშლიდა. ხელსაყრელი პირობები კი ამისათვის ნამდვილად არსებობდა.

ჯერ ერთი, ეჭვი არ არის, რომ ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ კულტად გადაქცევამდე აქ უნდა არსებულიყო წვრილი ქრისტიანული თემები, უპირატესად ქალაქებში. მართლაც, ამას თვალნათლივ ადასტურებს შიდა ქართლში ნაქალაქარ ნასტაკისის არქეოლოგიური შესწავლა. ელინისტური ხანის დასაწყისიდანვე არსებული ქალაქი განსაკუთრებულ აღმავლობას ახ. წ. IV – VI საუკუნეებში აღწევს და, როგორც გათხრებმა აჩვენა, ამ დროის ყოველ საცხოვრებელ კომპლექსში ჩართულია მცირე ზომის ეკლესია. ერთერთ თხრილში აღმოჩნდა რიყის ქვების საძირკველზე ალიზით ნაგები ეკლესია, რომელიც დაფარული იყო სახურავის ჩაქცევის შედეგად წითლად შეღებილი გვიანანტიკური ხანის კრამიტის ნანგრევი ფენით. ეკლესია III სით თარიღდება, და ამდენად ქართლში სახელმწიფო კულტად აღიარებამდე არსებულ ქრისტიანულ თემს მიეკუთვნება. ამ უკანასკნელის არსებობის დასტურად სხვა სათანადო არქეოლოგიური რეალიებიც გაგვაჩნია. ძველი ქართული წყაროების ცნობების ანალიზის შედეგად და აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ იმავე წყაროებში შემორჩენილია უძველესი, იუდაურქრისტიანული ლიტურგიკის რეალიები, სავარაუდო ხდება,

რომ ქართლში ქრისტიანობა ახ. წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდანვე იუდეველქრისტიანთა მიერ უნდა იყოს გავრცელებული იერუსალიმპალესტინიდან.

ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდეც რომ საკმაოდ ფართოდ ყოფილა იგი ხალხში გავრცელებული, ამას მოწმობს VIII ს -ის დასასრულის ავტორი იოანე საბანისძეც, რომელიც აღნიშნავს, რომ ქართველები "ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარწსღა შჯულდებულ ყოფილ (არიან) წმიდითა მადლითა ნათლისღებისაჲთა. მიერითგან და ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტეანეთანი".

ამგვარად, ქრისტიანობას ქართლში IV ს-მდე საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია ჰქონია. მისი ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებისათვის ქვეყნის ბარში, განსაკუთრებით კი ქალაქებში, საკმაოდ პოხიერი ნიადაგი არსებულა.

ქრისტიანობის ქართლში გავრცელებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკურ ფაქტორსაც. ძვ. წ. I ს-ში რომაელთა ეფემერული ბატონობის დამყარების დროიდანვე თუ არა, ყოველ შემთხვევაში ახ. წ. I ს-ის პირველივე წლებიდან, როდესაც ქართლმა "რომის მეგობრის" პოლიტიკური სტატუსი მიიღო, სრულიად ცხადია, ქართლის მესვეურები დასავლურ კულტურულ და პოლიტიკურ ორიენტაციას დაადგნენ და ამიერიდან ეს პოლიტიკური კურსი გახდა განმსაზღვრელი ქართლის (და მთლიანად საქართველოს) მთელი შემდგომი ისტორიისათვის. IV ს-ის დასაწყისიდან 60იან წლებამდე ქართლში რომის უშუალო პროტექტორატი დამყარდა და "იბერიის მეფეს რომაელებისაგან უნდა მიეღო თავისი მეფობის ნიშნები". მახლობელ აღმოსავლეთში იმ დროისათვის შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში ქართლის მესვეურთათვის უფრო ხელსაყრელი და მისაღები უნდა ყოფილიყო ამგვარი დამოკიდებულება რომისაგან, ვიდრე მეზობელი ირანის ბატონობა.

მნიშვნელოვანია, რომ ზემოაღნიშნული პოლიტიკური ორიენტაცია (დამოკიდებულება რომთან) ფართოდ უღებდა კარს კულტურულ ურთიერთობას დასავლურ სამყაროსთან, რისი უტყუარი მაჩვენებელიცაა ის ცხოველი კონტაქტები, რომელიც მჟღავნდება არქეოლოგიური მასალების საფუძველზე. ცხადია, ქართლის სამეფო, რომელზედაც უძველესი დროიდანვე გადიოდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭროსატრანზიტო მაგისტრალი, არასოდეს ყოფილა მოწყვეტილი აღმოსავლური სამყაროსაგან. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ჩვ. წ. IIII საუკუნეებში განსაკუთრებით ინტენსიური ხდება დასავლური კულტურული იმპულსები, რაც კარგად ჩანს, როგორც რომაული ვერცხლის და ოქროს მონეტების მიმოქცევით იბერიის ბაზარზე, ასევე რომაულიტალიკური მაღალმხატვრული ტორევტიკის, სირიული მინის ნაწარმის, მცირე აზიურეგვიპტური გლიპტიკისა და სხვა ბრწყინვალე ნიმუშების იმპორტით. მატერიალური კულტურის ასეთი ინტენსიური დინება დასავლეთიდან უნდა გულისხმობდეს დასავლური სულიერი კულტურის საგანმურთან თანაზიარებასაც და არ არის გამორიცხული უკვე არსებულ უძველეს იუდაურქრისტიანულ ფენასთან ერთად, IV ს-ის დასაწყისიდანვე, ქართლში დასავლური, ბერძნულქრისტიანული ძლიერი ნაკადის არსებობაც.

დასასრულ, უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა IV ს-ის ქართლის მოსახლეობის სოციალური განვითარების დონეს. ამ თვალსაზრისით ქართლის საზოგადოება საკმაოდ რთულ

და დიფერენცირებულ ორგანიზმად წარმოგვიდგება, რომლის შიგნით სხვადასხვა ჯგუფებს შორის უკვე არსებობს მკვეთრი დაპირისპირება. მეფის ხელისუფლება, რომელიც ეყრდნობა მზარდ ფეოდალურ ძალას, აზნაურობას, რომელიც ამავე დროს ქვეყნის კონსოლიდაციისაკენ მიისწრაფვის და ამდენად მონოთეისტური რელიგიის მომხრეა, მის მოკავშირე აზნაურობასთან ერთად უპირისპირდება პოლითეისტური წარმართული კულტის წარმომადგენლებს, ქურუმობას, რომელიც ამავე დროს უდიდესი მიწის ფონდის მფლობელიცაა. ქრისტიანული თემები, ქრისტიანული ეკლესია, რომელიც სწორედ მონოთეისტურ რელიგიას ქადაგებს, მეფისა და აზნაურების ბუნებრივი მოკავშირე ხდება, რისი საბოლოო შედეგიცაა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, რაც სოციალურპოლიტიკური თვალსაზრისით ნიშნავდა წარმართულ ტაძართა მოსპობას, მათი მიწებისა და ძალაუფლების გადანაწილებას მეფეაზნაურთა და ეკლესიას შორის. ფაქტობრივად, ქრისტიანობა საქართველოს მოევლინა, როგორც მზარდი ფეოდალური ძალების, როგორც აზნაურთა რელიგია. ამიტომაც იყო, რომ არც მეფე და არც აზნაურები არ დარჩნენ ვალში ეკლესიასთან, IV ს-დანვე ინტენსურად აშენებენ ეკლესიებს, უხვად უწყალობებენ მათ მიწის ნაკვეთებს და მთელ სოფლებს. საქართველოს მთიანეთში, სადაც ფეოდალური ურთიერთობა ჯერ კიდევ არ არსებობს ანდა სუსტად არის განვითარებული, ქრისტიანობის გავრცელება იძულებით ხდებოდა.

ამგვარად, ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას კულტურულპოლიტიკური და სოციალურეკონომიკური პირობების მთელი კომპლექსი ედო საფუძვლად. ეს მოვლენა ქართლის მაღალი კულტურული დონისა და სახელმწიფოებრივი სიძლიერის მაჩვენებელიცაა, რასაც ადასტურებს ის უაღრესად დიდი მნიშვნელობის ფაქტი, რომ აღმოსავლეთ რომის იმპერიიდან ჩვენში შემოსული ეს რელიგია ბერძნულენოვანი კი არ დარჩა, არამედ ძალიან მალე ქართულენოვანი შეიქმნა, რამაც თავისთავად განაპირობა ქართული ასომთავრული ანბანის წარმოქმნა და ამის შედეგად არა მხოლოდ ქართულენოვანი ქრისტოლოგიური ლიტერატურის თარგმნას, არამედ ეროვნული მწერლობის მძლავრ აღმავლობასაც მყარი საფუძველი ჩაუყარა. ამას კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის შემდგომი ეთნიკური განვითარებისთვისაც. იმ უცხოურ, არაქართულ გარემოში, სადაც ქართლიდან ქრისტიანობა შედიოდა, მას თან სდევდა ქართული ენის, დამწერლობის და საერთოდ ქართული კულტურის ინტენსიური გავრცელება, რასაც საბოლოო ჯამში აბორიგენთა ასიმილაცია, გაქართველება მოჰყვებოდა.

ქართული გადმოცემით ქართლში ქრისტიანობა კაპადოკიელმა ქალწულმა, წმ. ნინომ იქადაგა, რომელიც იერუსალიმიდან მოვიდა ჩვენში, დამკვიდრდა მცხეთას, სადაც იგი დაუახლოვდა მცხეთელ ებრაელებს და ჯერ მალულად, ხოლო შემდეგ გაცხადებულად დაიწყო ქრისტეს რჯულის ქადაგება. იგი სასწაულმოქმედების ნიჭით იყო ღმერთისაგან მომადლებული და ამიტომ ბევრი უიმედოდ სნეული განკურნა, ბევრ უშვილოს შვილები შესძინა და სხვ. თანდათან განითქვა მისი სახელი და ქრისტიანთა მრევლიც იზრდებოდა. ნინომ მძიმე სენისაგან განკურნა ქართლის დედოფალი, მირიანის მეუღლე, ნანაც, რომელმაც ამიერიდან ირწმუნა ნინოს ღმერთი. თვით მეფე დიდხანს ურწმუნო რჩებოდა, ვიდრე თხოთის მთაზე ნადირობისას მზე არ დაბნელდა და უკუნ სიბნელეში მხლებლებშემოცლილს და შეშინებულს გზა არ აებნა.

ქართლის კერპებისაგან იმედგაცრუებულმა მაშინღა მოუწოდა მირიან მეფემ ნინოს ღმერთს, ხსნის ფასად აღიარება აღუთქვა. მართლაც, უმალ განათდა, მეფე უვნებლად დაბრუნდა დედაქალაქში და ირწმუნა ქრისტე. ამის შემდეგ მირიან მეფემ წარავლინა მოციქულები საბერძნეთს კონსტანტინე კეისართან, რომ მას გამოეგზავნა ქართლში მღვდელმოძღვარნი, ხოლო ნინოს რჩევით დაიწყო ხის ეკლესიის მშენებლობა სამეფო ბაღში - "სამოთხესა მას სამეუფოსა". მშენებლობის დროს ვერაფრით ვერ აღმართეს ცენტრალური სვეტი, ნაძვის ხისაგან შემზადებული. ხოლო ნინოს ლოცვით მოვლენილმა ანგელოზმა, რომელიც იყო "ნათლითა შემოსილი და მოებლარდნა ცეცხლის სახედ ზეწარი" ასწია სვეტი და "წარიღო სიმაღლესა ცათასა". გარიჟრაჟზე მშენებლობის სანახავად მოსულმა მეფემ და ხალხმა იხილეს სასწაული, თუ როგორ ჩამოეშვა ნელნელა "სვეტი იგი ცეცხლის სახედ" და "დაემყარა ჴელთ შეუხებლად კაცთაგან" თავის საძირკველზე. ამიტომ ეწოდა ამ პირველ ეკლესიას ქართლში "სვეტიცხოველი". ამის შემდეგ მობრუნდნენ საბერძნეთიდან მოციქულები, რომელთაც მოიყვანეს კეისრისაგან გამოგზავნილი მღვდელმოძღვარნი, "და ვითარცა მოვიდეს, ნათელი მიიღო მირეან მეფემან და დედოფალმან და ყოველმან სახლმან მათმან". ასე გამოცხადდა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად...

რაც შეეხება იმას, თუ როდის უნდა მომხდარიყო ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარება, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დრომდე ჩვენს ისტორიოგრაფიაში ყველაზე უფრო გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ ამ მნიშვნელოვან მოვლენას ადგილი უნდა ჰქონოდა 337 წლის ახლო ხანებში, კონსტანტინე კეისრის ზეობის ბოლოსთვის.

მართლაც უეჭველია, რომ ქართლის "მოქცევა" კონსტანტინე დიდის კეისრობის დროს მოხდა 306 – 337 წლებში. ამას ერთხმად მოწმობენ ქართული და ბერძნულლათინური წყაროები. მაგრამ ამას ადგილი არ ექნებოდა 324 წლის 18 სექტემბრამდეც, როდესაც ლიცინიუსის დამარცხების შემდეგ, მანამდე დასავლეთის მფლობელმა იმპერატორმა კონსტანტინემ შეიერთა აღმოსავლეთიც და აქაც თავისი თვითმპყრობელობა დაამყარა. ამგვარად, ფაქტობრივად, 325 წ. არის თერმინუს ანტე ქუემ ნონ.

მეორე მხრივ, ვიცით, რომ მირიან მეფე არა მხოლოდ კონსტანტინეს, არამედ თრდატ სომეხთა მეფის თანამედროვეცაა და აგათანგელოსის მოწმობით ქართველთა გაქრისტიანება სწორედ თრდატის სომხეთში მეფობის დროს მოხდა. ამასვე მოწმობს მოვსეს ხორენაციც. თრდატი კი, ცნობილია, 330 წელს მოკლეს. ამგვარად, 330 წელი, ფაქტობრივად, არის თერმინუს პოსტ ქუემ ნონ.

ქართლის "მოქცევის" თარიღის შემდგომი დაზუსტება შესაძლებელი ხდება ძველქართულ წყაროებში დაცული სათანადო ცნობების შეთანაპირებით უძველესი (იერუსალიმური) ლიტურგიული პრაქტიკის ტრადიციასთან. საამისოდ ჩატარებული კვლევაძიების ჩვენთვის საინტერესო შედეგები მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: "მოქცევაჲ ქართლისაჲში" და "ქართლის ცხოვრებაში" აღნიშნულია, რომ მას შემდეგ, რაც ქართლის სამეფო კარმა ნათელიღო, ნინოს და საბერძნეთიდან მოსული ეპისკოპოსის მითითებით აუცილებელი იყო ახალი რელიგიის სიმბოლოს - ჯვრის აღმართვა. ამისთვის 25 მარტს, პარასკევს, მოჰკვეთეს სასწაულმოქმედი ხე, ხოლო ოცდაჩვიდმეტი დღის შემდეგ, 1 მაისს მისგან შექმნეს სამი ჯვარი,

რომელთაგან ერთი აღმართეს არაგვის გაღმა კლდოვან ბორცვზე (სადაც დღესაც დგას “ჯვრის ეკლესია”) და “დააწესეს დღესასწაული ძლევით შემოსილისა ჯუარისაჲ აღვსებისა ზატიკისზატიკსა (ანუ აღდგომიდან მესამე) დღესა კჳრიაკესა, ყოველმან ქართლმან, ვიდრე დღენდელად დღედმდჱ და ვიდრე უკუნისამდე”.

ცნობილი საეკლესიო მოღვაწის იოანეზოსიმეს კალენდრის მიხედვითაც აღდგომის მესამე კვირას მცხეთის ჯვრის დღესასწაული ყოფილა დაწესებული: “კჳრიაკესა მესამესა ზატიკთა (ანუ აღდგომისა, დღესასწაული) მცხეთისა ჯუარისაჲ”.

გაირკვა, რომ IV ს-ში პარასკევი 25 მარტს და აღდგომის მესამე კვირა 1 მაისს მხოლოდ 326, 337, 348 წლებში დაემთხვა (ამ წლებში აღდგომა 17 აპრილს მოდიოდა). ასეთი დამთხვევა არ შეიძლება შემთხვევითი იყოს და ქართული წყაროების სათანადო ცნობათა რეალურისტორიულობაზე უნდა მიუთითებდეს.

ზემოთქმულის შედეგად ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება IV სში უნდა მომხდარიყო: ან 326, ან 337, ან 348 წლებში. რამდენადაც ჩვენ უკვე ვიცით, რომ ამ ფაქტს ადგილი უნდა ჰქონოდა 325 - 330 წლებს შორის, ამდენად ცხადი უნდა იყოს, რომ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა 326 წელს.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების სოციალურეკონომიკური და კულტურულპოლიტიკური მნიშვნელობა კარგად ესმოდათ თანამედროვეებს. ასე მაგალითად, V სის ბერძნული წყაროების მიხედვით, კონსტანტინე მეფესთან მისულ ქართველ ელჩებს, რელიგიური საკითხების მოგვარებასთან ერთად, მისთვის სამხედრო კავშირი და ურთიერთმშვიდობა შეუთავაზებიათ. რომაელებისათვის ეს არ იყო უმნიშვნელო მოვლენა, რადგან მათ კარგად იცოდნენ, რომ იბერები “ეს არის ბარბაროსული ტომი, დიდი და უმამაცესი, რომელიც ცხოვრობს არმენიელთა შიდა (ქვეყნის) ჩრდილოეთით” და ფლობს იმიერკავკასიიდან გადმომავალ გზებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ კონსტანტინე კეისარმა ელჩებს საპასუხო წერილი გამოატანა მირიანთან, რომელშიც ეს უკანასკნელი “სასუფეველისა თანაზიარად და ძმად მისსა სახელსდვა”.

ამგვარად, ფაქტობრივად, ქართლის “მოქცევა” იმ კულტურულპოლიტიკური ორიენტაციის კიდევ ერთი დადასტურება იყო, რომელსაც ქვეყანა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, I სის დასაწყისიდანვე შეცნობილად დაადგა. მაგრამ მირიანისათვის ქრისტიანობას არანაკლებ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შიდაპოლიტიკური მიზნებისათვის, კერძოდ, ქვეყნის კიდევ უფრო შემტკიცებისა და კონსოლიდაციისათვის. ამ თვალსაზრისით ფრიად სერიოზულ პოლიტიკურ პრობლემას ქმნიდა მთიანეთი.

საერთოდ ურთიერთობა “მთასთან” ამიერკავკასიური სახელმწიფოებისათვის, კერძოდ, ქართლის სამეფოსათვის იმთავითვე წარმოადგენდა შიდაკავკასიური პოლიტიკის ერთერთ უმთავრეს მიმართულებას.

ურთიერთობა მთიანეთთან. მირიან მეფის შინაპოლიტიკის ერთერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავი სწორედ მთასთან ურთიერთობა იყო. ამას ადასტურებენ ძველქართული წყაროები. არსებობს ცნობა შიდა ქართლისა და ჯავახეთის ეკონომიკური ურთიერთობისა, დამოწმებული

სწორედ IV საუკუნისთვის. მხედველობაში გვაქვს “მოქცევაჲ ქართლისაჲს” ცნობილი ადგილი წმ. ნინოს შეხვედრისა “მთათა ზედა ჯავახეთისათა… ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელსა ერქუა ფარავნა”, მწყემსებთან, რომელთაც აქ მოერეკათ საქონელი “ზოგნი დაბით და საფურცლით და ზოგნი ქინჯარელნი და რაბადელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი”. რამდენადაც საფურცლეც და ქინძარაც სამუხრანოს სოფლებია, ამდენადვე უეჭველია, რომ შიდა ქართლისა და საკუთრივ მცხეთის საქონელი უძველესი დროიდანვე ჯავახეთის საძოვრებით სარგებლობდა. საფიქრებელია, ეს ფაქტი IV სზე გაცილებით ძველი ამბავი იყოს.

საინტერესო ის არის, რომ “ქუეყანა მუხნარისა” - მცხეთის ეკონომიკური რაიონი - “სასეფო ქუეყანა” ანუ მეფის დომენია და ამიტომ მცხეთისა და “მუხრანის ქვეყნის” საქონლის ანუ, ფაქტობრივად, სამეფო საქონლის ჯავახეთის იალაღებზე ბალახობა, ამ იალაღების სამეფო საკუთრებაზე უნდა მიუთითებდეს. ასე რომ, შიდა ქართლი და ჯავახეთი IV ს-ში ერთ “ქუეყანად”, კერძოდ, მეფის დომენად წარმოგვიდგება. ცხადია, ეს სწორედ ქართლის მეფის მიერ, მთის ეკონომიკური ათვისებისა და ბართან შერწყმის წარმატებით განხორციელებული პოლიტიკის შედეგია.

სხვაგვარი ვითარებაა კავკასიის მთიანეთში.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს” მატიანეში შეტანილია ე. წ. “ანდერძი მეფისაჲ ძისა თჳსისა მიმართ რევისა და ცოლისა თჳსისა ნანაჲსა”, რომელშიც მირიანი ასეთი სიტყვებით მიმართავს თავის შვილს (შატბერდული რედაქციით ცოლს): “აწ სადაც ჰპოვნე ქუეყანასა შინა შენსა ვნებასა იგი ქართლისანი მაცთურნი კერპნი, ცეცხლითა დაწუენ და ნაცარი მათი შეასუ მათ, ვინ მათ ეგლოვდის. და ესე ამცენ შვილთა შენთა, რამეთუ მე ვიცი იგი, მსწრაფლ კავკასიათა შინა ვერ დაილევიან”. ჭელიშური რედაქცია კიდევ უფრო გამოკვეთილად უმატებს: “რამეთუ ვიცი, ვითარმედ კავკასიათა შიგან არა დაილევიან არცა დასცხრებიან ბრძოლისაგან კაცთაჲსა”.

მიუხედავად იმისა, რომ “ანდერძი” ცხადად აპოკრიფულია, მაინც სრულიად უდავოა, რომ ავტორის აზრით კავკასიის მთიანეთი IV ს-ის პირველი ნახევრისთვის ჯერ კიდევ სავსებით დამორჩილებული არ არის და იგი განსაკუთრებით სახიფათო რეგიონია ქართლის ქრისტიანული ბარისათვის. ამიტომაც იყო, რომ მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი “წარემართა… ქრისტეანობასა მოსწრაფებითა დიდითა”, გადაწყდა სხვასთან ერთად პირველ რიგში “მთეულეთის” რეგიონში ქრისტიანობის გავრცელება. ცხადია, სამეფო კარმა იცის, რომ ეს ღონისძიება მშვიდობიანად ვერ ჩაივლის. ამიტომ წმ. ნინომ “წარიყვანა იაკობ მღდელი, საბერძნეთით მოსრული, და ერისთავი ერთი და წარვიდა და დადგა წობენს” არაგვის ხეობაში. აქედან, ჯერ ერთი, სავარაუდოა, რომ ის პუნქტები, სადაც ნინო ჩერდება, ამ შემთხვევაში წობენი, წარმოადგენს გარკვეული მხარის კულტურულ და პოლიტიკურადმინისტრაციულ ცენტრს. მართლაც, წობენი სწორედ ამ დროს ქართლის ერთერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მხარეა. ნინომ “მოუწოდა მთიელთა, ჭართალელთა და ფხოელთა და წილკანელთა და გუდამაყრელთა”, ე. ი. არაგვის ხეობის მთიულებს, რომელთაც “უქადაგა სარწმუნოებაჲ ქრისტესი” და პირველი წინააღმდეგობა მისიონერებს აქ შეხვდათ, რადგან “მათ პირუტყუ – სახეთა, ვითარცა ესმა ქადაგებაჲ, უცხოდ განუყარნეს თავნი და პირნი გარემიიქცივნეს და იღრჭენდეს კბილთა მათთა წმიდისა ნინოჲსთვის”. მისიამ კონფლიქტის

გარეშე მიზანს ვერ მიაღწია, “ხოლო ნინომ უბრძანა ერისთავსა, რაჲთა წარმართოს მცირედ მახჳლი მათ ზედა. და ვითარცა შებმა უყვეს, შიშით მისცნეს თავნი მათნი ნათლისღებასა, და დალეწნეს კერპნი მათნი”. ამის შემდეგ მისიონერები ივრის ხეობაში გადადიან: ნინო “გარდავიდა ერწოდ და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს და ნათელსცა ერწუთიანელთა”. აქ, მართალია, თითქოს ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ ივრის სათავეში მცხოვრებნი საერთოდ არ გამოცხადებულან და თუშეთს შეაფარეს თავი: “ყუარელთა ესმა ესე და გარდაკრბეს თოშეთა”, გვეუბნება მემატიანე. “ქართლის ცხოვრება” უმატებს: “სხუანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს, არამედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი, ოდეს არა ინებეს ნათლის ღება. ამისთჳს წარკრბეს იგინი და შესცთეს”.

როგორც ვხედავთ, მირიანის კულტურულსამისიონერო საქმიანობას მთიანეთში ნაწილობრივი წარმატება ჰქონდა.

ჰერეთის მოქცევა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მირიანი აგრეთვე ქართლის აღმოსავლეთ პერიფერიას, ჰერეთკამბეჩოვანს. ეს მხარე ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნის გარიჟრაჟზე ქართველებთან ერთად ჰერული (ალვანური) ტომებით იყო დასახლებული. მაგრამ უკვე უძველესი პერიოდიდანვე შეიმჩნევა ქართველთა და, კერძოდ, ქართველ მთიელთა (არაგვისა და ივრის ხეობიდან) თანდათანობითი მიგრაცია ამ ტერიტორიაზე. ეს კარგად ჩანს, როგორც ძველქართული წყაროების ცნობების შესწავლით, ისე უცხოური, ბერძნულლათინური მწერლობის ჩვენებათა ანალიზით და აგრეთვე ძველი ტოპონიმიკის მონაცემებითაც. ეს მიგრაცია და ქართველ მთიელთა აქ ჩამოსახლება განპირობებული იყო, ჯერ ერთი, იმით, რომ ეს ტერიტორია, კერძოდ, ივრისა და ალაზნის ქვემო წელის ველები შესანიშნავ საზამთრო საძოვრებს წარმოადგენდა, რაც ასე აუცილებელი იყო მესაქონლეობის განვითარებისათვის. ეს გარემოება იწვევდა ქართველ მთიელ მესაქონლემეცხვარეთა მიერ ამ ვრცელი მიწების ათვისებას და თანდათანობით მათზე დასახლებას. მეორე მხრივ, როგორც ალაზნის ველის გაღმამხრის ტერიტორიაზე, ისე მტკვარალაზანს შორის მდებარე ივრის ზეგანზე უძველესი დროიდანვე არაერთი მნიშვნელოვანი სავაჭროსატრანზიტო მაგისტრალი გადიოდა, რომლებზეც არა მხოლოდ რომაელი ლეგიონერები (მაგ., პომპეუსის ლაშქრობის დროს), არამედ “ვაჭარნი ჰრომნი და ბერძენნი” და სხვანიც დადიოდნენ, რასაც ნუმიზმატიკური მასალა და ანტიკური ხანის საგზაო რუკებიც მოწმობენ. ეს სავაჭრო მაგისტრალები აგრეთვე ერთერთი ძირითადი ფაქტორი უნდა ყოფილიყო აქეთკენ მოსახლეობის მიგრაციისა.

IV ს-თვის ეს პროცესები იმდენად წინ წასული ჩანს და ჰერეთკამბეჩოვანის მიწების ათვისება იმდენად ინტენსიურად მიმდინარეობს, რომ ჩნდება მოთხოვნილება კახეთის პოლიტიკური ცენტრის ჩრდილოეთიდან უფრო სამხრეთაღმოსავლეთისაკენ გადმონაცვლებისა. თუკი უძველეს პერიოდში კახეთის ცენტრს “ბერ ერქუა პირველ შენებულსა კახეთისასა” და ივრის ხეობის ზემო წელზე მდებარეობდა, IV ს-ის პირველ ნახევარში იგი ივრის შუაწელზე ინაცვლებს. ამ პროცესის დასაწყისს უნდა მიუთითებდეს მეფე ასფაგურის მიერ (III ს.) უჯარმის აღშენება, ხოლო მის დასასრულს – მირიანის საქმიანობა, რომელმაც “მისცა მესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი და დასუა იგი უჯარმას”.

ის პოლიტიკური ერთეული, რომლის ცენტრადაც IV ს-ის პირველი ნახევრისათვის ქალაქი უჯარმა გვევლინება, წყაროების მიხედვით შედგებოდა კახეთკუხეთისაგან და ჰერეთის შემოერთებული ნაწილისაგან დაბა ბოდბიანად. ჰერეთის ამ ნაწილს (ივრის შუაწელს ხაშმიდან ბოდბემდე) სუჯეთი ეწოდებოდა და ამდენად ის პოლიტიკურადმინისტრაციული ერთეული, რომლის ცენტრიც უჯარმა იყო, შედგებოდა კახეთის, კუხეთისა და სუჯეთის ისტორიული პროვინციებისაგან.

საყურადღებოა, რომ უჯარმა მისი "მიმდგომი ქვეყნით" საუფლისწულო ხდება მირიანის დროს. "საუფლისწულო" გარკვეული ინსტიტუტი იყო.

"ქართლის ცხოვრებაში" დაცულია ერთი ცნობა. კერძოდ, მირიან მეფე თავის შესახებ ამბობს: მამაჩემსო "საუფლისწულოდ ებოძნეს უცხონი ქვეყანანი მკლავითა წახმულნი". რამდენადაც სუჯეთი ახლად შემოერთებული და შესაძლებელია სწორედ "მკლავითა წახმული" ქვეყანა იყო, ამდენად თუ ეს გარემოებანი რევის საგამგეოს "საუფლისწულო" სტატუსს გასაგებს ხდის. მეორე მხრივ, თვით ეს სტატუსი ხაზს უსვამს აღმოსავლეთი პერიფერიის დიდ მნიშვნელობას ქართლის სამეფოსთვის. ის ქალაქი კი, რომელიც საუფლისწულოს ცენტრი იყო, აკი "მეფეთა ქალაქად" იწოდება.

ქართული კულტურისა და კერძოდ ქართული ქრისტიანული კულტურის მნიშვნელოვან ცენტრად მირიანის დროს უნდა ვიგულისხმოთ ბოდბე, რადგან წმ. ნინომ სწორედ აქ მონათლა სოჯი დედოფალი მთავრებითურთ. საერთოდ, როგორც ჩანს, წმ. ნინოს დიდი საგანმანათლებლო მოღვაწეობა გაუჩაღებია ბოდბეში და სოჯი დედოფლის შუამდგომლობით თითქოს სომეხი (სივნიელი და ვასპურაკანელი) მთავრებიც მოუნათლავს. გარდა ამისა, ტყუილად ხომ არ იმარხება იქ წმინდა ნინო და ტყუილად ხომ არ ზრუნავს მეფე მირიანი დაბა ბოდბის მომავალი კეთილდღეობისთვის, როდესაც თავის ზემოხსენებულ "ანდერძში" მეუღლეს უბარებს: "შენ… განიყო სამეფო განძი ჩვენი ორად: და მიიღე სამარხავსა ნინოსა განმანათლებელსა ჩვენსა, ჟამთა შეცვალებისათვის, რათა არა შეირყიოს უკუნისამდე ადგილი იგი: რამეთუ მეფეთა საჯდომი არს, არამედ მწირ არს".

წმ. ნინოს ბოდბეში ყოფნისას "მოვიდოდეს მისსა კახეთით, ჰკითხვიდეს და აღიარებდეს სწავლასა მისსა სიმრავლე ერისა". თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გვიან ბოდბელი ეპისკოპოსის სამწყსოს, ძირითადად, ქიზიყის ტერიტორია შეადგენდა, მაშინ ცხადი გახდება ისიც, რომ IV სის ბოდბეში ახლად დაარსებული ქართული ქრისტიანული კულტურის ცენტრის სამოქმედო ასპარეზი სწორედ კამბეჩოვანი უნდა ყოფილიყო, რომელშიც იმ დროს, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში ქართულთან ერთად ჯერ კიდევ არსებობდა ჰერული მოსახლეობა და სწორედ მათი გაქართველების მისია ეკისრებოდა ბოდბეს საეკლესიო ცენტრს.

გადმოცემის მიხედვით, "ხევი ნინოს მოქცეულია". თუშეთში გადასულ ყვარელთა მონათვლა უკვე მირიანის შვილიშვილის, თრდატის დროს მოხერხდა, ნაწილი "უკანასკნელ მოაქცივნა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსმან და რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასავე შინა დღესაქამომდე". როგორც ვნახეთ, ეს მეტად რთული პროცესი იყო, რომლის საბოლოო

დასრულებას არაერთი საუკუნე დასჭირდა, მაგრამ მეფე მირიანმა, ამ საქმის პიონერმა, მაინც დიდ წარმატებას მიაღწია. ასეთივე წარმატება ხვდა წილად მის პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობას აღმოსავლეთ პერიფერიაზე, ჰერეთში. ჯერ ერთი, მან, როგორც ჩანს, ქართლის სამეფოს შემოუერთა გარკვეული ტერიტორია, სადაც ალვანურ მოსახლეობასთან ერთად უძველესი პერიოდიდანვე ქართველებიც ცხოვრობდნენ და შექმნა დიდი პოლიტიკურადმინისტრაციული ერთეული კულტურით ერთიანი, თუმცა ეთნიკურად ჯერ კიდევ ნარევი მოსახლეობით. ამ ახლად ჩამოყალიბებულ ტერიტორიულ ერთეულს საუფლისწულოს სტატუსი მიეცა, რომლის ცენტრიც "მეფეთა ქალაქი" უჯარმა გახდა.

ჰერეთში, რომელიც ამ დროს პოლიტიკური თვალსაზრისით ქართლთან ორგანულად გაერთიანებული არ ჩანს, ძლიერი ქართული კულტურული გავლენა დამყარდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ლეონტი მროველი, რომელიც საქართველოს უძველეს ისტორიას მოგვითხრობს, გამომდინარე თავისი ცნობილი ეთნოლოგიური კონცეფციიდან, რომ აღმოსავლელ ქართველთა და ჰერთა ეთნოეპონიმები – ქართლოსი და ჰეროსი ძმები არიან, მთელი თავისი თხზულების მანძილზე ქართლსა და ჰერეთს ორ თანაბარ სახელმწიფოებრივ ერთეულად წარმოგვიდგენს, თუმცა კი მას მხედველობიდან არ რჩება ის დიდი კულტურული პროცესი, რომელიც მეფე მირიანის დროს ჰერეთის ტერიტორიაზე ქართული ქრისტიანობის ინტენსიური გავრცელებით გამოიხატებოდა. ამ პროცესმა, მისივე წარმოდგენით, ეს ორი, ეთნიკურად ერთმანეთისაგან ფაქტობრივად განსხვავებული ქვეყანა IV ს-ში ერთ კულტურულ ერთეულად აქცია. სწორედ ამას მოწმობს ისტორიკოსის მიერ IV ს-ის პირველ ნახევარში ინტენსიურად განვითარებული კულტურული პროცესების შეფასება, ფრიად გამოკვეთილად გამოთქმული: "და ვითარ აღასრულა ესე ყოველი ღმრთივგანბრძნობილმან მირიან მეფემან, განამტკიცა ყოველი ქართლი და ჰერეთი სარწმუნოებასა ზედა სამებისა წმიდისასა, ერთარსებისა, ღმრთისა დაუსაბამოსასა, დამბადებელისა ყოვლისასა; და განმტკიცდეს სრულსა სარწმუნოებასა ზედა". ისტორიკოსის თვალსაზრისით, ჯერ არ მომხდარა ამ ორი ქვეყნის ორგანული პოლიტიკური გაერთიანება (ამას მოგვიანებით ჰქონდა ადგილი), მაგრამ ქართლი და ჰერეთი კულტურის თვალსაზრისით IV სის პირველ ნახევარში ერთმანეთს შეერწყა.

ეს არის გონიერი ისტორიკოსის მიერ მეფე მირიანის შინაგანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სრულიად რეალური და ადეკვატური შეფასება.

ქართლი IV ს-ის მეორე და V ს-ის პირველ ნახევარში.

ქართლში IV ს-ის 20-იან წლებში მომხდარი უაღრესად მნიშვნელოვანი კულტურული პროცესები (კერძოდ 326 წელს ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება) ირანისთვის შეუმჩნევლად ვერ ჩაივლიდა, რადგან ამ უკანასკნელს თავისი პოლიტიკური მიზნები გააჩნდა ქართლის მიმართ. ირანს პირველ ხანებში რეაქცია არ ჰქონია. ეს, ცხადია, იმით არ ყოფილა გამოწვეული, რომ 298 წ-ის ნიზიბინის ზავი ორმოც წელზე იყო გათვლილი. საქმე ის არის, რომ ირანში გამეფებული ცხრა წლის შაბურ II-ის (309 – 379 წწ.) ზეობის პირველი ოცდაათი წლის შესახებ, ფაქტობრივად, არაფერია ცნობილი. ეს გარემოება, რომ სრულწლოვანების შემდეგაც ბევრმა წელმა გაიარა, ვიდრე შაჰანშაჰი რევანშის ომს დაიწყებდა

რომაელებთან, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მას რაღაც შინასახელმწიფოებრივი სიძნელეების გადალახვა სჭირდებოდა. ამასობაში ამიერკავკასიაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებები ირანისთვის დიდ პოლიტიკურ პრობლემებს ქმნიდა. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ მოაგვარა თუ არა შინაპოლიტიკური საკითხები 338 წელს შაბური პირველ რიგში სომხეთში შეიჭრა და სცადა ამ ქვეყნის დამორჩილება. ამისათვის იგი ოსტატურად იყენებდა ურთიერთმტრობას სომეხ წარჩინებულთა (ნახარართა) შორის. ომი, ფაქტობრივად, რამდენიმე ათეულ წელიწადს გაგრძელდა. V სის სომეხი ისტორიკოსის ფავსტოს ბუზანდის ცნობით, “სომხეთის ქვეყანა ოცდათოთხმეტი წლის განმავლობაში ეომებოდა სპარსეთის მეფეს”. მისივე სიტყვებით, ომით შეწუხებული სომხები ეუბნებიან მთავარეპისკოპოს ნერსესს: “უფალო, შენ თვით იცი, რომ უკვე ოცდაათი წელიწადია ჩვენი მეფის, არშაკის ჟამს, ომისგან არც ერთი წელი მოსვენება არა გვაქვს”.

შაბურს ამიერკავკასიაში მნიშვნელოვანი წარმატებისთვის მიუღწევია – ალვანეთი უშუალოდ დაუმორჩილებია და ვასალურ სახელმწიფოდ უქცევია. ეს ჩანს იქიდან, რომ 359 წ. ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ქალაქ ამიდასთან ბრძოლის წინ, სპარსეთის ლაშქრის დასაზვერავად წასულ ამიანე მარცელინეს, სახელოვან რომაელ ისტორიკოსს და მეომარს, თავისი თვალით უნახავს შაბურ II-ის ხელმარჯვნივ მდგომი ალვანეთის მეფე. თვით ბრძოლის დროს კი ალვანელები ქალაქს, მისივე სიტყვით, ჩრდილოეთის მხრიდან უტევდნენ.

ამ დროისათვის სპარსეთის შაჰს ქართლზე ხელი არ მიუწვდებოდა და ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი ქვეყანა იყო, რომელიც ამ ომში ნეიტრალიტეტს იცავდა. ჩანს, იყო მცდელობა სპარსეთის მხრიდან იბერთა მიმხრობისა რომაელთა წინააღმდეგ. ბუნებრივია, ქართლის მეფე მძიმე მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო: მისი აღმოსავლეთის მეზობელი, ალვანეთის სამეფო, სპარსელთა უშუალო გავლენის ქვეშ მოქცეულიყო, სამხრეთის მეზობელი, სომხეთი, ფაქტობრივად, დიდი ხანია, რაც სპარსეთთან საომარ ვითარებაში იყო. შაბური შიგადაშიგ ცდილობდა გამოეყენებინა მისი მომხრე ნახარარები, აეძულებინა არშაკ სომეხთა მეფე დაზავებოდა მას და თავისკენ გადმოებირებინა. ქართლის მეფე მირიანს არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ სომხეთის დაპყრობის შემდეგ ჯერი ქართლზეც მიდგებოდა. ამიტომ მისი მდგომარეობა ორჭოფული იყო. ამას კარგად ხედავდნენ რომაელებიც და ამიტომაც იყო, რომ იმავე ამიანე მარცელინის ცნობით 361 წელს “ტიგრს გადაღმელ მეფეებთან და სატრაპებთან უხვი საჩუქრებითურთ ელჩები იქნენ გაგზავნილნი, რათა ყველასათვის მოეწოდებინათ და ჩაეგონებინათ, ჩვენთვის თანაეგრძნოთ და არაფერ მოტყუებას ანდა ღალატს ცდილიყვნენ. მაგრამ ყველაზე უფრო მეტად მოქრთამულ იქნენ არშაკი და მერიბანი, არმენიისა და იბერიის მეფეები ბრწყინვალედ შემკული სამოსით და მრავალნაირი საჩუქრებით, რადგან თუ, მაშინდელ საეჭვო ვითარებაში სპარსელებს მიუდგებოდნენ, ავნებდნენ რომის საქმეებს”.

როგორც ვხედავთ, მირიანის დროს ქართლის სამეფოს ისეთი სიძლიერისათვის მიუღწევია, რომ იმპერატორი საგანგებო ღონისძიებას მიმართავს მისი მოკავშირეობის შენარჩუნებისათვის.

363 წელს ოცდახუთწლიანი ომის შემდეგ, ზავი დაიდო რომსა და სპარსეთს შორის. ეს ზავი ფაქტობრივად აღმოსავლეთში ირანის უპირატესობას აღიარებდა და რომის იმპერატორი შაჰანშაჰს უბრუნებდა იმ მიწებს, რომლებიც ნიზიბინის ზავით რომს გადაეცა, თვით ქალაქი

ნიზიბინიც და სინგარაც ჩრდილოეთ მესოპოტამიაში სპარსელთა ხელში გადადიოდა. ამას გარდა სომხეთი თითქოს დამოუკიდებელ ქვეყნად ცხადდებოდა, რომელზედაც ირანიც ხელს იღებდა, თუმცა იმ პირობით, რომ ირანსომხეთის კონფლიქტის შემთხვევაში რომი არ უნდა ჩარეულიყო და არ უნდა დახმარებოდა სომხეთს ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართლი კვლავ რომის პროტექტორატის ქვეშ დარჩა, კერძოდ 368 წლისთვის სამეფო ტახტზე აქ საურმაგი (სავრომაკი) ზის, "რომელიც რომაელთა შემწეობით განაგებდა იბერიას".

შაბურ II-მ, რომლის პოლიტიკაც არამარტო სომხეთის, არამედ მთელი ამიერკავკასიის დაპყრობას გულისხმობდა, ბუნებრივია, დაარღვია საზავო ხელშეკრულება, შეიჭრა სომხეთში, ცბიერებით შეიპყრო მეფე არშაკი (350 – 368 წწ.), რომელიც პატიმრობაში მოკვდა. ამის შემდეგ ქართლში შემოიჭრა და, "რათა ღალატით აღარაფერი დარჩენოდა შეუბღალავი, სავრომაკი გააძევა... და იმ ხალხის (იბერების – დ. მ.) გამგებლობა ვინმე ასფაგურს გადასცა; თანაც გვირგვინი დაადგა, რათა ჩვენი (რომაელების, დ. მ.) გადაწყვეტილებისადმი შეურაცხყოფა მიეყენებინა".

ამგვარად, 298 წის ნიზიბინის საზავო ხელშეკრულების დადების 70 წლის შემდეგ 368 წელს ირანმა პირველად მოაქცია ქართლი უშუალოდ თავისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ.

ცხადია, იმპერატორი ვალენტი მისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი მოკავშირე ქვეყნის დაკარგვას ასე ადვილად ვერ შეეგუებოდება. მან გადაწყვიტა ქართლის საქმეები მოეგვარებინა. ამიტომ "სავრომაკი, იბერიის სამეფოდან გამოძევებული, თორმეტი ლეგიონითა და სარდალ ტერენციუსითურთ გაიგზავნა უკან. უკვე მდინარე კიროსს (მტკვარს) რომ მიუახლოვდა, ასფაგური შეევედრა მას, როგორც ნათესავებმა ერთად ვიმეფოთო; იმ მიზეზით რომ არც გადადგომა შეეძლო, არც რომაელების მხარეს გადასვლა, რადგან მისი ძე ულტრა აქამდე მძევლის წესით სპარსელებს ჰყავდათ".

ეს ღაშქრობა ქართლში ვალენტის 372 - 373 წწ. უნდა განეხორციელებინა.

373 წელს ერთიანი ქართლის სამეფო ორ, რომაულ და სპარსულ, ნაწილად იქნა გაყოფილი, თითოეულში საკუთარი მეფით. "ქართლის ცხოვრებაში", მას შემდეგ რაც მთავრდება თხრობა სპარსელთა ქართლში შემოსვლისა და მისი დახარკვის შესახებ ანუ 368 წლის ახლო მოვლენებზე, მემატიანე აღნიშნავს: "და ამისა შემდგომად განდგეს კლარჯნი ვარაზბაქარისაგან და მიერთნეს ბერძენთა. და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღუთგან არსიანთამდე. და დარჩა ვარაზბაქარს ქართლი თჳნიერ კლარჯეთისა". ბერძნებს, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მხოლოდ კლარჯეთი კი არ წაუღიათ, არამედ, "საზღვარი (ტერიტორია) ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღუთგან ვიდრე არსიანთამდე, და ჴევნი რომელნი მოსდგმანან ღადოთა". ღადო ეწოდებოდა აწინდელ აჭარაახალციხის ქედს და მისი სამხრეთიდან მიმდგომი "ჴევები" პირველ რიგში, სამცხე და აჭარა უნდა ყოფილიყო. აი, სწორედ ბერძენთა მიერ წაღებული ეს "საზღვარი ქართლისა" ანუ, ფაქტობრივად, გვიანდელი "მესხეთი" უნდა ყოფილიყო საურმაგის წილხდომილი ქვეყანა. ქართლის ამ ორ ნაწილს ერთმანეთისაგან ჰყოფდა მდ. მტკვარი იმგვარად, რომ "სავრომაკს არმენიისა და ლაზების მოსაზღვრე (მხარე) ერგო, ასფაგურს კი – ალბანიისა და სპარსელების მომიჯნავე". რომაელი ისტორიკოსის ამ

ცნობის შეთანაპირება ძველქართულ წყაროსთან ცხადყოფს, რომ მტკვარი საზღვრად მთელს მის სიგრძეზე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, არამედ მხოლოდ მის ზემო დინებაში, არტაანსამცხის ტერიტორიაზე. ამდენად, კლარჯეთისა და სამცხეჯარის გარდა, რომაელებს არტაანჯავახეთის ნაწილიც მტკვრამდე მიუტაციათ. ასეთი კონიექტურა ეთანხმება რომაელი ისტორიკოსის იმ მითითებას, რომ საურმაგის წილი ქვეყანა ეგრისსა და სომხეთს ემიჯნებოდა, ხოლო ასფაგურისა – ალვანეთს და სპარსეთს. რამდენადაც აღმოსავლეთი სომხეთი ამ დროს შაბურ IIეს უკვე დაპყრობილი ჰქონდა, ამდენად, მემატიანესათვის ეს მხარე "სპარსეთი" იყო.

ამრიგად, 373 წელს, რომაული და ძველქართული წყაროების თანხმობრივი ჩვენებით, ქართლის ერთიანი სამეფო ორად იქნა გაყოფილი, სპარსეთის და რომის გავლენის სფეროებად.

საქმის ასეთი ვითარებით, ცხადია, შაბურ II განაწყენებული დარჩა, რადგან "მისი თანხმობის გარეშე და მის უცოდინრად გადაწყდა იბერიის სამეფოს გაყოფა". იგი კვლავ ახალი ომისათვის სამზადისს შეუდგა. მანამდე კი იმპერატორს ელჩი გაუგზავნა და სომხეთის სრული განთავისუფლება მოითხოვა. იგი ვალენტის უთვლიდა აგრეთვე, "რომ იბერიის გაყოფისათვის თავი დაენებებინა, გამოეყვანა იქიდან რომაული ნაწილის მეციხოვნე ჯარი და დაენებებინა მეფობა მხოლოდ ასფაგურისათვის, რომელიც თვითონვე დაუდგინა გამგებლად იმ ხალხს. ამაზე ვალენტმა ამნაირი პასუხი გასცა: არაფრის შეცვლა არ შემიძლია იმაში, რაშიც ერთობლივ შევთანხმდითო".

ეს ხდება 374 წელს სომხეთის მეფის პაპის რომაელთაგან მკვლელობის შემდეგ და, ჩანს, რომ ქართლის რომაულ ნაწილში რომაული გარნიზონი დგას. ეს ბუნებრივიც არის და ასევე უნდა ყოფილიყო ქართლის მეორე ნაწილში, სადაც, ცხადია, სპარსელი მეციხოვნეები უნდა მდგარიყვნენ. ამ მოლაპარაკებიდან ისიც ჩანს, რომ პროტესტების მიუხედავად, მანამდე შაბურს დე ფაცტო უცვნია იბერიის გაყოფა. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს ვალენტის პასუხი, რადგან აქ არ შეიძლება იგულისხმებოდეს 363 წლის შეთანხმება, სადაც იბერიის ორად გაყოფაზე საუბარი არ ყოფილა.

მაგრამ შაჰანშაჰი შაბურ II თავის ხანგრძლივი მეფობის ბოლო წლებშიც ცდილობს ორად გაყოფილი ქართლი კვლავ თავის ხელქვეით გააერთიანოს. როგორც ჩანს, მას მოუხერხებია და რომაელთა გარნიზონი, დატოვებული საურმაგის წილხვედრ ქვეყანაში, გამოუძევებია, თუმცა კი თვით რომაელთა კრეატურა საურმაგისათვის ხელისუფლების წართმევა ამჯერად ვერ მოუხერხებია. ეს ჩანს იქიდან, რომ იმპერატორ ვალენტის ელჩები შაბურისაგან კატეგორიულად მოითხოვენ, "რომ თუ მომავალი წლის დამდეგს (როგორც გადაწყვეტილია) სავრომაკის მცველი ჯარი დაუბრკოლებლივ არ იქნებოდა დაბრუნებული, შაბურს აიძულებდნენ უნებურად გაეკეთებინა ის, რის გაკეთებაზეც ნებით უარს ამბობდა", ანუ რომაელები ძალით აპირებდნენ გარნიზონის უკან დაბრუნებას, რაც ფაქტობრივად, ომის დაწყების მუქარა იყო. შემდგომში მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა და რომაელები 378 წლის გაზაფხულისთვის უკვე აშკარად ომის დაწყებას აპირებდნენ. რადგან მშვიდობიანი მოლაპარაკებით თავის საწადელს ვერ მისწვდა, შაბურმა "უზომოდ გაჯავრებულმა, რადგან შეეტყო, რომ ჩვენი (რომაელთა) გამგებელი ლაშქრობისთვის ემზადებოდა", ბრძანება გასცა თავის დიდმოხელე სურენას, რომ რომაელთაგან წაღებული სომხეთის ნაწილი "იარაღით დაებრუნებინა უკანვე, თუ ვინმე წინ

აღუდგებოდა; აგრეთვე სავრომაკის დასაცავად გამწესებული ჯარისკაცებისთვისაც [რაც კი შეიძლებოდა] უსასტიკესად ევნო". ეს, ფაქტობრივად, ნიშნავდა ომით ქართლის რომაული ნაწილის შემოერთებას.

დიდ კონფლიქტამდე, როგორც ჩანს, საქმე არ მისულა, რადგან მდ. დუნაიზე გადმოსული გოთების ურდოები სწორედ ამ დროს აღმოსავლეთი რომის იმპერიის არსებობას დაემუქრნენ. სწორედ 378 წლის გაზაფხულისთვის ვითარება ძალიან დაიძაბა და იმპერატორ ვალენტს მთელი ძალების მობილიზაცია დასჭირდა და, კერძოდ, აღმოსავლეთში განლაგებული ჯარების გაწვევაც. 9 აგვისტოს კი მოხდა გადაწმყვეტი ბრძოლა ადრიანოპოლთან, რომელშიც რომაელთა ლაშქარი სასტიკად დამარცხდა და თვით იმპერატორი ვალენტიც დაიღუპა.

ამიტომ, ცხადია, რომაელებს ამჯერად სომხეთიბერიისთვის აღარ ეცალათ და, ჩანს, შაბურმა თავის საწადელს მიაღწია. ამიანე მარცელინის ცნობით, სურენასადმი ზემოხსენებული ყველა "ეს განკარგულებანი (როგორც ბრძანა) სასწრაფოდ ასრულდა კიდეც და ვერც ვერაფერი ეშველა საქმეს, ვერც დასჯილი იქნენ, ვინაიდან რომის სახელმწიფოს სხვა საფრთხეც დაატყდა თავს მთელი გოთიის თავხედური თავდასხმით თრაკიაზე".

ამგვარად, 378 წ. ქართლის სამეფო ირანის შაჰანშაჰის მცდელობით და მის ხელქვეით კვლავ უნდა გაერთიანებულიყო.

ვითარება მაინც არასტაბილური რჩებოდა. 379 წ. შაბურ II გარდაიცვალა. მისი მემკვიდრეები, არდაშირ II (379 – 383), შაბურ III (383 – 388) და ბარამ IV (388 – 399) სუსტი მმართველები იყვნენ. პირველი მათგანი გადაყენებულ იქნა წარჩინებულთა მიერ, ხოლო ორი დანარჩენი – მოკლული. ირანში შინაარეულობა სუფევდა. ამით ისარგებლა რომის იმპერატორმა თეოდოსი დიდმა (379 – 395) და 80-იანი წლების დასაწყისში აღადგინა რომის პროტექტორატი ქართლზე.

საინტერესოა, რომ რომის ხელისუფლებას ქართლის მეფეები შიდაკავკასიური ურთიერთობის მოწესრიგებისათვის იყენებენ. საუკუნის დასაწყისში მათ შესძლეს ქვემო ქართლის მიმართ სომეხთა პრეტენზიების აღკვეთა და მისი იბერიის სამეფოსთვის საბოლოო შემომტკიცება. აღმოსავლურ პოლიტიკას ქართლის მმართველი წრეებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან, ჯერ ერთი, ამ რეგიონში მდებარე საზამთრო საძოვრების უსაფრთხო კონტროლი სასიცოცხლოდ იყო საჭირო ქვეყნის მეურნეობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგის, მესაქონლეობის განვითარებისათვის. მეორე მხრივ, აქ გამავალ სავაჭროსატრანზიტო გზების ექსპლუატაციასაც ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერთოდ სახელმწიფოს ეკონომიკისათვის. ამდენადვე, სპარსეთის ვასალური ალვანეთის სამეფოსთან მყარი პოლიტიკური ურთიერთობის შენარჩუნება ერთერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა ყოფილიყო ქართლის სახელმწიფოს მესვეურთა პოლიტიკისათვის. უმნიშვნელო არ უნდა ყოფილიყო ეს რომაელთათვისაც, რომლებიც ამ დროს დაინტერესებულნი იყვნენ სპარსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობით. სწორედ ამას უნდა მოწმობდეს თემისტიოსის მიერ რომის იმპერატორის სახელმწიფო მოღვაწეობის ერთერთ მნიშვნელოვან წარმატებად იმის საგანგებოდ აღნიშვნა, რომ რომაელებმა "საზღვრები დაუწესეს იბერებს და ალბანებს".

რომის იმპერიის პროტექტორატი მთელს ქართლის სამეფოზე დიდხანს არ გაგრძელებულა. სპარსეთი, 80იანი წლების შინააშლილობის მიუხედავად სრულიადაც არ იყო განწყობილი დაეთმო რომისათვის პოზიციები მახლობელ აღმოსავლეთში, კერძოდ, ამიერკავკასიაში. რომიც ადრიანოპოლის მარცხის შემდეგ შედარებით დასუსტებული იყო და ბალკანეთის მიწაწყალზე დასახლებული გოთების ურდოებთან ურთიერთობით იყო დაკავებული. ამიტომ, როგორც სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი გადმოგვცემს, რომაელებმა მიიღეს სპარსელთა წინადადება "შუამდინარეთისა და სომეხთა ქვეყნის დანაწილებაზე, ახალი საზღვრების დადებაზე". ეს საბოლოოდ მოხდა 387 წელს და სასაზღვრო მიჯნა რომის იმპერიასა და სპარსეთის სამეფოს შორის ახლო აღმოსავლეთში ქალაქ ნიზიბინსა (სამხრეთში) და ქალაქ თეოდოსიოპოლს (დღ. არზრუმს) შორის (ჩრდილოეთში) გამავალ ხაზზე დაიდო. ამავე დროს, ცხადია, განაწილებულ იქნა საკუთრივ ამიერკავკასიაც, ეგრისი რომის გავლენის სფეროში დარჩა, ხოლო ალვანეთი – ირანის. რაც შეეხება ქართლის სამეფოს, იგი კვლავინდებურად ორად იქნა გაყოფილი, როგორც ჩანს, იმავე სადემარკაციო ხაზით, როგორც ეს მოხდა 373 წელს.

ბუნებრივია, თუ ორად გაყოფილი ქართლის სამეფოს მესვეურები შეეცდებოდნენ მის გაერთიანებას და ამდენად, რეალური ჩანს, რომ უკვე ვარაზბაკურის (ასფაგურის) მემკვიდრე მირდატი, ალბათ, IV ს-ის 70-იან წლებშივე "ბერძენთაგან ეძიებდა კლარჯეთს, საზღვარსა ქართლისასა". ჩვენ ვნახავთ, რომ ქართველთა, თუ შეიძლება ასე ითქვას, სახელმწიფოებრივი აზროვნების თვალსაზრისით მეფის ძირითადი და უპირველესი მოვალეობა იყო ეროვნულსახელმწიფოებრივი ტერიტორიის ხელშეუხებლობა. ამდენადვე, ცნობა მირდატის სათანადო მცდელობის შესახებ სრულიად რეალური უნდა იყოს.

ბუნებრივია ისიც, თუ საერთოდ და მით უმეტეს ამ კონკრეტულ ვითარებაში ქართველი მეფეები აქტიურად იქნებოდნენ ჩარეულნი ორი ურთიერთმოწინააღმდეგე იმპერიის პოლიტიკურ ინტრიგებში და ძველისძველ პოლიტიკურ პრეროგატივას – იმიერკავკასიელ მთიელთა და ველურთა ჩართვა ზემოხსენებულ იმპერიათა ურთიერთობაში – გამოიყენებდნენ თავისი საკუთარი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. ასეთად გვეჩვენება ეპიზოდი ფარსმან მეფესთან დაკავშირებით.

იოანე რუფუსი მოგვითხრობს, რომ პეტრე იბერის დიდედის ძმა ანუ მამამისის ბოზმარიოსის ბიძა იყო "ფარსმანიოსი... რომელიც რომაელთა მეფეს არკადიუსს (395408) დიდ პატივში ჰყავდა, ჯარის სარდლის თანამდებობაც ეკავა და პირველი ადგილი ეპყრა, ხოლო, უკანასკნელ, არკადიუსის მეუღლის, ევდოქსიას შეყვარების გამო, იგი გაიქცა და დაიმალა, სასწრაფოდ თავის სამშობლოში წავიდა. როდესაც ის იბერებზე ბატონობდა და თან მიიყვანა თეთრი ჰუნები, იბერთა მეზობლები, იმათთვის, რომელნიც რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, მრავალი უბედურების მიზეზი შეიქმნა".

ამგვარად, პეტრე იბერის დიდედის ძმა, ფარსმანი, კეისარ არკადიუსის (395408) დროს ბიზანტიის სამეფო კარზე დიდად აღზევებული კაცი ყოფილა, მაგრამ დედოფალთან სასიყვარულო რომანის გამჟღავნების შემდეგ სამშობლოში გამოქცეულა და აქ გამეფებულა კიდეც, რაც მოწმობს, რომ იგი ფარნავაზიანთა დინასტიის წარმომადგენელი იყო. ქართლში მეფობის ჟამს იმიერკავკასიიდან ე. წ. "თეთრი ჰუნები" (ხიონიტები) გადმოუყვანია და შეუსევია

იმათთვის, “რომელნიც რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ”. ჰუნთა ეს დიდი შემოსევა სხვა, კერძოდ, თანადროული ლათინური და VVI საუკუნეების (და უფრო გვიანდელი) ბერძნული და სირიული წყაროებით დასტურდება. ეს მოხდა 396 წლის ზაფხულში. ირკვევა, რომ ფარსმანს თეთრი ჰუნებისათვის, რომელთაც, აღმოსავლეთიდან წამოსულებს, ამ დროისათვის ჩრდილოეთი კავკასიის ველები და შავიზღვისპირეთის სტეპები ეჭირათ და ადრე აქ მოსული გოთები და ალანები დამორჩილებული ჰყავდათ, დარიალის ხეობის გზა გაუხსნია. IV სის უკანასკნელი დიდი რომაელი პოეტის, კლაუდიანის, ჩასპიაე ცლაუსტრა (კასპიის უღელტეხილი) ამ შემთხვევაში დარიალანს გულისხმობს და არა დარუბანდს, ისევე როგორც ამავე ხანების ცნობილი მწერლისა და საეკლესიო მოღვაწის ჰიერონიმეს “ალექსანდრეს კარი კავკასიის კლდეებში”. ეს სრულიად უცილობელია იმ ჩვენთვის უკვე ცნობილი ფაქტის გამო, რომ თეთრი ჰუნების შემოსევის ინიციატორი ქართლის მეფე ფარსმანი იყო, რომელიც ბუნებრივია სწორედ დარიალანის ციხესიმაგრეს ფლობდა.

ჰუნთა ველური ურდოები ბერძნულრომაული სამყაროსათვის, ფაქტობრივად, ჯერ კიდევ უცნობები იყვნენ და ამ შემოსევამ სტიქიური კატაკლიზმის შთაბეჭდილება დასტოვა თანამედროვეებზე, იმდენად დაუნდობელი და სასტიკი იყო ახლად გამოჩენილი მტერი. მეჯოგე ჰუნთა ურდოებმა გადათელეს სომხეთი, მცირე აზიის რომაული პროვინციები, მესოპოტამია, სირია.

ფარსმან მეფის მიერ ორგანიზებული ეს გრანდიოზული აქცია, ძნელია მხოლოდ პირადული მოტივით აიხსნას. სავარაუდოა, იგი ინსპირირებული ყოფილიყო სპარსეთის ხელისუფლების მიერ, თუმცა V სის ბერძენი ისტორიკოსი სოკრატე სქოლასტიკოსი ინსპირატორად ქალაქ კონსტანტინოპოლის პრეფექტს, რუფინუსს თვლის. ასეა თუ ისე, არ არის გამორიცხული, რომ ფარსმანი საკუთარი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისთვისაც იღვწოდა და, კერძოდ, ქართლის სამეფოს გაერთიანებას ესწრაფოდა.

დიდი ბაკური. IV ს-ის სულ ბოლო წლებში (397 წლის შემდგომ), თუ V ს-ის დასაწყისში ქართლის აღმოსავლეთ ნაწილში ბაკური მეფობს. მართლაც, მოვსეს ხორენაცისთან 405 წლის ახლოს იგი უკვე მეფედ იხსენიება.

მართალია, დიდი ბაკური ბიზანტიელთა ხელშეწყობით დაჯდა აღმოსავლეთი ქართლის სამეფო ტახტზე, მაგრამ ბუნებრივია, რომ იგი ირანის შაჰანშაჰის ვასალი იყო. მართლაც, ამაზე პირდაპირ მიგვითითებს პეტრე იბერის ასურულ “ცხოვრებაში” მისი ბიოგრაფიის კიდევ ერთი ეპიზოდი.

“ცხოვრების” ავტორი იოანე რუფუსი, პეტრეს ერთერთი უახლოესი მოწაფე, უეჭველია, მისი მოძღვრისგანვე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მიმართავს მკითხველს: “დიდი ბაკურიოსის შესახებ უნდა გიამბოთ შემდეგი შემთხვევა. თავის დანარჩენ სათნოებათა გვერდით, აღმსარებლობის გვირგვინი დაიწნა მან ერთხელ, ანუ უკეთ რომ ვთქვა, თავისი სურვილის მიხედვით წამებულის გვირგვინიც. როდესაც ის ერთხელ სპარსთა მეფესთან ერთად სალაშქროდ გავიდა, რამდენადაც მას საზავო კავშირი ჰქონდა მასთან შეკრული და ერთი მისი სარდალთაგანიც იყო, და დაინახა, რომ, როგორც კი მზე ამოვიდა თვით მეფეც და ყველა მისი

სარდალი, მეთაურები, სატრაპები და წარჩინებულებიც ერთბაშად ჩამოხტნენ ცხენიდან და მზეს მიმართეს ლოცვით, ის (ბაკური) თავის ცხენზე მჯდომარედ დარჩა. და როდესაც სხვა სატრაპებმა ეს მეფეს მოახსენეს, და თვით ბაკურიც წარსდგა მის წინაშე, შეეკითხა მას (მეფე) – მართალია თუ არა ის, რაც თქვესო. დანიელის და მისი ჭაბუკი მეგობრის ამ ჭეშმარიტმა მიმბაძველმა მთელი ჯარის წინაშე გულახდილად წამოიძახა: მე ვარ ქრისტიანი და მე არ შემფერის უარვყო ის, რომელიც ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი და ყოვლის შემოქმედია, და ლოცვით მივმართო მის გაჩენილს, რომელიც იმისთვის არის შექმნილი, რომ მე და ყველა ადამიანს გვემსახუროს და გვინათოს – ასე რომ მეფე, თუმცა განცვიფრებული იყო და მისი გულახდილობით დარცხვენილი, მიუბრუნდა თავისიანებს, და ჩუმად უთხრა: ეს არის ბაკურიოსი და ჩვენ ის გვჭირდება. რა უნდა ვუყოთ მას? და ეს არის ბაკურიოსის ვაჟკაცობათა ერთი ნაწილი”.

თუ ჩვენ სწორად მივიჩნევთ ვარაუდს, რომ ბაკურის ბიოგრაფიის ფაქტი, მომხდარი სპარსთა ბანაკში, 422 წელს უკავშირდება, მაშინ მისი ზეობის თარიღებიც გვეცოდინება: 397/402 – 422 წლები.

მეფე არჩილი. ბაკურის შემდეგ აღმოსავლეთ ქართლში, როგორც ვიცით, არჩილი, მისი უკვე ღრმად მოხუცებული ძმა მეფობს. მისი ზეობის წლები შეიძლება 422 – 437 წლებით განისაზღვროს. “მოქცევაჲ ქართლისაჲ”, გარდა იმისა რომ მის დროს მცხეთაში აზნაურთა მიერ ეკლესიის მშენებლობაზე გვაუწყებს, გვაწვდის საინტერესო ცნობას, რომ “მოგუნი მოგუეთას მოგობდეს ცეცხლისა მსახურებასა ზედა”, რაც ქართლში სპარსთა ექსპანსიის გაძლიერების მოწმობად მიაჩნიათ. “ქართლის ცხოვრებაში” კი ამის საპირისპირო ცნობებია დაცული, კერძოდ, არჩილმა “განაცხადა მტერობა სპარსთა… მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლისმსახურნი საზღვართაგან ქართლისათა” და სხვ.

შაბურ II-ის გარდაცვალების შემდეგ ირანში, ფაქტობრივად, შეწყდა კარგა ხნით ქრისტიანების დევნა. ეს განსაკუთრებით იეზდიგერდ Iის მეფობის პერიოდს (399 – 421) შეეხება, რომლის ზეობის დროს ქრისტიანულზოროასტრული ურთიერთობანი ახალ ფაზაში შედის. მისი შემწყნარებლური პოლიტიკა ამ მხრივ მიზნად ისახავდა ბიზანტიასთან მშვიდობიანი ურთიერთობის პერიოდში გამოენახა მოდუს ვივენდი ირანის სახელმწიფოსა და მის ქვეშევრდომ ქრისტიანთა შორის. თუკი იეზდიგერდის მეფობის ბოლო წლებისთვის მეფის დამოკიდებულება ქრისტიანების მიმართ რადიკალურად შეიცვალა, ეს თვით ქრისტიანთა თავხედური ქცევის შედეგი იყო (ანგრევდნენ ცეცხლთაყვანისმცემლობის ტაძრებს, მიწებს ართმევდნენ მათ და სხვა). ახალი დევნა ქრისტიანებისა, რომელიც მზადდებოდა, დაიწყო ბარამ V-ის გურის ტახტზე ასვლისთანავე. ამან საბოლოო ჯამში გამოიწვია მცირე ხნის ომი ბიზანტიასთან, რომელიც დამთავრდა მეორე წელსვე დადებული საზავო ხელშეკრულებით (422 წ.). სპარსელებმა კვლავ მისცეს ქრისტიანებს აღსარების თავისუფლება, რაც გაგრძელდა იეზდიგერდ II-ის მეფობამდე (439 – 457 წწ.).

აი, ამ პერიოდს ემთხვევა აღმოსავლეთ ქართლში დიდი ბაკურის და არჩილის მეფობა.

ჯერ კიდევ, 428 წელს ბარამ V-მ სომეხ ნახარარებთან შეთანხმებით გადააყენა სომხეთის მეფე არტაშესი სამეფო ტახტიდან და სომხეთის ინკორპორაცია მოახდინა – სომხეთი გადაიქცა ირანის პროვინციად, რომელსაც შაჰანშაჰის მოხელე მარზპანი მართავდა. მისმა მემკვიდრემ იეზდიგერდ II-მ ასევე მთელი ამიერკავკასიის ინკორპორაცია დაისახა მიზნად. მან აქტიური ნაბიჯები გადადგა სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის მოსახლეობის კულტურული ასიმილაციისათვის. ამ ფართომასშტაბიანი პოლიტიკური გეგმის სულისჩამდგმელი იყო მისი პირველი ვეზირი, ქრისტიანობის აშკარა მტერი მიჰრნერსე.

V ს-ის სომეხი ისტორიკოსი ელიშე გადმოგვცემს, რომ V სის 40იანი წლების დასაწყისში შაჰანშაჰმა გამოსცა ბრძანება სპარსელთა გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნებიდან (მათ შორის სომხეთიდან, ქართლიდან და ალვანეთიდან) ყოველწლიურად შეკრებილიყო განსაზღვრული რაოდენობის ლაშქარი შუა აზიის ტომებთან, კერძოდ, ქუშანებთან საბრძოლველად. ეს ახალი სახის სამხედრო ბეგარა იყო, რომელიც იმავე ისტორიკოსის სიტყვით მოქმედებდა 441 წლიდან 449 წლამდე. ეს ღონისძიება, გარდა იმისა, რომ აძლიერებდა ირანის ლაშქარს, ამავე დროს ცხადია, ასუსტებდა იმ ქვეყნებს, საიდანაც ეს ჯარები გაჰყავდათ. ეს ირანელებს კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული. მეორე მხრივ, იგივე სომეხი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ შაჰანშაჰი ცდილობდა ამ ჯარის ნაწილებში მაზდეანობა გაევრცელებინა.

სომხეთში ირანმა ხალხის აღწერა ჩაატარა, რის შედეგადაც ახალი, გაცილებით უფრო მძიმე საგადასახადო სისტემა შემოიღო, როგორც ირანის პროვინციაში – ირანული მართლმსაჯულება დააწესა და თუ აქამდე უმაღლესი მსაჯულის ფუნქცია კათოლიკოსს ეკუთვნოდა, ახლა იგი მოგპეტს, ცეცხლთაყვანისმცემელთა უმაღლეს ქურუმს უნდა დაკისრებოდა. ყველაფერი ეს სომხეთს შეეხებოდა და როგორ აისახებოდა ეს ირანული აგრესია საკუთრივ ქართლზე, წყაროებიდან არ ჩანს, მაგრამ ირანელთა ზრახვები ქართლის მიმართ ანალოგიური იყო. ეს კარგად დასტურდება მიჰრნერსეს სიტყვებიდან, შაჰანშაჰის მიმართ, რომელიც შემოგვინახა V სის მეორე ნახევრის სომეხმა ისტორიკოსმა ლაზარ ფარპეციმ. პირველი ვეზირი შაჰს ურჩევდა ზემოხსენებულ ღონისძიებათა გატარების დაჩქარებას, რადგან “როდესაც სომხეთი მტკიცედ იქნება ჩვენი, მაშინ სწორედ ქართლიცა და ალვანეთიც ჩვენი იქნებაო”.

უპირველეს პირობად საამისოდ ირანს მიაჩნდა ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელება ამიერკავკასიის ქვეყნებში და მათ შორის ქართლშიც. ამისათვის შაჰმა თავის კარზე დაიბარა სომხეთის, ალვანეთის და ქართლის წარჩინებულები, მათ შორის ქართლის პიტიახში არშუშა. შაჰმა მათ კატეგორიულად მოსთხოვა მაზდეანობის მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში ცოლშვილიანად დაღუპვით და გადასახლებით ემუქრებოდა. შაჰის მუქარა რომ რეალური იყო, ეს იქიდან ჩანს, რომ ასეთ პრეცედენტს მანამდეც ჰქონია ადგილი, “როგორც უქნეს (მანამდე) მრავალ ნახარარს (ერისთავს) ქართველთა ქვეყნიდან”.

გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა წარჩინებულებმა გადაწყვიტეს გარეგნულად მიეღოთ ცეცხლთაყვანისმცემლობა და როგორც კი დაბრუნდებოდნენ სამშობლოში, კვლავ ქრისტიანობა ეღიარებინათ.

კმაყოფილმა შაჰმა იმით, რომ მათ მაზდეანობა მიიღეს, ისინი გაისტუმრა სახლში, მძევლებად კი დაიტოვა სომხეთის მარზპანის ვასაკ სივნიელის შვილები და არშუშა ქართლის პიტიახში, რომელსაც, როგორც ჩანს, არ ენდობოდა, თუმცა კი დიდ პატივს სცემდა.

რამდენადაც ირანის ხელისუფლები მაზდეანობის გავრცელებას მთელს მოსახლეობაში გულისხმობდნენ, ამიტომ სამშობლოში დაბრუნებულ წარჩინებულებს დიდძალი რაოდენობა მოგვებისა თან გააყოლეს. მარტო სომხებისთვის 700 მოგვი ყოფილა განკუთვნილი, რომელთაც სომხეთში ჩასვლისთანავე ენერგიულად დაიწყეს ეკლესიების ნგრევა და მაზდეანური ტაძრების აგება. ასევე უნდა ყოფილიყო ქართლშიც, რასაც ადასტურებს "ქართლის ცხოვრების" ცნობა, რომ "დაიპყრეს ქართლი სპარსთა, და განრყუნეს ეკლესიანი… და ყოველთა შინა ეკლესიათა ქართლისათა ცეცხლისმსახურთა სპარსთა აღაგზნეს ცეცხლი".

მდგომარეობა ძალიან დაიძაბა და, ბოლოს სომხეთში დიდმა აჯანყებამ იფეთქა, რომელსაც სათავეში ვარდან მამიკონიანი ჩაუდგა. აჯანყება მოხდა ალვანეთშიც. პირველი წარმატებების მიუხედავად, საბოლოოდ, ავარაირის ბრძოლაში სპარსელებთან სომხები დამარცხდნენ. ვარდანი ამ ბრძოლაში დაიღუპა.

ეს მოხდა 450 – 451 წლებში.

ამ აჯანყებაში ქართლის მონაწილეობა არ ჩანს, წყაროები ამის შესახებ არაფერს ამბობენ. მიზეზი შესაძლებელია ყოფილიყო ის, რომ როგორც ელიშე გადმოგვცემს, სომხეთის მარზპანმა ვასაკ სივნიელმა, რომელმაც კრიტიკულ მომენტში აჯანყებას უღალატა, ამავე დროს "დაარღვია ერთიანობა ქართლის ქვეყნისა სომხეთთან".

ერთი რამ ცხადია: V ს-ის შუა ხანებში ქართლის, მისი აღმოსავლეთი ნაწილის ურთიერთობა ირანთან დამძიმდა, სიტუაცია დაიძაბა. ირანი უკვე აშკარად ასიმილატორულ პოლიტიკას ეწევა და მიუხედავად იმისა, რომ ქართლს, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, სომხეთალვანეთის აჯანყებაში ირანის წინააღმდეგ მონაწილეობა არ მიუღია და მიუხედავად იმისა, რომ ამ აჯანყების შედეგად სომხეთს თითქოს დროებით შეუმსუბუქდა მდგომარეობა, შაჰანშაჰი თავისი საბოლოო მიზნის განხორციელებაზე – ამიერკავკასიის მთლიანად ინკორპორაციაზე – როგორც ისტორიის შემდგომი მსვლელობა გვიჩვენებს, ხელს არ იღებდა.

ეგრისი IV – V ს-ის პირველ ნახევარში.

IV – V საუკუნეებისათვის ეგრისის სამეფოს უკვე საკმაოდ ხანგრძლივი, რთული განვითარების გზა ჰქონდა გავლილი და პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის ეტაპზე იმყოფებოდა. IV ს-ის პირველ ნახევარში, როდესაც კონსტანტინე I-მა რომის მთელი იმპერია ოთხ პრეფექტურად გაჰყო, ეგრისი, სავარაუდოა, აღმოსავლეთის პრეფექტურის პოლემონის პონტოს პროვინციაში შედიოდა, რომელიც თავის მხრივ, პონტოს დიოცეზის შემადგენელი ნაწილი იყო. ამ დროს "ფაზისზე მდებარე სიმაგრეებში" ჯერ კიდევ უნდა მდგარიყო რომაული გარნიზონები. ამ ხანისთვის IV ს-ის სომეხი ისტორიკოსის, აგათანგელოსის თხზულების ერთერთ ბერძნულ რედაქციაში იხსენიება თრდატ სომეხთა მეფესთან და იბერიის და ალვანეთის მეფეებთან ერთად "ლაზთა მეფე".

ეგრისის სამეფოს საზღვრები. IV ს-ის მეორე ნახევრიდან ეგრისის სამეფოს ტერიტორია მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ამიანე მარცელინის ცნობის მიხედვით, 369 - 70 წლებში ირანის შაჰი შაბურ II სომხეთს შეესია და სომხეთის მეფემ და დიდებულებმა "სცადეს შეეფარებინათ თავი მაღალ მთებში, რომლებიც ჩვენებს [ე. ი. რომაელთა მიწებს] ლაზიკისაგან ჰყოფენ. იქ ხუთ თვეს იფარავდნენ თავს უღრან ტყეებსა და დახლაკნილ სერებში და თავს აღწევდნენ მეფის მრავალ ცდას მათი დაჭერისათვის". კონტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ ეს მაღალი მთები, რომლებიც გამოჰყოფდნენ რომაელთა უშუალო სამფლობელოს ეგრისის სამეფოსაგან, უნდა მდებარეობდეს ჭოროხის შესართავის სამხრეთაღმოსავლეთით, ზღვის მახლობლად. ეს უნდა ყოფილიყო საკმაოდ ფართო ტერიტორია, რომელიც, თავის მხრივ, სომხეთში იგულისხმება. ამიტომ, საფიქრებელია, რომ აქ საუბარია ტაოს ან მისი დიდი ნაწილის შესახებ.

ამგვარად, IV ს-ის 60-იან წლებში რომის სამფლობელოებსა და ლაზიკას შორის ტაო იდო, რომელიც ამ დროს სომხეთში შედიოდა. ქართლისათვის თითქოს ადგილი აღარ რჩება და ამდენად, საფიქრებელია, რომ ტერიტორია ზღვისპირეთისა, რომელსაც ეს ქვეყანა ფლობდა ჯერ კიდევ II სში და, შესაძლებელია, IV სის პირველ ნახევარშიც, ახლა ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს მფლობელობაში უნდა გადასულიყო.

VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ერთი ცნობის მიხედვით, მის დროს "ტრაპიზონელთა საზღვრები ვრცელდება დაბა სუსურმენემდე და ეგრეთ წოდებულ რიზემდე". ორივე პუნქტი დღესაცაა ცნობილი ზღვის სანაპიროზე თურქეთის ლაზისტანში (მვ. ჭანეთი). აქ საუბარია ბიზანტიის იმპერიის უშუალო მფლობელობაში მყოფ უკიდურეს ტერიტორიაზე – სამხრეთაღმოსავლეთ შავიზღვისპირეთზე. შემდეგ ბიზანტიელი ისტორიკოსი განაგრძობს: "რიზეს მოსდევს მიწაწყალი ერთი ხალხისა, რომელიც რომაელებსა და ლაზებს შორის მოსახლეობს. იქ მდებარეობს ერთი სოფელი, სახელად ათინა.… ათინის შემდეგ მდებარეობს არქაბე და აფსარუც.… იქაური მცხოვრებლები არც რომაელთა და არც ლაზთა მეფის ქვეშევრდომები არ არიან გარდა იმისა, რომ, რადგან ისინი ქრისტიანები არიან, ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ მათ მღვდელმსახურებს". ეს უკანასკნელი გარემოება იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მაშინ, როდესაც ეგრისის სამეფო თავისი ძლიერების ზენიტს აღწევდა, ეს ტერიტორია მის ფარგლებში შემოდიოდა.

ისტორიკოსთა ეს ცნობები და მათი ამგვარი ინტერპრეტაცია სწორი რომ უნდა იყოს, ამას მოწმობს მათგან სრულიად დამოუკიდებელი წყარო, ე. წ. "სომხური გეოგრაფია". აქ "კოლხეთი არის იგივე ეგრისი... და შეიცავს ეგრისი ოთხ მცირე ქვეყანას: მანრილი, ეგრევიკა, ლაზივი, ჭანეთი, რომლებიც არიან ხალდები". ვრცელი რედაქცია ამავე წყაროსი უფრო დაწვრილებით ცნობებს იძლევა, ისიც ჩამოთვლის ზემოხსენებულ პროვინციებს: "მანვილი (ვარ.: მანრილი), ეგრევიკი ანუ საკუთრივ ეგრისი, რომლის კიდეზე არის მდინარე ფაზისი (რიონი, დ. მ.) თანამოსახელე ქალაქითურთ, და ჭანივი – იგივე ხალდები (ლაზივი აშკარად გამოტოვებულია, დ. მ.)... აქვს (ეგრისს, დ. მ.) ხუთი ქალაქი: იანი (ვანი? დ. მ.), კოტა (ქუთაისი, დ. მ.), როდოპოლისი (ვარდციხე, დ. მ.), ათინა და რიზონი და სხვა ბევრი ემპორიონები (სავაჭრო პუნქტები, დ. მ.) ანუ საზღვისპირო დაბაქალაქები, რომელთა შორისაა ტრაპიზონი".

ამგვარად ამ თხზულების მიხედვით, ეგრისი განიყოფებოდა ოთხ ქვეყნად: მანრილი, რომელიც უნდა იყოს ქართული მარგვილი – არგვეთი; ეგრევიკი ანუ საკუთრივ ეგრისი (ქართული წყაროების "შიდა ეგრი"). "ქართლის ცხოვრების" მოწმობით საკუთრივ ეგრისის ტერიტორია თავსდება "ეგრის წყალსა და რიონს შუა". ასეა სომხურ წყაროშიც. ეს, რა თქმა უნდა, ფრიად მნიშვნელოვანი დამთხვევაა: რიონი ეგრისის საზღვრად იგულისხმება, ჩანს, სამხრეთითაც და აღმოსავლეთითაც. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ "სომხური გეოგრაფიის" მანრილი გულისხმობს მარგვისარგვეთს ანუ ახლანდელ ზემო იმერეთს. რაც შეეხება ჭანეთ / ჭანივს, იგი ყველა ბიზანტიელი მწერლის მიერ ლოკალიზებულია ჭოროხის შესართავის სამხრეთ მთიანეთში, ზოგჯერ ზღვის პირასაც. რიზეს, ათინას და ტრაპიზონის ხსენება ამ ტერიტორიაზე სომხურ წყაროში სწორედ ამაზე მიგვითითებს. ლაზივლაზებისათვის, ამგვარად, რჩება ერთადერთი სივრცე რიონიდან ჭოროხის შესართავამდე.

ამავე წყაროს ცნობით ეგრისის ჩრდილო საზღვარი კავკასიონის მთავარ ქედზე გადის. ამის მიხედვით სავარაუდოა, რომ დასავლეთი საქართველოს მთიანეთიც, კერძოდ, სვანეთი იმ დროს ეგრისის სამეფოში შედიოდა.

მართლაც, VI ს-ის კიდევ ერთ ბიზანტიელ ისტორიკოსს, მენანდრე პროტიქტორს დაცული აქვს შესანიშნავი ცნობა, რომლის მიხედვით ცხადი ხდება სვანეთისა და ეგრისის ურთიერთდამოკიდებულება IV – V საუკუნეებში. როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ VI ს-ის 60-იან წლებში დაცული იყო ბიზანტიის არქივში ოფიციალური დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილი ყოფილა სია ეგრისის მეფეებისა, რომელნიც სვანებს უნიშნავდნენ ხოლმე მმართველებს. ეს ნუსხა ეგრისის მეფეებისა და სვანთა მმართველებისა იწყებოდა იმ დროიდან, როდესაც რომის იმპერატორი იყო თეოდოსი I (379 – 395 წწ.), ხოლო ირანის შაჰი – ბარამ IV (388 – 399 წწ.) და მთავრდებოდა იმ დროით, როდესაც ბიზანტიაში მეფობდა ლეონ I (457 – 474 წწ.), ხოლო ირანში – პეროზ II (459 – 483 წწ.). ე. ი. ეს სია, საბოლოო ჯამში, თარიღდებოდა IV ს-ის 90-იანი წლების დასაწყისიდან ვიდრე V ს-ის 60-70იან წლებამდე. აქედან ასკვნიან, რომ IV ს-ის ბოლოს ეგრისს სვანეთიც შემოუერთებია.

რაჭალეჩხუმიც რომ ეგრისის ფარგლებშია, ეს გამომდინარეობს უკვე იქიდან, რომ თვით "სომხური გეოგრაფიის" მიხედვით, ეს ქვეყანა ჩრდილოეთით ვრცელდება "კავკასიის მთამდე და (აღმოსავლეთით) მის ტოტამდე, რომელიც გაჰყოფს მას და ივერიას", ანუ ეს წყარო ეგრისის სამეფოს აღმოსავლეთ საზღვრად ლიხის მთას თვლის.

რაც შეეხება სამხრეთაღმოსავლეთ საზღვარს, აქ მიჯნა ქართლის სამეფოსთან უნდა გასულიყო ლიხის მთის სამხრეთდასავლეთ გაგრძელებაზე, დღევანდელი აჭარაახალციხის (მესხეთის) ქედზე. შედიოდა თუ არა ამ დროს აჭარა ეგრისის სამეფოში, ძნელი სათქმელია: ამიანე მარცელინის ზემოხსენებული ცნობის მიხედვით, თითქოს ასეა, მაგრამ "სომხური გეოგრაფიის" მოკლე რედაქციები აჭარას ქართლის სამეფოს ფარგლებში აღნიშნავენ. უკიდურეს სამხრეთდასავლეთ მიჯნაზე ზემოთ უკვე იყო საუბარი.

აფხაზეთი. ჩრდილოდასავლეთით საკუთრივ ეგრისს ანუ ლაზიკეს ძველთაგანვე, როგორც ვიცით, აფშილთა, აბაზგთა და სანიგთა ტომებით დასახლებული ტერიტორია მოსდგამდა. იმავე

“სომხურ გეოგრაფიას” საინტერესო ცნობა აქვს დაცული ამ თვალსაზრისით. აზიის სარმატიის აღწერისას იქ აღნიშნულია, რომ “ბულღართა (იგულისხმებიან უკიდურესი ჩრდილოდასავლეთი კავკასიონის მთიელები, დღევანდელი ბალყარელების წინაპრები, დ. მ.) და პონტოს ზღვას შორის მოსახლეობენ გარშთა, ქუთთა და სვანთა ტომები ვიდრე ზღვისპირა ქალაქ პისინუნამდე (ბიჭვინტამდე, დ. მ.) ავაზოვ ქვეყნისა, რომელიც არის აფშილეთი და აფხაზეთი (ან: რომელიც არიან აფშილნი და აფხაზნი, დ. მ.), ვიდრე მათ ზღვისპირა ქალაქ სევასტუპოლამდე, ხოლო იქიდან აგრეთვე ვიდრე მდინარემდე, რომელსაც ეწოდება დრაკონი ანუ ვეშაპი, რომელიც მოედინება ალანიდან (ტექსტში აშკარა შეცდომით – ალვანეთიდან, დ. მ.) და განჰყოფს აფხაზეთს (ან აფხაზებს, დ. მ.) და ეგრის ქვეყანას”. ირკვევა, რომ არსებობდა “ქვეყანა ავაზოვ”, რომელშიც მოსახლეობდნენ აფშილები და აფხაზები და რომლის ტერიტორიაზე მდებარეობდა ქალაქები ბიჭვინტა და სებასტოპოლისი. ეგრისისაგან მას გამოჰყოფდა მდ. დრაკონი, ხოლო ბიჭვინტის ჩრდილოდასავლეთით ემეზობლებოდა სვანთა ტომი. მდ. დრაკონი, რომელიც ჰყოფს საკუთრივ ეგრისს “ქვეყანა ავაზოვ”ისაგან (სახელწოდება “ავაზოვ” მოდის ალბათ ბერძნული “აბასგოჲ”დან) უნდა იყოს ან მდ. კოდორი ან მდ. კელასური, უფრო სწორად, კოდორი და კელასური ავტორს ერთ მდინარედ უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი. ამგვარად, “სომხური გეოგრაფიის” მიხედვით შავი ზღვის ჩრდილოაღმოსავლეთ სანაპიროზე ასეთი ვითარებაა: მდ. კელასურამდე ცხოვრობდნენ მეგრელები, კელასურს იქით სებასტოპოლისის (დღ. სოხუმის) ჩათვლით დაახლ. ანაკოფიამდე (დღ. ახალი ათონი) აფშილები, ხოლო ამას იქით, ანაკოფიიდან მდ. ბზიფამდე ბიჭვინტის ჩათვლით – აფხაზები.

თუ ჩვენ გავიხსენებთ, რომ არიანესთან (II ს.) აფსილებს და აბასკებს ჩრდილოდასავლეთით ემეზობლებოდა სანიგთა ტომი, ხოლო სომეხ ავტორთან აფხაზთა მეზობლად ამ მხრიდან სვანები გვევლინებიან, მაშინ მოსაზრება, რომ “სომხური გეოგრაფიის” სვანები იგივე სანიგები არიან, სავსებით რეალური გახდება. გამოდის, რომ, თუ II ს-ის ოცდაათიან წლებში სანიგები დიოსკურიასებასტოპოლის რაიონში მოსახლეობდნენ, უფრო გვიან მათ და აგრეთვე აფშილებს და აბაზგებს ჩრდილოდასავლეთისაკენ გადაუნაცვლებიათ. ბუნებრივია თუ ამ მნიშვნელოვან მიგრაციულ პროცესს, თუკი მას სინამდვილეში ადგილი ჰქონდა, ეგრისის სამეფოს წარმოქმნის პროცესს დავუკავშირებთ. რაც შეეხება “სომხური გეოგრაფიის” ცნობის თარიღს, ჩვენი აზრით, იგი IV ს-ის ბოლოს ან V ს-ის დასაწყისის ვითარებას ასახავს.

ეგრისის სტრატეგიული მნიშვნელობა. V ს-ის ბიზანტიელი ანონიმის ცნობით სანიგების განსახლების ტერიტორია სამხრეთაღმოსავლეთით მდ. აბასკოსამდე ვრცელდებოდა, რომლის აქეთ, რა თქმა უნდა, უკვე აბაზგები ცხოვრობენ. მდ. აბასკოსს კი დღევანდელ მდ. ფსოუსთან აიგივებენ.

პროკოპი კესარიელი VI ს-ის შუახანში წერს, რომ აფშილები და აბაზგები “ძველთაგანვე ლაზთა ქვეშევრდომები არიან”.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეგრისის სამეფოს (ლაზიკე) წარმოქმნა ხანგრძლივი პროცესი უნდა ყოფილიყო და იგი რამოდენიმე საუკუნე გრძელდებოდა, ვიდრე IV ს-ის ბოლოსთვის მთელი დასავლეთი საქართველო არ მოიცვა და ძლიერების მწვერვალს არ მიაღწია.

ეს ეგრისის აყვავების პერიოდია, როდესაც იგი გადაჭიმულია კავკასიონის ქედიდან ტრაპეზუნტამდე და მდ. ფსოუდან ლიხის ქედამდე.

ეგრისის სამეფოს წარმოქმნაჩამოყალიბების პროცესი უნდა წარმართულიყო და განხორციელებულიყო არა საკუთრივ ლაზთა ჰეგემონობით, არამედ სწორედ ეგრისელთა ანუ ძველი წყაროების "მეგრთა" ე. ი. მეგრელთა თაოსნობით, რომლებიც, როგორც ჩანს, ეთნიკურად ლაზთაგან თითქმის არ განირჩეოდნენ. მეგრელთა წარმმართავ როლს ამ უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენაში გვაგულისხმებინებს ის, რომ საკუთრივ ეგრისის ტერიტორია, შიდა ეგრისი (დაახლოებით გვიანდელი სამეგრელო და ქვემო იმერეთი), როგორც ბიზანტიური წყაროები გვაფიქრებინებენ, წარმოადგენდა უმდიდრეს რეგიონს სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით დასავლეთ საქართველოში. მართლაც, ბერძნული წყაროებით, ლაზიკის ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი და თვით მისი ცენტრიც აქ მდებარეობდა. ეკონომიკური სიძლიერე, რა თქმა უნდა, პოლიტიკური მორჭმულობის საფუძველიც უნდა გამხდარიყო.

მეორე მხრივ, ეგრისის სამეფოს აგრერიგად გაფართოებაგაძლიერებისათვის ხელი უნდა შეეწყო საგარეო პოლიტიკურ ვითარებასაც. საქმე ის არის, რომ რომის ექსპანსია აღმოსავლეთისაკენ, რომელმაც IV ს-ის პირველი ნახევრისთვის კულმინაციას მიაღწია, ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან, აგრესიული ირანის გაძლიერებასთან დაკავშირებით, ახლო აღმოსავლეთში მისი პოზიციების შესუსტებით შეიცვალა. ირანმა ხელი დაადო, კერძოდ, ალვანეთს და აღმოსავლეთ სომხეთს, ხოლო 373 წელს რომაელები იძულებული შეიქნენ პირველად ეღიარებინათ მათი უფლებები ქართლზეც. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ამ წელს ქართლის ტერიტორია განაწილებულ იქნა ირანსა და რომს შორის.

ასეთ პირობებში რომს, ბუნებრივია, თავისი იმპერიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე ძლიერი მოკავშირე უფრო სჭირდებოდა, ვიდრე სუსტი ვასალი. ამიტომ ლაზთა (მეგრთა) მეფეების პრეტენზიები, მეზობელი ქვეყნები და ტომები დაექვემდებარებინათ, რომისათვის სასარგებლოც კი იყო და ამისთვის მას ხელიც უნდა შეეწყო, რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ გაძლიერებული ქვეშევრდომი სრულ დამოუკიდებლობას არ მოინდომებდა. მეორე მხრივ, ლაზთა გაძლიერება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იბერიის დასუსტებასთანაც, რომელმაც, დაჰკარგა თავისი სამხრეთდასავლეთი ტერიტორიის გარკვეული ნაწილი. ლაზთა მეფე და რომის იმპერატორი მოკავშირეები უნდა ყოფილიყვნენ, რამდენადაც ამ უკანასკნელს ხელს არ აძლევდა ქართლის მეფის მიერ შავი ზღვის სანაპიროს გარკვეული ნაწილის კონტროლი. დასასრულ, რომისათვის ძლიერი ეგრისის სამეფო საჭირო იყო ჩრდილოკავკასიაში მობინადრე ველური ტომების იმპერიის ტერიტორიაზე თავდასხმის საწინააღმდეგოდ, კერძოდ, ახლად გამოჩენილ ჰუნთა ურდოების კავკასიის მხრიდან თარეშის შესაჩერებლად. ყველაფერი ზემოთქმული რომსა და ეგრისს ბუნებრივ მოკავშირეებად ხდიდა და, ამდენადვე, ამ უკანასკნელის გარკვეულ ფარგლებში გაძლიერება რომის ინტერესებშიც შედიოდა.

ეგრისის სამეფოს შინაური სტრუქტურა. ზემოთ ნაწილობრივ უკვე იყო საუბარი ეგრისის სამეფოს (ლაზიკის) შინაგანი ტერიტორიული სტრუქტურის შესახებ. იგი რამდენიმე მცირე "ქუეყანად" იყოფოდა, რომელთა შორის, ჩანს, ეთნოგრაფიული განსხვავებაღა არსებობდა.

საკუთრივ ეგრისი ამ ფარგლებში როგორც აღვნიშნეთ დასავლეთ საქართველოს შუაგულია. იგი ამავე დროს სოფლის მეურნეობის თვალსაზრისითაც ყველაზე უფრო ბარაქიანი რაიონია დასავლეთ საქართველოში. აქ მდებარეობდა ე. წ. "მოხირისის" მხარე, რომელიც პროკოპი კესარიელის დახასიათებით, უმდიდრესი კუთხე იყო ლაზიკეში: "მოხირისი ერთი დღის სავალ გზაზეა არქეოპოლისს დაშორებული და შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხიდის მიწაწყალზეც ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც აქ კარგად ხარობენ... ამ მხარეს ჩამოუდის ერთი მდინარე, სახელად რეონი". მეორე ადგილას იგივე ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ მოხირისზე მოედინება "მდ. იპპისი" (დღ. ცხენისწყალი). ამგვარად, მოხირისის ძირითადი ტერიტორია, ბიზანტიელი ისტორიკოსის მიხედვით, შემოფარგლულია მდ. რიონითა და ცხენისწყლით და ამ უკანასკნელის მარჯვენა მხარეზეც გადადის.

მოხირისის ერთერთი ცენტრი VI ს-ში, როგორც ჩანს, ქუთაისი იყო, რომელიც ამ დროიდან იწყებს ხელმეორედ დაწინაურებას.

ეგრისის სამეფოს პოლიტიკური ცენტრი იყო არქეოპოლისი (დღ. ნოქალაქევი) მდ. ტეხურზე. არქეოპოლისი იმ პერიოდში იყო "მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში". არქეოპოლისის მახლობლად მდებარეობდა ონოგურისის ციხე, რომლის ნანგრევები დღესაცაა შემორჩენილი სოფ. აბედათთან. მდ. ტეხურის და მდ. აბაშის შესართავში მდებარეობდა სამხედროსტრატეგიული თვალსაზრისით ძლიერ გამაგრებული ადგილი ნესოსი, რომელიც დღევანდელი სოფ. ისულეთის ადგილზე იყო. რიონის შესართავში კი მდებარეობდა ძველისძველი ქალაქი ფოთი (ფაზისი), რომლის საშუალებითაც ეგრისის სამეფო საზღვაო ვაჭრობას ეწეოდა.

ეგრისი, კერძოდ, მოხირისის მხარე მაგისტრალური გზებით იყო დაკავშირებული მთიანეთთან, ლეჩხუმსვანეთთან. ერთი გზა რიონს აჰყვებოდა და ამ გზის დაცვა ევალებოდა ქუთაისის ციხეს, ხოლო მეორე ცხენისწყალს ასდევდა და ამ გზას აკონტროლებდა "ერთი მეტად მაგარი ციხე, სახელად უქიმერიონი".

ეგრისის სამეფოს ჩრდილოდასავლეთ პროვინციას შეადგენდა, როგორც უკვე იყო აღნიშნული, აფშილეთი, რომელსაც საკუთრივ ეგრისისაგან (შიდა ეგრიდან) გამოჰყოფდა მდ. ეგრისწყალი ანუ დღევანდელი მდ. ღალიძგა. როგორც ვიცით, IV ს-ის მეორე ნახევარსა და V ს-ის პირველ ნახევარში აფშილეთის ჩრდილოდასავლეთი საზღვარი უნდა გასულიყო მდ. კელასურზე. ეს იყო პოლიტიკური საზღვარი აფხაზეთსა და ეგრისს შორის. მაგრამ აფშილეთის ეთნიკური საზღვარი კიდევ უფრო ჩრდილოეთით იდო, სადღაც სებასტოპოლისსა და ანაკოფიას შორის, შესაძლებელია მდ. გუმისთაზე, ან უკეთ მის დასავლეთ წყალგამყოფ ქედზე.

აფშილეთის მთავარი ადმინისტრაციული ცენტრი იყო ციხესიმაგრე წიბილე, რომლის შთამბეჭდავი ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი წებელდის მახლობლად მდ. კოდორის ხეობაში. აფშილეთში ითვლებოდა ქალაქი სებასტოპოლისი ანუ ცხუმი (სოხუმი), რასაც ამოწმებს აგრეთვე ქართული წყარო, რომელსაც დასახელებული აქვს "ქალაქი აფშილეთისა ცხუმი".

ეგრისის სამეფოში შემოდიოდა აგრეთვე მისიმიელთა მიწაწყალი ანუ მისიმიანეთი, რომელიც აფშილეთს ესაზღვრებოდა ჩრდილოაღმოსავლეთიდან და მდ. კოდორის ზემო წელის აუზს მოიცავდა კავკასიონის მთავარ ქედამდე, რომელიც მას და ე. ი. ეგრისის სამეფოსაც ალანებისაგან მიჯნავდა. მისიმიანეთის ტერიტორიაზე ხვდებოდა ჩრდილო კავკასიაში გამავალი ისეთი უმნიშვნელოვანესი უღელტეხილები, როგორიცაა მარუხის, ქლუხორის და ნახარის გადასასვლელები. ამათგან, ქლუხორზე გადმომავალ გზას ეწოდებოდა “მისიმიანეთის გზა”.

მისიმიანეთის მთავარ ციხესიმაგრეს აგათია სქოლასტიკოსი ძახარის (ან ჩახარის) ციხეს უწოდებს, რომელსაც “მეტსახელად “რკინისას” ეძახიან მისი სიმტკიცის და დაუძლევლობის გამო”. ეს უნდა იყოს დღესაც არსებული ნანგრევები ჩხალთის ციხისა კოდორის ზემო წელზე, ჩხალთის წყლისა და კოდორის შესართავში. მეორე ციხესიმაგრე, რომელიც მისიმიელთა ტერიტორიაზე იყო, ეს არის აგათიას ბუქლოოსი, რომელიც “ზედ ლაზეთის საზღვრებზეა აღმართული”, ალანთა მეზობლად. ქართული წყაროებით ამ ციხესიმაგრეს ეწოდება ბოკერი.

მისიმიელები სვანური ტომი იყო. დასავლურ-ქართული ტომი იყო აგრეთვე აფშილებიც.

დასასრულ, როგორც ვიცით, ეგრისის სამეფოში შედიოდა სვანეთიც და ლეჩხუმიც.

VII ს-ში, როდესაც ეგრისში მეფობა დიდი ხანია გაუქმებული იყო და ქვეყანა ბიზანტიის ვასალურ სამთავროს წარმოადგენდა, რომლის სათავეშიც პატრიკიოსები იდგნენ. აფშილეთი, მისიმიანეთი, სვანეთი და ლეჩხუმი, ჭანეთის, არგვეთის და სხვათა მსგავსად, ეგრისის სამთავროს პროვინციები იყო. ეგრისის პატრიკიოსი მთელ ამ ტერიტორიას უშუალოდ ფლობდა, ხოლო თავისი ერთერთი რეზიდენცია ჰქონდა “ჯიხახორაში” (მეგრულად ნიშნავს “ციხესახლს”), მოქვის მახლობლად, ანუ აფშილეთში.

ასევე იყო, როგორც ჩანს, უფრო ადრე, VI ს-ში პროკოპი კესარიელის დროსაც, როდესაც ჯერ კიდევ არსებობდა ეგრისის სამეფო, თუმცა კი მოკლებული იყო ყოფილ სიძლიერეს. ისტორიკოსი წერს: “აბაზგები ძველითგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო მუდამ ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი. ამათგან ერთი დაწესებული იყო დასავლეთ ნაწილში, ხოლო მეორე აღმოსავლეთისაში”. სწორია, როდესაც აქედან გამოაქვთ დასკვნა, რომ აფხაზეთი ეგრისის ვასალური სამთავრო იყო.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ განსხვავებით აბაზგთაგან, პროკოპი არ ასახელებს აფშილების მთავარს. ეს იმას უნდა მოწმობდეს, რომ ქვეყანა იყო არა ვასალური ერთეული, არამედ ეგრისის სამეფოში უშუალოდ შემავალი პროვინცია, აღმოსავლურქართული საერისთავოს მსგავსი. ამიტომ სწორია მოსაზრება, რომ აფშილეთი თავიდანვე უშუალოდ იქნა შერწყმული ეგრისის სამეფოსთან. ცხადია, იგულისხმება აფშილეთის აღმოსავლეთი ვაკე ნაწილი მდ. კელასურამდე. დასავლეთი ნაწილი, როგორც ჩანს, აფხაზეთის სამთავროს შემადგენლობაში შევიდა.

მსგავსი ვითარება უნდა ყოფილიყო მისიმიანეთის მიმართაც.

ამგვარად, აფშილეთი და მისიმიანეთი ეგრისის სამეფოს ვასალური ერთეულები კი არ იყო, არამედ – მისი უშუალო პროვინციები.

საინტერესოა ეგრისის მეფეებისა და სვანთა ურთიერთობის საკითხი. ბიზანტიის სამეფო კარის ოფიციალური თვალსაზრისით, სვანებს (და ლეჩხუმელებს) "მთავარი ენიშნება ლაზთა მიერ" (პროკოპი კესარიელი), "სვანეთის მმართველს ლაზთა მეფის გადაწყვეტილებით ენიჭებოდა ძალაუფლება" (მენანდრე პროტიქტორი); სვანებში "ლაზების მეთაური ახელისუფლებდა მას, ვისაც უნდა მიეღო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება"; ლაზთა მეფეს უნდა "გაეგზავნა სვანთა მთავრობის ნიშნები ვისთვისაც უნდოდა, მხოლოდ სვანი ყოფილიყო" (მენანდრე პროტიქტორი). ვფიქრობთ, ეს მხოლოდ აზროვანი მითითებები ეჭვს არ ტოვებს, რომ აქ ჩვეულებრივ ვასალიტეტზე კი არ არის საუბარი, რომელიც ხარკით და სამხედრო ვალდებულებით ამოიწურებოდა, არამედ აშკარად ჩანს, რომ ლაზთა მეფე აქტიურად ერევა სვანთა შინაგან ურთიერთობაში, მისი სანქცია რეალურია, მხოლოდ ერთი პირობით, რომ სვანთა მთავარი იყოს სვანი.

ამგვარად, სვანეთიც (და ლეჩხუმიც) ლაზიკის სახელმწიფოში შემავალი ცალკე ადმინისტრაციული ერთეული იყო, მაგრამ მისი სტატუსი განსხვავდებოდა სხვათაგან იმით, რომ თუკი სხვაგან (მაგალითად, აფშილეთში) შეიძლებოდა გამგებლად მეგრელი დიდმოხელე ყოფილიყო, აქ მმართველად თუ მთავრად თვისტომი უნდა დაენიშნათ.

რაც შეეხება აფხაზეთის გამგებელს (მთავრებს), იგი ვასალური ერთეულის მმართველია, რომლის დანიშვნის ან შეცვლის უფლება ეგრისის მეფეს არ ჰქონდა.

ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ "აბაზგია" ბიზანტიის იმპერატორის კარის ოფიციალური თვალსაზრისით უშუალოდ ემორჩილებოდა იმპერიას და მისი ერთერთი პროვინციის, პოლემონის პონტოს ფარგლებში ითვლებოდა. ასე იყო VI ს-ში. უფრო სწორი ვიქნებით თუ ვიტყვით: რამდენადაც ბიზანტიის საგარეო პოლიტიკის შემადგენელი სტრატეგიული კონცეფციის საფუძველზე "აფხაზეთის" ციხესიმაგრეებში იმპერიის გარნიზონები იდგა და ამდენად ამ ქვეყნის ზღვისპირეთი მის უშუალო კონტროლს ექვემდებარებოდა, სწორედ ამით იყო განპირობებული მთელი მხარის (მთიანეთიანად) ვასალური დამოკიდებულება ეგრისის სამეფოსადმი და არა მისი ინკორპორაცია.

მთისა და ბარის ურთიერთობა. რაც შეეხება ეგრისის და დასავლეთი საქართველოს დანარჩენი მთიანეთის ურთიერთობას, იგი სტაბილური იყო.

ჯერ ერთი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აქ პოლიტიკურ ფაქტორს – ჩრდილო კავკასიის მომთაბარე ალანჰუნთა საკითხს. ეს უკანასკნელი პირველხარისხოვანი მნიშნელობისა იყო ბიზანტიისა და ირანისათვის, რაც კარგად ესმოდათ, ცხადია, თვით ეგრისელებს. ამიტომაა, რომ როდესაც ისინი ბიზანტიელებს გადაუდგნენ და ირანის შაჰთან ელჩები გაგზავნეს, ეს უკანასკნელნი ეგრისის სპარსთა მიერ მფლობელობის ერთერთ ძირითად სარგებლიანობად ირანისათვის შაჰს უსახავენ იმას, რომ მასზე "იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწაწყალი. თქვენ ალბათ იცით, – ეუბნებიან მას ელჩები, – რომ ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს

წარმოადგენდა". მეორე მხრივ, "აგრეთვე ლაზიკის მეზობლად მოსახლე ჰუნებისაგანაც სპარსთა სახელმწიფო სამუდამოდ დაურბეველი იქნებოდა". პროკოპი კესარიელს ერთგან საკმაოდ მეტყველად აქვს გამოხატული ეგრისის ეს მნიშვნელობა: "კავკასიაში მოსახლე ბარბაროსებისათვის ლაზიკე არის მხოლოდ საწინააღმდეგო ტიხარი". რა თქმა უნდა, ეგრისის სპეციფიკურ გეოგრაფიულ მდებარეობას, პირველ რიგში, თვით ეგრისისათვის ჰქონდა მნიშვნელობა და კავკასიონის ზეკარების დაცვაც უპირატესი მისი საზრუნავი იყო.

ცხადია, ამ გზების დაუფლებას ეგრისის სამეფოს ძლიერებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა და ეგრისის მეფეებს იმთავითვე უნდა ეზრუნათ ამ საკითხის თავის სასარგებლოდ გადასაჭრელად და ე. ი. ამ გზების უშუალო დაუფლებისათვის. საამისოდ კი, უეჭველია, ის ქვეყნები, რომელზედაც ეს გზები გადმოდიოდა, მათ უშუალო მფლობელობის ქვეშ უნდა ჰყოლოდათ. VI ს-ში ეგრისელები საამისოდ რომაელთა ჯარებსაც იყენებდნენ (სვანეთში რომაული გარნიზონი იდგა), უფრო ადრე კი, IV – V ს-სში, უნდა ვიფიქროთ, ამას თავისი ძალებით ახერხებდნენ. ეს ამოცანა ეგრისის მეფეებს, როგორც ჩანს, თავის დროზე ბრწყინვალედ გადაუჭრიათ, რაც ეგრისელი ელჩების განცხადებიდან ჩანს, რომ მათ ქვეყანას მოსაზღვრე ხალხებიდან, ბერძნებს გარდა, სხვა არავინ აწუხებდა.

სამხედროსტრატეგიული მნიშვნელობის გარდა, ზემოხსენებულ გზებს, უეჭველია, სავაჭრო მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა. VIII ს-ის დასაწყისისათვის გვაქვს ცნობა, რომ ალანთა ვაჭრები ინტენსიურად საქმიანობენ აბაზგიაში. ეჭვი არ არის, ასეთივე გაცხოველებული ვაჭრობა უნდა ჰქონოდათ მათ ეგრისის სამეფოსთანაც. მაგრამ ამ გზების მეშვეობით მხოლოდ მეზობელ ტომთა თუ სახელმწიფოთა აღებმიცემობა კი არ ხორციელდებოდა, არამედ ბიზანტია ცდილობდა ეს, კერძოდ, "მისიმიანეთის გზა", საერთაშორისო სავაჭრო მაგისტრალად ექცია. ცხადია, ამ გზების დაუფლება და ექსპლუატაცია ეგრისის სამეფოსათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობისა იყო.

მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა დასავლეთი საქართველოს ბარისა და მთიანეთის შემტკიცების საქმეში, რა თქმა უნდა, ჰქონდა შინაგან ეკონომიკურ კავშირს ამ ორ მხარეს შორის. საამისოდ, მართალია, მეტად მწირი, მაგრამ ფრიად ნიშანდობლივი ცნობები გვაქვს, კერძოდ, სვანეთისა და ეგრისის ბარის ურთიერთობის შესახებ. როგორც მენანდრე პროტიქტორი გადმოგვცემს, სვანები სურსათსანოვაგეს ეგრისიდან იღებდნენ: "ჩვეულებრივ პური მათ კოლხთა მეფისაგან ეგზავნებოდათ". თვით ეგრისს საკუთარი პური არ ჰყოფნიდა. პროკოპი კესარიელს არაერთხელ აქვს აღნიშნული, რომ ხორბალი და მარილი ლაზებს ბიზანტიასთან ვაჭრობის საშუალებით შემოჰქონდათ. მიუხედავად ამისა, სვანებს განსაზღვრული ჰქონიათ ყოველწლიური რაოდენობა პურისა. სამაგიეროდ, "სვანეთის სარდალი ემორჩილებოდა ლაზს და მასთან აღრიცხული იყო სახარკო სიაში და ლაზი კიდევაც იღებდა მისგან ფუტკრების ნაყოფს და ტყავებს და ზოგ სხვა რამესაც". ამგვარად, ცხადია, რომ სვანმეგრელთა პოლიტიკური ურთიერთობის საფუძველი ეკონომიკური ურთიერთობა უნდა ყოფილიყო: ბარი უგზავნიდა მთას მიწათმოქმედების პროდუქციას (პური, ალბათ, ღვინო და მარილიც); მთა სამაგიეროდ ამარაგებდა ბარს მესაქონლეობის, მეფუტკრეობის და სხვა მისთანათა პროდუქციით. მართალია, ეგრისს არ ჰქონია ისეთი ფართო და ძლიერი სასოფლოსამეურნეო ბაზა, როგორც, მაგალითად, ქართლის სამეფოს; პროკოპი კესარიელი მას მწირ და მოუსავლიან ქვეყნად სახავს, სადაც "არსად

არ არის მარილი, არც ხორბლეული მოდის, არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე", მაგრამ ეგრისის ცენტრალური ბარის, მოხირისის შესახებ იგივე ისტორიკოსი, როგორც ვიცით, სულ სხვაგვარად საუბრობს. ამავე ეკონომიკურ დამოკიდებულებას გულისხმობს პროკოპი კესარიელის ცნობა უქიმერიონისა და ქუთაისის შესახებ: ამ ორ ციხესიმაგრეზე გამავალი მაგისტრალებით ხორციელდებოდა, როგორც ჩანს, ეკონომიკური ურთიერთობა ლეჩხუმთან და სვანეთთან და ამ ციხესიმაგრეთა მფლობელობა ნიშნავდა არა მარტო ეგრისის აღმოსავლეთი ნაწილის, არამედ ლეჩხუმსვანეთის პოლიტიკურ მფლობელობასაც.

მთასა და ბარს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებზე მიუთითებს ნუმიზმატიკური მასალა და ეთნოგრაფიული მონაცემებიც: კერძოდ, დასავლეთი საქართველოს მთის საქონლის სიარული ბარში საზამთრო საძოვრებზე და – პირუკუ.

ზემოთ არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ ეგრისის სამეფოს ეკონომიკის სიმძიმის ცენტრი მის ცენტრალურ ვაკე ნაწილზე მოდიოდა, კერძოდ, კი მოხირისის მხარეზე. ამიტომ, ბუნებრივია, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრიც აქ ყოფილიყო. ასეთი ცენტრის მნიშვნელობა, შესაძლებელია, ჰქონოდა მხოლოდ ქუთაისს. კერძოდ, პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის ნიშანდობლივი ცნობები ეჭვს არ ტოვებენ იმისათვის, რომ ქუთაისი იყო მოხირისის ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი. მაგრამ ეგრისის სამეფოს დედაქალაქი ამ დროს არქეოპოლისი იყო, რომელიც თავისი განაპირა მდებარეობით დასავლეთი საქართველოს ვაკეზე, ერთი დღის სავალით დაშორებული მოხირისის მხარეს, ეგრისზე, რიონის ვაკეზე გამავალი მთავარი მაგისტრალური გზებისაგან მოშორებით, ვერ იკისრებდა ეგრისის სამეფოს ეკონომიკური ცენტრის როლს.

ის, რომ IV – V საუკუნეებში, უფრო გვიანაც, და, როგორც ჩანს, უფრო ადრეც, არქეოპოლისნოქალაქევია სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრი. ამ გარემოებას, როგორც ჩანს, თავისი ღრმა საფუძველი ჰქონდა.

ეკონომიკური და კულტურული ვითარება. ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას არ შეიძლება არ გამოეწვია საერთო ეკონომიკური აღმავლობა, რაც, პირველ რიგში სავაჭრო ურთიერთობის განვითარებით და საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებით აღინიშნა.

ასეთი ვითარება, ცხადია, მხედველობიდან არ გამორჩენია ისეთ დაკვირვებულ ისტორიკოსს, როგორიც იყო პროკოპი კესარიელი. იგი ერთგან პირდაპირ მიუთითებს, რომ ლაზები "მუდამ აწარმოებდნენ პონტოში მცხოვრებ რომაელებთან საზღვაო ვაჭრობას", ხოლო მეორეგან აღნიშნავს, რომ "ლაზიკეში არსად არ არის მარილი, არც ხორბლეული მოდის, არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე. ყველაფერი შემოაქვთ მათთან ნავებით რომაელთა სანაპიროებიდან, და ამაში ისინი ფულს კი არ აძლევენ მომწოდებლებს, არამედ ტყავებს, მონებს და თუ სხვა რამ სიჭარბით აღმოაჩნდებათ". ეგრისის სამეფოში განვითარებულ საზღვაო ვაჭრობაზე მეზობელ ქვეყნებთან აგათია სქოლასტიკოსიც საუბრობს: ლაზიკის "ეხლანდელი მცხოვრებლები დასცურავენ კიდეც, რამდენადაც შესაძლებელია და ვაჭრობაშიაც ნახულობენ დიდ სარგებლობას".

ამაზე მიუთითებს არქეოლოგიური მასალაც, რომელიც მოპოვებულია ეგრისის სამეფოს მნიშვნელოვანი ქალაქების არქეოლოგიური შესწავლის შედეგად. კერძოდ, გათხრამ ბიჭვინტასა და სოხუმში (სებასტოპოლისში) მრავლად დაადასტურა სირიიდან და ეგვიპტიდან შემოტანილი მინის ჭურჭლის სხვადასხვა სახეობანი. მინის ჭურჭლის გარკვეული რაოდენობა შემოდიოდა ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან, დასავლეთი ევროპიდან.

მრავლად გვხვდება ზემოხსენებულ ნაქალაქარებზე იმპორტული ამფორები, რომლებითაც ბერძნული სამყაროდან შემოდიოდა ღვინო და ზეითუნის ზეთი. ბევრია იმპორტული ე. წ. წითელლაკიანი (წითლად შეღებილი) კერამიკა…

პროკოპი კესარიელის ზემომოყვანილი ცნობიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეგრისში ამ დროს ფულის მიმოქცევა სუსტად იყო განვითარებული და საგარეო ვაჭრობა კი – ნატურალური სასაქონლო ურთიერთგაცვლაზე დამყარებული. ფაქტობრივი მასალა ამის აშკარად საწინააღმდეგო ვითარებაზე მიუთითებს, რამდენადაც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია უცხოური მონეტების დიდი რაოდენობა, რომელიც საგარეო ვაჭრობაში ფულად ურთიერთობაზე მიუთითებს უკვე III ს-დან, ხოლო IV – V საუკუნეებში აქ დასტურდება ბიზანტიური ოქროს მონეტების, ე. წ. სოლიდების მიმოქცევა.

ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური მასალა იმასაც მიუთითებს, რომ საგარეოსავაჭრო ურთიერთობაში ეგრისის შიდა რაიონებიც იყო ჩართული, რასაც ხელს უწყობდა საქალაქო ცხოვრების აღმავლობა ამ პერიოდში.

აღსანიშნავია სამეფოს დედაქალაქი ციხეგოჯი – არქეოპოლისი. აქ არქეოლოგიური ინტენსიური გათხრების შედეგად გამოვლენილ იქნა ქალაქის გრანდიოზული საფორტიფიკაციო სისტემა, შიდა ქალაქის ტერიტორიაზე – ორი აბანოს შენობა, რომელთაგან ერთი, თავისი გეგმარების სირთულით, დახვეწილი არქიტექტურული ფორმებით, გამოირჩევა ყველა მსგავსი ამავდროული ნაგებობისაგან საქართველოს ტერიტორიაზე და, როგორც ჩანს, წარმოადგენს წარჩინებულთა ან კიდევაც მეფის გვარის კუთვნილებას. ქალაქის ქვედა ნაწილში განლაგებული იყო სასახლე, სამეურნეო ნაგებობანი და IV – V საუკუნეების უძველესი ეკლესიები. არქეოლოგიური მასალა, რომელიც შეიცავს ადგილობრივ კერამიკულ ნაწარმს (ჭურჭელი, კრამიტები), მინის ნაკეთობებს (ჭურჭელი, ფანჯრის მინები), რკინის იარაღს (ისრისწვერები, ჯავშნის ფირფიტები, დანები) და იმპორტული მასალაც, აშკარად მოწმობს, რომ IV – V საუკუნეების ციხეგოჯი წარმოადგენს მსხვილ ქალაქურ დასახლებას, ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ, საეკლესიო და სავაჭროსახელოსნო ცენტრს.

ქუთაისში ჩატარებული ფართო არქეოლოგიური გათხრების შედეგად კარგად გამოჩნდა, რომ ეგრისის სამეფოს თანდათანობითი გაძლიერებაგაფართოების პარალელურად მოხერისის ამ უმნიშვნელოვანესი ცენტრის საქალაქო ცხოვრების აღმავლობის პროცესიც მიმდინარეობდა. III – IV საუკუნეების მიჯნაზე ქუთაისი უკვე ციხექალაქია, რომლის მთავარი კომპონენტი – შიდაციხე ე. წ. “არქიელის გორაზეა” განლაგებული. შიდაციხეში და მის ირგვლივ ხის საცხოვრებელი სახლების კვალია გამოვლენილი, რომელთაგან ზოგიერთი ქვის საძირკველზე იდგა. აქვეა დადასტურებული სამეურნეო დანიშნულების არტეფაქტებიც: ხელსაფქვავის ქვები,

საყოფაცხოვრებო კერამიკა. ფრიად საინტერესოა, რომ გათხრების შედეგად გამოვლინდა ქვით მოკირწყლული ქუჩებისა და მოედნების ფრაგმენტები. IV ს-ის შუა ხანებში ქალაქის ძირითადი ნაწილისაგან კედლით გამოყოფილ იქნა შიდაქალაქი და ამდენად გამოიკვეთა დასახლების ორი ძირითადი კომპონენტი: შიდაციხე და შიდაქალაქი, რომელიც 4 ჰა ფართობს მოიცავს. შიდაციხეში გაიწმინდა დიდი ზომის მართკუთხა ნაგებობა, გადახურული ბრტყელი და ღაროვანი კრამიტებით. ფიქრობენ, რომ ეს უნდა ყოფილიყო ადრექრისტიანული ხანის "სამლოცველო სახლი".

შიდაქალაქში არის გრანდიოზული ორსართულიანი ციხედარბაზი, რომლის გამოვლენილი ფართობი, შემოსაზღვრული მძლავრი, 1.40 მის სიგანის ქვის კედლებით, 700 კვ. მ ფართობს მოიცავს. ნაგებობა მრავალსათავსოიანია და მსგავსებას ამჟღავნებს ციხეგოჯის სამეფო სასახლესთან. იგი IV ს-ის შუა ხანებში აუგიათ და, როგორც ჩანს, ფუნქციონირებდა V სის მეორე ნახევრამდე. გამთხრელთა აზრით, ეს უნდა ყოფილიყო მეფის ან დიდმოხელე – ერისთავის სასახლე.

გათხრების შედეგად ქუთაისში გამოვლენილი IV – V საუკუნეების ნაშთები იმდენად შთამბეჭდავია და მასშტაბური, რომ არ არის გამორიცხული ციხეგოჯის დაწინაურებამდე აქ ყოფილიყო ეგრისის მეფეთა მთავარი რეზიდენცია.

შიდა ეგრისის ქალაქებიდან აღსანიშნავია როდოპოლისი, დღევანდელი ვარდციხე, მდ. მდმევრეების რიონის, ყვირილას და ხანისწყლის შესართავში, სომხეთთან ეგრისის დამაკავშირებელ ზემოხსენებულ გზაზე.

მნიშვნელოვანი ციხექალაქი იყო შორაპანი და აგრეთვე ციხესიმაგრე სკანდე, რომლებიც ქართლიდან ეგრისში გადმომავალ გზას იცავდნენ. დასასრულ, ერთერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი ეგრისის სამეფოში იყო, რა თქმა უნდა, ნავსადგური ფოთი ანუ ძველი – ფაზისი, რომელიც ზღვაზე ვაჭრობის კარიბჭეს წარმოადგენდა.

IV ს-ში ეგრისში ფართოდაა გავრცელებული ქრისტიანობა. ამის მოწმობაა არა მხოლოდ ის, რომ ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე 325 წ. მონაწილეობას იღებს ბიჭვინტის ეპისკოპოსი სტრატოფილე, არამედ არქეოლოგიური მასალაც (ჯვრის გამოსახულება წითელლაკიან კერამიკაზე, მინის ჭურჭელზე) და ბერძნული ქრისტიანული წარწერებიც, კერძოდ, IV ს-ით დათარიღებული ვერცხლის მედალიონი წებელდის ნეკროპოლიდან ბერძნული წარწერით: "ერთარსი ღმერთი, მშველელი შემწირველთა". აქედანვეა ოქროს პატარა ჯვარიც. თვით დამარხვის წესიც წებელდის სამაროვანზე უკვე ქრისტიანულია. IV ს-ის ეკლესიებია გამოვლენილი ბიჭვინტაში და ციხეგოჯში, რაც სხვა რეალიებთან ერთად უეჭველს ხდის, რომ IV ს-დან ეგრისში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გვევლინება.

ყველაფერი ეს IV – V საუკუნეების ეგრისის სამეფოს მორჭმულობის და მაღალი კულტურის უეჭველი მოწმობაა. ასეთი ვითარება თვალში საცემი იყო თვით იმდროინდელი ბიზანტიის კულტურული საზოგადოებისათვის. ამიტომ არის, რომ ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს: "ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ; ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად

ქედმაღლობენ, შესაძლებელია არც თუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არცერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწაწყლის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით.… ისინი უკვე არც ბარბაროსები არიან, არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ რომაელებთან კავშირის წყალობით თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონითი სახე მიუციათ". უეჭველია, ძველ რომაელთა ჩამომავალი, ქედმაღალი და ამპარტავანი ბიზანტიური კულტურული საზოგადოების განათლებული წარმომადგენლის ასეთი დახასიათება ფრიად ანგარიშგასაწევია და, რა თქმა უნდა, რეალური ვითარების ამსახველი უნდა იყოს.

თავი II. საქართველო V ს-ის II ნახევარში

V ს-ის მეორე ნახევარი ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთერთი უთვალსაჩინოესი სახელმწიფო მოღვაწის, ვახტანგ გორგასლის მეფობაზე მოდის. ამდენად, ამ პერიოდს შეიძლება ვახტანგ გორგასლის ეპოქა ვუწოდოთ. "ქართლის ცხოვრებაში" მას საგანგებო თხზულება ეძღვნება, რომელსაც ეწოდება "ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა". მის ავტორად, "ქართლის ცხოვრების" ცნობილი მინაწერის მიხედვით, ჯუანშერია მიჩნეული. მართლაც, უკვე ჩვენი მატიანეს უძველეს ნუსხებში არის ასეთი მითითება: "ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითჟამად, ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისმან, ნათესავმან რევისმან, მირიანის ძისამან". ეს არჩილი ქართლის ერისმთავარია, რომელიც VIII ს-ის პირველ ნახევარში ცხოვრობდა და ამდენად, მინაწერის მიხედვით ჯუანშერს, რომელიც რეალური პიროვნება ჩანს და, მართლაც, იხსენიება "არჩილის ცხოვრებაში", VIII ს-ში უნდა დაეწერა ეს თხზულება. მაგრამ ვახტანგ გორგასლის "ცხოვრების" ტექსტი ზოგიერთ ისეთ რეალიებს შეიცავს, რომლებიც მის გვიანდელობაზე მიუთითებს. დღეს ჩვენს ისტორიოგრაფიაში ყველაზე უფრო გავრცელებული შეხედულებით მისი ავტორი XI ს-ის პირველი ნახევრის გასულის და მეორე ნახევრის დამდეგის მოღვაწე უნდა იყოს. ამ მოსაზრებას ადრეც ჰყავდა მოწინააღმდეგენი და დღესაც ყველა არ იზიარებს. ჩვენი აზრით, ერთი რამ ცხადია: ავტორი თხზულებისა "ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა" არ შეიძლება იყოს თვით ვახტანგ გორგასლის თანამედროვე: ტექსტში გვხვდება ისეთი რეალიები, რომლებიც გამორიცხავენ V სის მეორე ნახევარში მისი ცხოვრების შესაძლებლობას. ჩვენ გვგონია, სწორია მოსაზრება, რომლის მიხედვით ზემოხსენებული თხზულების ავტორს VIII ს-ის მეორე ნახევარში უნდა ეცხოვრა და ამდენად "ქართლის ცხოვრების" აღნიშნული მინაწერის ცნობა სავსებით რეალურია.

მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ გვიანდელი ("ქართლის ცხოვრების" შემდგენელისეული?) ინტერპოლაციების არსებობა ეჭვს გარეშეა, მაინც უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ თხზულება, რომელიც დღეს ცნობილია სახელწოდებით "ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა" გარკვეულ ფარგლებში ერთი ავტორის ერთი მთლიანი ნაწარმოებია. ამის საფუძველს გვაძლევს იქ წარმოდგენილი პოლიტიკური კონცეფცია, რომელიც პრინციპულად განსხვავდება, როგორც "ქართლის ცხოვრების" კრებულში მისი წინამორბედი, ლეონტი

მროველის “მეფეთა ცხოვრების”, ასევე მომდევნო, ანონიმის “არჩილის ცხოვრების” პოლიტიკური კონცეფციებისაგან.

საქმე ის არის, რომ ლეონტი მროველისადმი ტრადიციულად მიკუთვნებული “ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა” ანუ მარტივად – “მეფეთა ცხოვრება” ერთი კონცეფციით არის დაწერილი და ამდენადვე ერთი ავტორის მთლიან თხზულებას წარმოადგენს: ქართლოსი, ჰეროსი და ეგროსი ძმები არიან. შესაბამისად – ქართლი, ჰერეთი და ეგრისი ტოლფასი ცალკეული “ქვეყნებია” (თუმცა პოლიტიკურად ეგრისი ქართლის მეფის განსაგებელია, რაც ფარნავაზის და ქუჯის ურთიერთობის შედეგია).

ჯუანშერის “ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა” აშკარად საპირისპირო კონცეფციის მქონეა: ჰერეთი და ეგრისი, კახეთი და კლარჯეთი და ა. შ. ყველა ერთად “ქართლის” შემადგენელი “ხევებია”. “ქართლი” პოლიტიკური მნიშვნელობით იხმარება (“ივერია”). ეს, რა თქმა უნდა, გვაძლევს საფუძველს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს თხზულებაც ერთი ავტორის შემოქმედებად ვცნოთ.

ვახტანგ გორგასლის შესახებ ცნობები შემონახული აქვს აგრეთვე მის თანამედროვე, V ს-ის მეორე ნახევრის სომეხ ისტორიკოსს ლაზარ ფარპეცის. ეს ცნობები სავსებით რეალურისტორიულია და სანდო, მაგრამ საკმაოდ მწირია და თანაც მხოლოდ 80იანი წლებითაა შემოფარგლული.

ქართლი V ს-ის შუა ხანისათვის.

როგორც იყო აღნიშნული, ვახტანგ გორგასლის მეფობა V ს-ის მეორე ნახევარზე მოდის.

ჯუანშერის მიხედვით იგი მხოლოდ შვიდი წლის იყო, როდესაც გარდაიცვალა მამამისი მირდატი. სავარაუდოა, რომ სწორედ ამიტომ ვერ ვხედავთ ჩვენ 450 წელს ქტეზიფონში ქართლის მეფეს სპარსეთის შაჰის იეზდიგერდის მიერ დაბარებულ წარჩინებულთა შორის. ქვეყანას, როგორც ჩანს, რეგენტის უფლებით განაგებდა დედამისი საგდუხტი, რანისა და მოვაკანის სპარსელი ერისთავის ანუ აღმოსავლეთი ამიერკავკასიის მარზპანის, ბარზაბოდის ქალიშვილი. მის დროს გაძლიერდა ირანის გავლენა ქართლზე, რადგან, როგორც გადმოგვცემს მემატიანე, “საგდუხტ დედოფალი განაგებდა მეფობასა ძალითა და შეწევნითა მამისა თჳსისათა”. კერძოდ, ირანმა თავის ნაცად ხერხს მიმართა და “მაშინ ბარზაბოდ წარმოგზავნა ცეცხლისმსახურნი მცხეთას და მათ ზედა ეპისკოპოსი ბინქარან და დასხდეს მოგუთას”, მცხეთის ერთერთ უბანში. არ არის გამორიცხული აქ სწორედ შაჰ იეზდიგერდის 450 წლის ფართომასშტაბიანი ღონისძიების ანარეკლთან გვქონდეს საქმე, ღონისძიებისა, რომელიც ამიერკავკასიური სახელმწიფოების კულტურულ ასიმილაციას ისახავდა მიზნად, და რომლის შესახებაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. თუ მემატიანეს დავუჯერებთ, ამას გარკვეული შედეგი გამოუღია და ქართლის საზოგადოებაში ისედაც არსებული სოციალური დაპირისპირების გარდა კულტურული დაპირისპირებაც გამოუწვევია: მართალია, ბინქარან ცეცხლთაყვანისმცემელთა ეპისკოპოსის მოძღვრებას “არავინ ერჩდა წარჩინებულთაგანი, გარნა წურილი ერი მიიქცა ცეცხლისმსახურებასა”. ჯუანშერის ამ ცნობაში კლასობრივი ბრძოლის ანარეკლს ხედავენ: ინტენსიურად მიმდინარე ფეოდალიზაციის პროცესში “თავისუფალ”

მეთემეებს თუ წვრილ მიწისმფლობელებს ყმაგლეხად გადაქცევის პერსპექტივა ელოდება და “მიქცევა ცეცხლისმსახურებასა” ანუ მათი “კულტურული გასპარსელება” სწორედ ამის საწინააღმდეგო აქცია უნდა ყოფილიყო.

სპარსელთა კულტურულ ექსპანსიასთან ერთად, ქართლმა გადამთიელთა დამარბეველი შემოსევაც განიცადა: “მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გარდამოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხუნი მოტყუენეს ქართლი თავითგან მტკურისათ ვიდრე ხუნანამდე, და მოაოჴრნეს ველნი, არამედ ციხექალაქნი დაურჩეს, თჳნიერ კასპისა. ხოლო ქალაქი კასპი შემუსრეს და ტყუე ყვეს, და წარიყვანეს დაჲ ვახტანგისი მირანდუხტ..... ჩავლეს რანისა და მოვაკანისა (ქუეყანა), წარტყუენეს იგიცა და განვლეს კარი დარუბანდისა, რამეთუ თჳთ გზა სცეს დარუბანდელთა, და შევიდეს ოვსეთს გამარჯუებულნი”. კონტექსტიდან ცხადია, რომ “ოვსნი” დარიალანის გზით შემოჭრილან ქართლში. სავარაუდოა, ეს ფაქტი იგულისხმებოდეს V სის ბიზანტიელი დიპლომატის და ისტორიკოსის პრისკე პანიონელის თხზულების ერთ ფრაგმენტში, სადაც ჰუნების ამიერკავკასიაში შემოჭრაზეა საუბარი, როდესაც მათ, აზოვის ზღვის მხრიდან წამოსულებმა, “მთები გადალახეს და მიდიაში შევიდნენ, რბევარბევით რომ ისინი ქვეყანაში დათარეშობდნენ, სპარსელთა ბრბო მოვიდა და მთელი ჰაერი აავსო ისრებით ისე, რომ თავს წამომდგარი ხიფათის შიშით იმათ უკან დაიხიეს და მთებზე გადმოვიდნენ... რადგან ეშინოდათ, რომ მტერი დაედევნებოდა, ისინი სხვა გზით გაბრუნდნენ და წყალქვეშა კლდიდან ამოსული ალის შემდეგ გაიარეს იქიდან... და შინ მივიდნენ”. არ არის გამორიცხული, აქ რომ “მიდია” იხსენიება, სინამდვილეში არა მიდიაატროპატენა (სამხრეთი აზერბაიჯანი), არამედ აღმოსავლეთი ამიერკავკასია იგულისხმებოდეს, რომელიც ამ დროს სპარსეთის ხელდებული იყო (ბიზანტიურ წყაროებში ირანის მიდიად სახელდება არაიშვიათი მოვლენაა). “სხვა გზა”, რომლითაც ჰუნები უკან დაბრუნებულან უეჭველად კასპიისპირეთზე (“წყალქვეშა კლდიდან ამოსული ალი” ბაქოს ნავთობით მდიდარ სანაპიროს გულისხმობს) მიმავალი დარუბანდის გზაა. ამდენად, ამიერკავკასიაში ისინი, ჩანს, დარიალის ხეობით გადმოსულან. ჰუნთა ეს შემოსევა 448 წლის ახლო ხანით თარიღდება. მას შესაძლებელია ალანოსთა დიდი ტალღაც შემოჰყოლოდა და ამიტომ ქართველთა მეხსიერებაში იგი “ოვსთა” შემოსევად შემორჩა.

ამ მოვლენებს ბიზანტიის გააქტიურებაც მოჰყვა ეგრისის მიმართ: “მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალს ქუემოთი კერძი ყოველი, და დაიპყრეს ეგრისწყლითგან ვიდრე ციხეგოჯადმდე”. რადგან ჩვენ ვიცით, რომ IV ს-ის მეორე ნახევრიდან საზღვარი ეგრისის სამეფოსა და აფხაზეთს შორის მდ. კოდორზე გადიოდა, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ V სის შუახანისთვის ბიზანტიელებს კოდორსა და ღალიძგას (ეგრისწყალს) შორის ტერიტორიის ანექსიაც მოუხერხებიათ.

ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ დაწყებული 373 წლიდან ქართლის სამეფო ორ ნაწილად, სპარსეთის და ბიზანტიის გავლენის სფეროებად იყო გაყოფილი და ეს უკანასკნელი ქართლის სამხრეთდასავლეთ პროვინციებს მოიცავდა, რომელზედაც ვახტანგ გორგასლის ხელისუფლება ჯერჯერობით არ ვრცელდებოდა.

ერთი სიტყვით, ვახტანგის მეფობის დასაწყისში ქართლი სავალალო მდგომარეობაში იყო და ახალგაზრდა მეფის წინაშე სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო პრობლემები იყო წამოჭრილი

და გადასაწყვეტი. მართლაც, ჯუანშერის თხზულებიდან სრულიად აშკარად ჩანს, ვახტანგ გორგასლის პოლიტიკური კურსის ძირითადი მიზანი: ქვეყნის კონსოლიდაცია და დამოუკიდებლობის აღდგენა.

ვახტანგ გორგასალმა თავისი მიზნის განხორციელება მას შემდეგ დაიწყო, რაც იგი დაბრუნდა სპარსეთიდან, სადაც სრულიად ახალგაზრდა მეფე ქართული ლაშქრითურთ წაყვანილი იყო შაჰანშაჰ პეროზის (459 – 484 წწ.) მიერ, რომელმაც თავისი მეფობის დასაწყისიდანვე განაახლა ომი ჰუნებთან. ამ უკანასკნელთ მათი მეფის კიდარას მიხედვით ბიზანტიური წყაროები კიდარიტებს უწოდებენ. ჰუნები კიდარიტები თოხარისტანში, ირანის აღმოსავლეთით (დღ. ავღანისტანის ჩრდილოეთი და უზბეკისტანისა და ტაჯიკისტანის სამხრეთი მხარეები) მოსახლეობდნენ ირანსა და ინდოეთს შორის.

ფიქრობენ, რომ ვახტანგ გორგასალი ქართლში 466 წელს უნდა დაბრუნებულიყო და ეს დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ამ წელს ჰუნსარაგურთა და სხვა ჩრდილოკავკასიელ მომთაბარე ტომთა ამიერკავკასიაში შემოსევასთან.

ცხადია, სამშობლოში დაბრუნებული მეფის პირველი საზრუნავი გადამთიელთა დამორჩილება და “ივერიის კარის” (დარიალანის) ხელში მტკიცედ დაჭერა უნდა ყოფილიყო. რამდენადაც ეს სტრატეგიული ამოცანა – ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმოსასვლელი ზეკარების ხელში ჩაგდება და კონტროლი, თვით ირანის ერთერთი უმთავრესი საზრუნავი იყო, ამიტომ ვახტანგი თავის სასარგებლოდ იყენებს ამ გარემოებას და “ყოველთა სპათა ქართლისათა” შემოკრების შემდეგ, თავისი ბიძის, რანის ერისთავ ვარაზბაკურის თორმეტათასიან მხედრობასაც მოკავშირედ იხდის. მუხრანის ველზე და ხერკში (დღ. საგურამოს მიდამოები) დაბანაკებული ლაშქრის “განახვის” (დათვალიერების) შემდეგ, “წარვიდა ვახტანგ და დადგა თიანეთს. და მუნ მიერთნეს ყოველნი მეფენი კავკასიანნი”. ამ უკანასკნელთა შორის, პირველ რიგში, იგულისხმებიან ჩრდილოაღმოსავლეთი კავკასიის მთიანეთის, კერძოდ, ქისტურბაცბური მოსახლეობის და ნაწილობრივ, შესაძლებელია, დაღესტნურ ტომთა ბელადებიც.

ოვსთა დამარცხება და კავკასიონის გამაგრება. ამის შემდეგ ვახტანგ გორგასალი “წარემართა სახელსა ზედა ღმრთისასა, განვლო კარი დარიალანისა … მაშინ მეფეთა ოვსეთისათა შეკრიბნეს სპანი მათნი და მოირთეს ძალი ხაზარეთით და მოეგებნეს მდინარესა ზედა, რომელი განვლის დარიალანსა და ჩავლის ველსა ოვსეთისასა… და დაიბანაკეს ორთავე სპათა ამიერ და იმიერ” მდინარე თერგისა.

საბოლოოდ დიდი ბრძოლა მოხდა დარიალის ხეობაში, რომელიც ვახტანგის გამარჯვებით დამთავრდა. ჯუანშერი გადმოგვცემს: “მაშინ იძლივნეს ოვსნი და ივლტოდა ბანაკი მათი. მოისრნეს და ტყუე იქმნნეს, ხოლო უმრავლესი მეოტი ოვსთა მათგანი ცოცხალი შეიპყრეს... მერმე განიბნივნეს ტყუევნად ოვსეთისა, შემუსრნეს ქალაქნი მათნი, და აღიღეს ტყუე და ნატყუენავი ურიცხვი... და მეფენი ოვსთანი შელტოლვილ იყვნეს სიმაგრეთა კავკასიათა. აღდგეს მათ შორის მოციქულნი, და დაიზავნეს”.

ქართლის მეფემ თავისი სტრატეგიული ჩანაფიქრის უახლოესი მიზანი განახორციელა: “დაიმორჩილა ოვსნი და ყივჩაყნი, და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიალისად უწოდთ. და აღაშენნა მას ზედა გოდოლნი მაღალნი, და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი. არა ჴელეწიფების გამოსვლად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა თჳნიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა”. ყივჩაყთა ხსენება, მართალია, გვიანდელი “რედაქტორის” ინტერპოლაცია და ანაქრონიზმია, მაგრამ მათი სახით ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა მომთაბარე ტომები და, პირველ რიგში, ჰუნთა ურდოები.

ვახტანგ გორგასალს, როგორც ირკვევა, დიდი და ფართო პოლიტიკური გეგმები ჰქონდა დასახული, რომლის რეალიზაციასაც, ჩრდილოეთიდან ქართლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემდეგ, იგი უმალვე შეუდგა. კერძოდ, ჩრდილოკავკასიელ გადამთიელთა დამორჩილებისა და მათთან დაზავების შემდეგ, “მეფემან განუტევნა ნიჭადნი (მოკავშირენი) სპარსთანი და მეფენი კავკასიანთანი ნიჭითა დიდითა (დიდად დასაჩუქრებულნი), წარმოგზავნნა დაჲ მისი მირანდუხტ და ტყუე იგი ყოველი გზასა დარიალისასა, და თჳთ სპითა დიდითა ქართლისათა წარმოვიდა გზასა აფხაზეთისასა”. ე. ი. ჩრდილო კავკასიიდან ვახტანგს დასავლეთ საქართველოში გაულაშქრია, როგორც ჩანს, დღევანდელი ქლუხორის ზეკარზე გარდამავალი გზით (“გზასა აფხაზეთისასა”). ვიდრე ამ ლაშქრობის შემდგომ პერიპეტიებზე ვისაუბრებთ, უნდა განვიხილოთ თუ რა ვითარებაა ამ დროისთვის დასავლეთ საქართველოში.

ეგრისი V ს-ის შუა ხანისათვის.

V ს-ის 50იანი წლების მეორე ნახევრიდან თუ არა, 60იანი წლების დასაწყისში ბიზანტიასა და ეგრისს შორის საომარი ვითარებაა. პრისკე პინიონელის ცნობით, მას შემდეგ, რაც სპარსელთა დახმარების იმედი გადაეწურა, ეგრისის მეფე “გუბაზმა ელჩები გაგზავნა რომაელებთან. რომაელებმა უპასუხეს გუბაზის მოციქულებს, რომ შეწყვეტდნენ ომს, თუ ან თვითონ გუბაზი გადადგებოდა ტახტიდან, ან შვილს გადააყენებდა მეფობიდან: ძველი კანონის თანახმად არ არის კანონიერი, რომ ორივენი მეფობდეთო; ასე რომ, ერთერთი უნდა იყოს კოლხიდის ტახტზე, ან გუბაზი ან მისი შვილი, და მაშინ შევწყვეტთ ომსო... ასეთი არჩევანი რომ მისცეს გუბაზს, იმან არჩია გადამდგარიყო სამეფო ტახტიდან შვილის სასარგებლოდ და თავისი სამეფო ნიშნები გაიძრო და მან რომაელთა მპყრობელს მოციქულები გაუგზავნა თხოვნით, – უკვე ერთი კოლხი მეფობს და ნუღარ ჯავრობ, იარაღი დაჰყარეო. (რომაელთა) მეფემ წინადადება მისცა მას გადმოსულიყო რომაელთა ქვეყანაში და მოეხსენებინა თავისი განზრახვების შესახებ. გუბაზმა არ თქვა უარი გამგზავრებაზე”... მართლაც, 465 წელს “ხანძრის შემდეგ, რომელიც გაჩნდა ლეონტის დროს, კონსტანტინეოპოლში ჩამოვიდნენ გუბაზი და დიონისე. (გუბაზს) სპარსული ტანსაცმელი ეცვა და, მიდიური წესისდა მიხედვით, მეშუბენი ახლდნენ. კარის კაცებმა მიღებისთანავე ჯერ გაჰკიცხეს იგი რომაელთა წინააღმდეგ ამბოხებისათვის, ხოლო შემდეგ კეთილგანწყობილად მოეპყრნენ და ისე გაისტუმრეს უკან. გუბაზმა მოხიბლა ისინი თავისი სიტყვაპასუხით და საქრისტიანო ნიშნების ტარებით”.

ზემოთ იყო აღნიშნული, რომ ეგრისის მეფე, ფორმალურად მაინც, ბიზანტიის კეისრის ხელდებულად ითვლებოდა და ყოველი ახალი მეფის ტახტზე ასვლის დროს იმპერატორი უგზავნიდა მას სათანადო სამეფო ნიშნებს (გვირგვინს, ქლამიდას და სხვ.). გუბაზს, როგორც ჩანს, ამ ფორმალური დამოკიდებულებისგანაც განთავისუფლება გადაუწყვეტია, შვილი თვით დაუსვამს თანამოსაყდრედ და ამ აქციით ბიზანტიისაგან სრული დამოუკიდებლობის მოპოვება უცდია. ბუნებრივია, თუ ბიზანტიელებმა ეს მცდელობა გუბაზს ამბოხებად ჩაუთვალეს და მას ომიც გამოუცხადეს. საბოლოო ჯამში, მათ ძველი ვითარება აღუდგენიათ. ეს მომხდარა 465 წელს თუ მის შემდგომ ახლო ხანში.

მაგრამ მხოლოდ ეს არ უნდა ყოფილიყო ბიზანტია–ეგრისის კონფლიქტის მიზეზი. პრისკე პანიონელის ერთი ცნობიდან კარგად ჩანს, რომ გუბაზსა და მის თანამოსაყდრე შვილთან დაკავშირებულ ინციდენტამდე, "წინათ თვით გუბაზთან მომხდარ უთანხმოებათა გამო კოლხიდაში" გამოგზავნილი ყოფილა ბიზანტიელი დიდმოხელე დიონისე, რომლის, როგორც მისი ხელშეუხებლობის გარანტის, ხელმეორედ გამოგზავნას გუბაზი 465 წელსაც მოითხოვს და ეს მოთხოვნა ბიზანტიამ აასრულა კიდეც. ამგვარად, უეჭველია, ბიზანტია–ეგრისის კონფლიქტი თანამოსაყდრეობაზე გაცილებით ადრე დაწყებულა.

ამ ძველი კონფლიქტის მიზეზებზე უნდა მიუთითებდეს "დანიელ მესვეტის ცხოვრების" ქართული ვერსია, რომელიც X ს-ის ხელნაწერია და რომელშიც ვკითხულობთ: "მათ დღეთა შინა მოვიდა ღობაზიანოს, მეფე აფხაზთაჲ ხილვად ნეტარისა ლეონ მეფისა ბერძენთაჲსა… ხოლო აქუნდა ორთავე ამათ მეფეთა საურავი რაჲმე ქუეყანათაჲ დაწყნარებისათჳს და ზღვართა გაყოფისაჲ: სადამდის არს საბერძნეთისაჲ ანუ მეგრელთაჲ, აფხაზეთის სამეფოჲსაჲ… და დადვეს საზღვრად ციხჳ ხუფათი"… ეჭვი არ არის, რომ აგიოგრაფის ეს ჩვენება მეფე გუბაზის კონსტანტინოპოლში ჩასვლის იმ ფაქტს გულისხმობს, რომელიც პრისკე პანიონელთანაა დამოწმებული და ამდენად 465 წლის ახლო ხანას ეხება. მართალია, ტექსტში ანაქრონიზმებია ("ღობაზიანოს მეფე აფხაზთაჲ", "მეგრელთა აფხაზეთის სამეფოჲ"), მაგრამ ეს X სის მთარგმნელის "განმარტებების" შედეგია, რომელიც მას მისი თანამედროვე მკითხველისთვის გაუკეთებია. თვით ცნობაში ასახული რეალია კი სავსებით სანდოა და სწორედ 465 წელს მიეკუთვნება.

აგიოგრაფის ფრიად საინტერესო ცნობიდან ვიგებთ, რომ კონფლიქტი ბიზანტიასა და ეგრისს შორის, ისეთ ფუნდამენტურ პრობლემას ეხებოდა, როგორიცაა ტერიტორიული პრეტენზიები. მართლაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ბიზანტიას, სწორედ ამ კონფლიქტის დაწყების წინ, ეგრისისთვის მდ. ღალიძგასა (ეგრისწყალი) და მდ. კოდორს შორისი ტერიტორია მიუტაცია. რაც შეეხება ეგრისის სამხრეთ დასავლეთს, აქ საზღვრის დადება 465 წელს ხუფათის ციხესიმაგრესთან, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმას შეიძლება მოასწავებდეს, რომ ამ პუნქტის სამხრეთით მდებარე ტერიტორია, უწინ ეგრისის კუთვნილი, ახლა ბიზანტიას დაუკავებია (სრულიად არარეალური იქნებოდა პირუკუ გვეფიქრა, რომ ასეთი ვითარება ეგრისის სამეფოს ტერიტორიის გაფართოების შედეგია!). მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ IV ს-ის მეორე და V ს-ის პირველ ნახევარში ეგრისის სამეფოს ფარგლებში მთელი ჭანეთი ზღვისპირიანად (ათინა, რიზე, ტრაპეზუნტი) შემოდიოდა, როგორც ერთერთი მისი პროვინცია.

465 წლისთვის ბიზანტიას ეს ტერიტორია ეგრისისთვის ომის შედეგად წაურთმევია და ორმხრივი შეთანხმებით საზღვარი ხუფათის (ახლანდელი ხოფა თურქეთში) ციხესიმაგრესთან დაუდიათ.

ასეა თუ ისე, მას შემდეგ, რაც 465 წ. ეგრისის ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი დათმობების შედეგად მოახერხა დაზავება ბიზანტიასთან, დასავლეთ საქართველოში მშვიდობა მაინც არ დამყარებულა. ამის შემდგომ განვითარებული მოვლენების შესახებ კვლავ პრისკე პანიონელი მოგვითხრობს: 465 წლის წინა ხანებიდან სვანები გადაუდგნენ ლაზებს. მათ შორის "სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა", რომლის დროსაც ლაზებს სვანებისთვის ციხეები წაურთმევიათ. 466 წ. სვანებს, ცხადია, მათივე თხოვნით ეხმარებიან "სპარსელები და იბერები, რომლებიც ლაზთა მეფეს ეომებიან". ლაზები, თავის მხრივ, ბიზანტიელებს მიმართავენ, რომელთაც გამოგზავნეს ლაშქარი ჰერაკლეს მეთაურობით. ამჯერად ბრძოლა ბიზანტიელებსა და სპარსელიბერთა შორის არ მომხდარა, რადგან ამ უკანასკნელებმა "სხვა ტომების წინააღმდეგ გაილაშქრეს და ამიტომ ლაზთა მეფემ მოკავშირე ჯარი უკან გაგზავნა". მაგრამ სვანები კვლავ გამდგარნი არიან და ბრძოლას განაგრძობენ. 467468 წლებში მათ კვლავ მოუხმეს "სპარსელებს, რომელთაც უნდოდათ ლაზთა წინააღმდეგ ეომათ იმ სიმაგრეების გულისთვის, რომლებიც სვანებს წაერთვა". მართლაც, "პართელებმა კვლავ ლაზთა წინააღმდეგ განაახლეს ომი". ლაზთა მეფემაც "ელჩები გამოგზავნა ბიზანტიონში და სთხოვა მეფეს გაეგზავნა მისთვის დამხმარე ჯარები" სომხეთიდან. ბიზანტიელებიც "დაჰპირდნენ დამხმარე ჯარისა და მისი წინამძღოლი კაცის გაგზავნას". ეს მოხდა უკვე 468 წელს. აქ წყდება პრისკე პანიონელის ფრაგმენტი.

ბიზანტიელი ისტორიკოსის ეს ცნობა იმითაა შესანიშნავი, რომ სვანეთის გამო წარმოქმნილ კონფლიქტში აქტიურ მონაწილეებად იბერიელებს ასახელებს. ამგვარად, აღმოსავლელქართველთა მონაწილეობა სამხედრო ძალით 466 წელს დასავლეთ საქართველოში არსებულ იმ "დიდ უთანხმოებაში, რომელიც ჰქონდათ სვანთა ტომთან რომაელებსა და ლაზებს", თანამედროვე მოწმის ჩვენების საფუძველზე, სრულიად უდავო ფაქტია. ეს კი გვაიძულებს ნდობით მოვეკიდოთ ჯუანშერის იმ ცნობებს, რომელნიც ვახტანგ გორგასლის დასავლეთ საქართველოში საქმიანობაზე მოგვითხრობს.

ვახტანგ გორგასალს, რომელიც სწორედ ამ დროს ჩრდილო კავკასიაში იმყოფებოდა, არ შეიძლება არ ესარგებლა დასავლეთ საქართველოში განვითარებული პოლიტიკური კრიზისით თავისი ფართო გეგმების განხორციელების თვალსაზრისით. არც ის ვარაუდია გამოსარიცხი, რომ სვანები მას შემდეგ აუჯანყდნენ ლაზებს, რაც ვახტანგი ქართლში დაბრუნდა და რომ თვით ეს აჯანყება მისივე ინსპირირებული ყოფილიყო. ამდენადვე, საფიქრებელია, დასავლეთ საქართველოში სვანების მხარდასაჭერად, ძირითადად იბრძოდნენ იბერიელები ვახტანგ გორგასლის მეთაურობით.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, სრულიად რეალური უნდა იყოს ჯუანშერის გადმოცემა, რომ "ოვსეთის" დამორჩილების შემდეგ, ვახტანგ გორგასალი "თჳთ სპითა დიდითა ქართლისათა წარმოვიდა გზასა აფხაზეთისასა" დასავლეთ საქართველოში.

როგორ განვითარდა ამის შემდეგ მოვლენები, ამის შესახებ ბიზანტიელი ისტორიკოსის თხზულების შემორჩენილი ფრაგმენტები არაფერს გვეუბნება. ჯუანშერი კი მოგვითხრობს, რომ ვახტანგმა "სულგრძელად და უშიშად იწყო ბრძოლად ციხეთა აფხაზეთისათა. და სამ წელ წარტყუენნა ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი ვიდრე ციხეგოჯამდე. და მოვიდა სახლსა მისსა, ქალაქსა სამეუფოსა მცხეთას".

"ქართლის ცხოვრების" მიხედვით ვახტანგ გორგასალმა თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო შემოიერთა. ჯუანშერი ვახტანგ გორგასლის ერისთავთა შორის ასახელებს "სამნაღირს, ერისთავს შიდა ეგრისა და სუანეთისა და ბაკურს ერისთავს მარგჳსა და თაკუერისა". არ გვაქვს საფუძველი არ ვერწმუნოთ ამ მოწმობას. ვახტანგ გორგასალი დასავლეთ საქართველოში 466 წელს (პრისკე პანიონელი) და იქ სამი წლის განმავლობაში ომობდა (ჯუანშერი). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დასავლეთ საქართველო მას 469 წელს შემოუერთებია. ამას "ქართლის ცხოვრების" მონაცემები და ბიზანტიელი ისტორიკოსების ცნობები გვარწმუნებენ.

ამრიგად, ქართლის მეფის ვახტანგ გორგასლის უშუალო მონაწილეობით დამორჩილებული ეგრისის სამეფო შეუერთდა ქართლს და ამ უკანასკნელის საგამგეო ერთეულებად, საერისთავოებად დანაწილდა: მარგჳსა და თაკუერის და შიდა ეგრისა და სუანეთის საერისთავოებად. პირველი, რამდენადაც ტრადიციულად (ფარნავაზის დროიდან) იმთავითვე ქართლის ნაწილად და IV სის ბოლოსთვის ეგრისის მიერ ქართლისაგან წაღებულად ითვლებოდა, ჩვეულებრივ ქართლის საერისთავოებში ჩაირიცხა. შიდა ეგრისისა და სუანეთის გამგებელი (ალბათ ეგრისელთა სამეფო დინასტიიდანვე), თუმცა კი ქართლის ერისთავად ითვლებოდა, მაგრამ მის დანიშვნაზე სანქციას ირანის შაჰი იძლეოდა.

ვახტანგ გორგასლის მიერ შემოერთებული დასავლეთი საქართველოს ჩრდილოდასავლეთი საზღვარი მდ. კელასურზე გადიოდა. ეს ცნობაც ჯუანშერთანაა შემონახული. როგორც ქრონოლოგიურად, ასევე რეალურისტორიულადაც იგი სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს.

ჯუანშერისათვის, რომელიც ჩვენი აზრით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, VIII სის შუახნის მოღვაწე უნდა ყოფილიყო, მდ. კელასურის ჩრდილოდასავლეთი – ეს არის აფხაზეთის ტერიტორია, რომელიც მორიგების შედეგად, ვახტანგმა დაუთმო კეისარს, რადგან "ესე საზღვარი არს საბერძნეთისა ალექსანდრობითგან" ანუ ეს ტერიტორია ეგრისისა (ეგროსის წილი) ძველთაგანვე (ალექსანდრე მაკედონელის დროიდან) ბერძნებს ეჭირათ და ამდენად "საბერძნეთი" იყო. თავი რომ დავანებოთ იმის ძიებას თუ რა მდგომარეობა იყო "ალექსანდრობითგან", ერთი რამ ცხადია, რომ IVV სის პირველ ნახევარშიც "აბაზგიის" ტერიტორიაზე ბიზანტიის იმპერიის უშუალო გავლენა დიდი იყო და სწორედ, ასე ვთქვათ, იმპერიული თვალსაზრისით, ეს ტერიტორია მისი პროვინციის (პოლემონის პონტოს) ნაწილად ითვლებოდა.

ასე იყო V ს-ის შუა წლებშიც და ამდენადვე ჯუანშერის ცნობა, რომ აფხაზეთი "ესე საზღვარი არს საბერძნეთისა" ვახტანგ გორგასლის დროს, სრულიად რეალურია.

ვახტანგ გორგასალი დაუყოვნებლივ შეუდგა დასახული გეგმის მეორე ეტაპის განხორციელებას. ჯუანშერის გადმოცემით, იგი სპარსთა დახმარებით ებრძვის ბიზანტიელებს სამხრეთდასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც, როგორც ვიცით, IV ს-ის 70-იანი წლების დასაწყისიდან გამოეთიშა დანარჩენ ქართლს და ბიზანტიის პროტექტორატის ქვეშ შევიდა. მემატიანეს საქმე ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს ირანის შაჰს გაელაშქროს ბიზანტიის წინააღმდეგ და ვახტანგისთვის, როგორც მისი ვასალისთვის, მოეთხოვოს დახმარების აღმოჩენა. სინამდვილეში სხვაგვარი ვითარება უნდა ყოფილიყო, რადგან V ს-ის მეორე ნახევარში (502 წლამდე) ბიზანტიასა და ირანს შორის არავითარი საომარი მოქმედება არ ყოფილა და, ამდენად, ჯუანშერის ცნობა არ უნდა იყოს სწორი. არც ის არის გამორიცხული, სპარსელ მოხალისეთა რაზმები, მართლაც, იბრძოდნენ ვახტანგ გორგასლის ლაშქარში. ყოველ შემთხვევაში ქართველთა ბრძოლა ბერძნებთან სრულიად რეალური ამბავი შეიძლება იყოს. ჯუანშერს, როგორც ჩანს, სურს ერთგვარი რეაბილიტაცია მოახდინოს ქართველთა მეფის, როგორც ქრისტიანისა, რომელიც ებრძვის ერთმორწმუნე ბიზანტიას, მაშინ როდესაც, მისი წარმოდგენით, ქრისტიანი მეფის უპირველესი მოვალეობა იყო ბრძოლა მაზდეანურ ირანთან.

მემატიანის ცნობით, ბრძოლის შედეგად, "უკუმოსცა კეისარმან საზღვარი ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღჳთგან ვიდრე არსიანთამდე, და ჴევნი რომლენი მოსდგმანან ღადოთა". ამგვარად, ვახტანგს დაუბრუნებია არა მხოლოდ კლარჯეთი, არამედ აჭარა, სამცხე და არტაანჯავახეთის მიტაცებული ნაწილიც და, ამდენად, V ს-ის 70-იან წლებში, ასი წლის წინ ბერძენთა ექსპანსიის შედეგად წაღებული ტერიტორია "დასავლეთი ქართლისა" კვლავ შემოუერთებია ქართლის სამეფოსათვის.

ვახტანგ გორგასლის ასე ფართო ასპარეზზე გამოტანილი პოლიტიკა ქართლის აღმოსავლეთ პერიფერიასაც შეეხო. თუ აქამდე ქართლის აღმოსავლეთით მომიჯნავე ჰერეთი, სავარაუდოა, ვასალურ დამოკიდებულებაში იყო ქართლის სამეფოსთან, მის დროს ეს მხარე უშუალოდ იქნა შემოერთებული და ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად, ჰერეთის საერისთავოდ ჩამოყალიბდა.

V ს-ის ბოლოსთვის შემოერთებულ იქნა აგრეთვე კამბეჩოვანის ტერიტორია. თუ IV ს-ში კახეთკუხეთი წარმოადგენდა ქართველი უფლისწულის საგამგეოს, ახლა ვახტანგმა თავის შვილს "დაჩის მისცა ქალაქი ჭერემისა და ნეკრესისა, და ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი; და ყოველი ქუეყანა მტკუარს აღმოსავლეთით". ე. ი. საუფლისწულოდ ამ დროს ალაზნის გაღმა მხარე საინგილოითურთ, კამბეჩოვანი და შიგა კახეთის ნაწილი ითვლებოდა. კიდევ მეტი, ვახტანგ გორგასალს ქართლისთვის დაღესტნის მთიანეთის ნაწილიც, მდ. სამურის სათავეებში, წუქეთი, შემოუერთებია: "ქართლის ცხოვრების" ცნობით, იყვნენ "წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი".

ამგვარად, ვახტანგ გორგასლის დროს ქართლის სამეფო, ფაქტობრივად, თითქმის მთელ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს აერთიანებდა და გადაჭიმული იყო სამურის სათავეებიდან ვიდრე "ზღუამდე სპერისა" და ხუნანიდან ვიდრე კლისურამდე (მდ. კელასური). მთელი ქვეყანა დაყოფილი იყო 9 საერისთავოდ და ერთ სასპასპეტოდ. ჯუანშერს ჩამოთვლილი ჰყავს კიდეც ვახტანგ გორგასლის ეს დიდმოხელენი: "პირველად ჯუანშერ სპასპეტი, მპყრობელი

შიდა ქართლისა და მფლობელი ყოველთა ერისთავთა და დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა; და გრიგოლი, ერისთავი ჰერეთისა; და ნერსარან, ერისთავი ხუნანისა; და ადარნასე, ერისთავი სამშვილდისა; და სამნაღირ, ერისთავი შიდა ეგრისა და სუანეთისა; და ბაკურ ერისთავი მარგჳსა და თაკუერისა; და არტავაზ, ერისთავი კლარჯეთისა; და ნასარ, ერისთავი წუნდისა; და ბივრიტიან, ერისთავი ოძრჴისა". ეს სია თავისი კონკრეტული ხასიათით თითქოს იმაზე მიუთითებს, რომ იგი რეალური უნდა იყოს. ეს საერისთავოები უფრო წვრილ ერთეულთა, "ჴევების" ერთობლიობას წარმოადგენდა და, ძირითადად, სამხედროადმინისტრაციული ერთეულები იყო, დამყარებული ლაშქრის ორგანიზაციის პრინციპზე.

მთისა და ბარის ურთიერთობა. "აღმოსავლური პოლიტიკა". ვახტანგ გორგასლის საშინაო პოლიტიკური კურსი მიმართული იყო ქვეყნის გაერთიანებისა და კონსოლიდაციისაკენ. ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობას. დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, ეგრისის ბარსა და სვანეთს შორის ურთიერთკავშირის შესახებ ეკონომიკის თვალსაზრისით ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. აღმოსავლეთ საქართველოში ანალოგიური ვითარებაა იმ განსხვავებით, რომ ტენდენცია მთისა და ბარის შერწყმისა აქ კიდევ უფრო ძლიერად უნდა გამოხატულიყო, რამდენადაც ქართლკახეთის ბარის სოფლის მეურნეობა უფრო ძლიერი და მრავალფეროვანი იყო, ხოლო მთის სპეციფიკური ეკონომიკური განვითარების გამო გარკვეული დროიდან ეს უკანასკნელი უფრო მჭიდროდ დამოკიდებული ხდება ბარზე.

საქმე ის არის, რომ აღმოსავლეთი საქართველოს მოსახლეობის მეურნეობაში უძველესი დროიდანვე განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მესაქონლეობას, და კერძოდ, მეცხვარეობას.

მესაქონლეობის, კერძოდ, მეცხვარეობის განვითარებისთვის აუცილებელია, როგორც იალაღების, ისე ყიშლაღების ფლობა. ეს ეკონომიკური ფაქტორი მნიშვნელოვნად აპირობებდა აღმოსავლეთი საქართველოს ბარისა და მთიანეთის ურთიერთობას და, საბოლოო ჯამში, ამ ორი კუთხის ერთ ეკონომიკურ და ეთნოკულტურულ ორგანიზმად ჩამოყალიბებას. როგორც ჩანს, ქართლის მეფეებს ეს იმთავითვე კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული და ამდენად მათი მთიანეთის მიმართ მიზანდასახული პოლიტიკური კურსი გაპირობებული იყო არა მხოლოდ სტრატეგიული და პოლიტიკური ფაქტორებით, არამედ ეკონომიკური აუცილებლობითაც.

V ს-ის მეორე ნახევრისათვის დიდი ხნის პროცესი მთის დამორჩილებისა განხორციელებულია: მთის წინააღმდეგობა რომელიც ხშირად ბარის დარბევითაც გამოიხატებოდა და ჯერ კიდევ მეფე მირიანის დროს საკმაოდ ძლიერი იყო, ამჟამად უკვე დაძლეულია. ეს მისიაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ვახტანგ გორგასალს ხვდა წილად. ამის შემდეგ გასაგებია, რომ "ვახტანგ გორგასალი კონდენსირებული "ბარია" და ეპოქალური ჩვენებაა მთის შემოტევის დასასრულისა".

ქართლის ბარისა და მთის ზემოაღნიშნული ერთიერთდამოკიდებულების ისტორიულ პროცესს მეორე მხარეც ჰქონდა. თვით მთისთვის, მისი ეკონომიკის განვითარებისთვის

აუცილებელი იყო ბარი მისი საზამთრო საძოვრებით. ქართლს კი საამისო ტერიტორია ნაკლებად გააჩნდა. ამიტომ საჭირო იყო მთის მეურნეობის უზრუნველყოფა ამ თვალსაზრისით. ეს გარემოება აპირობებდა, ნაწილობრივ, ქართლის მეფეების პოლიტიკურ ურთიერთობას ალვანეთთან, რომლის დასავლეთი პროვინციები (კამბეჩოვანი, ჰერეთი) მოიცავდა საზამთრო საძოვრების ზონას. ეს იწვევდა ქართლის პოლიტიკურ ექსპანსიას აღმოსავლეთისაკენ, რაც აგრეთვე დამოწმებულია უძველესი დროიდანვე და მთის ათვისების პარალელური მოვლენაა. ფაქტობრივად ეს ურთიერთობა ალვანეთის დასავლეთ პროვინციებთან აგრეთვე ორმხრივ იყო განპირობებული. უეჭველია, ჰერეთკამბეჩოვანის მოსახლეობაც დაინტერესებული იქნებოდა ქართლის სამეფოს საზაფხულო იალაღების ექსპლუატაციით.

მეორე მხრივ, მნიშვნელობას არ იყო მოკლებული ის ფაქტიც, რომ ჰერეთის და კამბეჩოვანის ტერიტორიაზე სავაჭრო მაგისტრალები გადიოდა, რომლებიც ქართლის შიდა მხარეებს ალვანეთთან და ახლო აღმოსავლეთთან აკავშირებდა და, ცხადია, ამ გზების ექსპლუატაციაც ქართლის სამეფოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. ყველაფერი ეს იწვევდა ქართლისა და დასავლეთი ალვანეთის ურთიერთდაახლოების ტენდენციას, რაც საბოლოოდ, როგორც ვიცით, იმით დამთავრდა, რომ ვახტანგ გორგასლის დროს ჰერეთკამბეჩოვანი ქართლს ორგანულად შეერწყა.

ეს უკანასკნელი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა დემოგრაფიული პროცესებითაც იყო განპირობებული. საქმე ის არის, რომ ქართული და უცხოური წყაროები გვავარაუდებინებს ქართლის სამეფოს აღმოსავლეთის პერიფერიისაკენ, ჰერეთისა და კამბეჩოვანის ტერიტორიაზე, უძველესი დროიდანვე ქართველი მოსახლეობის, მათ შორის მთიელების, ინტენსიურ მიგრაციას, რაც დასტურდება ისტორიული ტოპონიმიკის მონაცემებითაც. ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო სწორედ იმით, რომ აქ მდებარეობდა საზამთრო საძოვრების ზონა და აქვე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო მაგისტრალები. ამ დემოგრაფიულ პროცესებს კი ის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ქართლისა და ალვანეთის ლიმიტროფულ ზონაში მოსახლე ალვანელთა თანდათანობითი და განუხრელი ასიმილაცია ხდებოდა ქართული მოსახლეობის მიერ.

მთისა და ბარის ურთიერთობას ვახტანგ გორგასლის საშინაო პოლიტიკაში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი რომ ეჭირა, ამას მოწმობს თუნდაც მის მიერ ქალაქ უჯარმის გაშენება, მახლობლად ციხედარბაზის აგება. ეს ქალაქი ფრიად მოხერხებულ ადგილას მდებარეობდა "კახეთის მთეულეთის" მეცხვარეობის ექსპლუატაციის თვალსაზრისით ანუ რეგიონის ცხვარი იალაღებიდან ყიშლაღებზე იმ გზით მოძრაობდა, რომელიც უჯარმაზე გადიოდა. ამგვარად, ეს ფაქტი, მთისა და ბარის ერთდროული კონტროლისა და ექსპლუატაციის მომასწავებელია.

მაგრამ ქალაქი უჯარმა მხოლოდ მთასთან დამაკავშირებელ გზაზე კი არ მდებარეობდა, არამედ იმ მთავარ სავაჭროსატრანზიტო მაგისტრალებზე, რომელნიც ალვანეთიდან მოემართებოდა, ჰერეთით და კამბეჩოვანით, პირველი გომბორის უღელტეხილზე და მეორე ქალაქ ხორნაბუჯზე. უჯარმაში ეს გზები ერთდებოდა და აქედან თბილისის გავლით მცხეთისკენ მიემართებოდა.

როგორც ცნობილია, თავისი მეფობის ბოლოსთვის, “თჳთ ვახტანგ დაჯდა უჯარმოს, და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა”. სწორედ ეს გარემოება, რომ ვახტანგ გორგასალმა დროებით სამეფო რეზიდენცია ამ გზათა გადაკვეთის კვანძზე ააგო, იმის მოწმობაა, რომ აქ მნიშვნელობა მხოლოდ მთაბარის კონტროლს კი არ ჰქონდა, არამედ ქართლის იმ აღმოსავლეთ პროვინციებსაც, რომლებიც უკვე შემოერთებული იყო ან ამ დროს იერთებდა თვით ვახტანგი. სწორედ ამით იყო გამოწვეული ივრის ხეობის ცენტრების გადმონაცვლება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ამ აღმოსავლეთი მხარეებისაკენ მიმართული პოლიტიკის შედეგია აგრეთვე ვახტანგ გორგასლის მიერ ქალაქ ჭერემის აგება.

დასასრულ, ამავე რიგის მოვლენაა ის უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი საქართველოს ისტორიაში, რომ ვახტანგ გორგასალს სახელმწიფოს ცენტრი მცხეთიდან აღმოსავლეთით თბილისში გადმოაქვს. ქართლის სამეფოს ტერიტორიის ზრდამ აღმოსავლეთისაკენ, აგრეთვე იმან, რომ თბილისი გეოგრაფიულად და ეკონომიკურად უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული კახეთჰერეთთან, ვიდრე მცხეთა, მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის უაღრესად დიდი მნიშვნელობის ფაქტი, რომ ქართლის სამეფოს ცენტრმა მცხეთიდან თბილისში გადმოინაცვლა.

შემთხვევითი როდია ის გარემოებაც, რომ ამ ისტორიული მოვლენის, თბილისის გადედაქალაქების ინიციატორი იგივე ვახტანგ გორგასალი იყო – ქართლის სამეფოს “აღმოსავლური პოლიტიკის” ყველაზე უფრო ენერგიული განმახორციელებელი. მისი გენიალური გამჭრიახობის ისტორიული აუცილებლობა საქართველოს მთელმა შემდგომმა ისტორიამ დაადასტურა. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ თბილისის გადაქცევა ქართლის (იბერიის) დედაქალაქად (და შემდეგ მთელი საქართველოს დედაქალაქად) განპირობებული იყო ქვეყნის შინაგანი სოციალურეკონომიკური ანუ ახალი, ფეოდალური ურთიერთობის განვითარებით.

ამგვარად, V ს-ის მეორე ნახევარში აშკარად ჩანს ქართლის სამეფოს სხვადასხვა “ხევების”, მთისა და ბარის ურთიერთშერწყმის ტენდენცია, რისთვისაც მყარ საფუძველს ქმნიდა ვახტანგ გორგასლის მიერ მთისა და ბარის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის პოლიტიკური გაერთიანება. სამეფოს სხვადასხვა პროვინციებს შორის ამის ნიადაგზე გაცხოველებულ ურთიერთობას ქართლის მეფე, როგორც ჩანს, ხელს უწყობდა და აწესრიგებდა. სამეურნეო და სოციალური განვითარების შედეგად იქმნებოდა საფუძვლები ცალკეულ “ხევთა” შერწყმისა, მთისა და ბარის გაერთიანებისა. ამავე ფაქტორებმა განაპირობეს, საბოლოო ჯამში, სამეფოს ცენტრის აღმოსავლეთით, თბილისში გადმოტანა.

საეკლესიო რეფორმა. ქვეყნის კონსოლიდაციის საქმეში აქტიურ როლს თამაშობდა ქრისტიანული ეკლესიაც.

ჯუანშერს თორმეტი საეპისკოპოსო აქვს ჩამოთვლილი, რომელნიც ვახტანგს ჩამოუყალიბებია. 506 წლისათვის ქართლში 33 საეპისკოპოსოა. ამგვარად, მთელი ქართლის სამეფო, კლარჯეთიდან ვიდრე ჰერეთამდე, V სის მიწურულისთვის მაინც, საეპისკოპოსოებით არის დაფარული.

ცხადია, ქართლის მეფის ინიციატივით შექმნილი საეკლესიო წესწყობილება მასვე სჭირდებოდა როგორც იდეოლოგიური და პოლიტიკური იარაღი სამეფოს კონსოლიდაციისთვის. კერძოდ, ქრისტიანობის გავრცელება მთაში, როგორც ვთქვით, უკვე მირიანის დროს, რა თქმა უნდა, იგივე მიზნებს ემსახურებოდა. ვახტანგ გორგასლის დროს ეს პროცესი კიდევ უფრო ინტენსიური უნდა გამხდარიყო, რასაც თვით საეპისკოპოსო კათედრათა სიმრავლე მოწმობს. ვახტანგ გორგასლის ეპოქაში არსებობდა სრული პირობები იმისა, რომ ქართლის ეკლესიური გავლენა ცენტრალური კავკასიონის ქედს იქით გადასულიყო (დვალეთი, ოვსეთი, დურძუკეთი, დიდოეთი, წუქეთი).

ქრისტიანობის გავრცელება ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე, კერძოდ კი, ახლად შემოერთებულ მხარეებში (ჰერეთი, კამბეჩოვანი, კავკასიონის მთიანეთი) უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა, რამდენადაც, როგორც ცნობილია, ქართლის ეკლესია, შეიძლება ითქვას, იმთავითვე ქართულენოვანი იყო. ეს კი ნიშნავს, რომ იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც ქართლიდან ვრცელდებოდა ქრისტიანობა, საეკლესიო და ლიტერატურული ენაც ქართული იყო. ეს, ცხადია, გულისხმობდა შესაბამისი კულტურის გავრცელებას მით უმეტეს, თუ ამას ზედ ერთვოდა იბერიელთა ეთნიკური შეღწევაც მეზობელ ტერიტორიებზე, რასაც თან ქართული სოციალური ურთიერთობების შეტანაც მოჰყვებოდა. ყველაფერი ეს, საბოლოო ჯამში გულისხმობდა ამ ტერიტორიაზე მოსახლე არაქართველი ტომების თანდათანობით გაქართველებას. ეს პირველ რიგში ეხება ჰერეთს, სადაც ამ დროისთვის ჯერ კიდევ ნარევი ქართულალვანური მოსახლეობა უნდა ყოფილიყო.

ქართლის მეფის ზემოხსენებულ აქტიურ მოღვაწეობას ქვეყნის კონსოლიდაციისა და სამეფო ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, ძლიერი ოპოზიცია აღმოუჩნდა ახალგაზრდა ფეოდალური ძალების ნაწილის სახით, რომელსაც ხელს არ აძლევდა მეფის ძალაუფლების ზრდა და, ამდენად, ქვეყნის ცენტრალიზაციაც. ამ ოპოზიციას სათავეში ედგა, როგორც ჩანს, ვარსქენ პიტიახში, ქვემო ქართლის მმართველი. შესაძლებელია, მართლაც, არ იყოს შემთხვევითი ის ფაქტი, რომ მას შემდეგ, რაც 466 წელს, უკვე სახელგანთქმული და სპარსეთის შაჰის ნდობით აღჭურვილი ახალგაზრდა ვახტანგი ჰუნკიდარიტებთან ომის შემდეგ სპარსეთიდან სამშობლოში დაბრუნდა და იმთავითვე შეუდგა, თავისი ფართო პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი გეგმების შესრულებას. 467 წელს პეროზ “სპარსთა მეფისა კარად სამეფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახში ძჱ არშუშაჲსი… რამეთუ რაჟამს წარდგა იგი წინაშე სპარსთა მეფისა, არა თუ პატივისა მოღებისათვის, არამედ ძღუნად თავსა თჳსსა შესწირვიდა მეფისა მის მიმართ უვარის ყოფითა ჭეშმარიტისა ღმერთისაჲთა და თაყუანისსცემდა ცეცხლსა, რამეთუ ყოვლით კერძოვე თავი თჳსი ქრისტჱსგან განაგდო”.

ამგვარად, შაჰანშაჰისგან განდიდებული ვარსქენ ქართლის პიტიახში და რანის ერისთავი, ბუნებრივია უნდა დაპირისპირებოდა ქართლის მეფეს, რომელიც თავისი ხელისუფლების გაძლიერებისა და მთელი ქვეყნის კონსოლიდაციისათვის იწყებდა ბრძოლას. ვარსქენი, როგორც მისი ერთერთი ერისთავი თუნდაც უძლიერესი, არ შეიძლებოდა სრულიად დამოუკიდებელი ყოფილიყო მისგან, თუმცა თავის საპიტიახშოში იგი, ფაქტობრივად შეუზღუდველი უფლებებით სარგებლობდა. ეს კარგად ჩანს იაკობ ხუცესის თხზულებიდან.

კონფლიქტი ვახტანგ გორგასალსა და ვარსქენ პიტიახშს შორის გარდაუვალი იყო მით უმეტეს, რომ ქართლის მეფე თანდათან თვით ირანს უპირისპირდებოდა, რომელიც 451 წლის აჯანყების შემდეგ დათმობილ პოზიციებს ამიერკავკასიაში ნელნელა უკან იბრუნებდა. დაიწყო კვლავ ქრისტიანების დევნა, საზოგადოების გათიშვის მცდელობა.

აჯანყება ირანის წინააღმდეგ. V სის 80იანი წლებისათვის პოლიტიკური სიტუაცია ამიერკავკასიაში კიდევ უფრო დაიძაბა. დაიწყო აჯანყება ალვანეთში. ირანელებმა, რომელთაც სამხედრო კონტინგენტი რეგიონში, ჩანს მცირე ჰყოლიათ, სომხები აიძულეს აჯანყებულთა წინააღმდეგ წასულიყვნენ და სწორედ ასეთ გართულებულ ვითარებაში, როგორც მოვლენათა თანამედროვე სომეხი ისტორიკოსი, ვარსქენის მამის, არშუშა პიტიახშის ოჯახში გაზრდილი ლაზარ ფარპეცი გადმოგვცემს: “ქართლის ქვეყანაში მოხდა შფოთი და არეულობა. ვახტანგმა მოკლა ურჯულო ბდეშხი ვაზგენი, მეფე პეროზის ოცდამეხუთე წელს” ანუ 482 წ.

სომეხ ნახარარებს ვახტანგის აჯანყების ამბავი ალვანეთში მიუვიდათ და დიდად აღფრთოვანდნენ. მათ ბჭობა გამართეს და გადაწყვიტეს მხარი დაეჭირათ აჯანყებული ქართლისათვის. გამარჯვების იმედს მათ უნერგავდა ის, რომ ვახტანგი მათთვის მამაც კაცად იყო ცნობილი, თან ეს უკანასკნელი დიდძალ ჰუნთა გადმოყვანას პირდებოდა მათ იმიერკავკასიიდან.

აჯანყებულმა სომხებმა სარდლად ვაჰან მამიკონიანი აირჩიეს, 45051 წლების აჯანყების გმირის, ვარდან მამიკონიანის ძმისწული, რომელიც ასევე არშუშას კარზე იყო გაზრდილი.

483 წლის გაზაფხულზე სპარსელებმა ორი დიდი ლაშქარი გამოგზავნეს: ქართლში – მიჰრანის, სომხეთში კი – ატრნერსეს მეთაუროზით. ვახტანგ გორგასალმა დაინახა, რომ ვერ გაუმკლავდებოდა დიდძალ სპარსელებს და თავი ქართლისა და სომხეთის საზღვარზე მთებს შეაფარა, თან სომხებს დესპანი გაუგზავნა, რომ დახმარებოდნენ. ამასობაში სომხებს ერთერთ ბრძოლაში სასტიკად დაემარცხებინათ სპარსელები და წალკოტის გავარში ისვენებდნენ. როდესაც ვახტანგის ამბავი მიუვიდათ, ვაჰან მამიკონიანი სომეხთა მთელი ჯარით მისკენ გაეშურა და კანგარის მთებში ქართლის სამხრეთ საზღვარზე დაბანაკდა.

ვახტანგს, ჩანს, უნდოდა სასწრაფოდ შებმოდა სპარსელებს, ჰუნთა დახმარების გარეშე და ამიტომ ცდილობდა დაეთანხმებინა სომხები ჩასულიყვნენ ბარად, რომ იქ ერთად შებრძოლებოდნენ მტერს. სომხები კი ჰუნთა მოსვლამდე შებმას სპარსელებთან ერიდებოდნენ მათი მრავალრიცხოვნობის გამო. როგორც ისტორიკოსი გადმოგვცემს, ვაჰანს ამავე დროს ადარდებდა “სომხეთა ჯარის სისუსტე და ხედავდა, რომ მას დაჰკარგვოდა მხნეობა, დაუძლურებულიყო”. სომეხქართველთა ლაშქარი ჩავიდა ჭარმანაინის ველზე, გარდაბანში მტკვრის პირას. მეორე ნაპირს სპარსელთა ლაშქარი მოადგა.

ღამით ბევრმა სომეხმა მოღალატემ შეატყობინა თავის ახლობლებს სპარსელთა ჯარში, რომ ბრძოლის დროს მათ მხარეს გადავიდოდნენ.

მეორე დღეს მოწინააღმდეგენი საბრძოლველად განეწყვნენ. ვახტანგი უკანასკნელ წუთამდე ამხნევებდა სომეხ სარდლებს და არწმუნებდა, რომ ჰუნთა გარეშეც გაიმარჯვებდნენ. სომხები მერყეობდნენ, თუმცა მაინც განალაგეს ლაშქარი საბრძოლო წყობაზე.

ქართველთა ლაშქარი მარცხენა ფრთაზე იდგა, ცენტრში და მარჯვენა ფრთაზე – სომხები. დაიწყო ბრძოლა. ლაზარ ფარპეცის სიტყვით, ვაჰანმა, რომელიც ცენტრს სარდლობდა, მხნედ შეუტია, მრავალი მებრძოლი დაუხოცა მტერს და მტკვარზეც კი აიძულა გადასულიყო, მაგრამ მოღალატეებმა თავისი პირობა შეასრულეს და მიატოვეს ბრძოლის ველი. ამან არევდარევა გამოიწვია. ლაშქარი შედრკა და "უეცრად გაიქცა და განშორდა ბრძოლის ველს მთელი ჯარი სომხებისა და ქართველებისა". საბოლოოდ სომეხქართველთა ლაშქარი დამარცხდა, ბევრი დაიხოცა.

მეორე წელს, 484 წლის გაზაფხულზე სომხეთში დიდი ჯარით შევიდა ზარმიჰრ ჰაზარავუხტი, ირანელთა მხედართმთავარი. მან იცოდა, რომ სომეხთა ლაშქრის დიდი ნაწილი ქართლში წასულიყო, ხოლო ვაჰანს მცირერიცხოვანი მხედრობა დარჩენოდა. ვაჰანი გაეცალა ჰაზარავუხტს და თავი ჭანეთს შეაფარა. სპარსელი სარდალი დაედევნა მას. მაგრამ ბასიანში შაჰის ბრძანება მოუვიდა, სომხეთში მარზპანად შაპუჰ მიჰრანი დაეტოვებინა, თვითონ კი ქართლში წასულიყო და "ქართლის მეფე ვახტანგი ან შეეპყრა, ან მოეკლა, ანდა იმ ქვეყნიდან განედევნა". ჰაზარავუხტი, მართლაც, გადავიდა ქართლში და აქ შეკრიბა ვახტანგის მოწინააღმდეგე დიდებულები, რომელთაგან ზოგი თავიდანვე არ უჭერდა მას მხარს, ზოგმა კი ჭარმანაინის ბრძოლის შემდეგ უღალატა. ჰაზარავუხტმა მათ დიდი წყალობა აღუთქვა დახმარებისთვის, მაგრამ ვახტანგ გორგასალმა, რადგან წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო, თავი ეგრისს შეაფარა.

ამ დროს მოვიდა ჰეფტალიტებთან ბრძოლაში პეროზისა და მთელი მისი ჯარის დაღუპვის ამბავი და ჰაზარავუხტი სასწრაფოდ გაბრუნდა ირანის დედაქალაქში. მის კვალს გაჰყვა სომხეთის მარზპანი შაპუჰ მიჰრანიც. ამით ამთავრებს თხრობას ქართლისა და სომხეთის აჯანყების შესახებ ლაზარ ფარპეცი.

აშკარაა, რომ სომეხი ისტორიკოსი ტენდენციურია. მისი მონაყოლიდან ისე გამოდის, თითქოს 482-84 წლების ანტისპარსულ აჯანყებაში ძირითადი როლი სომხებს ეკუთვნოდა, ქართველები საკმაოდ უფერულად გამოიყურებიან, მაგრამ მისი თხრობიდან მაინც კარგად ჩანს, რომ ვახტანგ გორგასალი იყო არა მხოლოდ ინიციატორი აჯანყებისა, არამედ მისი მთავარი მამოძრავებელი ძალაც, რასაც ადასტურებს პეროზ შაჰის ზემოაღნიშნული ბრძანება ჰაზარავუხტისადმი, რომ არა ვაჰან მამიკონიანი, არამედ სწორედ "ქართლის მეფე ვახტანგი ან შეეპყრა, ან მოეკლა, ანდა ქვეყნიდან გაეძევებინა".

მიუხედავად იმისა, რომ აჯანყება დამარცხდა, ამიერკავკასიის ქვეყნებმა გარკვეული შეღავათები მოიპოვეს ირანისაგან. ეს გაპირობებული იყო იმით, რომ თვით ირანმა, როგორც ვიცით, სასტიკი დამარცხება განიცადა ჰეფტალიტებთან ბრძოლაში, რამაც აიძულა ახალი შაჰი ვალარში ლმობიერ პოლიტიკაზე გადასულიყო ირანის ქვეშევრდომი ხალხების მიმართ. კერძოდ, სომხეთში სპარსელებმა შეასრულეს აჯანყებულთა ყველა მოთხოვნა: შეწყვიტეს ქრისტიანების დევნა, აღადგინეს სომეხ ნახარართა ძველი უფლებები. თვით ვაჰან მამიკონიანი სომხეთის სპარაპეტად (მხედართმთავრად) და მარზპანად დანიშნეს. ფაქტობრივად, სომხეთი ნახევრად დამოუკიდებელ ქვეყანად ცნეს. ალვანეთში აღდგენილ იქნა მეფობა.

სავსებით რეალურია იმის ვარაუდი, თუმცა საამისო მონაცემები ქართულ წყაროებში არ შემონახულა, რომ ანტიირანულ აჯანყებას ქართლშიც სომხეთალვანეთის მსგავსი შედეგები უნდა გამოეღო.

ვახტანგი ბრუნდება ქართლში. კავშირი ბიზანტიასთან კიდევ უფრო უნდა განმტკიცებულიყო.

ცხადია, ვახტანგს, რომელიც სპარსეთის წინააღმდეგ იყო აჯანყებული და ბიზანტიასთან კავშირი სასიცოცხლოდ სჭირდებოდა, ქრისტიანული დოგმატიზმის თვალსაზრისითაც იმპერატორის კარზე გაბატონებული რელიგიური დოქტრინისთვის უნდა დაეჭირა მხარი. ბიზანტიაში კი ამ მხრივ რთული ვითარება იყო.

კათალიკოსობის დაწესება. დამოუკიდებლობა. ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების (451 წ.) შემდეგ, რომელმაც დიოფიზიტური მართლმორწმუნეობა ბიზანტიის სამეფო კარის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოაცხადა, ვნებათა ღელვა არ ჩამქრალა და რწმენის საკითხი ნაციონალურს დაუკავშირდა.

ეგვიპტეში და აღმოსავლეთ სომხეთში გაბატონებულ სარწმუნოებრივ მრწამსად მონოფიზიტიზმი იყო. სირიაშიც იგი ძლიერ იყო გავრცელებული. დაპირისპირებულ პარტიათა ურთიერთწინააღმდეგობა ალექსანდრიაში სისხლისღვრამდე მიდიოდა. კონსტანტინოპოლის დიოფიზიტი პატრიარქი აკაკი, ვნებათა ღელვა რომ დაეცხრო, გარკვეულ დათმობაზე წავიდა მონოფიზიტების წინაშე და გამოიმუშავა ისეთი ტექსტი საიმპერატორო ბრძანებულებისა, რომელსაც თითქოს სარწმუნოებრივი თანხმობა უნდა დაემყარებინა ალექსანდრიისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოთა შორის. იმპერატორ ზენონის ეს ბრძანებულება, რომელმაც "ჰენოტიკონის" (ერთიანობის) სახელწოდება მიიღო 482 წელს იქნა გამოცხადებული.

პოლიტიკური მოსაზრებით ვახტანგ გორგასალმა სწორედ ამ შემთანხმებლურ რელიგიურ დოქტრინას დაუჭირა მხარი, რამაც გამოიწვია კონფლიქტი ისეთ ორთოდოქს დიოფიზიტთან, როგორიც ვახტანგისავე დაყენებული მთავარეპისკოპოსი მიქაელი იყო.

ჩანს, მთავარეპისკოპოსი განრისხებული იყო იმის გამო, რომ ვახტანგს განზრახული ჰქონდა მისი გადაყენება, მაგრამ თუ რა იყო ამ განზრახვის საფუძველი ისტორიკოსი არას ამბობს. საამისო საფუძველი კი უნდა ყოფილიყო პოლიტიკური მოტივი – ვახტანგ გორგასლის მისწრაფება ირანისაგან გამიჯვნისა და ბიზანტიასთან დაახლოებისა, რაც სხვათა შორის, გულისხმობდა ზენონის რელიგიური პოლიტიკის გაზიარებას ანუ "ჰენოტიკონის" მიღებას, რისი აშკარა მოწინააღმდეგეც იყო მთავარეპისკოპოსი მიქაელი.

ვახტანგ გორგასალმა ორთოდოქსი დიოფიზიტი მთავარეპისკოპოსი გააძევა და მცხეთაში მღვდელმთავრის ტახტზე დასვა "ჰენოტიკონის" მომხრე პეტრე, რომელსაც კათოლიკოსის პატივი მიენიჭა.

ქართლში კათოლიკოსობის დაწესება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას ნიშნავდა. სხვათა შორის ამას პირდაპირ უნდა გვიმოწმებდეს ძველქართული წყარო "მოქცევაჲ ქართლისაჲ": "აქათგან იწყეს კათალიკოზთა მამადმთავრობად. პირველი კათალიკოზი იყო

პეტრე ვახტანგ მეფისა ზე". ქართული "მამადმთავარი" იგივე ბერძნული "პატრიარქია" და ამდენად ქართული წყაროს მიერ ხაზგასმით ამის აღნიშვნა, შესაძლებელია სწორედ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დასაწყისს მიუთითებდეს.

ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია დაახლოებით 485 წელს უნდა მოეპოვებინა.

ვახტანგ გორგასლის მიერ გეგმაზომიერად გატარებული საგარეო და საშინაო პოლიტიკის შედეგად, ჩვენი აზრით, ყველა სათანადო წანამძღვრები შეიქმნა, რომ ქვეყანას სრული დამოუკიდებლობა მოეპოვებინა: ირანის წინააღმდეგ 80იან წლებში ამიერკავკასიელი ხალხების აჯანყების შედეგად სომხეთმა თვითმართველობა დაიბრუნა, ალვანეთში მეფობა აღდგა და ქრისტიანობის განმტკიცების ნიადაგზე ქვეყნის ხელახალი გაერთიანება დაიწყო. ეჭვი არ არის, ქართლში, სადაც მეფობა გაუქმებული არც იყო და ამდენად, ირანის პოლიტიკური გავლენა ისედაც ნაკლები იყო მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, დაუძლურებული ირანისაგან დამოუკიდებლობა კიდევ უფრო ძლიერად უნდა გამოხატულიყო. მეორე მხრივ ქვეყნის, დასავლეთის და აღმოსავლეთის გაერთიანება, მთის დამორჩილება, ბიზანტიასთან, პოლიტიკური მორიგების შემდეგ, მჭიდრო სავაჭრო და კულტურული კონტაქტების განახლება, დამოუკიდებელი საეკლესიო იერარქიის შექმნა, ციხექალაქთა და ეკლესიათა მშენებლობა, ყველაფერი ეს ვახტანგ გორგასლის მიერ შექმნილი ერთიანი ქართული სახელმწიფოს სიძლიერეზე მეტყველებს, რაც ქმნის სწორედ საფუძველს დამოუკიდებლობისათვის. დასასრულ, საგარეო ვითარებაც, საგარეო და შინაპოლიტიკური გართულებანი ორივე მეზობელ იმპერიაში, რაც იმით გამოიხატა, რომ 442 წლიდან დაწყებული მთელი V სის განმავლობაში მათ შორის იძულებითი მშვიდობა სუფევდა, ესეც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანწილად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა საამისოდ.

არაპოპულარული ვალარში, რომელიც არ იყო ის კაცი, რომელსაც იმპერიის ძლევამოსილების აღდგენა შეეძლო, ტახტიდან ჩამოაგდეს და დააბრმავეს, ხოლო მის მაგივრად პეროზის შვილი კავადი დასვეს (488 წ.).

ამგვარად, ვალარშის ხანმოკლე (484 – 488 წწ.) და სუსტი მმართველობის შემდეგაც, კავადის მეფობის (488 – 531 წწ.) დასაწყისიდან 499 წ-მდე სომხეთი და, სავარაუდოა, მთელი ამიერკავკასიაც, ფაქტობრივად, გამოსული უნდა ყოფილიყო ირანის პოლიტიკური კონტროლის სფეროდან. 492 – 499 წწ-ში სომხეთი აშკარად აჯანყებული იყო ირანის წინააღმდეგ.

უჯარმის ბრძოლა. ვახტანგის სიკვდილი. მართალია, ჩვენ არაფერი კონკრეტული არ ვიცით ქართლის სამეფოს შესახებ V სის 90იან წლებში, მაგრამ ზემოთქმული, ვფიქრობთ, გვაძლევს სრულ უფლებას ვივარაუდოთ, რომ ის პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც მან მოიპოვა შაჰ ვალარშის დროს კიდევ უფრო მეტად უნდა განმტკიცებულიყო. როდესაც მთელი სომხეთი აჯანყებულია სპარსეთის წინააღმდეგ, განა კორექტული იქნებოდა იმის წარმოდგენა, რომ ვახტანგ გორგასალი, 482 – 484 წლების ქართლისა და სომხეთის ანტიირანული ამბოხების ინიციატორი, ამბოხებისა, რომელიც რეალურად სპარსეთის მხრიდან დათმობებით დაგვირგვინდა და რომელსაც ქართლის სამეფოს საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვა, ახლა 90იან წლებში ასეთ მარჯვე პოლიტიკურ ვითარებას, როდესაც ირანი

დასუსტებულია აჯანყებებით და შინაგანი სამოქალაქო ომით, არ გამოიყენებდა თავისი ქვეყნის სასიკეთოდ. სწორედ ამიტომ გვგონია, რომ ვახტანგმა ანტიირანული აჯანყების შემდეგ მიაღწია ქართლის სამეფოს ფაქტობრივ დამოუკიდებლობას.

როგორც იეშუ სტილიტი, ამ ამბების თანამედროვე სირიელი ისტორიკოსი, ამბობს, ბიზანტიასთან ომის დაწყებამდე კავადს სომხეთში ულაშქრია და დაუმორჩილებია ქვეყანა. მაშასადამე, ეს ლაშქრობა უნდა მომხდარიყო 499 – 502 წლებს შორის. არ არის გამორიცხული "სომხეთი" სირიელის ტექსტში სასანური ირანის ადმინისტრაციული ერთეული იყოს, რომელიც შემდეგ არაბებმაც შეითვისეს ("არმინია") და რომელშიც საკუთრივ სომხეთთან ერთად ხშირად ქართლიც (არაბული "ჯურზან") იყო ხოლმე გაერთიანებული. თუ ასეა, ადვილი შესაძლებელია კავადის "სომხეთში" ლაშქრობა, ფაქტობრივად, ქართლში მის შემოსვლასაც გულისხმობდეს.

ჩვენი აზრით, სწორედ ეს ამბავი უნდა იყოს გადმოცემული ჯუანშერთან: "და მოვიდა ხუასრო მეფე და შემუსრნა ქალაქი კამბეჩოანი, და ჭერმისა ციხე, და ველისციხე. და ვითარცა მოიწივნეს კახეთად, დაიბანაკეს იორსა ზედა. ხოლო სპანი ვახტანგისანი დადგეს ველსა ზედა, გარემოს ციხექალაქსა (უჯარმისა), სადა ჰქჭან დარფაკა და შეიბნეს იორსა ზედა". უჯარმის ბრძოლა ვახტანგ გორგასლის დამარცხებით და მისი სიკვდილით დამთავრდა.

რომ ვახტანგ გორგასლისთვის ეს საბედისწერო ბრძოლა, მართლაც, იეშუ სტილიტთან მითითებულ კავადის "სომხეთში" ლაშქრობას გულისხმობს, ამას ერთი დეტალი უნდა მოწმობდეს: ჯუანშერის სიტყვით, ომის დაწყების წინ შაჰანშაჰს შეუთვლია ქართლის მეფისთვის, რომ დახმარებოდა მას მომავალი ლაშქრობის დროს ბიზანტიაზე და ყოფილიყო "წინამძღურად მათდა შესლვასა ამას მათსა საბერძნეთად", რაზედაც ვახტანგს უარი განუცხადებია შაჰისთვის: "პირველად განემზადე ბრძოლად ჩუენდა, და ეგრე შევედ საბერძნეთად". აღსანიშნავია, რომ იეშუ სტილიტის მიხედვით სწორედ ასეთ პირობას უყენებდა მის წინააღმდეგ ამბოხებულ ტომებს და ხალხებს, კერძოდ, არაბებსა და სომხებს, ექსორიიდან ჰუნთა ლაშქრით სპარსეთში დაბრუნებული კავადი, მათი დაუსჯელობის საზღაურად. ეს ნიშანდობლივი დეტალი, რომელიც ჯუანშერის ჩვენების რეალურობაზე მიუთითებს, ვფიქრობთ, უჯარმის ბრძოლას და ვახტანგ გორგასლის სიკვდილს 499502 წლებს შორის გულისხმობს.

ვახტანგ გორგასლის სიკვდილის ორი ვერსიაა შემონახული ქართულ წყაროებში. ორივე თანახმაა იმაში, რომ ქართლის დიდებული მეფე სპარსელებთან ომის დროს იქნა მოკლული. ჯუანშერის მიხედვით ბრძოლა დილით დაიწყო "და ცისკარი რა აღეღებოდა, (ვახტანგი) დაესხა და შევლო ვიდრე პალატამდე მეფისა. შევიდა კარავსა შინა (სპარსთა) მეფისასა და მეფე შეესწრა ცხენსა ზედა, და ძე მისი ბარტამ მოკლა (ვახტანგმა) და მოჰკუეთა თავი მისი. და მუნ შინა სპარსმან ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისსა, და იყო ბრძოლა ვიდრე შუადღემდე. სძლო ვახტანგ სპარსთა მათ". სპარსელები დამარცხდნენ ამ ბრძოლაში, "და აიყარა მუნით სპარსთა მეფე, და ჩადგა რუსთავს. და დამძიმდა წყლულება ვახტანგისი, რამეთუ შეწეულ იყო ისარი ფირტუად. და წარვიდა უჯარმოს". აქვე გარდაიცვალა იგი, "ციხესა შინა უჯარმოისასა, რომელი აგებულ იყო ვახტანგ გორგასლისაგან რომელსა შინა თ˜თ აღესრულა ლომი იგი ლომთა და გოლიათი გოლიათთა".

არსენ ბერის (XII ს.) “ცხოვრებაჲ ნინოჲსი” პერიფრაზით: “დიდი ვახტანგ... მოიკლა იგი სპარსთა ბრძოლასა შინა მონაყოფილისაგან მისისა, რამეთუ იცოდა განახევი ჯაჭვსაი ღლიასა ქუეშე და აღიპყრა რაჲ ჴრმალი თჳსი, რაჲთა სცეს კაცსა სპარსთაგანსა, მონამან მან ბოროტმან ჰკრა ისარი ღლიასა ქუეშე და მით მოკუდა”. დასაფლავებულია ვახტანგ გორგასალი “მცხეთას, საკათალიკოსოსა ეკლესიასა შინა სუეტსა თანა” და “არს საფლავი მისი წინაშე სუეტისა ცხოვლისა და ზედა საფლავსა მისსა წერილ არს ხატი მისი, სწორი ჰასაკისა (=სიმაღლისა) მისისაჲ”.

როგორც ვხედავთ, განსხვავება ვახტანგის სიკვდილის ვითარებისა ქართულ წყაროებში არსებითია: თუ ჯუანშერის მიხედვით, იგი უშუალოდ შემოსეულ მტრებთან ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა და ამის შედეგად გარდაიცვალა, არსენ ბერის მიხედვით, ვახტანგი მოკლულ იქნა სპარსელებთან ბრძოლის დროს, მაგრამ შეთქმულების შედეგად საკუთარი “მონაყოფილისა ვისგანმე მისისა ზაკუვით”.

ვახტანგ გორგასალმა უდიდესი სახელი დატოვა შთამომავლობაში. ამ მხრივ, მისი შედარება მხოლოდ დავით აღმაშენებელთან თუ შეიძლება.

უდიდესი პოპულარობა ვახტანგ გორგასლისთვის უნდა მოეტანა სახელმწიფოს მშენებლობის საქმეს. მან წარმატებით მოიგერია “მთის” ძლიერი შემოტევა და შეიძლება ითქვას საბოლოოდ დაიმორჩილა მთა, რასაც მოწმობს, სხვათა შორის, ქალაქ უჯარმის მშენებლობა. ამ დიდი სახელმწიფო მოღვაწის თვალსაწიერში, ფაქტობრივად, პირველად შემოდის მთელი კავკასია: ვახტანგი აერთიანებს მთელ საქართველოს, თავის სამეფოს ფარგლებში შემოაქვს დასავლეთი ალვანეთი, საგანგებოდ ამაგრებს სახელმწიფოს კიდეებს: აღმოსავლეთით ირანის ექსპანსიის საწინააღმდეგოდ კახეთჰერეთში აგებს ციხექალაქებს (ხორნაბუჯი, ჭერემი, უჯარმა); სამხრეთდასავლეთით, კლარჯეთში, იმავე ირანისა და აგრეთვე ბიზანტიის შემოტევის შესაჩერებლად – არტანუჯის გრანდიოზულ ციხესიმაგრეს. ჩრდილოეთით აგებს და ამაგრებს უღელტეხილთა კარებს, ქართლის პოლიტიკურ გავლენას ავრცელებს ჩრდილოეთ კავკასიაზეც. მის მიერ შექმნილი ვრცელი სახელმწიფოს ცენტრი მცხეთიდან თბილისში გადმოაქვს და ამდენად, თბილისის მნიშვნელობის შემდგომი ზრდის და მისი ამიერკავკასიის ცენტრად გადაქცევის პროცესს უდებს საფუძველს, ხოლო თვით სახელმწიფოს, ფაქტობრივ, დამოუკიდებლობას მოუპოვებს.

სწორედ ამიტომ არის, რომ მან შთამომავალობაში ერთერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწის სახელი დაიმკვიდრა და რომ შემდგომ დიდ ქართველ მეფეებს, მაგალითად თამარის მამას, ახოვან გიორგი III-ს “ტანით გორგასლიანს” და “მისებრ მპყრობელს აღმოსავლეთისა და დასავლეთისას” უწოდებენ. ამიტომ არის, რომ ქართული ისტორიოგრაფია მას დავით აღმაშენებლის გვერდით აყენებდა, როდესაც საქართველოს ეროვნულ დროშას “გორგასლიანისა” და “დავითიანის” ეპითეტებით ამკობდა.

მიუხედავად ამისა, ვახტანგ გორგასალი, როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწე, ამავე დროს ტრაგიკული პიროვნება იყო. მისი დროის ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკური ვითარება მას აიძულებდა რთული დიპლომატიის საშუალებით, ბიზანტიის დაპირისპირებით ირანთან

და პირუკუ, მოეპოვებინა სამეფოსთვის ფაქტობრივი დამოუკიდებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნის შინაგანი სოციალური განვითარების შედეგად შექმნილ ვითარებაში იგი ცდილობდა წარჩინებულთა სეპარატისტული ტენდენციები შეეგუებინა თავის ცენტრალისტურ პოლიტიკასთან. რამდენადაც ეს საგარეო და საშინაო ფაქტორები ერთმანეთთან, იმდროინდელი ისტორიული აუცილებლობის შედეგად, მჭიდრო კავშირში აღმოჩნდა, ამდენადვე ვახტანგ გორგასლის პროგრესული პოლიტიკური მიზნები ობიექტურად მიმართული იქითკენ, რომ შექმნილიყო ერთიანი ეროვნული სახელმწიფო, წინასწარ განწირული იყო. სიმბოლურია მისი სიკვდილიც: იგი შინაგანი ოპოზიციისა და გარეპოლიტიკური ძალის ერთობლივი კავშირის მსხვერპლი გახდა.

თავი III. საქართველო VI – VII ს-ის დასაწყისში

ქართლი VI – VII ს-ის დასაწყისში.

ერთიანი სამეფოს დაშლის დასაწყისი. ვახტანგ გორგასლის სიკვდილის შემდეგ ქართული წყაროების მიხედვით, “დაჯდა საყდარსა მისსა ძე მისი დაჩი”, რომელიც “მოქცევაჲ ქართლისაჲს” ცნობით “უჟარმელად” იწოდებოდა. ქართული მატიანეს მიხედვით “ამან დაჩი მეფემან იწყო შენებად ქართლისა, რამეთუ მოოჯრებულ იყვნეს ყოველნი ჴევნი ქართლისანი, თჳნიერ კახეთისა და კლარჯეთისა და ეგრისისა. და განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი, და, ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ”. ამგვარად, ვახტანგ გორგასლის მიერ დაწყებული საქმე მის შვილს დაუგვირგვინებია და სამეფო ტახტი თბილისს გადმოუტანია. ბუნებრივია, თუ ერთიანი საქართველოს ახალი დედაქალაქის სწრაფი აღზევების პროცესი დაიწყო: “მისა ზე, – სწერს დაჩის შესახებ მეორე მემატიანე, – ტფილისს კაცნი დასხდებოდეს და მარიამ წმიდაჲ ეკლესიაჲ აღაშენეს”.

მაგრამ მიუხედავად დაჩის ასეთი კულტურული აღმშენებლობითი ღონისძიებებისა, რომლებიც მიმართული იყო სახელმწიფოებრივი ცხოვრების სტაბილიზაციისაკენ, როგორც ჩანს, მის დროს იწყება სპარსელებთან ომით დასუსტებული, მამამისის დროინდელი ერთიანი ქართლის სამეფოს თანდათანობითი დაშლა. ასე მაგალითად, “ქართლის ცხოვრების” ჩვენებით, მისმა ნახევარძმებმა, ლეონმა და მირდატმა, ერისთავთა მხარდაჭერით “დაიპყრეს დასავლეთი ქართლისა, რომელი მისცა ვახტანგ. და დასხდეს წუნდას ქალაქსა ზაფხულის, და ზამთრის იყვის ოძრჴეს. და არა ეწოდა მათ მეფედ, არამედ ერისთავთამთავრად, და იყვნეს მორჩილებასა ძმისა მათისა დაჩი მეფისა”. ფორმალურად ქართლის სამეფო ჯერ კიდევ ერთიანია და, როგორც ჩანს, ძველ ფარგლებში რჩება. უფრო გვიან, დაჩის შვილიშვილის, ფარსმანის დროს სპარსელები, რომელთაც მიზნად ჰქონდათ მეფობის გაუქმება ქართლში და მისი სრული ანექსია როგორც ეს მოიმოქმედეს სომხეთისა (428 წ.) და ალვანეთის (ჯერ 461 წელს და შემდეგ, საბოლოოდ 510 წ.) მიმართ, კვლავ შემოდიან ქართლში: “ამის ფარსმანის მეფობასა მოვიდეს სპარსნი, მოაოჯრეს ქართლი და რანი... და ფარსმან დაუწერა მას [შაჰს] მორჩილება და მსახურება და წარვიდა სპარსთა მეფე”. ამასვე მოწმობს მეორე ქართული წყარო: ფარსმანის “ზევე სპარსთა მეფობაჲ მცხეთად მოვიდა და შეაშფოთა ქართლი და ქალაქნი და წარვიდა”. ამჯერადაც სპარსელებმა ვერ

მოახერხეს ქართლში მეფობის მოსპობა, მაგრამ მათ შემოსევას მოჰყვა ის, რომ “მიერითგან განიყვნეს ნათესავნი ვახტანგ მეფისანი. რამეთუ შვილნი დაჩისნი ჰმორჩილებდეს სპარსთა, ხოლო შვილნი მირდატისნი დაადგრეს მორჩილებასა ბერძენთასა”. სავარაუდოა, რომ სპარსელებს მათ კონტროლს დამორჩილებულ “აღმოსავლეთ ქართლში” მოუხერხებიათ თავისი ზედამხედველის, მარზპანის დანიშვნა.

“დასავლეთი ქართლისა” ცალკე სახელმწიფოებრივ ერთეულად ჩამოყალიბდა, რომელიც ბიზანტიის მფარველობის ქვეშ მოექცა. ეს, საბოლოო ჯამში, იყო ტერიტორია “ფარავნითგან და ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა”, როგორც ამას “ქართლის ცხოვრება” გვაუწყებს, ანუ მტკვრის ზემო წელი (ჯავახეთი, სამცხე) და ჭოროხის აუზი ზღვისპირამდე. ეს უნდა მომხდარიყო 523 წლის უწინარეს, როდესაც ქართლის მეფეები ჯერ კიდევ ფლობდნენ მთელს დასავლეთ საქართველოს მდ. ეგრისწყლამდე.

523 წელს, “იუსტინეს მეფობის დროს ლაზთა მეფე წათი გაჯავრდა და ჩამოშორდა სპარსეთს… მივიდა იუსტინე მეფესთან ბიზანტიონში, გამოაცხადა თავი მის მორჩილად და სთხოვა, ლაზთა მეფედ მაკურთხეო. მეფემ მიიღო ის და აკურთხა”. ბერძნულ წყაროთა ეს ცნობა იმის დასტურია, რომ ამ წელს დასავლეთი საქართველო გამოეყო ვახტანგ გორგასლის მიერ შექმნილ ერთიან სახელმწიფოს და კვლავ ცალკე სამეფოდ ჩამოყალიბდა.

ცხადია, ლაზიკის განდგომას სპარსთა მეფის, კავადის პროტესტი მოჰყვა, მაგრამ ამას შედეგი არ გამოუღია. ამ გარემოებასთან დაკავშირებით დაიწყო მოლაპარაკება, რომელშიც სირიელი ქრონისტის, ზაქარია რეტორის ცნობით, მონაწილეობას იღებდა ბიზანტიის მხრიდან სახელმოხვეჭილი სარდალი, ამ დროისთვის უკვე მოხუცი ფარსმან კოლხი. ამის შესახებ პროკოპი კესარიელიც მოგვითხრობს, რომლის მიხედვით სპარსელთა წარმომადგენელი სეოსი (შიოში) ბიზანტიელებს უცხადებდა, რომ “კოლხიდა, რომელსაც ახლა ლაზიკე ეწოდება, ძველთაგანვე რომ სპარსელთა ქვეშევრდომი იყო, რომაელებს ძალით უჭირავთ, უსამართლოდ”. საბოლოოდ მოლაპარაკება ჩაიშალა და “აი აქედან დაიწყო მტრობა რომაელებსა და სპარსელებს შორის” (იოანე მალალა).

კავადს, როგორც ჩანს, განზრახულიც კი ჰქონდა ომი დაეწყო ბიზანტიის წინააღმდეგ, მაგრამ ეს განზრახვა იმხანად ვერ განხორციელდა, რადგან ყველაფერ ამას დაემთხვა ახალი გართულება, კერძოდ ის, რომ იმავე 523 წელს სპარსელებს აუჯანყდა ქართლის მეფე გურგენი. პროკოპი კესარიელის ამ ცნობის კონტექსტი ისეთია, რომ ეს გურგენი მთელი ქართლის თუ არა, მაინცდამაინც, “აღმოსავლეთი ქართლის” მეფედ ჩანს. ბიზანტიელი ისტორიკოსის ცნობით, სპარსეთის შაჰს “კავადს უნდოდა ძალით მოექცია ისინი (იბერები) თავისი სარწმუნოების წესებზე და მათ მეფეს გურგენს შეუთვალა სხვა რამეშიც ისე მოქცეულიყო, როგორც სპარსეთში იყო მიღებული... ამიტომ გურგენმა მოინდომა იუსტინე მეფის მხარეს გადასულიყო და პირობა მიეღო, რომ რომაელები არასდროს სპარსელების ხელში არ ჩააგდებდნენ იბერებს. იმანაც (ე. ი. იუსტინემ) დიდის სიამოვნებით მისცა ეს დაპირება”... იუსტინე საამისოდ, მართლაც, თითქოს რაღაც ღონისძიებებს ატარებს, მაგრამ უშედეგოდ. “ასევე გურგენმა რომ დაინახა, რომ ის სუსტია სპარსელთა იერიშის ატანისათვის, რადგან რომაელების მიერ გამოგზავნილი დამხმარე ძალები საკმაო არ იყო, ლაზიკეში გაიქცა იბერთა ყველა დიდებულითურთ... ლაზიკის საზღვრებში რომ

მივიდნენ, აქ გაჩერდნენ და მნელგასასვლელი ადგილებით დაცულნი, იგერიებდნენ მტერს. სპარსელები კი დაედევნენ მას, მაგრამ მაინცდამაინც ვერაფერი დააკლეს, რადგან საქმეს აფერხებდა მნელგასავლელი ადგილები. შემდეგ იბერები ბიზანტიაში ჩამოვიდნენ".

საერთოდ ჩანს, რომ VI ს-ის 20-იანი წლების შუახანებში ვითარება ამიერკავკასიაში ფრიად არასტაბილურია. გურგენის აჯანყების "დროიდან არც სპარსელები აძლევდნენ ნებას მათ მეფე ჰყოლოდათ, არც იბერები ემორჩილებოდნენ სპარსელებს თავიანთი ნებით, არამედ დიდი ეჭვითა და უნდობლობით ეპყრობოდნენ ერთმანეთს. ცხადი იყო, რომ იბერებს ძალიან უჭირდათ ასეთ მდგომარეობაში ყოფნა და ახლო მომავალში განზრახული ჰქონდათ აჯანყება, თუკი შესძლებდნენ ოდესმე შესაფერი დრო ეხელთათ".

მართალია, პროკოპი კესარიელს ზემოხსენებულის აღნიშვნა სხვა გარემოებასთან დაკავშირებით დასჭირდა და ამიტომ იგი აღარ მოგვითხრობს, თუ როგორ განვითარდა მომდევნო უახლოეს ხანში პოლიტიკური მოვლენები ქართლში, მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ სპარსელებმა ამ კონკრეტულ ვითარებაში ვერ შესძლეს ქართლში მეფობის მოსპობა. კიდევ მეტი, ჩანს, გარკვეულ პერიოდში აქ ბიზანტიის გავლენაც კი უნდა გავრცელებულიყო. ამის დასტური უნდა იყოს ზემოთ უკვე ნახსენები ცნობა შიო მღვიმელის "ცხოვრებიდან", რომელსაც მოვიყვანთ "ქართლის ცხოვრების" გვიანდელ ხელნაწერებში დაცული რედაქციით: "ჟამთა მას ოდეს თჳთმპყრობელი იუსტინიანოს, მეფე ბერძენთა, ბრძოდა კერძოთა ოვსეთისათა, საზღვარსა ავაზგიასსა, ნათესავსა ხასკუნთასა, რამეთუ ექმნა მათ განდგომილება, მაშინ მოძღუანა ნიჭი დიდი იუსტიანიანოს ფარსმანს, ქართველთა მეფესა, და ევედრა, რათა შეეწიოს მჴედრობასა მისსა, ყოვლითა ძალითა თჳსითა, და ბრძოლა უყოს ხასკუნთა. ისმინა უკუე ფარსმან ვედრება ბერძენთა მეფისა, და დაუტევა ევაგრე, მცველ სამეუფოსა თჳსსა, ხოლო თჳთ უკუე წარვიდა და შეწევნითა ღვთისათა დაიმორჩილა ნათესავი იგი ხასკუნთა. და მთავარნი მათნი ყოველნი შეპყრობილნი წარავლინნა წინაშე იუსტინიანესსა. მერმე მოიქცა თჳსადვე სამეფოდ".

"ნათესავი ხასკუნთა" ეს იგივე "ქაშაგები" ანუ ჩერქეზები (ყაბარდოელები) არიან, რომლებიც ფარსმან ქართველთა მეფეს დაუმორჩილებია იუსტინიანე კეისრისათვის.

ბიზანტიაირანის ომი და ქართლი. ომი ბიზანტიასა და სპარსეთს შორის განახლდა 527 ("პასქალური ქრონიკა") თუ 528 (თეოფანე ჟამთააღმწერელი) წელს. უშუალო საბაბი ამ ომისა იყო ლაზიკის შესვლა ბიზანტიის ქვეშევრდომობაში. კიდევ მეტი, ბიზანტიელი ქრონისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ "სპარსელთა მეფემ ომი დაუწყო ლაზთა მეფეს წათის იმის გამო, რომ უკანასკნელი რომაელთა მხარეზე გადავიდა". ომი ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა არა მარტო ლაზიკის ტერიტორიაზე, სადაც, კერძოდ 530 წელს ირანის შაჰის, "კავადის უფროსი ძე პეროზი იბრძოდა დიდძალი ჯარით" (აგრეთვე პერსარმენიაში და მესოპოტამიაში), არამედ "გურზანის და არანის მხარეშიც", როგორც ამაზე ერთი სირიული წყარო გვარწმუნებს.

531 წელს მიმდინარეობს საზავო მოლაპარაკება (კავადის სიკვდილის შემდეგ). ომის გაგრძელება არც ბიზანტიას აძლევდა ხელს, რამდენადაც იგი ართულებდა იმჟამინდელი მისი მთავარი საგარეო პოლიტიკური მიზნის განხორციელებას – დასავლეთ იმპერიის ბარბაროსთაგან (ვანდალები, გოთები) განთავისუფლებას, და არც ირანს, რომელსაც

გართულებული ჰქონდა შინაგანი პოლიტიკური ვითარება (რეპრესიები ახლად ჩახშობილი მაზდაკიდური მოძრაობის მიმართ*, ბრძოლა ტახტის პრეტენდენტებთან). ზავი დაიდო 532 წლის სექტემბერში.

ფარსმან ქართველთა მეფის ლაშქრობა დასავლეთ იმიერკავკასიაში, კერძოდ, ყაბარდოში ხასკუნთა დასამორჩილებლად სრულიად რეალური ამბავი უნდა იყოს, რომელსაც ადგილი ჰქონდა VI ს-ის ოციანი წლების მიწურულს. ცხადია, ეს გულისხმობს, რომ ქართლი ამ დროს სრულიად დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო ირანისაგან.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ მეფე დაჩის შვილიშვილის, ფარსმანის დროს სპარსელებს "აღმოსავლეთ ქართლში" თავისი მოხელე მარზპანი ჰყავთ დასმული.

მართლაც, ერთი ანონიმური სირიული წყარო მოგვითხრობს: "იმხანად ცხოვრობდა ერთი კაცი რეიდან, მიჰრანთა სახლის გვარისშვილი, მეფის (კავადის დ. მ.) ერთერთი დიდებული, რომელსაც… ფირან გუშნასპი ერქვა,… მას მრავალი წარჩინებული ემორჩილებოდა, მეფისგან ჩრდილოეთის საზღვრისა და ოლქთა გამგებლად იყო დანიშნული, მეფის ბრძანებით გურზანისა (ქართლის, დ. მ.) და არანის (ალვანეთის, დ. მ.) ქვეყნების დაცვა ჰქონდა დავალებული. მას მრავალი ათასი მხედარი ემორჩილებოდა. კავადის მმართველობის ოცდამეათე წელს" მან მიიღო ქრისტიანული სარწმუნოება. "როცა ეს მეფეს მოახსენეს, მან ბრძანა მისი გადაყენება". იგი სამი წლით დააპატიმრეს და 521 წელს "მეფემ მას დაუბრუნა თავისი ადრინდელი ღირსება (ანუ გურზანისა და არანის მარზპანობა, დ. მ.) და ამის შემდეგ ფირან გუშნასპი ანგელოზისა და ხალხის სასიხარულოდ მრავალ წელს ცხოვრობდა. როცა სპარსელებსა და რომაელებს შორის გურზანისა და არანის მხარეში ომი დაიწყო, გრიგორი (ფირან გუშნასპის ქრისტიანული სახელია, დ. მ.), როგორც სპარსელთა სარდალი, რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდა. იგი დამარცხდა და სხვა ტყვეებთან ერთად რომაელთა კეისარს მიჰგვარეს". ტყვეობიდან ფირან გუშნასპი მხოლოდ ირანის შაჰის, ხოსრო ანუშირვანის მეფობის მესამე წელს ანუ 534 წელს იქნა განთავისუფლებული.

ამ წყაროში მითითებული ომი ბიზანტიაირანს შორის, რა თქმა უნდა, ზემოხსენებული ხუთწლიანი ომია, რომელიც კავადმა სწორედ ლაზიკის გამო წამოიწყო და რომელშიც, ბუნებრივია, პირველ რიგში ამიერკავკასიაში მდგარი ირანის ჯარი მიიღებდა მონაწილეობას. ამიტომ აღნიშნავს სირიელი ანონიმი, რომ "სპარსელებსა და რომაელებს შორის გურზანისა და არანის მხარეში ომი დაიწყო". პირველ ხანებში, როგორც ჩანს, ომი სპარსელთა წარმატებით წარიმართა. ბიზანტიელ ქრონისტებს ამ ომის დასაწყისის პერიპეტიები მოკლედ და მკაფიოდ აქვთ გადმოცემული: 528 "წელს სპარსელთა მეფემ ომი დაუწყო ლაზთა მეფეს წათის იმის გამო, რომ უკანასკნელი რომაელთა მხარეზე გადავიდა, და, აი, იუსტინიანე მეფემ გაუგზავნა მას დამხმარე ჯარი და სამი სტრატელატი, ველიზარი, კვირიკე და ირინე. იმათ იბრძოლეს და დამარცხდნენ; მეფე გაჯავრდა სტრატელატებზე იმის გამო, რომ ერთმანეთისადმი შურის გამო გამარჯვება ხელიდან გაუშვეს. მან გადააყენა ისინი და პეტრე, თავისი ნოტარი გაგზავნა სტრატელატად; პეტრე ლაზებთან ერთად შეება სპარსელებს და დაამარცხა ისინი: მრავალი სპარსელი გაჟლიტეს". როგორც ვხედავთ სირიული და ბიზანტიური ცნობები, ფაქტობრივად, ემთხვევა ერთმანეთს. ირანელთა ამ დამარცხების შედეგად უნდა დაეტყვევებინათ ქართლისა

და ალვანეთის მარზპანი ფირან გუშნასპი და ეს უნდა მომხდარიყო ომის დასაწყისში. ამდენად, 529 წელს, როდესაც ირანი შიდაპოლიტიკური გართულებების გამო ქართლისათვის ისედაც ვერ იცლიდა, მისი დიდმოხელე ქართლში კი ბიზანტიის ტყვეობაში იმყოფებოდა, ქართლი, მართლაც, სრულიად დამოუკიდებელი ყოფილა ირანისაგან და ამდენად, ფარსმან ქართველთა მეფეს შეეძლო დაეკმაყოფილებინა იუსტინიანეს "ვედრება" და გაელაშქრა თავისი ლაშქრით ხასკუნთა წინააღმდეგ. ნიშანდობლივია ქართული წყაროს გამოთქმაც: "მაშინ მოძღუანა ნიჭი დიდი იუსტინიანოს ფარსმანს, ქართველთა მეფესა, და ევედრა, რათა შეეწიოს", რაც აშკარად მოწმობს, რომ ფარსმანი არც კეისრის ქვეშევრდომია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ბიზანტიის იმპერატორი კი არ "ევედრებოდა", არამედ "უბრძანებდა" მას ხასკუნთა დამორჩილებას!

საინტერესოა თუ რა გზით უნდა მოხვედრილიყო ქართლის ლაშქარი ყაბარდოში? დარიალის ხეობით და იმიერკავკასიაზე გავლით ანუ იმ მარშრუტით, როგორც სამოციოდე წლის წინ ვახტანგ გორგასალმა ბრძოლით გაიარა, რა თქმა უნდა, გამორიცხულია. საეჭვოა ფარსმანს ეგრისზე (და აფხაზეთზე) გავლით ელაშქრა, რადგან 523 წლიდან ეგრისი ცალკე სამეფოა, ბიზანტიისადმი ვასალურ ურთიერთობაში მყოფი. საფიქრებელია, ეს მარშრუტი შიდა ქართლიდან სვანეთზე და აქედან ყაბარდოში გადიოდა. ძველი სვანეთი, როგორც ცნობილია, დღევანდელ ე. წ. "მთის რაჭას" ანუ სვანეთის "მთიულეთს" მოიცავდა და ამდენად შიდა ქართლს უშუალოდ ემეზობლებოდა. მეორე მხრივ, ჩვენ უკვე ვიცით, რომ მიუხედავად 523 წელს ეგრისის ქართლისაგან გამოყოფისა, სვანეთი კვლავ ქართლის შემადგენლობაში უნდა დარჩენილიყო და ამიტომ, ფაქტობრივად, ფარსმანის ლაშქრობის მთელი მარშრუტი ყაბარდომდე მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე გადიოდა.

შესაძლებელია ამითვე აიხსნებოდეს ის, ერთი შეხედვით, უცნაური გარემოება, რომ იმპერატორი იუსტინიანე ქართლის მეფეს თხოვს დახმარებას აჯანყებულ ხასკუნთა წინააღმდეგ და არ იყენებს საამისოდ საკუთარ ვასალს, ეგრისის მეფე წათეს: სვანეთი, რომელიც ყაბარდოში მიმავალ გზაზე იდო, ეგრისის მეფის იურისდიქციას დიდი ხანია რაც აღარ ემორჩილებოდა. ამდენად, სვანებს შეეძლოთ საერთოდ ხელი შეეშალათ ეგრისის მეფისათვის ასეთი ღონისძიების განხორციელების საქმეში.

"საუკუნო ზავი" და მეფობის გაუქმება ქართლში. 532 წლის ბოლოს ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის დაიდო ე. წ. "საუკუნო ზავი", რომლის მიხედვით უნდა აღდგენილიყო უშუალოდ ომის დაწყების წინადროინდელი სტატუს ქუო: "შეთანხმდნენ ერთმანეთთან საზავო პირობებში, სახელდობრ, რომ ორივე მხარე დააბრუნებდა იმ ადგილებს, რომლებიც ამ ომში ერთმანეთს წაართვეს… რომაელებმა მისცეს სპარსელებს ფარანგიონი და ბოლონის სიმაგრე, და თან ფულიც, ხოლო სპარსელებმა რომაელებს – ლაზიკის სიმაგრეები".

ფარანგიონი და ბოლონის ციხე სადღაც სპერისა და ბასიანის პროვინციების საზღვარზე (ჭოროხისა და არაქსის ჩრდილო სათავის მიდამოებში) მდებარეობდა და იმ დროს პერსარმენიაში შედიოდა. რაც შეეხება ლაზიკის (ეგრისის) ციხესიმაგრეებს, აქ მხოლოდ სკანდე და შორაპანი კი არ იგულისხმება, რომლებიც პროკოპი კესარიელის მიხედვით გურგენ იბერთა მეფის განდგომისა და ეგრისში თავშეფარების დროს, გარკვეული მიზეზების გამო, "ხელთ

იგდეს სპარსელებმა სრულიად გაურჯელად”, არამედ ბიზანტიელთა მიერ “სპარსელებისაგან უკან ჩამორთმეული სიმაგრეები სკანდისი, სარაპანისი, მუხირისი და ლისირი”. რამდენადაც “ლისირი” დღევანდელი სოფ. ნოსირის ადგილზეა საძებარი, ამდენად ცხადი ხდება, რომ VI სის ოციან წლებში სპარსელები საკმაოდ ღრმად შეჭრილან დასავლეთ საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ 532 წლის ზავის შედეგად ირანმა მკვიდრად მოიკიდა ფეხი აღმოსავლეთ საქართველოში, ეროვნული ხელისუფლება რამდენიმე ხანს ჯერ კიდევ განაგრძობდა არსებობას და, როგორც ჩანს, არც ფარხმალს ჰყრიდა, ცდილობდა თავი დაეღწია სპარსელთა უღლისაგან.

თეოფანე ჟამთააღმწერელი 535 წელს იხსენიებს ქართლის ერთერთ უკანასკნელ მეფეს, ძამანარძეს, რომელიც “მოვიდა კონსტანტინოპოლში… იუსტინიანე მეფესთან თავისი მეუღლითა და დარბაისლებითურთ; მან სთხოვა იუსტინიანეს მიეღო იგი რომაელების მოკავშირედ და ჭეშმარიტ მეგობრად. მეფემაც შეიწყნარა ეს თხოვნა, დიდი პატივი სცა მასაც და მის დარბაისლებსაც… და გაისტუმრა ისინი მშვიდობით მათ საკუთარ სახელმწიფოში”. რა შედეგი მოჰყვა ქართლისათვის ამ მისიას, სამწუხაროდ, არ ჩანს. ქართლის ბედი გადაწყვეტილი იყო.

“ქართლის ცხოვრების” მიხედვით, ირანის ხელისუფლებამ გამოიყენა ქართლში არსებული შინაგანი სოციალური დაძაბულობა, კერძოდ, წინააღმდეგობა ქართლის მეფეთა ცენტრალისტურ პოლიტიკასა და ქართლის ერისთავთა სეპარატისტულ ტენდენციებს შორის. შაჰის დავალებით მისმა დიდმოხელემ, რანისა და მოვაკანის გამგებელმა “უწყო ზრახვად ერისთავთა ქართლისათა: აღუთქუა კეთილი დიდი, და დაუწერა საერისთოთა მათთა მამულობა შვილითიშვილამდე, და ესრეთ წარიბირნა ლიქნითა და განდგეს ერისთავნი” ქართლის მეფისაგან. როგორც ქვემოთ ვნახავთ 541 წელს ქართლში მეფე აღარ არის, ხოლო რამდენადაც 535 წელს იგი ჯერ კიდევ იხსენიება, ამდენად, ცხადია, რომ მეფობის გაუქმება ქართლში ამ წლებს შორის უნდა მომხდარიყო. ქართული წყაროები ქართლის უკანასკნელ მეფედ ფარსმანის შვილს, ბაკურს ასახელებენ და თანხმობრივ აღნიშნავენ, რომ “მის ბაკურის ზევე დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ”.

ამგვარად, VI ს-ის ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში ირანმა, ქართლის ერისთავებთან კავშირში, ქართლში მოსპო მეფობა და შესძლო ქვეყნის უშუალო ინკორპორაცია.

სასანიდების იმპერია ადმინისტრაციული თვალსაზრისით ოთხ მხარედ იყო დაყოფილი, რომელთაც სპარსულად ქუსტები ან ქუსტაკები ეწოდებოდა: ქუსტი ხორასან (აღმოსავლეთი), ქუსტი ხორვარან (დასავლეთი), ქუსტი ნემროზ (სამხრეთი) და ქუსტი აპახტარ (ჩრდილოეთი). კავკასია “ჩრდილოეთში” შედიოდა და ამიტომ ხშირად ამ მხარეს “ქუსტი კაპკოჰ” (კავკასიის ქუსტაკი) ეწოდებოდა. ეს ქუსტაკები, თავის მხრივ, ცალკეულ ქვეყნებად ნაწილდებოდა. კავკასიის ქუსტაკი 13 ასეთი ქვეყნისაგან შედგებოდა, რომელთა შორის პირველი იყო ატრპატაკანი (სამხრეთი აზერბაიჯანი), მეორე – არმნი (სომხეთი), მესამე – ვარჯანი (ქართლი), მეოთხე – რანი (ალვანეთი), მეხუთე – ბალასაკანი (მუღანის ველი არაქსის ქვემო წელზე), მეექვსე

– სისაკანი (სივნიეთი) და ა. შ. თითოეულს როგორც წესი, “მარზპანი” (მხარის უფროსი) მართავდა.

მართლაც, მას შემდეგ, რაც ქართლში გაუქმებულ იქნა ეროვნული ხელისუფლება, ქვეყნის უზენაეს მმართველად სპარსელებმა მარზპანი დანიშნეს. იგი მოიხსენიება “ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში”, რომელიც VI ს-ის შუა წლებში დაწერილი თხზულება უნდა იყოს. იქ, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ევსტათი სპარსეთიდან მცხეთაში მოვიდა “წელსა მეათესა ხუასრო მეფისასა და არვანდ გუშნასპისა მარზაპნობასა ქართლისასა”. ამგვარად, ხოსრო ანუშირვანის (531 – 579) მეფობის მეათე წელს ანუ 541 წელს ქართლის მარზპანი ყოფილა არვანდ გუშნასპი. იგი თბილისში ზის და ქვეყნის უზენაესი მმართველია. უშუალოდ მას ემორჩილება მცხეთის (და უეჭველია აგრეთვე სხვა ქალაქებისა თუ ციხესიმაგრეთა) გარნიზონის უფროსი, ციხისთავი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა ქართლში მეფობა გაუქმებული იყო და ქვეყანას სპარსელი დიდმოხელე მართავდა, ადგილობრივ წარჩინებულთა წრეში მას თავისი დასაყრდენი უნდა ჰყოლოდა. “ევსტათი მცხეთელის მარტვილობა” ამის შესახებაც გვაწვდის ინფორმაციას. სახელდობრ, იქ აღნიშნულია, რომ როდესაც ევსტათი მცხეთელის დაპატიმრების ექვსი თვის გასულს, სპარსეთის შაჰმა ქართლის მარზპანი, არვანდ გუშნასპი სამეფო კარზე გამოიძახა, მაშინ ეტიკეტისამებრ “შეკრბეს ქართლისა მთავარნი” მასთან გამოსამშვიდობებლად. და “რაჟამს ამჴედრდებოდა მარზპანი იგი, აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამოელ ქართლისა კათალიკოზი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუშა ქართლისა პიტიახში და სხუანი სეფეწულნი”, ითხოვეს მარზპანისგან ევსტათის შეწყალება. ქართლის მარზპანმა მათი თხოვნა შეასრულა. ცხადია, ეს “ქართლისა მთავარნი” თუ “სეფეწულნი” (სამეფო დინასტიის წარმომადგენელნი) შეადგენენ ადგილობრივი საზოგადოების უმაღლეს წრეს, რომელთა საშუალებითაც ახორციელებს ურთიერთობას მარზპანი მოსახლეობასთან. ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ირანის ადმინისტრაცია ქართლის ეკლესიასთანაც, საკმაოდ მტკიცედაა დაკავშირებული.

ირანული ადმინისტრაციის უშუალო მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე ცხადი შეიქნა, რომ იგი არა მარტო ხალხის ფართო ფენებისთვის იყო მძიმე, რამდენადაც მათ სხვა გადასახადებთან ერთად, ირანული ხარკის გადახდაც დაეკისრათ, არამედ წარჩინებული წრისთვის და კერძოდ, ერისთავებისთვისაც, რომელნიც ცოტა ხნის წინ ასე ადვილად “წარიბირნა ლიქნითა” რანის და მოვაკანის ირანელმა მარზპანმა. საქმე ის არის, რომ მას შემდეგ, რაც შაჰის ადმინისტრაციის აქტიური მცდელობით და ქართლის წარჩინებულთა უმაღლესი ფენის მხარდაჭერით, ქვეყანაში მეფობა გაუქმდა და ერთიანი ქართლის სამეფო, ფაქტობრივად, ცალკე საერისთავოებად დაიყო – “განდგეს ერისთავნი და თჳსთჳსად ხარკსა მისცემდეს” ირანის შაჰის დიდმოხელეს – სპარსელები დაინტერესებულნი უნდა ყოფილიყნენ შეენარჩუნებინათ ასეთი ვითარება, რადგან დაქუცმაცებული ქვეყნის მართვა და მორჩილებაში ყოლა გაცილებით უფრო ადვილი, უსაფრთხო და ხელსაყრელია.

მაგრამ ახალგაზრდა ფეოდალური ქვეყნის სოციალურეკონომიკური განვითარება სულ სხვას მოითხოვდა და საზოგადოებრივი ურთიერთობის იმდროინდელი დონის არსებობის

პირობებში ქართველ დიდმოხელე ერისთავებს ცალცალკე იზოლირებულად არსებობა არ შეეძლოთ.

ეკონომიკური ვითარება. ფაქტია ისიც, რომ მიუხედავად პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვისა, ქართლი VI ს-ის განმავლობაში ეკონომიკურ აღმავლობას განიცდის. ამის საფუძველი, რა თქმა უნდა უკვე V სის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასლის ცენტრალისტური პოლიტიკის წყალობით (რომელიც ქვეყნის კონსოლიდაციას ისახავდა მიზნად) იყო შექმნილი. მართლაც, ფრაგმენტული მასალა, რომელიც გაგვაჩნია, ამას ადასტურებს.

VI ს-ში ქართლის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგები, მეხორბლეობა და მევენახეობა აღმავლობას განიცდის. ფრიად განვითარებულია მესაქონლეობაც, კერძოდ, მეცხვარეობა, რაზედაც ურბნისის ნაქალაქარიდან მოპოვებული ძვლოვანი მასალა მეტყველებს. ბუნებრივია, ხელოსნობის განვითარებაც სათანადო დონეზე იდგა. წყაროები მიუთითებენ, მაგალითად, "მეხამლეთა" (ხარაზთა) და "მეჯადაგეთა" (დაბაღთა) კორპორაციების არსებობას, არქეოლოგიური მასალა ოქრომჭედლობის განვითარებას მოწმობს და სხვ. ყოველივე ამის შედეგად უნდა გაცხოველებულიყო აღებმიცემობაც და სავაჭროეკონომიკური ურთიერთობანი არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ გარე სამყაროსთანაც. მართლაც, პროკოპი კესარიელი აღნიშნავს, რომ პერსარმენიის ქალაქ დვინში "საქონელი შემოაქვთ ინდოეთიდან, მეზობელი იბერიიდან და თითქმის ყველა სპარსეთში მოსახლე ტომთა და რომაელების ქვეშევრდომ ზოგიერთ ხალხთა ქვეყნებიდან და ერთმანეთში აღებმიცემობას აწარმოებენ". ნიშანდობლივია, რომ ბიზანტიელი ისტორიკოსი ინდოეთის შემდეგ ქართლს ასახელებს სომხეთთან მოვაჭრე ქვეყნებს შორის, რაც ვაჭრობაში მის დიდ ხვედრით წონაზე უნდა მიუთითებდეს.

ამგვარად, როგორც წყაროთა მწირი მონაცემები, ასევე ნუმიზმატიკური მასალა მოწმობს, რომ VI ს-ის განმავლობაში ქართლი ეკონომიკური აღმავლობის გზაზეა. სასანური დრაქმების დიდი რაოდენობით ინტენსიური გავრცელება მხოლოდ საგარეოსავაჭრო ურთიერთობაზე კი არ უნდა მიგვითითებდეს, არამედ ქართლის ცალკეულ პროვინციათა შორის ეკონომიკური კავშირების გაცხოველებაზე, შინაგანი ბაზრის გაფართოებაზე. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა და აპირობებდა ცალკეულ საერისთავოებად გათიშული ქვეყნის შერწყმაგაერთიანების პროცესს.

ბუნებრივია, თუ შინაგანი სამეურნეო განვითარება და გარე სამყაროსთან სავაჭრო ურთიერთობის გაცხოველება იწვევს მნიშვნელოვანი სავაჭრო და ადმინისტრაციული ცენტრების შემდგომ დაწინაურებას. პირველ რიგში ეს უნდა ითქვას, ცხადია, თბილისის შესახებ. საამისო შესანიშნავი ცნობა შემოგვინახა "მოქცევაჲ ქართლისაჲს" ავტორმა, როდესაც ჩვენთვის საინტერესო ხანასთან დაკავშირებით აღნიშნავს: "მაშინ მცხეთაჲ ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდნებოდა". მნიშვნელოვანი ქალაქები იყო ამ დროისათვის უჯარმა, თვით მცხეთა, ალბათ სამშვილდე, ხუნანი, ურბნისი და სხვ. კერძოდ, ნიშანდობლივია, რომ სწორედ VI ს-ის შუახანებში შენდება ურბნისის გრანდიოზული საფორტიფიკაციო ნაგებობანი.

ზემოხსენებული საერთო ეკონომიკური აღმავლობის აუცილებელი შედეგი იყო ქართლის სხვადასხვა კუთხეების პოლიტიკური გაერთიანების ტენდენციის სწრაფი აღორძინება. საერისთავოებად დაყოფილი ძველი ქართლის სამეფოს ერთ პოლიტიკურ ერთეულად შერწყმის ხელოვნურად შეწყვეტილი პროცესის ხელახალი გაძლიერება. კერძოდ, ამას არ შეიძლება არ გამოეწვია მთისა და ბარის ურთიერთობის გაცხოველება, რაც ქმნიდა საფუძველს მათი შემდგომი დაახლოებისა და შერწყმისათვის. საამისო კონკრეტულ მითითებებს კვლავ ნუმიზმატიკური მასალა იძლევა. დამახასიათებელია მონეტათა აღმოჩენები თიანეთის რაიონიდან, სახელდობრ, ერწოდან. აღსანიშნავია თიანეთის განსაკუთრებული მნიშვნელობა მთის მფლობელობისათვის, რამდენადაც იგი ბუნებრივი ცენტრი იყო არაგვის, ივრის და ალაზნის ხეობათა მთიანეთისთვის. იგივე შეიძლება ითქვას, საკუთრივ, ერწოზედაც, მით უმეტეს, ჩვენ ვიცით, რომ IV ს-დან მაინც "ერწოთიანეთი" ერთიან ტერიტორიად განიხილებოდა.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ნუმიზმატიკური მასალის აღმოჩენა ერწოს ტერიტორიაზე, პირველ რიგში აღმოსავლეთი კავკასიონის მთისა ("კახეთის მთეულეთი") და ბარის სავაჭროეკონომიკური ურთიერთობის დამადასტურებელ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც კარგად დამოწმებული სხვა რიგის რეალიებითაც ვახტანგ გორგასლის დროს, კიდევ უფრო ინტენსიური ხდება VI ს-ში. სწორედ ამის მოწმობაა საუკუნის შუახანში ჩაფლული სასანური დრაქმების განძები თოლენჯიდან და სიმონიანთხევიდან.

ერისმთავრობის დაწყება. აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარე სოციალურეკონომიკური აღმავლობის ეს პროცესი მახვილი თვალით აქვს შენიშნული იმავე "მოქცევაჲ ქართლისაჲს" ავტორს: "ნელადრე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ". ეს ფაქტი "ქართლის შეკრებისა" ქვეყნის ზემოხსენებული ეკონომიკური აღმავლობის შედეგია და მოწმობაც. ფაქტობრივად, ეს იყო ქვეყნის კონსოლიდაციის, "ქართლის შეკრების" იმ მნიშვნელოვანი პროცესის ხელახალი წამოწყება, რომელსაც V ს-ის მეორე ნახევარში საფუძველი ჩაუყარა ვახტანგ გორგასალმა, მაგრამ საგარეო ძალის, სასანური ირანის ძალმომრეობის გამო დროებით შეფერხდა.

ამგვარად, ქართული წყაროების მიხედვით სპარსელთა პოლიტიკური ექსპანსიის შედეგად, ქართლის დიდმოხელე ერისთავთა თანხმობით VI ს-ის 30-იან წლებში გაუქმებული ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობა "შემდგომად ამისსა მცირედთა წელთა" კვლავ იქნა განახლებული ოღონდ არა "მეფობის", არამედ "ერისმთავრობის" ინსტიტუტის ფორმით და პირველი "ერისმთავარი" იყო "გუარამ დიდი".

ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა 550 – 555 წლებში უნდა მომხდარიყო.

გუარამ დიდმა, პირველმა ქართლის ერისმთავრმა, "დადვა საფუძველი პატიოსნისა ჯუარისაჲ", ანუ მცხეთის ჯვრის ეკლესიის მშენებლობა დაუწყია. როგორც ირკვევა მისი აშენებული უნდა იყოს მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესია.

571 წლისთვის ქართლის ერისმთავრად, ბიზანტიურ და სირიულ წყაროებში მოიხსენიება უკვე გურგენი. ქართლი ამ დროს ისევე, როგორც პერსარმენია, ბიზანტიასა და ირანს შორის 562 წ. დადებული 50 წლიანი ზავის პირობების თანახმად, ირანის ვასალური ქვეყანა იყო. მაგრამ 571

წელს სომხები ვარდან მამიკონიანის მეთაურობით ჯანყდებიან სპარსელთა წინააღმდეგ, კლავენ მათ მხედართმთავარს, რომელიც ქ. დვინში ხოსრო ანუშირვანის დავალებით ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრის აგებას აპირებდა, და გზავნიან მოციქულებს იმპერატორ იუსტინესთან, რომ მან სომხეთი თავის ქვეშევრდომობაში მიიღოს. იუსტინემ თანხმობა მისცა. თეოფანე ბიზანტიელი პირდაპირ მიუთითებს, რომ "ეს იყო მთავარი მიზეზი სპარსელთა და რომაელთა შორის არსებული ზავის დარღვევისა". იგივე ისტორიკოსი იქვე დასძენს, რომ სპარსელებს "მაშინვე გადაუდგნენ იბერებიც და მიემხრნენ რომაელებს: მათ მთავრობდა გორგენი". ეს უკანასკნელი იმპერატორთან მოსალაპარაკებლად კონსტანტინოპოლში ჩასულა, სადაც იგი დიდის პატივით მიუღიათ. უნდა ვიფიქროთ (თუმცა სათანადო პირდაპირი ცნობა არ არსებობს), რომ ისევე როგორც სომხეთში, ქართლშიც ირანული გარნიზონი ამოუხოციათ ან ქვეყნიდან განუდევნიათ. ყოველ შემთხვევაში შაჰს 572 – 573 წლებში სომხეთისა და ქართლის მორჩილებაში მოსაყვანად მხედართმთავარი გოლონ მიჰრანი გამოუგზავნია, რომელსაც დავალებული ჰქონია, როგორც სომეხი ისტორიკოსი გადმოგვცემს, "სომხეთში ამოეწყვიტა ყველა მამაკაცი". მართლაც, დიდი სისასტიკე გამოუჩენია მას ამ ქვეყანაში, რის შემდეგაც ომით წამოსულა ქართლზე და აქ კი დამარცხებულა.

ქართლში მთელი სამოცდაათიანი წლების განმავლობაში, თვით ოთხმოციანი წლების დამდეგამდე, სანამ ბიზანტიასა და ირანს შორის საომარი მოქმედებანი არ წყდებოდა, ბიზანტიური ლაშქარი იდგა და, ცხადია, იმ პერიოდში ქართლის ერისმთავარიც იმპერატორის ქვეშევრდომად ითვლებოდა.

ირანის ტახტზე 579 წელს ასულმა ჰორმიზდ IV-მ (579 – 590) ხოსრო ანუშირვანის შვილმა, ბიზანტიელ ელჩებს განუცხადა, რომ იგი არ აპირებს შეამციროს მამამისისგან მემკვიდრეობით მიღებული სახელმწიფოს ტერიტორია და თავის მხრივ, "აშკარად მოითხოვა – რომაელებს ხარკი ეხადათ, არმენიელები და იბერიელები ქვეშევრდომებად ჰყოლოდა – რომაელებს უნდა დაეთმოთ ეს მისთვის".

580 წელს კვლავ განახლდა ომი ბიზანტიაირანს შორის და საომარი მოქმედებები, როგორც ჩანს, პერსარმენიისა და ქართლის ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა, სადაც ტიბერიუსის მიერ აღმოსავლეთის სარდლად დანიშნულ მავრიკის (მომავალ კეისარს) წარუმატებელი ბრძოლები ჰქონდა.

ფაქტი ერთია, რომ 571 – 580 წლებში ქართლი და პერსარმენია ბიზანტიის გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნებია, და ამდენადვე, ცხადია, რომ ქართლის ერისმთავარი გურგენი, 571 წლის ანტიირანული აჯანყების მედროშე ქართლში, ამ დროს ბიზანტიის ქვეშევრდომი უნდა ყოფილიყო.

გურგენი საკმაოდ ძლიერი მმართველია, მისი სახელითაა მოჭრილი პირველი ეროვნული მონეტა ქართული ზედწერილით, რაც აშკარად გამოხატავს მის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს მმართველის პრეტენზიას. გურგენი არა მარტო ბრძოლით, არამედ ქართლის პოლიტიკოსთათვის უკვე ჩვეული დიპლომატიური ლავირების საშუალებით, შეეცადა მაქსიმალური სარგებლობა მოეტანა თავისი ქვეყნისათვის, რომელიც ეკონომიკური და

კულტურული აღმავლობის გზაზე იდგა და, ცხადია, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ესწრაფვოდა.

გურგენის მონოგრამიანი ქართულსასანური მონეტები ნუმიზმატთა თანხმობრივი აღიარებით ჰორმიზდ IV-ის მიერ მოჭრილი ორიგინალების მინაბაძია და ამდენად VI ს-ის 80-იანი წლებით უნდა დათარიღდეს. მართლაც, ერთერთ ასეთ მონეტაზე იკითხება თარიღი – შვიდი, რაც გულისხმობს მონეტის ემისიას ჰორმიზდის მეფობის მეშვიდე წელს ანუ 584 წ. ეს არის იმის ცხადი მოწმობა, რომ 584 წელს ქართლის ერისმთავარი კვლავ გურგენია და ამდენად მისი ზეობის მიახლოებითი თარიღიც ცნობილი ხდება – 571 – 584 წლები.

გარდა ამისა სავარაუდოა, რომ 580 წლის შემდეგ 584 წმდე ჰორმიზდ IVს მოუხერხებია, ბოლოს და ბოლოს, რომაელთა გარნიზონებისაგან ქართლის დაცლა და ქვეყანაზე თავისი გავლენის გავრცელება. ამაზე სწორედ ის მიუთითებს, რომ გურგენის სახელით მოჭრილი მონეტა სასანური მონეტების და, კერძოდ, ჰორმიზდ IV-ის დროინდელი ემისიის მინაბაძია. თუმცა, ჩანს, მრავალწლიან ბრძოლას უკვალოდ არ ჩაუვლია და ქართლის ერისმთავარს დამოუკიდებლობის გარკვეული სტატუსი მაინც შეუნარჩუნებია, რასაც მონეტაზე მისი ქართული ზედწერილი უნდა მოწმობდეს. ამას ქართლის შემდგომი პოლიტიკური ევოლუციაც ადასტურებს, რაც კარგად აისახა სწორედ ნუმიზმატიკურ მასალაზე.

გუარამ კურაპალატი. 589 წელს ქართლის ტახტზე გუარამ II ზის.

ისევე, როგორც გურგენი, “მოქცევაჲ ქართლისაჲში” და “ქართლის ცხოვრებაშიც” მოხსენიებული გუარამ (II) კურაპალატიც სრულიად რეალური პიროვნება უნდა იყოს, რასაც მოწმობს მასთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენები, რომელთა შესახებ “ქართლის ცხოვრება” მოგვითხრობს.

მას შემდეგ, რაც მან ქართლის ერისმთავრობა მიიღო, გადმოგვცემს მემატიანე, “კეისარმან წარმოსცა განძი დიდი გუარამ კურაპალატსა თანა, და უბრძანა, რათა მით განძითა გამოიყვანნეს ჩრდილოს ლაშქარნი, და შეერთნეს თანა სპანი ქართველთანი, და შეგზავნეს სპარსეთს. ხოლო გუარამ ყო ეგრე: გამოიყვანნა ოვსნი, დურძუკნი და დიდონი, და წარუძღუანნა წინა ერისთავნი ქართლისანი. შევიდეს ადარბადაგანს, დაუწყეს ტყუენვად. და ესევითარნი ჭირნი და უცალოებანი მოიწივნეს სპარსთა ზედა.

მაშინ გამოჩნდა სპარსეთს კაცი ერთი, რომელსა ერქუა ბარამ ჩუბინი. ეს ეწყო თურქთა სპარსეთს შემოსრულთა, ვითარცა წერილ არს განცხადებულად ცხოვრებასა სპარსთასა, მოკლა საბა თურქთა მეფე, და აოტა ბანაკი მათი. ხოლო სპანი იგი ბერძენთანი, რომელნი შესრულ იყვნეს სპარსეთს შეიქცეს და წარვიდეს შინა. და ჩრდილონი იგი, გუარამ კურაპალატისა შეგზავნილნი, წარმოვიდეს იგინიცა შინა”.

აქ მოთხრობილია სრულიად რეალური ამბავი.

VI ს-ის მეორე ნახევარში ცენტრალური და შუა აზიის უზარმაზარ სივრცეზე წარმოიქმნა მომთაბარე თურქთა სახელმწიფო ე. წ. თურქთა კაგანატი. 565 წელს თურქებმა დაიმორჩილეს სოღდი. სოღდელები ცხოვრობდნენ დიდ საქარავნო გზაზე, რომელსაც “აბრეშუმის გზას”

უწოდებენ. იგი იწყებოდა ჩინეთში, სოღდის ქალაქებზე გავლის შემდეგ გადასჭრიდა ირანს და ბიზანტიის მცირეაზიური ტერიტორიით კონსტანტინოპოლამდე აღწევდა. ერთერთი განშტოება ამ გზისა ამიერკავკასიაზეც გადიოდა. ამ საქარავნო გზის უმეტეს ნაწილს ირანი აკონტროლებდა და ძალიან დიდ სარგებელს იღებდა საშუამავლო ვაჭრობაში. ბიზანტიის იმპერია, რომელიც აბრეშუმის უდიდესი მომხმარებელი იყო, ფაქტობრივად, ამ თვალსაზრისით ეკონომიკურად ირანზე იყო დამოკიდებული. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ცდილობდა რაც შეიძლება ძვირად მიეყიდა საქონელი იმპერიისთვის. ირანის ჩრდილო აღმოსავლეთით წარმოქმნილი თურქთა კაგანატი მისთვის სახიფათო მეზობელი იყო, ხოლო სოღდელი ვაჭრები არასასურველი კონკურენტები. თვით მომთაბარე თურქებიც დიდად იყვნენ დაინტერესებულნი მათი ქვეშევრდომი სოღდელი ვაჭრების საშუალებით უშუალო კონტაქტი დაემყარებინათ ბიზანტიის იმპერიასთან, რასაც ირანი, ცხადია, სასტიკად ეწინააღმდეგებოდა. ამ ეკონომიკურ და პოლიტიკურ წინააღმდეგობათა ბუნებრივი შედეგი იყო ბიზანტიისა და თურქეთის კაგანატის ურთიერთკავშირის დამყარება ირანის საწინააღმდეგოდ. ეს კავშირი ამიერკავკასიის მეშვეობით ხორციელდებოდა, რამდენადაც ჩრდილო კავკასიის სტეპებში მობინადრე მომთაბარე ტომებზე თურქთა კაგანატის გავლენა ვრცელდებოდა. ასე აღმოჩნდა საქართველოს ტერიტორია, კერძოდ, ქართლის საერისმთავრო VI ს-ში კიდევ ერთ საერთაშორისო ურთიერთობათა კოლიზიებში ჩათრეული.

შეიქმნა კოალიცია ირანის წინააღმდეგ. ბიზანტიელთა და თურქთა ერთიანი მოქმედების კოორდინაცია, როგორც ჩანს, გუარამ კურაპალატის მეშვეობით მიღწეულ იქნა 589 წელს. ამ წლის ზაფხულს ირანი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მტრებმა იგი ყოველმხრივ ალყის რკალში მოამწყვდიეს. საომარი კამპანია დაიწყო 589 წლის მაისში, როდესაც დასავლეთის თურქები (ხაზარები) დარუბანდის გზით ჩრდილოდასავლეთ ირანს (ადარბადაგანს) შეესივნენ. ირანელებმა მოახერხეს მათი მოგერიება და განდევნა. მაგრამ ზაფხულში მათ მაგივრად ჩრდილოკავკასიელები და ქართველები გამოჩნდნენ გუარამ კურაპალატის მეთაურობით. ამავე დროს ბიზანტიელები შუამდინარეთს შეესივნენ, ხოლო იმპერატორის წაქეზებით არაბები ირანის სამხრეთდასავლეთ სანაპიროებს არბევდნენ. მაინც ყველაზე დიდი საშიშროება ირანს თურქებმა შეუქმნეს აღმოსავლეთში, საიდანაც შეიჭრა სავეშაჰი (საბა თურქთა მეფე), “ჩინეთის თურქთა” მეთაური და ჰერათამდე შეაღწია. მის წინააღმდეგ ჰორმიზდ IV-ის ბრძანებით გაიგზავნა სახელგანთქმული მხედართმთავარი ბარამ ჩუბინი, რომელიც მანამდე, ჯერ კიდევ ხოსრო ანუშირვანის დროიდან, სომხეთის და აზერბაიჯანის მარზპანი ანუ, ფაქტობრივად, ირანის ჩრდილოეთის ქუსტაკის გამგებელი იყო. ბარამ ჩუბინმა შესძლო 12000 რჩეული მეომრით დაემარცხებინა ჰერათის ბრძოლაში თურქები, რომელთა მეთაური სავეშაჰიც მან თავისი ხელით მოკლა. ბარამ ჩუბინის ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ ირანი განადგურებას გადაარჩინა: ამ ამბის გამგონე ბიზანტიელებმა, არაბებმა და კავკასიელებმა გუარამ კურაპალატის მეთაურობით შეწყვიტეს საომარი მოქმედება დასავლეთში და როგორც ქართული წყარო გვაუწყებს, “შეიქცეს და წარვიდეს შინა”. ასე დამთავრდა ეს დიდი შეჯახება ერთი მხრივ, ბიზანტიასა და ირანს შორის, მეორე მხრივ, მეჯოგემომთაბარე თურქებსა და იმავე ცივილიზებულ ირანს შორის და რომლის აქტიური მონაწილეც ქართლის ერისმთავარი გუარამიც იყო.

ყველაფერი ზემოთქმული ეჭვს არ ტოვებს იმაზე, რომ “ქართლის ცხოვრების” ცნობა რეალურისტორიულ მოვლენას ასახავს და ამდენად ისიც სარწმუნო უნდა იყოს, რომ 589 წლის ამ დიდი მასშტაბის სამხედრო ავანტიურის მონაწილე სწორედ ქართლის ერისთავი გუარამი უნდა ყოფილიყო.

რადგან 589 წელს გუარამი ბიზანტიის კეისრის “ბრძანებით” მოქმედებს, ცხადია, იგი ბიზანტიელთა ვასალია, ეს კი ნიშნავს, რომ ამ დროისთვის ქართლი კვლავ გამოსულია სპარსელთა ქვეშევრდომობიდან, რისი დასტური ისიცაა, რომ გუარამი კურაპალატად მოიხსენიება. ამას უნდა მოწმობდეს აგრეთვე ერთი ჯგუფი ქართულსასანური მონეტებისა, რომლებზეც ჯვარია გამოსახული და რომელიც სწორედ ამ ერისმთავრის ემისია უნდა იყოს. მონეტაზე თავისი სახელის აღნიშვნას, მისი წინამორბედის, გურგენისაგან განსხვავებით, მან ჯვრის – ქართული ეროვნულკულტურული თვითმყოფადობის და ამავე დროს ირანისაგან დამოუკიდებლობის სიმბოლოს გამოსახვა ამჯობინა, რაც, მართლაც, რევოლუციური აქციის ტოლფასი იყო და სწორედ მას შეეფერებოდა, რამდენადაც იგი ირანს კი არ აუჯანყდა მხოლოდ, რაც თავისთავად არც თუ იშვიათი ამბავი იყო, არამედ ომი გამოუცხადა მას, შეიჭრა მის ტერიტორიაზე და კოალიციის სხვა წევრებთან ერთად გარკვეული ხნის განმავლობაში წარმატებითაც მოქმედებდა.

ბარამ ჩუბინის მიერ ჰერათში თურქთა ლაშქრის განადგურებამ რადიკალურად შეცვალა ვითარება “და ჩრდილონი იგი, გუარამ კურაპალატისა შეგზავნილნი, წარმოვიდეს იგინიცა შინა; რამეთუ ვინათგან მოიცალეს სპარსთა თურქთაგან, შეშინდეს, და დაეცა შიში და ძრწოლა ქართველთა სპარსთაგან. და ამან გუარამ კურაპალატმან იწყო ციხეთა და ქალაქთა მაგრებად”.

მაგრამ ცოტა ხანში სიტუაცია კვლავ დიამეტრალურად შეიცვალა და ჰორმიზდით უკმაყოფილო ბარამ ჩუბინი თვით აუჯანყდა ირანის შაჰს. ამან საერთო არეულობა გამოიწვია ირანში. დიდებულებმა ჰორმიზდი გადააყენეს და თვალები დასთხარეს. ტახტზე ასულ მის მემკვიდრეს ხოსრო ფარვიზს ბარამ ჩუბინი ამარცხებს და თვით ჯდება ირანის შაჰად. მისი ეფემერული მეფობა ერთ წელიწადს გაგრძელდა. მავრიკი კეისრისაგან ძალმოცემული ხოსრო უკან ბრუნდება, ამარცხებს ბარამ ჩუბინს და 591 წ. ხელმეორედ ჯდება ტახტზე.

ყველაფერი ეს ლაკონურად, მაგრამ ისტორიული რეალიების სრული შესატყვისობით გადმოცემული აქვს “ქართლის ცხოვრების” მემატიანეს, რომელიც ხაზს უსვამს, რომ სწორედ ამ არეულობამ ირანში გადაარჩინა ქართლი შაჰის შურისძიებას.

ქართლის დანაწილება. სტეფანოზ I. ბიზანტიის კეისრის დახმარების საზღაურად ხოსრო ფარვიზი იძულებული იყო დაპირებისამებრ დაეთმო ბიზანტიისათვის ირანის დასავლური პროვინციები, მათ შორის პერსარმენიის დიდი ნაწილი ქ. დვინამდე და აგრეთვე “ქართლის დიდი ნაწილი ქალაქ თბილისამდე”. მიუხედავად იმისა, რომ სომეხი ისტორიკოსის, სებეოსის ეს ცნობა თავისთავად თითქოს სავსებით კონკრეტული და ნათელია, მაინც ბუნდოვანი რჩება თუ როგორ განაწილდა ქართლი ბიზანტიასა და ირანს შორის. ქართულ წყაროებში, სამწუხაროდ, ამის შესახებ არაფერია თქმული. ერთი კი თითქოს ცხადია, რომ ქართლის უდიდეს ნაწილში ბიზანტიის გავლენა დამკვიდრდა: შესაძლოა, სებეოსის ცნობიდან გამომდინარე, ვივარაუდოთ,

რომ თბილისი და ამდენადვე, ცხადია, მის აღმოსავლეთით მდებარე კახეთი (და ქვემო ქართლიც?) ირანელთა ხელში დარჩა.

ქართლის ერისმთავრები თბილისში ვეღარ დარჩებოდნენ, რადგან ისინი სწორედ ბიზანტიის ხელქვეითნი არიან. ამას მოწმობს, "ქართლის ცხოვრების" პირდაპირი მითითება, რომ მას შემდეგ, რაც მოლაპარაკების შედეგად, ქართლის დიდი ნაწილი ბიზანტიას გადაეცა, "განთავისუფლდეს ქართველნი და ესე გუარამ კურაპალატი დადგა მორჩილებასა ზედა ბერძენთასა". მისი რეზიდენცია მცხეთაში უნდა ყოფილიყო.

გუარამ კურაპალატის შემდეგ ქართლის ერისმთავრად მისი შვილი, სტეფანოზი ჯდება, რომელიც "მოქცევაჲ ქართლისაჲს" ქრონიკაში "დიდ სტეფანოზად" იხსენიება. ეს არის მცხეთის ჯვრის ტაძრის მაშენებელი სტეფანოზი.

სტეფანოზ I-ის ერისმთავრობა დაახლოებით 593 – 604 წლებზე მოდის. მისი საგამგეო, რომელიც ქართლის სახელმწიფოს უდიდეს ნაწილს მოიცავს, თავისუფალია სპარსელთა პოლიტიკური და კულტურული ზეგავლენისგან. თვით სპარსეთშიც ბიზანტიელთა წყალობით გამეფებული ხოსრო II კეთილგანწყობილ ატმოსფეროს ქმნის ქრისტიანთა მიმართ და ქრისტიანობა იქ მაზდეიზმს უპირისპირდება. მეორე მხრივ ბიზანტია, რომელიც დიდი ხანია იბრძოდა ქართლის დასაუფლებლად, დაინტერესებული უნდა ყოფილიყო ქართლის სიძლიერით თავისი ჩრდილოაღმოსავლეთი პერიფერიის და, კერძოდ, ლაზიკის უსაფრთხოებისათვის, რომლის მიმართ ირანის ამასწინანდელი პრეტენზიები, რა თქმა უნდა, ბიზანტიის სამეფო კარს კარგად ახსოვდა. ასეთი პოლიტიკური ვითარება ქართლისათვის, მისი კულტურული და პოლიტიკური აღორძინებისათვის, ფრიად ხელსაყრელი იყო და ეს არ შეიძლება არ გამოეყენებინა მის გამგებელს.

სტეფანოზმა, როგორც გონიერმა პოლიტიკოსმა, ცხადია, ისარგებლა ამით. ეს კარგად ჩანს მისი სახელით მოჭრილი მონეტების მიხედვით. როგორც ცნობილია მის მიერ ორი ტიპის მონეტებია მოჭრილი, რომლებიც ზოგადად კვლავ სასანური დრაქმების მინაბაძებს წარმოადგენენ. პირველი ტიპის შუბლზე წრეხაზში ჩასმული ჰორმიზდ IV-ის პორტრეტია გამოსახული ფალაური წარწერით, მაგრამ წრეხაზის გარშემო, მონეტის კიდეზე ნახევარმთვარეებში ჩასმული ოთხი ქართული ასოა – "სფნს" – სტეფანოს. ზურგზე – ორ მცველს შორის მოთავსებული საკურთხევლის სვეტზე იქ, სადაც სასანურ მონეტებზე ცეცხლია გამოსახული, დგას ჯვარი. ეს მონეტა უნიკუმს წარმოადგენს და დაცულია ბერლინის მუზეუმში. მეორე ჯგუფის მონეტებზე, რომელიც ათზე მეტია ჩვენამდე მოღწეული, აღარ არის არავითარი ფალაური ზედწერილი, შუბლზე თვით სტეფანოზის გამოსახულებაა, მსგავსი ჰორმიზდ IV-ისა, ორმაგ წრეხაზში ჩასმული. ბიუსტის ორივე მხარეს კი წრეხაზშივე, ასომთავრული შრიფტით დაუქარაგმებიათ – "სტეფანოს". ორივე ჯგუფი მონეტებისა მიეკუთვნება სტეფანოს I-ს, და მიუთითებს მისი, როგორც სუვერენის, ფაქტობრივ დამოუკიდებლობაზე.

მართალია, 591 წლიდან, როგორც ვიცით, ქართლის დიდი ნაწილი, მცხეთის ჩათვლით, ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა, რაც იმითაც დასტურდება, რომ სტეფანოსი, როგორც მის მიერ აგებული მცხეთის ჯვრის ბარელიეფის წარწერა გვიდასტურებს,

პატრიკიოსის ტიტულს ატარებდა (მანამდე, უკვე გუარამს ჰქონდა კურაპალატის ტიტული!), მაგრამ, ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, სავარაუდოა, იგი, ფაქტობრივად, მართლაც, დამოუკიდებელი მმართველი უნდა ყოფილიყო.

როგორც ზემოთ აღინიშნა, VI საუკუნე, მიუხედავად პოლიტიკურად დაძაბული სიტუაციისა, ქართლის ეკონომიკური აღმავლობის პერიოდია. ამ პროცესს, რომელიც განუხრელად ვითარდებოდა VII ს-ის დასაწყისშიც, არ შეიძლება ქართული ეროვნული კულტურის განვითარების და ინტეგრაციის მძლავრი იმპულსები არ შეექმნა.

ეს ჩანს, ჯერ ერთი, ე. წ. "ასურელ მამათა" მოღვაწეობით, რომელთა ქართლში მოსვლას ისტორიული წყაროები, ჩვენთვის უკვე ცნობილი მეფის, ფარსმანის ზეობის ხანას უკავშირებს. ისინი მოდიან ქართლში ქვეყნის გასანათლებლად "სარწმუნოებითა მართლითა" და "წმიდისა სამებისა" ანუ მართლმადიდებლური, დიოფიზიტური მრწამსის განსამტკიცებლად. იოანე ზედაზნელმა "წარავლინნა მათგანნი რომელნიმე კახეთად და რომელნიმე კუხეთად კერძო, და რომელნიმე ზენა კერძო სოფლით", "ხოლო ნეტარი დავით გარესჯისა უდაბნოსა... ხოლო ეზედრიოს ჭალაკთა სამთავისისასა". "ერთმან ვინმე მათგანმან აღაშენა ალავერდი... და სხუამან ქუაბი იულთისაჲ, და სხუათა დაჰნერგნეს კუხეთს მონასტერნი, და ერთმან უდაბნოჲ გარესჯისაჲ... ხოლო ერთმან ზენასოფელსა (შიდა ქართლში, დ. მ.) აღაშენა მონასტერი"...

სწორედ ამ ეკონომიკური აღმავლობის პროცესის რეალურობით უნდა ყოფილიყო განპირობებული ის დიდი წარმატება, რომელიც ამ მონაზვნებს ხვდა წილად "მთეულთა" ქრისტიანობაზე მოქცევის საქმეში.

განხეთქილება სომხებთან. ყველაფერ ამის შედეგად VII ს-ის დასაწყისში მოხდა უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი, რომელმაც, არსებითად, განსაზღვრა საქართველოს მომავალი ისტორიული განვითარების მიმართულება. ეს იყო სარწმუნოებრივი განხეთქილება სომხებთან. საქმე ის არის, რომ ამ დროისათვის ფრიად დაიძაბა ურთიერთობა ქრისტიანობის სხვადასხვა სექტებს, განსაკუთრებით კი ორი ძირითადი მიმდინარეობის, მონოფიზიტობის და დიოფიზიტობის მიმდევართა შორის. დოგმატურ ნიადაგზე მიმდინარე პოლემიკა, არსებითად, პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემას შეეხებოდა. ბიზანტიის იმპერიის ქვეშევრდომ ხალხთა შორის, რომლებიც ცდილობდნენ განთავისუფლებულიყვნენ მისი პოლიტიკური გავლენისაგან, ნაყოფიერ ნიადაგს პოულობდა მართლმადიდებლური სახელმწიფოს ოფიციალური მრწამსისაგან განსხვავებული სხვადასხვა მწვალებლური (სექტანტური) მიმართულებანი, რომელთაც, თავის მხრივ, როგორც წესი, მხარს უჭერდა ირანის შაჰის ხელისუფლება. ამ დროისათვის განსაკუთრებით გავრცელებული იყო ბიზანტიის აღმოსავლურ პროვინციებში მონოფიზიტიზმი (სირიაპალესტინა, ეგვიპტე), რომელიც, ერთი მხრივ, ერთგვარად უპირისპირდებოდა იმპერიულ მართლმადიდებლობას (დიოფიზიტიზმს), ხოლო მეორე მხრივ, ირანის შაჰის მფარველობით სარგებლობდა. სომხეთმა, რომლის უდიდესი ნაწილი (ე. წ. პერსარმენია) დიდი ხანია, რაც ირანის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ამჯერადაც, VII ს-ის პირველ წლებში ბიზანტიის ქვეშევრდომობიდან გამოსული, ირანის პროვინციად ქცეულიყო, ირანში დაშვებული ქრისტიანული მიმდინარეობა ანუ

მონოფიზიტიზმი აღიარა თავის სარწმუნოებრივ მრწამსად. სომხებს ეს ხელს აძლევდა, რადგან გარდა იმისა, რომ შაჰის ხელისუფლება მათდამი ლოიალური იყო, ამ უკანასკნელის ხელშეწყობით სომხური ეკლესია, რომელიც საკმაოდ ძლიერ ორგანიზაციას წარმოადგენდა, ცდილობდა თავისი კულტურული გავლენა ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებზეც (იბერია, ალვანეთი) გაევრცელებინა. ეს კი, ერთი მხრივ, ნიშნავდა ირანის პოლიტიკური გავლენის გავრცელებასაც ამ ქვეყნებზე, და კერძოდ, ქართლზე და, მეორე მხრივ, სომხეთის მიერ ამ ხალხთა, კერძოდ, იბერიელთა კულტურულ ასიმილაციას ანუ, საბოლოო ჯამში გასომხებას, რამდენადაც მონოფიზიტური ქრისტიანული კულტის აღიარება, ამიერკავკასიაში სომხურენოვან მღვდელმსახურებას გულისხმობდა.

ცხადია, ქართლის მესვეურთათვის ეს სრულიად მიუღებელი იყო. რომ VI ს-ის შუაში, დაახლოებით ნახევარსაუკუნოვანი წყვეტილის შემდეგ, ხელმეორედ "შეკრებილი" ქართლი, კვლავ ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული აღორძინების გზაზე შედგა და საგარეო პოლიტიკური პროცესების განვითარების შესაბამისად საუკუნის ბოლოსათვის, ფაქტობრივად, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა. მას თვით ჰქონდა პრეტენზიები და შესაძლებლობაც თავისი ნაციონალური კულტურის არა მხოლოდ დამკვიდრებისა თავის საკუთარ ტერიტორიაზე, არამედ მისი გავრცელებისაც მეზობელ მხარეებში. მეორე მხრივ, უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის პირველივე წლებიდან დაწყებული, როგორც იყო ზემოთ აღნიშნული, ქართლი, არსებითად, პროდასავლურ პოლიტიკურკულტურულ ორიენტაციას დაადგა. ამდენად არჩევანი, ფაქტობრივად, უკვე დიდი ხნის წინ იყო გაკეთებული და სომხეთთან სარწმუნოებრივი განხეთქილება გარდაუვალი იყო.

კონფლიქტი დაიწყო იმით, რომ ქართლის კათოლიკოსმა კირიონმა ქვემო ქართლის ეპარქიაში, ცურტავის საეპისკოპოსოს ე. წ. "შუშანიკის სამარტვილეში", სადაც V სდან დაწყებული, მღვდელმსახურება სომხურ ენაზე წარმოებდა, ქართულად წირვის შემოღებაც აუცილებელი გახადა, რაც, ფაქტობრივად, ნიშნავდა ცურტავის ეპარქიაში, სადაც ქართველებთან ერთად, როგორც ჩანს, სომხური მოსახლეობაც იყო, ქართულის სავალდებულო ენად დამკვიდრებას. ამან გამოიწვია ეროვნებით სომეხი მოსე ცურტავის ეპისკოპოსის პროტესტი. იგი სომხეთში გაიქცა და სომეხთა კათალიკოსის მოადგილეს, ვრთანესს, რომელიც მაშინ სომხეთის ეკლესიას განაგებდა (602/3 – 605/6 წწ.), წერილობით შესჩივლა, ვითომ მისი მონოფიზიტური მრწამსის გამო იგი გამოაძევეს საქართველოდან. ამის შედეგი იყო მწვავე მიწერმოწერა სომხური ეკლესიის მესვეურებისა კირიონ ქართლის კათოლიკოსთან, რომელიც რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა. სომხები თავგამოდებით ცდილობდნენ ქართველებს ანტიქალკედონური ანუ მონოფიზიტური მრწამსი ეღიარებინათ და ამდენად სომხურისა და თვით სპარსეთის ქრისტიანული ეკლესიის ტრადიციას და მოძღვრებას მიმხრობოდნენ. ისინი მუქარასაც არ ერიდებოდნენ და იმჟამად სომხეთში მყოფ სპარსეთის დიდმოხელეს, გურგანის მარზპანს სუმბატ ბაგრატუნის სთხოვდნენ კიდეც "აეღო მახვილი და ყოველ ქართლს შერკინებოდა". მეორე მხრივ, მათ სპარსეთის შაჰთანაც უჩივლიათ და, როგორც არსენი საფარელი ამბობს: "მაშინ სომეხთა შეასმინეს ქართლი მეფეთა თანა სპარსთასა, ვითარმედ ჰრომთა უპყრია სარწმუნოებაჲ". მიუხედავად ამისა კათალიკოსი კირიონი, ქართლის

ერისმთავარი ადარნერსე და სხვა მთავრები მტკიცედ იდგნენ ბიზანტიის ოფიციალური სარწმუნოებრივი მრწამსის, დიოფიზიტიზმის პოზიციებზე, რამაც საბოლოოდ, 607/8 წელს სომხეთსა და ქართლს შორის საეკლესიო განხეთქილება გამოიწვია. ქართლში ყველგან ქართული საეკლესიო მღვდელმსახურება დაწესდა.

კიდევ მეტი. ქართული ლიტურგია და ე. ი. ქართული ენა და მწერლობა ქართლის ფარგლებს გარეთაც ვრცელდებოდა. ჯერ ერთი, ბუნებრივია, თუ ქართლის კულტურის გავლენა ვრცელდებოდა დასავლეთ საქართველოზეც, სადაც უძველესი დროიდანვე იყო დაწყებული აღმოსავლურქართული ეთნიკური ელემენტის ინფილტრაცია არგვეთიდან და სამცხიდან.

ქართლის ეკლესიის გავრცელება. VII ს-ში დასავლეთ საქართველო ეკლესიურად ბიზანტიას ემორჩილებოდა. აქ იყო შექმნილი, ფასიდის (ფოთის) სამიტროპოლიტო, რომელიც მოიცავდა ოთხ საეპისკოპოსოს: როდოპოლისის (ვარდციხის), ცაიშის, პეტრას და ზიგანევთა (გუდაყვის). თავის მხრივ ფოთის სამიტროპოლიტო იერარქიულად კონსტანტინოპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდა. ეს მოწმობს, რომ ამ დროს დასავლეთ საქართველოში მღვდელმსახურება ბერძნულ ენაზე წარმოებს. მაგრამ, VI ს-ის ბოლოს და VII ს-ის დასაწყისში, ქართლის ეკლესიასაც აქ თავისი საკუთარი საწმყსო რომ უნდა ჰყოლოდა, ამაზე მიუთითებს სომეხი ისტორიკოსი ჰოვანეს დრასხანაკერტცი, რომლის ცნობით, ზემოხსენებული კირიონი ხელდასმულ იქნა "ქართლის სამწყსოს, გუგარეთისა და ეგრისის არქიეპისკოპოსად წინანდელ წესთა მაგალითისამებრ". ქართლის სამწყსო თუ მხარე აქ "ზემო ქართლს" ანუ გვიანდელ "მესხეთს" გულისხმობს, გუგარეთი//გუგარელნი საკუთრივ "აღმოსავლეთ ქართლს" (ქართლსა და კახეთს), ხოლო ეგრისი//მეგრელნი – დასავლეთ საქართველოს. ამ ცნობის მიხედვით გამოდის რომ, VI – VII სს-თა მიჯნაზე ქართლის კათოლიკოსს ხელი მიუწვდებოდა დასავლეთ საქართველოს გარკვეულ ნაწილზე მაინც.

ეჭვი არ არის, რომ VII ს-ის დასაწყისში ქართული ენა და ქართული ეროვნული კულტურა საგრძნობლად ზღუდავს ბერძნულბიზანტიური ენისა და კულტურის სარბიელს დასავლეთ საქართველოში. ეს, როგორც ვიცით, მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო აღმოსავლურქართული ეთნიკური ელემენტის შეღწევით დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე, რაც კარგად საბუთდება, ქართული ისტორიული ტოპონიმიკით, რომელიც აქ დამოწმებულია სწორედ ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში, სახელდობრ VI ს-ში, ბიზანტიელი ისტორიკოსის, პროკოპი კესარიელის მიერ: კუტატის – ქუთათისი (ქუთაისი); არქაიოპოლისი (ძველი ქალაქი) – ნოქალაქევი; როდოპოლის – ვარდციხე; მდ. იპპის – ცხენისწყალი; მდ. ბოას – ყვირილა. როგორც ვხედავთ, ზოგიერთი ტოპო – თუ ჰიდრონიმი პირდაპირ თარგმანს წარმოადგენს ბერძნულად ქართულიდან (როდოპოლისი, მდ. იპპისი, მდ. ბოასი, არქაიოპოლისი).

ასეთივე ვითარება უნდა ყოფილიყო ქართლის საერისმთავროს აღმოსავლეთ პერიფერიაზე, ჰერეთში, სადაც ქართულთან ერთად ალვანური მოსახლეობაც ცხოვრობდა და თუ დასავლეთ საქართველოში ქართულ ეროვნულ კულტურას ბიზანტიურ გავლენასთან უხდებოდა ბრძოლა, აღმოსავლეთით მას ალვანურის გარდა სომხური ქრისტიანული კულტურა უწევდა მეტოქეობას.

ეს დიდი ეროვნულკულტურული მოძრაობა, რომელიც ახალგაზრდა ფეოდალური ქართლის ეკონომიკურ სიმძლავრეს ეფუძნებოდა, ფაქტობრივად, ქვეყნის კონსოლიდაციის, "ქართლის შეკრებისა" და "ყოველი ქართლის" შექმნის იმ მნიშვნელოვანი პროცესის ხელახალი წამოწყება იყო, რომელსაც V ს-ის მეორე ნახევარში ვახტანგ გორგასალმა ჩაუყარა საფუძველი, მაგრამ საგარეო ძალის, სასანური ირანის ძალმომრეობის გამო დაახლოებით ნახევარი საუკუნით შეფერხდა. VI ს-ის მეორე ნახევრიდან ქართლი ახალი ენერგიით იწყებს ამ დიდი ეროვნული საქმის განხორციელებას. ახლაც ქვეყნის მესვეურები თავისი მიზნებისათვის იყენებდნენ ქრისტიანულ ეკლესიას. ეროვნულიდეოლოგიური კონსოლიდაციის პროცესი ახალი ძალით იშლება ქართლის, ეგრისის და ჰერეთის ტერიტორიაზე. ამის დასტურია ჯვრის ტიპის ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა ქართლში (მცხეთა, ატენი), ეგრისში (მარტვილი) და ჰერეთში (შუამთა), კირიონის ხელდასმა ქართლის, გუგარეთის და ეგრისის კათოლიკოსად. იგივე პროცესი, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ქართლის მთისა და ბარის დაახლოებისა და შემდგომი შერწყმის საფუძველს ქმნიდა.

ეგრისი VI საუკუნეში

ეგრისის გამოყოფა ქართლისაგან. 523 წელს, "... ლაზთა მეფე წათი გადაუდგა სპარსელთა სამეფოს, როდესაც იქ მეფობდა კავადი, რომელსაც წათი იმდენად უყვარდა, რომ ის ლაზთა მეფედ დააყენა. წათი წავიდა ბიზანტიონში იუსტინესთან (518 – 527 წწ.) და სთხოვა მეფეს, რათა მას გაექრისტიანებინა ის და მასვე ეკურთხებინა ის ლაზთა მეფედ. მეფემ სიხარულით მიიღო ის, მონათლა და შვილად გამოაცხადა". კეისარმა წათის ბიზანტიელი დიდებულის შვილიშვილი შერთო ცოლად, სამეფო ტანისამოსი და ინსიგნიები უბოძა და ამგვარად გამოისტუმრა საკუთარ ქვეყანაში. ამას მოგვითხრობს თეოფანე ჟამთააღმწერელი.

ეს ამბავი აღწერილია VI სის ბიზანტიელ ისტორიკოსთან, იოანე მალალასთან და აგრეთვე ე. წ. "პასქალურ ქრონიკაშიც" (VII ს.), რომლის ავტორს წათის შესახებ მთელი პასაჟი სიტყვასიტყვით მალალასაგან გადმოუწერია. თვით იოანე მალალას ტექსტი კი ასეთია: "იუსტინეს მეფობის დროს ლაზთა მეფე წათი გაჯავრდა და ჩამოშორდა სპარსეთს. სპარსელთა მეფე იყო კოადი, რომელიც ოდესღაც თვით წათის, ლაზთა მეფის მეგობრად ითვლებოდა და ამ კოადის სამეფოს ქვეშევრდომი იყო... როდესაც ლაზთა მეფე გარდაიცვლებოდა, სპარსელთა მეფე ნიშნავდა და აგვირგვინებდა ახალ მეფეს, მაგრამ უთუოდ თვით ლაზთა ტომიდან. ლაზთა ეს მეფე (წათი) გადავიდა წარმართთა სარწმუნოებაზე, რადგან ეშინოდა, ვაი თუ სპარსელთა მეფემ კოადმა მეფედ არ დამნიშნოსო, მსხვერპლებსაც სწირავდა და ყოველგვარ სპარსულ წესს ასრულებდა, ხოლო როდესაც გარდაიცვალა მისი მამა დამნაზე, მაშინვე მივიდა იუსტინე მეფესთან ბიზანტიონში, გამოაცხადა თავი მის მორჩილად და სთხოვა, ლაზთა მეფედ მაკურთხეო. მეფემ მიიღო ის და აკურთხა". არსებითად, როგორც ვხედავთ, ორივე ისტორიკოსი ერთნაირად გადმოგვცემს ამ ეპიზოდს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ თეოფანესთან წათი, სანამ იგი სპარსელებს გადაუდგებოდა, უკვე ლაზთა მეფე იყო, თანაც კავადის მიერ ხელდასმული. მალალასთან კი ისე ჩანს, თითქოს მამამისის სიკვდილისთანავე ("მაშინვე"), ჯერ კიდევ უფლისწული წათი მიდის იუსტინესთან და მისგან იღებს პირველად მეფობას.

მიუხედავად იმისა, რომ თეოფანე ჟამთააღმწერელი მალალასთან შედარებით გვიანდელი მწერალია (იგი 818 წ. გარდაიცვალა), ჩვენი აზრით, მასთან შემონახული ცნობა უფრო ზუსტია და შესაძლებელია ორივესთვის საერთო პირველწყაროდან მომდინარეობდეს. არც მალალას მოწმობაა ისეთი, რომ მაინცდამაინც აუცილებელი იყოს მისი ზემოხსენებული ინტერპრეტაცია მით უმეტეს, რომ დედნისეული ეუვ(ევწ" შეიძლება ითარგმნოს არა როგორც "მაშინვე", არამედ – "პირდაპირ".

ამგვარად, ჩვენი აზრით, წათი უკვე ლაზთა მეფე იყო, "კავადის სამეფოს ქვეშევრდომი" (მალალა), როდესაც 523 წელს სპარსელებს გადაუდგა, ქრისტიანობა მიიღო და იუსტინეს მიერ ხელმეორედ ეკურთხა ლაზთა მეფედ, ახლა უკვე როგორც კეისრის ვასალი.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს მოხდა 523 წელს ანუ სწორედ მაშინ, როდესაც გურგენ ქართლის მეფეც აუჯანყდა შაჰანშაჰს. ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული: წათიმ, ჩანს, ისარგებლა იმ გართულებული ვითარებით, რომელიც ირანს შეექმნა ქართლში, გამოვიდა სპარსეთის ქვეშევრდომობიდან და კვლავ ბიზანტიის უზენაესობა აღიარა. ფაქტობრივად კი, ეს ნიშნავდა ვახტანგ გორგასლის დროინდელი ერთიანი ქართლის სამეფოსგან (რომელიც აერთიანებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს) გამოყოფას და ეგრისის "დამოუკიდებელი" სამეფოს ხელმეორედ აღდგენას.

ცხადია, ამ აქციას შაჰანშაჰის რეაქცია უნდა მოჰყოლოდა და ასეც მოხდა: "სპარსელთა მეფე კოადმა ელჩის პირით შეუთვალა იუსტინე მეფეს შემდეგი: "მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შორის მეგობრობაა დადებული და ზავია შეკრული, შენ მაინც მტრულად იქცევი. აი, მაგალითად, ჩემი ქვეშევრდომი მეფე ლაზებისა შენ აკურთხე, თუმცა ის რომაელთა ხელქვეითი კი არ ყოფილა, არამედ იმთავითვე სპარსელთა ძალაუფლების ქვეშ იყო". როგორც ჩანს, სწორედ ამ მოლაპარაკებას გულისხმობს პროკოპი კესარიელი, როდესაც აღნიშნავს, რომ მხარეთა წარმომადგენლებმა "ბევრი სხვადასხვანაირი სიტყვები უთხრეს ერთმანეთს მათ შორის არსებულ უთანხმოებათა შესახებ, და სეოსმა (სპარსელთა ელჩმა) თქვა, რომ კოლხიდა, რომელსაც ახლა ლაზიკე ეწოდება, ძველთაგანვე რომ სპარსელთა ქვეშევრდომი იყო, რომაელებს ძალით უჭირავთ, უსამართლოდ". ზემოთქმული რომ ფაქტი არ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, ვერც კავადი და ვერც შიოში ამას ბიზანტიელებს ვერ განუცხადებდნენ. და, მართლაც, ჩვენ უკვე ვიცით, რომ V ს-ის ბოლო მესამედიდან ეგრისი უნდა ჩამოშორებოდა ბიზანტიას და ირანის ქვეშევრდომი გამხდარიყო, კერძოდ, შეერთებოდა ქართლის სამეფოს და ამ მნიშვნელოვანი აქციის ინიციატორი ვახტანგ გორგასალი იყო. ამიტომ შაჰანშაჰიც არ ტყუის, როდესაც წათის "სპარსელთა ხელისუფლების ქვეშ მყოფად თვლის" და შიოშიც მართალია, როდესაც აცხადებს, რომ "კოლხიდა, რომელსაც ახლა ლაზიკე ეწოდება, ძველთაგანვე სპარსელთა ქვეშევრდომი იყო".

მეორე მხრივ, რომის მემკვიდრე ბიზანტიელებსაც სრული საფუძველი ჰქონდათ, მაინცდამაინც პომპეუსის ლაშქრობიდან დაწყებული, კოლხიდა – ლაზიკე თავის ხელდებულ ქვეყნად ჩაეთვალათ და სწორედ ამიტომაც "რომაელები აღშფოთებით ისმენდნენ ამას, სპარსელები რომ ლაზიკესაც ეცილებოდნენ". ამის შედეგი იყო, რომ წათის სპარსელთაგან განდგომის შემდეგ და "როდესაც მოხდა გურგენ იბერთა მეფის წყალობით შემთხვეული

ამბავი… ლაზებთან დაიწყეს ჩადგომა რომაელთა ჯარისკაცებმა”, კერძოდ, ბიზანტიელებმა ქართლის მოსაზღვრე ორ ციხესიმაგრეში, სკანდესა და შორაპანში, ლაზთა რაზმების მაგივრად რომაული გარნიზონები ჩააყენეს.

ბიზანტიაირანის ომი და ლაზიკე. წათისა და გურგენის ამბავმა ფრიად დაძაბა ირანისა და ბიზანტიის ურთიერთობა და ბიზანტიელ ისტორიკოსთა თანხმობრივი განცხადებით, “აი ამ დროიდან დაიწყო მტრობა რომაელებსა და სპარსელებს შორის”. დიპლომატიურმა ურთიერთობებმა და მოლაპარაკებამ იუსტინესა და კავადს შორის შედეგი არ გამოიღო და 527 (“პასქალური ქრონიკა”) თუ 528 წელს (თეოფანე ჟამთააღმწერელი), უკვე იუსტინიანეს იმპერატორობისას “სპარსელთა მეფემ ომი დაუწყო ლაზთა მეფეს წათის იმის გამო, რომ უკანასკნელი რომაელთა მხარეზე გადავიდა”.

სპარსელებს ომი ლაზიკესთან ქართლიდან უნდა დაეწყოთ. ეს ისედაც ბუნებრივი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შემორჩენილია სირიული წყარო, რომელიც ამაზე პირდაპირ მიუთითებს. ეს არის ჩვენთვის უკვე ცნობილი “ფირან გუშნასპის მარტვილობა”. ფირან გუშნასპი, რომელსაც ნათლისცემის შემდეგ გრიგოლი უწოდეს, როგორც ვიცით, სპარსეთის “მეფისაგან ჩრდილოეთის საზღვრისა და ოლქის გამგებლად იყო დანიშნული. მეფის ბრძანებით გურზანისა და არანის ქვეყნების დაცვა ჰქონდა დავალებული. მას მრავალი ათასი მხედარი ემორჩილებოდა… როცა სპარსელებსა და რომაელებს შორის გურზანისა და არანის მხარეში ომი დაიწყო, გრიგორი, როგორც სპარსელთა სარდალი, რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდა”. რამდენადაც, როგორც ტექსტიდან ჩანს, ეს ამბავი VI ს-ის 20იან წლებში ხდება, ამდენად ეჭვი არ არის, რომ სწორედ ზემოხსენებულ, 527/8 წელს დაწყებულ ომზეა აქ საუბარი, და იგი გურზანის ანუ ქართლის მხრიდან დაწყებულა.

ლაზთა მეფე წათიმ რომაელებს დახმარება სთხოვა და იუსტინიანემაც “დიდძალი რომაული ჯარი” გაგზავნა ლაზიკეში, რომელიც პირველ ხანებში მარცხდება რომაელ სარდალთა ურთიერთქიშპობის მიზეზით, მაგრამ როდესაც იმპერატორმა ისინი გადააყენა და მათ მაგივრად პეტრე სტრატილატი დანიშნა, ეს უკანასკნელი “ლაზებთან ერთად შეება სპარსელებს და დაამარცხა ისინი: მრავალი სპარსელი გაჟლიტეს მათ”. სპარსელთა დამარცხებას სირიელი აგიოგრაფიც აღნიშნავს: “როცა სპარსელებსა და რომაელებს შორის გურზანისა და არანის მხარეში ომი დაიწყო, გრიგორი, როგორც სპარსელთა სარდალი, რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდა. იგი დამარცხდა და სხვა ტყვეებთან ერთად რომაელთა კეისარს მიჰგვარეს”.

როგორც მოსალოდნელი იყო, ლოკალური თითქოს შეჯახება ბიზანტიასა და ირანს შორის ეგრისის ტერიტორიაზე ფართო მასშტაბის ომში გადაიზარდა: სპარსელები მესოპოტამიას შეესივნენ ოცდაათათასიანი არმიით შაჰანშაჰ კავადის ერთერთი ძის ქსერქსეს მეთაურობით, “ხოლო კოადის უფროსი ძე პეროზი იბრძოდა დიდძალი ჯარით ლაზიკისა და პერსარმენიის წინააღმდეგ”. ეს ბრძოლები 530 წლით თარიღდება და, როგორც ჩანს, საკმაოდ წარმატებული უნდა ყოფილიყო სპარსელთათვის ამიერკავკასიაში, რადგან სავარაუდოა, სწორედ ამ დროს უნდა დაეჭირათ მათ არა მარტო ქართლის მოსაზღვრე ეგრისის ციხესიმაგრეები, სკანდე და შორაპანი, არამედ ეგრისის შიდა სტრატეგიული პუნქტებიც, კერძოდ მუხირისი და ლისირი

(ნოსირი). 531 წელს საკმაოდ წარმატებით მოქმედებდნენ სპარსელები მესოპოტამიაშიც, სადაც მათ ალყა შემოარტყეს მარტიროპოლს, რომელსაც იცავდა მხნე სარდალი ბესა, შემდეგში ცნობილი მხედართმთავარი ლაზიკის ომში. სპარსელებმა ალყა შეწყვიტეს მას შემდეგ, რაც მოვიდა ამბავი შაჰანშაჰ კავადის გარდაცვალების შესახებ (13 სექტემბერს). ასე შეწყდა ამჯერად საომარი მოქმედება.

ახალი შაჰანშაჰი იწყებს საზავო მოლაპარაკებას იუსტინიანესთან. ხოსრო თანახმა იყო ზავი დაედო ბიზანტიელებთან, თუკი ისინი დააბრუნებდნენ სპარსელთაგან წაღებულ ფარანგიონის ოქროს საბადოებს (მდ. ჭოროხის სათავეებთან) და ბოლონის ციხესიმაგრეს (ბასიანში). მებრძოლი მხარეები ბოლოს და ბოლოს, შეთანხმდნენ ერთმანეთთან. ასე აღდგა სტატუს ქუო (532 წ.).

ეს უვადო თუ "საუკუნო ზავი" სინამდვილეში საკმაოდ მოკლევადიანი აღმოჩნდა.

ლაზიკის სტრატეგიული მნიშვნელობა. სპარსელებისათვის ლაზიკის მნიშვნელობა, პირველ რიგში, მისი სტრატეგიული მდებარეობით იყო განპირობებული. ასე მაგალითად, თუ ბიზანტიელ ისტორიკოსს, პროკოპი კესარიელს, დავუჯერებთ, ხოსრო ანუშირვანი კარგად იყო გარკვეული, ამ ქვეყნის ფლობა რა უპირატესობას მიანიჭებდა სპარსეთს ბიზანტიის წინაშე. შაჰანშაჰი ამბობდა: "სპარსელები, თუ ისინი ლაზიკეს ხელთ იგდებენ, ადვილად შეძლებენ, როდესაც კი მოისურვებენ, ბიზანტიონამდე მისვლას ზღვაზე გადაუსვლელად, ისევე როგორც სხვა ბარბაროსული ტომები, რომლებიც აქ (ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, დ. მ.) დამკვიდრებულან, მუდამ დათარეშობენო. ამის გამო იყო, დასძენს ისტორიკოსი, რომ სპარსელებმა სცადეს ხელთ ეგდოთ ლაზიკე".

მეორე მხრივ, ბიზანტიელებსაც, რა თქმა უნდა, კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული როგორც ეგრისის სტრატეგიული მნიშვნელობა, ისე სპარსელთა საამისო პოლიტიკური მიზნები. ამიტომ იმპერატორი იუსტინიანე, როგორც მეორე ბიზანტიელი ისტორიკოსი, აგათია სქოლასტიკოსი აღნიშნავს, სრულიადაც არ იყო, განწყობილი შელეოდა ლაზთა "მთელ ერს, რომელიც რომაელთა ქვეშევრდომი იყო, კეთილმზრახველი და ერთმორწმუნე".

ყველაფერი ზემოთქმულის გამო ბიზანტიის იმპერატორი საგანგებო ღონისძიებებს ატარებს ლაზიკის მიმართ.

პროკოპი კესარიელი აღნიშნავს, რომ ძველად "რომაელებმა აქ ზღვისპირას ორი სიმაგრე გააშენეს: სებასტოპოლისი და პიტიუნტი... სადაც ჩვენ დრომდე ჰქონდათ სადარაჯოები".

ბიზანტიის განსაკუთრებული ინტერესი ეგრისის ჩრდილოდასავლეთი პერიფერიის, "აბაზგიისა" და "აფსილიის" მიმართ შესაძლებელია მნიშვნელოვანწილად, მონისა და ტყვის ვაჭრობასთან იყო დაკავშირებული, რამდენადაც ეს ცოცხალი საქონელი ჩრდილოდასავლეთი იმიერკავკასიიდან მოედინებოდა, და ამავე დროს ამ რეგიონის მოსახლეობაზე კონტროლიც სწორედ აქედან უფრო მოხერხებული იყო ბიზანტიისათვის, მაგრამ ამას გარდა, და შესაძლებელია მთავარი მაინც ის უნდა ყოფილიყო, რომ გარნიზონები სებასტოპოლისსა და პიტიუნტში იმპერიას, პირველ რიგში, თვით ეგრისზე პოლიტიკური ზეწოლისათვის

სჭირდებოდა, რაც კარგად გამომჟღავნდა დაახლოებით ერთი საუკუნის მოგვიანებით, ჰერაკლე კეისრის ლაშქრობათა დროს.

ამგვარად სებასტოპოლის – პიტიუნტში ბიზანტიური გარნიზონები, როგორც ჩანს, უკვე VI ს-ის პირველ ნახევარშივე იდგა. მაგრამ სპარსელთა გაძლიერებულმა ექსპანსიამ დასავლეთ საქართველოში უფრო ქმედით ღონისძიებათა გატარება მოითხოვა და, მართლაც, უკვე VI ს-ის 20-იან წლებში, "როდესაც მოხდა გურგენ იბერთა მეფის წყალობით შემთხვეული ამბავი... ლაზებთან დაიწყეს ჩადგომა რომაელთა ჯარისკაცებმა". ეს ჯერ კიდევ იუსტინეს დროს მოხდა. იუსტინიანეს დროს, როგორც ჩანს, ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა და ლაზიკა, ფაქტობრივად, ოკუპირებულ იქნა ბიზანტიელთა მიერ, რამაც მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია იმიტომ, რომ "მათ რომაელთა ჯარი ჩაუყენეს, რასაც წინათ ადგილი არ ჰქონია".

განსაკუთრებული აღშფოთება ლაზებში გამოიწვია იუსტინიანეს მიერ გამოგზავნილმა სტრატეგოსმა იოანე ციბემ, რომელმაც ბიზანტიელი ისტორიკოსის სიტყვით, "სტრატეგოსობამდე მიაღწია სხვა არაფრით, გარდა იმისა, რომ ყველაზე უფრო საზიზღარი იყო და ყველაზე უფრო მოხერხებული ფულის საშოვნელად უსამართლო საშუალებათა გამოგონებაში. ის იყო რომ რომაელთა და ლაზთა ყველა საქმეები გაამრუდა და არივდარია". მისი ინიციატივით იუსტინიანემ ლაზეთში ააშენა ზღვისპირა ქალაქი პეტრა, რომელიც ბიზანტიასთან დამაკავშირებელ მთავარ სავაჭრო მაგისტრალზე მდებარეობდა. სტრატეგოსი პეტრე "იქ იჯდა ვითარცა აკროპოლისში, და სძარცვავდა ლაზთა ქონებას. ვაჭრებს ხომ უკვე ნება აღარ ჰქონდათ კოლხიდაში შეეტანათ მარილი და სხვა საქონელი, რაც ლაზებისთვის აუცილებლად საჭიროა". ერთი სიტყვით, ბიზანტიელმა დიდმოხელემ ეგრისში ვაჭრობის მონოპოლია დაამყარა, მეორე მხრივ, ქვეყანა ოკუპირებული იყო ბიზანტიელების მიერ.

იუსტინიანეს მიერ ეგრისში დამყარებული რეჟიმით შეწუხებულმა და აღშფოთებულმა მოსახლეობამ განიზრახა ბიზანტიელთაგან განდგომა. ელჩები გააგზავნეს ხოსრო ანუშირვანთან, რომ იგი მოსულიყო მათ ქვეყანაში ლაშქრით და განედევნა აქედან ბიზანტიელები. მეგზურობას თვით კისრულობდნენ. ეს ხდება 540 წელს.

გარდა ამისა ლაზები ხაზს უსვამდნენ იმ სარგებლობას, რასაც შაჰანშაჰი თანხმობის შემთხვევაში მიიღებდა.

ზემოთ ვაჩვენეთ, რომ ხოსრო ანუშირვანმა ყველაფერი ეს, მართლაც, შესანიშნავად იცოდა და ამიტომ მარშრუტის, ქვეყანაში შესასვლელი გზების ვითარებისა და სხვა მნიშვნელოვანი კერძო საკითხების ლაზებთან დაზუსტების შემდეგ, მან გადაწყვიტა დიდძალი ჯარით ქართლზე გავლით ეგრისში შეჭრა. ამ დიდი სამხედრო ოპერაციის გასაიდუმლოების მიზნით მან ხმა გაავრცელა, თითქოს ის მიემგზავრებოდა იბერიაში, ვითომც იქაური საქმეების მოსაწესრიგებლად. ასე დაიგეგმა 541 წელს დიდი ომი ეგრისში.

დიდი ომი ეგრისში. ხოსრო ანუშირვანის პირადი სარდლობით ირანის დიდი არმია შემოვიდა ქართლში და აქედან ეგრისელი ელჩების მეგზურობით შევიდა ლაზიკის საზღვრებში. უღრანი ტყისა და ძლიერ დამრეცი ფერდობების გამო გზა სრულიად გაუვალი იყო, მაგრამ

ლაზთა რჩევით სპარსელებმა გზადაგზა ტყე გაკაფეს, ძნელად სავალ დახრამულ ადგილებში დიდრონ მორებს ჰყრიდნენ და ამგვარად მიაღწიეს ქვეყნის შუაგულს, სადაც მათ წათის მემკვიდრე მეფე გუბაზი შეხვდა.

შეერთებული ჯარი ქალაქ პეტრასაკენ გაემართა, სადაც ბიზანტიელთა მთავარი სამხედრო ძალა იყო განლაგებული და ალყა შემოარტყა მას. პირველ ხანებში ალყაშემორტყმულნი მხნედ იგერიებდნენ მტერს, მაგრამ როდესაც სტრატეგოსი იოანე ციბე, მძიმედ დაჭრილი გარდაიცვალა, სპარსელებმა შეძლეს მალულად თხრილი გაეჭრათ ქალაქის ზღუდის ერთერთი კოშკის ქვეშ, რომელიც ამის შედეგად ჩამოინგრა. სპარსელებმა ქალაქი აიღეს, ხოლო აკროპოლისში გამაგრებულმა ბიზანტიელებმა მოლაპარაკება გამართეს მათთან და სიცოცხლისა და ქონების შენარჩუნების პირობით დანებდნენ ხოსროს, რომელმაც მხოლოდ სტრატეგოს იოანე ციბეს დიდძალი ქონება მიითვისა. სპარსელებს სხვა არაფრისთვის ხელი არ უხლიათ და დატყვევებულ ბიზანტიელებსაც შეუნარჩუნეს საკუთარი ქონება.

პეტრასთან გამარჯვებისა და ე. ი. ლაზიკის სამხრეთდასავლეთი კარიბჭის დაპყრობის შემდეგ, ხოსრომ გადაწყვიტა ქვეყნის უკიდურესი ჩრდილოდასავლეთი ტერიტორიაც დაეპყრო, აქ სებასტოპოლისსა და პიტიუნტში მდგარი ბიზანტიური გარნიზონები განედევნა და ეს ციხესიმაგრეებიც თავისი კონტროლისთვის დაექვემდებარებინა. ამით, ჯერ ერთი, იგი უვნებელყოფდა ჩრდილოდასავლეთ იმიერკავკასიელ გადამთიელთა, ალანებისა და საბირების, შემოსევას, რამდენადაც ბიზანტიელთა მიერ ამ შესაძლებლობის გამოყენება სავსებით რეალური იყო. მეორე მხრივ ეგრისს სამი მხრიდან (აღმოსავლეთიდან ანუ ქართლის მხრიდან, სამხრეთდასავლეთიდან და ჩრდილოდასავლეთიდან) სპარსელთა სამხედრო ძალების რკალში მოაქცევდა. მას შესაძლებელია სვანების მომხრეობის იმედიც ჰქონდა. ამგვარად, ხოსრო ანუშირვანის წინაშე იშლებოდა პერსპექტივა რომაელთა წინააღმდეგ არა მარტო სვანები, არამედ თვით ალანებიც და ჰუნებიც (საბირები) გამოეყენებინა, რამდენადაც ფულით ამ უკანასკნელთა დაქირავება ჩვეულებრივი ამბავი იყო.

მაგრამ სპარსეთის შაჰანშაჰის ეს გადაწყვეტილება, აეღო სებასტოპოლისი და პიტიუნტი, “როდესაც რომაელთა მხედრებმა წინდაწინ გაიგეს, დაასწრეს და გადასწვეს სახლები, ძირამდე დაანგრიეს კედლები, დაუყონებლივ ჩასხდნენ ხომალდებში, გასწიეს პირისპირ მდებარე ხმელეთისაკენ და მივიდნენ ქალაქ ტრაპეზუნტში და ამრიგად, თუმცა ზარალი მიაყენეს რომაელთა ძალაუფლებას სიმაგრეების მოსპობით, მაგრამ მით დიდი სარგებლობაც მოუხვეჭეს იმ მხრივ, რომ მტრებმა ვერ დაიპყრეს ეს ქვეყანა: სპარსელები იქიდან ხომ უშედეგოდ გაბრუნდნენ პეტრაში”. ეს მოხდა იმავე 541 წელს.

პეტრაში ყოფნისას ხოსრო ანუშირვანს აცნობეს, რომ ბიზანტიელთა მთავარსარდალი ველისარი მესოპოტამიაში შეიჭრა. შაჰანშაჰმა “მაშინვე ჩააყენა მცველები პეტრაში და დანარჩენი ჯარითა და დატყვევებული რომაელებითურთ გაემართა სპარსთა ქვეყანაში”.

ამის შემდეგ საომარი ოპერაციები სამხრეთით, მესოპოტამიის ტერიტორიაზე გრძელდებოდა, ვიდრე 546 წელს ხუთწლიანი ზავი არ დაიდო მეომარ მხარეებს შორის. ბიზანტიელები მოითხოვდნენ, ლაზიკის დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. ხოსრო ანუშირვანს

სრულიად სხვა, ვერაგული გეგმა ჰქონდა ჩაფიქრებული ლაზების მიმართ, რის განხორციელებასაც სწორედ ამ დროებითი ზავის განმავლობაში აპირებდა.

სპარსეთის შაჰანშაჰს ლაზებისადმი ნდობა ნაკლებად ჰქონდა. ლაზები ვერ ეგუებოდნენ ცეცხლთაყვანისმცემელ სპარსელებს, რომლებიც, ბუნებრივია, ეცდებოდნენ თავისი სარწმუნოების გავრცელებას ლაზიკაში, მოსახლეობა მატერიალურადაც ძლიერ დაზარალდა. საქმე ის არის, რომ საკუთარი რესურსების უქონლობისა თუ სიმწირის გამო, ლაზებს მარილი, ხორბალი, ღვინო და ზოგიერთი სხვა საარსებო პროდუქცია ვაჭრობის შედეგად, როგორც ვიცით, მეზობელი მხარეებიდან და, კერძოდ, "რომაელთა სანაპიროებიდან" ანუ მცირე აზიის ზღვისპირა ქვეყნებიდან შემოჰქონდათ. ახლა სპარსელთა მფლობელობის ქვეშ აღებმიცემობა ბიზანტიასთან, ცხადია, შეწყდა და ლაზები გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნენ. ისინი უკვე აჯანყებაზე ფიქრობდნენ. ხოსრო ანუშირვანმა დასწრება გადაწყვიტა და განიზრახა, "რომ თავიდან მოეცილებინა ლაზთა მეფე გუბაზი და ლაზები იქიდან (ლაზიკიდან, დ. მ.) სრულიად გადაესახლებინა და ამრიგად, იმ ქვეყანაში ჩაესახლებინა სპარსელები და ზოგიერთი სხვა ტომებიც". ამისათვის მან სპარსელი დიდმოხელე, ფაბრიზი გამოარჩია და ლაზიკაში გამოგზავნა. ეს უკანასკნელიც შეუთანხმდა ერთერთ ლაზ დიდებულს, ფარსანსს, რომელიც მეფე გუბაზთან "დიდს შუღლში" იყო, გაანდო მას თავისი მისიის მიზანი და ერთად მოითათბირეს თუ როგორ მოეგვარებინათ საქმე. ლაზი დიდებული პატრიოტი აღმოჩნდა და შუღლის მიუხედავად ყველაფერი აცნობა მეფეს. გუბაზმა საბოლოოდ გადაწყვიტა სპარსელთაგან განდგომა, აცნობა ამის შესახებ იუსტინიანე კეისარს, სთხოვა პატიება შეცოდებისათვის და აგრეთვე დახმარება სპარსელთაგან განთავისუფლებისთვის ბრძოლაში. ეს მოხდა 548 წელს.

საქმის ასეთი შემოტრიალებით ნასიამოვნებმა იუსტინიანემ ლაზთა დასახმარებლად 7000 მეომარი გამოაგზავნა დაგისთეს მეთაურობით და თან ათასი ჭანიც გამოატანა. ლაშქარმა პეტრას მიაშურა, სადაც სპარსელთა გარნიზონი იდგა და ქალაქს ალყა შემოარტყა. თუმცა ალყაშემორტყმულნი მამაცურად იგერიებდნენ შეტევებს და სურსათსანოვაგეც საკმარისი მოემარაგებინათ, მაინც ხოსრო ანუშირვანმა, როდესაც ლაზთა ბიზანტიელების მხარეზე გადასვლა და პეტრას ალყის ამბავი გაიგო, გარნიზონის დასახმარებლად დიდძალი ლაშქარი გამოაგზავნა მერმეროეს სარდლობით.

გუბაზმა ეს რომ გაიგო დაგისთეს შეუთვალა პეტრასკენ მომავალი სამხრეთი გზის ვიწრობები საგანგებოდ დაეცვა, ხოლო ალყა ქალაქისთვის არავითარ შემთხვევაში არ მოეხსნა. თვით კი ლაზთა მთელი ჯარით ლაზიკეიბერიის საზღვრებისკენ წავიდა, რომ იქ მერმეროესთვის ვიწრობებში გზა გადაეკეტა, თან სამ კენდინარად ალანები და საბირები შეიპირა, რომ დახმარებოდნენ.

მერმეროემ სწორედ სამხრეთის გზა აირჩია, ასცდა გუბაზის ლაშქარს, დაგისთეს მიერ ვიწრობებში გაგზავნილი ასიოდე მეომრის მედგარი წინააღმდეგობაც დასძლია და პეტრასკენ გაეშურა. დაგისთემ, რომელიც დღედღეზე ვარაუდობდა პეტრაში ალყაშემორტყმული შეჭირვებული სპარსელების დანებებას, ქალაქის აღებას და იუსტინიანესგან ჯილდოს მიღებას, ეს რომ შეიტყო მაშინვე მოხსნა ალყა და ლაშქრითურთ მდინარე ფაზისისკენ (რიონისკენ) წავიდა ისე სწრაფად, რომ მთელი თავიანთი ქონება ბიზანტიელებმა ბანაკში დატოვეს.

გამხნევებული სპარსელები გამოვიდნენ ქალაქიდან ბიზანტიელთა მიერ დატოვებული ბანაკის დასარბევად, მაგრამ მოულოდნელად მათ თავს დაესხნენ ჭანები, რომლებიც არ გაჰყოლიან დაგისთეს. მათ იფრინეს სპარსელები და ბანაკის ავლადიდება თვით დაისაკუთრეს, რის შემდეგაც რიზეტრაპეზუნტის გზით შინ დაბრუნდნენ.

მერმეროე ლაშქრითურთ დაგისთეს გაქცევიდან მხოლოდ მეცხრე დღეს მოვიდა პეტრაში. აქ მას ხუთასი სპარსელიღა დახვდა, რომელთაგან მხოლოდ ასორმოცდაათი იყო ბრძოლისუნარიანი. მან სასწრაფოდ შეაკეთა ქალაქის ჩამონგრეული კედელი, სამი ათასი მებრძოლი გამოარჩია, დასტოვა პეტრას დასაცავად და მთელი სურსათიც, რაც მას ქართლიდან წამოეღო მათ დაუტოვა. თვით კი ლაშქრის დანარჩენი ნაწილით უკან გაბრუნდა. გზად კიდევ ხუთი ათასი კაცი ფავრიზის მეთაურობით დასტოვა ლაზიკის საზღვრებში სოფლების დასარბევად, დანარჩენი ოცდახუთი ათასი მოლაშქრით პერსარმენიაში მივიდა და დვინის მახლობლად დაბანაკდა.

ბიზანტიელთა და ლაზთა შეერთებულმა ლაშქარმა დაამარცხა მერმეროეს მიერ დატოვებული სპარსელები, აიღეს მათი ბანაკი და დაიტაცეს დროშები, დიდძალი იარაღი, ფული და ცხენები. ეს მომხდარა 549 წელს.

ამ მარცხის პასუხად შაჰანშაჰმა მთავარსარდალი ხორიანე გამოაგზავნა ლაშქრით, რომელთაც დაქირავებულ ალანთა რაზმებიც თან მიჰყვებოდა. ისინი შეიჭრნენ ლაზიკაში, კერძოდ მოხირისში და ცხენისწყლის პირას დაბანაკდნენ. ბიზანტიელთა და ლაზთა შეერთებულმა ლაშქარმა ეს ჯარიც დაამარცხა. თვით ხორიანეც დაიღუპა. სწორედ ამან გადაწყვიტა სასტიკი ბრძოლის ბედი.

მალე ამის შემდეგ ლაზთა დასმენით, რომლებიც დაგისთეს ღალატს თუ დაუდევრობას აბრალებდნენ იმას, რომ პეტრა ვერ იქნა აღებული, იმპერატორმა გამოიძახა იგი კონსტანტინოპოლში და სატუსაღოში ჩააგდო. მის მაგივრად კი ლაზიკის ფრონტზე მთავარსარდლად 70 წლის გამოცდილი მხედართმთავარი ბესა დანიშნა, რომელიც ისის იყო იტალიის კამპანიიდან დაბრუნებულიყო.

ბესა რომ ლაზიკეში მოვიდა, ამ დროისთვის (550 წ.) აფხაზები აჯანყებულიყვნენ და ბიზანტიელთა და ლაზთაგან გამდგარნი, სპარსელებს მიმხრობოდნენ. მათი აჯანყება ბიზანტიელთა ბრალი იყო. საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ VI სის 30იანი წლების ბოლოსთვის წარმართმა აფხაზებმა, რომელთაც იმპერატორი იუსტინიანე თავის “ნოველაში” “ჩვენ მეგობარ ტომს” უწოდებს, ქრისტიანული რწმენა მიიღეს. როგორც ბიზანტიელი ისტორიკოსი გადმოგვცემს, “მაშინ იუსტინიანე მეფემ აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარიც ააშენა და მათ მღვდელმსახურნი დაუყენა და მიაღწია იმას, რომ მათ შეითვისეს საქრისტიანო წესები”. ამას მოჰყვა აფხაზთა აჯანყება საკუთარი მთავრების წინააღმდეგ, რომელიც როგორც ჩანს, ინსპირირებული იყო ბიზანტიის ხელისუფლების მიერ და რომლის შედეგად, როგორც გადმოგვცემს ისტორიკოსი, “ორივე მეფე მოსპეს აბაზგებმა და გადაწყვიტეს თავისუფლად ეცხოვრათ”, ცხადია, ბიზანტიის პროტექტორატის ქვეშ.

იოანე ზონარა, XII სის პირველი ნახევრის ისტორიკოსი, რომელიც მოკლედ გადმოგვცემს აბაზგთა გაქრისტიანების სიუჟეტს პროკოპის მიხედვით, დასძენს, რომ “ამიერიდან აბაზგების არც ერთი მმართველი ადგილობრივად არ ინიშნებოდა, იქ რომაელთა მეფეები გზავნიდნენ არქონტებს და უკანასკნელნიც მეფეთა კარნახით მართავდნენ საქმეებს”.

რომაელთა ასეთმა ღონისძიებებმა აბაზგებისთვის ნათელი გახადა ბიზანტიელთა იმპერიული მიზნები და ამიტომ, “იმის შიშით, რომ ამიერიდან რომაელთა მონებად არ გამხდარიყვნენ, მათ კვლავ დაიყენეს თავისთვის მთავრები, აღმოსავლეთის ნაწილისათვის ოფსიტე სახელად, ხოლო დასავლეთისათვის სკეპარნა”. ეს უკანასკნელი სპარსეთში გააგზავნეს ფარულად და დახმარება ითხოვეს.

ხოსრო ანუშირვანს, რომელმაც 541 წელს, იმის გამო რომ ბიზანტიელებმა სებასტოპოლისის და პიტიუნტის ციხესიმაგრეები საგანგებოდ დაანგრიეს, ვერ მოახერხა აფშილეთსა და აფხაზეთში დამაგრება და ლაზიკის ტერიტორიის მარწუხებში მოქცევა, ახლა კვლავ მიეცა საშუალება უკვე აბაზგებისავე დახმარებით აქ თავისი ჯარი ჩაეყენებინა. მართლაც, მან სასწრაფოდ თავისი სახელგანთქმული მთავარსარდალი ნაბედე გამოგზავნა, რომელიც “ჯარით შეიჭრა ლაზიკეში და… ჯარითურთ ჩადგა რომაელებისა და ლაზებისაგან განდგომილ აბაზგთა ქვეყანაში და ხელთ იგდო მათგან მძევლებად სამოცი ბავშვი წარჩინებულთა გვარებიდან”.

ამას, რა თქმა უნდა მოჰყვა, იუსტინიანეს სასწრაფო რეაქცია, რომელმაც უბრძანა ბესას სათანადო ზომები მიეღო. ამ უკანასკნელმა გაგზავნა იქ ლაშქარი. ბრძოლა მოხდა ანაკოფიის ციხექალაქთან, რომელსაც ბიზანტიელები “ტრაქეას” უწოდებდნენ, და რომელიც “აფსილიის საზღვრების შემდეგ აბაზგიის შესავალში” მაღალ მთაზე მდებარეობდა და აუღებელ სიმაგრედ ითვლებოდა. აბაზგები თავგანწირვით იცავდნენ თავის დედაქალაქს, მაგრამ ბიზანტიელებმა ხერხი იხმარეს, ლაშქრის ნაწილი ხომალდებით გადაიყვანეს და დასავლეთიდან ტრაქეის ზურგში გადასხეს. მცირე ნაწილმა კი აღმოსავლეთიდან შეუტია. ორმხრივ შემოტევას აბაზგებმა ვერ გაუძლეს მით უმეტეს, რომ ბიზანტიელებმა სახლებს ცეცხლი წაუკიდეს, და დამარცხდნენ. არაფერს გვეუბნება ბიზანტიელი ისტორიკოსი სპარსელთა ჯარის შესახებ. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროისათვის ის აბაზგიის ტერიტორიაზე აღარ იმყოფებოდა. ბიზანტიელებმა მრავალი ტყვე ჩაიგდეს ხელში, ანაკოფიის “ციხის გალავანი კი მიწასთან გაასწორეს და მთელი მიწაწყალი უდაბნოდ აქციეს. ასე დაბოლოვდა აბაზგების განდგომა”, ამთავრებს პროკოპი კესარიელი.

ბესას მთავარი მიზანი იყო აეღო ლაზიკეში სპარსელთა საყრდენი პუნქტი პეტრა. მან შეაგროვა მთელი თავისი ლაშქარი, დაიხმარა ჰუნებისაბირები და შემოადგა პეტრას 551 წის დასაწყისში. სპარსელთა გარნიზონი თავგანწირვით იცავდა ქალაქს. ბრძოლის ბედი ბიზანტიელთა ძლიერმა შეტევამ გადაწყვიტა, რომელსაც თვით მოხუცი მხედართმთავარი მიუძღოდა.

ქალაქის აღების შემდეგ ტყვეები ბესამ იმპერატორს გაუგზავნა, ხოლო “პეტრას ზღუდე კი მიწასთან გაასწორა, რომ მტერს კვლავ არ გაეჭირებინა საქმე რომაელთათვის”.

პეტრას, განსაკუთრებულად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სპარსელები. მერმეროე 551 წლის გაზაფხულზე ჯარით სწორედ აქეთ მოემართებოდა, რომ იქაურ სპარსულ გარნიზონს

დახმარებოდა, მაგრამ გზაში მან შეიტყო პეტრას დაცემის ამბავი, ამიტომ შეიცვალა გეზი, ლიხის მთით გადავიდა დასავლეთ საქართველოში.

ლაზიკაში რომ ჩავიდა, მერმეროემ, ზურგი რომ გაემაგრებინა, პირველ რიგში სკანდის ციხესიმაგრე აღადგინა, რომელიც ადრე შორაპანთან ერთად ლაზებს მიწასთან გაესწორებინათ, რათა სპარსელებს ისინი მათ წინააღმდეგ არ გამოეყენებინათ, თვით კი წინ გასწია. როდოპოლისთან, რომლის გალავანი ლაზებს იმავე მიზეზით მოენგრიათ, აღარ შეჩერებულა და მაშინვე არქეოპოლისისკენ გაემართა. არქეოპოლისს ბიზანტიელთა სამათასიანი გარნიზონი იცავდა, ხოლო მთავარი ძალები მდ. ფაზისის (რიონის) შესართავთან იყო დაბანაკებული. მათთან ერთად იყო ჭანების რვაასკაციანი რაზმიც.

როდესაც მერმეროემ შეიტყო, რომ ბიზანტიელთა ძირითადი ჯარი ფაზისის შესართავთან დაბანაკებულიყო, აღარც არქეოპოლისთან გაჩერებულა და გადაწყვიტა ჯერ იქ გაელაშქრა და შემდეგ შემობრუნებულიყო არქეოპოლისისაკენ, რომ ზურგში მტერი არ ჰყოლოდა. ფაზისთან დაბანაკებულები, რადგან იმედი არ ჰქონდათ, რომ სპარსელებს გაუმკლავდებოდნენ, სასწრაფოდ ჩასხდნენ წინასწარ გამზადებულ ნავებში და მდინარის მარცხენა მხარეს გავიდნენ. მერმეროეს სრულიად დაცარიელებული ბანაკიღა დახვდა და გაწბილებული უკან, არქეოპოლისისკენ გამობრუნდა.

მერმეროე ფიქრობდა, რომ არქეოპოლისს ადვილად აიღებდა. მართლაც, სპარსელთა სასტიკი იერიშების შედეგად ალყაშემორტყმულნი საშინელ გაჭირვებაში ჩავარდნენ. ბიზანტიელებმა თავგანწირული კონტრშეტევა განახორციელეს, რომელსაც სპარსელები არ ელოდნენ და მათი რიგები აირია. სპარსელები დამარცხდნენ.

მერმეროემ დაიხია მოხირისისკენ, სასწრაფოდ შეაკეთა ლაზთა მიერ დანგრეული ქუთაისის ციხესიმაგრე და იქ დაბანაკდა. ქუთაისი და მთლიანად მოხირისი სპარსელთა ხელში რომ იყო, ამით მათ დანარჩენ ლაზიკეს და ე. ი. ბიზანტიელებს მოსწყვიტეს მთლიანად სვანეთი და ლეჩხუმი, რამდენადაც ამ მხარეებში მიმავალი გზები სწორედ რიონისა და ცხენისწყლის ხეობებზე იდო და ქუთაისის ციხესიმაგრე აკონტროლებდა ამ მაგისტრალებს. მით უმეტეს, რომ ქუთაისთან ახლოს მდებარე უქიმერიონის ციხესიმაგრე, რომელიც ცხენისწყლის ხეობაში უნდა ყოფილიყო და ამ დროს ლაზებს ეჭირათ, აგრეთვე დიდ გაჭირვებას განიცდიდა იმიტომ, რომ სპარსელები დაბრკოლებას უქმნიდნენ მის სურსათით მომარაგებას.

551 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის ხელახლად დაიდო ხუთწლიანი ზავი, რომლის მიხედვით ბიზანტიას უნდა გადაეხადა გარკვეული თანხა, სამაგიეროდ კი ხოსროს ვითომ ლაზიკიდან ჯარი უნდა გამოეყვანა. მაგრამ სპარსელები პირობის შესრულებას არც აპირებდნენ. პირუკუ, ამასობაში მათ ერთი წარჩინებული ლაზის, თეოფობის ღალატის წყალობით უქიმერიონის ციხესიმაგრის ხელში ჩაგდებაც კი მოახერხეს "და ამრიგად, მოხირისიდან იბერიამდე მთელი მიწაწყალი გამოეცალათ ხელიდან რომაელებსა და ლაზთა მეფეს". მერმეროემ დაზამთრება ლაზიკეში გადაწყვიტა. ქუთაისის ციხეში სამიათასიანი გარნიზონი ჩააყენა, ასევე უქიმერიონშიც ჩააყენა მცველები, "თვითონ კი ააშენა ლაზთა მეორე ციხე, რომელსაც სარაპანისს ეძახიან და რომელიც ზედ ლაზიკის საზღვრებთან მდებარეობს, და იქ

დარჩა”. მეფე გუბაზი მთებში გაიხიზნა, რომაელთაგან კი ზოგი არქეოპოლისს იყო შეფარებული, ზოგი კი სხვა სიმაგრეებს. მერმეროემ წერილი გაუგზავნა გუბაზს დამორჩილება მოსთხოვა, რაზედაც ამ უკანასკნელმა, ბიზანტიელთა დახმარების იმედით, პასუხიც არ გასცა.

552 წელს მერმეროემ კიდევ ერთხელ სცადა ფაზისის შესართავთან დაბანაკებულ ბიზანტიელთა და ლაზთა ლაშქართან შებმა, მაგრამ ეს ვერ შეძლო და გაემართა აბაზგების წინააღმდეგ. აქაც გზა შეკრული დახვდა, უკან გამობრუნდა მოხირისისკენ და ქუთაისში დაბანაკდა.

მეორე წელს მერმეროემ ტელეფისის ციხესიმაგრის ასაღებად გაილაშქრა, სადაც რომაელთა ჯარი იდგა, რომელსაც სარდალი მარტინე ედგა სათავეში. ბიზანტიელები დამარცხდნენ და სამარცხვინოდ გაიქცნენ. მერმეროემ თვით ციხესიმაგრის გარდა ბიზანტიელთა მთელი სამხედრო ბანაკი ჩაიგდო ხელთ, მაგრამ შეწყვიტა ბიზანტიელთა დევნა, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე გადავიდა და მივიდა “ონოგურისის ციხეში (დღ. სოფ. აბედათის მახლობლად), რომელიც მას წინათ გაეხადა არქეოპოლისის მიდამოებში რომაელთა წინააღმდეგ საჭირო სასიმაგრო საფარად”. მან გაამხნევა აქ მდგომი სპარსელთა გარნიზონი, შეავსო იგი სხვა რაზმით, თვით კი კვლავ ქუთაისისკენ დაბრუნდა. აქ იგი უეცრად ავად გახდა. ამიტომ სწრაფად მოაწესრიგა საქმეები და გადავიდა ქართლში, მაგრამ სენმა დასძლია და გარდაიცვალა ქალაქ მცხეთაში. ეს მოხდა 554 წელს.

ბიზანტიელების ამ მარცხს ლაზთა მეფე გუბაზი მათ სტრატეგოსთა უნიჭობასა და მცონაროაბას აბრალებდა და თავისი აზრი შეატყობინა კიდეც იმპერატორ იუსტინიანეს. ამ გარემოებით შეშფოთებულმა სტრატეგოსებმა გადაწყვიტეს მეფე გუბაზი გამოეცხადებინათ მოღალატედ და მოეკლათ იგი, მით უმეტეს, რომ მარტინესა და რუსტიკესთან (რომელიც ასევე კეისრის დიდმოხელე იყო ლაზიკეში) გუბაზს უკვე კარგა ხანია ურთიერთობა გაფუჭებული ჰქონდა.

მდინარე ხობის ნაპირას დაიბარეს მეფე გუბაზი, ვითომც ონოგურისის ციხესიმაგრის ასაღებად გალაშქრების თაობაზე მოსალაპარაკებლად და უიარაღოდ, მხოლოდ რამდენიმე კაცის თანხლებით მოსული ლაზთა მეფე ვერაგულად მოკლეს. ამ ამბავმა დიდი მღელვარება გამოიწვია ლაზთა შორის და “ისეთმა უკმაყოფილებამ შეიპყრო ისინი, რომ გადაწყვიტეს ამიერიდან აღარ შერეოდნენ რომაელებს და არც მათთან ერთად ელაშქრათ”.

ზემოაღწერილი მოვლენების თანამედროვე ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია ასე ახასიათებს ლაზებს: “ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენდნენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობდნენ; ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია არცთუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული... ისინი უკვე არც ბარბაროსები არიან, არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ რომაელებთან კავშირის წყალობით თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონითი სახე მიუციათ... აი, ასეთნი არიან ლაზები და ბუნებრივია, რომ მათ შეუწყნარებლად მიიჩნიეს მოეთმინათ ის, რომ მათ ასე ვერაგულად მოუკლეს მეფე”, დასძენს ისტორიკოსი.

გუბაზის მკვლელობის შემდეგ, მარტინეს ინიციატივით ბიზანტიელებმა იერიში მიიტანეს ონოგურისის ციხეზე იმ იმედით, რომ მას ადვილად აიღებდნენ და ამ გამარჯვების შედეგად იმპერატორს, რომც გაეგო მათი ვერაგული მოქმედება, ეგების, კიდევაც ეპატიებინა დანაშაული. მაგრამ ამ ციხესთან ბიზანტიელთა ორმოცდაათიათასიანმა არმიამ სასტიკი დამარცხება იწვნია სამი ათასი სპარსელისაგან და აგათიას თქმით, "თვით ბოროტმოქმედების ჩამდენთაც სულ მალე ეწიათ უმაღლესი სასჯელი".

554 წლის ზამთარში, როდესაც საომარი მოქმედება შეწყდა და ბიზანტიელთა მთელი ჯარი დანაწილებული იყო ქალაქებსა და ციხეებში, ლაზიკის დიდებულებმა "კავკასიის ერთ ხეობაში შეყარეს დიდძალი ხალხი ჩუმად, რომ რომაელებს არ შეეტყოთ, რასაც აქ მოაგვარებდნენ, და დასვეს საკითხი – სპარსელების მხარეზე გადავიდეთ, თუ ისევ რომაელებთან დავრჩეთო". როგორც მოსალოდნელი იყო ლაზთა ამ სახალხო კრებაზე ორი, სპარსოფილური და ელინოფილური, დასის წარმომადგენლებს შორის ცხარე კამათი გაიმართა. აგათია სქოლასტიკოსმა შემოგვინახა ამ სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის წარჩინებულ ლაზთა, აიეტისა და ფარტაზის, მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომლებიც მისივე შეფასებით, მჭერმეტყველების შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს. დიდი კამათის შემდეგ საბოლოოდ შეთანხმდნენ იმაზე, რომ არ აჩქარებულიყვნენ, დარჩენილიყვნენ რომაელთა მოკავშირეებად და იმპერატორ იუსტინიანესთვის შეეტყობინებინათ მისი სტრატეგოსების მოღალატეობრივი და უსამართლო მოქმედების შესახებ, რომ მას გამოეძია მიუკერძოებლად ყველა გარემოება და დაესაჯა დამნაშავენი. გარდა ამისა ლაზები მოითხოვდნენ, რომ იუსტინიანეს მეფედ გამოეგზავნა გუბაზის უმცროსი ძმა წათი, რომელიც იმჟამად კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა.

იმპერატორმა, რომელიც სრულიად სამართლიანად თვლიდა ლაზთა მოთხოვნას, სასწრაფოდ შეასრულა ლაზების ყველა პირობა, გაგზავნა ლაზიკეში ცნობილი დარბაისელი ათანასე, რომელსაც უნდა გამოეძია საქმის ვითარება და ამ უკანასკნელმაც, ჩამოვიდა თუ არა, რუსტიკეც და მისი ძმა იოანეც ბორკილგაყრილები ქალაქ აფსარუნტის სატუსაღოში დაამწყვდია, ვიდრე დაწყებული გამოძიება დამთავრდებოდა.

სასამართლოს საქმე გადაიდო, რადგან 555 წლის გაზაფხულზე იბერიაზე გავლით ლაზიკეში მოვიდა მერმეროეს მაგივრად შაჰანშაჰის მიერ სპარსული ლაშქრის მთავარსარდლად დანიშნული ნახორაგანი, რომელიც შეუდგა მოხირისში ჯარების შეკრებას და მზადებას ომისათვის. ცხადია, ასეთ პირობებში სასამართლოსთვის არავის ეცალა.

ამასობაში წათიც დაბრუნდა კონსტანტინოპოლიდან, იმპერატორის მიერ ლაზთა მეფედ დანიშნული და ყველა იმ სამეფო ინსიგნიით შემკული, რომელიც ძველთაგანვე იყო დაწესებული (ოქროს გვირგვინი, ქიტონი ოქრომკედით მოქარგული, მიტრა შემკული ოქროთი და თვლებით, თეთრი ქლამიდა და წითელი წაღები) საამისოდ. ახალი მეფე ბიზანტიელთა სტრატეგოსებმა, ჯარმა და მთელმა ხალხმა სათანადო საზეიმო ცერემონიალით, საყვირების ხმაურით და მაღლა აწეული აფრიალებული დროშებით მიაცილეს რეზიდენციამდე.

წათის ჩამოჰყვა სტრატეგოსი სოტერიქე, რომელსაც იმპერატორისაგან დავალებული ჰქონდა ფული დაერიგებინა დასავლეთ იმიერკავკასიაში მცხოვრები მოკავშირე ტომებისათვის.

სოტერიქე თავისი ორი შვილითურთ გაემართა მისიმიელთა ქვეყანაში, მდ. კოდორის ზემო დინებაზე, და ბუქლოოსის ციხეში გაჩერდა. მისიმიელებმა რატომღაც ეჭვი აიღეს, რომ იგი აპირებდა ამ ციხესიმაგრის, რომელიც ლაზიკეს საზღვარზე მდებარეობდა, ალანთათვის გადაცემას და ამიტომ მიაგზავნეს მასთან წარმომადგენლები წინადადებით, რომ იგი სასწრაფოდ გადასულიყო სხვა ადგილას. სოტერიქემ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და თავის მხლებლებს აცემინა ჯოხებით ისინი. ღამე მისიმიელნი თავს დაესხნენ სოტერიქეს, მოკლეს იგი, მისი შვილებიც და მხლებლებიც, გაძარცვეს ისინი და იმპერატორისაგან წამოღებული ფულიც გაიტაცეს. ამის შემდეგ მიხვდნენ, რომ მათ უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდათ, გადაუდგნენ ბიზანტიელებს და ელჩები გაუგზავნეს სპარსელებს თხოვნით, მიეღოთ ისინი, როგორც ქვეშევრდომები.

ბიზანტიელებმა მხოლოდ 556 წლის გაზაფხულისთვის მოიცალეს მისიმიელებისათვის და ოთხიათასიანი ჯარი გააგზავნეს მათ დასასჯელად. მაგრამ მათ იქ დახვდათ ქართლიდან და მოხირისის ქალაქებიდან წამოსული სპარსული ლაშქარი. ამიტომ რომაელებმა იქ შეჭრა ამჯერად ვერ მოახერხეს და აფსილიაში გაჩერდნენ, კოდორის ქვემო წელზე. მთელი ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში მათ შორის შეტაკება არ მომხდარა. ზამთრის დადგომისთანავე სპარსელები უკან გაბრუნდნენ ქუთაისსა და იბერიაში, რომ იქ გამოეზამთრებინათ. ამით ისარგებლეს ბიზანტიელებმა, რომელთაც სათავეში მარტინე ჩაუდგა, შეიჭრნენ მისიმიანეთში და ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ დიდი სისასტიკით გაუსწორდნენ მისიმიელებს, მძევლებიც გამოართვეს და სოტერიქესაგან მიტაცებული ფულიც დაიბრუნეს.

555 წელს ნახორაგანის მიერ განახლებული ომი ლაზიკეში, ფაქტობრივად, ქალაქ ფაზისის (ფოთის) ხელში ჩაგდებას ისახავდა მიზნად. სპარსელები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ზღვაზე გასასვლელი ნავსადგური მოეპოვებინათ, მაგრამ მათ ამჯერადაც ვერ მიაღწიეს მიზანს და სასტიკად დამარცხდნენ ფაზისთან გამართულ ბრძოლაში, სადაც ნახორაგანის სამოცათასიანმა არმიამ ათი ათასი მეომარი დაკარგა, ხოლო დანარჩენები სამარცხვინოდ გაიქცნენ მთავარსარდალთან ერთად და მოხირისში დაბრუნდნენ. ამის შემდეგ ნახორაგანი ზამთრის პირს ქართლში დაბრუნდა. საომარი მოქმედებები შეწყდა. დამარცხებით განრისხებულმა ხოსრო ანუშირვანმა კი გამოიწვია ნახორაგანი ქართლიდან და საშინელი სასჯელით დასაჯა: ცოცხლად ტყავი გააძრო.

ბიზანტიელთა გამარჯვების შემდეგ, როდესაც შეწყდა საომარი მოქმედებები, კვლავ დადგა დღის წესრიგში მეფე გუბაზის მკვლელობის საკითხი. სასამართლო გაიმართა არქეოპოლისში. სენატორმა ათანასემ აფსარუნტიდან მოაყვანინა რუსტიკე და იოანე და დიდძალი ხალხის და ჯარის თვალწინ გაასამართლა ისინი. ბრალმდებლებად წარჩინებული ლაზები გამოვიდნენ, ალაპარაკეს ბრალდებულნიც. ათანასემ ორივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო და სიკვდილი გადაუწყვიტა. ისინი ჯერ ჯორებზე შესვეს და ქალაქის ქუჩებში ჩაატარეს, შემდეგ კი თავები მოჰკვეთეს.

მრავალწიანი ომის შედეგად, როგორც აგათია სქოლასტიკოსი გადმოგვცემს, ხოსრო იმ აზრს დაადგა, რომ ის ვერ შეძლებდა კოლხიდაში ფეხის მოკიდებას რომაელების წინააღმდეგ. ასე დამთავრდა 556 წელს დიდი ომიანობა ლაზიკეში.

საბოლოოდ 562 წელს დაიდო ზავი 50 წლით, რომელიც ითვალისწინებდა ლაზიკის განთავისუფლებას სპარსელთა ჯარისაგან და ბიზანტიისათვის დაბრუნებას. რომაელებს სამაგიეროდ უნდა გადაეხადათ დიდძალი თანხა.

ზავის დადების მიუხედავად, ცალკეული შეტაკებები ორ იმპერიას შორის დასავლეთ საქართველოში მაინც გრძელდებოდა საუკუნის დასასრულამდე. საბოლოო ჯამში, თითქმის ორმოცდაათწლიანი ომი დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელთა სრული გამარჯვებით დამთავრდა. მაგრამ ამ ომს არ შეიძლება შედეგად ეგრისის ეკონომიკური დაცემა და პოლიტიკური დასუსტება არ მოჰყოლოდა, რითაც, ცხადია, ისარგებლებდნენ გამარჯვებულები: მათ 50იანი წლების შემდეგ რომელიღაც მომენტში გაუუქმებიათ მეფობა. 80იანი წლების ბოლოს "კოლხიდის სტრატეგოსი" რომანოზი "კოლხიდაში რომ მივიდა, რომელსაც მდაბიურმა ენამ ლაზიკე გადაარქვა, და შეუთანხმდა იქაურ მმართველებს" სპარსელებთან საბრძოლველად, იმისი მოწმობაა, რომ ამ დროს ეგრისს მეფე აღარ ჰყავს.

VII სის დასაწყისში ბიზანტიელები კიდევ უფრო მეტ წარმატებას აღწევენ დასავლეთ საქართველოში.

თავი IV. საქართველო VII ს-ის პირველ ნახევარში

პოლიტიკური ვითარება. 602 წელს ბიზანტიაში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, მოკლეს იმპერატორი მავრიკი და ტახტზე ავიდა უზურპატორი ფოკა, დუნაის არმიის ცენტურიონი. მისი მეფობა (602 – 610 წწ.), სისხლიანი ტერორითა და შეთქმულებებით ხასიათდებოდა. სპარსეთის შაჰმა, ხოსრო ფარვიზმა, რომელიც მავრიკი კეისრის სიძე იყო და რომელიც თავისი სიმამრის იმპერატორობის ბოლო წლებში ისედაც ემზადებოდა რევანშისათვის, ბუნებრივია, ეს შემთხვევა საბაბად გამოიყენა და ვითომ უზურპატორისადმი შურისძიების გამო, 603 წლის ბოლოს ომი გამოუცხადა ბიზანტიას. 604 წ. აიღო ქ. დარა მესოპოტამიაში, 607 წ. – ქ. თეოდოსიოპოლი (ახლანდელი არზრუმი). 609 წლისთვის უკვე მთელი მესოპოტამია სპარსეთმა უკან დაიბრუნა. 610 წელს სპარსელებმა მდ. ევფრატი გადალახეს, აიღეს ანტიოქია და რამდენიმე წლის განმავლობაში დაიპყრეს მთელი სირია, ფინიკია, სომხეთი, კაპადოკია და პალესტინა. 614 წელს ირანის ჯარმა იერუსალიმი აიღო, საიდანაც შაჰის ბრძანებით სხვა მდიდრულ ნაძარცვთან ერთად, წამოღებულ იქნა "ძელი ცხოვრებისა" ანუ ჯვარი, რომელზედაც ქრისტე აწამეს. ეს ხოსრო ფარვიზს სჭირდებოდა, როგორც ქრისტიანულ სამყაროზე ბატონობის სიმბოლო. 615 წელს ირანის ჯარმა დროებით ქალკედონიც კი დაიჭირა, ხოლო 618 წელს ეგვიპტე დაიმორჩილა. ტერიტორიული ექსპანსიის თვალსაზრისით, აქემენიდური ეპოქის შემდეგ, ირანს თავისი სახელმწიფო საზღვრები ასე ფართოდ არასდროს განუვრცია.

ცხადია, სპარსეთის შაჰს ქართლის ის ნაწილიც უნდა დაებრუნებინა, რომელიც 591 წელს ბიზანტიას გადასცეს. ზუსტად რომელ წელს მოხდა ეს, ძნელი სათქმელია, მაგრამ VII ს-ის დასაწყისში რომ ეს უკვე მომხდარი ფაქტია, ამას კირიონ ქართლისა და აბრამ სომხეთის კათალიკოსების მიმოწერა ადასტურებს.

სომეხქართველთა ამ მიმოწერიდან ფრიად საინტერესო ვითარება იკვეთება. კერძოდ ის, რომ, როგორც ირკვევა, დაახლოებით 604 წლისთვის ქართლის ერისმთავარი უკვე სტეფანოზი კი არ არის, არამედ – ატრნერსე//ადარნასე, რომელიც მანამდე კახეთის ერისთავი უნდა ყოფილიყო. საინტერესო აქ ის არის, რომ ამ დროს და ამის შემდეგაც სტეფანოზი ჯერ კიდევ ცოცხალია. მაშასადამე, ადარნასეს მიერ ქართლის ერისმთავრის ტახტის დაჭერა რაღაც პოლიტიკური ძალდატანების შედეგი უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, ამ აქციაში ბიზანტიის სამეფო კარის ხელი ერია.

რაც შეეხება ხოსრო ფარვიზს, მიუხედავად ბიზანტიასთან ომისა, რელიგიის თვალსაზრისით 616 წლამდე იგი ტოლერანტულ პოლიტიკას ეწეოდა ქრისტიანების მიმართ. სწორედ ამით იყო მნიშვნელოვანწილად განპირობებული ქართლის ეკლესიის მეთაურის წარმატება სომხურ ეკლესიასთან ბრძოლაში, რასაც, როგორც ვიცით, სომეხქართველთა საეკლესიო განხეთქილება მოჰყვა შედეგად. ამას ადგილი ჰქონდა 607 – 609 წლებში, კირიონის კათალიკოსობისა და ადარნასეს ერისმთავრობის დროს.

მაგრამ იერუსალიმის წარტყვევნისა და “ძელი ცხოვრების” ქტეზიფონში, ირანის სატახტო ქალაქში, გადმოსვენების შემდეგ შაჰის რელიგიური პოლიტიკა მკვეთრად შეიცვალა. 616 წელს ხოსრო ფარვიზმა სამეფო კარზე მოიწვია თავის სახელმწიფოში მყოფ ეპისკოპოსთა კრება, რომელზედაც დადგენილ იქნა, რომ შაჰის ქვეშევრდომმა ყველა ქრისტიანმა სომხური სარწმუნოება ანუ მონოფიზიტური მრწამსი უნდა აღიაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში ურჩნი განდევნილნი უნდა ყოფილიყვნენ.

ეს უკვე ის დროა, როდესაც დიდების ზენიტს მიღწეული ხოსრო ფარვიზი მტკიცედ დაეუფლა ქართლს. ასეთ ვითარებაში ბიზანტიის ორიენტაციის მქონე ადარნასე ქართლის ერისმთავარს და კირიონ ქართლის კათალიკოზსაც აღარ დაედგომებოდათ და, როგორც ვარაუდობენ, მართლაც, უნდა დაეტოვებინათ ქართლი, ხოლო ერისმთავრის ტახტი კვლავ სტეფანოზს უნდა დაეკავებინა.

სტეფანოზის მეორედ მმართველობის პერიოდში ქართლი ბიზანტიაირანის საომარი დაპირისპირების უშუალო სარბიელი გახდა.

ჰერაკლე კეისარი და ეგრისი. 610 წელს ბიზანტიაში კიდევ ერთი სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, მოკლეს იმპერატორი ფოკა და ტახტზე ავიდა აფრიკის ეგზარხოსის შვილი ჰერაკლე, ახალგაზრდა ნიჭიერი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე. ფოკას სისხლიანი მმართველობის შედეგად იმპერია სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა: დაკარგული ტერიტორიები, მოშლილი ეკონომიკა და ფინანსები, დეზორგანიზებული და დემორალიზებული ლაშქარი, საერთო ანარქია..... აღმოსავლეთიდან თუ სპარსელები უტევდნენ, დასავლეთიდან – ავართა ხანი, რომლის ქვეშევრდომი სლავური ტომები ინტენსიურად სახლდებოდნენ კონსტანტინოპოლის მახლობელ ბალკანურ მხარეებში. სპარსელებთან გადამწყვეტი ომის დაწყებამდე საჭირო იყო შინაგანი ვითარების სტაბილიზაცია და დასავლეთიდან მომდგარი საფრთხის ნეიტრალიზაცია. 619 წ. ჰერაკლე კეისარმა მოახერხა ზავის დადება ავართა ხანთან, რის შედეგად შეძლო აგრეთვე თრაკიის ჯარის ნაწილის

აღმოსავლეთში გადასროლა. ეს მოხდა 621 წელს. ერთი წლის შემდეგ კი თვით ჰერაკლე კეისარი გადადის მცირე აზიაში, ნიკომედიასთან (ნავსადგურ პილაში), სადაც ლაშქრის ორგანიზაციას ანდომებს მთელს ზაფხულს. ზამთარს ატარებს პონტოში და 623 წლის აპრილში ტრაპეზუნტიდან წამოსული სომხეთზე გავლით იჭრება სპარსეთის ტერიტორიაზე, ადარბადაგანში ანუ სპარსეთის აზერბაიჯანში.

ტრაპეზუნტში ყოფნისას იმპერატორი კავშირს ამყარებს ეგრისის ხელისუფლებასთან, კერძოდ, ფაზისის მიტროპოლიტ კიროსთან და თითქოს ფაზისშიც კი ჩადის. გვაქვს კონკრეტული მითითება, რომ ბიზანტიის იმპერატორი შეხვდა და ესაუბრა ეგრისის არქიეპისკოპოსს. კიროს ფაზისელის წერილით (კონსტანტინოპოლის პატრიარქ სერგისადმი, დაწერილი 625 წის დასაწყისში) ირკვევა, რომ მას ჰქონია საუბარი ჰერაკლესთან ქრისტოლოგიურ საკითხებზე.

ჰერაკლე კეისარს ფაზისის მიტროპოლიტთან, ქრისტოლოგიურ საკითხებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობიდან მოკავშირე ძალების გამოყვანის შესაძლებლობებზეც ექნებოდა საუბარი. ამის შედეგი უნდა იყოს ის, რომ იმავე 623 წელს თუ 624 წლის გაზაფხულზე ალვანეთში მდგარ ჰერაკლე კეისრის ლაშქარს შეუერთდნენ “მოკავშირეები ლაზთაგან, აბაზგთაგან და იბერიელთაგან”.

624 – 625 წლების საომარი ასპარეზი სამხრეთი სომხეთის ტერიტორიაა და მიუხედავად ჰერაკლე კეისრის ზოგიერთი წარმატებისა, მან, ფაქტობრივად, ხელმეორედ დაკარგა წინა წლებში შემოერთებული ტერიტორიები. ჰერაკლე უკან იხევს, 625626 წლების ზამთარს თავისი არმიით კვლავ პონტოში აფარებს თავს და ლაშქრის ხელმეორე შევსებადაკომპლექტებას იწყებს.

ხოსრო ფარვიზმა, რომელიც, ფაქტობრივად, გამარჯვებული გამოვიდა ამ საომარი კამპანიიდან, საბოლოოდ სცადა ბიზანტიის განადგურება და 626 წლის გაზაფხულზე თავისი ცნობილი მხედართმთავარი შაჰრვარაზი, რომელიც ორი წლის განმავლობაში ებრძოდა ჰერაკლე კეისარს, ლაშქრის დიდი ნაწილითურთ კვლავ გააგზავნა ბოსფორის ნაპირებზე, რომ იქიდან, ჩრდილოეთ ბალკანეთზე გაბატონებულ ავართა ხანთან ერთად, ბიზანტიის დედაქალაქისთვის ალყა შემოერტყათ და აეღოთ. “ეს რომ გაიგო მეფემ (ჰერაკლემ), სამ ნაწილად გაჰყო თავისი ჯარი: ერთი ნაწილი მან გაგზავნა ქალაქის დასაცავად, მეორე ჩააბარა თეოდორეს, თავის ძმას და უბრძანა (მცირე აზიაში მყოფი) საინის (შაჰინის სპარსთა მეორე მხედართმთავრის) წინააღმდეგ ებრძოლა. ხოლო მესამე ნაწილი თვითონ წაიყვანა და ლაზიკისკენ გაემართა” (თეოფანე ჟამთააღმწერელი).

სწორედ ამ მეორე ლაშქრობას უნდა გულისხმობდეს IX ს-ის მეორე ბიზანტიელი ისტორიკოსის ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის ცნობაც, რომ ჰერაკლემ (როგორც ჩანს, პონტოდან, სადაც მისმა ლაშქარმა ზამთარი გაატარა) “შავი ზღვით გასცურა და სცადა ლაზიკის გზით სპარსეთში შეჭრილიყო”. IX ს-ის ბიზანტიური წყაროებისათვის “ლაზიკე” მხოლოდ ეგრისს შეიძლება გულისხმობდეს და ამდენად, თეოფანესთან და ნიკიფორე კონსტანტინოპოლელთან ხმარებული ეს ხორონიმიც საკუთრივ დასავლეთ საქართველოს (ეგრისს) ნიშნავს და სხვას არაფერს. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ჰერაკლეს ამჟამადაც

ისევე, როგორც პირველი ლაშქრობის დროს, ტრაპეზუნტშიც გამოევლოს. ამას გვაფიქრებინებს 1042 წის ქართული კომპილაციის ცნობა: “ხოლო ჰერაკლე მეფემან ისწრაფა და ყოვლით კერძო შეიკრიბა ლაშქარი და მოინადა (მოუწოდა) მან ურიცხჲ ერი მებრძოლთაჲ ყოვლით კერძო ნათესავთაგან მრავლითა და ევქსინო პონტოჲთ, რომელ არს ზღუაჲ ვრცელი, ჩრდილოჲ კერძო წარემართა სიმრავლითა ურიცხჳსა ნავებისაჲთა: და ჰყვა მისთანა ცოლი თჳსი: და მიიწიარაჲ ტრაპეზუნტედ, სანახებთა მათ სამეგრელოსაჲთა, უშვა ძჳY რომელსა უწოდა ერაკლე”. ამგვარად, ეგრისში ჰერაკლე პონტოდან ტრაპეზუნტზე გავლით ჩასულა. ეს მოხდა 626 წლის ზაფხულში.

სწორედ ეგრისიდან დაუკავშირდა ჰერაკლე დასავლეთის თურქთა ხანს და შესთავაზა მოკავშირეობა სპარსელთა საწინააღმდეგოდ. ქართველი კომპილატორის ცნობით, “მიერ წარავლინნა მოციქულნი ძღუენითა მრავლითა მეფისა მიმართ თურქთაჲსა. ხოლო მეფემან თურქთამან დიდად შეიწყანარნა მოციქულნი ერაკლესნი და მოსცა მას აღთქუმაჲ ერთობისაჲ”. მოციქულის გაგზავნას თურქებთან (ჰონებთან) ადასტურებს მოვსეს კალანკატუაციც, რომელმაც მისი სახელიც კი შემოგვინახა: კეისარმა “აღჭურვა და მოამზადა ერთი თავისი დიდებულთაგანი, ჭკვიანი და განსწავლული კაცი სახელად ანდრე და გაგზავნა ის ჰონებთან, ჰპირდებოდა, რომ ურიცხვსა და უთვალავ განძეულობას უბოძებდა მათ, თუ დაეხმარებოდნენ დიდ შურისძიებაში”. თურქები დათანხმდნენ და “ჩრდილოეთის მეფის (ხანის) ნაცვალმა, რომელიც მეორე კაცი იყო სამეფოში, სახელად ჯებუ ხაქანმა… იმ ნახარართან (ანდრესთან) ერთად შეთანხმების განსამტკიცებლად გაუგზავნა ათასამდე მხედარი, რჩეულნი სიმამაცით და ძლიერნი მშვილდოსნობით. ისინი მოულოდნელად გაემართნენ ჩორის კარისკენ (დარუბანდისკენ), არაფრად ჩააგდეს სპარსეთის მეფის ქალაქის მცველი რაზმები, რომლებიც დიდი კარის დასაცავად იყვნენ დაყენებულნი და როგორც არწივები ისე გაფრინდნენ დიდ მდინარე მტკვრისაკენ. არავის ინდობდნენ, ვინც მათ წინააღმდეგ გამოვიდოდა. გეზი აიღეს ქართველთა და ეგერთა ქვეყნებისაკენ. გადალახეს დიდი ზღვის ნაპირები და მიაღწიეს სამეფო კარს. წარუდგნენ დიდ კეისარ ჰერაკლეს. თითოეულის წესების მიხედვით განამტკიცეს ფიცი ერთმანეთში”.

სომეხი ისტორიკოსის ამ ცნობიდან ვიგებთ, რომ ჰერაკლეს მოციქული ანდრე ეგრისიდან გაუგზავნია და ამიტომაც ჯებუ ხაკანსაც საპასუხო “დელეგაცია” გამოუგზავნია “ქართველთა და ეგერთა ქვეყნებისაკენ”, სადაც ჰერაკლე კეისრის სამხედრო ბანაკი (“სამეფო კარი”) უნდა ყოფილიყო. ბიზანტიის იმპერატორი ეგრისიდან რომ უკავშირდებოდა ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში მომთაბარე თურქებს, ეს ეგრისის მმართველი წრეების გარეშე არ შეიძლება მომხდარიყო.

აფხაზეთის აგრესია. ჰერაკლე კეისრის თურქთა კაგანატთან ურთიერთობის თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა ისიც, რომ ალბათ სწორედ ამ დროს, ეგრისში ყოფნისას, მან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა, რომლის შესახებ ცნობა ვახუშტი ბატონიშვილმა შემოგვინახა: “სტეფანოზ ბაგრატიონის ჟამსა მოულო ერეკლეოს კეისარმან კუალად ეგრისის მდინარის იქითი და დასუეს ბერძენთა ერისთავი თჳსი ანაკოფიას და უწოდეს აფხაზთა ერისთავად, იყვნენ აქა ერისთავნი ცვლილებითა”. როგორც ირკვევა, ბიზანტიის

იმპერატორს აფხაზეთი, ფაქტობრივად, თავისი ხელისუფლებისთვის უშუალოდ დაუმორჩილებია და იქ თავისი მოხელე დაუსვამს, რომელიც ამიერიდან უშუალოდ მას ემორჩილებოდა და რომელსაც ქართულ წყაროში “აფხაზთა ერისთავი” ეწოდებოდა. ეს ჰერაკლეს სჭირდებოდა, როგორც საკუთრივ ეგრისზე თავისი გავლენის განმტკიცებისათვის, ასევე ჩრდილო კავკასიასთან და მისი საშუალებით თურქთა კაგანატთან მისთვის ასე საჭირო სავაჭრო და სამხედრო ურთიერთობისათვის საკომუნიკაციო გზებზე კონტროლის გარანტიის მიზნით. ბიზანტიას უკვე ჰქონდა გამოცდილება ამიერკავკასიის ხალხთა, კერძოდ, ქართველთა შუამავლად გამოყენებისა ევრაზიის სტეპებში გადაჭიმულ თურქთა მომთაბარულ იმპერიასთან ურთიერთობაში, რომელიც ამ დროისთვის უკვე ორად იყო დანაწილებული: აღმოსავლეთის და დასავლეთის თურქთა სახანოებად. დასავლეთ თურქთა სახანოს ცენტრი ვოლგის ქვემო დინებაზე იყო და მისი უმაღლესი ხელისუფალი, ამ დროს ტუწშეხუ ხაკანი იყო, ხოლო მეორე პირად ითვლებოდა მისი ძმა, რომელიც ატარებდა ჯაბღუხაკანის ტიტულს.

თბილისისათვის ბრძოლა. 627 წელს, შეპირებისამებრ, ჯაბღუხაკანმა თავისი ძის თუ ძმისწულის თანხლებით, რომელსაც შათის ტიტული ჰქონდა ანუ საუფლისწულოს მფლობელი იყო, დასავლეთის თურქთა აურაცხელი ურდოებით გადმოლახა დარუბანდის კარი და, როგორც მოვსეს კალანკატუაცი გადმოგვცემს, “ალვანეთის ქვეყნის ყველა საზღვარი და ატრპატაკანის (აზერბაიჯანის) ერთი ნაწილი მახვილის პირით გაანადგურა”, აიღო დედაქალაქი პარტავი (ბარდავი) და მისი მოსახლეობა ამოჟლიტა. სპარსეთის შაჰის დანიშნული მმართველი, მარზპანი გაიშაქი უძლური იყო რაიმე მოემოქმედა და მთელი თავისი ოჯახით სპარსეთს გაიქცა. “ყოველივე ამის შემდეგ, დაიძრა აზვირთებული ნიაღვარი და აბობოქრებული მდინარე ქართველთა ქვეყნის წინააღმდეგ, გარემოიცვეს ნებიერი სავაჭრო და სახელოვანი დიდი ქალაქი ტფილისი”.

თბილისში მოვიდა ეგრისიდან ჰერაკლე კეისარიც თავისი ლაშქრით და სწორედ აქ შეხვდნენ ერთმანეთს ბიზანტიის იმპერატორი და თურქთა მთავარსარდალი ჯაბღუხაკანი ანუ ქართული წყაროების ჯიბღა (ქც˜ა) // ჯიბღო “მოქცევაჲ” // ჯიბღუ (სუმბატ დავითის ძე).

ვიდრე გავარკვევდეთ, თუ რატომ დალაშქრეს ერთობლივ თურქებმა და ბიზანტიელებმა მაინცდამაინც თბილისი, გასარკვევია რა გზით უნდა მოსულიყო ბიზანტიის ჯარი ლაზიკედან (ეგრისიდან) თბილისში? თითქოს ბუნებრივია – სურამის უღელტეხილით. მაგრამ მიუხედავად იმისა რომ ამ მეორე ლაშქრობისას ჰერაკლე ნამდვილად ლაზიკედან მოდის და არა ტრაპეზუნტიდან, მაინც საფიქრებელია, რომ მან კარინ//თეოდოსიოპოლზე შემოვლით შემოიარა და ასე “ჩამოვლო ჰერაკლე მეფემან ბერძენთამან” ქართლი თბილისამდე. კონკრეტულად რა მიმართულება ჰქონდა ამ გზას?

ირანთან სამკვდროსასიცოცხლო ომში გამარჯვებულმა ჰერაკლე კეისარმა, რომელიც სპარსეთიდან ადარბადაგანის (განძაკი) გზით სომხეთზე წამოსულა, ქართლზე ხელმეორედ ამოიარა. აქ გარკვეული საქმიანობის შემდეგ იგი “ქართლის გზით” კვლავ სომხეთს (კარინი // თეოდისიოპოლი// არზრუმი) გადასულა და აქედან გამგზავრებულა კონსტანტინოპოლისკენ.

ჰერაკლეს ქართლში ხელმეორედ შემოსვლის მაუწყებელი ცნობა “ქართლის ცხოვრებიდან” გვაიძულებს ერთი ვარაუდის დაშვებას: “უკმოიარა გზა ქართლისავე მეშჳდესა წელსა, რაჲთგან ჩაევლო”, მოწმობს იმას, რომ მემატიანის აზრით კეისარი თავის დროზე ქართლში იმავე გზით შემოსულა. და თუ ეს ასეა, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ 627 წელს, როდესაც ბიზანტიის იმპერატორი ჯაბღუხაკანთან შესახვედრად ეგრისიდან წამოვიდა, მან პირდაპირი გზა კი არ აირჩია სურამის ქედზე, არამედ ჭოროხის ხეობით კარინში (არზრუმში) ასულა და იქიდან “გზაჲ ქართლისაჲ ჩამოვლო”.

ალყაშემორტყმულ თბილისთან თურქთა და ბიზანტიელთა ლაშქრები ერთმანეთს შეხვდნენ.

ქართლის მთავარი ამ დროს, როგორც ვიცით, “იგივე დიდი სტეფანოზია”, რომელიც თბილისში ზის. “ქართლის ცხოვრება” გადმოგვცემს, რომ “ამან სტეფანოზ არა ინება განდგომა სპარსთაგან, და განამაგრნა ციხექალაქნი, და დადგა ტფილისსა შინა. მოვიდა ერაკლე მეფე და მოადგა ტფილისსა. ხოლო სტეფანოზ იყო ქუელი მჴედარი და შემმართებელი; დღეთა ყოველთა გამოვიდის კართა ქალაქისათა და ებრძოდის ბერძენთა”.

ბერძენთა და თურქთა შეერთებული ლაშქრით გარემოცული თბილისი და მისი მოსახლეობა ფრიად შეჭირვებული იყო, მაგრამ მედგრად ებრძოდა მოალყეებს. მით უმეტეს, რომ მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, სპარსეთის შაჰმა, რომელსაც წინასწარ გაეგო “ორივე დიდი მეფის შეთანხმება ქალაქთან შეხვედრაზე, გარემოცვის დაწყებამდე, დასახმარებლად და ქალაქის დასაცავად სწრაფად გაგზავნა მარჯვე და მამაცი მებრძოლი, თავისი მხედართმთავარი შაჰრაპალი. ასევე ათასამდე რჩეული მხედარი თავისი ქეშიკებიდან და კარისმცველებიდან”.

როგორც ვხედავთ, თბილისის აღებით და ქალაქის ხელში ჩაგდებით ფრიად დაინტერესებულნი არიან თურქები და ბიზანტიელები, სპარსეთის შაჰი კი ცდილობს როგორმე შეინარჩუნოს ეს ქალაქი. ცხადია, ყველაფერი ეს თბილისის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს თავისთავად და, კერძოდ, ამ დიდი სახელმწიფოებისთვის. რით იყო გამოწვეული ასეთი დიდი ინტერესი ამ ქალაქის მიმართ? რატომ დვინის ან პარტავის, სომხეთისა და ალვანეთის დედაქალაქების, იმავე ბერძენთურქთა ლაშქრების მიერ აღებას არ გამოუწვევია, რამდენადაც წყაროებიდან ჩანს, ასეთივე მძაფრი რეაქცია სპარსელთაგან?

აქ პირველ რიგში უნდა მოვიგონოთ, რომ VII ს-ის ოციანი წლების თბილისი “ნებიერი, სავაჭრო და სახელოვანი დიდი ქალაქია”, რაც იმას მოწმობს, რომ ამ დროისათვის იგი ამიერკავკასიის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და კულტურული ცენტრია. ეს, როგორც ვიცით, პირველ რიგში, ახალგაზრდა ფეოდალური ქართლის ეკონომიკური და კულტურული აღორძინების შედეგია, რაზედაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. თბილისი უკვე ამ დროს მნიშვნელოვან მეტოქეობას უწევს დვინს და პარტავს, რაც ერთი მხრივ, მნიშვნელოვანწილად განპირობებული უნდა ყოფილიყო მისი ცენტრალური მდებარეობით ამიერკავკასიაში, რომლის ქვეყნებს შორის საერთო სამეურნეო აღორძინების შედეგად უფრო ინტენსიური ხდებოდა სავაჭროეკონომიკური ურთიერთობანი, მეორე მხრივ, ამიერკავკასიასთან ანალოგიურ ურთიერთკავშირში უფრო და უფრო ებმებოდა ჩრდილოეთი კავკასიაც. თბილისი

კი ამიერკავკასიაზე გამავალი აღმოსავლეთდასავლეთისა და ჩრდილოეთსამხრეთის დამაკავშირებელი სავაჭრო მაგისტრალების გადაკვეთის ადგილზეა და ამას არ შეიძლება დიდი მნიშვნელობა არ ჰქონოდა მისი, როგორც სავაჭროეკონომიკური ცენტრის აღზევებისათვის. ამგვარად, კონტროლი თბილისზე, ფაქტობრივად, პერსპექტივაში კავკასიის რეგიონის ვაჭრობაზე კონტროლს ნიშნავდა და, ცხადია, ეს უაღრესად მიმზიდველი ფაქტორი უნდა ყოფილიყო მეზობელი იმპერიებისათვის.

მართალია, არაბთა ბატონობამ VII ს-ის მეორე ნახევრიდან თბილისის აღზევების ეს პროცესი შეაფერხა, მაგრამ ამ საუკუნის ოციან წლებში ამაზე ჯერ არავინ ფიქრობდა და თბილისის მფლობელობა, რომ აღარაფერი ვთქვათ მისი პოლიტიკურსტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ ამიერკავკასიაში, სავაჭრო ეკონომიკური თვალსაზრისითაც უაღრესად სახარბიელო უნდა ყოფილიყო.

VI ს-ის მეორე ნახევრიდან ბიზანტია ენერგიულად ცდილობს შორეულ აღმოსავლეთთან სავაჭრო კონტაქტები დაამყაროს ირანის გარეშე, მისი ტერიტორიის ავლით, კერძოდ, ჩრდილო კავკასიიდან კასპიის ზღვის ჩრდილო სანაპიროს შემოვლით. ეს პრობლემა ამჟამადაც იდგა და ეჭვი არ არის დასავლეთი თურქების სახელმწიფოსთან კავშირი ამგვარ სავაჭრო ურთიერთობებსაც ითვალისწინებდა. თუკი VI ს-ში ერთადერთი რეგიონი კავკასიონზე, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა ასეთი კონტაქტების დამყარება, სვანეთაფხაზეთი იყო, VII ს-ის ოციან წლებში სიტუაცია არსებითად შეცვლილიყო. ირანის განდევნა ამიერკავკასიიდან ბიზანტიელთურქთა კოალიციის მიერ სავსებით რეალური ხდებოდა და ამიტომ "აბრეშუმის გზის" სისტემაში დარუბანდდარიალის გასასვლელების ჩართვაც პრაქტიკულად შესაძლებელი იყო. ასეთ შემთხვევაში თბილისი გადაიქცეოდა უმნიშვნელოვანეს პუნქტად ამიერკავკასიაში ამ საერთაშორისო მაგისტრალზე და მასზე კონტროლი, თავისთავად ცხადია, უაღრესად სარფიანი იქნებოდა. შეიძლება ითქვას, ფაქტობრივად, თბილისის გამო ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა "აბრეშუმის გზის" მომავალი ბედი და მნიშვნელოვანწილად აგრეთვე ბიზანტიის, ირანის, თურქთა კაგანატის და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებიც.

თბილისის აღება ბიზანტიელთა და თურქთა შეერთებული ლაშქრის მიერ ამჯერად 627 წის ზაფხულში დამცველების თავგანწირული ბრძოლის გამო ვერ მოხერხდა. ჰერაკლე კეისარს თავისი მთავარი მიზანი, სპარსეთის სამეფოს დამხობა ჯერ კიდევ შესასრულებელი ჰქონდა. ამიტომ მან გადაწყვიტა თბილისისათვის დროებით თავი დაენებებინა და თავისი ლაშქრით და აგრეთვე თურქთა მაშველი ჯარით სპარსეთს გამგზავრებულიყო ხოსრო ფარვიზის დასამარცხებლად. ქართლის დედაქალაქს იგი მერმე მოუბრუნდებოდა. ჯაბღუ ხაკანიც თავისი ლაშქრის დიდი ნაწილით უკან გაბრუნდა, ჰერაკლეს კი თავისი შვილი გაატანა 40 000 მეომრით. ბიზანტიის კეისარსა და ჯაბღუ ხაკანს შორის შეთანხმებისამებრ შემდგომი წლის შემოდგომაზე ამ უკანასკნელს კვლავ უნდა გამოელაშქრა თბილისზე.

ამგვარად, 627 წლის ზაფხულს თბილისი გადაურჩა მტრის მიერ აოხრებას.

მეორე წელს ჯაბღუხაკანი ისევ შემოესია ქართლს, ამჯერად, როგორც ჩანს, დარიალის ხეობით და ალყაც შემოარტყა თბილისს. ბრძოლა ორ თვეს გაგრძელდა. თბილისის დამცველები

პირველ ხანებში მხნედ უმკლავდებოდნენ მტერს. მაგრამ ბრძოლაში მოკლეს სტეფანოზ ქართლის ერისმთავარი და თურქებმა საბოლოოდ შეძლეს ქალაქის აღება. სომეხი ისტორიკოსი საოცარი სიცხადით აღგვიწერს თურქთა მიერ მოქალაქეთა დარბევას, რომელნიც "სიმხნევედაკარგულნი იმალებოდნენ ზოგი სახლის სახურავებზე, ზოგი წყალსადენ მილებში, ბევრიც წმინდა ეკლესიის თაღებში". შეპყრობილ იქნა თბილისის ციხისთავიც, რომელსაც ტყავი გააძრეს, "გაავსეს თივით და გალავნის ზემოთ ჩამოჰკიდეს".

ომის შედეგები. ქართლის საგარეოსავაჭრო ურთიერთობები. ქართლის დედაქალაქის აღების შემდეგ თურქების ნაწილი ნადავლითურთ ჯაბღუს მეთაურობით უკან გაბრუნებულა თავის ქვეყანაში, როგორც ჩანს, იმავე დარიალის ხეობით. მეორე ნაწილი კი, ალვანეთისაკენ დაძრულა.

ჰერაკლე კეისრისა და ჯაბღუ ხაკანის მოლაპარაკების შედეგად ამიერკავკასიაში ალვანეთზე თურქთა კონტროლი უნდა დაწესებულიყო, ხოლო ქართლი ბიზანტიის ხელქვეითი გამხდარიყო. ეს ტერიტორიების უბრალოდ განაწილებას კი არ ნიშნავდა, არამედ, დაკავშირებული იყო ბიზანტიისა და თურქეთის ირანის საწინააღმდეგოდ მიმართულ იმ დიდ გეგმასთან, რომელიც ჩინეთ – შუა აზიასა და ევროპას შორის სავაჭროსატრანზიტო მაგისტრალების ჩრდილოეთით ფაქტობრივ გადანაცვლებას და მათზე უშუალო კონტროლს ითვალისწინებდა. სწორედ ამიტომ უნდა შემოსულიყო ჰერაკლე კეისარი ხელმეორედ ქართლში მას შემდეგ, რაც ხოსრო ფარვიზის დამარცხების, ირანში სახელმწიფო გადატრიალებისა და ტახტზე კავადშიროეს ასვლის შედეგად 628 წელს ზავი დაიდო ბიზანტიასა და ირანს შორის.

კეისარმა ქართლში ბიზანტიის ხელისუფლების განმტკიცების მიზნით მთელი რიგი ღონისძიებებისა გაატარა. ჯერ ერთი, ქართლის ერისმთავრობა კვლავ ბიზანტიის ერთგულ ადარნასეს გადასცა. შემდეგ, "მოქცევაჲს" ცნობით, იგი სპარსთა ბატონობის პერიოდში აქ გავრცელებული ცეცხლთაყვანისმცემლობის აღმოფხვრას შეუდგა: "ჰერაკლე ტფილისს და მცხეთას და უჟარმას განავლინნა ქადაგნი, რაჲთა ყოველნი ქრისტეანენი ქალაქთა შინა ეკლესიათა შინა შეიკრიბნენ და ყოველნი მოგუნი და ცეცხლისა მსახურნი ანუ მოინათლნენ ანუ მოისრნენ. ხოლო მათ ნათლისღება არა ინებეს". რადგან ცეცხლის მსახურნი არ დამორჩილებიან ჰერაკლეს ბრძანებას, თავი რომ გადაერჩინათ, ქრისტიანებთან ერთად შერეულებმა თავი ეკლესიებს შეაფარეს. მაგრამ იმპერატორმა ისინი მაინც არ დაინდო და თვით ეკლესიის შენობაში მათ დახოცვასაც კი არ მოერიდა. როგორც მართლმადიდებლობის ადეპტი, იგი სასტიკად სდევნიდა ანტიქალკედონიტური სექტების მიმდევრებსაც, რის შედეგადაც, როგორც მემატიანე გვამცნობს, "ჰერაკლემ განწმიდა შჯული ქრისტესი და წარვიდა" კონსტანტინოპოლს. ასე დამთავრდა ქართლისთვის ბიზანტიაირანის უკანასკნელი საომარი დაპირისპირება.

ამიერკავკასიაში, საბოლოო ჯამში, ბიზანტია გამოვიდა გამარჯვებული. არაერთსაუკუნოვანი სისხლისმღვრელი შეჯახებების შედეგად, რომელთა განმავლობაში უპირატესობა პოლიტიკური თავალსაზრისით ამ რეგიონში ზოგჯერ ირანის სახელმწიფოს ხვედრი იყო, ჰეგემონობა ბოლოს და ბოლოს ბიზანტიას ჩაუვარდა ხელში: სომხეთი, ქართლი და, რა თქმა უნდა, ეგრისიც მისი პოლიტიკური და კულტურული სივრცის შემადგენელ ნაწილებად იქცა. რაც შეეხება ალვანეთს ეს ქვეყანა თურქებს დარჩათ.

სამეურნეო განვითარების თვალსაზრისით ამიერკავკასიის ტერიტორიაზე VII სის ოციან წლებში ბიზანტიელთა, სპარსელთა და თურქთა დამარბეველ ლაშქრობებს, ცხადია, არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოეხდინათ. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ქართლში დასავლეთი კაგანატის თურქთა ორგზისი (627და 628 წლებში) ამაოხრებელი შემოსევების შესახებ, რომელთაც ქართლის დედაქალაქიც კი ემსხვერპლა. მაგრამ რაგინდ საზარალო არ უნდა ყოფილიყო ზემოხსენებული მოვლენები, ესენი მაინც ეპიზოდური ხასიათისა იყო და ახალგაზრდა ფეოდალური ქვეყნის (და მთელი რეგიონის) გლობალურ სოციალურეკონომიკურ განვითარებას ვერ შეაფერხებდა.

საინტერესო საგარეოსავაჭრო ურთიერთობა მყარდება ქართლის საერისმთავროს ტერიტორიაზე VI ს-ის ბოლოს და VII ს-ის პირველ ნახევარში: აღმოსავლეთი საქართველო კვლავ ინტენსიურად ჩაება ირანთან ვაჭრობაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ VI ს-ის ბოლოდან დაახლოებით 60 წლიანი წყვეტილის შემდეგ ბიზანტიაც კვლავ ებმება ქართლთან სავაჭროეკონომიკურ ურთიერთობაში. VII ს. პირველ ნახევარში ეს ურთიერთობა საკმაოდ ინტენსიური ხდება. შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, არგვეთში და კახეთში – ყველგან გვხვდება ჰერაკლე კეისრის ვერცხლის ჰექსაგრამები (კახეთიდან ოქროს სოლიდიც).

რომ დავხედოთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ნუმიზმატიკური აღმოჩენების გავრცელების რუკას, ფრიად საინტერესო სურათს დავინახავთ: თუკი დასავლეთ ამიერკავკასიაში (ეგრისი) გავრცელებულია მხოლოდ ბიზანტიური მონეტები, აღმოსავლეთში (ალვანეთი) მხოლოდ სასანურ ვერცხლს ვხედავთ. რაც შეეხება სომხეთს და ქართლს აქ ორივე რიგის მონეტები დაახლოებით ერთნაირი ინტენსივობით ჩნდება (თუმცა რაოდენობით სასანური აშკარად ჭარბობს), ხოლო ამიერკავკასიის შუა ღერძზე ჩრდილოეთიდან სამხრეთით (მაგრანეთი, თბილისი, გუმბრი // ყოფილი ლენინაკანი, დვინი) შერეული – სასანურბიზანტიური – მონეტების განძებია დაფიქსირებული. “გამონაკლისია” ამ შემთხვევაში დედოფლის წყაროს დიდი განძი, რომელიც რამდენადმე აღმოსავლეთითაა გადახრილი ზემოხსენებული “სატრანზიტოეკონომიკური ღერძიდან”, რაც ფაქტობრივად, სურათს მხოლოდ ავსებს.

რაც შეეხება თვით ამ “ნუმიზმატიკურ რუკას”, მისი პირობითობის მიუხედავად, იგი ცხადია, მოწმობს, რომ VII ს-ის პირველ ნახევარში ამიერკავკასია წარმოადგენს სავაჭროსატრანზიტო რეგიონს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ხოლო მისი ცენტრალური ნაწილი კი იმ არეალს, სადაც უშუალოდ ხდება ამ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა რეალიზაცია. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ჩრდილო კავკასიაცაა ჩაბმული ამ ინტენსიურ ურთიერთობებში და თანაც, მაინცდამაინც, დარიალანის ხეობის მეშვეობით (ჯარიახის, ჩმის, ვლადიკავკაზის ნუმიზმატიკური მასალა).

ცხადია, ზემოაღნიშნული სურათი მხოლოდ საერთაშორისოსავაჭრო ურთიერთობის მაჩვენებელი კი არ არის, არამედ სწორედ შიდაკავკასიური ინტენსიური სავაჭრო ურთიერთკავშირების ამსახველია. ეს პირველ რიგში ეხება ქართლს და სომხეთს, რასაც ადასტურებს, როგორც ნუმიზმატიკურ აღმოჩენათა ინტენსივობა, ისე თვით ფაქტი შერეული,

სასანურბიზანტიური განძების მხოლოდ აქ აღმოჩენისა. და კიდევ უფრო ნიშანდობლივია, რომ ეს შერეული განძები აღმოჩენილია, როგორც დვინში, რომელიც, როგორც ვიცით, ერთერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურეკონომიკური ცენტრი იყო ამიერკავკასიისა, ასევე თბილისში. ეს უნდა მოწმობდეს, რომ VII ს-ის პირველ ნახევარში თბილისი, როგორც ამიერკავკასიის ერთერთი დიდი სავაჭროეკონომიკური ცენტრი, მეტოქეობას უწევს დვინს და ეს მნიშვნელოვანწილად განპირობებული უნდა ყოფილიყო დარიალანის კარით ჩრდილო კავკასიასთან გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობებით.

არც ის არის ალბათ შემთხვევითი, რომ ყველა ზემოხსენებული შერეული, სასანურბიზანტიური განძი ჩაფლულია VII ს-ის შუახანში, 40-50-იანი წლების მიჯნაზე, რაც დაკავშირებული უნდა იყოს არაბთა პირველ შემოსევებთან. მაშასადამე ეს მონეტები მიმოქცევაში ყოფილა სწორედ VII ს-ის ოციანი წლების ბიზანტია – ირანის ომის შემდეგ და ამდენად სწორია ის მოსაზრებაც, რომ ამ ომმა და თურქთა თარეშმა, ფაქტობრივად, ვერ შეაფერხა ამიერკავკასიის ქვეყნების და კერძოდ, ქართლის, აღმავალი სოციალურეკონომიკური ევოლუცია. ქართლის "შეკრება" ანუ, ფაქტობრივად, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანების მძლავრი ტენდენცია კვლავ ინტენსიურად განვითარდა. ამ ღრმა და ყოვლისმომცველი სოციალური პროცესის გული საკუთრივ ქართლი იყო, ხოლო მისი ცენტრი – თბილისი, სადაც იჯდა ქართლის ერისმთავარი და "ნებიერ, სავაჭრო და სახელოვან დიდ ქალაქად" იწოდებოდა.

ეს დიდი სოციალურეკონომიკური და ეთნიკურკულტურული მოძრაობა, რომელიც ვითარდებოდა მომავალი საქართველოს ტერიტორიაზე, ახლო აღმოსავლეთში მსოფლიო იმპერიათა (ბიზანტია, ირანი, თურქთა კაგანატი) შორის მიღწეული ერთგვარი პოლიტიკური წონასწორობის ფონზე, სულ მალე კვლავ დაირღვა ახალი საერთაშორისო ძალის მსოფლიო ისტორიის ასპარეზზე გამოჩენის წყალობით: ისლამის დროშით შეკავშირებულმა მომთაბარე არაბთა ტომებმა VII საუკუნის 30-40იან წლებში სწრაფად შეცვალეს წინა აზიის (და ევროპის) პოლიტიკური რუკა. მათი აგრესიის ტალღებმა 50იანი წლების დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველომდეც მოაღწია და ქვეყნის გაერთიანების ზემოხსენებული დიდი პროცესი სამი საუკუნით გადაიდო – დაიწყო არაბობა საქართველოში.

თავი V. საქართველო VII ს-ის მეორე ნახევარსა და VIII ს-ის პირველ ნახევარში

ხაზართა კაგანატის წარმოქმნა. არაბთა ექსპანსია. VII ს-ის 30-40იან წლებში ევრაზიის სტეპებში და მახლობელ აღმოსავლეთში დიდი პოლიტიკური ცვლილებები ხდება. დაიწყო შინაომი დასავლეთის თურქთა კაგანატში, რის შედეგადაც იგი დაიშალა. მისი მემკვიდრეობა იკისრეს ხაზართა თურქულენოვანმა ტომებმა, რომლებიც დიდი ხანია, რაც აღმოსავლეთი ევროპის სტეპებში მომთაბარეობდნენ და თურქთა ხაკანს ემორჩილებოდნენ. საერთო არეულობაში მათ დრო იხელთეს, გადმოინაცვლეს ჩრდილო კავკასიაში, დაამარცხეს და დაიმორჩილეს აქ მოსახლე ტომები და, ფაქტობრივად, ახალი სახელმწიფო – ხაზართა კაგანატი

– შექმნეს. ეს მოხდა 651 წელს. VII ს-ის მეორე ნახევარში ხაზარები სწრაფად აფართოებენ თავისი ბატონობის არეალს და 70იანი წლებისათვის უკვე ჩრდილო კავკასიის მთელს დაბლობს ფლობენ კასპიისა და აზოვის ზღვებს შორის, თავის ხელისუფლებას ყირიმზეც კი ავრცელებენ.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა მახლობელ აღმოსავლეთში. მას შემდეგ, რაც 572 წელს ირანმა დაიპყრო იემენი (არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთდასავლეთი), სასანელ შაჰანშაჰთა პოლიტიკის შედეგად, რომელიც მიზნად ისახავდა მონოპოლია შეენარჩუნებინა ჩინეთიდან და ინდოეთიდან ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში აბრეშუმისა და სხვა საქონლის იმპორტზე, ფუნქციონირება შეწყვიტა მექასა და იემენზე გამავალმა სატრანზიტოსავაჭრო გზამ ინდოეთიდან ბიზანტიაში.

სავაჭრო გზის ჩრდილოეთით, ირანში გადანაცვლებამ ფრიად უარყოფითად იმოქმედა არაბეთის ეკონომიკაზე, კერძოდ, მექას და იემენის საშუამავლო ვაჭრობაზე. ბედუინთა ტომები, რომლებიც შემოსავალს იღებდნენ ამ საქარავნო ვაჭრობისაგან, რამდენადაც სავაჭრო ქარავანი მათგან მარაგდებოდა აქლემებით, გამყოლებით და მცველთა რაზმებით, მძიმე მდგომარეობაში ჩაცვივდნენ და ბევრი მათგანი მექელ მოქალაქეთა წარჩინებული ფენის მოვალედ იქცა. არაბული საზოგადოება კრიზისმა მოიცვა. ამ მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნის პროცესში დაიბადა იდეა საგარეო დაპყრობითი ომების შესახებ სირიაირანზე გამავალი საქარავნო გზების ხელში ჩასაგდებად. ამისათვის კი საჭირო იყო არაბეთის პოლიტიკური გაერთიანება, რაც შესაძლებელია განხორციელებულიყო ერთიანი მონოთეისტური რელიგიის მეშვეობით, რომელიც გააერთიანებდა ყველა არაბს და დიდი დაპყრობითი ომების იდეოლოგიური საფუძველი გახდებოდა.

მართლაც, ეს იდეა განხორციელდა VII ს-ის ოციან წლებში და მისი ინიციატორი იყო მუჰამადი, რომელმაც მექაში, ჰიჯაზის (არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთი სანაპირო) და მის მახლობლად მობინადრე არაბი ტომების რელიგიურ ცენტრში ახალი მონოთეისტური რელიგიის – ისლამის – ქადაგება დაიწყო. მუჰამადმა, რომელიც თავს ღვთის, ალაჰის, მოციქულად და წინასწარმეტყველად აცხადებდა, თავის ერთგულ მიმდევრებთან ერთად შეძლო დიდი გავლენა მოეპოვებინა და სისხლისმღვრელი შინაომების შედეგად შეეკავშირებინა ისლამის დროშით მანამდე განცალკევებული წარმართი არაბული ტომები. მან შექმნა თეოკრატიული სახელმწიფო, რომლის პირველი მეთაურიც თვით იყო. 632 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა ერთგული თანამებრძოლი აბუბექრი, რომელიც ქვეყანას მართავდა, როგორც "ხალიფა" ანუ მუჰამადის მოადგილე. ასე დაიმკვიდრეს ახლად წარმოქმნილი არაბული სახელმწიფოს მეთაურებმა ეს ტიტული, ხოლო თვით ქვეყანას კი ამიტომ უწოდებდნენ "ხალიფატს" ანუ "სახალიფოს".

ახლად წარმოქმნილმა ისლამურმა სახელმწიფომ დაიწყო ფართომასშტაბიანი ომები მეზობელი ბიზანტიისა და სასანური ირანის წინააღმდეგ, რომლებიც ბოლო წლების ურთიერთშორისი განუწყვეტელი ომიანობის გამო ძლიერ დასუსტებულნი იყვნენ.

უკვე პირველი ხალიფას, აბუბექრის დროს დაიწყო, ფაქტობრივად ერთდროული საომარი მოქმედება, როგორც ირანის, ისე ბიზანტიის წინააღმდეგ. 633 წელს არაბული ლაშქარი ერაყში

(ასე უწოდებდნენ ტიგროსის და ევფრატის შუამდინარეთს) შეიჭრა, 637 წელს შევიდა ტიგროსის ნაპირას მდებარე ქტეზიფონში – სასანური ირანის სატახტო ქალაქში. 652 წელს არაბებს უკვე მთელი ირანი დაპყრობილი ჰქონდათ და ინდოეთის საზღვრებამდე იყვნენ გასულნი. 634 წელს ისინი სირიაშიც იწყებენ ლაშქრობას, სადაც სპარსელთა ხანგრძლივი ოკუპაციის შემდეგ, ანტიოქიაში მყოფი ჰერაკლე კეისარი ისის იყო აწესრიგებდა მდგომარეობას. არაბთა გამარჯვებებს ხელს ისიც უწყობდა, რომ სირიაპალესტინის ადგილობრივი ქრისტიანული და ებრაული მოსახლეობა, რომელიც უკმაყოფილო იყო ჰერაკლე კეისრის მკაცრი პოლიტიკით, არაბებში, რომლებიც პირველ ხანებში ტოლერანტულ პოლიტიკას ატარებდნენ, მხსნელებს ხედავდა ბიზანტიელთა ჩაგვრისაგან და მათ მხარეს გადადიოდა. 636 წელს მდ. იორდანის მახლობლად არაბებმა სასტიკად დაამარცხეს ბიზანტიელთა ლაშქარი. ჰერაკლემ იმედი დაჰკარგა სირიის დაცვისა და დატოვა ანტიოქია. სწორედ ამ დროს წარმოუთქვამს იმპერატორს ცნობილი ფრაზა: “მშვიდობით, სირიავ”, როგორც გადმოგვცემს თანამედროვე მემატიანე. საინტერესოა, რომ ეს ტრაგიკული მომენტი ჰერაკლეს კეისრობისა, საქართველოშიაც ყოფილა ცნობილი და ქართველმა მემატიანემაც თითქმის ანალოგიურად შემოგვინახა იგი: “უთხრეს მეფესა ერაკლეს, ვითარ შემოვლენ აგარიანნი შამად (სირიაში) და ჯაზირეთად, რომელ არს შუამდინარე. და გამოვიდა ერაკლე ფილისტიმად (პალესტინაში), რათამცა ეწყო (შებრძოლებოდა) მუნ. ხოლო იყო მუნ მონაზონი ვინმე, კაცი ღმრთისა, და მან რქუა მეფესა: “ივლტოდეთ, რამეთუ უფალმან მისცა აღმოსავლეთი და სამხრეთი სარკინოზთა” (არაბებს). გამარჯვების იმედდაკარგულმა “აღაშენა ერაკლე მეფემან სუეტი და დაწერა მას ზედა: “მშჳდობა შუამდინარეო და ფილისტიმო”…მართლაც, ბიზანტიამ, ფაქტობრივად, საბოლოოდ დაჰკარგა ქრისტიანული სირიაპალესტინა, სადაც დროთა განმავლობაში ისლამი გაბატონდა.

არაბები კი შესაშური სისწრაფით ცეცხლითა და მახვილით აფართოებდნენ ბატონობის ასპარეზს, შეუჩერებლივ მოიწევდნენ წინ და სულ მოკლე ხანში კავკასიამდე მოაღწიეს.

ჰერაკლე კეისრის ირანთან ომის შედეგად, თითქმის მთელი სომხეთი და აგრეთვე ეგრისის და ქართლის სამთავროები ბიზანტიელთა მფლობელობაში მოექცა, ხოლო ალვანეთს ხაზარები დაეპატრონენ. მაგრამ ეს უკანასკნელნი, მალე გაეცალნენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიას, თურქთა კაგანატში დაწყებული შინააშლილობის გამო და ალვანეთს უკანასკნელი სასანიდის, იეზდიგერდ III-ის (632 – 652 წწ.) დროს კვლავ ირანი დაეპატრონა. ასე რომ, ამიერკავკასიაში მოსვლისას, არაბებს კვლავ ბიზანტიასთან და ირანთან მოუხდათ დაპირისპირება.

ქართლის დაპყრობა არაბთა მიერ. 640 წელს არაბებმა დვინი აიღეს, მაგრამ მალევე უკან გაბრუნდნენ. ქართლს კი მათი პირველი მარბიელი 642 ან 643 წელს ეწვია. ეს იყო ახალგაზრდა არაბი სარდლის, ჰაბიბ იბნ მასლამას პირველი ლაშქრობა ქართლზე, მაგრამ იგი უიღბლო გამოდგა და არაბებს უკან დახევა მოუხდათ. ჰაბიბმა მეორედ ქართლში 644/5 წლებში ილაშქრა და ზოგიერთი ძველი არაბი ავტორის (ბალაზური, იაკუბი) მიხედვით სწორედ ამ დროს დაიპყრეს არაბებმა ეს ქვეყანა. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ფაქტს უფრო გვიან ჰქონდა ადგილი.

კერძოდ, ეს უნდა მომხდარიყო 654 წლის დამლევს ან 655 წელს, როდესაც სომხეთის დაპყრობის შემდეგ, ჰაბიბ იბნმასლამა კვლავ ჯურზანისაკენ გაემართა. “ჯურზანი” იგივე ქართლია არაბულად (სირიული “გურზანიდან”). როდესაც მისი ლაშქარი მივიდა

ზათულლუჯუმში, იქ შეისვენეს. ამ ადგილას მოხდა შეტაკება ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომელშიც არაბებმა გაიმარჯვეს. ამის შემდეგ მოვიდა ჰაბიბთან, იმავე ზათულლუჯუმში ქართლის პატრიკიოსის მოციქული ზავის თხოვნით.

ჰაბიბ იბნ მასლამამ ე. წ. "დაცვის სიგელი" მისცა მას და უკან გაბრუნებულს თავისი წარმომადგენელიც გააყოლა წერილით თბილისის მოსახლეობისადმი.

ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ გაცემული "დაცვის სიგელი" არც თუ მაინცდამაინც მძიმე პირობებს უყენებდა ქართლის მოსახლეობას: 1) სარწმუნოებრივი აღსარება თავისუფალია; 2) "დამამცირებელი ჯიზია" თითო კომლზე ერთი დინარია; 3) დამორჩილებული მოსახლეობა არაბთა სასარგებლოდ სამხედრო ვალდებულებას კისრულობს; 4) არაბები იძლევიან მტრისგან უშიშროების გარანტიას…

"დაცვის სიგელში" საუბარია არაბთა მიერ ამ დოკუმენტის გაცემის დროს უშუალოდ დაპყრობილი ტერიტორიის შესახებ: ქვემო ქართლზე ცენტრით მანგლისში (საპიტიახშო) და შიდა ქართლზე, უკეთ მის ნაწილზე ცენტრით არმაზში (სასპასპეტო). რაც შეეხება თბილისს, რომელსაც, ცხადია, თავისი "მიმდგომი ქუეყანაც" (სომხური გეოგრაფიის "პარუარი") გააჩნდა, იგი პირველ რიგში უნდა ყოფილიყო, რა თქმა უნდა, აღნიშნული, როგორც არა მარტო საკუთრივ ქართლის, არამედ "ყოველი ქართლის" (იბერიის) დედაქალაქი, სადაც ამავე დროს იჯდა ქვეყნის სუვერენი – ქართლის ერისმთავარი.

თბილისის და ქართლის ზემოხსენებული მხარეების დამორჩილების შემდეგ არაბებმა ასევე უბრძოლველად აღმოსავლეთი საქართველოს დანარჩენი კუთხეებიც დაიჭირეს, როგორც ჩანს, ესენიც განსაკუთრებული "დაცვის სიგელების" საფუძველზე, რომელთაგან, სამწუხაროდ, არც ერთი არ არის ცნობილი. ამ დამორჩილებული ქვეყნების ნუსხა შემონახულია ბალაზურისთან. ესენია: ხუნანი, გარდაბანი, თრიალეთი, სამცხე, არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი, კახეთი, კუხეთი, ბაზალეთი, დარიალანი წანარებითურთ და დიდოელები.

განსამარტავია მხოლოდ ოთხი გეოგრაფიული სახელწოდება: 1) "ქსალ", რომელსაც "ქსანად" აღადგენენ, მაგრამ ეს არ უნდა იყოს სწორი. როგორც ირკვევა, ასე დღევანდელი აღსტაფაჩაის (აზერბაიჯანის რესპუბლიკაში), ძველი "ქასალ"//"ქასახ"ის (შდ. დღევანდელი ქ. ყაზახი) ხეობას ეწოდებოდა. 2) "ქსთსჯი" თუ "ქსისხი" რომელსაც აგრეთვე სხვადასხვანაირად ხსნიან, მაგრამ ჩვენი აზრით, უნდა აღნიშნავდეს "ქსნისხევ"ს, რაც დიაკრიტული ნიშნების გადასმით სავსებით რეალურია. მით უმეტეს, რომ ასეთ ადმინისტრაციულ ერთეულს ქართლში უკვე სომხური "აშხარაცუიცი" იცნობს. 3) "ქსფი ბის" ან "ქსფრ ბს", რომელსაც "ქსოვრისად" აღადგენენ, მაგრამ არც ეს უნდა იყოს სწორი. საფიქრებელია, აქ "კასპი" იგულისხმებოდეს, რადგან ქართული წყაროებით ადრეფეოდალურ ხანაში ცნობილია "კასპის სპასალარი" და ე. ი. კასპი, როგორც მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი. დასასრულ, 4) "ჰვარჭ" ან "ჯრახ", რომელსაც "ხერკად" აღადგენენ, მაგრამ მისი, დიაკრიტული ნიშნების გადასმით, "ჯავახ"ად ანუ ჯავახეთად გააზრება უფრო სწორი უნდა იყოს.

ამგვარად, საბოლოოდ რომ მოვიყვანოთ არაბული ნუსხა დამორჩილებული ქართლის პროვინციებისა, ასეთი სურათი იქმნება: ჰაბიბ იბნ მასლამას 654 წელს დაუმორჩილებია კახეთი,

კუხეთი, ხუნანი, ქასალი (დღ. აღსტაფაჩაის ხეობა), გარდაბანი, ქვემო ქართლი (ძველი საპიტიახშო), თრიალეთი, შიდა ქართლი (ძველი სასპასპეტო), ბაზალეთი (არაგვის ხეობა), ქსნისხევი, კასპი (ძველი სასპასალარო), ჯავახეთი, სამცხე, არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი, დარიალანი წანარებითურთ (ახლა ხევი და მიმდგომი მთიანეთი), დიდოელები (ახლა დასავლეთი დაღესტანი). ქართული წყაროების ენით რომ ვთქვათ, ეს არის ტერიტორია "ხუნანიდან ვიდრე ზღუადმდე სპერისა" ანუ დაახლოებით ძველი ქართლის სამეფოს მთელი ტერიტორია არგვეთის პროვინციის გამოკლებით დასავლეთით, სადაც ამჯერად არაბები ვერ შესულან, და კამბეჩოვანის პროვინციისა – აღმოსავლეთით.

ამ უკანასკნელთან დაკავშირებით სხვა ვითარებაა.

კამბეჩოვანი. კამბეჩოვანი, რომელიც ვახტანგ გორგასალმა, თავის მეფობის ბოლოს შემოიმტკიცა, მთელი VI ს-ის განმავლობაში და VII ს-ის პირველ ნახევარშიც ქართლის სახელმწიფოს ერთერთ ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა.

VII ს-ის 40-იანი წლების ბოლოს და 50იან წლებში სხვაგვარი ვითარებაა. არაბი ისტორიკოსის ბალაზურის მიხედვით არანის (ალვანეთის) დაპყრობა ხალიფა ოსმანმა სარდალ სალმან იბნ რაბიას დაავალა. როდესაც იგი ამ ქვეყანაში სალაშქროდ შემოსულა, პირველად დაიჭირა ქალაქი ბაილაქანი (მტკვარარაქსის შესართავთან) და მისცა მას "დაცვის სიგელი". წამოსულა ჩრდილოდასავლეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირის აყოლებით და დაუპყრია ბარდავი მისი მახლობელი სოფლებით, ხოლო შემდეგ – ძველი ალვანური პროვინციები: შავშინი (შაკაშენი), მესვანი (მეწკვანქი, ქართული წყაროს მეწეკევანი), უდი (უტი), მესირანი (მეწირანქი), ჰერჰილიანი (ჰარჩლანქი) და სხვა ადგილები არანში. სალმანმა ამის შემდეგ დაიჭირა ძველი ქალაქი შამქორი და გაბრუნდა უკან, მტკვარარაქსის შესართავისაკენ. აქ გადავიდა მტკვრის მეორე ნაპირზე და დაიპყრო არანის მარცხენა სანაპიროს ქვეყნები: ყაბალა, შაქი, კამიბერანი და სხვ.

როგორც სამართლიანად ფიქრობენ, არაბული წყაროს "კამიბერანი" უნდა იყოს შერყვნილად გადმოცემული კამბეჩანი//კამბეჩოვანი.

სალმან იბნ რაბია ხაზარებთან ბრძოლაში, ჩრდილო კავკასიაში, ქ. ბელენჯერთან დაიღუპა 652/3 წელს, ხოლო არანში მის ლაშქრობას 645/6 წელს, ვარაუდობენ. ე. ი. VII ს-ის 40იანი წლების მეორე ნახევარში კამბეჩოვანი პოლიტიკური თვალსაზრისით ქართლიდან გამოთიშული ჩანს.

არასტაბილური ვითარება ამიერკავკასიაში. 80-იან წლებში ხაზარებმა ქართლი მოაოხრეს. სომეხი ისტორიკოსი ლევონდი გადმოგვცემს: 680 – 685 წლებში "არაბთა შორის შინაომის დროს, მათთვის ხარკის მიცემა შეწყვიტეს სომხებმა, ქართველებმა და ალვანელებმა, მორჩილებდნენ რა მათ 30 წლის განმავლობაში. და ხანგრძლივობა მათი აჯანყებისა იყო სამი წელი. და მეოთხე წელიწადს გაბატონდნენ სომეხთა ქვეყანაზე ჩრდილოეთის ტომები, რომელთაც ხაზარები ეწოდებათ, და მოკლეს ბრძოლაში მთავარი გრიგორი და მრავალნი ნახარართაგან და მთავრები ქართლისა და ალვანეთისა".

ლევონდის ცნობა, რომ კავკასიის ქვეყნები, კერძოდ კი, ქართლი ოცდაათი წლის განმავლობაში ემორჩილებოდა არაბებს და შემდეგ აჯანყდა, კარგად ათარიღებს ამ აჯანყების

დაწყებას 685 წლით. ამ ცნობას ადასტურებს ბიზანტიური წყარო, რომლის თანახმად 686 წელს ხალიფა აბდ ალმალიქი და კეისარი იუსტინიანე შეთანხმდნენ თანაბრად გაეყოთ “ხარკი აკრეფილი კვიპროსზე, არმენიაში და იბერიაში”. რადგან არაბები წილს უდებენ ბიზანტიას ზემოხსენებულ ამიერკავკასიულ ქუეყანათა ხარკში, ეს იმის დასტურია, რომ სომეხი ისტორიკოსის მიერ აღნიშნული ამბოხება არაბთა წინააღმდეგ რეალური ფაქტია, და ამაში ბიზანტიის ხელიც ერია.

მართლაც, ბიზანტია ცდილობს დაიბრუნოს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და, კერძოდ, ქართლში დაკარგული პოზიციები. თეოფანე ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, რომ იმავე 686 წელს იმპერატორმა “ლეონტი სტრატეგოსი გაგზავნა არმენიის წინააღმდეგ რომაული ჯარითურთ; ლეონტიმ გაჟლიტა იქაური სარკინოზები და დაუმორჩილა რომაელებს აგრეთვე იბერია, ალბანია, ბუკანია და მიდია. ამ ქვეყნებს მან ხარკი დაადო და დიდძალი ფული გამოუგზავნა მეფეს”. დაახლოებით, ალბათ, ამავე ამბებთანაა დაკავშირებული სომეხი ისტორიკოსის ჰოვანეს დრასხანაკერტცის ცნობა, რომ 70იან წლებში “ვინმე ბარაბას, მხედართმთავარს ტაჩიკთა (არაბთა) ჯარისას, რომელიც სომხეთშია, სძლევს და სდევნის [არაბთა] სასტიკი ჟლეტით ნერსე ქართლისა მთავარი [და] გააქცევს მას”. როგორც კონტექსტიდან ჩანს, ქართლის ერისმთავარი, რომელიც ერთ სომხურ წყაროში “სახელოვნად” იწოდება, სომხეთში იბრძვის და ამდენად არაბთა წინააღმდეგ სომეხქართველთა გაერთიანებული ძალების მეთაურია. იგი უნდა იხსენიებოდეს ქართლის მეათე ერისმთავრად “მოქცევაჲ ქართლისაჲს” ერისმთავართა ნუსხაში: “ნერსე (:˜ი:) და ძენი მისნი: ფილიპე (:ი˜ა:), სტეფანოზ (:ი˜ბ)”... ქართული წყარო მას “ნერსე დიდს” უწოდებს.

ასეთი არასტაბილური მდგომარეობა, როგორც ვიცით, ლევონდის ცნობით სამ წელიწადს გაგრძელებულა, ხოლო მეოთხე წელს ანუ 689 წელს ამიერკავკასიას, და, კერძოდ, ქართლს ხაზართა ლაშქარიც შემოესია და ამ შემოსევის დროს გაჟლეტილ იქნენ ამ ქვეყნების ერისთავები და მთავრები.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, VII ს-ის 80 -იანი წლებისათვის ამიერკავკასიის ქვეყნების პოლიტიკური ვითარება ფრიად ცვალებადია. სამი დიდი იმპერიის: ბიზანტიის საკეისროს, არაბთა სახალიფოს და ხაზარების კაგანატის სამხედროსტრატეგიული და სავაჭროეკონომიკური სახელმწიფოებრივი ინტერესები, მემკვიდრეობით მიღებული წინა საუკუნიდან ბიზანტიის, ირანისა და თურქთა კაგანატისაგან, კვლავინდებურად აქ იკვანძებოდა და გადაჭრას მოითხოვდა. ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდში ამიერკავკასიის ქვეყნები, სახელდობრ, ქართლი და სომხეთი თანაბრად უხდიან ხარკს იმპერატორს და ხალიფას, ხოლო ალვანეთი ერთდროულად – ბიზანტიასაც, არაბებსაც და ხაზარებსაც. ასეთი მდგომარეობა არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო. მართლაც, VII ს-ის ბოლო წლებში და VIII ს-ის პირველ ნახევარში ვითარებამ ამ მხრივ კულმინაციას მიაღწია.

ვითარება დასავლეთ საქართველოში. ბიზანტიელი ქრონოგრაფი თეოფანე გადმოგვცემს, რომ 697 წელს “აჯანყდა ლაზიკის პატრიკიოსი სერგი ბარნუკის ძე და ეს ქვეყანა არაბებს დაუქვემდებარა”. ერაკლე კეისრის ლაშქრობათა შემდეგ VII ს-ის 60-იან წლებამდე ჩვენ არაფერი ვიცით ეგრისის (ლაზიკის) შესახებ. ამ დროისათვის კი გვაქვს ისეთი სანდო წყარო, როგორიც

არის ცნობილ ბიზანტიელ საეკლესიო მოღვაწესთან, მაქსიმე აღმსარებელთან, ერთად ბიზანტიიდან ეგრისში გადმოსახლებული ანასტასი აპოკრისიარის წერილი, რომელშიც აღწერილია მათი თავგადასავალი ამ ქვეყანაში გადმოსახლების შემდეგ და რომელიც მან ლაზიკიდან მისწერა თეოდოსი განგრელს, ასევე ერთერთ ბიზანტიელ საეკლესიო მოღვაწეს. შემორჩენილია აგრეთვე თვით თეოდოსი განგრელის "მოგონებები" მაქსიმე აღმსარებლის შესახებ, დაწერილი ამ უკანასკნელის ეგრისში სიკვდილის (662 წ.) შემდეგ, 668/9 წლებში, როდესაც თეოდოსი თვით ჩამოვიდა ლაზიკეში გადასახლებულთა შესახებ ცნობების შესაკრებად და ესაუბრა "ლაზიკის პატრიკიოს ლებარნიკიოსს, რომელიც – ღვთის განგებით – ამის თანამხილველი ყოფილა".

თავისთავად საინტერესოა, რომ ახლაც, VII ს-ში ისევე, როგორც V ს-ში, როდესაც აქ უპირებდნენ გადმოსახლებას იოანე ოქროპირს, ეგრისი ბიზანტიის იმპერიის ის შორეული პროვინციაა, რომელიც სახელმწიფო კარზე აღიარებული ოფიციალური რელიგიური პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა თუ საერთოდ იმპერატორისათვის მიუღებელ პირთა ექსორიის ადგილია. ანასტასი აპოკრისიარის წერილიდან თუ თეოდოსის "მოგონებებიდან" აშკარად ჩანს, რომ VII ს-ის 60-იანი წლებისათვის ეგრისში მეფობა კარგა ხნის გაუქმებულია და ქვეყანას პატრიკიოსები მართავენ; რომ აფხაზეთი გამოყოფილია საკუთრივ ეგრისს და ცალკე, მისგან დამოუკიდებელ სამთავროს წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, ბიზანტიის უშუალო ვასალია. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ასეთი ვითარება ჰერაკლე კეისრის ღონისძიების შედეგი უნდა იყოს. ასე რომ, ბუნებრივია, როდესაც ანასტასი აპოკრისიარის წერილში ეგრისის "მთავრის" ანუ "პატრიკიოსის და ღვთივ მაგისტროსის გრიგოლის" გვერდით იხსენიება "ქრისტესმოყვარე კაცი, აბაზგიის მმართველი" და არავითარი მინიშნებაც კი არ არის მათ შორის ვასალურ ურთიერთობაზე. საეკლესიო თვალსაზრისითაც, როგორც ეს VII ს-ის ეკთესისიდან ჩანს, "აბასგიის ეპარქიის სებასტუპოლის არქიეპისკოპოსი" სრულიად დამოუკიდებელია "ლაზიკის ეპარქიის ფასიდის მიტროპოლიტისაგან". ამგვარად, "აბაზგია" და "ლაზიკე" ანუ აფხაზეთი და ეგრისი ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ქვეყანაა არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკლესიური თვალსაზრისითაც და ორივე, რა თქმა უნდა, ბიზანტიის ხელქვეითია.

ყველაფერი ეს, ცხადია, არ გამორიცხავს მჭიდრო კავშირს ამ ორ მეზობელ ქვეყანას შორის, რაც სხვათა შორის, კარგად ჩანს იმავე წყაროდან, როდესაც ანასტასი აპოკრისიარი, განაწყენებული ეგრისის ერთერთ მთავარზე წერს, რომ "როდესაც მე გამაძევა, ის თვითონაც იქნა გაძევებული იქიდან (თავისი რეზიდენციიდან, დ. მ.) და დაეხეტებოდა ქრისტესმოყვარე აბაზგების ქვეყანაში". და იქვე მეორე გზის: "არამზადამ დაივიწყა დაპირება (მიცემული აბაზგიის მთავრებისადმი, დ. მ.)... ამასობაში მოხდა ისე, რომ, როდესაც მე ზემოხსენებულ ციხეში მივყავდით, ის (მმართველი) კვლავ გააძევეს, და ის გაიქცა იქ, სადაც წინათაც იყო" ანუ აფხაზეთში.

ამგვარად, თუმცა კი აფხაზეთი დამოუკიდებელია ეგრისისაგან, მაგრამ ამ ორი მეზობელი ქვეყნის გამგებელთა შორის, როგორც ჩანს, მჭიდრო ახლობლური ურთიერთობაა.

აფხაზეთისაგან განსხვავებით აფშილეთი, მისიმიანეთი, სვანეთი და ლეჩხუმი კვლავ ეგრისის სამთავროს უშუალო პროვინციებს წარმოადგენენ. ეს ცხადად ჩანს ანასტასი

აპოკრისიარის წერილიდან: მაქსიმე აღმსარებელი 662 წელს ბიზანტიიდან გადაასახლეს ეგრისში ანუ ბიზანტიური წყაროების ლაზიკეში. როდესაც იგი თავისი მოწაფეებითურთ (ანასტასი აპოკრისიარი და მეორე ანასტასი) ჩამოიყვანეს აქ, ისინი ჩააბარეს "იმ ქვეყნის მაშინდელ მმართველს" ე. ი. პატრიკიოსს, რომელმაც მაშინვე განაშორა ისინი ურთიერთს: მაქსიმე "მოათავსეს ერთ ციხეში, რომელსაც ეწოდება სქიომარი და რომელიც მდებარეობს მახლობლად ალანებად წოდებული ხალხისა". ერთერთი ანასტასი – "აბაზგიის მახლობლად ერთ ციხეში, რომელსაც სკოტორი ეწოდება". ანასტასი აპოკრისიარის წერილის IX ს-ში შესრულებული ლათინური თარგმანის მიხედვით, ეს "სკოტორის ციხე აფშილეთშია, აბაზგიის მახლობლად". მეორე ანასტასი შეაყენეს ციხესიმაგრე ბუკოლუსში, რომელიც მისიმიანეთშია, ალანთა მომიჯნავე მხარეში. ცოტა ხნის შემდეგ მაქსიმე აღმსარებლის ორივე ზემოხსენებული მოწაფე გამოჰყავთ ამ ციხეებიდან, მიჰყავთ ჯერ მუკორისისში (ე. ი. პროკოპი კესარიელის "მოხირისისში"), ხოლო აქედან ერთი "გადაგზავნეს ე. წ. სვანიდის (სვანეთის) ციხეში", ხოლო მეორე "ე. წ. თაკვირიის ციხეში იბერიის მახლობლად". ზემომოყვანილიდან სრულიად ცხადი უნდა იყოს, რომ ეგრისის პატრიკიოსი მთელ იმ ტერიტორიას, რომელზედაც ზემოხსენებული ციხესიმაგრეები იყო განლაგებული, ე. ი. აფშილეთს, მისიმიანეთს, ლეჩხუმსა და სვანეთს უშუალოდ ფლობდა და, ამდენად, ეს მხარეები VII ს-ში ეგრისის სამთავროს უშუალო პროვინციებია ისევე, როგორც ეს იყო ძველად. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ლაზიკის პატრიკიოსს თავისი ერთერთი რეზიდენცია "ჯიხახორაში" აქვს, რომელიც მოქვის მახლობლად ყოფილა, ე. ი. აფშილეთში.

ზემოთ ჩამოთვლილი პროვინციების გარდა, VII ს-ის 60-იან წლებში ეგრისის ფარგლებში უნდა ყოფილიყო რაჭაარგვეთი და აჭარაც. ეს გამომდინარეობს აღმოსავლეთი საქართველოს მხარეთა ჩვენთვის უკვე ცნობილი არაბული ნუსხიდან, საიდანაც ჩანს, რომ არაბებს, რომელთაც VII ს-ის 50-იან წლებში მთელი ქართლის საერისმთავრო დაიპყრეს, ეს სამი პროვინცია არ დაუჭერიათ.

ამდროინდელი ეგრისის პოლიტიკური ვითარების შესახებ ცოტა რამ ვიცით, გარდა იმისა, რომ იგი ბიზანტიის ვასალური სამთავროა.

მაგრამ მაინც ცხადია, რომ ამ პერიოდის ეგრისის სამთავროს შინაგანი სოციალურპოლიტიკური ვითარება არასტაბილურია: ხალხის მღელვარების გარდა, რომელსაც თვით თეოდოსი განგრელი მოსწრებია, როდესაც ეგრისში ყოფილა 668 წლის ახლოს, ამას ისიც მოწმობს, რომ სულ რამდენიმე წელიწადში, 662 – 668 წლებს შორის ეგრისის სამთავრო ტახტზე ოთხი მმართველი ჩანს, რომელთაგან ორი ძალით იქნა გადაყენებული და გაძევებული ქვეყნიდან, მესამე "სახელოვანი და ღვთივდაცული პატრიკიოსი და ღვთივ მაგისტროსი გრიგოლია", რომელიც როგორც ჩანს, კეთილად იყო განწყობილი ანასტასი აპოკრისიარის მიმართ (პირველ ორს იგი საკმაოდ აუგად იხსენიებს); დასასრულ, მეოთხეა "ლაზიკის პატრიკიოსი ლებარნიკიოსი", რომელიც ეგრისში ჩასულ თეოდოსი განგრელს ესაუბრა. აი, ეს უკანასკნელი უნდა იყოს მამა ლაზიკის პატრიკიოს სერგი ბარნუკის ძისა, რომელიც, როგორც ვიცით, 697 წ. აუჯანყდა ბიზანტიას და ქვეყანა არაბებს დაუმორჩილა.

თუ ერთი მხრივ, ეს იმის მოწმობა შეიძლება იყოს, რომ VII ს-ის მეორე ნახევარში ეგრისსა და ბიზანტიას შორის დაძაბული ურთიერთობა ყოფილა, მეორე მხრივ, საფიქრებელია, რომ ამ საუკუნის მიწურულისათვის ბიზანტიის გავლენა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაზე და კერძოდ ქართლზე აღარ არსებობს და აქ არაბთა ბატონობა მკვიდრადაა დამყარებული. სხვაგვარად ძნელი ასახსნელია მათი წარმატება დასავლეთ საქართველოში. მართლაც, VIII ს-ის დასაწყისისთვის თეოფანე ჟამთააღმწერლის მიხედვით, "სარკინოზებს ეპყრათ აბაზგიაც, ლაზიკეც და იბერიაც".

ეს ცნობა სწორი უნდა იყოს, რადგან არაბი ისტორიკოსების ჩვენებით VIII ს-ის დასაწყისში (701 – 704 წწ.) ხალიფა აბდ ალმალიქის ძმამ, მუჰამად იბნ მარვანმა (ჩვენს ისტორიაში კარგად ცნობილი მურვან ყრუს მამამ) ცეცხლითა და მახვილით განვლო მთელი სომხეთი და, როგორც ფიქრობენ ამ ლაშქრობის შედეგად საბოლოოდ ჩამოყალიბდა არაბული პროვინცია "არმინია" ანუ "არმინიის საამირო" სომხეთის, ქართლის და ალვანეთის შემადგენლობით ცენტრით ქ. დვინში, რაც, ცხადია, ძველი, სასანური ირანის ადმინისტრაციული დანაწილების ტრადიციას ემყარებოდა. არაბთა დამკვიდრებას ქართლში VIII ს-ის დასაწყისში ისიც მოწმობს, რომ მათ თბილისში ზარაფხანაც გაუხსნიათ და 704/5 წელს ვერცხლის დირჰემიც მოუჭრიათ. ასე გამოეცალა დიდი ხნით ბიზანტიას ქართლი, სადაც ამიერიდან ისევე, როგორც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში საერთოდ, ბატონობის მოცილეებად ხაზარები და არაბები გამოდიან.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ბიზანტია დასავლეთ საქართველოს ხელიდან გამოცლის საშიშროების წინაშეც დადგა: არაბებმა საკუთრივ ეგრისის ზღვისპირა ნაწილის გარდა, მთელი ეს რეგიონი დაიმორჩილეს. VIII ს-ის 10იან წლებში ისინი აფხაზეთსაც ფლობენ.

კეისარი იუსტინიანე 705 – 711 წლებში ცდილობს დიდძალი ფულით მოისყიდოს გადამთიელი ალანები, რომ მათ პირველ რიგში აფხაზეთი დაარბიონ, რომელიც მას აღარ ემორჩილება. ამდენად, ბიზანტიას დაკარგული აქვს ის სტრატეგიული პლაცდარმი, რომლის პყრობით იგი ჩრდილოდასავლეთი კავკასიის მთიანეთზე თავისი გავლენის გავრცელებას ახერხებდა და საკუთრივ ეგრისის პოლიტიკასაც აკონტროლებდა. ალანების, ჯარი, მართლაც, "დაიძრა აბაზგიის წინააღმდეგ, მოულოდნელად შეიჭრა კლისურებში (კელასურის ხეობაში, დ. მ.), დიდძალი ნატყვენავი ჩაიგდო ხელთ და დაარბია აბაზგები". ამის შემდეგ "რომაელები და არმენიელები ლაზიკეში შეიჭრნენ და არქეოპოლისს ალყაც შემოარტყეს და როდესაც მათ შეიტყვეს სარკინოზების (არაბების) მოსვლის შესახებ, ისინი უკან გაბრუნდნენ". ამგვარად, არაბთა მაშველი ლაშქრის მოსვლის შემდეგ, ბიზანტიელები კვლავ გასცლიან დასავლეთ საქართველოს. მაგრამ, ცხადია, ასე ადვილად ისინი ვერ შეელეოდნენ ამ მხარეს და ამიტომ იყო, რომ 716/7 წელს არაბებს კვლავ მოუხდათ "აბაზგების, ლაზების და იბერიელთა" დაპყრობა.

მურვან ყრუს ლაშქრობა. ფრიად საინტერესოა, რომ ისევე, როგორც წინა საუკუნეებში, ახლაც არაბთა სახალიფოს აგრესიულობით შეშფოთებული ბიზანტია და ხაზართა კაგანატი 711 წ. სამოკავშირეო ხელშეკრულებას დებენ საერთო მტერთან საბრძოლველად და ამისდა კვალად გავლენის სფეროებსაც "ინაწილებენ": აღმოსავლეთი ამიერკავკასია ხაზარებს ერგო, დასავლეთი – ბიზანტიას. ამიერიდან ალვანეთი და ქართლი არაბხაზართა სასტიკი დამარბეველი ლაშქრობების ასპარეზად იქცა.

ამ დროს ხდება სწორედ მურვან ყრუს შემოსევა საქართველოში.

მერვან იბნმუჰამადის საბოლოო მიზანი ამიერკავკასიაში და კერძოდ, საქართველოში ლაშქრობისა იყო ხაზარების დამორჩილება. მის მიერ შემუშავებული გეგმით, იგი უზარმაზარი ჯარით (ხალიფას ამ ექსპედიციისთვის მან 120 000იანი არმია გამოსთხოვა) ორი გზით, დარიალიდან და დარუბანდიდან უნდა შეჭრილიყო ხაზარეთში, კერძოდ, თვით მერვანი მთავარი ძალებით დარიალიდან აპირებდა შეჭრას. მაგრამ მანამდე, სანამ ამ გრანდიოზულ გეგმას განახორციელებდა, მას აჯანყებული ქართველები უნდა დაემორჩილებინა, ჯერ ერთი, იმისთვის, რომ ზურგი საიმედოდ ჰქონოდა დამორჩილებული და, მეორეც იმიტომ, რომ ქვეყნის მესვეურებზე შური ეძია იმის გამო, რომ რამდენიმე წლის წინ ჯარაჰ იბნაბდალაჰის ლაშქრის სასტიკი დამარცხება, მნიშვნელოვანწილად, ხაზარებთან ქართლის ერისმთავრის მოკავშირეობით იყო განპირობებული.

ქართლის ერისმთავარმა სტეფანოზმა და მისმა შვილებმა, მიჰრმა და არჩილმა ეს კარგად იცოდნენ და ამიტომაც იყო, რომ დიდი ამალით ეგრისს და შემდეგ აფხაზეთს გაიხიზნენ. ქართლში შემოსულმა არაბმა სარდალმა "შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა. და ვითარ ცნა, რამეთუ მეფენი ქართლისანი და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად და მუნით კუალად მიიცვალნეს აფხაზეთად, შეუდგა კუალსა მათსა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქუეყანისანი. და ციხე იგი სამზღუდე, რომელ არს ციხეგოჯი (დღ. ნოქალაქევი), შემუსრა, და შევლო ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა… და ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა (მდ. კელასური), რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა, და შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი (დღ. სოხუმი). და მოადგა ციხესა ანაკოფისასა (დღ. ახალ ათონში)… მუნ შინა იყვნეს მაშინ მეფენი ქართლისანი მირ და არჩილ".

აფხაზეთს მიმავალმა მურვან ყრუმ გზად არგვეთის მთავრები, დავით და კონსტანტინე წამებით სიცოცხლეს გამოასალმა.

რამდენადაც ხაზარეთში თავისი დიდი ლაშქრობა მერვან იბნმუჰამადმა 737 წ. განახორციელა, ამიტომ საქართველოს დარბევა ამაზე უწინარეს უნდა მომხდარიყო, კერძოდ, 735/6 წლებში. მართალია, არაბულმა წყაროებმა არაფერი იციან დასავლეთ საქართველოში ამ არაბი სარდლის ლაშქრობის შესახებ, მაგრამ ეს არ გვაძლევს საფუძველს ქართული წყაროს ცნობა შენათხზად გამოვაცხადოთ, იმდენად ნიშანდობლივი და რეალურისტორიული დეტალებით არის დატვირთული ანონიმის ჩვენება. მით უმეტეს, რომ გვაქვს მოვსეს კალანკატუაცის ცნობა, რომელიც, მართალია, ჯარაჰ იბნაბდალაჰს შეეხება, რომ იგი 729 წელს "მეორედ შევიდა აფხაზეთში, ხოლო იქიდან ხაზარეთში გადავიდა", მაგრამ რამდენადაც ჯარაჰი "აფხაზეთში" ნამდვილად არ ყოფილა, შესაძლებელია მურვან ყრუს ექსპედიციას გულისხმობდეს. დასასრულ, თეოფანე ჟამთააღმწერელიც გვიმოწმებს, რომ 738 წ. "სულეიმანმა, ისამის ძემ, ილაშქრა რომანიის წინააღმდეგ, გაანადგურა ე. წ. "რკინის" ციხე და ტყვედ წაიყვანა პატრიკიოს მარიანეს (მარინეს) ძე ევსტათი". "რკინის ციხე", რომელსაც თეოფანე სხვაგანაც ახსენებს, კოდორის ხეობაში მდებარეობდა, ხოლო პატრიკიოსი უნდა იყოს იგივე "მარინე აფსილთა შორის უპირველესი". ამდენად, თეოფანეს მიერ აღნიშნული არაბთა ეს ლაშქრობა

შესაძლებელია სწორედ მერვან იბნმუჰამადის შემოსვლას გულისხმობდეს, ხოლო სულეიმან ისამის ძე მისი ერთერთი სარდალი შეიძლება იყოს, რომელმაც განახორციელა რეიდი აფშილეთში.

ასეა თუ ისე, ქართული წყაროს ჩვენება მურვან ყრუს დამარბეველი ლაშქრობის შესახებ საქართველოში რეალურ სინამდვილეს უნდა ასახავდეს. ანონიმის მიხედვით ანაკოფიის ციხესთან მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა. ქართველი ერისმთავრების ლაშქარში "იყო მათთანა სიმრავლე მცირედ ტაძრეულისა (პირადი მსახურების) მათისა და ნათესავი ერისთავთა და პიტიახშთა, ათასი ოდენ, ხოლო სპათაგან აფხაზთა მბრძოლი ორი ათასი", რომელთაც, ჩანს, ხელმძღვანელობდა "ერისთავი კეისრისა ლეონ". მურვან ყრუს მხარეს კი "იყვნეს სპანი მისნი უფროს და უმრავლეს ჭალაკთა (ტყეთა) ეგრისათა".

სისხლისმღვრელი ბრძოლა ქართველაფხაზთა გამარჯვებით დამთავრდა და მურვან ყრუ "აღიყარა მუნით და შემოვლო გზა გურიისა. და განვლეს სპერისა, და სიმრავლისაგან არა შეჩენილი იყო დაკლება. ხოლო უწინავე დასჭრეს კუდები ცხენთა მათთა, რამეთუ თიჯისაგან ვერ ითრევდეს". მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში ანონიმი ავტორი, აშკარა შეცდომით, მურვანის ხაზარეთში ერთერთი ლაშქრობის ეპიზოდს დასავლეთ საქართველოს უკაშირებს და საერთოდაც, როგორც ჩანს, არჩილისა და მიჰრის წარმატებებს აშკარად აზვიადებს, ერთი ცხადია, რომ მურვანი გაეცალა ჩვენს ქვეყანას და აქ დაახლოებით ორი ათეული წელი სტაბილური ვითარება დამყარდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ არაბთა მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა, რა თქმა უნდა, უარყოფითად იმოქმედებდა არა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკურ განვითარებაზე, არამედ ეკონომიკურ მდგომარეობაზეც. მიუხედავად ამისა, როგორც ცნობილია, ომაიდელ ხალიფათა დროს და განსაკუთრებით კი VII ს-ის მეორე ნახევარში დამპყრობთა უღელი არცთუ ისე მძიმე უნდა ყოფილიყო.

თბილისი. ზემოთ იყო აღნიშნული, რომ VI ს-ის მეორე და VII ს-ის პირველ ნახევარში, როდესაც ბიზანტია გარკვეული წარმატებით ცდილობს, ირანის ავლით, ჩრდილო კავკასიის და იმიერკასპიის გზით თურქთა კაგანატთან უშუალო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას და როდესაც VII ს-ის 20იანი წლების ბოლოს, ჰერაკლე კეისრის ძლევამოსილი ლაშქრობების შედეგად, ამიერკავკასიაში დამყარებულმა პოლიტიკურმა წონასწორობამ (დასავლეთ და ცენტრალურ ამიერკავკასიაში ბიზანტიელთა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში თურქთა კონტროლი) თითქოს ფრთა შეასხა ზემოხსენებულ გრანდიოზულ გეგმას, ამ დიდ სავაჭროსატრანზიტო მაგისტრალზე განსაკუთრებული როლი უნდა დაკისრებოდა თბილისს. სწორედ ამიტომ იპყრობს საგანგებოდ ბიზანტიის იმპერატორი ხაზართა მეშვეობით ქართლის დედაქალაქს, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ამ პერიოდში თბილისის სწრაფი დაწინაურებისა და ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ ცენტრად გადაქცევის ერთერთი საფუძველი. აკი თბილისი იყო კიდეც "ნებიერი, სავაჭრო და სახელოვანი დიდი ქალაქი". მაგრამ არაბთა მოულოდნელმა გამოჩენამ დროებით სრულიად შეცვალა ვითარება. ჩრდილოეთის გზები დარუბანდსა და დარიალზე პირველ ხანებში, სავაჭროეკონომიკურის მაგივრად, სამხედრო გზებად გადაიქცა, რომლებიც VII ს-ის ბოლო მეოთხედიდან მთელი VIII ს-ის განმავლობაში

არაბთა და ხაზართა მრავალათასიანი ლაშქრების განუწყვეტელი თარეშის, ურთიერთშეჯახების და რბევააწიოკების არხებს წარმოადგენდა. ცხადია, ეს თბილისის სავაჭროეკონომიკურ განვითარებაზე უშუალო გავლენას მოახდენდა. თბილისს არაბთათვის უპირატესად ხაზართა და ბიზანტიელთა წინააღმდეგ მიმართული სამხედრო დაპირისპირების ფორპოსტის მნიშვნელობა უნდა მისცემოდა. ასეც აღნიშნავენ სპარსულარაბული წყაროები: "ტფილისი დიდი, აყვავებული ქალაქია, მაგარი, გაშენებული და მრავალი სიმდიდრის მქონე. ორი პატნეზი (გალავანი) აქვს და (ისლამობის) საზღვარს წარმოადგენს ურწმუნოთა მხრისაკენ".

მეორე მხრივ, ამ თვალსაზრისით მეტი მნიშვნელობა უნდა მისცემოდა ალვანეთის ანუ არანის დედაქალაქს ბარდავს, რომელიც დარუბანდის გასასვლელთან, ხაზართა შემოსევების ამ მთავარ კარიბჭესთან, გაცილებით ახლოს მდებარეობდა. "არანის" პროვინციის (რომელსაც ზოგჯერ ქართლსაც თბილისიანად აკუთვნებდნენ არაბები) დედაქალაქი და შესაბამისად არანის არაბი მმართველის სასახლეც სწორედ ბარდავში იყო. მართალია, ალისთახრი გადმოგვცემს, რომ "არანში არ არის უფრო მნიშვნელოვანი ქალაქები, ვიდრე ბერდაა (ბარდავი), ბაბულაბვაბი (დარუბანდი) და თბილისი", მაგრამ ეს მაინც აშკარა მოწმობაა თბილისის დროებითი დაკნინებისა VIII – IX საუკუნეებში.

როგორც ვხედავთ, მართალია, VII ს-ის პირველი ნახევრის ინტენსიურ საერთაშორისო ვაჭრობასთან შედარებით განსახილველ პერიოდში სავაჭროეკონომიკური ურთიერთობანი გარე სამყაროსთან ფრიად შესუსტდა, მაინც იგი მთლიანად არ შეწყვეტილა, ხოლო VIII ს-ის დამდეგიდანვე გარკვეული აღმავლობაც შეიმჩნევა. ეს გარემოება შედარებით მშვიდობიანობის პირობებში, როგორიც საქართველოს დაუდგა VIII ს-ის 30-იანი წლების ბოლოდან 50იანი წლების დასაწყისამდე, როგორც აღვნიშნეთ, უნდა მიგვითითებდეს იმაზე, რომ ქვეყნის შინაგანი სოციალურეკონომიკური ევოლუცია, განპირობებული წინა საუკუნეების საერთო სამეურნეო აღმავლობით, დროებითი შეფერხებების მიუხედავად, მაინც განვითარებაგაღრმავების გზით უნდა წასულიყო.

ამის მოწმობაა არჩილის მოღვაწეობა.

დემოგრაფიული ვითარება დასავლეთ საქართველოში. რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ დემოგრაფიულ სიტუაციას ამდროინდელ დასავლეთ საქართველოში. ჯერ ერთი, აღსანიშნავია, რომ ქართველი ანონიმის მიხედვით დასავლეთი საქართველო პოლიტიკური თვალსაზრისით "ქართლია" ანუ დასავლეთი საქართველოს შემადგენელი მხარეები არის იგივე "ქუეყანანი ქართლისანი". ასეთი კონცეფცია საერთოდ ახასიათებს "ქართლის ცხოვრებას" და ამას, როგორც ვიცით, მაინცდამაინც ვახტანგ გორგასლის ეპოქის შემდეგ, გარკვეული საფუძველიც აქვს. ანონიმის ტექსტიდან ისიც ჩანს, რომ "ქართლის მეფეებს" მიჰრს და არჩილს, რომლებიც მურვან ყრუს შემოსევისას თავს დასავლეთ საქართველოს აფარებენ, ამ უკანასკნელზე სუვერენული უფლებები აქვთ. მისი ამ კონცეფციის რეალურობა დასტურდება ფრესკული წარწერით ატენიდან, საიდანაც ირკვევა, რომ მათი მამა, არაბთა წინააღმდეგ აჯანყების ინიციატორი, "მამფალი სტეფანოზ, ღმრთისა მიერ ქართველთა და მეგრელთა ერისთავთერისთავთა უფალი" იყო. ცხადია, მის მემკვიდრეებსაც, ფორმალური თვალსაზრისით მაინც, ლეგიტიმური პოლიტიკური უფლებები უნდა ჰქონოდათ ამ რეგიონზე.

შემდეგ, დავით და კონსტანტინე არგვეთის მთავრების მარტვილობის ტექსტში ვკითხულობთ, რომ მას შემდეგ, რაც მურვან ყრუს ბრძანებით დავითი და კონსტანტინე სასტიკად აწამეს, "შეუკრნეს ჴელნი და ფერჴნი და ქედთა მათთა დაჰკრნეს ლოდნი მძიმენი და ესრეთ შთაყარნეს იგინი მდინარესა მას ფასონსა, რომელ არს ენითა ქართულითა რიონი... თჳთ (მურვანი) აღიძრა და დაიბანაკა ქალაქსა ჯიხანქუჯისასა (ციხეგოჯს), ქუეყანასა მეგრელთასა, სანახებსა ჭყონდიდისასა, რომელ არს მეგრულითა ენითა მუხა დიდი. და რამეთუ იყო ბანაკი მათი ცხენისწყლითგან ვიდრე აფხაზეთამდე, და გამოიხუნა (აიღო) ციხენი და ქალაქნი და აღაოჴრნა და უვალ და უკაცურყო ქუეყანაჲ მეგრელთა და აფხაზთაჲ". პოლიტიკური სიტუაცია VIII ს-ის პირველი ნახევრისთვის ამ ცნობაში სწორად არის გადმოცემული: აფხაზეთის ერისთავს ჯერ არ შეუერთებია ეგრისი და ამიტომ ტერმინოლოგიაც დიფერენცირებულია. კიდევ უფრო საინტერესო აქ ის არის, რომ გამოთქმა "ცხენისწყლითგან ვიდრე აფხაზეთამდე… ქუეყანაჲ მეგრელთაჲ" – იმას უნდა მიუთითებდეს, რომ საკუთრივ სამეგრელო VIII ს-ის 30-იან წლებში უკვე ამ ფარგლებში იყო, კერძოდ, მისი აღმოსავლეთი საზღვარი ცხენისწყალია, ხოლო დასავლეთი – აფხაზეთი, უფრო ზუსტად კი "ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა" ანუ "კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი სებერძნეთისა (რესპ. აფხაზეთისა) და საქართველოსა". თუ ასეთი ინტერპრეტაცია მარტვილობის ამ ტექსტისა სწორია, მაშინ, ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ ისევე, როგორც კელასურს იქით "ქუეყანა აფხაზთა" მდებარეობს, ხოლო კელასურსა და ცხენისწყალს შორის "ქუეყანა მეგრელთა", ცხენისწყალს აქეთაც რაღაც სხვა "ქუეყანა" უნდა იყოს და, კერძოდ, ჩვენი აზრით, "ქუეყანა ქართველთა". ამავე დროს, ეს არ იყო "ქუეყანა არგვეთისა", რადგან დავით და კონსტანტინეს სამთავროს დასავლეთის საზღვარი სწორედ რიონზე გადიოდა. რიონსა და ცხენისწყალს შორისი სივრცე ეს იყო ტერიტორია ე. წ. "ვაკე იმერეთისა" და (ნაწილობრივ) "ოკრიბისა". ფრიად საინტერესოა, რომ სწორედ ამ ვაკე იმერეთის შესახებ აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი, რომ ძველად, "პირველად იყო საერისთაო ციხეგოჯისა და შემდგომად იქმნა ქუთათისისა, ოკრიბისა თანა" (ოკრიბასთან ერთად). ვახუშტი ამ უაღრესად მნიშვნელოვან ცნობაში, ფაქტობრივად, ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ტერიტორიის ეთნიკური განვითარების ორ ეტაპზე მიუთითებს, კერძოდ კი იმაზე, რომ "პირველად" აქ მეგრული მოსახლეობა ცხოვრობდა ("იყო საერისთო ციხეგოჯისა"), ხოლო "შემდგომად" ამ მოსახლეობამ ქართიზაცია განიცადა ("იქმნა [საერისთო] ქუთათისისა"). ვახუშტის თვალსაზრისით VIII ს-ში ეს უკვე მომხდარი ფაქტია.

ამგვარად, VIII ს-ის პირველ ნახევარში, ფაქტობრივად, დასტურდება მერმინდელი იმერეთის, როგორც ეთნოგრაფიული და პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბება.

თუ ამ თვალსაზრისს გავიზიარებთ და ვივარაუდებთ, რომ VIII ს-ის პირველი ნახევარი არის გარკვეული ეტაპი დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოსავლურქართული ეთნიკური ელემენტის დამკვიდრებისა, მაშინ, ეგების არც ის უნდა იყოს უსაფუძვლო, თუ სწორედ ამ დროს "ქართლის ცხოვრებაში", ანონიმის ტექსტში, "გურიის" პირველად ხსენებასაც ეთნოკულტურული განვითარების გარკვეულ საფეხურს დავუკავშირებთ. აღმოსავლური ქართული ეთნიკური ელემენტის დიფუზია დასავლეთისაკენ (ისევე, როგორც აღმოსავლეთისკენ), როგორც ვიცით, უძველესი დროიდანვე იწყება და ჩვენთვის საინტერესო

პერიოდისთვის მას, ყოველ შემთხვევაში, ათასწლოვანი ისტორია აქვს, მაგრამ მაინც VIII ს-ის პირველი ნახევარი, ჩანს, ამ პროცესის ერთერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, როდესაც დასავლეთ საქართველოში საბოლოოდ ყალიბდება ის ეთნოგრაფიული ერთეულები, რომელნიც დღემდე იმერეთისა და გურიის სახელწოდებით არის ცნობილი.

ქუთაისი. ქართველი ანონიმის თხზულება კიდევ ერთ უაღრესად მნიშვნელოვან ჩვენებას შეიცავს. კერძოდ, აშკარა ხდება VIII ს-ის პირველ ნახევარში ქუთაისის, როგორც პოლიტიკური და კულტურული ცენტრის აღზევება. თუ რატომ და როგორ მოხდა, რომ ეგრისის პოლიტიკური ცენტრი ციხეგოჯიდან ქუთაისში, დასავლეთ საქართველოს ბუნებრივ ეკონომიკურ ცენტრში ინაცვლებს, ეს ფრიად საინტერესო საკითხია. საქმე ის არის, რომ უძველესი დროიდანვე ლაზიკისა და იბერიის სამეფოთა შორის არსებობდა პოლიტიკური მეტოქეობა მათ შორის მდებარე არგვეთის ტერიტორიის დაუფლებისათვის. ასეთ ვითარებაში ქუთაისში, არგვეთის მეზობლად, ეგრისის სამეფოს ცენტრის არსებობა მიზანშეწონილი არ უნდა ყოფილიყო და მისი გადატანა დასავლეთით, ქვეყნის შიგნით სავსებით გამართლებული იყო. ამან განაპირობა არქეოპოლისის ანუ ციხეგოჯის, როგორც პოლიტიკური ცენტრის როლი მიუხედავად იმისა, რომ იგი სამეურნეო თვალსაზრისით სამეფოს ყველაზე მდიდარი და დაწინაურებული რაიონიდან – მოხირისიდან – რამდენადმე მოშორებით მდებარეობდა.

ჰერაკლე კეისრის ძლევამოსილი ომებისა და განსაკუთრებით არაბთა მიერ ამიერკავკასიის დაპყრობის შემდეგ, რომელთაც, ფაქტობრივად, მხოლოდ აღმოსავლეთი საქართველო დაიმორჩილეს, დასავლეთი საქართველო არგვეთიანად ბიზანტიელების გავლენის სფეროში დარჩა. ქართლის პოლიტიკურ ექსპანსიაზე საუბარი ამ პერიოდში ზედმეტია. არგვეთი ეგრისის სამთავროს პოლიტიკურ გავლენას დაემორჩილა და ამდენად, ბუნებრივი უნდა ყოფილიყო ამიერიდან ქუთაისის – დასავლეთი საქართველოს ბუნებრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრის – მნიშვნელობის აღორძინება, ზრდა და დაწინაურება. ამ მხრივ ფრიად ნიშანდობლივია, რომ ქუთაისი (ჩოტაისინ) მოიხსენიება VII ს-ის რავენელი ანონიმის "კოსმოგრაფიაში", რაც მოწმობს, რომ ქალაქი ამ დროს უკვე მნიშვნელოვან სავაჭროეკონომიკურ ცენტრად ითვლებოდა. ამასვე უნდა მოწმობდეს ის ფაქტიც, რომ "აშხარაცუიცი" ქუთაისს (Κοτα) ეგრისის ხუთ მნიშვნელოვან ქალაქთა შორის აღნიშნავს. VIII ს-ის პირველ ნახევარში იგი უკვე ფრიად მნიშვნელოვანი ცენტრია. ეს კარგად ჩანს ქართველი ანონიმის "არჩილის ცხოვრების" არაერთი ჩვენებიდან, რომელთაგან მხოლოდ ერთს მოვიყვანთ: სიკვდილის წინ მიჰრი ეუბნება არჩილს: "მამაცა ჩუენი მოკუდა შფოთსა ამას შინა და ვერ წარვეცით იგი მცხეთას (იგულისხმება მურვან ყრუს შემოსევა და საერთოდ არაბთა მძლავრობა, დ. მ.), წარსცენ ძუალნი მისნი და დაჰფლენ საყდარსა ქუთათისსა, რათა იპოვოს იგი საწამებელად სამკჳდროსა ჩუენისა". ეს ცნობა შესაძლებელია არც იყოს რეალური, მაგრამ მთავარია ის, რომ მემატიანესთვის ქუთაისი ეგრისის უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენს ამ დროს, სადაც სტეფანოზ ქართლის ერისმთავრის საფლავი იქნება, როგორც სიმბოლო ქართლის მმართველთა ახალი რეზიდენციისა. ეს ტენდენცია სახელმწიფოს კულტურულპოლიტიკური ცენტრის დასავლეთში, კერძოდ კი ქუთაისში გადატანისა, მართლაც, შესაძლებელია უკვე მაშინ არსებულიყო, რამდენადაც VIII ს-ის 40იანი წლებიდან, როგორც ცნობილია, თბილისი არაბი ამირას ადგილსამყოფელი ხდება.

ამგვარად, ქუთაისის აღორძინება VII – VIII საუკუნეებში ხდება და VIII ს-ის პირველ ნახევარში იგი უკვე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცენტრია. არაბთა შემოსევა ამ საუკუნის დასაწყისში და მურვან ყრუს თარეში 30იან წლებში მაინც ეპიზოდური ხასიათისა იყო. დასავლეთ საქართველოში ხელახლა იწყება სამეურნეო აღმავლობა: "უწყიეს შენება ადგილთა ჩუენთა კლისურითგან აღმართ" ანუ მთელს დასავლეთ საქართველოში, გვაუწყებს მემატიანე. ამდენადვე ქვეყნის ყველაზე უფრო მძლავრი სამეურნეო რაიონის (მოხირისის) ბუნებრივი ცენტრის, ქუთაისის შემდგომი დაწინაურება, ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრად გადაქცევა, ასეთ ვითარებაში სრულიად გარდაუვალი იყო. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო ის არის, რომ, თუკი მოვიგონებთ ამ პერიოდის დემოგრაფიულ ვითარებას რეგიონში, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ ქუთაისი აღსდგა არა როგორც ეგრისის პოლიტიკური ცენტრი, არამედ – ქართლისა და ამდენადვე, ცხადია, როგორც ამ უკანასკნელის კულტურის დასავლეთ საქართველოში გავრცელების მძლავრი ფორპოსტი.

ქართული ეკლესიის გავლენა დასავლეთ საქართველოზე. ზოგადქართული კულტურა, რომელიც დაფუძნებული იყო აღმოსავლეთი საქართველოს, იბერიის მძლავრ სოციალურეკონომიკურ ბაზისზე და უკვე IV – V საუკუნეებიდან ქართულენოვან – ქრისტიანული იყო, V ს-ის მეორე ნახევრიდან, როდესაც ვახტანგ გორგასალმა გააერთიანა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო, ინტენსიურად ვრცელდებოდა დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ბერძნულენოვანი ქრისტიანული კულტურა და ლიტურგია იყო გაბატონებული, რომელიც სრულიად უცხო იყო ადგილობრივი მოსახლეობის ფართო მასისათვის. ისიც ვიცით, რომ VI – VII საუკუნეების მიჯნაზე ქართლის კათალიკოსი კირიონი ხელდასმულ იქნა "მეგრელთა არქიეპისკოპოსად წინანდელ წესთა მაგალითისამებრ", რაც იმის მაჩვენებელია, რომ მცხეთის საკათალიკოსოს სამწყსოში დასავლეთ საქართველოს გარკვეული ტერიტორიაც შემოდიოდა. ყველაფერი ეს იმას უნდა მიუთითებდეს, რომ უძველესი დროიდანვე ეგრისის აღმოსავლეთ ნაწილში მაინც ოფიციალური ქრისტიანული კულტი ქართულ ენაზე სრულდებოდა.

ამ თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვნად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ უკვე უძველეს, VII ს-ის ბიზანტიურ ნოტიციაში, რომელშიც ჩამოთვლილია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ლაზიკის ეპარქიის ფასიდის (ფოთის) სამიტროპოლიტოს ოთხი საეპისკოპოსო კათედრა, მხოლოდ ერთი – როდოპოლისის (ვარდციხის) კათედრაა ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე, დანარჩენი სამი კი, თვით სამიტროპოლიტოსთან ერთად ან ზღვისპირასაა: ფასიდი, პეტრა (ციხისძირი), ზიგანევი (გუდაყვა), ანდა არცთუ ისე მოშორებით ზღვისგან – საისინი//საისი (ცაიში). ცაიშის საეპისკოპოსოს სამწყსოს ვახუშტი ბატონიშვილი ასე განსაზღვრავს: "ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ამ წყლის (ჭანისწყლის, დ. მ.) სამჴრეთის კერძოსი უნაგირამდე და რიონაზღვამდე". უნაგირას მთა, რომელიც ვახუშტის მიხედვით უნდა იყოს მდ. ტეხურის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივი მერიდიანული ქედი, ცაიშის ეპარქიის აღმოსავლეთი საზღვარია, რომლის აქეთ (აღმოსავლეთით) უკვე ჭყონდიდის ეპარქიაა ცხენისწყლამდე. რამდენადაც ცნობილია, რომ საეკლესიოეპარქიალური დანაწილება ტერიტორიისა კონსერვატიული ხასიათისაა საერთოდ, ამდენად, ვფიქრობთ, ძალიან არ შევცდებით, თუ

ბიზანტიურ ნოტიციაში ხსენებულ ცაიშის ეპარქიის საზღვარს აღმოსავლეთით იმავე უნაგირაზე დავდებთ. ასეთ შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ არა მხოლოდ ვაკე იმერეთში არგვეთიანად და რაჭალეჩხუმიანად, არამედ მთელს მარჯვენა რიონისპირეთში მდ. ტეხურის ხეობის ჩათვლით, VII ს-ში მცხეთის კათალიკოსის იურისდიქცია მოქმედებდა ქართული ენით, ქართული მწიგნობრობით და აქედან გამომდინარე ყველა ღრმა შედეგით.

კიდევ მეტი. ზოგადქართული კულტურის მძლავრი ნაკადი ეგრისის უკიდურეს ჩრდილოდასავლეთ ტერიტორიას, აფხაზეთსაც აღწევდა. ამის უცილობელი მოწმობაა სწორედ VI – VIII საუკუნეებში ქართული საეკლესიო არქიტექტურის ძეგლების ინტენსიური მშენებლობა აფხაზეთში ("სამეკლესიანი ბაზილიკები": ძველი გაგრა, აბაათა – VI ს; ჯგერდა, ამბარა – VIII/IX სს.; "მცხეთის ჯვრის ტიპი": დრანდა – VIIIს.), რაც იმის უტყუარი დასტურიც არის, რომ ამ დროიდან მაინც, ბერძნულბიზანტიურთან ერთად, აქ ქართული ქრისტიანული თემი არსებობს. ეს თავის მხრივ აშკარად მიუთითებს ქართული ფეოდალური კულტურის ფართოდ გავრცელებაზე აფხაზეთში, რასაც VIII ს-ში სულ ცოტა ორსაუკუნოვანი ისტორია უკვე ჰქონდა.

აფხაზთა პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილება. ხანგრძლივი და სიღრმისეული კულტურული პროცესის ბუნებრივი შედეგი იყო ის, რომ ბიზანტიის კეისრების დიდმოხელე "აფხაზეთის ერისთავების" პოლიტიკური და კულტურული ორიენტაცია აქამდე, არსებითად, ბიზანტიისაკენ მიმართული, რადიკალურად იცვლება და მათ თავისი საერისთავოს მომავალი სრულიად შეგნებულად ზოგადქართულ პოლიტიკას დაუკავშირეს და აქტიურად ჩაებნენ მომავალი საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. თუ არა ზემოაღნიშნული კულტურული ვითარება აფხაზეთში, ამის ახსნა სრულიად შეუძლებელი იქნებოდა: ცხადია, აფხაზთა დიდი ნაწილისათვის, მისი ფეოდალური ზედაფენისთვის საერთოქართული ფეოდალური კულტურა ქართული ენით, ქართული დამწერლობით და ქართული სოციალური ურთიერთობებით ორგანულად ეროვნულ კულტურას შეადგენდა.

კონკრეტულად კი ეს დიდი მნიშვნელობის გარემოება ქართველ ანონიმს ასე აქვს ასახული: მიჰრის შემდეგ, რომელიც ანაკოფიის ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი მალევე გარდაიცვალა, სტეფანოზის ერთადერთ მემკვიდრედ არჩილი ხდება. ბუნებრივია, რომ იგი მამამისის ტიტულს, "ქართველთა და მეგრელთა ერისთავთერისთავთა უფლისას", იმკვიდრებს. ამის შემდეგ მასთან მიდის ლეონ "ერისთავი აფხაზეთისა" და თუკი მანამდე, როგორც "ერისთავი კეისრისა", უშუალოდ ბიზანტიის იმპერატორის ვასალი იყო, ამიერიდან იგი, არჩილის ქვეშევრდომი ხდება: ლეონი მას ეუბნება: "მომცა მე კეისარმან ქუეყანა ესე მკჳდრობით (მემკვიდრეობით) კეთილად სიმჴნითა თქუენითა. ხოლო ამიერიდან არს ესე მამულობით სამკჳდრებელ ჩემდა კლისურითგან ვიდრე მდინარედმდე დიდად ხაზარეთად (მდ. ყუბანამდე)... შემრთე მეცა მონათა შენთა თანა... მაშინ მისცა (არჩილმა) ლეონს ცოლად ძმისწული მისი გუარანდუხტ და… ყვეს აღთქმა და ფიცი საშინელი, ვითარმედ არა იყოს მტერობა შორის მათსა, არამედ ერჩდეს (ემორჩილებოდეს) ლეონ არჩილს ყოველთა დღეთა მისთა".

რამდენადაც იდილიური სურათი არ უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი ქართველ ანონიმს, მით უმეტეს, რომ მთელი ეს აქცია ლამის თვით კეისრის ინიციატივითაა ინსპირირებული, მაინც თვით ფაქტი ლეონის არჩილისადმი ვასალურ ურთიერთობაში შესვლისა, სავსებით რეალურისტორიული უნდა იყოს და იმის მოწმობად შეიძლება გამოდგეს, რომ თუ, ერთი მხრივ, როგორც ჩანს, შესუსტდა ბიზანტიის კონტროლი აფხაზეთზე (შესაძლებელია ამ დროს სახელმწიფოში მიმდინარე შინაგანი სამოქალაქო ომის გამო – ხატმებრძოლეობა), მეორე მხრივ, ქართლის პოლიტიკურკულტურული გავლენა იმავე რეგიონზე იმდენად ძლიერია, რომ აფხაზეთის მმართველი იძულებულია მისი სუვერენობა აღიაროს. ასეა თუ ისე აფხაზ ხელისუფალთა პროქართული ორიენტაცია ამიერიდან სრულიად უდავოა.

არჩილის მოღვაწეობა. ამის შემდეგ არჩილი აწესრიგებს ეგრისის საქმეებს, სადაც "განაგნა ყოველნი ციხენი და ქალაქნი" და ბოლოს გადმოდის აღმოსავლეთში, კერძოდ კახეთში, რომელიც, ჩვენი აზრით, მისი საგამგეო უნდა ყოფილიყო, ვიდრე იგი მამამისის სიკვდილის შემდეგ მთლიანად ქართლის და ეგრისის ხელისუფალი გახდებოდა. განსაკუთრებით ინტენსიურ საქმიანობას არჩილი სწორედ ქართლის საერისმთავროს აღმოსავლეთ პერიფერიაზე ეწევა. მისი ხელისუფლება ვრცელდება ჰერეთზე, წუქეთზე და შაქზეც: "და დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი, და ჴევსა ლაკუსტისასა აღაშენა ციხე. და ჰპოვა წუქეთს მთავარნი… და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი. და აღაშენა ციხექალაქი ერთი ნუხპატს* ორთა წყალთა შუა, ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მჴეცისბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი. და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი".

შაქი და ჰერეთი, მემატიანის სიტყვით, არჩილს სომხეთიდან მოსული მთავრებისათვის, როგორც ჩანს, ბაგრატუნებისათვის, მიუცია; რომელნიც "წარმოვიდეს ტარონით შაკიხად, სამნი ძმანი, და დაემკჳდრნეს მუნ ბრძანებითა არჩილისათა… და დაემკჳდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის". უკანასკნელი განმარტება, რომ ზემოხსენებული ძმები დაეუფლნენ ტერიტორიას შაკიხიდან (შაქიდან) "ვიდრე გულგულამდის" (სოფელი მდ. თურდოზე), იმის მოწმობაა, რომ ისინი შაკიხს გარდა სწორედ ჰერეთში დამკვიდრებულან, რამდენადაც, როგორც ვიცით, ქართული ჰერეთის აღმოსავლეთით შაკიხი// შაქი მდებარეობდა, ხოლო მის დასავლეთ საზღვარს კახეთთან სწორედ სოფ. გულგულა წარმოადგენდა. მათ სამფლობელოში უნდა შესულიყო კამბეჩოვანიც.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, არჩილს ფრიად ინტენსიური კულტურული და საფორტიფიკაციო მშენებლობა გაუჩაღებია არა მარტო საკუთრივ ჰერეთის ტერიტორიაზე (ლაგოდეხის რნი და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბელაქნის, ზაქათალის და კახის რაიონები), რომელიც V სდან მკვიდრად შემოდის იბერიის საზღვრებში, არამედ – საკუთრივ შაქშიც (აზერბაიჯანის რესპუბლიკის შექის რნი). გარდა ზემოხსენებულისა, ამის მატერიალური საბუთია, ჩვენი აზრით, ყუმის ბაზილიკა (VIII ს.) და ლეკითის ტეტრაკონქი (VIII – IX სს.) აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონში.

აქ პირველ რიგში იმის აღნიშვნაა საინტერესო, რომ შაქი, რომელიც არაბთა შემოსევის დროს, როგორც ვიცით, ალვანეთის პროვინცია იყო (იხ.ზემოთ ბალაზურის ცნობა), არჩილის დროს ქართლის საზღვრებში შემოდის, რამდენადაც იქ მისი ბრძანებით ემკვიდრებიან ტარონიდან მოსული ბაგრატუნები.

დასასრულ, საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ არჩილის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა სოციალურ სფეროსაც შეეხო. მემატიანე მოგვითხრობს, რომ მისი უფროსი ძმა, მიჰრი უძეოდ გარდაიცვალა და დარჩა მხოლოდ შვიდი ასული. სიკვდილის წინ იგი ანდერძად უტოვებს არჩილს, რომ მან მისი ქალიშვილები ქართლის ერისთავებს მიათხოვოს: "მისცენ მათ (ერისთავებს დ. მ.) ასულნი ჩემნი და განუყვენ მათ ქუეყანანი ქართლისანი".

ცნობა შვიდი ძმისწულის შვიდ ერისთავზე გათხოვების და მათთვის მზითვად "ქართლის ქვეყნების" დარიგების შესახებ ალბათ ლეგენდარულია, თუმცა მიჰრის ერთერთი ქალიშვილის, გუარანდუხტის, ლეონ ერისთავის მიერ შერთვა, შესაძლებელია, რეალურიც იყოს, რასაც მისი სახელის ნიშანდობლივი აღნიშვნა გვაფიქრებინებს. თვით იმ მოვლენის არსი, რისი გადმოცემაც მემატიანეს სურს, ქრონოლოგიურად და არსებითადაც სავსებით რეალური უნდა იყოს. მემატიანეს კი სურს განგვიმარტოს, რომ არჩილმა, რომელიც მამამისივით "ქართველთა და მეგრელთა ერისთავთერისთავთა უფალია", ამ თავის დიდმოხელეებს თავიანთი საერისთავოები, რომლებიც აქამდე საგამგეოდ ჰქონდათ, სამემკვიდრეოდ დაუმტკიცა. უფრო სწორია თუ ვიტყვით, რომ ქართლის "მამფლის" (<მამა უფლის) დიდმოხელე ერისთავებმა ამ დროისთვის თავიანთი საგამგეო ტერიტორიები, ფაქტობრივად, გაისაკუთრეს და სწორედ ამ დიდი სოციალური ტეხილის ლეგიტიმურობის აზრს გამოხატავს მემატიანის მიერ გვიან ფიქსირებული გადმოცემა, რომ არჩილმა სიძობით დაუმტკიცა ერისთავებს "სამეფო ქუეყანა".

თავი VI. სოციალური განვითარება

ფეოდალური ურთიერთობის განვითარება. ადრეფეოდალური საზოგადოების სტრუქტურა. IV საუკუნე არის ის მიჯნა, საიდანაც უკვე შეიძლება საუბარი ქართველი ხალხის საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით ფეოდალური ურთიერთობების დამყარების შესახებ. ფეოდალიზმი ეს ისეთი საზოგადოებრივეკონომიკური ფორმაციაა, როდესაც ხანგრძლივი ევოლუციის შედეგად მიწაზე კერძო საკუთრების წარმოქმნით განპირობებული პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის საფუძველზე ყალიბდება ორი, არსებითად, ურთიერთდაპირისპირებული კლასი: უმცირესობა – ფეოდალები, რომელთა ხელშია, ფაქტობრივად, საკუთრება წარმოების უმნიშვნელოვანეს საშუალებაზე, მიწაზე, და უმრავლესობა – გლეხობა, რომელიც პირველთა ყმობის პირობაზე ამუშავებს ამ მიწას ინდივიდუალური მეურნეობის საფუძველზე და სხვადასხვაგვარ გადასახადს (ბეგარას) უხდის მიწის მესაკუთრეს. ეს უკანასკნელი, გარდა საკუთარ მამულში (სენიორიაში) მეურნეობის გაძღოლისა და თავის ყმაგლეხთაგან სახელმწიფო თუ საბატონო გადასახადის აკრეფისა, სახელმწიფოს (მეფის) წინაშე ვალდებულია თავისი მსახურებითურთ სამხედრო სამსახური გასწიოს. არსებობენ, რა თქმა უნდა, დიდი და მცირე მიწათმფლობელები, შესაბამისად, მრავალ

და მცირეყმიანი ფეოდალები, რომელთაგან ეს უკანასკნელნი, ნებით თუ იძულებით, პირველთა მფარველობის ქვეშ შედიან, ანუ მათი ვასალები ხდებიან. ასე ყალიბდება ფეოდალური ვასალიტეტის ინსტიტუტი, რომელიც შეიძლება მრავალსაფეხურიანი იყოს და რომლის იერარქიული კიბის სათავეში დგას მეფე. ასეთივე იერარქია არსებობს სასულიერო წოდებაში და მთელი ეს სოციალური პირამიდა ეყრდნობა ბეგარის გამომღებ ყმაგლეხთა ფართო მასას.

ფეოდალური ურთიერთობის დროს მიწა და ყმაგლეხთა სიმრავლე იყო არა მარტო სიძლიერის წყარო და სოციალური პრესტიჟის საფუძველი, არამედ პოლიტიკური ძალაუფლების ძირითადი პირობაც. ფაქტობრივად, ყოველი დიდი სახელმწიფოებრივი თანამდებობა საზოგადოებაში შეესატყვისებოდა მსხვილ მიწათმფლობელობას.

სქემატურად წარმოსახული ზემოხსენებული სტრუქტურა ფეოდალური საზოგადოებისა, რა თქმა უნდა, რეალურ სინამდვილეში გაცილებით უფრო რთული და მრავალსახოვანი იყო და, რაც მთავარია, წარმოადგენდა ხანგრძლივი, არაერთსაუკუნოვანი ევოლუციის შედეგს.

ასეთივე ვითარება იყო, ცხადია, საქართველოშიც.

საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის გენეზისის მანიშნებელ რეალიად, მაინცდამაინც, II ს-ის ის ფაქტი შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც ქართლის მეფე ფარსმანი რომში იმპერატორთან ჩადის თავის წარჩინებულ (ბერძნ. “პროტოჲ” ანუ პირველნი) მხედრებთან ერთად, რომლებიც სწორედ მომავალი ფეოდალური კლასის სოციალური წინაპარნი უნდა ყოფილიყვნენ. მართლაც, ბოლო სამიოთხი ათეული წლის განმავლობაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი II - IV საუკუნის დასაწყისის მდიდრული კომპლექსები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან (აჭარა, იმერეთი, სამეგრელო, ქართლი, კახეთი) თვალნათლივ მოწმობს არა მხოლოდ იმდროინდელი საზოგადოების მკვეთრ სოციალურ დიფერენციაციას, არამედ მისი წარჩინებული ნაწილის ქონებრივ და, ალბათ, უფლებრივ დიფერენციაციასაც. ესენი არიან სწორედ ის “აზნაურები”, რომლებიც IV ს-თვის უკვე დამოწმებულნი არიან ძველ ქართულ წყაროებშიც.

მართლაც, ქართლის საზოგადოებრივი სტრუქტურა IV ს-ის დასაწყისისთვის საკმაოდ რთული ჩანს. უმაღლესი ფენაა “წარჩინებულნი”, რომელთა შორის უპირველესნი “სეფეწულებად” (მეფის გვარის წევრები), “მთავრებად” იწოდებიან.

მათი რიგიდან ინიშნებიან “ერისთავნი” – საქვეყნოდ გამრიგე მეფის დიდმოხელენი, მხედართმთავრები. წყარო ასახელებს აგრეთვე “პალატბანაკსა მეფისასა”. “პალატი” მეფის სასახლეა და ამდენად აქ მეფის უახლოესი კარისკაცნი იგულისხმებიან, ხოლო “ბანაკი” სამხედრო მოხელეთა სფეროს აღნიშნავს.

მემატიანე არაერთგან ახსენებს “ერს”. ასე მაგალითად, იგი გადმოგვცემს, რომ “მას ჟამსა შინა წარემართა მეფე და ყოველი ერი ქართლისა მოსწრაფებით ქრისტეანობასა ზედა”. ცხადია, აქ მთელი ქართლის მოსახლეობა იგულისხმება, წარჩინებულნიც და “არაწარჩინებულნიც”და უპირატესად, ალბათ, სწორედ ეს უკანასკნელნი. მაგრამ ეს “ყოველი ერი”, ცხადია, აღარ არის პირველყოფილთემური წყობილებისათვის დამახასიათებელი ავტონომიური ერთობა, არამედ უკვე სხვისი მბრძანებლობის ქვეშაა მოხვედრილი: როდესაც წმინდა “ნინო შთავიდა კხოეთა

(კუხეთში) და დადგა კაწარეთს (სოფ. ხაშმთან) და მონათლნა კხოელნი და სოჯნი ერითურთ მათით", აქ კუხელ და სოჯ მთავართა "ერითურთ მათით" მონათვლაზეა საუბარი და ამდენად – "მთავართა" მიმართ დაქვემდებარებულ "ერზე". ასევეა სხვა შემთხვევაშიც, როდესაც მემატიანე მოგვითხრობს, რომ "დედოფალი ეგე სოჯი, რამეთუ აღიძრა ეგე შურითა საღმრთოჲთა დალეწად კერპთა და მოქცევად ერისა მათისა საერისთვოჲსა". აქედან თითქოს ჩანს, რომ "ერი" სწორედ "ერისთავთა" საგამგეოა.

ამგვარად, აშკარაა, რომ "ერისაგან" გამოყოფილნი არიან "წარჩინებულნი", რომელნიც თავისთავად საკმაოდ დიფერენცირებულნი არიან ("სეფეწულნი", "მთავარნი", "ერისთავნი" და სხვ.) და, ფაქტობრივად, იგივე "აზნაურთა" კლასს ქმნიან.

რა არის ასეთი გათიშვის მატერიალური საფუძველი? ეს არის მსხვილი მიწათმფლობელობა. უპირველესი და უმსხვილესი მიწათმფლობელი, რა თქმა უნდა, მეფე იყო. საამისო მითითებები ქართულ წყაროებში სწორედ IV ს-თვის გვაქვს. კერძოდ, როგორც ვიცით, წმინდა ნინო "მთათა ზედა ჯავახეთისათა… ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელსა ერქუა ფარავნა" შეხვდა მწყემსებს, რომელთაც აქ საქონელი მოერეკათ საძოვრებზე და მოსულიყვნენ "ზოგნი დაბით და ზოგნი საფურცლით და ზოგნი ქინჯარელნი და რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი". საფურცლეც (ახლა – ნატახტარი) და ქინძარაც სამუხრანოს სოფლებია და ე. ი. ნინოს ჯავახეთში შიდა ქართლისა და საკუთრივ მცხეთის გარეუბნის საქონელი დახვედრია. ჩვენ ვიცით, რომ XI – XIII საუკუნეებში მუხრანი და ჯავახეთი საქართველოს მეფის დომენს წარმოადგენს, ანუ ამ დროს ეს ტერიტორია ერთ ფეოდალურ "ქვეყნად" წარმოგვიდგება, რომლის ერთიანობისათვის ეკონომიკური საფუძველი არსებობს ("მთა" და "ბარი") და რომელიც მეფის საკუთრებაა. გვაქვს სრული უფლება ვივარაუდოთ, რომ ეს ძველი მოვლენაა და, რომ ყოველ შემთხვევაში მირიან მეფის დროს ანალოგიური ვითარებაა. მართლაც, "ქუეყანა მუხნარისა" რომ მცხეთის "შესავალია" ანუ ამ ქალაქის საგამგეოა, ეს წყაროებით კარგად ჩანს. ამდენადვე, ეს არის სამეფო ანუ "სასეფო ქუეყანა". მეორე მხრივ, "ქუეყანა მუხნარისა" რომ მცხეთის ეკონომიკური რაიონი უნდა ყოფილიყო, ეს დღეს სადავო აღარ არის. ამიტომ მცხეთისა და "მუხრანის ქვეყნის" საქონლის ანუ, ფაქტობრივად, სამეფო საქონლის ჯავახეთის იალაღებზე ბალახობა, ამ იალაღების სამეფო საკუთრებაზე უნდა მიუთითებდეს. ასე რომ, შიდა ქართლი და ჯავახეთი უკვე IV ს-ში ერთ "ქვეყნად", კერძოდ "სამეფო ქვეყნად" ანუ სამეფო დომენად წარმოგვიდგება.

საფიქრებელია მეფე არ იყო გამონაკლისი და წარჩინებულაზნაურებს შორისაც უნდა ყოფილიყვნენ მსხვილი მიწათმფლობელები. საამისო პირდაპირი მოწმობა შემოგვინახა სწორედ IV ს-თვის "მოქცევაჲ ქართლისაჲს" მატიანემ: "აღაშენეს აზნაურთა წმიდაჲ იგი ეკლესიაჲ მცხეთას და დაამოთაულეს (ვარიანტი: მიათვალეს) დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითა და ქარდაგებითა ქართლს შინა". ცხადია, რომ აქ საუბარია აზნაურთა მიერ ეკლესიისათვის შეწირულ ადგილმამულზე (ქარდაგი კერძო მფლობელობაში მყოფი მიწის ნაკვეთია), რაც ჩვეულებრივია ფეოდალური ურთიერთობის დროს, და ცხადია ისიც, რომ ეს შეწირულობა მათ საკუთარი საადგილმამულო ფონდიდან უნდა გამოეყოთ. ამდენად, ფაქტობრივად, ამ ცნობაში უკვე IV ს-ში არსებულ მსხვილ საზნაურო და საეკლესიო მფლობელობაზეა საუბარი.

ამგვარად, თუ კი IV ს-ში უკვე არსებობდა სამეფო და სააზნაურო (და საეკლესიო) მსხვილი კერძო მიწათმფლობელობა, მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არსებობდა "ყოველი ერის" სათემო მიწათმფლობელობა, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ჩათრეული ფეოდალურ ურთიერთობაში და რომლის უზენაეს გამგებლად კვლავ ქართლის მეფე გვევლინება. ასეთი მიწები სამართავად მეფის დიდმოხელე ერისთავებს გადაეცემოდა, რისი მოწმობაც IV ს-თვის უნდა იყოს ზემოაღნიშნული ეპიზოდი სოჯი დედოფალთან დაკავშირებით, რომელიც "მოინათლა… ჴელსა შინა ნინოჲსსა ბოდს შინა" და "ერისა მათისა საერისთვოჲსა" მოქცევის შემდეგ სხვა მთავრებთან და "მსახურებთან" ერთად მირიანის ქვეშევრდომობაში შევიდა: "და ესე ყოველნი მოისწრაფიან მანდა, მოჴსენიებულსა მას ქალაქსა (მცხეთას) და შეწყნარებულსა მეფესა" (მირიანს). მთელი ამ თხრობის აზრი ის არის, რომ ახლად მოქცეული და, როგორც ჩანს, ახლად შემოერთებული სუჯეთი თავისი "ერით" მირიანის დროს ქართლის ერთერთ საერისთავოდ გადაიქცა.

კიდევ უფრო გამოკვეთილად ჩანს ქართლის სოციალური სტრუქტურა V ს-ში, ვახტანგ გორგასლის დროს. ამ თვალსაზრისით შესანიშნავ სურათს იძლევა ჯუანშერის თხზულება და ისეთი პირველხარისხოვანი, ეპოქის თანადროული ლიტერატურული ძეგლი, როგორიცაა "მარტჳლობაჲ შუშანიკისი".

ოსეთში ლაშქრობის წინ "ვახტანგ მოუწოდა ყოველთა სპათა ქართლისათა; და შემოკრბეს ყოველნი და დაიბანაკეს მუხნარს და ხერკს, ამიერ და იმიერ არაგუსა… ხოლო სპანი იგი წარემართნეს განმზადებულნი, ცხენთორნოსანნი და ჯაჭუჩაბალახოსანნი წინა კერძო და მათ უკანა ქუეითნი, და ქუეითთა უკანა სიმრავლე მჴედართა, და ესრეთ მიმართეს ოვსთა… მაშინ ვახტანგ მეფე მოქცეულ იყო სპასა მისსა ზურგით რჩეულითა მჴედრითა… და თანა ჰყვებოდეს მას ორნი მჴედარნი: არტავაზ ძუძუსმტე, ძე საურმაგ სპასპეტისა და ბივრიტიან სეფეწული და იგინიცა იბრძოდეს მჴნედ". ცხადი ხდება, რომ ვახტანგ გორგასლის დროს ქართული ლაშქარი შედგება მძიმედ შეჯავშნული მხედრობისაგან (ავანგარდი), ქვეითი ჯარისაგან, მსუბუქი კავალერიისაგან (არიერგარდი) და, ბოლოს "რჩეული მჴედრებისაგან", რომელთა რიცხვში მეფის უახლოესი პირები არიან (წარჩინებულსეფეწულნი) და რომელნიც, ჩანს, მისი პირადი მცველი რაზმია. ცნობილია, რომ ისტორიულად სწორედ ჯარის ორგანიზაციაში და მის შეიარაღებაში ჩანს, პირველ რიგში, საზოგადოების სოციალურეკონომიკური სტრუქტურა და ამდენადვე ცხადი უნდა იყოს თუ რამდენად განვითარებულ საწარმოო ძალებს და სოციალურ დიფერენციაციას გულისხმობს ლაშქრის ზემოხსენებული ორგანიზაციის ტიპი.

თუ რომელი კონკრეტული საზოგადოებრივი ფენები უნდა იყოს ამ შემთხვევაში წარმოდგენილნი, ამას ნათელს ჰფენს სწორედ ვახტანგ გორგასლის თანამედროვე თხზულება – "მარტჳლობაჲ შუშანიკისი".

ირკვევა, რომ ქართლის საზოგადოების უმაღლესი ფენის ზოგადი სახელწოდებაა ამ დროს "აზნაურნი". სწორედ ამ მნიშვნელობითაა ნახმარი ეს ტერმინი, როდესაც საუბარია იმაზე, რომ მომაკვდავი შუშანიკის სანახავად და მისგან კურთხევის მისაღებად მოვიდნენ "ყოველნი იგი ეპისკოპოსნი და აზნაურნი". ეს სოციალური კატეგორია აქ, როგორც აღვნიშნეთ, ზოგადი შინაარსისაა და, ჩანს, შეესატყვისება სხვა წყაროებიდან ცნობილ, ზემოთ არაერთხელ ხსენებულ

“წარჩინებულებს” და რეალურად დიფერენცირებული ჯგუფებისაგან შედგება: “აზნაურნი დიდდიდნი და ზეპურნი დედანი და აზნაურნი”. ამ უკანასკნელით, ცხადია, “აზნაურნი წურილნი” იგულისხმებიან. რაც შეეხება ტერმინს – “ზეპურნი დედანი”, იგი აზნაურთა წრისადმი კუთვნილ ქალებს გულისხმობს, კეთილშობილ გვარიშვილებს.

ამ “დიდდიდ აზნაურთა” უმაღლესი წოდების წარმომადგენელია თვით პიტიახში ვარსქენ, რომელიც “უფალია” თავის საბრძანებელში. იგი ამავე დროს ერთერთი “მთავართაგანია”. მართლაც, “ვახტანგ გორგასლის ცხოვრების” მიხედვითაც, “იყო სომხითს (=ქვემო ქართლს) კაცი ერთი, შვილი მთავართა, სახელით ვასქენ”.

საინტერესოა, რომ ვარსქენს, ქვემო ქართლის პიტიახშს, მთავარს, უფალს ანუ სიუზერენს ჰყავს თავისადმი დაქვემდებარებული აზნაურები: სპარსეთიდან წამოსული ვარსქენ პიტიახში “ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა ყო, რაჲთა აუწყოს და წინა მოეგებნეს მას აზნაურნი”. ეს აზნაურები მთავრის ვასალები უნდა ყოფილიყვნენ ანუ “საკუთარნი მისნი”. ის ფაქტი, რომ “პიტიახშმან გამოარჩია ძუძუჲსმტჳ მისი საკუთარი” (თუ იმასაც მოვიგონებთ, რომ ვახტანგ გორგასალს ჰყავდა “არტავაზ ძუძუსმტე, ძე საურმაგ სპასპეტისა”, ანუ ვასალი წარჩინებულთა უმაღლესი რანგის წარმომადგენელთაგან) უნდა მიგვითითებდეს იმაზე, რომ ეს უკანასკნელი სწორედ “აზნაურთა მისთა” წრისაგან უნდა ყოფილიყო. თუ ეს ასეა, მაშინ ისიც უნდა ვირწმუნოთ, რომ რამდენადაც უკვე IV სში აზნაურები მესაკუთრე – მიწისმფლობელები არიან, რომელთაც ხელეწიფება თავის კუთვნილ “სოფელთა და ქარდაგთა ქართლს შინა” ეკლესიისადმი შეწირვა, ურთიერთობა მთავარპიტიახშსა და მის საბრძანებელში მყოფ საკუთარ ვასალ აზნაურებს შორის საადგილმამულო ნიადაგზე უნდა ყოფილიყო უკვე დაფუძნებული. ამდენად, V სის მეორე ნახევარში, გვაქვს საფუძველი, ქართლში ფეოდალური იერარქიის არსებობა ვივარაუდოთ აზნაურთა წოდების შიგნით.

ამგვარად, აზნაურობა ეს იყო ერთი, უმაღლესი და საკმაოდ დიფერენცირებული წრე ქართლის მოსახლეობისა, რომელსაც უპირისპირდებოდა მეორე, გაცილებით უფრო ფართო სოციალური ფენა. იაკობ ხუცესი გადმოგვცემს, რომ შუშანიკის სანახავად “აზნაურნი და უაზნონი სოფლისა (=ქვეყნისა) ქართლისანი მოვიდეს”. ვინ არიან ეს უაზნონი?

ისევე როგორც ამ ძეგლის “აზნაური” არ იგულისხმება მხოლოდ მისი ძველი მნიშვნელობით – “თავისუფალი”, არამედ მიწისმფლობელ წარჩინებულს გულისხმობს, “უაზნო” არ უნდა ნიშნავდეს მხოლოდ “არათავისუფალს”, არამედ “არაკეთილშობილის”, “უგვაროს” სინონიმი უნდა იყოს, როგორც ეს “ქართლის ცხოვრებაში” გვაქვს დამოწმებული XII საუკუნისათვის: “ვინმე კაცი ასპაანის – ძე, გუარითა არა უაზნო”. ამგვარად, “უაზნო” უპირისპირდება “აზნაურს” არა როგორც მაინცდამაინც “არათავისუფალი” – “თავისუფალს”, არამედ პარ ეხცელლენცე როგორც “არაკეთილშობილი” – “კეთილშობილს”. თუ ეს ასეა, მაშინ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ იაკობი ამ ტერმინით, პირველ რიგში, სოფლის “თავისუფალ” მეთემეთა მასას გულისხმობს, რომელიც ამ დროს, ძველი საზოგადოებრივი ფორმაციის გადმონაშთის სახით ჯერ კიდევ არსებობდა და ქართლის მოსახლეობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენდა. ეს იყო ძველი, პირველყოფილთემური წყობილების თავისუფალი, მიწისმოქმედი და მეომარი “ერი”, რომელიც ადრეკლასობრივი ურთიერთობის პერიოდში უშუალოდ მეფის

ქვეშევრდომობაში შევიდა, უფრო გვიანაც, ფეოდალიზმის ეპოქაში დიდხანს გადმონაშთის სახით არსებობდა და ძველ სახელწოდებასაც ინარჩუნებდა. ვფიქრობთ, "მარტჳლობაჲ შუშანიკისი" თითქოს საამისო პირდაპირ მინიშნებასაც შეიცავს.

ავტორი მოგვითხრობს, რომ "მოვიდა პიტიახში ბრძოლისა მისგან ჰონთაჲსა... და უბრძანა სენაკაპანსა (ოთახის მცველ მოხელეს) ერთსა, რაჲთა წარიყვანონ წმიდაჲ შუშანიკ ციხედ და საპყრობილესა ბნელსა შეაყენონ იგი და მოკუდეს... მაშინ წარმოიყვანეს და მოჰყვანდა წმიდაჲ შუშანიკ უჯამური (ფეხშიშველი) და თმაგარდატევებული (თმაჩამოშლილი) ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანი... და მივიდოდა წმიდისა მის თანა ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისაჲ, სიმრავლჱ ურიცხჳ, რამეთუ უკუანა შეუდგეს, ჴმაჲ აღემაღლა და ტიროდეს და იჴაჴდეს (იხოკდნენ) ღაწუთა მათთა და საწყალობელად დასთხევდეს ცრემლთა მათთა წმიდისა შუშანიკისთჳს. ხოლო წმიდამან შუშანიკ უკუმოჰხედა ერსა მას და ჰრქუა მათ: "ნუ სტირთ, ძმანო ჩემნო და დანო ჩემნო და შვილნო ჩემნო, არამედ ლოცვასა მომიჴსენეთ..." და ვითარცა იხილა პიტიახშმან ამბოხი იგი და ტირილი მამათაჲ და დედათაჲ, მოხუცებულთა და ყრმათაჲ, მჴედრ (ცხენზე ამხედრებული) მიმოდასდევნინ და მეოტ ჰყოფნ მათ ყოველთა".

მართალია არც "ამბოხი" (ბრბო) არის სოციალური ტერმინი და "ერი"ც აქ, ფაქტობრივად, "ხალხს" აღნიშნავს, მაგრამ რამდენადაც, არსებითად, სოფლის მოსახლეობაზეა კონტექსტით საუბარი, არ არის გამორიცხული სწორედ ის "წურილი ერი" იგულისხმებოდეს, რომელიც ამავე პერიოდისათვის ჯუანშერთანაც იხსენიება რამდენიმეჯერ და, როგორც ფიქრობენ, ძველი, პირველყოფილთემური წყობილების "ერის" გადმონაშთია. ასეთ "წურილ ერისაგანთ" პირადი თავისუფლება ჯერ კიდევ მთლიანად შერჩენილი აქვთ ისევე, როგორც სამამულე უფლებანი სათემო თუ კერძო მფლობელობის სახით, ისინი უზენაეს ხელისუფალს, მეფეს, დამორჩილებული წვრილი მიწათმფლობელები არიან, ქონებრივად საშუალო და წვრილი მესაკუთრენი.

ამ დროს ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული თავისუფალ მწარმოებელთა სათემო თუ კერძო მიწათმფლობელობა არა მარტო მთაში, არამედ ბარშიც. ასე მაგალითად, სომხური "აშხარაცუიცის" მონაცემების მიხედვით, აღმოსავლეთი საქართველოსთვის დამახასიათებელი იყო ადმინისტრაციული დაყოფა "ხევების" მიხედვით. "ხევი" კი, ცნობილია, ძველქართული საზოგადოების ძირითადი სტრუქტურული ელემენტია, რომელიც წარმოიქმნა ჯერ კიდევ პირველყოფილთემური წყობილების წიაღში. ამიერიდან სწორედ "ხევებში" მიმდინარეობდა ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური დიფერენციაციის გაღრმავების პროცესი, აქ იქმნებოდა სოციალურეკონომიკური წანამძღვრები კლასობრივ ურთიერთობათა დადგენისათვის. ამის შემდეგაც "ხევები", საკუთრების სხვა ფორმების გვერდით, პირველყოფილთემური ტრადიციების მატარებელნი იყვნენ. სწორედ "ხევებად" უნდა ყოფილიყო გაერთიანებული სტრაბონისეული მესამე გენოსი იბერიის მოსახლეობისა ("ერი") ისევე, როგორც მისი ჩამომავალი "წურილი ერი" IV – V საუკუნეებში. ქართველ მთიელთა ანალოგიით ფიქრობენ, რომ ქართლის სამეფოშიც ამ თემთა ("ხევთა") მეთაურებს ("ხუცესი", "ხევისბერი") ერთდროულად ეკისრებოდათ, როგორც საკულტო, ასევე საერო ხელისუფლების ფუნქციები.

მართლაც, გვაქვს პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ ჩვენთვის საინტერესო ხანაში “ხევური” ორგანიზაცია არსებობდა არა მხოლოდ იბერიის მთაში, არამედ ბარშიც და, კერძოდ, სწორედ ქვემო ქართლის, ვარსქენის საპიტიახშოს, ტერიტორიაზე: სოფ. უკანგორში (დამბლუტის ხევში) აღმოჩენილია ქვაჯვარის კვარცხლბეკის წარწერა, დათარიღებული V – VI საუკუნეების მიჯნით, რომლის მიხედვით აშკარაა ხუცესობის ინსტიტუტის არსებობა დამბლუტის ხეობაში ამ უძველეს დროს.

დავუბრუნდეთ იაკობ ხუცესის თხზულებას. “მარტვილობაჲ შუშანიკისი” ქართლის მოსახლეობის კიდევ ერთ ჯგუფს ასახელებს. ესენი არიან “მსახურნი”, რომლებიც ფეოდალის კარზე პოლიციურ სამსახურს ასრულებენ. მაგრამ, ცხადია, მსახურთა მოვალეობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა. და საერთოდ, საფიქრებელია, “მსახურნი” ფართო სოციალური ფენა იყო, “წურილი ერისაგან” სოციალურეკონომიკური დიფერენციაციის შედეგად გამოყოფილი აღზევებული ნაწილი, რომელიც ფეოდალების ან მეფის სამსახურში შედის და რომლის ძირითადი მოვალეობა, პოლიტიკურადმინისტრაციული სამსახურის გარდა, ლაშქრობა უნდა ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ ჯუანშერის მიხედვით ვახტანგ გორგასლის ლაშქრის მნიშვნელოვან კონტინგენტს სწორედ ისინი წარმოადგენენ. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართლის მეფის ხელისუფლება ამ პერიოდში, სხვასთან ერთად, ეყრდნობა თავისუფალი მწარმოებლის, მთისა და ბარის “ხევების” ერის ჯერ კიდევ მრავალრიცხოვან ფენას. ამ წვრილ მესაკუთრეთა ფენიდან, როგორც ითქვა, გამოიყოფოდა მსახურეული ხალხი, მათ შორის “მჴედრად მსახურნი” (“ქართლის ცხოვრების” ანასეული ნუსხით) თუ “მჴედარნი მსახურნი” (“ქართლის ცხოვრების” მარიამისეული ნუსხით). ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით “ქართლის ცხოვრების” ცნობა: ვახტანგ გორგასალმა ოსეთში წარმატებული ლაშქრობის შემდეგ “გასცა ნიჭი ერსა თჳსსა და წარჩინებულ ქმნნა მჴედრად მსახურნი”. აქედან თითქოს შეიძლება ვარაუდი, რომ ეს “მსახურნი” იმავე “ერის” წარმომადგენლები, ოღონდ ქონებრივად აღზევებულნი “მჴედრად მსახურნი” თუ “მჴედარნი მსახურნი” არიან. თუკი ასეა, მაშინ ბუნებრივია ისიც, რომ იაკობ ხუცესის “უაზნოთა” შორის “ერთან” ერთად “მსახურნიც” ვივარაუდოთ.

დასასრულ, “მარტვილობაჲ შუშანიკისი” კიდევ ერთ სოციალურ კატეგორიაზე მიუთითებს, როდესაც ვარსქენის ძმაზე მოგვითხრობს, რომ “ვითარცა ესმა ჯოჯიკს, ვითარმედ მოახლოებულ არს ნეტარი დედოფალი წმიდაჲ შუშანიკ სიკუდილდ, წარვიდა და თანა წარიყვანა ცოლი და შვილნი და მონამხევალნი მისნი. და მივიდა ციხედ ხილვად სანატრელისა შუშანიკ მარტჳლისა”. მონა ჰყავს თვით ვარსქენსაც. როდესაც სპარსეთიდან წამოსული, “მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა ყო, რაჲთა აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი… და წარმოჰმართა სადიასპანოჲთა ცხენითა მონაჲ თჳსი, ვითარმცა მოვიდა დაბასა, რომელსა სახელი ჰრქჳან ცურტავ”.

როგორც ვხედავთ თუ, ერთი მხრივ, მონა პიტიახშის ამალის წევრია და ასრულებს დესპანის საპატიო მისიას, მეორე მხრივ, მონამხევლები აზნაურის ოჯახში შინამოსამსახურენი არიან. ეს “მონები”, ცხადია, არ არიან ფართო სოციალური კლასის წარმომადგენლები.

ამასთან დაკავშირებით საკითხავია: თუკი, როგორც უნდა დავრწმუნებულიყავით, IVV საუკუნეებში, მეფის დომენის გარდა, საეკლესიო, მსხვილი და წვრილაზნაურული სამამულე მიწათმფლობელობაც არსებობს, ვინ ამუშავებდა ამ მიწებს? რამდენადაც ეს არ იყვნენ მონები, ხოლო ფეოდალიზმის დროს საერთოდ და, კერძოდ, საქართველოშიც დაქირავებული შრომის სარბიელიც, განსაკუთრებით მიწათმოქმედებაში, სასაქონლოფულადი ურთიერთობის სუსტი განვითარების გამო შეზღუდული იყო, ამდენად სავარაუდო პასუხი თავისთავად ცხადი უნდა იყოს. მაგრამ ძველქართულ წყაროში თითქოს სათანადო მინიშნებაც გვაქვს. კერძოდ, ვახტანგ გორგასლის "ცხოვრების" ავტორი ჯუანშერი, როდესაც ვახტანგის, შაჰის მიწვევით, "ჰინდოთა, სინდელთა, არაბთა და ჯორჯანთა ზედა" ლაშქრობაზე მოგვითხრობს, გადმოგვცემს, რომ "პირველად მივიდეს ჯორჯანეთს და წარმოტყუენეს ჯორჯანეთი, და ყოვლად უმკჳდრო (უპატრონო) ყვეს. და დასხნეს ადგილსა მათსა ნათესავნი სპარსთანი და მიერითგან იქმნნეს ჯორჯანნი გლეხად, რომელნი აწ არიან მებეგრენი სპარსთანი". ცხადია, რომ დაბეგრილი მიწათმოქმედის ანუ "მებეგრე გლეხის" ცნება, მიუხედავად იმისა რომ ეს საინტერესო ეპიზოდი "ჯორჯანეთს" (გურგანს) ეხება, ავტორს ქართული სინამდვილიდან აქვს აღებული და რამდენადაც ჯუანშერი ჩვენ, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, VIII ს-ის ნახევრის მოღვაწე გვგონია, ამიტომ ცხადია ისიც, რომ ეს ცნება "მებეგრე გლეხისა" VIII ს-ზე ადრინდელია. არ არის გამორიცხული, და თვით ცნობის კონკრეტული ხასიათი თითქოს იმაზე მიუთითებს, რომ ქრონოლოგიურადაც იგი კორექტული უნდა იყოს და ჯუანშერის პირველწყაროს ეკუთვნოდეს (მით უმეტეს, რომ თვით ტერმინი "ბეგარა" სპარსულია და სწორედ ამ პერიოდში უნდა შემოსულიყო ქართლში). მაშინ ეს იქნება პირდაპირი მითითება V ს-ის ქართლში დაბეგრილი მიწისმოქმედის, გლეხის რეალურად არსებობაზე, რასაც ჩვენ მიერ ზემოაღწერილი სოციალურეკონომიკური ვითარების სურათი ისედაც სავარაუდოს ხდის.

ასეთად წარმოგვიდგება ქართლის სოციალური სტრუქტურა ქართული წყაროების მიხედვით V სის მეორე ნახევარში. ახლა შეგვიძლია ჯუანშერისეული ქართლის ლაშქრის ორგანიზაციის ზემოხსენებული სურათის შეთანაპირება იაკობ ხუცესისეული ქართლის საზოგადოების ("აზნაურთა და უაზნოთა") სტრუქტურასთან. ეჭვი არ არის, რომ ლაშქრის ავანგარდს ანუ "ცხენთორნოსნებს" თუ "ცხენთოროსნებს" და მეფის მცველ "რჩეულ მხედრებს" სწორედ "აზნაურთა" კლასი, მათ შორის "აზნაურნი დიდდიდნი" შეადგენდნენ. ჩვეულებრივ "სიმრავლეს მჴედართა", როგორც თვით ჯუანშერიც მიუთითებს "მსახურთა" ფენა წარმოადგენდა, კერძოდ, "მჴედრად მსახურნი". ქვეით ჯარს კი, რა თქმა უნდა, "ერი" ("წურილი ერი") ქმნიდა, რომელთაც "სოფლიონი" ეწოდებოდა.

ამ ორი რიგის, სამხედრო და საზოგადოებრივი, სტრუქტურული ელემენტების სრული შესატყვისობა, გვგონია თვით იმდროინდელი სოციალური დანაწევრების ზემოაღწერილი სურათის რეალურობის მაჩვენებელი უნდა იყოს.

ამგვარად, V ს-ის მეორე ნახევრის ქართლის სამეფოში, რომელიც ამ დროს ეგრისსაც მოიცავს და დასავლეთ ალვანეთსაც, დასტურდება როგორც მსხვილი ფეოდალური (სამეფო, სააზნაურო, საეკლესიო), ასევე სათემო მიწათმფლობელობაც, რომელიც ეჭვი არ არის

განიხილებოდა, როგორც სახელმწიფო საკუთრება. ეს არის სწორედ ადრეფეოდალური საზოგადოების სტრუქტურა.

სახელმწიფოებრივი წყობა. რამდენიმე სიტყვა აღნიშნული ეპოქის სახელმწიფოებრივი წყობის შესახებ. ძველი ქართული წყაროების თანახმად, იბერიის მეფეები თვითმპყრობელნი არიან, რომლებიც თავისი ნებასურვილის მიხედვით ნიშნავენ "საქვეყნოთ გამრიგე" დიდმოხელეებს, სპასპეტს და ერისთავებს. სავარაუდოა, რომ ამ კონცეფციით მთელი სამეფოს მიწაწყლის უზენაეს მესაკუთრედ სახელმწიფო გვევლინება. ჩვენთვის საინტერესო ეპოქისათვის ასეთი ვითარება, არსებითად, რეალური უნდა იყოს მით უმეტეს, რომ ქართლის სამეფოში, მაგალითად, სომხეთთან შედარებით, ცენტრალურ ხელისუფლებას მეტი ხვედრითი წონა უნდა ჰქონოდა, ხოლო აღზევებული პროვინციული ფეოდალური "სახლები" ნაკლები ძალისანი უნდა ყოფილიყვნენ.

ვახტანგ გორგასლის "საქვეყნოდ გამრიგე" მოხელეები, ერისთავები, კაროლინგების დროინდელი გრაფების მსგავსად, ბენეფიციარები იყვნენ ანუ მეფისაგან ნაბოძებ ხელისუფლებას და მასთან დაკავშირებულ ნაწყალობევ მიწაწყალს (საერისთავოს) ჯერ კიდევ არ ფლობდნენ მემკვიდრეობითი უფლების საფუძველზე, თუმცა კი საამისო ტენდენცია, თავისთავად ცხადია, არსებობდა. არ გვაქვს საფუძველი არ ვენდოთ წყაროს არაერთგზის მითითებას, რომ VI ს-ის ქართლის მმართველებმა "ერისთავნი ქართლისანი ვერ სცვალნეს საერისთვოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელნი მკჳდრობისათჳს საერისთვოთა მათთა". აქედან, ჯერ ერთი, კარგად ჩანს, რომ ერისთავთა "მკჳდრობა" ანუ მემკვიდრეობით ფლობის უფლება უცხო ძალის ჩარევის შედეგია და ქართლის ერისმთავარი მათ ასეთ სტატუსს იძულებით ცნობს და შემდეგ, აქედანვე გამომდინარე, – რომ უფრო ადრე, ანუ სწორედ ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ხანისათვის, ერისთავთა შეცვლა შესაძლებელი ყოფილა. ამგვარად, გვაქვს საფუძველი ვახტანგ გორგასლის ერისთავები მოხელებენეფიციარებად ვცნოთ.

ამის ნათელსაყოფად მოვსეს ხორენაცის ერთი ცნობა გამოგვადგება, რომელიც შეეხება ვარსქენ პიტიახშის მამას, არშუშა ქართლის პიტიახშს. V ს-ის სომეხი ისტორიკოსის მოწმობით, არშუშა იყო ტაშირის მთავარი (იშხანი) და გუგარქის (გუგარელთა) პიტიახში. სომხური წყაროს გუგარქის პიტიახში შეესატყვისება ქართული მემატიანეების სამშვილდის ერისთავს, ხოლო ტაშირი კი გუგარქის ერთერთი "ხევია". ამგვარად, მოვსეს ხორენაცი ზემოხსენებულ ცნობაში არშუშას მფლობელობის გაორებულ ხასიათს გულისხმობს: როგორც ფეოდალი, იგი მემკვიდრეობით (მამულობით) მფლობელია, მთავარია ტაშირისა, ხოლო როგორც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი ანუ დიდმოხელე – გუგარქის პიტიახშია (სამშვილდის ერისთავი). უნდა ვიფიქროთ იგი ამ "სახელოს" (თანამდებობას) ფლობდა მეფისაგან ბენეფიციუმის პირობით.

ასევე ბენეფიციუმის პირობით ემსახურებოდნენ მეფეს "ერისაგან" გამოყოფილი, აღზევებული "მსახურნი". ასე უნდა გავიგოთ მემატიანის ზემომოყვანილი ცნობა, რომ ვახტანგ გორგასალმა "გასცა ნიჭი ერსა თჳსსა და წარჩინებულ ქმნა მჴედრად მსახურნი". აქ, როგორც ჩანს, მიწის ბენეფიციუმის პირობით გადაცემაზეა აგრეთვე საუბარი.

დასასრულ, აღსანიშნავია, რომ მემკვიდრეობით მამულთან და ნაწყალობევ მიწასთან ერთად, უკვე ამ დროსვე უნდა არსებულიყო შეწირვის გარდა მიწის ყიდვაგაყიდვის პრაქტიკა, თუმცა კი "ნასყიდევი ქუეყანა" ანუ ნაყიდი მიწა დოკუმენტურად მხოლოდ VI ს-ის ბოლოს თუ VII ს-ის დასაწყისისთვისაა დაფიქსირებული.

ამგვარად უნდა დავასკვნათ, რომ IV – V საუკუნეების ქართლში (და, როგორც ჩანს, მთელს საქართველოში) გაბატონებული იყო განვითარების ადრეფეოდალური სტადიისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ურთიერთობა. ქართლის გაერთიანებული სამეფო V სის მეორე ნახევარში სრული უფლებით შეგვიძლია მივიჩნიოთ ადრეფეოდალურ სახელმწიფოდ ერთიანი ცენტრალური ხელისუფლებით, ხოლო მისი შემქმნელი ვახტანგ გორგასალი – ტიპურ ადრეფეოდალურ მონარქად.

ადრეფეოდალური მონარქიის დაშლა. ძირითადი სოციალური პროცესის განვითარების მაგისტრალური მიმართულება გულისხმობდა თავისუფალ წვრილ მწარმოებელთა (მეთემეთა და ალოდისტთა – წვრილ ინდივიდუალურ მესაკუთრეთა) შემცირებას დამოკიდებულ მიწათმოქმედთა გაზრდის ხარჯზე. ეს აძლიერებდა მსხვილ მიწათმფლობელერისთავთა პოზიციებს. მიმდინარეობდა ბრძოლა სამეფო ხელისუფლებასა და ერისთავებს შორის. პირველი დაჟინებით ცდილობდა სახელმწიფოს ცენტრალიზაციის პოლიტიკის გატარებას (საქართველოს გაერთიანება, საეკლესიო რეფორმა, ციხესიმაგრეთა და ქალაქთა მშენებლობა), მეორენი განუხრელად სახელოს გამკვიდრებისაკენ მიისწრაფოდნენ. ამ შეურიგებელ ბრძოლაში აქტიურად ერეოდა ირანი და ბიზანტია, რომლებიც ცდილობდნენ გავლენის სფეროების განაწილებას ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში. შინასოციალური და გარეპოლიტიკური კონფლიქტების ურთიერთშერწყმის გამო შექმნილი ძალთა განწყობილება ვახტანგ გორგასლისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. იგი დამარცხდა. VI ს-ის ოციან წლებში ეგრისი გამოეყო ქართლს, და კვლავ ბიზანტიის ქვეშევრდომობაში შევიდა. 30-იან წლებში სპარსელებმა გააუქმეს მეფობა ქართლში, ხოლო ერისთავებმა საკუთარი მეფის ღალატის საზღაურად ირანის სანქციით გაიმკვიდრეს საერისთავოები. ქართლის ერთიანი ადრეფეოდალური მონარქია დაიშალა ცალკეულ ფეოდალურ სამფლობელოებად ირანის შაჰის უზენაესი ხელისუფლების ქვეშ.

უნდა აღინიშნოს, რომ V ს-ის მეორე ნახევრის ქართლის სოციალური ვითარება, როგორც ვნახეთ, სრული სიცხადით მოწმობს, რომ VI ს-შიც სათემო მიწათმფლობელობას საკმაოდ დიდი ხვედრითი წონა უნდა ჰქონოდა. ამას უნდა ადასტურებდეს ქართლის სახელმწიფოებრივი განვითარების შემდგომი პროცესი.

საქმე ის არის, რომ ქართლის ერისთავთა და სპარსელთა ალიანსი დიდხანს არ გაგრძელებულა და სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლის შემდეგ, როგორც ვიცით, "ნელადრე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ". საკითხავია: როგორ მოხდა, რომ ერისთავებმა, რომლებიც ხელს უწყობდნენ ქართლში მეფობის გაუქმებას თავიანთი საგამგეო საერისთავოთა გამკვიდრების მიზნით, 50-იან წლებში თავისივე ინიციატივით აღადგინეს ცენტრალური ხელისუფლება?

მიზეზი, გვგონია, უნდა ვეძებოთ იმაში, რომ VI ს-ის ქართლი ადრეფეოდალური სახელმწიფოა. ეს კი ნიშნავს, რომ თითოეულ ერისთავს თავის საგამგეოში ცალკეული ფეოდალური მფლობელისა და მისგან დამოკიდებული უშუალო მწარმოებლის გარდა, უნდა ჰყოლოდა მრავალრიცხოვანი ფენა მეთემეალოდისტებისა, რომლებიც ძველთაგანვე არსებული სამართლის მიხედვით ითვლებოდნენ "თავისუფლებად" (ე. ი. ეკუთვნოდნენ სახელმწიფოს, როგორც უზენაეს მესაკუთრეს). ისინი, ჩანს, საკმაოდ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ საიმისოდ, რომ ცალკეულ ერისთავს მათი ყმადქცევა შეძლებოდა. ასევე ძნელი უნდა ყოფილიყო იმ ფეოდალურ სენიორთა მორჩილებაში ყოლა, რომელნიც ადრე მეფის ვასალები იყვნენ. ამგვარად, ერისთავებს, ამ ფეოდალურ სენიორებს, უზენაესი ცენტრალური ხელისუფლების გარეშე, ფაქტობრივად, არსებობაც არ შეეძლოთ. საამისოდ ირანი არ გამოდგებოდა, რამდენადაც სპარსელთა პოლიტიკა ძველთაგანვე ქართლის არისტოკრატიის არა მარტო სრულ მორჩილებაში ყოლას, არამედ პრაქტიკულად მის ასიმილაციას ისახავდა მიზნად (მოვიგონოთ V სის შუახნის მოვლენები). ამიტომ ურთიერთობა სპარსელებთან მალევე უნდა გაფუჭებულიყო. ზემოხსენებული იმის მოწმობაა, რომ ქართლში მეფობის გაუქმება უფრო გარეპოლიტიკური მიზეზებით იყო განპირობებული, ვიდრე შინაგანი სოციალური ევოლუციით. ამიტომ საჭირო შეიქმნა კვლავ გაერთიანება, რაც არ იყო ძნელი საერთო ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის დროს და "ნელადრე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ". მართალია, ახალი ხელისუფალი იყო უკვე პრიმუს ინტერ პარეს.

თავისუფალ მეთემეთა ფართო ფენის არსებობა VI ს-ის ლაზიკეშიც სავარაუდოა, რასაც უნდა მოწმობდეს საერთო სახალხო კრება, მოწვეული მეფე გუბაზის მკვლელობასთან დაკავშირებით.

შემდგომი განვითარება ძირითადი სოციალური პროცესისა კვლავ მიემართებოდა ფეოდალური საკუთრების გამსხვილებისა და შესაბამისად სათემო მიწათმფლობელობის შემცირების გზით.

ჩვენთვის საინტერესო პრობლემისათვის მნიშვნელოვანია IX ს-ის არაბი ისტორიკოსის, ბალაზურის ცნობები, რომლებიც უეჭველად VII ს-ის შუახანს განეკუთვნება. ეს არის პირველყოვლისა, ჰაბიბიბნ მასლამას ე. წ. "დაცვის სიგელი", გაცემული, როგორც ვიცით, იმ ტერიტორიის მოსახლეობისადმი, რომელიც არაბებმა პირველ რიგში დაიმორჩილეს. ეს არის თბილისი, როგორც სახელმწიფოს ცენტრი, ქვემო ქართლი ცენტრით მანგლისში და შიდა ქართლის ნაწილი ცენტრით არმაზში. ამის შემდეგ არაბები იმორჩილებენ, ეტყობა, საგანგებო "დაცვის სიგელების" საფუძველზე ქართლის საერისმთავროს დანარჩენ პროვინციებსაც. ესენია: კახეთი, კუხეთი, ხუნანი, ქასალი, გარდაბანი, ბაზალეთი, ქსნისხევი, კასპი, ჯავახეთი, სამცხე, არტანი, შავშეთი, კლარჯეთი, დარიალანი წანარებითურთ და დიდოელები.

შეუძლებელია არ შევნიშნოთ, რომ არაბული ნუსხის მიხედვით, იშვიათი გამონაკლისის გარდა (ქვემო ქართლი, კლარჯეთი), ძველი საერისთავოები – ქართლის სამეფოს ადმინისტრაციული დაყოფის საფუძველი – ფაქტობრივად აღარ არსებობს. ისინი შედარებით მცირე შემადგენელ ერთეულებად არიან დანაწილებული. უზენაესი მმართველის სახელმწიფო ხელისუფლება ფრიად შეზღუდულია ტერიტორიულად და პროვინციულმა მმართველებმა უკვე

მოახერხეს მისი რეალური პოლიტიკური გავლენისაგან თავის დაღწევა. ეს მნიშვნელოვანი გარემოება უნდა მიუთითებდეს ფეოდალური ურთიერთობის შემდგომი გაღრმავების პროცესზე, რომლის შედეგადაც სუსტი ცენტრალური ხელისუფლების არსებობის პირობებში ხდება კერძო პოლიტიკური ხელისუფლების მამულის შიგნით კონცენტრაცია და მსხვილი ფეოდალური საკუთრების შემდგომი გაფართოება.

პროცესი თავის ლოგიკურ დასასრულს VIII ს-ის შუახანაში პოვებს.

საქართველოს სოციალური განვითარების ეს უმნიშვნელოვანესი ტეხილი დაკავშირებულია ჩვენთვის უკვე ცნობილი არჩილის სახელთან. წყარო მიაწერს მას, როგორც ვიცით, "რეფორმის" გატარებას, რაც გამოიხატა ერისთავთა მიერ საერისთავოთა მემკვიდრეობით ფლობის უფლების სანქციონირებით. დიდმოხელე ერისთავები, რომლებიც აქამდე სახელმწიფო სამართლის თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბენეფიციარებად ითვლებოდნენ, ამიერიდან გადაიქცნენ მფლობელ მთავრებად – სენიორებად, რომლებიც თავის სუვერენთან მხოლოდ ვასალური ურთიერთობითღა არიან დაკავშირებულნი. თუ მხედველობაში მივიღებთ სოციალური განვითარების მთელ იმ პროცესს, რომლის დახასიათებაც ჩვენ ვცადეთ, დაწყებული IV – V საუკუნეებიდან, ვფიქრობთ, გვაქვს უფლება ვივარაუდოთ, რომ მემატიანის ცნობა არჩილის "რეფორმის" სოციალური არსის შესახებ სწორია და პირდაპირი მოწმობაა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სენიორალური ანუ სამამულე რეჟიმის დამყარებისა. ეს ნიშნავს, რომ სოციალური განვითარების თვალსაზრისით ქართველი ხალხი ფეოდალური ურთიერთობების სრულიად განვითარებულ სტადიაზე შედგა. განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდის სენიორია კი ეს არის მამული, რომლის მფლობელსაც კერძომემამულური უფლების ნიადაგზე აღმოცენებული იმუნიტეტის ანუ შეუვალობის საფუძველზე, როდესაც მისი კუთვნილი საფეოდალოს მოსახლეობის მიმართ პოლიციური, სასამართლო და გადასახადის აკრეფის უფლებები სახელმწიფოდან მის ხელში გადადის, აქვს პოლიტიკური უფლებები თავისი ყმების მიმართ. ფეოდალი (სენიორი) ამ დროს, ფაქტობრივად, სრულუფლებიანი ხელმწიფეა თავის სამფლობელოში.

სამამულე (სენიორალური) რეჟიმის დამყარება, ჯერ ერთი, განპირობებული იყო მიწის მსხვილი ფეოდალური საკუთრების არსებობით, რომლის განვითარების პროცესსაც ზემოთ შეძლებისდაგვარად მივადევნეთ თვალი. ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ეპოქისთვის საამისო პირდაპირი მითითებაც გვაქვს: არჩილი სამემკვიდრეო მფლობელობის უფლებას უმტკიცებს "პიტიახშსა, ნათესავსა ფეროზისასა, რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს". ზემოთ აღნიშნული იყო, რომ მოვსეს ხორენაცის მოწმობით დომენიალური (მემკვიდრეობითი სამამულე) მფლობელობა V სის პიტიახშებისა მხოლოდ ტაშირს მოიცავდა, ხოლო დანარჩენ ტერიტორიას ისინი ფლობდნენ ბენეფიციუმის პირობით. სამი საუკუნის შემდეგ ვითარება არსებითადაა შეცვლილი და ძველ პიტიახშთა ჩამომავალი კერძო მემამულური უფლებით ფლობს არა მხოლოდ ტაშირს, არამედ თრიალეთსაც და აბოცსაც, ანუ, ფაქტობრივად, ყოფილი საპიტიახშოს თითქმის მთელ ტერიტორიას. ეს აშკარად მიუთითებს ბენეფიციუმის (დროებითი მფლობელობის) ფეოდად (მუდმივ სამემკვიდრეო მფლობელობად) გადაქცევაზე.

მეორე მხრივ, არსებობს ეპოქის თანადროული დოკუმენტური წყაროები, რომელთა საფუძველზე გვაქვს უფლება ვამტკიცოთ, რომ არჩილის სანქციით მთავრებად (სენიორებად) ქცეული ერისთავები სრული იმუნიტეტით (შეუვალობით) სარგებლობდნენ თავიანთ სამფლობელოებში და, ფაქტობრივად, სრულ პოლიტიკურ უფლებებს ახორციელებდნენ დამორჩილებული მოსახლეობის ("ქუეშემყოფთა") მიმართ (ადმინისტრაციულპოლიციური, სასამართლო, ნატურალური რენტის აკრეფის უფლებები).

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ზემოხსენებულ ერისთავთა "ქუეშემყოფი" საერისთავო ამიერიდან წარმოადგენს სენიორიას, რომელიც დამახასიათებელია სავსებით განვითარებული ფეოდალიზმის საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის, ხოლო რამდენადაც ამგვარი სენიორიების არსებობა, არჩილის "რეფორმის" შედეგად, მთელი საქართველოს ტერიტორიაზე იგულისხმება, აფხაზეთიდან კახეთამდე, ცხადია, გვაქვს სრული უფლება ვივარაუდოთ, რომ VIII ს-ის შუა ხანში სენიორალურმა სისტემამ ოფიციალური სანქცია მიიღო მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეს არის სწორედ განვითარებული ფეოდალიზმის საბოლოო დადგინების ხანა საქართველოში.

სენიორალური უფლებრივი რეჟიმის გავრცელება და განმტკიცება, რაც შედეგია ალოდიალური მიწათმფლობელობის, ერთი მხრივ, ფეოდალურ საკუთრებად გადაქცევისა, მეორე მხრივ კი, ყმადქცეული თავისუფალი მეთემის დაბეგრილ პარცელად ტრანსფორმაციისა, პოლიტიკური ზედნაშენის თვალსაზრისით, როგორც წესი, იწვევს ერთიანი ადრეფეოდალური მონარქიის დაშლას. მართლაც, სწორედ VIII ს-ის მეორე ნახევრისთვის მემატიანე გვაუწყებს: "ხოლო ამიერითგან იწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მეფეთა ხუასროანთამან (არჩილის მემკიდრეებზეა საუბარი, დ. მ.)… იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას". მემატიანის მახვილ თვალს არ გამორჩენია ქართლის ადრეფეოდალური სახელმწიფოს დაცემის შინაგანი ფაქტორი – ფეოდალური დაქსაქსულობა – მთელი წინამავალი სოციალური განვითარების ორგანული დასასრული. ეს მთავრები დამოუკიდებელი ან ნახევრად დამოუკიდებელი სენიორები არიან.

საფიქრებელია, რომ ისტორიულ მატიანეებში მოხსენებული ციხესიმაგრეები სწორედ მემატიანისეული მთავრების რეზიდენციებს წარმოადგენენ და ამდენად "სიმრავლისა მთავართასა ქუეყანასა ქართლისასა" მატერიალურ საფუძველს ქმნიან.

ფეოდალურ ციხესიმაგრეთა – გალავნიანი ციხეკოშკების – ინტენსიური მშენებლობა, რაც აგრეთვე ერთერთი არსებითი ნიშანია განვითარებული ფეოდალური ურთიერთობების დადგინების დასადასტურებლად, ზემოთქმულთან ერთად კიდევ ერთ ფრიად მნიშვნელოვან სიღრმისეულ სოციალურ ტეხილს გულისხმობს.

მთავართა ამ გამაგრებული რეზიდენციების ფართო ქსელი, რომელიც, ასე ვთქვათ, ზედ დაედო ძველ სასოფლო თემთა კიდევ უფრო ხშირ აგლომერაციას, იმის ნათელი მოწმობაა, რომ რიგითი თავისუფალი მწარმოებლები, მეთემეალოდისტები, უდიდეს ნაწილში უკვე დამოკიდებულ მიწათმოქმედებად, ფაქტობრივად, "გლეხებად" გადაიქცნენ, რომ ბარის საქართველოში ძველი თავისუფალი "ერი", როგორც სოციალური კლასი აღარ არსებობს.

მართლაც, ერთსა და იმავე ტერიტორიაზე თავისუფალი თემისა და ფეოდალის ციხესიმაგრის ერთდროული არსებობა სრულიად შეუთავსებელი მოვლენაა. ფეოდალის ციხესიმაგრე, როგორც წესი, საკუთარი სენიორიის, მამულის ფარგლებში შენდება. მამულის (სენიორიის) წარმოქმნაჩამოყალიბება ფორმდება ციხესიმაგრის მშენებლობით. შესანიშნავია ამ მხრივ მოწმობა: "დაუწყე ჩემსა მამულსა შიგან ციხესა გება", ანდა: "შეიპყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი აღაგო ციხე კლდეკართა". ციხესიმაგრე წარმოადგენდა სენიორის მიერ მის "ქვეშემყოფთა" მიმართ შეძენილი პოლიტიკური უფლებების (ადმინისტრაციულპოლიციური, სასამართლო, საგადასახადო) რეალიზაციის მატერიალურ საშუალებას. ამდენადვე, ზემოხსენებულ ციხესიმაგრეთა ინტენსიური მშენებლობა მოწმობაა მიწათმოქმედთა ყმადქცევისა. თავის მხრივ, სენიორალური რეჟიმის გაბატონება და გავრცელება, როგორც წესი, გამორიცხავდა თემურალოდიალური მიწათმფლობელობის არსებობას.

მთისა და ბარის ურთიერთობა. ზემოხსენებული, რა თქმა უნდა, ეხება საქართველოს ბარს და ზეგანს. რაც შეეხება მაღალმთიან ზონას, აქ სხვაგვარი ვითარებაა და სწორედ ეს გარემოებაა მთლიანად საქართველოს სოციალური განვითარების სპეციფიკურობას რომ ქმნის.

"მთა" უაღრესად დიდ როლს თამაშობდა ქართლის და ეგრისის სამეფოთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, ხოლო მისი ხვედრითი წონა ქვეყნის კულტურის ისტორიაში ყველა ეპოქისთვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო. სოციალური განვითარების თვალსაზრისით ორ ასპექტს უნდა მივაქციოთ ყურადღება: 1. მთიელთა საზოგადოების შინაგანი ვითარება და 2. ამ საზოგადოების ურთიერთობა ბართან ანუ მისი სოციალური სტატუსი ქართულ სახელმწიფოებრიობაში.

ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ მიწის სიმცირე და სიმწირე, ერთი მხრივ, ხოლო საქონლის, კერძოდ, ცხვრის სიჭარბე (აღმ. საქართველოში) და ზამთრის საძოვრების უქონლობა, მეორე მხრივ, არის ის ძირითადი ეკონომიკური ფაქტორი, რაზედაც იყო დამყარებული მთისა და ბარის პოლიტიკური ურთიერთობა. ამას გარდა, სწორედ იგივე ფაქტორი – ეკონომიკური სარბიელის სივიწროვე – იყო მთავარი საფუძველი მთის საზოგადოების სოციალური ევოლუციის შენელებული ტემპისა და ზოგან ამ პროცესის ფაქტობრივი სტაგნაციისა.

IV – VIII საუკუნეების საქართველოს ტერიტორიული სტრუქტურა "ხევების" სისტემით ხასიათდებოდა, რაც სოციალური განვითარების დონის გამომხატველიცაა. ბარში ეს იყო ადრეფეოდალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი, მისი შესატყვისი ვითარება, რომელიც თანდათანობითი საზოგადოებრივი ევოლუციის პროცესში და მომწიფებული ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბების შედეგად ტრანსფორმაციას განიცდის: VIII ს-ის შუა ხანისთვის ადრეფეოდალურ "ხევთა" საფუძველზე, დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც, ბარში ფეოდალური "ქვეყნები" წარმოიქმნა. "მთას" კი შემორჩა ხევური ორგანიზაცია.

"ხევის" – უძველესი ქართული ისტორიულგეოგრაფიული და ეთნოსოციალური (შემდგომში, ადმინისტრაციულტერიტორიული) ერთეულის – წარმოქმნა პირველყოფილთემური წყობილების წიაღში, ამ უკანასკნელის რღვევის მომასწავებელი მოვლენა უნდა ყოფილიყო, რაც, ფაქტობრივად, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში

დაიწყო. ბარში “ხევების”, როგორც სოციალური ორგანიზმის გადაშენება, საბოლოოდ VIII საუკუნისთვისაა სავარაუდო. მთაში ისინი გვიან შუა საუკუნეებამდე შემორჩა, როგორც თვითმმართველი ორგანიზაციები.

ზემოხსენებულ თემურ კოლექტივებს უკვე ორი ათასი წლის ისტორია ჰქონდათ, აქედან ათასი წელი – ქართული სახელმწიფოებრიობის ფარგლებში და, ცხადია, მათი პირველყოფილთემური ორგანიზაცია ფრიად სახეცვლილი უნდა ყოფილიყო. ჩვენ არ გაგვაჩნია ამ ეპოქისათვის არავითარი მასალა, რომ “ხევების” შინაგან სტრუქტურაზე წარმოდგენა ვიქონიოთ, მაგრამ რამდენადაც მთაში ეკონომიკური სარბიელის სივიწროვის გამო სოციალური განვითარების პროცესი, ფაქტობრივად, შეზღუდული უნდა ყოფილიყო, ამდენადვე საერთო სურათის აღდგენაში გვიანი საუკუნეების მასალა და ეთნოგრაფიული მონაცემები გარკვეულად შეგვიქმნის სათანადო წარმოდგენას.

მართლაც, ამ დროსაც სახელმწიფო, მეფე რომ უნდა ყოფილიყო მთიელთა მიწის უზენაესი მესაკუთრე ეს ჩანს, ჩვენი აზრით, იქიდან რომ, მაგალითად, “ფშავის ხევის” თორმეტი თემიდან გარდა იმისა, რომ თითოეულს თავისი საკუთარი ხატი (ღვთაება) ჰყავს, “საზოგადო ხატი, რომლის სამსახურიც ყველა ფშაველს ადევს კისრად, არის თამარ დედოფალი და ლაშარის ჯვარი. ეს ჯვარი არის შეწირული ლაშა გიორგისაგან ალბათ ეკლესიისთვის, როგორც ნიშანი ერთმანეთის ერთგულებისა: მეფისა ფშაველის მიმართ და ფშაველებისა მეფის მიმართ. ესე მოგვითხრობს ზეპირგადმოცემა” (ვაჟაფშაველა). ხალხური გადმოცემითვე, ლაშარის ჯვარის “ადგილს წინად ყოფილა აშენებული ლაშა გიორგისაგან ეკლესია წმინდის გიორგისა სახელზედ, რომლისათვისაც მშვენიერი ხატი წმინდის გიორგის შეუწირავს. ეს გარემოება ხალხს დავიწყებია, შეწირული და შემწირველი გაუერთიანებია და კიდეც გაუღმერთებია”. ამ გადმოცემას ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს: “აქ ფშავსა შინა არს ეკლესია მეფის ლაშასაგან აღშენებული… და უწოდებენ ლაშას – ჯვარს”. ამგვარად, მთიელებში შემონახული თქმულებით ლაშარის ჯვარი, ფშაველთა საერთო – სახევო ღვთაება ლაშაგიორგის სახელთანაა დაკავშირებული თუ კიდევაც გაიგივებული და რამდენადაც ლაშარის ჯვარი მთელი “ფშავის ხევის” უზენაეს ხელისუფლად ითვლება, ხოლო ფშაველი მის ყმად, ამდენადვე, საფიქრებელია, ზემოხსენებულ გადმოცემაში ფშაველთა უშუალოდ მეფის მიმართ ყმობაა არეკლილი. ამ მხრივ ისიც ნიშანდობლივია, რომ ფშაველთა წარმოდგენით თამარ დედოფალი და ლაშარის ჯვარი “მოდემოძმენი” ანუ დაძმანი არიან, ანუ მთელი “ფშავის ხევის” ერთნაირად მფლობელნი.

ფრიად საინტერესოა, რომ მთიელთა უზენაეს ღვთაებასთან ქართველი მეფეების “მოძმეობის” დამადასტურებელი დოკუმენტები შემონახულია გვიანი საუკუნეებისთვის, რაც უაღრესად ნიშანდობლივია იმის გასარკვევად, თუ რა ფორმით ხდებოდა მეფის ხელისუფლების მიერ თავისი სუვერენული უფლებების განხორციელება მთის მოსახლეობის მიმართ.

ასე მაგალითად, XVIII ს-ის ქართლკახელთა მეფეებისათვის ლაშარის ჯვარი იყო “ჩვენი მოძმე”, ხოლო “ლაშარის ჯვარის მოყმენი სრულიად ფშაველნი” კი “ჩვენი უნჯნი ყმანი” ანუ მკვიდრი, საკუთარი ყმები. მართალია, თემურ ურთიერთობათა გავლენა გვიან საუკუნეებში, ჩანს უფრო ძლიერია, ვიდრე ადრე, რაც თუნდაც იმით გამოიხატება, რომ თუ “ძეგლის დადების” (XIV ს.) მიხედვით “ზეითალმანი” ანუ უმემკვიდრეოდ დარჩენილი მეთემის მიწის ნაკვეთი

სახელმწიფოს გამგებლობაში რჩებოდა, გვიან იგი ხატის (სათემო) მფლობელობაში გადადიოდა. ასეთი ვითარება, ქართული სახელმწიფოებრიობის დასუსტებით უნდა აიხსნას, მაგრამ თემის უზენაესი ღვთაების "ძმობის" მეოხებით სამეფო ხელისუფლება იჩემებდა უზენაეს გამგებლობას მთის მოსახლეობაზე.

ცხადია, ეს არ იყო XVIII ს-ში წარმოქმნილი ურთიერთობა და იგი არც მხოლოდ ფშაველებს შეეხებოდა. მართლაც, ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს ლევან კახთა მეფის (XVI ს.) შესახებ: "არამედ ამას წინათთა კახთა მეფეთა არღარა მორჩილებდნენ ფშავხევსურნი და თუშნი და ამან ლევან დაიპყრნა არა ძალითა, არამედ აღუთქვა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვარ იყვნენ კახეთს და მისცა შეწირულობა ლაშას ჯუარსა თიანეთს შინა და მიერითგან მისცემდნენ ლაშკარსა და ბეგარასა". ვფიქრობთ, აქ იმავე ზემოაღწერილ ურთიერთობაზეა მითითება მეფესა და მთიელთა შორის, რომელიც დარღვეული ყოფილა ლევან კახთა მეფეზე წინ, ალბათ, XV სის მეორე ნახევარში – ერთიანი საქართველოს ფეოდალური მონარქიის საბოლოო დაშლის დროინდელი ანარქიის დროს. ვახუშტის ამ ცნობიდანვე კარგად ჩანს მთიელთა მეფის ხელისუფლებისადმი ყმობის მატერიალური საფუძველიც. ასეთივე ვითარება უნდა ყოფილიყო ძველადაც. კერძოდ, სავარაუდოა, რომ ადრეფეოდალურ ხანაში არსებული სათემო მიწათმფლობელობა ქართლის ბარში განიხილებოდა როგორც სახელმწიფო საკუთრება. მით უმეტეს ასე უნდა ყოფილიყო "მთასთან" დაკავშირებით.

ასეთი ფორმები ურთიერთობისა და ექსპლუატაციისა, როდესაც ექსპლუატატორის როლში სახელმწიფო გვევლინება (მეფე და მმართველი აპარატი), ხოლო ექსპლუატირებულად – პირადად თავისუფალი და წვრილი მესაკუთრე მეთემენი, როგორც ცნობილია, წინ უსწრებს კერძომემამულურ, სენიორალურ სისტემას. ფეოდალიზმი "სახელმწიფოებრივი" ფორმითაც არსებობდა, როდესაც სრულიადაც არ იყო საჭირო და აუცილებელი მეთემეთათვის პირადი თავისუფლების წართმევა და მათი საკუთრების ექსპროპრიაცია.

ამგვარად, საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ IV – VIII საუკუნეებში (და შემდგომშიც) ურთიერთობები "მთასა" და "ბარს" შორის ანუ თვით ქართული სახელმწიფოებრიობის ფარგლებში შეიძლება დახასიათდეს, როგორც "სახელმწიფო ფეოდალიზმი". ამაში მდგომარეობს სწორედ ფეოდალური ხანის საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა თავისებურება.

თავი VII. საქართველო IX – X საუკუნეებში

ახალი სახელმწიფოების წარმოქმნა

VIII ს-ის ბოლოსა და IX საუკუნის დასაწყისში არაბთა სახალიფოს და ბიზანტიის მფლობელობის წინააღმდეგ დაძაბული ბრძოლის ვითარებაში, ქართულ მიწაწყალზე რამდენიმე ახალი სახელმწიფო წარმოიქმნა, რაც განპირობებული იყო შექმნილი საერთაშორისო ვითარებით, არაბთა სახალიფოსა და ბიზანტიის იმპერიაში არსებული მოვლენებით და ქვეყანაში მიმდინარე სოციალურეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პროცესებით.

VIII ს-ის მეორე ნახევარში და განსაკუთრებით IX ს-ის დასაწყისში იწყება არაბთა სახალიფოს დასუსტება და დაშლა. 750 წელს სახალიფოს სათავეში მოსულმა ახალმა დინასტიამ, აბასიანებმა ვერ მიიღეს მათ მიერ დამხობილი ომაიანთა დინასტიის ხალიფების სამფლობელოს ნაწილი, დაკარგეს პირინეის ნახევარკუნძული, სადაც ომანიანთა ერთი შტო დამკვიდრდა.

IX ს-ის დასაწყისში აბასიანებმა ზედიზედ დაკარგეს დაპყრობილი მიწაწყლის დიდი ნაწილი ჩრდილო ირანში, შუა აზიაში, აფრიკაში. ხალიფა ჰარუნ არრაშიდის (786 – 809) მმართველობის გარეგნულად ბრწყინვალე ხანა, სინამდვილეში სახალიფოს დაშლისა და დაცემის დასაწყისი იყო, რაც მისი გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეთა შორის ტახტისათვის ატეხილ ბრძოლაში გამოვლინდა.

არაბთა სახალიფოში იწყება ყველა ძველი და ახალი იმპერიებისათვის დამახასიათებელი პროცესი.

სახალიფო ეთნიკურად განსხვავებული, განვითარების სხვადასხვა დონეზე მდგომ ქვეყანათა კონგლომერატს წარმოადგენდა, რომლის ერთიანობა და სიძლიერე, ძირითადად სამხედრო ძალას ემყარებოდა და მასზე იყო დამოკიდებული.

სახალიფოს შემადგენლობაში მყოფ ქვეყანათა განსხვავებული ეკონომიკური განვითარების დონე, სხვადასხვა მხარეთა შორის სამეურნეო კავშირთა სისუსტე, სახალიფოს მოსახლეობის ჭრელი ეთნიკური შედგენილობა, განსხვავებული ფიზიკურგეოგრაფიული პირობები და ისტორიულკულტურული ტრადიციები, სახალიფოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი, სოციალური ბრძოლები, არყევდნენ სახალიფოს ეკონომიკურ, საფინანსო, სამხედრო საფუძვლებს, დაიწყო სახალიფოს დაშლა, ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება აფრიკის ჩრდილო სანაპიროზე, ირანში, შუა აზიაში; ის ძალები, რომელთაც აბასიანები ხელისუფლების სათავეში მოიყვანეს მთლად კმაყოფილნი არ იყვნენ შექმნილი ვითარებით, რაც სირთულეებს უქმნიდა მმართველ სახლს.

ბაღდადის სახალიფოს გარედანაც უტევდნენ.

945 წელს სახალიფოს დედაქალაქი ბუიდებმა დაიპყრეს* და ბაღდადის ხალიფას ფაქტიურად ჩამოართვეს საერო ხელისუფლის უფლებები და ამიერიდან ის მხოლოდ მართლმორწმუნე (სუნიტ) მაჰმადიანთა უზენაესი სასულიერო ხელისუფლად დარჩა.

ასეთ ვითარებაში სახალიფო ვეღარ ახერხებდა დაპყრობილ ქვეყნებში ხელისუფლების შენარჩუნებას. საქართველოში მას სირთულეებს უქმნიდა მათი ადგილობრივი მოხელეების, ამირათა პარტიკულარიზმიც, რისი დაძლევაც არც თუ ისე ადვილი იყო.

მართალია, ბიზანტიის იმპერიაში ამ დროს ასეთ მოვლენებს არ ჰქონდა ადგილი, მაგრამ ის დაძაბული შიდასოციალური ბრძოლა, რომელიც ხატების თაყვანისმცემლებსა და ხატმებრძოლთა შორის მიმდინარეობდა, და რაც საიმპერატორო ხელისუფლების ხშირ ცვლაში გამოიხატებოდა, ასუსტებდა იმპერიას. ამასთანავე, მეზობელ მომთაბარეთა ხშირი თავდასხმები და შემოსევები დიდ სიძნელეებს უქმნიდა საიმპერიო ხელისუფლებას და უშლიდა მას ხელს აქტიურად ჩარეულიყო საქართველოს საქმეებში.

აღარც ჩრდილოეთის მეზობლები იყვნენ ისე საშიშნი, მართალია ხაზართა თავდასხმები დიდ ზიანს აყენებდნენ ქვეყანას, მაგრამ საქართველოს დაპყრობა მათ გეგმებში არ შედიოდა. მათი თავდასხმები, როგორც წესი, დავლასა და ალაფს ისახავდა მიზნად. ამასთანავე, მიმართული იყო არაბთა წინააღმდეგ, რომელთათვის ხაზართა დასამორჩილებლად ბრძოლის პლაცდარმი საქართველოში იყო. აქედან მიემართებოდა სამხედრო ექსპედიციები ჩრდილო კავკასიაში. იმ დროისათვის როდესაც ქართული ქვეყნების გაერთიანების ტენდენციები აშკარად გამოიხატა. დასავლეთის თურქთა ეს სახელმწიფო არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. მაგრამ, რასაკვირველია მხოლოდ საგარეო ფაქტორი, რაც არ უნდა ხელსაყრელი ყოფილიყო, ვერ განაპირობებდა იმ პროცესს, რომლის საბოლოო შედეგი ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება უნდა ყოფილიყო, რისთვისაც საფუძველს ქვეყნის საშინაო ვითარება, საკუთრივ სამეურნეოეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება ქმნიდა. უცხოელთა ხანგრძლივმა ბატონობამ, მათთან გამუდმებულმა ბრძოლამ, მართალია საგრძნობლად დაამუხრუჭა ქვეყნის შემდგომი წინსვლა, მაგრამ მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ტრადიციები, ხალხის შემოქმედებითი ენერგია, მისწრაფება მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ ხელს უწყობენ სამეურნეო ეკონომიკურ წინსვლას. სახალიფოს დაშლის პირობებში ასეთი აღმავლობა დამახასიათებელია მისი პერიფერიებისათვის.

საქართველოში, რომელიც პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად მჭიდროდ იყო დაკავშირებული მახლობელი აღმოსავლეთის, როგორც მაჰმადიანურ, ასევე ქრისტიანულ ქვეყნებთან, მნიშვნელოვან ეკონომიკურ წინსვლას ჰქონდა ადგილი.

იმ ვითარებაში, როდესაც დამპყრობნი შედარებით მტკიცედ იყვნენ ფეხმოკიდებულნი ქვეყნის ცენტრალურ რეგიონებში ბრძოლა პერიფერიებისთვის იწყება. დამპყრობლები, როგორც არაბთა სახალიფოს, ასევე ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება, თავისი მდგომაროების განმტკიცების მიზნით, ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ქვეყნის დაქუცმაცებას. VIII ს-ის მეორე ნახევრიდან მიმდინარე ბრძოლა, ცალკეული რეგიონების მასშტაბით, ერთმანეთისაგან გამიჯნული ოლქების გაერთიანებით იწყება და ყალიბდება დამპყრობთაგან და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ეს იყო ერთიანი ქართული შუასაუკუნოვანი საქართველოს შექმნისათვის ბრძოლის პირველი ეტაპი. ასე შეიქმნა კახეთის, ჰერეთის, ეგრისაფხაზეთის, ტაოკლარჯეთის სამთავროები. ყველაზე ადრე ასეთ რეგიონულ სახელმწიფოდ კახეთის სამთავრო ჩამოყალიბდა.

კახეთი

კახეთი შედიოდა ქართლის სამეფოს, ხოლო ქართლის მეფის ხელისუფლების გაუქმების შემდეგ, ქართლის საერისმთავროს შემადგენლობაში.

VII ს-ში და VIII ს-ის პირველ ნახევარში ქართლი მოიცავდა მთელ აღმოსავლეთ საქართველოს და ის არაბთა სახალიფოს ქვეშევრდომი იყო. მაგრამ VIII ს-ის მეორე ნახევარში, აღმოსავლეთ საქართველოში, არაბული წყაროები ცალცალკე ასახელებენ ქართლს (ჯურზან) და

სანარიას, რაც ამ დროს კახეთს გულისხმობს. კახეთის სამთავროს წარმოშობა უშუალოდ უკავშირდება წანარეთის, წანარეთის ხევის ისტორიას.

წანარეთისა და წანართა შესახებ ცნობები მოგვეპოვება ქართულ, არაბულ, სომხურ საისტორიო წყაროებში.

ქართული წყაროების "წანარეთი", არაბული წყაროების "სანარია", სომხური წყაროების "წანარქ" აღმოსავლეთ საქართველოს ერთერთი ეთნოადმინისტრაციული ერთეულია.

წანარეთი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, დარიალის კარის, მდ. არაგვის სათავეებში მდებარეობდა და მოიცავდა ჯვრის უღელტეხილს და მისი მიმდგომი მხარის მიწაწყალს (თანამედროვე ყაზბეგის რაიონს). ეს მხარე მდიდარია IX – X საუკუნეების საკულტო ძეგლებით: IX ს-ის სიონის სამნავიანი ეკლესია, IX – X ს-თა მიჯნის გარბანის ეკლესია, დიდად მნიშვნელოვანი ვრცელი ქართული წარწერით, ახალციხის, შავ არაგვზე არსებული ეკლესიები. XVI – XVII სს-ის რუსულ წყაროებში არაგვის საერისთავოს სიონის (სონის) საერისთავო ეწოდება, რაც მიუთითებს სიონის მნიშვნელობაზე არაგვის ხეობაში, რის საფუძველზეც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წანარეთის ადმინისტრაციული ცენტრი სიონგარბანში იყო. საისტორიო წყაროებში ის მოიხსენიება აგრეთვე, როგორც "წანარეთის ხევი". დროთა ვითარებაში "წანარეთი" ჩამოშორდა და დარჩა "ხევი".

ამ "ხევის" ფარგლებში იყო კავკასიონის ერთერთი მთავარი გასასვლელი, დარიალის ხეობა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების კავკასიის ისტორიაში*. დარიალის გზით სამხრეთ კავკასიაში ჩრდილოეთიდან იჭრებოდნენ სხვადასხვა ნომადური ტომები: სკვითსარმატები, ალანოვსები, ჰუნხაზარები, ყივჩაღები. არბევდნენ მოსახლეობას, იტაცებდნენ რისი წაღებაც შესაძლებელი იყო, საქონელს, ადამიანებს, რომლებსაც შემდეგ, ვისაც ვერ გამოისყიდიდნენ, ყიდდნენ მონათა ბაზრებზე. იმავე დარიალის გზით ქართველები და უცხოელი დამპყრობლებიც (ირანი, რომი, ბიზანტია) ქირაობდნენ სამხედრო რაზმებს. ამიტომ დარიალის ჩაკეტვით დაინტერესებულნი იყვნენ როგორც ქართველი ხელისუფალნი, ისე წინა აზიაში გაბატონებული დამპყრობლები (რომაელები, ბიზანტიელები, ირანელები, არაბები) და რადგან დარიალი და არაგვის ხეობა კახეთთან იყო დაკავშირებული, წანარების ისტორია ორგანულად უკავშირდება კახეთისას.

XII ს-ის შუა წლებში წანარები, სხვა ქართულ ადმინისტრაციულ ერთეულებთან ერთად, არაბთა მფლობელობაში მოექცნენ. მართალია არაერთგზის ჰქონდა ადგილი დამპყრობთადმი დაუმორჩილებლობას და ხარკის გადახდაზე უარის თქმას, მაგრამ სახალიფოს დამსჯელი ექსპედიციები ახერხებდნენ ძველი მდგომარეობის აღდგენას. VIII ს-ის შუა წლებიდან კი, წანართა ურჩობამ სისტემატური ხასიათი მიიღო. ჩანს, 70-80იანი წლებიდან იწყება მათი ბრძოლის გააქტიურება. ამასთანავე წანარები სათავეში უდგებიან (თუ წარმართავენ?) კახეთის გაერთიანების და ერთიანი სამთავროს ჩამოყალიბების პროცესს. ბრძოლა დაძაბულია, გამოგზავნილი სამხედრო ძალები უმრავლეს შემთხვევაში მარცხდებიან. სავარაუდოა, რომ VIII ს-ის 60-70იან წლებში უკვე არსებობს წანართა მოთავეობით არაბთა წინააღმდეგ საერთო ძალით ბრძოლის კავშირი, რომელიც პოლიტიკურ ორგანიზმად ყალიბდება, რომელსაც არაბები

სანარიას უწოდებენ, ქართველები კი – კახეთს. ნიშანდობლივია, რომ იგივე არაბული წყაროები VIII ს-ის ბოლოსა და X ს-ის დასაწყისის მოვლენებში ჯურზანს (საკუთრივ ქართლს) და სანარიას (კახეთს) ერთმანეთს უპირისპირებენ. იმდროინდელი არაბული წყაროების სანარია უკვე ქართლიდან გამოყოფილი კახეთის სამთავროა, სადაც წამყვან ძალას წანარები წარმოადგენენ. კახეთის პირველი მთავრები, ჩანს, წანართა დინასტიიდან იყვნენ. VIII ს-ის 80-იან წლებში კახეთის გაერთიანება, სამთავროს შექმნა, წანართა მოთავეობით მომხდარი ფაქტია.

სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული თვალსაზრისებია წარმოდგენილი წანართა წარმომავლობის შესახებ, ზოგი მკვლევარი მათ ჩრდილოკავკასიელ ვაინახთა ჩამომავლებად მიიჩნევს, ზოგი საკუთრივ ქართულ ეთნოსად. მათი არაქართული გენეტიკის შესახებ მხოლოდ ზოგადი მსჯელობაა, არავითარი ამის დამადასტურებელი წყარო არ არსებობს. ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ როდესაც წანარები აქტიურად გამოდიან პოლიტიკურ ასპარეზზე, ისინი უდავოდ ქართული ისტორიულკულტურული სამყაროს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. არაბი ავტორები VII ს-ის შუა წლებში ჰაბიბ იბნ მასლამას სამხედრო ოპერაციებთან დაკავშირებით სანარიას სხვა ქართულ ადმინისტრაციულ ერთეულებთან ერთად ასახელებენ. სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდი (XII ს.) წანარებს ქართულენოვან ეთნოსად მიიჩნევს, რაც მხარის ქართული ეპიგრაფიკითაც დასტურდება. ხევი (წანარეთი) VI ს-დან არსებულ წალკის საეპისკოპოსო კათედრაში შედიოდა, სადაც წირვალოცვა, ისევე როგორც მთლიანად მცხეთის საკათალიკოსოში, ქართულად სრულდებოდა, რაც გარბანის ეკლესიის ქართული წარწერებითაც დასტურდება.

იმყოფებოდნენ რა არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის სათავეში და საფუძველს უყრიდნენ კახეთის ქვეყნების გაერთიანებას და დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნას, წანარები ენით ქართველები, სარწმუნოებით მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ და კახეთის სამთავროს ქართული სახელმწიფოს შექმნის საქმეს ემსახურებოდნენ.

არსებობს თვალსაზრისი, რომ წანართა ქორეპისკოპოსები, კერძოდ პირველი ქორეპისკოპოსი გრიგოლი (787 – 827) ბაგრატიონი იყო. გრიგოლის შემდეგ ქორეპისკოპოსები გარდაბანელი დონაურები ხდებიან (837 – 881), ხოლო მათი შემდგომი ქორეპისკოპოსები არევმანელები იყვნენ (881 – 1037). არსებობს თვალსაზრისი რომ ფადლა არევმანელი პირველი ქორეპისკოპოსის გრიგოლის ჩამომავალი ე. ი. ისიც ბაგრატიონი იყო. 1037 წლიდან კახეთის გამგებლები კვირიკიანები ხდებიან, კვირიკე III-ის (1010 – 1037) შემდეგ კახეთის მეფეა მისი დისწული, ტაშირძორაგეტის მეფის დავით ბაგრატიონის ვაჟი – გაგიკი. ეს დინასტია აღსართან III-ით სრულდება, რომლის შემდეგ კახეთჰერეთი ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში შედის, უკანასკნელად ქორეპისკოპოსის ტიტულს დავითი ატარებდა. მისი მომდევნო ხელისუფალნი უკვე "კახთა და რანთა (ჰერთა) მეფედ" იწოდებოდნენ. ქორეპისკოპოსები წერილობით წყაროებში ზოგჯერ მეფეებად იწოდებიან ისევე როგორც ქართლის ერისმთავრები და ტაოკლარჯეთის ბაგრატიონები.

ქორეპისკოპოსი სასულიერო პატივია. ის აერთიანებს საერო და სასულიერო ხელისუფლებას. კახეთის მთავრები კი საერო პირები იყვნენ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ, რადგან კახეთის გაერთიანების საქმეში წამყვან ძალას წანარები წარმოადგენდნენ, პირველი

მთავრებიც მათი ქორეპისკოპოსები იყვნენ, ხოლო კახეთის ერთიანი სამთავროს შექმნის შემდეგ ხდება ქორეპისკოპოსის ხელისუფლის საერო ხელისუფლად, მთავრად, ტრანსფორმაცია. საერო და სასულიერო ხელისუფლის ერთი პირის ხელში გაერთიანების ტრადიცია კი საქართველოს მთიანეთისათვის უცხო არ არის. XI ს-ის დასაწყისიდან კახეთის მთავრები "მეფის" ტიტულს იღებენ და იწოდებიან "კახთა და რანთა", ე. ი. კახეთის და ჰერეთის მეფეებად, რომ კახეთის ქორეპისკოპოსებმა დაიმკვიდრეს საერო მმართველის სტატუსი, ამის დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ უკვე IX ს-ში ისინი კახეთის სამთავროს უზენაესი სამოქალაქო ხელისუფალნი არიან, ასეთ როლში გამოდიან ისინი საერთაშორისო არენაზე, სადაც ოფიციალური ბიზანტიური ხელისუფლება მათ წანართა არქონტს უწოდებს.

კახეთის სამთავროს ტერიტორია. ტერიტორიულად კახეთის სამთავრო არ ემთხვეოდა მთლიანად იმ რეგიონს, რომელიც გვიან შუა საუკუნეებში წარმოადგენდა კახეთის სამეფოს და რომელსაც კახეთი ეწოდება. კახეთის სამთავრო მოიცავდა კახეთკუხეთგარდაბანს და IX ს-ში საზღვარი კახეთსა და ჰერეთს შორის დაახლოებით ხუნანის სამხრეთით იწყებოდა და თურდოს, სამებისა და შტორის ხევებს მიუყვებოდა.

XI ს-ის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის ისტორიული საქართველოს ეთნოპოლიტიკური კონცეფციით, ქართველთა ეთნარქს ქართლოსს ხუთი შვილი ჰყავდა, მათ შორის კახოსი, კუხოსი და გარდაბოსი და მათ წილხვდომილ ქვეყნებს კახეთი, კუხეთი და გარდაბანი ეწოდებოდა. კახეთს საზღვრავდა: კავკასიონი, კახეთის მთები, მდ. არაგვი და ჰერეთი და მისი ცენტრი იყო ქ. ჩელეთი (იგივე ჟალეთი); კუხეთს საზღვრავდა მდ. არაგვი და ჰერეთი და მისი ცენტრი იყო ქ. რუსთავი; გარდაბანს საზღვრავდა მდ. მტკვარი, მდ. ბერდუჯი (დებედა), გაჩიანი (ქვემო ქართლში), ცენტრი იყო ქ. ხუნანი. სამივე ეს თემი, თავისი ქართული მოსახლეობით ერთმანეთს ესაზღვრებოდა, რამაც შეუწყო ხელი მათ გაერთიანებას ერთ – კახეთის სამთავროდ. სამივე ეს გაერთიანება მოქცეული იყო ქართლს, ალბანეთს და კავკასიონს შორის. XI ს-ის დასაწყისში განხორციელდა კახეთის და ჰერეთის გაერთიანება.

ჯერ კახეთი და კუხეთი გაერთიანდა და მისი ცენტრი უჯარმა იყო, მაგრამ შემდეგ კახეთკუხეთგარდაბანის ცენტრი თიანეთი გახდა. თიანეთი ივრის ზემო წელზე მდებარეობდა. ცენტრის გადატანა მისმა მდებარეობამაც განაპირობა; ის სამივე მხარის, კახეთკუხეთგარდაბნის გასაყარზე მდებარეობდა. ამასთანავე, როდესაც კახეთის სამთავროს მეფე ბაგრატ III უტევდა თიანეთი უფრო შორსაც იყო და უკეთ იყო დაცული. XI ს-ში, როდესაც კახეთის სამთავრომ ჰერეთი შეიერთა, დედაქალაქმა თელავში გადაინაცვლა. რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო თელავის რეგიონის მეურნეობრივი დაწინაურებით. მაშინ როდესაც თიანეთი შედარებით მწირი მთიანი ზოლია, თელავი ნაყოფიერი მიწის ზოლშია, სადაც უძველესი დროიდან იყო განვითარებული სოფლის მეურნეობის ინტენსიური დარგები, მევენახეობამებაღეობა, ამასთანავე ის უკეთ იყო დაცული.თელავში ცენტრის გადატანა ალბათ იმ გარემოებამაც განაპირობა, რომ ის კახეთჰერეთის სამეფოს ორი ძირითადი ეთნოსის კახთა და ჰერთა განსახლების გზასაყარზე მდებარეობდა. ამ არჩევანმა გაამართლა, თელავი, ყველა ისტორიულ ვითარებაში და დღესაც, კახეთის ცენტრია.

ისევე როგორც “ქართლს”, “აფხაზეთს”, სახელწოდება “კახეთსაც” აქვს თავისი ვიწრო და ფართო მნიშვნელობა. ვიწრო მნიშვნელობით ის მოიცავს საკუთრივ კახეთის საერისთავოს, VIII სის მეორე ნახევარში კახეთის სამთავროს შექმნის შემდეგ კახეთად იწოდება საკუთრივ კახეთი (წანარეთიანად), კუხეთი და გარდაბანი, ხოლო კახთა ქორეპისკოპოსთა მიერ ჰერეთის შემოერთების შემდეგ, ჰერეთსაც კახეთი ეწოდება. მართალია XV საუკუნემდე კიდევ არსებობს ცნება ჰარეთი საკუთრივ ჰერეთის მიმართ, მაგრამ შემდეგ “ჰერეთი” წერილობით წყაროებში აღარ გვხვდება. ამგვარად ცნება “კახეთის” გაფართოება ხდება ჩრდილოეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ.

კახეთის სამთავრო (კახეთკუხეთგარდაბანი) ეკონომიკურად დაწინაურებული მხარე იყო. აქ შერწყმული იყო მთისა და ბარის მეურნეობის დარგები: ინტენსიური მიწათმოქმედება, მევენახეობა, მებაღეობა და სახნავი მიწათმოქმედება ბარულ და ალპურ მესაქონლეობასთან, რის საფუძველსაც საზაფხულო და საზამთრო საძოვრების სიუხვე ქმნიდა. მდინარეები იორი და ალაზანი კარგად იყო გამოყენებული ფართო სარწყავი სისტემების შესაქმნელად, რაც ქმნიდა პირობას მიწის ფართო მასშტაბით გამოსაყენებლად სოფლის მეურნეობის ინტენსიური დარგების განვითარებისათვის. მდინარეების ივრისა და ალაზნის ზემო წელზე მთიან ზოლში წამყვანი დარგი მესაქონლეობა იყო. დიდი რაოდენობით ცხენებისა და ცხვრის არსებობაზე საინტერესო მითითებას იძლევა X ს. არაბი ისტორიკოსი იაკუთი. 828/30 წ. არაბთა წინააღმდეგ დამარცხებული სანარები (კახეთის სამთავრო) 3.000 ცხენითა და 20.000 ცხვრით იხდიდნენ კონტრიბუციას, ესაა მათი მეურნეობის ძირითადი და საუკეთესო ნაყოფი. ალბათ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ განთქმული ცხენის ჯიშის მფლობელ არაბთათვის 3000 კახურ ცხენს მნიშვნელოვანი ფასი ჰქონდა. კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთების მოსახლეობა, მათ შორის თუშები, მეჯოგე ტომები იყვნენ, რომელთაც კავკასიონზე ალპური საძოვრები ჰქონდათ, ხოლო ივრისა და ალაზნის ველებს, აგრეთვე მტკვრის მარცხენა სანაპიროს საზამთრო საძოვრებად იყენებდნენ. ამდენად კავკასიონის მთიელი მოსახლეობა ეკონომიკურად კახეთთან იყო დაკავშირებული, რაც განაპირობებდა კახეთისადმი პოლიტიკურ დაქვემდებარებას.

კახეთის ეკონომიკური აღმავლობისათვის მნიშვნელობა ჰქონდა კახეთზე გამავალ სავაჭრო მაგისტრალის არსებობას, რომელზედაც აღმოცენდნენ კახეთის უძველესი ქალაქები: უჯარმა, ბოჭორმა, მნიშვნელოვანი ქალაქები იყო აგრეთვე: ჩელეთი, ნეკრესი, რუსთავი, თიანეთი, ციხექალაქები ვერონა, კვერეტა, რომელიც იცავდა ივრის ხეობიდან გომბორის უღელტეხილით ალაზნის ველზე გამავალ გზას. ზედაზენი ქალაქური ტიპის დასახლება არაგვის ნაპირზე, VIII ს. ნათლისმცემლის სამნავიანი ბაზილიკით, თავის დროზე ერთერთი სირიელი მამის მიერ დაარსებული მონასტრის ადგილას. უჯარმა, საქართველოს ერთერთი უძველესი ქალაქი კახეთის სამთავროს ცენტრი ხდება, როდესაც კახეთი გამოეყო ქართლის საერისმთავროს. მნიშვნელოვანი ქალაქი იყო ქ. ბოჭორმა, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიით, სასახლის ნარჩენებით.კახეთის სამთავრო მდიდარია საკულტო ძეგლებით, საეპისკოპოსოებით, კახეთში დამკვიდრდა რამდენიმე ცამეტ ასურელ მამათაგანი, რომელთაც აქ თავისი მონასტრები დააარსეს, რომელნიც შემდეგ საუკუნეთა მანძილზე აგრძელებდნენ არსებობას, მნიშვნელოვან

კულტურულ ცენტრებს წარმოადგენდნენ და გავლენას ახდენდნენ ქვეყნის სულიერ ცხოვრებაზე.მაგ.: დავით გარეჯელის ერთერთი მოწაფის დოდოს მიერ დაარსებული დოდორქის მონატერი, რომლის კონქშიც შემორჩენილია VIII – IX საუკუნის დოდოს ფრესკა, მხატვრობის ერთერთი ყველაზე ადრინდელი ნიმუშია საქართველოში, ტახტზე მჯდომი ქრისტე მაკურთხებელი მარჯვენით. მარცხენა ხელში გადაშლილი წიგნით, ქართული წარწერის შემორჩენილი კვალით, ნეკრესის, შუამთის, გიშის საეპისკოპოსოები, იყალთოს VIII – IX სს-ის ფერიცვალების ეკლესია, თავის დროზე სირიელი მამის დაარსებული მონასტრის ადგილზე, მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრები ნინოწმინდის (უჯარმის კარს) ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებული საეპისკოპოსო და სხვა.

დონაურების დროს (837 – 881) აქ მოღვაწეობდა ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, ტომით კახელი, ილარიონ ქართველი, რომელმაც დააარსა დედათა მონასტერი, სოფ. აკურას “მამა დავითის” ეკლესია და სხვა მონასტრები. IX – X საუკუნეთა მიჯნაზე ხევში აგებულია გარბანის ეკლესია. უაღრესად საინტერესო ბარელიეფით სამშენებლო სამუშაოებს რომ ასახავენ.

ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. მთავრები დამოუკიდებლობის მოპოვების დროიდანვე აქტიურად ერევიან იმ ბრძოლაში რომელიც IX – X საუკუნეებში მიმდინარეობს მთელი საქართველოს მასშტაბით ქართულ სამეფოსამთავროთა შორის, და რომელიც ეჯაჭვება ბრძოლას მაჰმადიანურ ძალასთან.

ურთიერთობა არაბებთან. IX ს-ის დასაწყისიდან ქართლის ამირები ცდილობენ მოიპოვონ დამოუკიდებლობა სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან და დაამკვიდრონ საქართველოში თავისი დამოუკიდებელი საამიროს არსებობა. ეს, ბუნებრივია, იწვევდა სათანადო რეაქციას სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლების მხრივ, იგზავნებოდა დამსჯელი ექსპედიციები. ბრძოლა ცვალებადი შედეგებით მიმდინარეობდა. ამ ვითარებამ ქართველ მეფემთავართა ინტერესების შესაბამისად მებრძოლი მხარეების გარშემო დაჯგუფება გამოიწვია. კახეთის მთავრები შექმნილი მდგომარეობის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენებას ცდილობდნენ, რათა აეცდინათ სახალიფოს მხრივ სამთავროზე ხელისუფლების აღდგენის მცდელობა, ხალიფას სარდლებსა და ამირებს შორს ბრძოლაში ამირას უჭერდნენ მხარს, რადგან ქართლის საამირო არ უქმნიდა საშიშროებას კახეთს.

IX ს-ის დასაწყისში კახეთის მთავარი ეხმარება ხალიფას ხელისუფლებისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლ ამირას. მჭიდრო კავშირი აქვს კახეთის სამთავროს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ცნობილ ამირასთან ისჰაკ იბნ ისმაილთან (ქართული წყაროების საჰაკი). ზოგი მიღწევების შემდეგ საჰაკ ამირა დამარცხდა 853 წ. ბუღა თურქთან ბრძოლაში და სიკვდილით დაისაჯა. კახეთის სამთავროს ლაშქარი არაბებს საზღვართან დახვდა და დაამარცხა, რის შემდეგ ბუღა თურქმა კახეთზე ჩრდილოეთიდან სცადა თავდასხმა, მაგრამ ისევ დამარცხდა.

იმ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში, რომელიც IX – X საუკუნეებში ამიერკავკასიაში შეიქმნა კახეთის სამთავრო ცდილობს დაიცვას თავი არაბთა აგრესიისაგან და გააფართოვოს თავისი საზღვრები.

კახეთის სამთავრო აქტიურად მონაწილეობდა იმ ბრძოლაში, რომელიც ამ დროს მიმდინარეობდა შიდა ქართლისათვის და რომელსაც ქართული საისტორიო თხზულება უწოდებს ბრძოლას "ქართლსა ზედა". ეს "ქართლი" საქართველოს და ამიერკავკასიის ცენტრალური რეგიონია.

კახეთის სამთავრო სამფლობელოს საზღვრების გაფართოებას თავისი მეზობელი ჰერეთის სამეფოს ხარჯზეც ცდილობს. ბრძოლა ცვალებადი შედეგებით მიმდინარეობდა. X ს-ის დასაწყისში უპირატესობა კახეთის სამთავროს მხარეზე იყო, მაგრამ შემდეგ ქორეპისკოპოსმა კვირიკე I-მა (893 – 918 წწ.) ვერ გაბედა დამოუკიდებლად გამოსვლა ჰერეთის წინააღმდეგ და კავშირი დასავლურქართულ სახელმწიფოსთან შეკრა, "ჰერეთის მეფე ადარნასე პატრიკმა (IX ს-ის ბოლო – X ს. 40იანი წლები – მ. ლ.) ვერ გაბედა წინააღმდეგობის გაწევა და ზავის მისაღწევად კვირიკე ქორეპისკოპოსს და კოსტანტი მეფეს გადასცა ჰერეთის ციხეები არიში, გავაზნი და ორჭობი. მალე ვითარება ჰერეთის სასარგებლოდ იცვლება. 936 წ. კახეთი დაარბია აზერბაიჯანის მმართველმა "მოვიდეს სარკინოზნი, რომელთა უხმობდეს საჯობით და მოტყუენეს კახეთი", მოგვითხრობს ქართველი მემატიანე. ამის შემდეგ ჰერთა მეფემ შეძლო თავისი ციხეების დაბრუნება.

ბრძოლა მთავრის ხელისუფლებისათვის. ამავე დროს კახეთის სამთავროში დინასტიური ბრძოლა მიმდინარეობდა. წერილობითი წყაროებით ცნობილი პირველი ქორეპისკოპოსი გრიგოლი იყო, რომლის შემდეგ ტახტზე დონაურთა დინასტია ჩანს. ქართველი ისტორიკოსის ცნობით ("მატიანე ქართლისა") "ვითარ მოკვდა კახთა ქორეპისკოპოსი გაბრიელ დონაური, დაჯდა ქორეპისკოპოსად ფადლა არევმანელი". მემატიანე არას ამბობს იმის შესახებ, თუ რა პირობებში მოხდა დინასტიის შეცვლა, მაგრამ ჩანს ბრძოლა დაძაბული იყო, რაც დასტურდება იმავე მემატიანეს განცხადებით, რომ "ფადლა ქორეპისკოპოსი გაძლიერდა და დაიმორჩილნა გარდაბანელნი". ე. ი. ახალი ქორეპისკოპოსი იმორჩილებს გადაყენებულ დინასტიის წარმომადგენლებს. მაგრამ,ჩანს, გარდაბანელნი არ მშვიდდებიან. 929 წ., როდესაც გარდაიცვალა ფადლა და ქორეპისკოპოსად კვირიკე II (929 – 976) დაჯდა, გარდაბანელებმა ფადლას გარდაცვალება ხელსაყრელ მომენტად ჩათვალეს და დახმარებისათვის მიმართეს დასავლეთ საქართველოს მეფეს გიორგი II-ს (922 – 957), რომელმაც შექმნილი ვითარების თავისი ინტერესებისათვის გამოყენება მოინდომა. გამოილაშქრა "ჩავიდა კახეთად მოსწუა და ასწყჳდა, და წარვიდა თჳსადვე ქუეყანად". შემდეგ მეფე გიორგიმ კახეთის დასამორჩილებლად გაგზავნა თავისი ძე ქართლის (შიდა ქართლის) ერისთავი ლეონი, მაგრამ მამის, მეფე გიორგის გარდაცვალება იძულებულს ხდის ლეონს შეწყვიტოს საომარი ოპერაციები და დაუზავდეს კვირიკეს. მაგრამ როგორც კი ლეონი გაიმკვიდრებს მდგომარეობას, ანახლებს ბრძოლას კახეთისათვის. კვირიკემ ვერ შესძლო ლეონისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ეახლა მას. კვირიკე ქორეპისკოპოსს უღალატა ძმამაც, რომელმაც გადასცა დასავლეთ საქართველოს მეფეს უჯარმის ციხე, რომელმაც დაიკავა კახეთის სხვა ციხეებიც და ქორეპისკოპოსი ფაქტიურად საკუთრივ კახეთის, ყოფილი კახეთის საერისთავოს ფარგლებში მოაქცია, თუმცა შემდეგ ქართლის აზნაურთა დახმარებით "კუალად ეუფლა კჳრიკე მამულსა თჳსსა". ლეონი (ესეც უკვე ლეონ მეფე 957 – 967) ანახლებს ბრძოლას კახეთისათვის. მაგრამ ჯერ ცდილობს დაიბრუნოს

შიდა ქართლის ის ნაწილი მდ. არაგვიდან მდ. ქსნამდე, რომელიც IX ს-ის დასაწყისში კახეთს შეუერთდა.ამიტომ ის დაბანაკდა არაგვის ნაპირას, დაარბია მუხრანი, ჯეხკი, ბაზალეთი, მაგრამ "მასვე ლაშქრობასა დასნეულდა, შეიქცა გარე და მოკუდა".

კახეთის მთავრები, თავის მხრივ, ცდილობენ ისარგებლონ დასავლეთ საქართველოში მდგომარეობის გართულებით და კახთა მთავარი მხარს უჭერს "აფხაზთა" მეფე დემეტრეს წინააღმდეგ მებრძოლ მის ძმას თეოდოსის. როგორც კი დასავლურქართული სახელმწიფო ანარქიამ მოიცვა კახთა მთავარმა განაგრძო ბრძოლა შიდა ქართლისათვის "მოვიდეს კახნი და მოადგეს უფლის ციხესა". მაგრამ ბედმა არ გაუმართლა. ეხლა უკვე ის დროა (X ს. 70-იანი წლები), როდესაც ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების საქმე რეალურ საფუძველზე დადგა. კახთა წინააღმდეგ დავით III დიდი, ტაოს მეფე, კურაპალატი გამოემართა და როგორც კი ეს გაიგეს "კახთა წარვიდეს ვითარცა მეოტნი და დაუტევეს ქართლი".

X სის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში დავით ქორეპისკოპოსი (9701009) იბრძვის უკვე ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ IIIის (975/781014)წინააღმდეგ. მათი ინტერესები ჰერეთში დაუპირისპირდა ერთმანეთს. მეფე ბაგრატ III დაიკავა ჰერეთი და იქ თავისი მოხელეები დანიშნა, რომელნიც დავით ქორეპისკოპოსს მიემხრნენ. დავით ქორეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ მეფე ბაგრატმა ისევ დაიკავა ჰერეთი, შეიპყრო დავითისძე კვირიკე III და 1010 – 1014 წლებში კახეთჰერეთი გაერთიანებული საქართველოს მონარქიის შემადგენლობაში შედიოდა. თუმცა მეფე ბაგრატ III-ის გარდაცვალების შემდეგ კვირიკე III-მ შეძლო კახეთისა და ჰერეთის დაბრუნება და იწოდა "მეფედ კახთა და ჰერთა" და "დიდად". ამის შემდეგ კახეთჰერეთის სამეფო XII ს-ის დასაწყისამდე, მეფე დავით IV აღმაშენებლის მიერ მის დაპყრობამდე,ერთიანი საქართველოს მეფეთაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

კახეთის სამეფოს ადმინისტრაციული სტრუქტურა. გაერთიანებული კახეთის სამთავრო ადმინისტრაციულად საერისთაოებად იყო დაყოფილი. ესენია, ორი საერისთავო საკუთრივ კახეთში ცენტრებით კვეტერასა და პანკისში, ხოლო კუხეთი ერთ საერისთავოდ იყო წარმოდგენილი ცენტრით რუსთავში. კვირიკე III-მ ჰერეთის შემოერთების შემდეგ იქ ოთხი ერისთავი "დასვა". როგორც ჩანს კახეთისათვის ჰერეთის შემოერთების შემდეგ კვირიკე III-მ გაატარა ადმინისტრაციული რეფორმა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მეფე კვირიკეს მიერ დამტკიცებული საერისთავოები უძველეს დროიდან არსებული ეთნოადმინისტრაციულ ერთეულთა ფარგლებს ემთხვეოდა. მაგრამ მის მიერ "დასმული" ერისთავები მეფის ადმინისტრაციის მოხელეები იყვნენ, რაც ხელისუფლების ცენტრალიზაციას ისახავდა მიზნად, თუმცა ამ სამეფოს დამოუკიდებლად არსებობის დღეები უკვე დათვლილი იყო.

ჰერეთი.

ჰერეთის სახელმწიფოს წარმოქმნა. "ქართლის ცხოვრების" (ლეონტი მროველი) კონცეფციით როდესაც თარგამოსმა დაყო თავისი "ქვეყანა და ნათესავი", "ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილოეთით, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქვიან გულგულა. და ამან ჰერეთს აღაშენა პირველი ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე

ალაზანთასა, და უწოდა სახელი თჳსი ჰერეთი. და მის გამო ჰქჳან ჰერეთსა ჰერეთი. და აწ მას ადგილსა ჰქჳან ხორანთა". ეს მიწაწყალი დაახლოებით ასე ისაზღვრება: "მტკვრის ჩრდილი" მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირია, "მცირისა ალაზნის შესართავითგან" – მდ. იორის შესართავია; ტყეტბა თელავთანაა – იორის ალაზანთან შერთვამდე – თელავამდე. ამ სამთავროს სამხრეთდასავლეთით საზღვარი მდ. მტკვარია, ჩრდილოაღმოსავლეთი – კავკასიონი; უკიდურესი სამხრეთი პუნქტი – თელავია. ეს ცნობები მეტნაკლებად მისაღებად მიგვაჩნია, რადგან იმ დროს განეკუთვნებიან, როდესაც ჰერეთის სამთავრო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჯერ კიდევ არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი ერთეული. ვახუშტი ბაგრატიონი აზუსტებს ამ ცნობებს და საზღვარი კახეთსა და ჰერეთს შორის, თურდოსა და სამების ხევებზე გაყავს. ესაა ამ სამთავროს მიწაწყალი. თუმცა ისტორიული პროცესების მიმდინარეობის შესაბამისად მისი საზღვრები ხან ფართოვდება, ხან ვიწროვდება.

უძველესი დროიდან VI საუკუნის შუა წლებამდე ჰერებით დასახლებული ტერიტორია გაყოფილი იყო ქართლსა და ალვანეთის (ალბანეთის) სამეფოებს შორის, VI ს-ის ბოლოდან, VIII სის ბოლომდე, როდესაც აღარ არსებობდა არც ქართლისა და არც ალბანეთის მეფეთა ხელისუფლება, ამ ხანის დასაწყისში ჰერეთის ნაწილზე ვრცელდებოდა ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება. შემდეგ ჰერეთი არაბთა ხალიფას მოხელეს დაექვემდებარა. IX საუკუნემდეჰერეთის ეთნიკური და ადმინისტრაციულპოლიტიკური ფარგლების დადგენა წყაროთა სიმცირის გამო ჭირს. VIII ს-ის ბოლოს ალვანეთის სამეფოს არსებობის შეწყვეტის შემდეგ მასში შემავალი ჰერეთი IX – X საუკუნეებში არსებობდა ჰერეთის (იგივე შაქის, ალვანეთის) ცალკე სახელმწიფოს სახით ცენტრით შაქში, რომელმაც, ზოგი ცნობის თანახმად, თავისიხელისუფლება გაავრცელა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ალვანეთის (რანის//არანის) ნაწილზე. ის არის პოლიტიკური და არა ეთნიკური საზღვარი, რომელსაც მიაღწია ამ პერიოდში ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულმა ჰერეთმა. დაახლოებით ამავე ფარგლებში შევიდა ის "რანთა და კახთა სამეფოს" შემადგენლობაში, და შემდეგ, ჰერეთის საერისთავოს სახით ერთიან საქართველოში. 1010 – 1104 წლებში ჰერეთი გაერთიანდა კახეთთან და წარმოქმნა "რანთა (ჰერთა) და კახთა სამეფო" ცენტრით თელავში.

XII – XV საუკუნეებში ჰერეთი ერთიანი ქართულ მეფოდალურ სახელმწიფოში საქართველოში, შედიოდა ჰერეთის საერისთავოს სახით, XIV ს-ში ამ საერისთავოს ჩამოსცილდა შაქის მხარე და იქცა სახანოდ. იმის შემდეგ "ჰერეთი", როგორც ეთნიკურგეოგრაფიული ცნება, აღარ არსებობდა. ის კახეთმა შეითავსა.

ვახუშტი ბაგრატიონი ჰერეთის ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბებას 787 წ. ქართლის ერისმთავრის ჯუანშერის გარდაცვალებას უკავშირებს. ეს თარიღი დაახლოებით სწორი ჩანს, რადგან უკვე IX საუკუნის დასაწყისიდან სომხური და არაბული წყაროები ამ სახელმწიფოს მთავრებს იხსენიებენ (IX ს-ის ბოლოდან მეფეებს).

სამთავროს სახელწოდება. IX – X საუკუნეებში კახეთის სამთავროს მეზობლად არსებული ჰერეთის სახელმწიფოს ქართულ და უცხოურ წყაროებში ეწოდება "შაქი", "კამბეჩანი". ის აგრეთვე მოიხსენიება სახელწოდებით "რანი" "ალბანეთი". ქართულ შუასაუკუნოვან წყაროებში "რანებად" ერთერთი ალბანური ტომიც იწოდება. ალბანური ტომები იმავე წყაროებში

ჰერებადაც იწოდებოდნენ, ამიტომაც “რანი” და “ჰერეთი” ამ წყაროების თანახმად, იდენტური ცნობებია. ქართულ წყაროებში ეს სახელმწიფო ხან “ჰერეთად” იწოდება და ხან “რანად”. ამასთანავე ქართული “ჰერეთის სამეფო” არაბული წყაროების “შაქის სამეფოს” და სომხური და ბიზანტიური წყაროების “ალვანთა სამეფოს” იდენტურიცაა, ამ სამეფოს, სახელწოდება ქართველებმა თავისი უახლოესი მეზობლის, ძველი ალბანეთის ერთერთი ტომის ჰერებისაგან აწარმოვეს, არაბებმა სახელმწიფოს დედაქალაქის – ქ. შაქიდან. სომხები და ბიზანტიელები მას ალბანეთს უწოდებდნენ, რადგან ის ყოფილი ალბანეთის სამეფოს მიწაწყალზე ჩამოყალიბდა. ქართულში ტერმინი “ალვანეთი” ვერ დამკვიდრდა. ის რამდენჯერმე გვხვდება სომხურიდან ნათარგმნ წერილობით წყაროებში სადაც, როგორც ჩანს, ის სომხურიდან მექანიკურადაა გადმოღებული. ალვანეთის შესატყვისად IX – XI საუკუნეების ქართულ (როგორც ორიგინალურ, ისე სომხურიდან ნათარგმნ) წყაროებში გვხვდება “ჰერეთი”. IX – X საუკუნეებში ჰერეთი და ალვანეთი რეალურადაც ემთხვეოდა ერთმანეთს, რადგან ალვანეთი, რომელიც IV საუკუნეებში ვრცელდებოდა იბერიიდან კასპის ზღვამდე, სასანიანთა და არაბთა ბატონობის შედეგად, ტერიტორიულად შემცირდა და თავისი არსებობის ამ ბოლო ხანაში ჰერეთის ფარგლებში მოექცა. ამდენად ქართულმა წერილობითმა წყაროებმა, ფაქტობრივად, ალვანეთის აღსანიშნავად სხვა ტერმინი არ იციან, გარდა ჰერეთისა, რაც გვაძლევს საფუძველს ვარაუდისთვის, რომ “ჰერეთს” არა მარტო IX – X სს-ში, არამედ თავიდანვე ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა: ვიწრო – საკუთრივ ჰერეთის და ფართო – მთლიანად ალვანეთის.

ჰერთა ეთნიკური კუთვნილება. ჰერთა ეთნიკურ კუთვნილებაზე წერილობით წყაროებში უაღრესად მცირე მონაცემები არსებობს. ქვეყნის სახელწოდება მომდინარეობს ისტორიული ალვანეთის (ალბანეთის) ტერიტორიაზე მოსახლე ერთერთი ტომის სახელწოდებიდან – “ჰერი”. სამეცნიერო ლიტერატურაში ჰერულ ტომებად ითვლებიან აგრეთვე, ჰერეთის მიწაწყალზე მცხოვრებად მოხსენიებული: წადები, სუჯები, ჭილბები, ლბინებიელარბინელნი. ქართულ წყაროებში “ჰერეთი” პირველად V ს-ში იხსენიება (იაკობ ხუცესი “შუშანიკის წამება”), ხოლო ანტიკურ წყაროებში ეთნონიმი ჰერეთი II საუკუნიდან არის დადასტურებული (კლავდიოს პტოლემაიოსი II ს., იპოლიტე რომაელი – III ს. ევსევი კესარიელი – IV ს., რომაული საგზაო რუკა – IV ს., ბიზანტიელი გიორგი სინგელოზი – VIII ს.).

რადგან ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში მათი წარმომავლობის შესახებ ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნობებია წარმოდგენილი, სამეცნიერო ლიტერატურაში მათი ნათესაობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. შუა საუკუნეების ზოგი ქართველი და უცხოელი ავტორი: იპოლიტე რომაელი მასზე დამყარებით ექვთიმე მთაწმინდელი და ლეონტი მროველი, ლეონტი მროველზე დამყარებით კი – ვახუშტი ბატონიშვილი ჰერებს და ქართველებს სხვადასხვა წარმომავლობის ხალხად მიიჩნევენ. მაგრამ ყველა ამ ავტორის ეს თვალსაზრისი ერთი წყაროდან (ალბათ იპოლიტე რომაელიდან) მომდინარეობს და ამდენად ხელოვნური, მწიგნობრული წარმომავლობისაა და საკითხის გადასაწყვეტად ვერ გამოდგება. ამასთანავე გასათვალისწინებელია ანტიკურ მწერლობაში არსებული გადმოცემა იბერების და ჰერების საერთო ეთნარქის შესახებ,

მკვლევართა ერთი ნაწილი (ა. ხახანაშილი, ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, სტ. მენთეშაშვილი, რ. რამიშვილი, თ. პაპუაშვილი) ჰერებს ქართველურ ან ქართველებთან მონათესავე ტომებად მიიჩნევენ, ხოლო მკვლევართა მეორე ნაწილი (გ. მელიქიშვილი, ი. იესენი, გ. ნიორაძე, დ. მუსხელიშვილი) ჰერებს ქართველთა მეზობლად მოსახლე ერთერთ ალბანურ ტომად მიიჩნევენ, რომელმაც თანდათან, იბერიის პოლიტიკურკულტურული გავლენის შედეგად განიცადა ქართიზაცია.

მართალია რთულია ერთნიშნა პასუხის გაცემა მათი ეთნიკური კუთვნილების საკითხზე, მაგრამ სრულიად აშკარაა, როდესაც ისინი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდიან თვითონ და მათი ხელისუფალნი ისტორიულკულტურულად ქართველები არიან და საერთო ქართულ საქმეს ემსახურებიან.

ასეთი თვალსაზრისის საფუძველს იძლევიან ჰერეთის მატერიალური კულტურის ძეგლები (არქეოლოგია და ხუროთმოძღვრება). ალბათ ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ერთიან ქართულ პოლიტიკურ სამყაროში შესვლამდე, ჰერეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები ზოგადქართული არქიტექტურული განვითარების ჭრილში თავსდებიან. მართალია ჰერეთის ხუროთმოძღვრებას, ისევე როგორც სხვა ქართული რეგიონებისას (დასავლურქართული, სამხრეთქართული) გარკვეული ლოკალური თავისებურებანი ახასიათებთ, მაგრამ მთლიანობაში ეს ქართული ხუროთმოძღვრებაა.

ეკლესია. ჰერთა კულტურულპოლიტიკური კუთვნილების საკითხისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სარწმუნოების პრობლემას.

ჰერეთში ქრისტიანობა ოფიციალურ კულტად IV ს-ში გამოცხადდა და საისტორიო წყაროებში ჰერეთის განმანათლებლად წმინდა ნინოს მიიჩნევენ, სახელდობრ სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი აღნიშნავს, რომ ნინოს ქრისტიანობა დარუბანდამდე (“კასპის კარამდე”) უქადაგია.

არაბთა ბატონობის ხანაში ალვანეთსა და ჰერეთში ისლამი გავრცელდა, სადაც არაბთა ბატონობის ხანაში მომრავლდნენ მაჰმადიანები. მაგრამ ჰერეთში, საქართველოს ფარგლებში მოქცევამ განაპირობა ისლამის აღმოფხვრა და ქრისტიანობის განმტკიცება. ალბანეთში კი ჯერ არაბების, ხოლო შემდეგ თურქსელჩუკების ბატონობის პირობებში, საბოლოოდ გაბატონდა ისლამი.

ვახტანგ გორგასლის მიერ ქართლის სამეფოში დაარსებული 12 საეპისკოპოსო კათედრიდან ორი, ჭერემის და ხორნაბუჯის ჰერეთში იყო. შემდგომ საუკუნეებში ჰერეთში საეპისკოპოსოების გამრავლება აუცილებელი გახდა და 8 საეპისკოპოსოს არსებობა ივარაუდება.

ჰერეთში ფართოდ გაიშალა სამონასტრო მოძრაობა, რაც ძირითადად სირიელ მამათა მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული. ჰერეთში მოღვაწეობდნენ ცნობილი სირიელი მამები დავით გარეჯელი, იოსებ ალავერდელი, აბიბოს ნეკრესელი, სტეფანე ხორსელი, მათ მიერ დაარსებული გარეჯის, მრავალმთის, ნეკრესის, ხორსის, ალავერდის სავანეები ქართული კულტურის მნიშვნელოვან ცენტრებს წარმოადგენდნენ, სადაც მომავალ თაობათა აღზრდასთან

ერთად სამწერლობო მოღვაწეობაც მიმდინარეობდა (საღვთისმეტყველო ლიტერატურის თარგმნა, ორიგინალური თხზულებების შექმნა).

VI - X საუკუნეებში ალვანეთში და საკუთრივ ალვანეთის ჰერეთში ადგილი ჰქონდა ბრძოლას ქრისტიანობის ორ მიმართულებას, ქალკედონიტობასა და ანტიქალკედონიტობას შორის, რაც ფაქტობრივად ქართულ და სომხურ ორიენტაციას შორის ბრძოლა იყო. 608 წელს, როდესაც გაფორმდა საეკლესიო განხეთქილება ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის, ჰერეთის ეკლესიამ თავდაპირველად ანტიქალკედონური (მონოფიზიტური) მრწამსი აღიარა. შემდეგ ბრძოლა ცვალებადი შედეგებით მიმდინარეობდა და X ს-ის შუა წლებში ჰერეთში დიოფიზიტობა დამკვიდრდა, საბოლოოდ გაიმარჯვა ქართულმა მრწამსმა, ე. ი. ქართულმა ორიენტაციამ. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ჰერეთის დედოფლის, მეფე იშხანიკის დედის დინარის ღვაწლი. რომელიც ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი, გურგენ ერისთავთერისთავის და იყო. სავარაუდოა, რომ ის აშხანიკის თანამმართველი იყო, რომლის შესახებ ისტორიკოსი უთითებს, რომ მან "მოაქცივნა მართლმადიდებლად" შვილი. მართალია, სომხეთის მხრივ შემდეგაც იყო თავისი მრწამსის აღდგენის ცდები, მაგრამ უშედეგოდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ალბანეთში კი, რომელიც ჩამოსცილდა ჰერეთის სამეფოს, მოსახლეობა ან გამაჰმადიანდა, ან გასომხდა, რასაც ამ მხარეში სომხური მოსახლეობის სიმრავლემაც შეუწყო ხელი.

ჰერეთი ეკლესიურად ქართლის საპატრიარქოს შემადგენლობაში შევიდა, ის ქართლის საპატრიარქოს განუყოფელი ნაწილი შეიქმნა და ეს მოხდა ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებამდე.

ჰერეთის მთავრები და მეფეები. ადმინისტრაციული დაყოფა. ჰერეთის დამოუკიდებელი სამთავროს სათავეში დგანან ხელისუფალნი "მთავრის" ტიტულით. ქართული საისტორიო წყაროების ცნობებით ჰერეტიც პირველი მთავრები ბაგრატიონები იყვნენ (ჯუანშერი, სუმბატ დავითის ძე, ვახუშტი). მართალია, სომხური და არაბული წყაროები არ ადასტურებენ ქართული წყაროების ამ ცნობას, მაგრამ ვერც უარყოფენ. აღნიშნულის გამო ზოგი მკვლევარი მათ ალვანთა სხვადასხვა დინასტიების, მიჰრანიანების, ამიხანიანების შთამომავლებად მიიჩნევენ (მ. ბროსე, ზ. ბუნიატოვი). სრულიად კანონზომიერია, რომ მკვლევართა ნაწილი (ვ. მინორსკი, კ. თუმანოვი, ნ. ბერძენიშვილი, პ. ინგოროყვა, დ. მუსხელიშვილი, თ. პაპუაშვილი). ქართული წყაროების ცნობებს ემყარებიან, სადაც კონკრეტულად არის მითითებული მათი ბაგრატიონობა.

ქართულ წყაროებში ჰერეთის მთავართა საკუთარი სახელები მხოლოდ X სის დასაწყისიდან (ადარნასე, 917 წ.) იხსენიებიან ქართული, სომხური და არაბული წყაროებით ჰერეთის მთავრები არიან:

1. საჰლ სუმბატის ძე (IX ს-ის დასაწყისი – 852 წ.), რომელიც მოიხსენიება პატრიკიოსის ტიტულით და არანშაჰად.

2. ადარნასე (852 – 875) საჰლისძე. მას ცოლად ჰყავდა მიხრანიანთა უკანასკნელი წარმომადგენლის ვარაზთრდატის ქალიშვილი სპარამა.

3. გრიგოლ ჰამამი (875 – 897 წლის ახლოს) ადარნასეს ძე. 893 წლის ახლო ხანებში მიიღო "მეფის" ტიტული. სომეხი ისტორიკოსის, მოვსეს კალანკატვაცის ცნობით მან აღადგინა ალვანთა სამეფო (ჰერეთის სამეფოს შემოუერთა ალვანეთის ნაწილი).

4. ადარნასე, პატრიკის წოდებით (IX ს-ის ბოლოX ს-ის 40-იან წლებამდე); გრიგოლ ჰამამის ძე, მისი მეუღლე იყო ტაოკლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენლის, ადარნასე II-ის (გარდ. 896 წ.) ასული, გურგენ ერისთავთერისთავის (გარდ. 941 წ.) და, დინარ დედოფალი, რომელმაც "ქართლის ცხოვრების" ("მატიანე ქართლისა") ცნობით ჰერეთი მართლმადიდებლობაზე, დიოფიზიტურ მრწამსზე მოაქცია.

5. იშხანიკი (X ს-ის 40-იანი წ. 60-იან წლამდე). ადარნასეს და დინარის ძე, რომლის თანამმართველი მისი დედა – დინარ დედოფალი იყო.

6. იოანე სენექერიმი (X ს-ის 40-იანი წლები – X ს-ის ბოლო), იშხანიკის ძე.ზოგი წყაროს ცნობით მან გააფართოვა ჰერეთის სამეფოს ფარგლები, და მტკვრის მარჯვენა ნაპირის ალვანეთთან ერთად თავისი ძალაუფლება წანარეთის (კახეთის) ნაწილზეც გაავრცელა. რის გამოც სომეხი ისტორიკოსი მას, როგორც მის წინაპარ გრიგოლ ჰამამს "ალვანთა სამეფოს აღმდგენელს" უწოდებს.

ამაზე წყდება ჰერეთის მეფეთა სია, რადგან ჰერეთი კახეთის შემადგენელი ნაწილი ხდება. ჰერეთის სახელმწიფოს პირველი ხელისუფალნი სომხურ წყაროებში მთავრად, უფლად, უფალთაუფლად იწოდებიან, აგრეთვე არანშაჰად, რაც ალბანეთის ნაწილის შემოერთებას უკავშირდება. ქართული წყაროები X ს-ში მათ "ჰერთა მეფის" და ბიზანტიური "პატრიკის" ტიტულით მოიხსენიებენ. არაბული წყაროები IX – X საუკუნეების ჰერთა ხელისუფალს უწოდებენ "პატრიკებს", რაც მათი ბიზანტიური საკარისკაცო "პატრიკიოსის" ტიტულიდან მომდინარეობს.

IX – X საუკუნეებში ჰერთა მეფეები სუვერენული, ერთპიროვნული გამგებლები იყვნენ, რომელნიც ქვეყანას თავიანთი მოხელეებით ერისთავების მეშვეობით მართავდნენ.

ადმინისტრაციულად ჰერეთი საერისთავოებად იყოფოდა. წერილობითი წყაროებიც ცნობილია: შტორის, ხორნაბუჯის, ვეჯინის, მაჭის, პანკისის, წირქვალის საერისთავოები, სავარაუდოა არიშის, გიშის და სხვა საერისთავოთა არსებობა. საერისთავოებს ემთხვევა საეპისკოპოსო კათედრები. ასეთებია, მაგ.: ხორნაბუჯის, ვეჯინის, გიშის საეპისკოპოსოები. ერისთავებს უმაღლესი მმართველები (მეფე, მთავარი) ნიშნავდნენ, ისინი მათი მოხელეები იყვნენ. ასეთი სისტემა მთელ ამდროინდელ ქართულ სამყაროში არსებობდა.

ეკონომიკური მდგომარეობა. ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში არაბთა და ბიზანტიელთა ბატონობის პირობებში, ჰერეთის ეკონომიკა შეფერხებით, მაგრამ მაინც წინსვლის გზით ვითარდებოდა. დამპყრობლებმა, განსაკუთრებით არაბებმ, მართალია შეაფერხეს, მაგრამ ვერ შეაჩერეს ქვეყნის სამეურნეო განვითარება. შუასაუკუნოვანი, ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცებას, რასაც თან ახლდა მიწის ახალი ფართობების ათვისება, ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის ინტენსიური დარგების, ბარში მებაღეობამევენახეობის, სახნავი მიწათმოქმედების, მთის ზოლში ძირითადად მესაქონლეობის

განვითარებას. იორალაზნის აუზის ბარი საქართველოს მევენახეობის ერთერთი რაიონი იყო. მეურნეობის ინტენსიური დარგების, განსაკუთრებით მევენახეობამებაღეობის განვითარებისათვის, საქალაქო ცხოვრების აღმავლობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სარწყავი სისტემების არსებობას, რომელთა ნაშთები მრავლადაა დადასტურებული ჰერეთში. მთის ზონა მდიდარი იყო ალპური საძოვრებით, რაც ხელს უწყობდა მეცხვარეობის, მეცხენეობის, მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობის განვითარებას. ვახუშტი ბაგრატიონის აზრით, ერთერთი რეგიონის – კამბეჩოვანის (ქიზიყის) სახელწოდება, კამბეჩიდან წარმოსდგა. თუ ეს ვარაუდი სწორია, ის მიუთითებს ამ რეგიონში კამეჩის გავრცელებაზე უძველესი დროიდან: უკვე სტრაბონი (ძვ. და ახ. წელთაღრიცხვის მიჯნა, ამ მხარეს კამბისენეს უწოდებს). სოფლის მეურნეობის დარგების აღმავლობა ხელს უწყობს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ხელოსნობის დარგების განვითარებას. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა ადასტურებს კერამიკული და მინის საწარმოების არსებობას, მექვევრეობას, სახნავსათიბი, სამკალი იარაღის მჭედლობის არსებობას, მოპოვებულია ვენახის სასხლავი დანა და რკინის სხვა იარაღები.

ჰერეთის ეკონომიკურ სიძლიერეზე მრავალრიცხოვანი ქალაქების არსებობა მიანიშნებს. მდ. ალაზნისა და მტკვრის შესაყარზე მდებარე ქ. ხორანთა, რომელმაც მურვან ყრუს მიერ (VIII ს. 30იანი წლები) დანგრეულმა, როგორც ქალაქმა შეწყვიტა არსებობა, ქართველების, ალბანელებისა და სომხების ერთმანეთთან დამაკავშირებელი პუნქტი იყო ხორნაბუჯი. იორისა და ალაზნის შუამდინარეთში მდებარე ხორნაბუჯი, ბატონობდა ალაზნის ველზე. აქ იყო საეპისკოპოსო კათედრა; ჭერემი, რომელზედაც გადიოდა უმოკლესი გზა შიდა ქართლიდან შიდა კახეთში, აქაც საეპისკოპოსო კათედრა იყო: ნეკრესი, გაღმა მხარეში, ალაზნის მარცხენა სანაპიროზე, მთისა და ბარის დამაკავშირებელ გზაზე, საიდანაც ვრცელდებოდა ქართული ქრისტიანობა და ქართული კულტურა მთიან ზოლში, საეპისკოპოსო კათედრით, ქართული ხუროთმოძღვრების VIII, IX ს. ეკლესიებით, ნეკრესელი ეპისკოპოსის VIII – IX ს-ის სასახლის კომპლექსით. მართალია ნუხპატის ადგილმდებარეობა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს (ნუხა, შაკი//შაკიხი, ბელაქანი, საინგილო), მაგრამ ფაქტია, რომ ნუხპატზე გადიოდა ე. წ. "ბელაქნის გზა", რომელიც საქართველოს დაღესტანთან ხუნძახთან აკავშირებდა და საიდანაც ქრისტიანობა და ქართული კულტურა ჩრდილო კავკასიაში ვრცელდებოდა. IX – X ს-ში ჰერეთის სამეფოს პოლიტიკური ცენტრი შაქი/შაკიხი თანამედროვე ნუხის ადგილას მდებარეობდა, ის ამასთანავე მნიშვნელოვანი სავაჭროსახელოსნო ცენტრი იყო; გიში (სოფ. გიშთან, აზერბაიჯანში) ქრისტიანობის ერთერთი ყველაზე ადრეული ცენტრი იყო ჰერეთში, უძველესი საეპისკოპოსო კათედრით.

ჰერეთზე გადიოდა საქართველოს ამიერკავკასიაში არაბი უზენაესი მოხელის რეზიდენციასთან დამაკავშირებელი გზა, რაც ხელს უწყობდა ამ მხარის განვითარებას. ჰერეთის სამეფოს საკმაოდ მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა სახალიფოსთან, რასაც ჰერეთში აღმოჩენილი იმდროინდელი მრავალრიცხოვანი არაბული მონეტები მოწმობენ. ჰერეთის სამთავრო არაბთა საერთაშორისო სატრანზიტო ვაჭრობაში მონაწილეობდა და საკუთარი სახელოსნო, თუ სასოფლოსამეურნეო საქონელიც გაჰქონდა.

ურთიერთობა არაბებთან, ბიზანტიასთან და მეზობელ სამეფოსამთავროებთან. ჰერეთის დამოუკიდებელი სამთავროს წარმოშობა ძირითადად იმავე საშინაო და საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენებმა განაპირობეს, რომელთაც შესძლეს საფუძველის შექმნა სხვა ქართული სამეფოსამთავროების ჩამოყალიბებისათვის, დამოუკიდებელი სამთავროს ჩამოყალიბების პროცესი VIII ს-ის II ნახევარში მიმდინარეობდა და საუკუნის 80იანი წლებისათვის ის წარმატებით სრულდება. არაბთა სახალიფოსთან ურთიერთობის თვალსაზრისით ის როგორც ჩანს კახეთის სამთავროს საწინააღმდეგო ხაზს ატარებდა, რაც ხელს უწყობდა მის გაძლიერებას. ამ სამთავროს ჩამოყალიბების პროცესი განსხვავებული გზით მიმდინარეობდა. თუ კახეთი და ტაოკლარჯეთი არაბებთან ბრძოლით იპოვებენ დამოუკიდებლობას, ჰერეთში ასეთი დაძაბული ბრძოლა არ ჩანს. ჰერეთის მმართველები უმთავრესად დიპლომატიური გზებით ცდილობენ არაბებთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ როდესაც არაბთა წინააღმდეგ თითქმის ყველა ქართული მხარეები იბრძოდნენ, ჰერეთის ძველი სამთავრო სახლის წარმომადგენლები არაბთაგან გარკვეულ უფლებებს იღებდნენ და სამთავროს დამოუკიდებლობის ორგანიზაციას შედარებით მშვიდობიანი გზით აღწევდნენ, ხოლო სამეფოს შექმნის შემდეგ ამ დამოუკიდებლობას ბრძოლით იცავდნენ.

820-იან წლებში არაბებმა დამსჯელი ლაშქრობა მოაწყვეს ჰერეთში და დააკისრეს ხარკი, წლიურად 500000 დრჰემი (საკმაოდ დიდი თანხაა იმ დროისათვის). თავის მხრივ ჰერთა მეფე საჰლ იბნსუმბატმა გაილაშქრა ალვანეთის ერთერთი ოლქის დამრბევ არაბთა წინააღმდეგ. საჰლ იბნსუმბატმა, არაბთა წინააღმდეგ კავშირი შეკრა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ხურამიტთა მოძრაობის (816 – 837) ბელადთან ბაბეკთან. ამ ბრძოლაში ალვანეთის, სომხეთის, ჰერეთის მმართველებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. მაგრამ შემდეგ გადაუდგნენ ბაბეკს და 837 წ. როდესაც დამარცხებულმა ბაბეკმა თავი შეაფარა საჰლ იბნსუმბატთან, მან ის არაბებს გადასცა. ბაბეკი ხალიფას მიგვარეს, რომელმაც ის სიკვდილით დასაჯა, საჰლ იბნსუმბატს კი გარკვეული პრივილეგიები მიანიჭა ამიერკავკასიაში და მას ძვირფასი ქვებით შემკობილი ოქროს გვირგვინი გამოუგზავნა.

იმ პერიოდში რომელიც IX საუკუნის დასაწყისიდან არაბთა სახალიფოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და თბილისის არაბ ამირებს შორის მიმდინარეობს საჰლ იბნსუმბატი საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმედებს, მაგ 840 – 841 წლებში ის ამირას წინააღმდეგ მებრძოლ ხალიფას სარდლის მოკავშირეა, მაგრამ 853 წ. ბუღა თურქის სარდლობით ამირას დასასჯელად მოსული ლაშქრობის დროს ის ამირას მოკავშირედ გამოდის, საჰლ იბნსუმბატი დამარცხდა ბუღა თურქთან ბრძოლაში, რომელმაც ის შეიპყრო და ბაღდადში გაგზავნა.

სახალიფოს დაშლის შემდეგ საქართველოს, სომხეთს, ალვანეთს სამხრეთ კავკასიაში წარმოშობილი სხვადასხვა მაჰმადიანური სამფლობელოები ესხმიან თავს. X ს-ის 40-იან წლებში სამხრეთ აზერბაიჯანში გაბატონებულმა სალარიანებმა გამოილაშქრეს, დროებით ხელთ იგდეს ბარდავი, დვინი, განძა, დახარკეს ჰერეთი, სადაც ამ დროს იშხანიკი მეფობდა.

მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიაში არაბთა ხელისუფლება დამყარდა ბიზანტიის პოზიციები აქ საგრძნობლად შეირყა. თუმცა ბიზანტიის იმპერიას უკვე აღარ ძალუძდა გავლენა მოეხდინა

ამიერკავკასიის ქვეყნებზე, მაგრამ სახალიფოს თანდათან დასუსტების პირობებში მისი პოლიტიკა საერთოდ და საკუთრივ კავკასიის მიმართ გააქტიურებას იწყებს. ამ პოლიტიკის გამოძახილი შეიძლება არის ჰერეთის მმართველი სახლის წარმომადგენლების ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები. მაგალითად, ადარნასე ჰერთა მეფე (X ს-ის დასაწყისი), პატრიკიოსის ტიტულით მოიხსენიება, ხოლო XI ს-ის დასაწყისში კახთა და ჰერთა გაერთიანებული სახელმწიფოს მეფე კვირიკე დიდს მაგისტროსის ტიტული აქვს. ამ დროს ბიზანტიის საიმპერატორო კარი გულუხვად ურიგებდა თავის საკარისკაცო ტიტულებს ამიერკავკასიის მმართველებს, რომელნიც, თავის მხრივ, საკუთარი პრესტიჟის ამაღლების მიზნით, სიამოვნებით იღებდნენ და ატარებდნენ მათ. აღნიშნული გარემოება გარკვეული დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობების არსებობაზე და ორივე მხარის დაახლოების და ერთმანეთის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენების სურვილზე მიუთითებს. მაგრამ ამ დროს აქ ბიზანტიის იმპერიის გავლენა არ უნდა იგრძნობოდეს, რადგანაც ამ დროს ჰერეთის სამეფოს წინაშე სხვა ქართულ სამეფოსამთავროებთან ურთიერთობის საკითხი იდგა.

ბრძოლა კახეთსა და ჰერეთს შორის გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, ჰერეთის მეფეები გრიგოლ ჰამამი, იოანე სენექერიმი არაბულ და სომხურ წყაროებში "წანართა მეფედ" იწოდებიან, რაც ალბათ იმაზე მიუთითებს, რომ მათ კახეთის ნაწილი ჰქონდათ დაპყრობილი. X ს-ის დასაწყისიდან ჰერეთის მეფის წინააღმდეგ კახთა ქორეპისკოპოსმა კვირიკე I-მა (893 – 918) ჰერეთს ერთობლივი გალაშქრება შესთავაზა დასავლეთ საქართველოს მეფეს კონსტანტი II-ს (893 – 929). მათ ორჯერ ილაშქრეს ჰერეთში. დაამარცხეს ჰერეთის მეფე ადარნასე პატრიკი, და მიიღეს ბარდავიდან მომავალ გზაზე მდებარე ვეჯინის, არიშის, გავაზის, ორჭობის ციხეები. ჩანს მიზანი ამ გზის მონაკვეთის ხელში ჩაგდება იყო.

X ს-ის 30-იან წლებში საჯი ამირას შემოსევის დროს, რომელმაც დაარბია კახეთი, ჰერთა მეფე ადარნასემ დაიბრუნა კვირიკესა და კონსტანტინეს მიერ მიტაცებული ტერიტორიები, ასევე ჰერთა მეფემ ისარგებლა X ს-ის 50იან წლებში დასავლეთ საქართველოს მეფეთა კახეთისათვის ბრძოლით და კახეთის ნაწილიც შემოიერთა, მაგრამ, როგორც უკვე აღნიშნულია XI ს-ის დასაწყისში ჰერეთი ჯერ კახეთის ქორეპისკოპოსმა დაიპყრო და შეიქმნა "რანთა (ჰერთა) და კახთა სამეფო", რომელიც შემდეგ მეფე ბაგრატ III-მ შეიერთა. ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ მეფე გიორგი I-ის დროს აღდგა "კახთა და რანთა სამეფო", რომელიც მეფე დავით IV აღმაშენებელმა XII ს-ის დასაწყისში ერთიან საქართველოს შეუერთა. ჰერეთის ჯერ კახეთთან, ხოლო შემდეგ კახეთისა და ჰერეთის ერთიან საქრთველოსთან გაერთიანება იმ ისტორიული პროცესის ერთერთი ეტაპის კანონზომიერი დაგვირგვინება იყო, რომელიც უძველესი დროიდან მიმდინარეობდა და ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებით დასრულდა.

თავი VIII. ეგრის-აფხაზეთი; აფხაზთა სამეფო

აფხაზეთი ერთერთი უძველესი ქართული ისტორიული და გეოგრაფიული მხარეა, ისეთივე, როგორც მაგ.: კახეთი, სამეგრელო, სვანეთი... ის მდებარეობდა დასავლეთ

საქართველოს (კოლხეთის) უკიდურეს ჩრდილოდასავლეთ ნაწილში კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთიდან მდ. გუმისთამდე (თანამედროვე სოხუმის ჩრდილოეთით). აფხაზად იწოდება აფხაზეთის მცხოვრები, საუკუნეთა მანძილზე საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესების შედეგად, აფხაზეთის ფარგლები და შესაბამისად ცნება აფხაზეთის და აფხაზის მნიშვნელობა, ხან ფართოვდებოდა, ხან იკვეცებოდა.

ეგრისისა და აფხაზეთის, ამ ორი დასავლურქართული ქვეყნის გაერთიანება და ერთიანი დასავლურქართული სახელმწიფოს წარმოშობა, იმ საერთოქართული მასშტაბით მიმდინარე პროცესის შედეგი იყო, რომელთაც VIII ს-ის ბოლოსთვის განაპირობებს სხვა ქართული (კახეთი, ჰერეთი...) სახელმწიფოების წარმოშობა.

ეგრისის და აფხაზეთის გაერთიანება. VI საუკუნეში ეგრისის ტერიტორიაზე ირანსა და ბიზანტიას შორის ომის შედეგად, ეგრისის სამეფო თანდათან დასუსტდა. ეგრისის შემდგომი დასუსტება არაბთა თავდასხმებმაც განაპირობეს. საუკუნის დასასრულისათვის მას გამოეყო აფხაზეთი (საკუთრივ ბერძნული წყაროების აბაზგია), რომელიც უშუალოდ ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლებას დაუქვემდებარდა. აბაზგიის ერისთავები, არქონტები (“ერისთავი ბერძენთა”, როგორც მათ ქართული წყარო უწოდებს) იმპერატორის ვასალები იყვნენ.მათ მხარს უჭერდა ბიზანტიის საიმპერატორო კარი, რადგან მის ინტერესებში არ იყო ერთიანი და ძლიერი დასავლურქურთული სახელმწიფოს არსებობა, რომელსაც ის ადვილად ვერ უმორჩილებდა თავის ხელისუფლებას.

აფხაზთა ერისთავებმა საიმპერატორო კარის დახმარებით შეძლეს მეზობელ აფშილეთს, სანიგეთსა და მისიმიანეთზე თავისი ხელისუფლების გავრცელება; ამიერიდან თანდათან ქრება მათი ხსენება, საისტორიო წყაროებში, და გაერთიანებული სამთავროს აფხაზეთი და მის მცხოვრებთ აფხაზი ეწოდა.ეს არის “აფხაზეთის” და შესაბამისად “აფხაზის” ცნების პირველი გაფართოება.

VII საუკუნეში გაუქმებული ჩანს ეგრისის მეფის ხელისუფლება, ის წყაროებში უკვე იწოდება არა მეფედ, არამედ პატრიკიოსად. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ პატრიკიოსი ეგრისის მეფის ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული იყოს.

VIII ს-ის ოცდაათიან წლებში დასავლეთ საქართველოში შემოჭრილი არაბი სარდლის მურვან იბნ მუჰამედის (ქართული წყაროების მურვან ყრუ) წინააღმდეგ, აფხაზთა საერისთავოს ცენტრს, ანაკოფიის ციხეს, საკუთრივ აფხაზებთან ერთად, ეგრისის ლაშქარიც იცავს, ქართველთა ერისმთავრების (მეფეთა) სახლის წარმომადგენლების მირისა და არჩილის სარდლობით, რომელნიც ამ დროს ეგრისში არიან დამკვიდრებულნი. მურვან ყრუ უკუაგდეს ანაკოფიიდან. მირი ბრძოლაში მიღებული ჭრილობით გარდაიცვალა. მას მხოლოდ ქალიშვილები დარჩნენ, არჩილს ამ დროს შვილი არ ჰყავდა. არჩილმა, მირის ანდერძის თანახმად, მისი ასულები გაათხოვა და ერთერთი ლეონ აფხაზთა ერისთავზე დააქორწინა. ამასთან ლეონი ვასალად შეიწყნარა. ამ დინასტიური ქორწინებით გაერთიანდა ორი დასავლურქართული ქვეყანა, აფხაზეთი და ეგრისი და შეიქმნა ერთიანი სახელმწიფო, რომელსაც მთავართა დინასტიის საკუთრივ აფხაზეთიდან წარმომავლობის გამო აფხაზეთი

ეწოდა, ხოლო მისი უზენაესი ხელისუფალი უკვე არის არა ერისთავი, არამედ “მთავარი”. ასე მოიხსენიებს VIII ს-ის 80-იან წლებში ამ ქვეყანას და მის ხელისუფალს, VIII ს-ის ქართველი მწერალი იოანე საბანის ძე. ამიერიდან “აფხაზეთი” მთელი დასავლეთ საქართველოა. ესაა ცნება “აფხაზეთი”ს გაფართოების ახალი ეტაპი, ხოლო მისი ხელისუფალი, ადმინისტრაციის იერარქიაში ერთი კიბურით იწევს მაღლა.

მაგრამ ეს გაერთიანებული დასავლურქართული სახელმწიფო ბიზანტიის იმპერიისგავლენის სფეროში რჩება, “არს საბრძანებული იონთა მეფისა” ბრძანებს იგივე იოანე საბანისე. ისტორიულგეოგრაფიული ცნების ასეთი გაფართოების ფაქტი ჩვენ სხვაც გვაქვს საქართველოში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კახეთის საერისთავოს მიერ კუხეთის, შემდეგ გარდაბნის და ბოლოს ჰერეთის შემოერთების შემდეგ ფართოვდება ცნება კახეთის მნიშვნელობა, ის ჯერ კახეთკუხეთს, შემდეგ კახეთკუხეთგარდაბანს და ჰერეთსაც მოიცავს.

ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება, რომელიც ხელს უწყობდა სამეფოს დასუსტებას, ეგრისის სამეფოდან აფხაზეთის საერისთავოს გამოყოფას, რათა უკეთ განეხორციელებინა თავისი გავლენა დასავლეთ საქართველოზე, არაბთა გამოჩენის შემდეგ იცვლის პოლიტიკას და ხელს უწყობს დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას და გაძლიერებას. რათა დასავლურქართული ქრისტიანული სახელმწიფოს სახით ყავდეს მოკავშირე სახალიფოს წინააღმდეგ, რომელთანაც ბრძოლა მას გაუჭირდა. იმპერატორი ლეონ III ისავრიელი (675 – 741), მირს და არჩილს ორ გვირგვინს და სათანადო გუჯარს უგზავნის, რითაც ცნობს მათ უფლებებს ეგრისზე. იმპერატორი ლეონ აფხაზს მიმართავს: “შენდა მიბრძანებია ერისთავობა აფხაზეთისა. შენდა, შვილთა შენთა და მომავალთა შენთა მიუკუნისამდე. არამედ კეთილად პატივსაცემდე მეფეთა და ერთა მათ ქართლისათა და ამიერიდან ნურაღამცა ჴელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათ ეგრისისათა”. ბიზანტიის იმპერატორის ეს განკარგულება მიუთითებს, რომ აფხაზთა ერისთავები, რომელნიც იმპერიის არხონტები იყვნენ და იმპერიის ხელისუფლების მიერ ინიშნებოდნენ, ამიერიდან, საერისთავოს მემკვიდრეობით მფლობელებად არიან აღიარებულნი. დასავლეთ საქართველოში მოვლენები სწრაფად ვითარდება, მიმდინარეობს ძალთა კონსოლიდაცია, ლეონ II ათავისუფლებს ქვეყანას ბიზანტიაზე დამოკიდებულებისაგან და თავს “მეფედ” აცხადებს. XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ცნობით, “რაჟამს მიუძლურდეს ბერძენნი”, ლეონ I ერისთავის მემკვიდრე ლეონ II, რომელიც ხაზართა მეფისასულის წული იყო, “ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, და იპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელიდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ, და შემდგომ ამისა ჯუანშერიცა მიიცვალა”. ეს ცნობა მოვლენათა მიმდინარეობის სრულ სურათს ხატავს. ასეთი რთული ვითარება ბიზანტიის იმპერიაში VIII ს-ის ბოლოსთვის უნდა იგულისხმებოდეს (ს. ჯანაშია), როდესაც ბიზანტიაში დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა ხატმებრძოლებსა და ხატების თაყვანისმცემლებს შორის, იმპერია მარცხს განიცდიდა არაბთა სახალიფოსთან და საკუთარ ქვეშევრდომებთან, მაგ., გაძლიერებულ ბულგარელებთან ბრძოლებშიც.

ისტორიკოსი საგანგებოდ მიუთითებს ხაზართა დახმარებაზე ლეონ აფხაზისათვის. რასაკვირველია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ნათესაურ კავშირს ვერ ექნებოდა. ცნობილია, რომ

დინასტიური კავშირები, როგორც წესი, პოლიტიკურ ინტერესთა გათვალიწინებით მყარდებოდა. აფხაზთა მთავრისადმი ხაზართა დახმარება მათი ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესებით იყო განპირობებული, რადგან ჩრდილო კავკასიაში ამ დროს არსებული ხაზართა სახელმწიფოს, შავ ზღვას მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე გამავალი გზით უკავშირდებოდა.

წერილობით წყაროებში მინიშნებულია ფრიად საინტერესო დეტალები: დაქორწინდა რა არჩილის ძმისწულზე და მიიღო ეგრისის მეფე მირის კუთვნილი გვირგვინი, ლეონ I ეგრისის ფაქტიური მფლობელი ხდება, მაგრამ ის ჯერ არ აცხადებს პრეტენზიას ეგრისზე. ის ანგარიშს უწევს ქართლის ერისმთავართა სახლის მფლობელობას ეგრისში, და მხოლოდ ამ სახლის გადაშენების და შედარებით ხელსაყრელი მდგომარეობის შექმნის შემდეგ, ისტორიკოსის თქმით, ლეონ II-მ "დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე". ზოგი ისტორიკოსი (უმთავრესად თანამედროვე აფსუა ისტორიკოსები) ცდილობს დაამკვიდროს თვალსაზრისი, რომ არაქართველმა, აფხაზმა ლეონმა დაიპყრო ეგრისი და შეიქმნა ერთიანი არაქართული სახელმწიფო "აფხაზეთი".

აღნიშნულთან დაკავშირებით პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძველ ქართულში "დაიპყრა" მის თანამედროვე მნიშვნელობასთან ერთად ნიშნავს ძალაუფლების ხელში აღებას, ხელისუფლების პყრობას. არ არის გამორიცხული აქ იყოს "და იპყრა" ე. ი. "და" აიღო ხელში ძალაუფლება. აფხაზეთი ლეონის მემკვიდრეობითი სამფლობელო იყო, ეგრისი მზითვად მიღებული. "დაიპყრას" დღევანდელი მნიშვნელობით განმარტება გაუგებრობას ქმნის. გამოდის რომ ეს ორივე ქვეყანა მან ერთნაირად "დაიპყრა", როგორც თავისი სამემკვიდრეო, ისე მზითვად მიღებული, რომ მას თავისი სამემკვიდრეო ქვეყნის, აფხაზეთის დაპყრობაც დასჭირდა. აქ უდავოდ, ლეონის მიერ ეგრისსა და აფხაზეთში ძალაუფლების ერთნაირად ხელში აღება, გამეფება, ბიზანტიის ქვეშევრდომობაზე უარის თქმა იგულისხმება. ლეონის (გინდა ქართველი და გინდა არაქართველის) მიერ ეგრისის დაპყრობა არ მომხდარა. აღსანიშნავია ისიც, რომ ლეონი, როგორც მთავარი და ეგრისის ვასალი უკვე ფლობდა ერთიან დასავლეთ საქართველოს.

ეს სამეფო ქართული, დასავლურქართული სახელმწიფო იყო. ქართული წყაროები მას "აფხაზეთს", "აფხაზთა სამეფოს" უწოდებენ, რადგან სამეფო დინასტია ქართული ისტორიულგეოგრაფიული რეგიონიდან, საკუთრივ აფხაზეთიდან იყო გამოსული. "სახელწოდება "აფხაზეთი" ქართულიდან გავრცელდა სხვა ენებში. X ს-ის სომეხი ისტორიკოსი იოანე კათალიკოსი მას ეგრისს, მის მცხოვრებლებს ეგრებს, ხოლო მეფეებს ეგრთა მეფეს უწოდებს. ქართული შუა საუკუნოვანი ეთნოკულტურული კონცეფციით ("ქართლის ცხოვრება", ლეონტი მროველის "მეფეთა ცხოვრება") აფხაზეთი ეგრისში შედის. ამ კონცეფციის თანახმად, როდესაც თარგამოსმა მემკვიდრეებს გაუყო თავისი ქვეყანა "ეგროსს მისცა ქუეყანა ზღჳს ყურისა, და უჩინა საზღვარი აღმოსავლეთ მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვან ლიხი; დასავლით ზღუა; [ჩრდილო] მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწყდების წუერი კავკასისა", ესაა დასავლეთ საქართველო, ეგრისი. ვახუშტი ბაგრატიონი კი აღნიშნავს: "ეგრისის ქვეყანა ანუ აფხაზეთისა".

თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მას დაუმკვიდრდა სახელწოდება “ეგრისაფხაზეთი”. რადგან ამ დროს მასში ორი ქვეყანა, ეგრისი და აფხაზეთი გაერთიანდა, შეიქმნა ერთიანი დასავლურქართული სახელმწიფო. გაფართოვდა ცნება “აფხაზეთის” და “აფხაზის” მნიშვნელობა, ის მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს, თუმცა ამავე დროს არსებობს მასში შემავალი აფხაზეთის საერისთავო, უძველესი აფხაზეთი.

ტერიტორია, ადმინისტრაციული დაყოფა, მოსახლეობა. ეგრის-აფხაზეთის სამეფო მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს. მისი ჩრდილო საზღვარი კავკასიონის მთავარი ქედი, ჩრდილოდასავლეთით ის მოიცავდა სამხრეთ ჯიქეთს ნიკოფსიითურთ. დასავლეთი საზღვარი პონტოს (შავი) ზღვა იყო. აღმოსავლეთის ლიხის (სურამის) ქედი, სამხრეთი – ქალდეამდე (ან ქალდიის ჩათვლით).

აფხაზთა სამეფოს ტერიტორიულადმინისტრაციულ სისტემაზე თანადროული წყაროები არ შემოგვრჩა. ბუნებრივია, რომ ეს სისტემა ეგრისის (ლაზეთის) სამეფოში არსებული სისტემისაგან განსხვავებული იქნებოდა, სადაც ჯერ კიდევ ძლიერი უნდა ყოფილიყო ტომობრივი თვითმმართველობა და ეთნიკურტერიტორიული მხარეების გამგებელი მთავრები ვასალურ დამოკიდებულებაში იქნებოდნენ ეგრისის მეფესთან. ეგრისაფხაზეთის სამეფოს პოლიტიკური ცენტრალიზაცია, ეგრისის სამეფოსთან შედარებით უფრო ძლიერი იყო და ეს ძველი მთავრები აფხაზთა მეფის ერისთავებს, მოხელეებს წარმოადგენდნენ. მეფე ლეონ II, რომელმაც აქ ადმინისტრაციული რეფორმა ჩაატარა, ჩანს ძირითადად ანგარიში გაუწია უძველესი დროიდან არსებულ ეთნოადმინისტრაციულ ერთეულებს, მაგრამ მათ სათავეში თავისი მოხელე ერისთავები დააყენა.

ეგრისაფხაზეთის სამეფოს ტერიტორიულადმინისტრაციულ დაყოფაზე ცნობას გვაწვდის XVIII ს-ის ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი, რომლის თანახმად ეს სამეფო რვა საერისთავოდ იყო დაყოფილი: 1. აფხაზთა; 2. ცხუმის; 3. ეგრისის (ცენტრი ბედია); 4. გურიის; 5. რაჭალეჩხუმის; 6. სვანეთის; 7. არგვეთის (ცენტრი – შორაპანი); 8. ქუთაისის. ვახუშტის ამ ცნობაში სწორადაა ასახული დასავლეთ საქართველოს ტერიტორიულადმინისტრაციული დაყოფა, რომელიც შეესაბამება აქ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ეთნოპოლიტიკურ რუკას, რომ ვახუშტის ეს ცნობა ნდობას უნდა იმსახურებდეს, ამას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ მის მიერ დასახელებული საერისთავოებისნაწილი იხსენიება XII – XIV საუკუნის წყაროებში. მაგალითად: ცხუმის, ოდიშის (იგივე ეგრისის), რაჭალეჩხუმის (იგივე რაჭათაკვერის), სვანეთის, არგვეთის. ჩანს ვახუშტის ჩვენთვის უცნობი ძველი წყარო ჰქონდა ხელთ, სადაც საერისთავოთა ეს სისტემა იყო წარმოდგენილი.

ვახუშტის ამავე ცნობის და მისი დამადასტურებელი XII – XIV საუკუნეების წერილობითი წყაროების თანახმად სამეფოში ქართული მოსახლეობა, ეგრები, გურულები, რაჭალეჩხუმლები, სვანები, აფხაზები ივარაუდებიან. აღნიშნულთან დაკავშირებით დგება აფხაზთა საერისთაოს და აფხაზთა საკითხი. თუ ვახუშტისთან აფხაზთა და ცხუმის საერისთაოები ცალცალკეა დასახელებული, რაც IX – X საუკუნეების ვითარებას ასახავს XIII ს-ის ისტორიკოსი (“ისტორიანი და აზმანი შარავანდედისანი”) ჩამოთვლის რა დასავლეთ საქართველოს საერისთაოებს, აფხაზეთის საერისთავოს ცალკე არ გამოყოფს, რაც, რასაკვირველია, არ არის შემთხვევითი

გარემოება. XII სში, როდესაც საერისთავოთა გაერთიანებაგამსხვილება მოხდა, აფხაზეთის საერისთავო ცხუმის საერისთავოსთან გაერთიანდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აფხაზთა საერისთავოში ეთნიკურად იგივე ქართული მოსახლეობა იყო, როგორც ცხუმის საერისთავოში. უდავოა, რომ ცალცალკე არსებულ საერისთაოებში იყო გარკვეული ლოკალური თავისებურებანი, მაგრამ ყველა ერთად ისინი საერთო ქართულის ნაწილები იყვნენ. მეფე ლეონტის მიერ გატარებულ ადმინისტრაციულ დაყოფაში აფხაზთა საერისთავოს ცალკე გამოყოფა, ალბათ იმ მოტივით აიხსნება, რომ ამდროინდელიდა მომდევნო ხანის აფხაზეთი და აფხაზები არ განიხილებიან სხვა ქართველთაგან განსხვავებულ ეთნოსად, ამას ქვემო იბერიის (ე. ი. დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთის) კათოლიკე არქიეპისკოპოსის, პიეტრო გერალდის, 1330 წ. რომის პაპისადმი გაგზავნილი ეპისტოლეც ასაბუთებს. ცხუმის მაცხოვრებლად ის ასახელებს ქართველებს, ებრაელებს, მუსლიმებს, ე. ი. მისთვის აქ მცხოვრები აფხაზები, რომელნიც ამ დროს მის სამწყსოში ნამდვილად ცხოვრობენ,ქართველები არიან. კიდევაც რომ ვივარაუდოთ, რომ III სს-ის ანტიკურ წყაროებში საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე მოხსენიებული აბაზგები და აფსილები გენეტიკურად არაქართველ ეთნოსს წარმოადგენდნენ (რაც ფრიად საეჭვოა), რა დროიდანაც არ უნდა ივარაუდებოდეს აქ მათი მოსახლეობა, გვიანანტიკურ და შუასაუკუნოვან საქართველოში ისინი ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც მათ გვერდით მცხოვრები ეგრები, სვანები, კახები და სხვანი. ისინი მათი საერთო ცხოვრებით ცხოვრობდნენ, როგორც ისინი ისე მონაწილეობდნენ ქართული სახელმწიფოს, ქართული კულტურის შექმნაში (ნ. ბერძენიშვილი). ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ არც “ისტორიანი და აზმანის” ავტორისათვის და არც პიეტრო გერალდისათვის, ისინი “სხვა” არ არიან. “სხვა”, არაქართველი “აფხაზი” ჩნდება გვიან, რის შესახებ თავის ადგილას იქნება აღნიშნული. თუმცა აქაც უნდა ითქვას, რომ ისტორიული ვითარების პირობებში, რაც XIII – XV, განსაკუთრებით XVI – XVII საუკუნეებში ხდება, მოსახლეობა შემცირებულ საქართველოში მასობრივ ხასიათს იღებს ჩრდილო კავკასიიდან ნომადების ჩამოსახლება. ამ დროიდან ჩნდება კახეთში სხვადასხვა დაღესტნელ ეთნოსთა (ჩვენ ყველას ლეკი რომ ვუწოდეთ), შიდა ქართლის მთიანეთში ალანოსთა და დასავლეთ საქართველოს უკიდურესად ჩრდილოდასავლეთ რეგიონში, საკუთრივ ისტორიულგეოგრაფიულ მხარე აფხაზეთში, ჩრდილო კავკასიიდან ჩერქეზულადიღეურ ეთნოსთა წარმომადგენლების კომპაქტური მოსახლეობის გაჩენა.იმდროინდელმა ჩვენმა წინაპრებმა მათ “აფხაზი” უწოდეს, რადგან ქართულ სამართალში ქართულ მიწაზე დასახლებული უცხოელი, ხიზანი, მესამე თაობაში უკვე მკვიდრად იწოდებოდა (არა აბორიგენად). თვითონ ისინი თავის თავს “აფსუას” უწოდებდნენ და უწოდებენ. მათ ძირითადად მშვიდობიანი გზით, ნაწილობრივ ბრძოლით დაიკავეს მოსახლეობაშემცირებული ქართული მიწაწყალი, XV – XVII სს-დან ქართველი და განსაკუთრებით აქ მოღვაწე უცხოელები, რომელნიც მანამდე აფხაზს არ განასხვავებდნენ ქართველისაგან, ერთხმად მიუთითებდნენ, რომ აფხაზები (რომელთაც ისინი სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებდნენ), ენით, რწმენით, დასახლების ხასიათით, მეურნეობით, ადათჩვევებით კარდინარულად განსხვავდებიან მათი მეზობლებისგან ე. ი. ქართველებისაგან. ეს აფსუები აქ ჩამოყალიბდნენ ერად,აქვთ საკუთარი კულტურა (ენა, მწერლობა, ხელოვნების ყველა დარგი), მკაცრად ჩამოყალიბებული თვითშეგნება, აქვთ უფლება ადმინისტრაციულ-

კულტურულ ავტონომიაზე საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში, მაგრამ არა აქვთ უფლება ქართულ მიწაზე. ის მიწაწყალი სადაც ისინი სახლობენ საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ეგრისაფხაზეთის სამთავროს მოსახლეობა ქართველები არიან. რასაკვირველია, ეს არ გამორიცხავდა უცხოელთა ცალკეული წარმომადგენლების ყოფნას ამ ქვეყნებში. როგორც კარგადაა ცნობილი, მონოეთნიკური არც ხალხი, არც სახელმწიფო არ არსებობს, მაგრამ ეს საერთო სურათს ვერ ცვლის. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ არსებულ ვითარებაში ამ უცხოელთა ასიმილაცია შედარებით ადვილად და სწრაფად ხდებოდა.

მთავრები და მეფეები. წერილობით წყაროებში ლეონ Iი, პირველი ერისთავია, რომლის დროს ერთიანდება ეგრისი და აფხაზეთი (დაახლ. VIII ს-ის 40-იანი წლები) და რომელიც ამ დროიდან მთავარია. მისი მომდევნო "მთავარი" VIII ს-ის ბოლოდან არის "მეფე" ლეონ I-ის ძმისწული, ლეონ II-ა.

საისტორიო წყაროები არაფერს ამბობენ მათი წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების შესახებ. მკვლევართა ნაწილი მათ ბერძნებად თვლის, რადგან ბიზანტიის იმპერიის არქონტები (ერისთავები) იყვნენ აბაზგიაში, არქონტებად კი საიმპერიო კარი, როგორც წესი, ბერძნებს ნიშნავდა. მკვლევართა ნაწილი არაქართველ აფხაზებად თვლის, ნაწილი ქართველებად, საკუთრივ ქართული ისტორიულგეოგრაფიული რეგიონის აფხაზეთის წარმომადგენლებად. არც ერთი ამ მოსაზრებისათვის მყარი წყაროთმცოდნეობითი საფუძველი არ არსებობს, სამივე მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება თუმცა მაინც გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მათი თანამედროვე (X ს.) სომეხი ისტორიკოსი იოანე კათალიკოსი ამ მეფეებს ეგრებს უწოდებს. ამასთანავე, ცნობილია, რომ ქალის ხაზით ისინი ქართლის, ბაგრატიონი ერისმთავრების (მეფეების) ჩამომავლები არიან. ხოლო XII-ის სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდი მათ ქართველი მეფის ვახტანგ გორგასლის ჩამომავლებად თვლის. ასე რომ ჩვენ უშუალო მეზობლებს ისინი ქართველებად მიაჩნიათ.

რასაკვირველია, საინტერესოა მათი ეთნიკური კუთვნილების გარკვევა, მაგრამ მთავარი მაინც საკუთრივ მათი ეროვნული თითშეგნება, სახელმწიფო მოღვაწეობაა. ეროვნული თვითშეგნებით და მოღვაწეობით ისინი ქართული სახელმწიფოს ქართველი მეფეები იყვნენ. ამ ეროვნული თვითშეგნების დამადასტურებელი ფაქტია პირველი მეფის, ლეონ II-ის მიერ, სამეფოს დედაქალაქის ქუთაისში, ერთერთ უძველეს ქართულ ქალაქში, ქართული კულტურის, ქართული მოსახლეობის ცენტრში დაფუძნება. საკუთრივ აფხაზთა საერისთავოს ცენტრი ანაკოფია იყო. ეგრისისა და აფხაზეთის გაერთიანების დროისათვის ეგრისის ცენტრი ქუთაისში იყო, სადაც იმყოფებოდა ქართლის ბაგრატიონ ერისმთავართა (მეფეთა) რეზიდენცია. გაერთიანებული დასავლეთ საქართველოს მეფეებმა აქ მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოები ჩაატარეს. გააფართოვეს მეფეთა სასახლე, მოაწესრიგეს სასახლისკენ მიმავალი გზა, შეაკეთეს სასახლის დამცავი კედელი, ციტადელი და სხვ. აქ იყო სავაჭროსახელოსნო ცენტრები, ქალაქი მნიშვნელოვან სავაჭრო გზათა საყარს წარმოადგენდა, რაც ხელს უწყობდა მის შემდგომ ზრდაგანვითარებას. ამ მეფეთა ზოგადქართული პოლიტიკის, ქართული კულტურის განვითარებისათვის ზრუნვის შედეგია აქ შექმნილი ქართული მწერლობის ძეგლები, აგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული თხზულებები. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ცნობილი

მთარგმნელის და ჰიმნოგრაფის, ჭყონდიდის მარტვილის საყდრის ეპისკოპოსის სტეფანოზ სანანოძის მოღვაწეობა, დასავლეთ საქართველოდან, საკუთრივ აფხაზეთიდან იყო IX ს-ის მწერალი “მიქაელ საბაწმინდელის მარტვილობის” ავტორი (თუ არაბულიდან მთარგმნელი). ეს ნაწარმოები, ცნობილი იყო “აბუკურა”ს სახელწოდებით და ის XI საუკუნეში განთქმულმა ქართველმა მწერალმა ექვთიმე მთაწმინდელმა ბერძნულად თარგმნა. მეფე გიორგი II-ის (922 – 957) კარზე მოღვაწეობდა და მეფის მფარველობით სარგებლობდა განთქმული ჰიმნოგრაფი იოანე მინჩხი, რომელიც თავის მადლობას მეფეს ერთერთი თავისი ჰიმნის მინაწერით უხდის. ის წერს: “ესე გალობანი მას კარსა გიორგი მეფესა, დიდსა, დიდითა ვედრებითა აღუწერებიან მინჩხისადა”. აფხაზთა სამეფოში დგებოდა მთავართა და მეფეთა ქრონიკა.

ამ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებამათ ტიტულატურას. სათანადოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არცერთ ჩვენთვის IX – X საუკუნეების წერილობით წყაროებში მათ “აფხაზთა” მეფე არ ეწოდებათ და თვითონ ისინიც, თავის თანამედროვე წარწერებში თავს მხოლოდ “მეფეს” უწოდებენ და არა “აფხაზთა” მეფეს ე. ი.ისინი არ თვლიან საჭიროდ წარმოაჩინონ თავისი კუთხური კუთვნილება, ისინი მეფეები არიან, ასე “მეფედ” არიან ისინი დაფიქსირებულნი კონსტანტი II-ის (893 – 922), გიორგი II-ის (922 – 957), ლეონ III-ის (957 – 967) ე. ი. მათი მეფობის წლებში შესრულებულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში.

დასავლეთ საქართველოს მეფეებს “აფხაზთა” მეფეს XI ს-ის და შემდგომი ხანის (მატიანე ქართლისა, სუმბატ დავითისძე ვახუშტიბაგრატიონი) ქართველი ისტორიკოსები უწოდებენ, მას შემდეგ, რაც ბაგრატ ბაგრატიონი, ერთიანი შუასაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოს, საქართველოს, პირველი მეფე (975/810 – 14) დასავლეთ საქართველოს მეფედ აკურთხეს ქუთაისში, სადაც მან “აფხაზთა”, ანუ დასავლეთ საქართველოს მეფის ტიტული მიიღო, ის ამ სამეფოს ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე იყო დედის ხაზით. ტიტულატურის საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტსაც, რომ აფხაზეთის მთავრების და მეფეთა ქრონიკას კონსტანტინე III-ის მეფობის ჩავლით (893 – 912) “მეფეთა დივანი” ეწოდებოდა, ხოლო მას შემდეგ რაც ეს “ქრონიკა” განაახლა მეფე ბაგრატ IIIმ მას ეწოდა “აფხაზ მეფეთა დივანი”, რაც ბაგრატ III-ის ტიტულითაა განპირობებული. “ქართველთა მეფის” ტიტული მან თავისი მამის ხაზით წინაპარი ქართველთა მეფის გარდაცვალების შემდეგ მიიღო, ხოლო “კახთა და ჰერთა” მეფის ტიტული კახეთჰერეთის შემოერთების შემდგ. ნიშანდობლივია რომ ეს ტიტულატურა “მეფე აფხაზთა, ქართველთა, ჰერთა, კახთა” მიუხედავად საუკუნეთა მანძილზე ქართველ მეფეთა ტიტულატურაში მომხდარი რიგი ცვლილებებისა, ურყევად დარჩა რუსეთის მიერ ანექსირებულ საქართველოში მეფის ხელისუფლების გაუქმებამდე. ლეონ I ერისთავამდე წყაროებში იხსენიებიან თეოდოსი I და კონსტანტი II, ხოლო მის შემდეგ ლეონ II, რომელმაც VIII სის ბოლოს მოიპოვა დამოუკიდებლობა ბიზანტიისაგან. როდესაც გარდაიცვალა მეფე ლეონ II და შემდეგ მისი უფროსი ძე თეოდოსი (825 წ.) ტახტი ლეონის უმცროს ძეს, მცირეწლოვან ბაგრატს უნდა დაეკავებინა, მაგრამ ტახტისათვის ატყდა ბრძოლა. 861 წ. ტახტი დაიკავა გიორგი I-მა. მისი გარდაცვალების შემდეგ ისევ დაიწყო ბრძოლა ტახტისათვის. გიორგი I-ს ძე არ ჰყავდა და ბუნებრივია, პრეტენზიას მეფობაზებაგრატი აცხადებდა, მაგრამ ისევ ხდებოდა მისი

უფლებების შელახვა. თუ პირველ შემთხვევაში ეს შეიძლებოდა ბაგრატის არასრულწლოვანებით ახსნილიყო, ახლა უკვე ამას არავითარი გამართლება არ ჰქონდა. გიორგი I-ის მეუღლის მეოხებით ბაგრატი სამშობლოდან გააძევეს, თავშესაფარი მან ბიზანტიაში ჰპოვა. სამეფოში დინასტიის ცვლა მოხდა, დაქვრივებული დედოფლის მხარდაჭერით ტახტი შავლიანთასაგვარეულოს წარმომადგენელმა, ივანემ (868 – 879) დაიკავა. არ არის გამორიცხული, რომ შავლიანები ამ დროს სამეფოს ერთერთი საერისთავოს, სვანეთის ერისთავები არიან და მონაწილეობდნენ ტახტისათვის წარმოებულ ბრძოლაში. მდგომარეობის განმტკიცების მიზნით ივანემ თავის ვაჟს ადარნასეს ცოლად შერთო ტაოკლარჯეთის ერთერთი მთავრის, აშოტ Iისვაჟის, გურამ ბაგრატიონის ასული. მაგრამ მეფობის კანონიერმა მემკვიდრემ ბაგრატმა საიმპერატორო ხელისუფლების დახმარებით, რომელმაც მას ლაშქარი და ფლოტი მისცა, შესძლო ტახტის დაკავება. შეიჭრა აფხაზეთში, მოკლა ადარნასე შავლიანი და გამეფდა (881 – 882 წლებს შუა), მეფობდა 893 წლამდე. რომელ სოციალურ ან საზოგადოებრივ ფენებს ეყრდნობოდაბაგრატი, ცნობილი არ არის, მემატიანე მხოლოდ ბიზანტიის ხელისუფლების მიერ გაწეულ დახმარებაზე მოგვითხრობს. შემდეგ მეფობს მისი შვილი კოსტანტი III (893 – 922) და მის შემდეგ მისი ძე გიორგი II (922 – 937). გიორგი II-ის შემდეგ ისევ იწყება ბრძოლა ტახტისათვის. მეფე გიორგის ოთხი ძე ჰყავდა (ლეონი, დემეტრე, თეოდოსი, ბაგრატი), ორი ძე – თეოდოსი და ბაგრატი მეფე გიორგიმ ადრე გაგზავნა ბიზანტიაში, "რათა შემდგომად სიკუდილისა მისისა არა იყოს მათ შორის ბრძოლა და ჴდომა" ("მატიანე ქართლისა"). მაგრამ მან ძმებს შორის "ბრძოლას და ჴდომას" წერტილი ვერ დაუსვა. გიორგის შემდეგ გამეფდა მისი უფროსი ვაჟი ლეონ III (957 – 967) და რადგან მას ვაჟი არ ჰყავდა, ტახტი ძმამ დემეტრემ (967 – 975) დაიკავა, მამის მიერ ბიზანტიაში გამწესებულმა თეოდოსიმ პრეტენზიები წამოაყენა. ძმათა შორის ბრძოლამ დაძაბული ხასიათი მიიღო. მეფე დემეტრეს ჩანს ბევრი მოწინააღმდეგე ყავდა, რომელთაც დაამყარეს კავშირი თეოდოსისთან და ძმის წინააღმდეგ გამოლაშქრება შესთავაზეს. თეოდოსი მოვიდა სამცხეს, სადაც მას ადგილობრივმა აზნაურებმა დახმარება აღმოუჩინეს, მაგრამ დამარცხდნენ. ჩანს, თეოდოსი დემეტრეს ჩაუვარდა ხელთ, რადგან ისტორიკოსის სიტყვით თეოდოსიმ და მისმა მომხრეებმა, "ითხოვეს ფიცი და სიმტკიცე, რათა განუტეონ თეოდოსი და წარვიდეს მშვიდობით" და "წარვიდა დავით კურაპალატისა და მუნ დაყო წელიწადი ერთი". ვერ ვიტყვით ტაოს, დავით კურაპალატთან წასვლა თეოდოსის სურვილით მოხდა, თუ ეს მეფე დემეტრეს ინიციატივა იყო, ყოველ შემთხვევაში, დავით ტაოელის კარი თითქოს საიმედო ადგილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თეოდოსი, ჩანს ეძებდა გზებს და მომხრეებს და ერთი წლის შემდეგ "წარმოვიდა ტაოთ და მოვიდა კახეთად". ეტყობა მოსალაპარაკებლად ერთობლივი მოქმედების შესახებ. მეფე დემეტრემ სცადა საქმის მშვიდობიანი გზით მოგვარება, გამოუგზავნა მოციქული თეოდოსის და ქორეპისკოპოს კვირიკეს "და რქუა: რადგან მოვიდა ძმა ჩემი საბერძნეთით, არა დაილევის ჩუენ შორის ბრძოლა სიტყჳთა კაცთათა: აწ შუამდგომლობითა შენითა მომანდვე ძმა ჩემი, და ვიყნენ ორნივე სწორად უფლ მამულსა ჩუენსა... და აღიღე ჩემგან სიმტკიცე და შუამდგომელნი და შენგან დიდად დავიმადლო საქმე ესე". კახთა მთავარი ენდო დემეტრეს, მართალია, დემეტრემ დასდო ფიცი სვეტიცხოველში კათალიკოსის, მღვდელმოძღვართა და დიდებულთა თანდასწრებით, მაგრამ როდესაც თეოდოსი მივიდა მასთან, "დაყვნა დღენი მცირედნი, ხოლო დემეტრე მეფემან

დაივიწყა შუამდგომლობა ღმრთისა და კაცთა და შემართა ფიცთა გატეხა: შეიპყრო თეოდოსი და დასწუნა თუალნი”. მეფე დემეტრეს მიერ ფიცის გატეხვით უკმაყოფილო ძალებმა მოინდომეს მისი გადაყენება, მაგრამ “ვერ შეუძლეს ამისი ქმნა, რამეთუ დემეტრე მეფე იყო მჴნე და ახოვანი”. დემეტრეს გარდაცვალების შემდეგ (975 წ.) “რომელ არღარა დარჩა მკჳდრი აფხაზეთისა და ქართლისა, გამოიყვანეს თეოდოსი, და დასუეს მეფედ” (“მატიანე ქართლისა”). ტახტი უსინათლო თეოდოსიმ დაიკავა. ამ თეოდოსზე დასრულდა აფხაზთა ერისთავ ლეონ Iის და ქართლის ბაგრატიონ ერისმთავართა(მეფეთა) ჩამომავლების მეფობა. რომ ეს მეფეები თავისი ეროვნული თვითშეგნებით და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით ქართველები იყვნენ აშკარად დასტურდება მათ მიერ გატარებული საეკლესიო რეფორმით.

ეკლესია. ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად ეგრისში IV ს-ში, ხოლო აფხაზეთში VI ს. გამოცხადდა. დასავლეთ საქართველოს დასავლეთი ნაწილი VIII ს-ის ჩათვლით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში იმყოფებოდა.

ეგრისაფხაზეთის მეფეთა წინაშე თავიდანვე დადგა ეკლესიის პრობლემა, დასავლეთ საქართველოს გაერთიანების და ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური გავლენისაგან განთავისუფლების შემდეგ. სახელმწიფოს ნაწილში იმპერიის საეკლესიო უზენაესობის მოთმენა უკვე აღარ შეიძლებოდა. მით უმეტეს, რომ სამეფოს აღმოსავლეთი ნაწილი, როგორც ვარაუდობდნენ, უკვე VI ს-დან აღარ ექვემდებარებოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციას და მცხეთის ტახტის სამწყსოს წარმოადგენდა, სადაც საეკლესიო წირვალოცვა მშობლიურ, ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ბიზანტიის საიმპერატორო კარი ცდილობდა ახალ სახელმწიფოზე გავლენა თავისი ეკლესიის მეშვეობით მოეხდინა, ხოლო აფხაზთა მეფეებისათვის, პირველ რიგში, კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფი ეკლესიის მისგან გამოყოფის და დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გაერთიანების, ხოლო შემდეგ ერთიან ქართულ ეკლესიასთან გაერთიანების საკითხი იდგა. ბრძოლა მძიმე და ხანგრძლივი იყო.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში დასავლეთ საქართველოს ოთხი დიდი ეპარქია შედიოდა: 1. ფაზისის სამიტროპოლიტო, საკუთრივ ეგრისი, ოთხი საეპისკოპოსო კათედრით, ძიგანევის (გუდავის), პეტრას, როდოპოლისის (ვარციხე), საისენის (ცაიშის), 2. ბიჭვინთის საარქიეპისკოპოსო, რომელიც მოიცავდა საკუთრივ აფხაზეთს (აბაზგიას). 3. ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსო, რომელშიც შედიოდა ჯიქეთი და 4.სებასტოპოლის (ცხუმის) კათედრა. დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ეპარქიები როგორც ვარაუდობენ, VI საუკუნიდან (ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს VII – VIII საუკუნეების) ქართლის საკათალიკოსოს სამწყსოს წარმოადგენდნენ. კონსტანტინოპოლის საპატიარქოში შემავალი ეკლესიების სიებით IX ს-ის დასაწყისში ჩამოთვლილი ეპარქიები კონსტანტინოპოლის სამწყსოში შედიან, ხოლო X ს-ის ნუსხებში უკვე აღარ იხსენიებიან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ეპარქიები უკვე აღარ შედიან კონსტანტინოპოლის სამწყსოში. მაგრამ სახელდობრ როდის მოხდა ეს გამოყოფა, IX ს-ის რომელ ეტაპზე. ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. ვფიქრობთ, ამ საკითხის გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ფაქტს, რომ IX ს-ის დასაწყისიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე მაგ. სოფ. სიმგხუაში (გუდაუთის რნი) ქართული წარწერის არსებობაა დადასტურებული, რაც იმას ნიშნავს, რომ საეკლესიო წირვალოცვის, სახელმწიფო მმართველობის, კულტურის ენა,

ქართულია და თუ უფრო ადრე არა IX საუკუნის დასაწყისიდან, ის ეპარქიები უკვე აღარ შედიოდნენ კონსტანტინოპოლის სამწყსოში, სადაც წირვალოცვა ბერძნულად მიმდინარეობდა, ეხლა უკვე კი დანარჩენი დასავლეთ საქართველოს ეკლესიისდარად აქ საეკლესიო მსახურება უკვე ქართულად ტარდებოდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ VIII – IX ს-ის პირველ ნახევარში ბიზანტიის იმპერიაში ხატმებრძოლებსა და ხატების თავყვანისმცემლებს შორის მიმდინარე დაძაბული ბრძოლის ვითარებაში, დასავლურქართული ეკლესია მყარად იდგა ტრადიციული ხატების თაყვანისცემის პოზიციაზე, ე. ი. ის ამ დროს უკვე აღარ ექვემდებარებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. საკითხის ერთნიშნად გადაჭრას ხელს უშლის, ის რომ სებასტოპოლის (ცხუმის) ეპარქია იხსენიება კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებაში მყოფ ეპარქიათა X ს-ის დასაწყისის ნუსხაში. აღნიშნულ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული, შეიძლება გამორიცხული არ იყოს შესაძლებლობა, რომ ყველა ეპარქიის გამოყოფა ერთდროულად არ მომხდარა, პროცესი თანდათან მიმდინარეობდა და ცხუმის ეპარქია ყველაზე გვიან გამოეყო ცენტრს.

ამ ეკლესიის მეთაური “აფხაზთა” (ე. ი. დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსად იწოდებოდა. მართალია აფხაზთა კათალიკოსი პირველად XI საუკუნეში იხსენიება, ესაა “სჳმეონ აფხაზეთისა კათალიკოსი”, მაგრამ სავარაუდოა, რომ აფხაზთა კათალიკოსი IX საუკუნეში, კონსტანტინეპოლიდან გამოყოფის დროიდან არსებობს, რისი დასტური ისიც შეიძლება იყოს, რომ მას სწორედ “აფხაზთა” კათალიკოსი ეწოდება.

ბუნებრივია, რომ ეკლესიის კონსტანტინოპოლიდან გამოყოფა წინააღმდეგობას წააწყდებოდა, მაგრამ დამარცხებამ პოლიტიკური ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, შესაძლებელი გახადა საეკლესიო ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტაც.

თავდაპირველად გაერთიანდა დასავლეთ საქართველოს ეკლესია, მაგრამ შემდეგ დგება საკითხი, სახელდობრ რა დროიდან შეიძლება ივარაუდებოდეს აფხაზთა სამეფოს ეკლესიის მცხეთის ტახტის იურისდიქციაში შესვლა. მართალია, აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს, მაგრამ ვფიქრობთ ქართული ქვეყნების სახელმწიფოდ გაერთიანებას წინ საეკლესიო გაერთიანება უძღვის (გარკვეული თვალსაზრისით ეს თანმხლები პროცესიცაა). ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა საქართველოს კათალიკოსის “პატრიარქობის” პრობლემა. პატრიარქად ამჯერად ცნობილ წერილობით წყაროებში, პირველად პარხალის ეკლესიის წარწერაში, იხსენიება “ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქი” იოვანე. მისთვის პატრიარქის ტიტულის მინიჭება სწორედ იმ დიდი მნიშვნელობის მოვლენასთან უნდა იყოს დაკავშირებული ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას რომ გულისხმობს. მართალია ამ იოვანეს პატრიარქობასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ეს X ს-ის ბოლო ოცეულში უნდა მომხდარიყო. მაგრამ ანგარიშგასაწევად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ამ ეკლესიის აშენება და პატრიარქობის დაწესებაც უკავშირდება დავით ტაოს მეფე კურაპალატის სახელს და ამდენად არ არის გამორიცხული, რომ ეს სწორედ მისი განსაკუთრებული აქტიური მოღვაწეობის ხანაში განხორციელდა, როდესაც ის ცდილობდა ყველა ძალების მობილიზებას ბაგრატის გამეფებისათვის.საკითხის გარკვევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გიორგი მერჩულეს ცნობილ ფორმულას, რომ

“ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეწირვისა და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების”. ეს იწერება 950 წელს, როდესაც ქართული ქვეყნები ჯერ არ არის გაერთიანებული ერთ შუასაუკუნოვან “საქართველოდ”, და ამდენად აქ “ქართლი” არ მიუთითებს პოლიტიკურ ერთობაზე. აქ საეკლესიო ერთიანობაზეა მითითება. ამ დროს დასავლეთ საქართველო “ქართლია” ე. ი. ის მცხეთის სამწყსოა. მაგრამ საკითხის ერთი მხარეა იმპერიიდან პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება, ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციიდან გამოყოფა, საეკლესიო გაერთიანება და, მეორე იმ დიდი გავლენის აღმოფხვრა, რაც ბიზანტიას დასავლეთ საქართველოში ჰქონდა. ამ გავლენის აღმოფხვრა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რადგან მას ხანგრძლივი და ღრმა კულტურული ფესვები ჰქონდა. ბიზანტიის სახელმწიფო და საეკლესიო ხელისუფლება თავისი იდეოლოგიის დაცვას აქ არსებული საეპისკოპოსოების მეშვეობით ცდილობდა და სწორედ ამ გავლენის აღმოფხვრას ისახავდა მიზნად აღნიშნული კათედრების გაუქმება, “მოშლა”, როგორც ამას საისტორიო წყარო უწოდებს. თანდათან გაუქმდა ფაზისის სამიტროპოლიტო და მასში შემავალი საეპისკოპოსოები, მათ მაგიერ დაარსდა ახალი საეპისკოპოსოები, მოქვი, დრანდა, ბედია, ქუთაისი და სხვ. ამგვარად, საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა კულტურულსარწმუნოებრივი გაერთიანება, რაც კარგად გამოხატა X ს-ის ქართველმა მწერალმა გიორგი მერჩულემ და რისი დასტურიცაა უკვე X საუკუნეში ამ ეკლესიის უზენაესი ხელისუფლის “სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის” წოდების არსებობა.

ურთიერთობა ბიზანტიასთან. VIII – IX საუკუნეთა მიჯნაზე ლეონ II-მ გაათავისუფლა დასავლეთ საქართველო ბიზანტიაზე დამოკიდებულებისაგან. ცხადია, ეს უბრძოლველად არ მომხდარა. ის ფაქტი, რომ ლეონს ხაზართა დახმარება დასჭირდა აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ბიზანტიას ნებაყოფლობით არ დაუთმია პოზიციები.

პოლიტიკურად დამარცხებული ბიზანტიის საიმპერატორო კარი ცდილობდა ფორმალური გავლენა მაინც შეენარჩუნებინა დასავლეთ საქართველოზე, რასაც თითქოს აღწევდა კიდეც, მაგრამ მისი უფლებები ქართული სახელმწიფოებრიობის, და კერძოდ, დასავლურ ქართული სახელმწიფოს მიმართ არ სცდილდებოდა ზედაპირული გავლენისა და მფარველობის ზღვარს. მას არ ჰქონდა ამ სამეფოს საშინაო საქმეებში ჩარევის უფლება, მაგრამ საიმპერატორო ხელისუფლება მაქსიმალურად იცავდა და ხაზს უსვამდა თავის ფორმალურ უფლებებს, რაც გამოიხატებოდა დასავლეთ საქართველოს მეფეებთან ურთიერთობის ფორმაში. ისინი მათ “არხონტს” (ე. ი. “გამგებელს”), ან “ექსუსიასტს” (“მთავარს, “მფლობელს”) უწოდებენ. ასევე უწოდებენ, მაგ., მეზობელი სომხეთის მეფეებსაც. იმპერიაში არსებული დოქტრინის თანახმად “მეფე” (“ბასილევსი”) აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში, მხოლოდ იმპერიის უზენაესი ხელისუფალი იყო, ხოლო ყველა სხვა, მასზე დაბალი რანგის. “ექსუსიასტი” უფრო მაღალი წოდებაა, ვიდრე “არქონტი”, მაგრამ არა “მეფე”. ამასთანავე “ექსუსიასტი” უფრო მჭიდრო პოლიტიკური დამოკიდებულების გამომხატველი იყო, მას თითქოს ბიზანტიის კეისრის წარმომადგენლად თვლიდნენ მის სამეფოში. კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი, აფხაზთა მეფე გიორგი IIს-ადმი (922 – 957) გაგზავნილ ეპისტოლეებში, მას “ექსუსიასტს”, “ბრწყინვალე ექსუსიასტს”აც უწოდებს, მის “მეფურ ღირსებასაც” აღნიშნავს,

მაგრამ “მეფეს” არ უწოდებს, რითაც ხაზს უსვამს მის პოლიტიკურ და უფლებრივ მდგომარეობას. ასეთივე ვითარებაა დადასტურებული დასავლეთ საქართველოს მეფეებისადმი გაგზავნილ დიპლომატიური დოკუმენტების სახელწოდებაშიც, რომელთაც “კელეუსის” ე. ი. “ბრძანება” ეწოდებათ. საიმპერატორო კარიდან სხვა სახელმწიფოთა მეთაურებისადმი გაგზავნილ ეპისტოლეებს ოქროს ბულას (ბეჭედს) ჰკიდებდნენ, რომელზედაც იმპერატორის პორტრეტი იყო ამოკვეთილი. ოქროს ბულის ღირებულება ადრესატის ღირსებას გამოხატავდა. აფხაზთა მეფეებისადმი გაგზავნილ დოკუმენტს ეწერა: “აბაზგიის ექსუსტიასტს” და მასზე მიმაგრებული ბულის ღირებულება 2 სოლიდი იყო. ბიზანტიის საიმპერატორო კარის მიერ სამხრეთ კავკასიის ხელისუფალთათვის გაგზავნილი დოკუმენტებიდან ჩანსმათდამი დამოკიდებულების ფორმა. ბიზანტიის კარი ქართველ ხელისუფალთა შორის, მართალია აფხაზთა მეფეს “მეფეს” არ უწოდებდა, მაგრამ მაინც დამოუკიდებელ მმართველად თვლიდა. თუმცა საქართველოს მეზობელ სახელმწიფოთაგან აფხაზთა მეფეებზე უფრო მაღალ რანგში ბაგრატიდთა სომხეთის ხელისუფალნი იყვნენ აყვანილნი.

აღნიშნული ფაქტები მიუთითებენ ბიზანტიის იმპერიის მხოლოდ პრეტენზიებზე და არა მის ძალაუფლებაზე. იმპერია ორი გზით ცდილობდა თავისი ხელისუფლების აღდგენას დასავლეთ საქართველოზე, პირდაპირი აგრესიით და ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევით.

IX ს-ის 30-40იან წლებში ბიზანტიამ რამდენჯერმე ილაშქრა ეგრისაფხაზეთის წინააღმდეგ, IX სის 30იანი წლების დასაწყისში და მეორედ და მესამედ 842 – 844 წლებში. სამივე ეს ლაშქრობა მარცხით დამთავრდა, უკანასკნელი ლაშქრობის დროს ბიზანტიელებმა 40 ათასი კაცი დაკარგეს.

რა თქმა უნდა ბიზანტიის იმპერია ეგრისაფხაზეთზე უფრო ძლიერი სახელმწიფო იყო და თითქოს მას არ უნდა გაძნელებოდა მისი დამორჩილება, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, აფხაზთა სამეფომ შეინარჩუნა დამოუკიდებლობა და ბიზანტიამ უკან დაიხია (ყოველ შემთხვევაში დროებით მაინც), რაც გამოწვეული იყო ბიზანტიის იმპერიის გართულებული საშინაო და საგარეო მდგომარეობით. მას გამუდმებული ბრძოლები ჰქონდა არაბთა სახალიფოსთან და საამიროებთან, ზოგჯერ ხაზარებთან, სლავურ სახელმწიფოებთან და მის მიერ დაპყრობილ, აჯანყებულ ხალხებთან; ამას ემატებოდა შიდასოციალური ბრძოლები, სასახლის ხშირი შეთქმულებები, ბრძოლა ხატმებრძოლებსა და ხატების თაყვანისმცემლებს შორის და სხვა. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ეგრისაფხაზთა სამეფო აღმავლობის გზაზე მყოფი სახელმწიფო იყო და მისი დამორჩილება ადვილი არ იყო ისეთი დიდი სახელმწიფოსათვისაც კი, როგორიც ბიზანტიის იმპერიაა.

უფრო წარმატებული იყო ბიზანტიელთა ცდები გამოეყენებინათ აფხაზთა სამეფოს კარზე დაპირისპირებანი, ის, როგორც წესი, ეხმარებოდა ტახტის მაძიებელ უფლისწულებს, ძმათა შორის ბრძოლაში ჩაბმული უფლისწულები თავშესაფარს ბიზანტიაში პოულობდნენ. თავის მხრივ აფხაზთა სამეფოც ცდილობდა იმპერიაში არსებული სირთულეები თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. 821 – 823 წლებში ქართველები მონაწილეობდნენ ბიზანტიაში მიმდინარე იმ დიდ სოციალურ მოძრაობაში, რომელიც თომა სლავის აჯანყების სახელითაა ცნობილი. ეს იყო დიდი მასშტაბის ანტისახელმწიფოებრივი მოძრაობა, რომელშიც დაპყრობილი ხალხებიც

იღებდნენ მონაწილეობას, მართალია ეს აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მან მაინც საკმაოდ შეარყია ბიზანტიის ძლიერება.

ბრძოლა არაბთა სახალიფოსთან და მაჰმადიანურ საამიროებთან. როგორც ჩანს მურვან ყრუს დამარბეველი ლაშქრობის შემდეგ (735 – 738), არაბებს დასავლეთ საქართველოს დაპყრობა აღარ უცდიათ. გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ 823 წელს ბიზანტიელთა ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში არაბთა წინააღმდეგ აჯანყებული ქართველების დასახმარებლად იყო გამიზნული. თუმც ამის დამადასტურებელი ცნობები არ არსებობს. არსებობს ცნობა, რომ აფხაზები და ხაზარები ხარაჯას უხდიდნენ თბილისის ამირას ხალიფა მუთავაქილის (847 – 861) დრომდე. მაგრამ ეს იყო არა ჩვეულებრივი საადგილმამულო გადასახადი, არამედ ერთდროული ხარკი, არაბთა თავდასხმის თავიდან ასაცილებლად. ასე რომ ეგრისაფხაზეთის სამეფო ფაქტობრივად თავისუფალი იყო არაბთა ბატონობისაგან. დასავლეთ საქართველოში, მიუხედავად არაბთა რამდენიმე მცდელობისა, სახალიფოს ხელისუფლება ვერ დამყარდა. ეგრისაფხაზეთის სამეფო, ფაქტობრივად არაბთა ბატონობისაგან თავისუფალი იყო. მიუხედავად ამისა, აფხაზთა მეფეები აქტიურად მონაწილეობდნენ სახალიფოს და სამხრეთ კავკასიის მაჰმადიანური საამიროების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის აუცილებლობას მათ საქართველოდან არაბთა სრული განდევნის სურვილი უკარნახებდა.

ეგრის-აფხაზეთის მეფე დემეტრე II (825 – 864) იბრძოდა ბუღა თურქის სარდლობით 852 – 853 წწ. სახალიფოს დამსჯელი ლაშქრის წინააღმდეგ, რომელიც სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელი ალბანელი, სომეხი, ქართველი მმართველების დამორჩილების და სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან გადამდგარი საკუთარი მოხელის, ქართლის (თბილისის) ამირას დასჯას ისახავდა მიზნად. ბუღამ 853 წლის 5აგვისტოს დაამარცხა თბილისის ურჩი ამირა ისჰაკ იბნ ისმაილი (ქართული წყაროების საჰაკი) და თავი მოკვეთა მას. აფხაზთა მეფე კი “გამოვიდა წინააღმდეგ მისა... ხოლო ბუღა ვითარცა ცნა, წარავლინა ზირაქ, სპასალარი თჳსი... შეიბნეს და გაქცივნეს აფხაზნი”. X ს-ის დასაწყისში აფხაზთა მეფე კოსტანტი III (893 – 922) ებრძოდა სომხეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში შემოჭრილ აზერბაიჯანის ამირა აბულკასიმს. მან აბულკასიმი ვერ დაამარცხა, მაგრამ შეიკედლა აბულკასიმთან ბრძოლაში დამარცხებული სომეხთა მეფე სუმბატი. მიუხედავად ქვეყნის მორბევისა, აბულკასიმმა საქართველოში მაჰმადიანთა ხელისუფლების აღდგენა ვერ მოახერხა. აფხაზთა სამეფომ თავისი წვლილი შეიტანა აღმოსავლეთ საქართველოში არაბთა ხელისუფლების საბოლოო ლიკვიდაციისათვის.

ურთიერთობა ჩრდილო კავკასიელ მეზობლებთან. ჩრდილოეთიდან ეგრისაფხაზეთის სამეფოს ალანოსები ესაზღვრებოდნენ (დასავლეთით ის მოიცავდა დღევანდელი ჩერქეზეთის ტერიტორიას ზელენჩუკის რაიონის ჩათვლით).

VII – VIII საუკუნეებში ალანები (ქართული წყაროების ოვსები) უტევდნენ დასავლეთ საქართველოს. ბიზანტია მათ დასავლეთ საქართველოს წინააღმდეგ იყენებდა. ალანთა შემოტევებისაგან თავის დაცვის მიზნით აფხაზეთის ხელისუფლება მდინარეების ბზიფისა და კოდორის ხეობებში ციხესიმაგრეებს აგებდა. მაგრამ IX – X საუკუნეებში თვითონ გადავიდა შეტევაზე და საბოლოოდ ოსები თავის მოკავშირეებად აქცია. ბიზანტია იძულებულია დასთმოს

თავისი პოზიციები ოსეთში, სადაც მყარდება ეგრისაფხაზეთის პოლიტიკური და კულტურული გავლენა. IX ს-ში ოსები ზურგს უმაგრებდნენ აფხაზთა სამეფოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხებულ აფხაზთა მეფე კოსტანტი III დვალეთის გზით გადადის და ოსეთში აფარებს თავს. აფხაზთა სამეფოსა და ოსეთს შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია VIII ს-ის 20-იან წლებში უკვე მომხდარი უნდა იყოს, როდესაც არაბებთან კონფლიქტის შედეგად ქართლის ერისმთავარი ოსთა კარით (დარიალის) გადადის ჩრდილო კავკასიაში. 888 წელს აფხაზთა მეფეს შიდა ქართლისათვის ბრძოლაში ოსები ეხმარებოდნენ. IX-X საუკუნეთა მიჯნაზე აფხაზთა მეფე კოსტანტი III (893-922) ენერგიულად უტევს ალანთა კარის მეზობელ ხალხებს, სადაც მისი ინტერესები სომეხთა მეფის სუმბატ ბაგრატუნის ინტერესებს დაუპირისპირდა. კოსტანტი მეფემ მარცხი განიცადა, მაგრამ, ჩანს, ვერც სომეხთა მეფემ მოახერხა ამ ტერიტორიის დაპყრობა.

აფხაზთა სამეფოს ალანებთან ურთიერთობის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ალანთა შორის ქრისტიანობის გავრცელებას. ალანები ქრისტიანობას ადრიდანვე გაეცვნენ. VI სში ბიზანტიის იმპერია ცდილობდა იქ ქრისტიანობის გავრცელებას. მაგრამ სანამ თვით ალანებში არ მომწიფდა საამისო საფუძველი, ქრისტიანობის ქადაგებას წარმატება არ მოყოლია. ოსთა გაქრისტიანება შედარებით წარმატებით X ს. წარიმართა, რასაც ენერგიულად ეწეოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, რომელსაც აქტიურად უჭერდა მხარს აფხაზთა სამეფო კარი. კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი თავის რამდენიმე ეპისტოლეში მოუწოდებს აფხაზთა მეფე გიორგი II-ს (922-957), დახმარება აღმოუჩინოს მათ არქიეპისკოპოსს. ამ ეპისტოლეთაგან ჩანს, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ ალანთა შორის ქრისტიანობის გავრცელება უკვე მეფე გიორგი II-ის მამის დროს დაწყებულა. კონსტანტინოპოლიდან ოსეთში არქიეპისკოპოსი გაუგზავნიათ, ხოლო აფხაზთა მეფე უშუალოდ მონაწილეობდა ალანთამთავრისა და მისი ახლობლების ნათლობაში. ნიკოლოზ მისტიკოსი მადლობას უცხადებს მეფე გიორგის არქიეპისკოპოსისადმი გაწეული ყურადღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის. აფხაზთა მეფეები ქრისტიანობის გავრცელებისა და დამკვიდრებითაც ცდილობდნენ თავისი გავლენის განმტკიცებას ოსებზე, რისი დასტურიცაა IX-X სს-ის ქართული ეკლესიები დასავლეთ საქართველოდან ოსეთში მიმავალ გზებზე. აგრეთვე ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი მდ. ტებერდის ხეობაში, აფხაზეთოსეთის გზაზე. აგრეთვე ქართული ქრისტიანული ტერმინოლოგია ოსურ ენაში. მიუხედავად აფხაზთა მეფეების დიდი მცდელობისა, ამ საქმეში ინიციატივა და უპირატესობა იმპერიას ეკუთვნოდა, რისი დასტურიცაა ალანეთის ქრისტიანული ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარება სამიტროპოლიტოს უფლებით და იქ მათი მიტროპოლიტის არსებობა.

ბიზანტიის მიერ ოსეთში ქრისტიანობის გავრცელება დასავლეთ საქართველოს მეფეთა მხარდაჭერით ოსეთის იმ რეგიონში უნდა მომხდარიყო, რომელიც უშუალოდ ემიჯნებოდა დასავლეთ საქართველოს, ხოლო მის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ბიზანტიის გავლენა არ იყო, ქრისტიანობა შედარებით გვიან, უფრო ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიიდან გავრცელდა.

ურთიერთობა ქართულ სამეფოსამთავროებთან. აფხაზთა მეფეები ცდილობდნენ თავისი გავლენის გავრცელებას ჰერეთზე. კახეთის მთავრებმა კვირიკე I (893-918), რომელსაც ჰერეთის შემოერთება სურდა, რადგან არ ქონდა მხოლოდ საკუთარი ძალების იმედი, შესთავაზა აფხაზთა მეფე კონსტანტი III (893-922) საერთო ძალით გალაშქრება ჰერეთზე (დაახლოებით 915-920 წწ.). მოკავშირეებმა ალყა შემოარტყეს ვეჟინის ციხეს "და ვითარ მისწურეს წაღებად, მაშინ ადარნასე პატრიკა მივიდა... მიუპყრა ზავის პირი, მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზნი, კჳრიკეს ორჭობი". დასავლეთ საქართველოს მეფემ დაიკავა სავაჭრო გზის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ბარდავიდან ჰერეთზე გავლით მოდიოდა და შიდა ქართლის გავლით ჩრდილო კავკასიაში გადადიოდა. აფხაზთა მეფეები თავის ექსპანსიას სამხრეთისკენ ავრცელებენ. კუმურდოს 964 წლის წარწერა ადასტურებს, რომ X ს-ის შუა წლებში აფხაზთა მეფე ლეონ III-ის (957-967) დროს მისი ხელისუფლება ჯავახეთზეც ვრცელდებოდა, სადაც ერისთავი მისი მოხელე ზვიად მარუშიანი იყო.

აქტიურად იბრძოდა "აფხაზთა სამეფო" შიდა ქართლისათვის, დროის მნიშვნელოვან მონაკვეთზე IX ს-ის 60-იანი წლებიდან X ს. 60-იანი წლების ბოლომდე ის ფლობდა ქართლს და იქ თავისი ერისმთავარი ყავდა, მაგრამ ძმებს შორის ტახტისათვის ბრძოლამ დაასუსტა სამეფო და მან მონაწილეობა ვერ მიიღო შიდა ქართლისათვის ბრძოლის დასკვნით ეტაპში.

ეკონომიკური მდგომარეობა. IX-X საუკუნეების დასავლეთ საქართველო საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა იყო. მასში იყო მრავალი ქალაქი, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია ქუთაისი, ეკონომიკურად განვითარებული რეგიონის ცენტრში მყოფი, რომელზედაც საერთაშორისო და ადგილობრივი სტრატეგიული და სავაჭრო მნიშვნელობის გზები გადიოდა. აგრეთვე შავიზღვისპირა ქალაქები, ფაზისი, ცხუმი, ანაკოფია, რომელნიც უძველესი დროიდან აქტიურად იყვნენ დაკავშირებული დასავლურ სამყაროსთან.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ციხესიმაგრეთა მთელი სისტემის არსებობა, როგორც სანაპირო ზოლში, ასევე ქვეყნის შიგნით, განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიაში მიმავალ გზებზე, მომთაბარეთაგან თავდასაცავად. მაგ., ციხესიმაგრე მდ. ბზიფის ხეობაში, ღობლისის ციხე, ალანეთში მიმავალ გზაზე, წებელდის ციხე აფშილეთში, კოდორის ხეობაში და სხვ.

სამეფოში განვითარების მაღალ დონეზე იყო მეურნეობის მრავალი დარგი, სახნავი მიწათმოქმედება, მებაღეობა, მევენახეობა, ფართოდ იყო გავრცელებული ვაჭრობა. ქვეყანაზე გამავალი გზებით ის უკავშირდებოდა დასავლეთით ბიზანტიას, სამხრეთით – ქართველთა სამეფოს (ტაოკლარჯეთს), სომხურ სახელმწიფოებს, არაბთა სახალიფოს, აღმოსავლეთით – აღმოსავლეთ საქართველოს, ჩრდილოეთით – ოსეთს, ხაზარებს და ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებს.

თავი IX. ქართველთა სამეფო (ტაოკლარჯეთი)

სამეფოს ჩამოყალიბება, ხელისუფლების ორგანიზაცია, ურთიერთობა გარე სამყაროსთან, ქართულ სამეფო სამთავროებთან. IX ს-ის დასაწყისში სამხრეთდასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა ახალი ქართული სახელმწიფო, რომლის დამაარსებელი იყო აშოტ ბაგრატიონი. ამ

სახელმწიფოს ქართულ ისტორიოგრაფიაში, “ტაოკლარჯეთი”, “ქართველთა საკურაპალატო” ან “ქართველთა სამეფო” ეწოდება. ტაოკლარჯეთი, რადგან ბაგრატიონთა სახლის ორ შტოდ გაყოფის შედეგად წარმოიქმნა ორი, ტაოს სამეფო და კლარჯ ხელმწიფეთა სახელმწიფო, “ქართველთა საკურაპალატო”, რადგან მის მთავარს “ქართველთა (იბერთა) კურაპალატის” ტიტული ჰქონდა, ხოლო “ქართველთა სამეფო”, რადგან მისმა მეთაურმა IX ს-ის ბოლოს “ქართველთა მეფის” ტიტული მიიღო.

VIII ს-ის ბოლოს და IX ს-ის დასაწყისში აშოტ ბაგრატიონი არაბთა სამსახურში იმყოფებოდა. ის ქართლის ერისმთავარი იყო, სადაც დაუპირისპირდა ერთმანეთს ქართლის ერისმთავრის და არაბთა ხელისუფლების ინტერესები. აშოტ ბაგრატიონი დამარცხდა და იძულებული შეიქნა გასცლოდა ქართლს, რის შემდეგ გაუქმდა ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება. აშოტი ოჯახის წევრებთან და ამალასთან ერთად ილტვოდა ქართლიდან. არაბებმა მას სამხედრო რაზმი დაადევნეს და როდესაც “მოიწივნეს მთასა მას ჯავახეთისასა, კიდესა დიდისა ტბისა, ფარავნისასა დამაშურალნი სვლისაგან, დაგარდახდეს განსუენებლად კიდესა მის ტბისასა, ჭამეს არ პური, და მცირედ მიერულა, და მძინარეთა ეწივნეს დიდნი ლაშქარნი სარკინოზთანი. მაშინ შეეწია ღმერთი აშოტ კურაპალატსა, და კნინსა მას ლაშქარსა მისსა მოსცა ძლევა მათზედა და მოსრნეს სიმრავლენი ურიცხუნი. წარმოვიდეს მუნით და მოიწივნეს ჯევსა შავშეთისასა”, მოგვითხრობს სუმბატ დავითის ძე. აშოტი ბაგრატიონთა დომენში შავშეთსა და კლარჯეთში დაემკვიდრა, ხოლო ცენტრად არტანუჯი აირჩია, V ს-ში ქართლის მეფის ვახტანგ გორგასლის აშენებული, რომელიც მან აღადგინა, აქვე შეიქმნა კარის ეკლესია და სამარხი. აშოტის შემდეგ არტანუჯი იყო მის შთამომავალთა უფროსი შტოს წარმომადგენლობის რეზიდენცია, რომელნიც “არტანუჯელკლარჯ ხელმწიფეებად” იწოდებოდნენ.

შავშეთკლარჯეთი ამ დროისათვის საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, არაბთა შემოსევებმა, შემდეგ მუცლის მოარულმა სენმა (სრვამან სატლობასამან) მოაოჯრა ეს მხარე და “მცირედ დაშთეს კაცნი ადგილადგილი”. მართალია, ქართველ ისტორიკოსთა ცნობებს არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ აქვს გარკვეული რეალური საფუძველი, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია რომ ისინი გარკვეულწილად ამუქებენ არსებულ ვითარებას. სუმბატ დავითის ძე, ბაგრატიონთა გვარის მემატიანე, აშოტის დამსახურების უკეთ წარმოჩენის მიზნით, საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ მხარეთა გავერანებულ მდგომარეობას, სადაც შემდეგ მიმდინარეობს მისი საქმიანობა. ასევე გიორგი მერჩულე, აღწერსრა გრიგოლ ხანცთელის და მის მოწაფეთა მოღვაწეობას ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, რომ ამ სამონასტრო კოლონიზაციის დაწყების დროს ეს მხარე სრულიად გავერანებული იყო. მართალია ორივე ავტორის პოზიციას აქვს რეალური საფუძველი, მაგრამ მათივე ცნობებიდან ჩანს, რომ არც აშოტის საქმიანობა და არც სამონასტრო კოლონიზაცია მთლად ცარიელ ადგილზე არ დაწყებულა. სუმბატის თანახმად, აქ მაინც იყო დარჩენილი მოსახლეობა და “მკჳდართა შავშეთისა შეიწყნარეს იგი სიხარულითა და სიყვარულითა”, ხოლო მერჩულეს თანახმადაც ტაოს, შავშეთს, კლარჯეთსაც იყვნენ მცხოვრებნი, რომელთაც შეუწყვეს ბერებს ხელი ეკლესიამონასტრების მშენებლობაში.

ეკლესიამონასტრების მშენებლობის ინიციატივა სასულიერო პირებს ეკუთვნოდათ, ხოლო მატერიალურ მხარეს, როგორც წესი, საერო ხელისუფლება უზრუნველყოფდა.

შავშეთკლარჯეთი, სადაც აშოტი დამკვიდრდა, ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური გავლენის სფეროში იმყოფებოდა. არაბთა წინააღმდეგ მებრძოლ აშოტს იმპერიამ თავისი მაღალი საკარისკაცო ტიტული – კურაპალატობა უბოძა.

აშოტი ენერგიულად შეუდგა საქმიანობას, "მან სოფლები ზოგი იყიდა საფასოთა, და ზოგი ოჴერი აღაშენა. და განამრავლა სოფლები აშოტ კურაპალატმან ქვეყანათა მათ შინა". მის დროს საკურაპალატოში შედიოდა: შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი, აჭარა, ტაო, სამცხე, ჯავახეთი, არტაანი.

IX ს-ის დასაწყისში საერთაშორისო ვითარება აშოტის სასარგებლოდ შეიცვალა. საგრძნობი გახდა სახალიფოს დასუსტება, რითაც მან კარგად ისარგებლა. შავშეთკლარჯეთი, რომელიც აშოტმა დასამკვიდრებლად აირჩია, ბაგრატიონთა დომენი იყო. ამასთანავე იქ დამკვიდრება მას მოუპოვებდა ბიზანტიის მფარველობას. მართალია იმპერია რეალური ძალით არა, მაგრამ მორალურად მაინც უჭერდა მას მხარს არაბების წინააღმდეგ, ამასთანავე ამ მხარეს ფრიად მოხერხებული მდებარეობა ჰქონდა, ის ესაზღვრებოდა სომხურ მიწებს, სახალიფოს, ბიზანტიის იმპერიის მცირეაზიურ სამფლობელოებს, საქართველოზე გადიოდა ამ ქვეყნებთან დამაკავშირებელი გზები. ქვეყნის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მის დედაქალაქს არტანუჯს, ბიზანტიის იმპერატორის, ისტორიკოს კონსტანტინე პორფიროგენტის (913-945) ცნობით "არტანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი რაბადი და დაბაქალაქიც და იქ მიდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა და არმენიის და სირიის ყველა ქვეყნიდან, და ამ საქონლიდან მას უამრავი ბაჟი შემოსდის. არტანუჯის მიწაწყალი, ესე იგი არზენი დიდი და ნაყოფიერია და წარმოადგენს იბერიის, აფხაზეთის და მესხთა ქვეყნის გასაღებს". აშოტმა გაავრცელა თავისი ხელისუფლება შიდა ქართლზე, რომელიც ამ დროს კახთა მთავარს გრიგოლს ეპყრა, შეიერთა შიდა ქართლის ნაწილი ქსნამდე. ასევე სუმბატ დავითისძის ცნობით აშოტი "ეუფლა ქვეყანასა ვიდრე კარადმდე ბარდავის ქალაქისა და მრავალგზის მოსცა ღმერთმან აშოტს კურაპალატსა ძლევა და დიდი დიდება ბრძოლათა შინა". მართალია, სუმბატის ეს ცნობა გაზვიადებული ჩანს, მაგრამ ის მაინც მიუთითებს მის გამარჯვებებზე სახალიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში. მხედველობაში მისაღებია გიორგი მერჩულეს სიტყვები აშოტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით: "მეფეო ჩემო, ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეთ ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტიანთაო, სადაჲთმე მოგელოდი, აღმოსავლეთმე, ანუ დასავლით, ჩრდილოჲთმე ანუ სამხრით, რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელ იყავ,რომელიცა წყობით ჴელმწიფეთა დაიმორჩილებდ, საკჳრველი იგი დიდებული, ღმრთისმსახური ჴელმწიფი!"

ეჭვს არ იწვევს აშოტის მიერ შიდა ქართლის ნაწილის (ქსნამდე)შეერთება თავის სამფლობელოსთან. აგრეთვე აშკარაა, რომ ის იბრძოდა არაბთა წინააღმდეგ და ცდილობდა მათ მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნებას. ერთერთი ლაშქრობის დროს, როდესაც მარცხი განიცადა, მან დაიხია და დაიწყო ძალების შეგროვება,სარკინოზთა წინააღმდეგ და როდესაც ელოდა, რომ უნდა მოსულიყვნენ მისი მომხრენი, დაინახა, რომ მოდიოდნენ მისი მტრები. და

რადგან არ ყავდა საკმარისი ძალა “შეივლტოდა აშოტ კურაპალატი ეკლესიად და მოწყლეს იგი მახჳლითა საკურთხეველსა ზედა და შეისუარა საკურთხეველი იგი სისხლითა მისითა (926 წ.), რამეთუ დაკლეს იგი მუნ, ვითარცა ცხოვარი, აღსავალსა საკურთხევლისასა”, – მოგვითხრობს დიდი ტკივილით ქართველი ისტორიკოსი.

აშოტის გარდაცვალების შემდეგ შვილებმა ვერ დაიცვეს შიდა ქართლის მამის მიერ შემოერთებული მიწაწყალი, ის არაბებმა დაიპყრეს და მხოლოდ საკუთრივ სამხრეთდასავლეთ საქართველო შეინარჩუნეს და სუმბატ დავითისძის ცნობით “დასუეს ბაგრატ კურაპალატად”, რომელსაც ბიზანტიის საიმპერატორო კარმა მიანიჭა კურაპალატის ტიტული. უფროსმა ძმამ ადარნასემ სათავე დაუდო არტანუჯელკლარჯ ხელმწიფეთა დინასტიას, ხოლო უმცროსი ძის გუარამის შტო შინასაგვარეულო ბრძოლას შეეწირა.

აშოტი იყო სამთავროს ერთადერთი უზენაესი ხელისუფალი. მისი გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლება თანდათან იყოფა მის მემკვიდრეებს შორის და იქმნება ორი მმართველი შტო – ტაოსი და კლარჯეთის. შემდეგ ტაოს შტოც გაიყო, რომელშიც IX ს-ის ბოლოდან მკვიდრდება “ქართველთა მეფის” ტიტული. აქამდე უმაღლესი ადგილობრივი ტიტული “ერისთავთერისთავი” იყო, ხოლო ბიზანტიური “კურაპალატი”.

ხელისუფლების ორგანიზაცია. აშოტ კურაპალატს სამი ძე დარჩა: ადარნასე, ბაგრატი და გუარამი.

აშოტ კურაპალატის მეორე და მესამე თაობის წარმომადგენელთა შორის მიმდინარეობდა ბრძოლა მთავრის სახლის ორ მთავარ შტოს შორის სამფლობელოთა საზღვრების დაზუსტების და ტიტულებისათვის. ტაოს შტოს წარმომადგენლები იმკვიდრებენ “ქართველთა მეფის”, და “კურაპალატის” ტიტულს, ხოლო კლარჯეთის შტოს წარმომადგენლები იწოდებიან არტანუჯელკლარჯელებად. პირველთა რეზიდენცია იყო ბანა, ხოლო მეორეთა არტანუჯი. როგორც ჩანს ნომინალური უფროსობა ტაოს შტომ დაიმკვიდრა, ფორმალურად კლარჯეთის შტო მას ექვემდებარებოდა, მაგრამ ფაქტიურად სარგებლობდა სრული დამოუკიდებლობით როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეებში.

ბაგრატიონთა სამთავრო სახლის ყველა წარმომადგენელი იწოდებოდა “მეფედ”, მაგრამ ეს ტიტული ამ დროს ნიშნავს ზოგადად ხელისუფალს. აღსანიშნავია, რომ ამ დროს ბაგრატიონთა მმართველობა ემყარებოდა ფეოდალური კოლეგიალობის პრინციპს, რომლის თანახმად საგვარეულოს სხვადასხვა შტოთა წარმომადგენლები, მეფეკურაპალატთან ერთად მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვაში. ნომინალურად ისინი ფეოდალური იერარქიის სხვადასხვა საფეხურებზე იდგნენ და ცნობდნენ “ქართველთა მეფის” პრიორიტეტს. მაგრამ მეფე კურაპალატის უზენაესობა არ უშლიდა მათ ხელს მონაწილეობა მიეღოთ ერთმანეთის საწინააღმდეგო სამხედრო დაჯგუფებებში და როდესაც ამას მათი საკუთარი ინტერესები მოითხოვდა, იარაღიც აეღოთ ხელში.

მაგრამ “მეფე ქართველთა” კონკრეტულ ხელისუფლებას გამოხატავდა, ისევე როგორც “ქართველთა კურაპალატი” გამოხატავდა ბიზანტიის საიმპერატორო კართან ურთიერთობის გარკვეულ ფორმას და ამ გვარის მხოლოდ ერთი წარმომადგენლის პრეროგატივა იყო.

მთავართა ამ სახლის ორივე შტოს წარმომადგენლები ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდნენ. ხელისუფლების ასეთი დანაწევრება დიდად უშლიდა ხელს სამხრეთ დასავლეთ საქართველოს საბოლოო გაერთიანებას.

“ქართველთა მეფის” ტიტულის მიღებამდე, I. ს-ის ბოლოს ბაგრატიონთა უმაღლესი ტიტული “კურაპალატი” იყო, მაგრამ ამის შემდეგ ის მეორე პლანზე გადავიდა. თუმცა ადგილობრივი თვალსაზრისით უმაღლესი ტიტული – “ქართველთა მეფეა”, საიმპერატორო ხელისუფლების თვალსაზრისით კი უმაღლესი – “კურაპალატია”, ტიტული რომელსაც იმპერიის ხელისუფლება, საკუთარი ინტერესების შესაბამისად ანიჭებდა და ცდილობდა მისი მინიჭებით უთანხმოება შეეტანა მმართველი სახლის წევრებს შორის. “ქართველთა მეფე” კი მემკვიდრეობით გადაეცემოდა.

თუ წარმოვიდგენთ ქართველთა სამეფოს მმართველობის სისტემას, ის ასე გამოიყურება:

სამეფოს სათავეში დგას “ქართველთა მეფე”, ან “კურაპალატი” (ტაოს ბაგრატიონები) არტანუჯელი – კლარჯი ხელმწიფეები კი მის ხელქვეითებად ითვლებიან. ესაა ფორმალური მდგომარეობა, ფაქტიურად კი ამ “მეფის” თუ “კურაპალატის” ხელისუფლება, გვარის სხვა წევრების მიმართ, ნომინალურია, რისი დასტურიცაა “მამფალის” ინსტიტუტი, რომელიც ტერმინ “დედოფლის” მსგავსადაა ნაწარმოები, “დედოფალი” – “დედა უფალი”, “მამფალი” – “მამაუფალი”. ასეთი “მამფალი” იყო აშოტ Iის უმცროსი შვილი გვარამი, რომლის მთელი მოღვაწეობა მის სრულ დამოუკიდებლობაზე მიუთითებს.

საკურაპალატოს ორგანიზაცია ახალი ქვეყნების შემოერთებასთან ერთად, ეკლესიამონასტრების მშენებლობასა და ახალი საეპისკოპოსო კათედრების დაარსებაშიც ვლინდება. ახალ საეკლესიო ცენტრთა მშენებლობა აშოტ Iის დროს იწყება: აშენდა ხანცთა, მისი მემკვიდრეების დროს – შატბერდი, ოპიზა, რომლის მეორე მაშენებელი გვარამ მამფალია, IX ს. ბაგრატ კურაპალატის დროს აშენდა ზარზმა. აღსდგა არაბთა მფლობელობის დროს დანგრეული იშხანის კათედრა, რომელიც ტაოს ბაგრატიონთა მთავარ საყრდენს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ტაოკლარჯეთში საეპისკოპოსო ეპარქიათა მნიშვნელოვანი რაოდენობა არსებობდა, სახლის ერთიანობის დაშლისთანავე ორივე მხარე ერთმანეთის საპირისპიროდ აარსებდა ახალახალ ეპარქიებს. ადარნასე ქართველთა მეფემ (881 – 923) ტაოში, იშხანის გვერდით ბანას ტაძარი ააგო და საეპისკოპოსო კათედრა დააარსა, და დაახლოვებით იმავე დროს მის საპირისპიროდ, შავშეთში ტბეთის კათედრა დაარსდა, პოლიტიკური ხელისუფლების გაყოფასთან ერთად, ახალი საეპისკოპოსო კათედრები არსდება, რომელნიც დამაარსებელ მთავართა საყრდენ ძალას წარმოადგენდნენ.

ურთიერთობა ბიზანტიასთან. თავიდან სამთავრო (საკურაპალატო) იმპერიის ვასალი იყო, მაგრამ “ქართველთა მეფე” უკვე ვასალი აღარაა, თუმცა იმპერია ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენლებისადმი საკარისკაცო ტიტულების მინიჭებით ცდილობს თავისი ფორმალური უფლების შენარჩუნებას. ამ ურთიერთობის რეალური შინაარსი კარგად გამოიტახა ინციდენტით, რომელიც მოხდა არტანუჯის ციხის გამო. ერისთავთერისთავმა და მაგისტროსმა გუარამმა (გარდ. 941 წ.), რომელიც ებრძოდა თავის სიმამრს აშოტს (გარდ. 999 წ.), წაართვა მას

არტანუჯის ციხე და რათა განემტკიცებინა თავის მდგომარეობა ის ბიზანტიელებს გადასცა და ციხეზე იმპერიის დროშა აფრიალდა, რამაც ოჯახის ყველა წევრთა უკმაყოფილება გამოიწვია. ერთერთი უძლიერესი და უმთავრესი ციხის იმპერიის ხელში გადასვლა დიდი მარცხი იქნებოდა ბაგრატიონთათვის და ამიტომ მათ ერთხმად განაცხადეს, თუ იმპერატორი ხელს არ აიღებს არტანუჯის ციხეზე, ისინი ყველანი უარს იტყოდნენ მისდამი მორჩილებაზე, არაბთა მხარეზე გადავიდოდნენ და მათთან ერთად გაილაშქრებდნენ არტანუჯის ციხეზე. იმპერატორი იძულებული იყო დაეხია უკან.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა ის გარემოება, რომ ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენლები, რომელნიც აღიარებდნენ იმპერიის უზენაესობას. თავისი თანამოგვარეების გვერდით დადგნენ.

მომხდარი ფაქტი ადასტურებს, როგორც ბაგრატიონთა სახლის საერთო იურიდიულ უფლებებს მთელ ქართველთა სამეფოს მიმართ, მათ ფორმალურ ვასალურ მდგომარეობას, ასევე აშკარას ხდის ამ ვასალობის ხასიათს.ვასალიტეტი არ აძლევდა იმპერატორს სამთავროს საშინაო საქმეებში ჩარევის უფლებას, ეს მხოლოდ საზღვართა დაცვის და ურთიერთ სამხედრო დახმარებას გულისხმობდა. ურთიერთობის ეს ფორმა კი IX – X საუკუნეებში აქ არაბთა ყოფნის პირობებში, ორივე მხარისათვის მისაღები უნდა ყოფილიყო.

ურთიერთობა არაბებთან. კონფრონტაციამ აშოტ ბაგრატიონსა და თბილისის ამირას შორის თავიდანვე განსაზღვრა მათი ურთიერთობა. მას შემდეგ რაც არაბებმა აშოტის შვილებს ჩამოართვეს აშოტის მიერ დაკავებული შიდა ქართლის ნაწილი მდ. ქსნამდე და შავშეთკლარჯეთ ნიგალის ხევი დახარკეს, ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენლები უკვე დამოუკიდებლად ვეღარ იბრძოდნენ შიდა ქართლისათვის და სარგებლობენ მაჰმადიანთა შორის არსებული დაპირისპირებით საქართველოში. 829 წ. ბაგრატ კურაპალატი ემხრობა თბილისის ამირას დასამორჩილებლად მოსულ ხალიდ იაზიდესძეს. 842 წელს, ხალიფას ურჩი თბილისის ამირა ისჰაკ იბნისმაილის წინააღმდეგ დამსჯელი ექსპედიცია მოდის მუჰამედ იბნ ხალიდის სარდლობით. ბაგრატ I კურაპალატი ხალიფას სარდალს ემხრობა და გაწეული დახმარებისათვის მუჰამადმა “მისცა მას (ბაგრატ აშოტის ძეს) ქართლი”. სახალიფოს ხელისუფლების მიერ იმავე ამირა საჰაკის წინააღმდეგ ბუღა თურქის ხელმძღვანელობით გამოგზავნილ დიდი დამსჯელი ექსპედიციის დროსაც, ბაგრატ კურაპალატი ხალიფას სარდლის მხარეზე იბრძვის. ამ გზით ბაგრატ კურაპალატი თვით არაბებს იყენებს თავისი ინტერესებისათვის თბილისის ამირას წინააღმდეგ და ცდილობს თავისი სამფლობელოს ფარგლების გაზრდას.

IX ს-ის 80ი-ან წლებში ბაგრატიონთა სახლში ამტყდარი შინა ომის შედეგად გადაშენდა აშოტის უმცროსი ვაჟის, გუარამის შტო, რაც გამოიწვია თრიალეთში ჩამოსახლებული არაგვეთის დიდი ფეოდალის, ლიპარიტ ბაღვაშის მიერ თავის სიუზერენად არა თრიალეთის უშუალო მფლობელის, გუარამის, არამედ სამთავროს მეთაურის დავით კურაპალატის აღიარებამ.

თითქოს არ უნდა გამხდარიყო კონფლიქტის საფუძველი, რადგან დავით I კურაპალატი (876 – 881) სამთავროს უზენაესი ხელისუფალი იყო, მაგრამ ნასრ გუარამის ძემ ეს თავისი უფლებების შელახვად ჩათვალა. ამ ბრძოლაში გუარამის ძემ ნასრმა 881 წ. მოკლა დავით კურაპალატი. ნასრის წინააღმდეგ გამოვიდნენ დავითის სახლეულნი, ნასრი დამარცხდა ბრძოლაში და ბიზანტიაში გაიქცა. 882 წელს გარდაიცვალა გუარამი და გუარამის სამფლობელო მისმა მტრებმა გაინაწილეს.

გუარამის ძე ნასრი დაბრუნდა, გადამწყვეტი ბრძოლა ბაგრატიონთა ამ ორ შტოს შორის 888 წელს სამცხეში მოხდა, ნასრი და მისი მომხრეები დამარცხდნენ, თვით ნასრი ბრძოლაში დაიღუპა. ეს ადარნასე II კურაპალატის (888 – 923) დიდი წარმატება იყო. მან ამის შემდეგ გაიმკვიდრა თავისი მდგომარეობა და მიიღო “ქართველთა მეფის” ტიტული. “ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა დასუეს ქართველთა მეფედ” გვაუწყებს ისტორიკოსი. რას ნიშნავს ეს “დასუეს”, ვინ დასვა, ან როდის? 888 წელს (თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ეს მოხდა 895 ან 897 წ.). ბაგრატიონთა ტაოს შტოს საგვარეულომ მიიღო გადაწყვეტილება, რათა დაემკვიდრებინათ ეს მაღალი ტიტული სახლის უფროსისათვის, რაც რეალურად ბიზანტიის ვასალობაზე უარისთქმას ნიშნავდა. ნასრის წინააღმდეგ ბრძოლაში ადარნასე II-ის მოკავშირე სომეხთა მეფე სუმბატი იყო, მაგრამ ადარნასესათვის მიუღებელი იყო სუმბატის პრეტენზიები ქართული მიწების მიმართ და ადარნასემ მის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა X ს-ის დასაწყისში სომხეთსა და საქართველოში მაჰმადიანთა ხელისუფლების აღდგენის მიზნით შემოჭრილ საჯთა დინასტიის წარმომადგენელს, აზერბაიჯანის მფლობელს აბულ კასიმ აბუსაჯისძეს, რომელმაც მართალია აქ მაჰმადიანთა ხელისუფლება ვერ აღადგინა, მაგრამ სუმბატი ჩაიგდო ხელში და ის სიკვდილით დასაჯეს.

ადარნასე თავისი სამფლობელოს ფარგლების გაზრდას სამხრეთით ბიზანტიის იმპერიის ხარჯზეც ცდილობდა. მან დაიპყრო კარინი თეოდოსიოპულამდე, მის ხელთ იყო კეცეს ციხე, არზრუმის ჩრდილოეთით. ამ ტერიტორიის ბაგრატიონთა სამფლობელოსთან შემოერთებამ საფუძველი შექმნა სამხრეთ ტაოს მხარის ჩამოყალიბებისათვის.

მიუხედავად რიგი წარმატებებისა ქართველთა სამეფომ ვერ შეძლო ამ ეტაპზე საქართველოში სხვა ქართულ სახელმწიფოთა შორის ჰეგემონის როლის შესრულება, მაგრამ არაბთაგან დამოუკიდებლობა მოიპოვა. ქართველთა სამეფოსთან ერთდროულად საქართველოში სხვა ქართული სახელმწიფოებიც არსებობდნენ – აფხაზთა, კახთა, ჰერთა, რომელნიც ქართველთა სამეფოსთან შედარებით მეტად ცენტრალიზებულნი იყვნენ. აფხაზთა მეფე ერთადერთი უზენაესი ხელისუფალია სამეფოში, ასევე ერთადერთი უზენაესი ხელისუფალია კახეთის სამთავროში კახთა მთავარი (ქორეპისკოპოსი). ცხადია, ისევე როგორც ყველა შუასაუკუნოვან სახელმწიფოებში, აქაც აქვს ადგილი დეცენტრალურ ტენდენციებს, მაგრამ უზენაესი ხელისუფლება აქ მაინც ერთი პირის ხელთაა, ხოლო ბაგრატიონთა სამეფოში, როგორც უკვე აღინიშნა, მოქმედებაში იყო ხელისუფლების კოლეგიური პრინციპი, რაც ხელს უშლიდა ქვეყნის საბოლოო გაერთიანებას, ხელს უწყობდა მისი ცალკეული მხარეების დეცენტრალიზაციას.

ასეთი სტრუქტურული განსხვავება, თითქმის ერთდროულად შექმნილ ქართულ სახელმწიფოებს შორის მათი ჩამოყალიბების განსხვავებული საშინაო და საგარეო პირობებით აიხსნება. ეგრისისაფხაზეთის სამეფო ბიზანტიისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლის პირობებში ჩამოყალიბდა. მის ირგვლივ გაერთიანებულნი იყვნენ ადგილობრივი ფეოდალები, რომელნიც მასთან ერთად იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის. კახთა სამთავროს ჩამოყალიბება არაბთა განდევნის პარალელურად მიმდინარეობდა. მთავრის ირგვლივ კახეთის ძალთა მობილიზაცია და მათი მთავრის ირგვლივ თავმოყრა ხდებოდა. კახეთის მთავრები არაბთა წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად, იბრძოდნენ ქვეყნის სხვადასხვა მხარეთა გაერთიანებისათვის. ასეთ ვითარებაში კახეთშიც მთავრის შედარებით ძლიერი ერთპიროვნული ხელისუფლება იქმნება.

სხვა ვითარებაში მიმდინარეობდა ქართველთა სამეფოს ჩამოყალიბება. აშოტ ბაგრატიონი სამხრეთ საქართველოში არაბებთან კონფლიქტის პირობებში ამყარებს თავის ხელისუფლებას. არაბები ებრძვიან მას. შავშეთკლარჯეთში კი სუსტია ის ადგილობრივი ძალა, რომელსაც აშოტი შეიძლება დაეყრდნოს. აშოტს მხარს უჭერს ბიზანტიის იმპერია, რაც მხოლოდ მორალურ მხარდაჭერაში ისახება, და ქართლიდან გამოყოლილი მისი ამალა, რომელიც, ალბათ, რეალურად დიდ ძალას არ წარმოადგენდა.

აშოტი, თავისი ამალის წევრების მხარდაჭერით მიწების ნაწილს, ზოგს ყიდულობს, ზოგს ოხერს აღადგენს, ჩანს ზოგს ძალით ითვისებს. აშოტი იძულებულია ანგარიში გაუწიოს როგორც ბიზანტიის ხელისუფლებას, ისე თავისი ამალის წევრებს, ანიჭებს მათ გარკვეულ პრივილეგიებს. მისი ამალის წევრები სამხრეთდასავლეთ საქართველოში სახლდებიან და ადგილობრივი ფეოდალები ხდებიან.

მართალია, წყაროებში ამაზე პირდაპირი მითითებები არ არსებობს, მაგრამ თვით აშოტის მკვლელობა აშკარად მიუთითებს იმ შინაგან წინააღმდეგობათა არსებობაზე, რაც აბრკოლებდა ხელისუფლების განმტკიცებას. აშოტს სამი ვაჟი დარჩა. ძმები თითქოს აღწევენ ურთიერთ შეთანხმებას, უფროსობას შუათანა ძმას ბაგრატს უთმობენ, თუმცა დიდად არ ემორჩილებიან მას. ბაგრატი იძულებულია ანგარიში გაუწიოს მათ, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება დაკარგოს უფროსობა. გასათვალისწინებელია ბიზანტიის ხელისუფლების პოლიტიკა, რომელიც კურაპალატის მაღალ ტიტულს ბაგრატს ანიჭებს, მაგრამ ამასთანავე საკარისკაცო ტიტულებს გულუხვად ურიგებს საგვარეულოს სხვა წევრებსაც, რითაც ხელს უწყობს წინააღმდეგობას სახლის მემკვიდრეთა შორის. წერილობითი წყაროს ძუნწი ცნობით არც ის ჩანს, აშოტის ვაჟები დაემორჩილენ საიმპერატორო ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რომ ძმათაგან “უფროსი” შუათანა ყოფილიყო, თუ იმპერიის ხელისუფლებამ გაუწია ანგარიში აშოტის შვილების გადაწყვეტილებას. არსებული პოლიტიკური ვითარება ხელს უწყობდა წვრილი და მსხვილი მფლობელების გამრავლებას, აშოტი იძულებული იყო ანგარიში გაეწია იმ ადგილობრივ მფლობელთა, ჩორჩანელთა, დაფანჩულთა, მირიანის ძეთა და ყველა იმათთვის ვინც მას დახვდნენ აქ.

სახელმწიფოს მმართველობის ის პოლიტიკური ფორმა რომელიც სამხრეთდასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა განპირობებულია სამთავრო სახლის განსაკუთრებული

მდგომარეობით და საგარეო ფაქტორით, და ის გარკვეულწილად ასვამს თავის დაღს სამეფოს მთელ ისტორიას.

გარკვეულ გავლენას ამ პროცესზე ჩანს ახდენდა სამხრეთდასავლეთ საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციფიკაც, რაც ხელს უწყობდა თვითკმარი ეკონომიკური რეგიონების ჩამოყალიბებას.

ამიერკავკასიის პოლიტიკურ მმართველთა შორის ქართველთა სამთავრო შედარებით ძლიერი აშოტ Iის დროს იყო, როდესაც ის იყო ერთპიროვნული მმართველი.

დავით III ტაოს მეფე. ტაოს სამეფო. ბაგრატიონთა სახლში არსებულმა სახელმწიფოს მმართველობის სისტემამ, სამეფოს სახელმწიფოებრივმა სტრუქტურამ განაპირობა ქართველთა სამეფოში ფაქტიურად დამოუკიდებელი სახელმწიფოს ტაოს სამეფოს ჩამოყალიბება, რაც დავით ბაგრატიონის მოღვაწეობას უკავშირდება, რომელსაც ეკუთვნის განსაკუთრებული ადგილი საქართველოს ისტორიაში. მისი დომენი ტაო იყო, სამხრეთდასავლეთიდან მას ბიზანტიის იმპერიის სამფლობელოები, ხოლო სამხრეთაღმოსავლეთიდან ტაოს სომხური მიწაწყალი ესაზღვრებოდა, სადაც ამ დროს მაჰმადიანური საამიროები იყო. ტაო ორ ნაწილად იყო გაყოფილი, ჩრდილოაღმოსავლეთი ქართველთა მეფე ბაგრატ II-ს ეკუთვნოდა, ხოლო სამხრეთდასავლეთი, ჩრდილო ბასიანითა და თორთომიანად, დავითის სამფლობელოს შეადგენდნენ. დავითი წყაროებში იხსენიება: “ტაოს მეფე”, “მაგისტროსი”, “კურაპალატი”,”აღმოსავლეთის დიდი კურაპალატი”, “მეფეთა მეფე”, “დიდი”, “ერისთავთერისთავი”, “ქართველთა მეფე”.

არაბთა დასუსტება X ს-ში აღმოსავლეთის ქრისტიანულ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევდა გაეაქტიურებინათ ანტიარაბული ბრძოლა. ბიზანტიის იმპერია სახალიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში ცდილობდა ესარგებლა სამხრეთ კავკასიის ქრისტიანულ ქვეყნებთან კავშირით და დახმარებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ბაგრატიონები ენერგიულად იბრძოდნენ მაჰმადიანთა წინააღმდეგ. ბიზანტიის ხელისუფლება იძულებული იყო მაჰმადიანთაგან წართმეული მიწები მათ სამფლობელოდ ეცნო. ასე შეუერთდა ტაოს სამეფოს ბასიანი. ბასიანისთვის ბიზანტიაც იბრძოდა და მათაც ჰქონდათ მასზე პრეტენზია. კომპრომისული შეთანხმებით რომლითაც ორივე მხარე უკმაყოფილო იყო ბასიანი მათ შორის მდ. არაქსით შუაზე გაიყო. X ს-ის შუა წლებში ბიზანტიის იმპერიამ სახალიფოს შეუტია და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. ბიზანტიელთა ლაშქარში ქართველებიც იბრძოდნენ, საკუთრივ ტაოს სამეფოს ლაშქარი, რისთვისაც გარკვეული კომპენსაციაც მიიღეს.

976 – 979 წლებში მცირე აზია სამოქალაქო ომმა მოიცვა. იმპერატორის წინააღმდეგ ბრძოლასსამხედრო არისტოკრატიის ერთერთი უძლიერესი წარმომადგენელი ბარდა სკლიაროსი ხელმძღვანელობდა. იმპერატორის ძალები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ, იმპერიის ხელისუფლება მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და დახმარებისათვის დავით ტაოელს მიმართეს. ანტისაიმპერატორო აჯანყებამდე იმპერატორმა ბარდა სკლიაროსი იმ სომხური მიწების მმართველად დანიშნა, რომელიც უშუალოდ ემიჯნებოდა ტაოს. სკლიაროსი

გაძლიერდა. იმპერია ორად გახლიჩა, თითქმის მთლიანად დაიკავა მისი აზიური ნაწილი. 978 წელს დაიკავა იმპერიის უკანასკნელი საყრდენი აზიაში ნიკეა, ხელში ჩაიგდო საზღვაო გზები, სკლიაროსი ტაოს მომიჯნავე ტერიტორიაზე გამაგრდა და ფაქტიურად დაუპირისპირდა დავითს. იმპერიის დასუსტებით ისარგებლა ხლათისა და მაიაფარიკინის (ნეპერკერტის) ამირა ბადიმ, რაც სრულიად მიუღებელი იყო დავით ტაოელისათვის. ეს რთული ვითარება, დავით ტაოელის და ბარდა სკლიაროსის ინტერესების დაპირისპირება, ჩანს ცნობილი იყო ბიზანტიის საიმპერატორო კარისათვის. ბიზანტიის ლაშქრის სათავეში მყოფმა ბარდა ფოკამ, რომელიც პირადად იცნობდა დავით ტაოელს, ურჩია მცირეწლოვანი უფლისწულების ბასილისა და კონსტანტინეს დედას, დედოფალ თეოფანოს დახმარებისათვის თხოვნით მიემართა დავით ტაოელისათვის. შუამდგომლობა დავითთან ათონის მონასტერში ბერად მყოფ იოანეთორნიკეს სთხოვეს, რომელმაც ჯერ უარი განაცხადა საერო საქმეებში ჩარევაზე, მაგრამ შეეშინდა რა, რომ ეს გამოიწვევდა საიმპერატორო ხელისუფლების უკმაყოფილებას, მას შეეძლო რაიმე ზიანი მიეყენებინა ათონზე მყოფი ქართველი ბერებისათვის, და დათანხმდა. იოანე თორნიკე გამოცხადდა კონსტანტინოპოლში, სადაც მას გადასცეს სათხოვარი წერილი დავითისადმი. დავით მეფემ, დახმარებისათვის, თავისი მოთხოვნები წამოაყენა. სახელდობრ მოითხოვა, ე. წ. “ზემონი ქვეყანანი”, რომელიც გულისხმობდა არზრუმის, სამხრეთ ბასიანის, მდინარეების ჭოროხის, არაქსის, ევფრატის სათავეებში მყოფ რიგ ციხეებს, ამ მიწაწყლის ნაწილი დავით ტაოელს უკვე შემოერთებული ჰქონდა თავისი სამეფოსთვის, მაგრამ აუცილებელი იყო ბიზანტიის ხელისუფლებას ეცნო ისინი დავითის სამფლობელოდ. ეს იყო ბიზანტიის იმპერიის ყოფილი სამფლობელოები, რომლებიც დაიპყრეს არაბებმა და ესეც დავითმა გაანთავისუფლა მათგან, მაგრამ იმპერია არ თმობდა იურიდიულ უფლებებს ამ ქვეყანაზე და დავითს ბრძოლით მონაპოვრის დადასტურება ესაჭიროებოდა ბიზანტიის ხელისუფლებისაგან. ქართველთა 12 ათასიანი ლაშქარი იოანე თორნიკეს და ერისთავთერისთავის ჯოჯიკის სარდლობით შეიჭრა ბარდა სკლიაროსის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, მათ მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინეს მტრის მიერ არაერთგზის დამარცხებულ ბიზანტიელებს და გადამწყვეტი როლი შეასრულეს ბარდა სკლიაროსის საბოლოო დამარცხებაში. ბარდა სკლიაროსმა ვერ დაიკავა საიმპერატორო ტახტი. ბიზანტიის მხარემ შეასრულა პირობა და მოთხოვნილი ქვეყნები დავით ტაოელს დაუმტკიცა, არა სამუდამოდ, არამედ მხოლოდ “მისსავე სიცოცხლესა შინა”. სათანადოდ დაფასდა იოანეთორნიკეს დამსახურება, ათონელმა ქართველმა ბერებმა მიიღეს სამფლობელოები, ქართველებმა ბრძოლაში მნიშვნელოვანი ნადავლი იგდეს ხელთ, რომლის ნაწილი ათონის მთაზე ივერთა მონასტრის დაარსებასა და აშენებას მოხმარდა.

ამ მოვლენებთან დაკავშირებით იმპერიის ხელისუფლებამ დავით ტაოელს, რომელსაც მაგისტროსის ტიტული ჰქონდა, მიანიჭა “აღმოსავლეთის კურაპალატის” ტიტული, რითაც ბიზანტიის იმპერია დავით ტაოელს “ქართველთა სამეფოს” უზენაეს ხელისუფლად აღიარებდა. “ქართველთა სამეფო” გაფართოვდა ტერიტორიულად, განმტკიცდა მისი გავლენა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე. დავით ტაოელი სომხურ სახელმწიფოთა მეთაურების საშინაო საქმეებშიც ერეოდა.მშვიდობიანად მოაგვარა მან სმბატ ბაგრატუნისა და მის ბიძაშვილს მუშეხს შორის დავა. XI ს-ის სომეხი ისტორიკოსი წერს, რომ “კურაპალატი მშვიდობისმოყვარე და სამართლიანი იყო”.

X ს-ის 80-90-იან წლებში ტაოს სამეფოს ისტორია კვლავ აღმავლობის გზით ვითარდებოდა, მაგრამ მდგომარეობა გართულდა იმპერიაში მიმდინარე მოვლენების გამო. 987 წ. იმპერატორ ბასილ II-ის წინააღმდეგ ერთობლივად აჯანყდნენ ბარდა სკლიაროსი და ბარდა ფოკა. ბარდა ფოკამ ვერაგულად მოიშორა სკლიაროსი, დაიმორჩილა მთელი მცირე აზია, დაიკავა ანტიოქია და დაუპირისპირდა იმპერატორს. ბარდა ფოკას მხარეზე დავით ტაოელის სამხედრო რაზმი იბრძოდა.

დავითს პირადი ურთიერთობა აკავშირებდა ბარდა ფოკასთან, მაგრამ ეს ვერ იქნებოდა გადამწყვეტი ფაქტორი დავითის პოლიტიკაში. მის წინაშე იდგა იმპერიის ხელისუფლების მიერ დროებით, მხოლოდ მის "სიცოცხლესავე შინა" დამტკიცებული ე. წ. "ზემონი ქვეყანანი"ს საკითხი. მას ამ, ქართველთა ბრძოლით მოპოვებული სამფლობელოების სამემკვიდრეოდ დამტკიცება მიაჩნდა აუცილებლად, რომ იმპერიის ხელისუფლებისაგან ის ამ უფლებას ვერ მიიღებდა მან კარგად იცოდა, ამასთანავე იმედი ჰქონდა, იქნებ შეთანხმებულიც იყო, რომ გამარჯვების შემთხვევაში ბარდა ფოკასაგან ამ უფლებას მოიპოვებდა. მაგრამ 989 წ. ბასილ II-მ ბრძოლა მოიგო და დაიწყო ფოკას მომხრეთა დასჯა. მძიმე მდგომარეობა შეექმნა დავითს. ფოკას დამარცხების შემდეგ ტაოს სამეფო მტრულ გარემოცვაში აღმოჩნდა.ბასილი საქართველოსკენ დაიძრა. დავითმა კარგად იცოდა რას ნიშნავდა ბასილ II-ის რისხვა. ის ხომ ისტორიაში ბულღართმმუსვრელის სახელით შევიდა. როდესაც მან მის წინააღმდეგ მებრძოლი ბულღარები დაამარცხა, მეფე და მისი რაზმი ტყვედ ჩაიგდო, ყველასთვალები დასთხარა, მხოლოდ მეფეს დაუტოვა ერთი თვალი და ისე გაუშვა ყველანი. დავითი დათმობაზე წავიდა. თავისი სამფლობელოები ბიზანტიის იმპერიას უანდერძა. ეს მართალია, დავითის პოლიტიკის დიდი მარცხი იყო, მაგრამ ამასთანავე იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რომლითაც მან ქვეყანა დარბევას გადაარჩინა.

მიუხედავად ამ მარცხისა დავით კურაპალატი ენერგიულად ცდილობდა სამეფოს საზღვრების გაფართოვებას მეზობელი მაჰმადიანი მფლობელების ტერიტორიების ხარჯზე.

არაბთა მფლობელობის დროს სამხრეთ სომხეთის ქალაქები – მანასკერტი, ხლათი, ბერქრი, არჭეში და სხვანი – მაჰმადიანი ამირების რეზიდენციებად და სომხეთისა და საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის საყრდენ პუნქტებად იქცნენ. დავით კურაპალატი სწორედ ამ საემიროებს უტევდა, 90იან წლებში ვანის ტბის და არაქსევფრატის მიდამოებში მნიშვნელოვანი ქალაქები, სტრატეგიული პუნქტები, სავაჭრო ცენტრები აიღო. მაჰმადიანთაგან განთავისუფლებულ რეგიონებში ის ქართველებს და ქალკედონიან სომხებს ასახლებდა, რომელნიც V – VI საუკუნეებში, სომხეთში ირანის მკაცრი რეჟიმის დამყარების პირობებში, საქართველოში აფარებდნენ თავს. უფრო ფართო ხასიათი ამ პროცესმა სომხეთში ქალკედონიანელთა დევნის ვითარებაში მიიღო და ტაო ქალკედონიან სომეხთა თავშესაფრად იქცა, სადაც სწრაფად მიმდინარეობდა მოსული მცირერიცხოვანი მოსახლეობის ასიმილაცია. უდავოა მეფე დავითს იმედი ჰქონდა როგორც ანდერძით იმპერიისთვის გადაცემულ სამეფოს, ასევე შემოერთებულ ქვეყნებს, საბოლოოდ მაინც ერთიან საქართველოს გადასცემდა, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი არ ჰქონდა ქართველთა სისხლის ღვრას.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ მხრივ მას თავისი გეგმებიც ჰქონდა, რომელთა არსებობა ცნობილი გახდა ბიზანტიის ხელისუფლებისათვის და ამიტომ 1001 წ. ის მოწამლეს. მისი სამფლობელო ბასილი II-მ დაიკავა, სადაც შექმნა ე. წ. იბერიის თემა, საიდანაც ის შემდეგ აწარმოებდა შეტევას ქართულ და სომხურ მიწებზე. ამ ე. წ. "დავით კურაპალატის მემკვიდრეობის" გამო ბიზანტიასა და საქართველოს შორის შემდეგ ხანგრძლივი ბრძოლა მიმდინარეობდა. დავიტ ტაოელის ეროვნული პოლიტიკა შემოერთებული მიწების ქართველებით და ქალკედონიანი სომხებით დასახლებას, ტაოს სამეფოს, ამ ქართული სახელმწიფოს, ფარგლების გაფართოებას და საბოლოოდ ერთიან საქართველოსთან შეერთებას ისახავდა მიზნად.

ქართველთა სამეფო და მისი ნაწილი ტაო იმდროინდელ საქართველოში ერთერთი უმდიდრესი და ეკონომიკურად დაწინაურებული მხარე იყო. ბუნებრივი პირობები ხელსაყრელს ხდიდნენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის – მემინდვრეობის, მებაღეობამევენახეობის, მეღვინეობის განვითარებას. საზაფხულო და საზამთრო საძოვართა არსებობა ხელს უწყობდა როგორც მსხვილფეხა რქოსანი, ისე წვრილფეხა მესაქონლეობის განვითარებას. ეკონომიკური აღმავლობის დადასტურებაა IX – X საუკუნეებში აქ აგებულ ძეგლთა სიმრავლე, წყაროთა სპეციფიკის გამო ცნობები ძირითადად ეკლესიამონასტრების მშენებლობაზეა, მაგრამ არის სამოქალაქო ნაგებობათა მშენებლობის ფაქტებიც, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ციხესიმაგრეები, სასახლეები, უფრო განიცდიდნენ ნგრევას ვიდრე ეკლესიამონასტრები.

სამეფოში მრავალი სასახლეა, ხიდები, კეთილმოწყობილი გზები, ფუნდუკებით, სასტუმრო სახლებით და სხვა შენობებით ვაჭრებისა და მათი საქონლისათვის.

განვითარებულია ხელოსნობის მრავალი დარგი, განსაკუთრებით მრავლად არიან სამშენებლო დარგის ხელოსნები, რაც მიმდინარე დიდი მშენებლობებითაა განპირობებული. ხელოსნები ყავდათ დიდი ფეოდალების კარზე. დიდ მშენებლობათა დროს ხელოსანთა დაქირავებაც ხდება, ოშკის X ს-ის დიდებული წარწერა მოგვითხრობს სამშენებლო საქმის დაქირავებულ ხელოსანთა, ასევე სამშენებლო მასალის ფულით შეძენის შესახებ, რაც მიუთითებს ფულის ფართო ტრიალზე, რასაც ადასტურებს აქ მოპოვებული არაბული და ბიზანტიური მონეტების სიმრავლე, და რაც მთავარია თვით დავითის მიერ საკუთარი მონეტის მოჭრა ქართული წარწერით: "ქ˜ე შეიწყალე დავით კურაპალატი". საქართველოში სადაც არაბთა მფლობელობის დამყარების შემდეგ შეწყდა ადგილობრივი მონეტის მოჭრა, დავით კურაპალატმა მოჭრა საკუთარი მონეტა. აღნიშნული გარემოება ვაჭრობააღებმიცემობის განვითარებაზე, ფულზე მოთხოვნილების არსებობაზე მიუთითებს.

არსებული ცნობები მხარის კულტურულ აღმავლობაზე მოგვითხრობენ. სამხრეთ საქართველო ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერა იყო. ყველა ეკლესიამონასტერი კულტურის ცენტრს წარმოადგენდა, ყოველ დიდ მონასტერთან არსებობდა სემინარიები, სადაც მომავალ თაობათა აღზრდა მიმდინარეობდა. ითარგმნებოდა საღვთისმეტყველო ლიტერატურა, დგებოდა ხელნაწერთა კრებულები, X-ს. შატბერდშია შედგენილი კრებული, სასწავლო წიგნი...

დავით ტაოელი, ქართველთა მეფე ბაგრატ II-ის გარდაცვალების შემდეგ, 994 წლიდან “ქართველთა მეფეა”. საკუთრივ ტაოს სამეფო ძირითადად ქართულ მოსახლეობასთან ერთად სომხურ ეთნიკურ ელემენტსაც შეიცავდა. აღნიშნული გარემოება დავითის მიერ სომხური თემების დაპყრობისა და შემოერთების გარდა საუკუნოვანი მეზობლობით და ქალკედონიელი სომხების ქართულ ქალკედონურ ტაოში იმიგრაციითაც იყო განპირობებული. თვით ტაოს ქართულობა მიწაწყლითა და ძირითადი მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობით, მიუხედავად ზოგი სომეხი მკვლევარის დიდი სურვილისა, ეჭვს არ იწვევს, რაზედაც სომხური წყაროებიც მეტყველებენ, რომელთა თანახმად, ადრეულ შუა საუკუნეებში კლარჯეთი, არტანი, შავშეთი, ჯავახეთი, სამცხე, აჭარა და საკუთრივ ტაოს ქართულ ეთნიკურ სახელმწიფოში შემავალ, ქართულ ეთნიკურ ერთეულებად არიან წარმოდგენილნი. ტაო, ისევე როგორც მთლიანად ტაოკლარჯეთის სამთავრო, “ქართველთა სამეფო” ქართული იყო მოსახლეობით, ენით, კულტურით,

ბიზანტიელი მწერლები ტაოკლარჯეთის მფლობელთ იბერებს ე. ი. ქართველებს უწოდებენ, მოსახლეობას იბერებად, ხოლო ქვეყანას იბერიად თვლიან. აქ სახელმწიფოს ოფიციალური ენა, კულტურის, მწერლობის, საეკლესიო მსახურების ენა ქართული იყო. დავით კურაპალატის და მისი წინაპრების მიერ აგებულ მრავალრიცხოვან ეკლესიამონასტრებზე მხოლოდ ქართული წარწერებია, რომელნიც აშკარად მეტყველებენ როგორც ამ ძეგლთა მაშენებელ და წარწერათა შემკვეთ ხელისუფალთა ეროვნულ კუთვნილებაზე, ისე ამ ტაძართა ირგვლივ მცხოვრებთა ეთნიკურ შემადგენლობაზე, ვისთვისაც კეთდებოდა ეს წარწერები. ვისთვისაც იყო აგრეთვე ქართული წარწერა მის მიერ მოჭრილ ფულზე. სახელმწიფოს ქართულ სახეზე აშკარად მეტყველებს წარწერა მის ჯვარზე “ქრისტე ადიდე დღეგრძელობით დავით კურაპალატი. ამინ”. და ის დიდი კულტურული საქმიანობა, რომელიც სამხრეთდასავლეთ საქართველოს სასულიერო ცენტრებში ხახულის, ოშკის, შატბერდის, ხანცთის, ტბეთის თუ სხვა სავანეებში მიმდინარეობდა.აღსანიშნავია, რომ დავითი არ კმაყოფილდებოდა აქ მიმდინარე სამწერლობო საქმიანობით და ათონზე მოღვაწე ქართველ ბერებს საგანგებოდ უკვეთავდა ქართულ წიგნებს, საიდანაც მას “მრავალნი წიგნნი წარცნეს”. მაგრამ მას არ აკმაყოფილებდა ის, რასაც უგზავნიდნენ და ათონზე საგანგებოდ გაგზავნა თავის წარმომადგენელი მამა იორდანე, რომელსაც უნდა გადაეწერა მისთვის წიგნები.

დავით კურაპალატი იბრძოდა მაჰმადიან მფლობელთაგან არა მხოლოდ ქართული, მოსაზღვრე სომხური მიწების გასანთავისუფლებლადაც. 90-იან წლებში მის სახელმწიფოს სომხეთის სამეფოს მნიშვნელოვანი ნაწილი შეუერთდა და ამიტომაა X – XI სს-ის სომეხი ისტორიკოსები პატივითა და დიდებით რომ იხსენიებენ დავითს და მას ღმობიერ, მშვიდობისმოყვარე ხელმწიფეს უწოდებენ.

მართალია 989 წ. მომხდარი პოლიტიკური მარცხის გამო დავითი იძულებული გახდა თავისი სამფლობელო, რომელიც მას საქართველოს შემადგენლობაში ჰქონდა გამიზნული, ბიზანტიისთვის ეანდერძა, მაგრამ აშკარაა, რომ მას ამ მდგომარეობის გამოსწორების იმედი ჰქონდა, რის საკომპენსაციოდ იწყებს 90იან წლებში დიდ ბრძოლას, რომლის შედეგად სომხური მიწების დიდ ნაწილს იგდებს ხელთ.

X ს-ის 70-იანი წლებისათვის ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების საკითხი ყოველმხრივ მომზადებულია წინარე ხანის პოლიტიკური, სოციალურეკონომიკური, კულტურული განვითარებით. ამან სათანადო გამოვლინება პოვა იმდროინდელი საზოგადოების მოწინავე პროგრესულად მოაზროვნე და განწყობილი ნაწილის პრაქტიკულ საქმიანობაში და შექმნა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ის ოპტიმალური გეგმა, რომლის ავტორი და იდეური ხელმძღვანელი დიდი ქართველი პატრიოტი, ქართლის ერისთავი ივანე მარუშის ძე იყო, ხოლო რეალური შემსრულებელი დავით ტაოს მეფე.

თბილისის (ქართლის) საამირო. განვითარების თავისებურებანი. ქართული სამეფოებისაგან განსხვავებული გზა განვლო იმ პოლიტიკურმა ერთეულმა, რომელიც "თბილისის საამიროს" სახელწოდებით არის ცნობილი.

მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ ამიერკავკასიაში დიდი ხნით იქნა დათრგუნვილი ქართლის, სომხეთისა და ალბანეთისწინააღმდეგობა. ქართლში არაბი მოხელის, ამირას ხელისუფლება დამკვიდრდა. ქართლისამირას რეალური იურისდიქციის ტერიტორიული ფარგლები ქართლის ერისმთავრის იურისდიქციის ფარგლებს ემთხვეოდა, რაც VIII საუკუნის ბოლოსთვის ძლიერ დავიწროვებული იყო, ის მოიცავდა: შიდა ქართლის აღმოსავლეთ ნაწილს, ქვემო ქართლის ჩრდილოეთ მხარეს და კუხეთს. VIII ს-ის მეორე ნახევარში მას მოაკლდა კუხეთი, რომელიც კახეთის სამთავროს შემადგენლობაში შევიდა, ხოლო X სში ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილი, სადაც შეიქმნა ტაშირძორგეტის სომეხი ბაგრატუნების სამეფო. ამრიგად, ქართლის ამირა იქცა თბილისის ამირად – მისი იურისდიქცია საგრძნობლად შემოიფარგლა.

აქ დგება ამ ადმინისტრაციული ერთეულის, საამიროს და მისი მოხელის, ამირას სახელწოდების საკითხი: ქართლის ამირა, თუ თბილისის ამირა (შესაბამისად ქართლის, თუ თბილისის საამირო). რადგან რიგ წყაროებში ეს ამირები ქართლის ამირებად იწოდებიან და გარკვეულ დროს მათი ხელისუფლება მთელ ქართლზე ვრცელდებოდა, იქნებ ამ ერთეულს "ქართლის საამირო" და შესაბამისად ამირას "ქართლის ამირა" ეწოდოს. მაგრამ, რადგან VIII ს-ის ბოლოდან და IX ს-ის დასაწყისიდან ამ ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლები საგრძნობლად იზღუდება, და ფაქტობრივად ის თბილისითა და მისი შემოგარენით იფარგლება, ალბათ სწორია, რომ ამ დროიდან მას "თბილისის საამირო" ეწოდოს. საკითხის ასე გადაწყვეტას ისიც უნდა უჭერდეს მხარს, რომ ტრადიციულად დამკვიდრდა "თბილისის ამირა" რაც იმითაცაა განპირობებული, რომ არაბი ამირების რეზიდენცია თბილისში იყო.

ქართლის ამირას რეზიდენცია, ისევე როგორც ქართლის ერისმთავრისა, თბილისში იყო.

ამიერკავკასია, როგორც არაბთა იმპერიის ტერიტორიულადმინისტრაციული ერთეული წარმოიქმნა ხალიფა აბდ ალმალიქის დროს (685 – 705), როდესაც განმტკიცდა აქ არაბთა პოზიციები. ამიერიდან ამიერკავკასია წარმოადგენდა სახალიფოს ერთ დიდ ოლქს – "არმინიას", რომელსაც განაგებდა ხალიფას ნაცვალი – "ვალი". ტერიტორიულად "არმინია" დაახლოებით ემთხეოდა სასანიანთა იმპერიის "ჩრდილოეთის ქუსტაკს". ასეთი ოლქი სახალიფოში, ომაიანთა ხალიფობის დროს იყო ხუთი, ხოლო აბასიანთა დროს მათი რაოდენობა გაიზარდა. ვალის რეზიდენცია 789 წლამდე ქ. დვინში იყო, ხოლო შემდეგ ქ. ბარდავში. "არმინია" ოთხ მხარედ

იყოფოდა, რომლებსაც ამირები განაგებდნენ: 1. ალბანეთი და სივნიეთი, ცენტრი ქ. ბარდავი, 2. ქართლი – ჯურზანი, ცენტრი ქ. თბილისი, 3. აირარატი და ვასპურაკანი, ცენტრი ქ. დვინი, 4. რშტუნიქის და ტარუბერანის მხარე, ცენტრი ქ. ვანი. ვალის თანამდებობაზე ხალიფები ჩვეულებრივ თავის ახლო ნათესავებს ნიშნავდნენ.

შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ქართლის ამირა დანიშნა ხალიფამ VIII ს-ის დასაწყისში, როდესაც ჩამოყალიბდა "არმინიის" ოლქი, რასაც შეიძლება უჭერდეს მხარს 704 – 705 წლებში თბილისში მოჭრილი არაბული მონეტის არსებობა, რაც აქ არაბული ადმინისტრაციის, და შესაბამისად, მათი ზარაფხანის არსებობის მიმანიშნებელი უნდა იყოს. მაგრამ, როგორც ცნობილია, ამის შემდეგ 825 წლამდე თბილისში არაბული მონეტის მოჭრის ფაქტი დადასტურებული არ არის. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ VIII ს-ის დასაწყისში, როდესაც ჩამოყალიბდა "არმინიის" ოლქი ასეთი საამიროები წყაროებში არ ჩანან. VIII ს-ის დასაწყისში არაბთა ხელისუფლება ფაქტობრივად მთელს საქართველოზე ვრცელდებოდა. როგორც ცნობილია, 697 წ. ეგრისის პატრიკიოსმა სერგი ბარნუკისძემ თავისი სამფლობელო არაბებს გადასცა, VIII ს-ის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს უმთავრეს ციხეებში (შავი ზღვის სანაპირო ციხეთა გარდა), არაბული სამხედრო გარნიზონები იდგა. მაგრამ, ამასთანავე, ფაქტია, რომ VIII ს-ის 20-იანი წლებიდან, როდესაც არაბთა რამდენიმე დამსჯელი ექსპედიცია მოდის კავკასიაში, ქართლში არაბი ამირა არ ჩანს. მართალია, ქართლში მყოფი არაბი მოხელეები უშუალოდ არც მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ ჩანან, მაგრამ ფაქტია, მის ლაშქრობას აქ არაბთა ხელისუფლების დამყარება მოყვა. ქართველი მემატიანე (ჯუანშერი) პირდაპირ უთითებს, რომ "დაეცადნეს სარკინოზნი შემოსვლად ქართლად ყრუსა წარსვლითგან წელიწადსა ომოცდამეათესა. აქა ჟამამდე არღარა შემოვიდოდეს, არამედ მიიღებდეს ხარკსა ერისთავთაგან". ე. ი. აქ მათ ყავდათ მოხელე, რომელიც კრებდა ხარკს ადგილობრივ ერისთავთაგან.აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, მართებულია თვალსაზრისი, რომ ამირა აქ მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ დაინიშნა.

მართალია, წერილობით წყაროებში VIII ს-ის 70-იან წლებამდე ქართლში ამირა არ იხსენიება, რაც იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის,რომ ამირა აქ VIII ს-ის 70-იანი წლებიდან ინიშნება. მაგრამ 70-იანი წლების მოვლენებთან დაკავშირებით არ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამირა აქ სწორედ ამ დროსაა დანიშნული. ამირა ამ დროს მოქმედი ხელისუფალია, თავისი საამირო სახლით,მოხელეთა შტატით, თბილისში მუსლიმი მოსახლეობით...

ამავე დროს გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ VIII ს-ში არაბებმა ქართლში, ისევე როგორც სომხეთსა და ალბანეთში, დატოვეს ადგილობრივი ერისმთავრის ხელისუფლება.

ამიერკავკასიის საამიროთა ამირები ფორმალურად არმინიის ვალის ექვემდებარებოდნენ, მაგრამ ქართლის ამირას, ფაქტობრივად ნიშნავდა და ცვლიდა უშუალოდ ხალიფა, რადგანაც საქართველოს, და საკუთრივ თბილისს, განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. სახალიფოსათვის ის წარმოადგენდა უკიდურეს ჩრდილოეთ ფორპოსტს ხაზარებისა და ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქართლის ერისმთავარს ევალებოდა საჭიროების შემთხვევაში, არაბთა დასახმარებლად ქართველთა ჯარის გამოყვანა.

VIII ს-ში მიმდინარეობდა არაბთა კოლონიზაცია. ამიერკავკასიაში ეს კოლონიზაცია განსაკუთრებით გაძლიერდა VIII ს-ის მეორე ნახევარში. მართალია, არაბთა გადმოსახლება ძირითადად სამხრეთ ამიერკავკასიაში ხდებოდა (სადაც შეიქმნა არაბთა სამოსახლოები, ისინი არაბთა ბატონობის გადავარდნის შემდეგაც დარჩნენ), მაგრამ გარკვეული ზომით ამას საქართველოშიც უნდა ჰქონოდა ადგილი, სადაც IX – X სს-ში მაჰმადიანური მოსახლეობა მომრავლდა. სწორედ ეს მოსახლეობა იყო ძირითადი დასაყრდენი თბილისის ამირას ბატონობისა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თბილისის საამირო გამოიყოცალკე და ამდენად დაკარგა ხალიფას მხარდაჭერაც.

არაბთა ხარკი დამძიმდა უკვე VIII ს-ის პირველ მეოთხედში, ჰიმაშის ხალიფობის (724 – 743) დროს. 724 – 725 წლებში არაბებმა არმინიის ოლქში ჩაატარეს მოსახლეობის, მიწების და ჯოგების აღწერა, რის შემდეგაც შეიცვალა საგადასახადო სისტემა. ჯიზია საკომლო გადასახადიდან იქცა სულადობრივ გადასახადად, რომელიც უნდა გადაეხადა ყოველ მამრობითი სქესის არამუსლიმს 15-დან 60 წლის ასაკამდე. მისგან თავისუფლდებოდნენ სამღვდელოება, აზნაურები და მოლაშქრენი. გარდა ჯიზიისა მოსახლეობას დაეკისრა აგრეთვე ხარაჯა – საადგილმამულო გადასახადი, გადასახადი დაწესდა აგრეთვე ჯოგებზე.

განსაკუთრებით დამძიმდა არაბთა ხარკი და ამდენად მათი ბატონობა აბასიანთა დინასტიის ზეობის პერიოდში (750 წლიდან).ამ დროისათვის დასრულდა არაბთა დიდი დაპყრობების ეპოქა და შეწყდა ნადავლიც. სახელმწიფო შემოსავალს შეადგენდა უკვე ხარკი. მეორე მხრივ გაიზარდა დამპყრობლების მადა. გართულდა და გაიზარდა მმართველობის ბიუროკრატიზმი და მისი აპარატი, გაჩნდა სახალიფოს დეცენტრალიზაციის ნიშნები: საუფლისწულო დომენად და საამიროებად დაყოფა. ამის გამო აბასიანებმა გაამკაცრეს საგადასახადო რეჟიმი, რომელმაც დაპყრობილი ხალხებისათვის გამანადგურებელ მასშტაბებს მიაღწია. ხარკი დააკისრეს არამარტო უშუალო მწარმოებელ მოსახლეობას, არამედ – აზნაურებს და სამღვდელოებასაც. ამას თან ერთვოდა ანგარებიანი არაბი მოხელეების მიერ მოსახლეობის ძარცვა საკუთარი სარგებლობისათვის,დამსჯელი რაზმების დამარბეველი თარეში, ადგილობრივი აზნაურწარჩინებულების ექსპლუატაცია. ხარკის გადახდის შეუძლებლობის შემთხვევაში სომხური წყაროების ცნობით არაბები მონად ყიდდნენ ხარკის გადამხდელის ცოლშვილს და თვითონ მასაც. მოხარკის გარდაცვალების შემთხვევაში მის ხარკს ახდევინებდნენ ცოცხლად დარჩენილ მისი ოჯახის სხვა წევრებს. იმავე წყაროების ცნობით, არაბები დაღს ასვამდნენ ხარკგადახდილს, რათა გამოევლინებინათ ვინ არ იხდიდა ხარკს.

არაბთა ხარკისაგან გაწამებული მოსახლეობის მდგომარეობა კარგად აქვს გადმოცემული VIII ს-ის ქართველ მწერალს იოვანე საბანის ძეს: “ვართ მორწმუნენი მძლავოებასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლოვნებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა მათსა გუემულნი, ძვირძვირად ზღვეულნი”. ასეთ ვითარებაში ზოგი ღებულობდა მაჰმადიანობას, რომ თავი ეხსნა აუტანელი ხარკისაგან. იგივე ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ სულმოკლენი “შიშითა განილევიან და ირყევიან ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა”.

თანამედროვეთა გასამხნევებლად, პროპაგანდისტული მიზნით მან დაწერა “აბოს მარტვილობა”, სადაც გადმოსცა არაბი ყრმის თავდადება, როცა გაბატონებული ერის წარმომადგენელმა მიიღო მოწამეობრივი სიკვდილი ქრისტეს სჯულისათვის.

ამავე პერიოდში კალავ გააქტიურდნენ ხაზარები, ისინი პერიოდულად აწყობდნენ ლაშქრობებს ამიერკავკასიაში.

IX ს-ის დასაწყისში, როგორც უკვე ითქვა, არაბებს აუჯანყდა აშოტ კურაპალატი, რომელიც გაიქცა კლარჯეთში და იქ დააარსა ახალი ქართული სახელმწიფო. არაბებმა გააუქმეს ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება.

ამრიგად, ერთი საუკუნე გრძელდებოდა ქართლის ერისმთავრისა და ქართლის ამირას თანაგამგებლობა. ეს თანაგამგებლობა არასოდეს არ ყოფილა მშვიდობიანი, აღსავსე იყო მათ შორის კონფლიქტებით, ერისმთავრის განდგომით არაბებისაგან, არაბთა დამსჯელი ლაშქრობებით, ერისმთავრის სიკვდილით დასჯით (არჩილი) ან ბაღდადში გამოძახებითა და დაპატიმრებით, ერისმთავრობიდან გადაყენებით და სხვა ერისმთავრის დანიშვნით. საბოლოოდ ამირას და ერისმთავრის ეს ერთსაუკუნოვანი თანამმართველობა ერისმთავრობის გაუქმებით დასრულდა.

თბილისში ამირას დანიშვნას მნიშვნელოვანი ცვლილებები მოყვა არაბ ქართველთა ურთიერთობაში და არაბთა მიერ დაპყრობილი ქართული ქვეყნის ცხოვრებაში. თბილისში საკუთარი მოხელის დანიშვნის ფაქტი, უკვე არაბთა ძლიერების მაუწყებელი იყო. აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ციხექალაქებში არაბებმა სამხედრო გარნიზონები ჩააყენეს. ასეთი გარნიზონები იდგა რუსთავში, დმანისში, ხუნანში და სხვა ქალაქებში. ამ გარნიზონთა სამხედრო მეთაურებიც ამირებად იწოდებოდნენ და თბილისის ამირას ექვემდებარებოდნენ. თბილისის ამირა ფაქტობრივად ქართლის, არაბთა მიერ დაპყრობილი საქართველოს ნაწილის გამგებელი იყო.

ზემონახსენებ ამირათა გარდა ქართლის ამირას შედარებით უფრო მცირე ერთეულების “ხევების” გამგებლებიც ემორჩილებოდნენ, ერთერთი ასეთი იყო მაგ. დიღმის ხევის განმგებელი ჰომად კიტრის ძე.

ქართლის ამირა იყო არაბთა მიერ დაპყრობილი ტერიტორიის უზენაესი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალი და მსაჯული.

ქართლის ამირას განკარგულებაში იყო როგორც საკუთრივ თბილისის ციხეში მოთავსებული სამხედრო გარნიზონი, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ციხექალაქებში მდგომი არაბული სამხედრო რაზმები: ეს სამხედრო ძალა მას ესაჭიროებოდა როგორც ადგილობრივი მოსახლეობის მორჩილებაში მოსაყვანად და დამპყრობთა საწინააღმდეგო აჯანყებაგამოსვლების ჩასაქრობად, ასევე ბიზანტიელთა და ხაზართა შემოტევებისაგან ქართლის დასაცავად.

ამირას კარზე მოხელეთა დიდი შტატი იყო. თბილისის საამიროს მმართველობა არაბული ადმინისტრაციის წესზე იყო მოწყობილი. ამირას საამიროში წესრიგის დასაცავად და

საპოლიციო სამსახურის აღსასრულებლად საგანგებო პოლიციელები, შურტები ყავდა, რომელთა უფროსი საჰიბაშშურტა იყო. საკუთრივ ქალაქში წესრიგის დაცვა, ბაზარზე წესრიგი, ქუჩების კეთილმოწყობაზე ზრუნვა, ვალების დროზე გადახდაზე თვალყურის დევნება, მაჰმადიანთა პრივილეგიების უზრუნველყოფა ქრისტიანებთან და ებრაელებთან შედარებით ქალაქის სათანადო მოხელის, მუჰთასიბის მოვალეობას შეადგენდა.

საამიროს მრავალმხრივი მიწერმოწერა და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა სახალიფოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ამირას კარზე რთული სამოხელეო აპარატის არსებობა საგანგებო საქმის წარმოებას მოითხოვდა, რისთვისაც სამდივანმწიგნობრო არსებობდა. ამ საკანცელარიო საქმეს საგანგებო მოხელე, ამიდი განაგებდა. მის მოვალეობას საბუთების შედგენა, სახალიფოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან და სხვა სახელმწიფოებთან მიწერმოწერა შეადგენდა.

ქართლში ამირას და სხვა არაბი მოხელეების დანიშვნამ, არაბული სამხედრო გარნიზონების ჩაყენებამ გაამრავლა აქ არაბულმაჰმადიანური მოსახლეობა. ამ მოსახლეობას, რომელიც უმთავრესად არისტოკრატიისაგან შედგებოდა ამირას კარზე თავისი წარმომადგენელი ჰყავდა, რეისი, რომელიც ამირას კარზე ქართლის მაჰმადიანური მოსახლეობის ინტერესებს წარმოადგენდა და იცავდა. იმავე მაჰმადიანური მოსახლეობის არსებობამ განაპირობა ქართლში, ძირითადად თბილისში, მეჩეთების აგება, მაჰმადიანური ეკლესიის მღვდელმსახურთა, მაჰმადიანური სჯულის მეცნიერის ყადის და სხვა მოხელეთა ყოფნა.

თბილისს მაჰმადიანთა ხანგრძლივი მფლობელობის პერიოდში არ დაუკარგავს დიდი სავაჭრო ქალაქის მნიშვნელობა. თბილისი იმდროინდელი მსოფლიოს მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე მდებარეობდა. ეს სავაჭრო გზა მაშინ არაბთა ხელთ იყო და თბილისი ამ ვაჭრობაში აქტიურ როლს თამაშობდა. სატრანზიტო ვაჭრობასთან ერთად აქ ადგილობრივი საქონლითაც ვაჭრობდნენ, რომელიც თბილელი ხელოსნების მიერ მზადდებოდა, ქალაქის ირგვლივ მცხოვრებთ შემოჰქონდათ სასოფლოსამეურნეო პროდუქტები თუ სახელოსნო ნაწარმი. აქ იმდროინდელი მსოფლიოს მრავალი კუთხიდან იყრიდნენ ვაჭრები თავს. ქალაქში შემოსულ მრავალრიცხოვან საქონელს ბაჟი და სხვადასხვა სავაჭრო გადასახადი ედო. ქალაქის ბაჟისა და სავაჭრო გადასახადის მოგვარებაზე პასუხისმგებლობა არაბთა მფლობელობის დროიდან ქალაქის მუშრიბს ევალებოდა.

თავდაპირველად არაბ ამირას მთელი აღმოსავლეთ საქართველო ექვემდებარებოდა, მაგრამ VIII – IX საუკუნეთა მიჯნიდან, ჩვენში დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნასთან ერთად, საამიროს ტერიტორია თანდათან შეიზღუდა. ყველაზე მტკიცედ ამირები ქვემო ქართლში იყვნენ ჩამდგარნი და შედარებით დიდხანს შეინარჩუნეს შიდა ქართლიც, მაგრამ IX ს. ამირებმა შიდა ქართლი დაკარგეს, ის ქართველ მეფემთავრებთა შორის ბრძოლის ობიექტად იქცა.

IX – XI საუკუნეებში საამიროს საზღვარი ჩრდილოეთ დიღმის ხევამდე ვრცელდებოდა და დიღმის ხევის განმგებელი ამირას ექვემდებარებოდა. სამხრეთით ამირას ეკუთვნოდა ციხეები ბირთვისი და ფარცხისი. IX საუკუნის დასასრულიდან ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილი

სომეხი ბაგრატუნების ხელში გადავიდა. სამშვილდე და ქართველთა ველი მათ ეპყრათ, მათ ხელშივე იყო ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილი მდ. ქციის შუა და ქვემო წელის ჩათვლით.

დასავლეთით საამიროს ესაზღვრებოდა თრიალეთი, რომელიც ქართველთა სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. აღმოსავლეთი საზღვარი ძირითადად მტკვარზე გადიოდა, მაგრამ ნაწილი მტკვრის აღმოსავლეთი ნაპირისა, ისნის ველი, ავჭალა და მტკვრის მარცხენა სანაპირო, მდ. იორამდე საამიროს ფარგლებში შედიოდა.

ამირების მოვალეობას, როგორც აღვნიშნეთ, საკუთრივ ქართლში არაბთა მფლობელობის უზრუნველყოფა და ბიზანტიელთა თუ ხაზართაგან არაბთა სამფლობელოების დაცვა ევალებოდა. ეს კი საფორტიფიკაციო სამუშაოთა ჩატარებას, ციხექალაქთა გამაგრებას მოითხოვდა. ასეთი სამუშაოების ერთი და მნიშვნელოვანი ნაწილი იყო საკუთრივ თბილისის გამაგრება. ასეთ სამუშაოთა რიგს განეკუთვნება მტკვრის მარცხენა სანაპიროზე დღევანდელი მეტეხის მიდამოებში, სოღდებილში თბილისის ამირა საჰაკის მიერ ციხისათვის თხრილის შემოვლება და ციხის გამაგრება. ამ რიგის სამუშაოები ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ტარდებოდა და მათ საბეგრო მოვალეობას შეადგენდა.

საამიროს მთელი თავისი არსებობის მანძილზე დაძაბული ბრძოლა ჰქონდა ტერიტორიისათვის ადგილობრივ ქართველ მეფემთავრებთან და ლორეტაშირის კვირიკიანებთან. იმ დროს როდესაც ტაშირი და "ქართველთა ველი" კვირიკიანებს ეპყრათ და მათი საჯდომი ციხესიმაგრე სამშვილდე იყო, დმანისი თბილისის ამირას ეკუთვნოდა. საუკუნის დასასრულს დავით ტაშირის მეფემ ილაშქრა ამირას წინააღმდეგ, და დმანისი დაიპყრო. მაგრამ XI საუკუნის დასაწყისში დმანისი ისევ საამიროს შემადგენლობაში შევიდა. ჩანს ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილისათვის თბილისის ამირები და ლორეტაშირის კვირიკიანები იბრძოდნენ.

VIII საუკუნის განმავლობაში ქართლის ამირები, ჩანს ერთგულად ასრულებდნენ თავის მოვალეობას სახალიფოს ხელისუფლების წინაშე და ამ ხნის განმავლობაში ხალიფასა და ამირას შორის კონფლიქტი არ ჩანს. მდგომარეობა იცვლება IX საუკუნის დასაწყისიდან. VIII საუკუნის მანძილზე ჩვენთვის ქართლის არცერთი ამირას სახელი ცნობილი არ არის. იოანე საბანისძის თხზულებაში მოხსენიებული თბილისის ამირა, რომელიც აბო თბილელს სიკვდილით დასჯის, საკუთარი სახელით არ არის ნახსენები, მას ზოგადად ამირა ეწოდება. VIII საუკუნის დასასრულსა და IX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ვლინდება არაბთა სახალიფოს დასუსტებისა და დაშლის ნიშნები, თბილისის ამირებიც იწყებენ ურჩობას და ამ დროიდან ჩვენთვის თბილისის ამირების სახელებიც ცნობილი ხდება.

IX საუკუნის დასაწყისში მთავრდება თბილისის საამიროს ისტორიის პირველი პერიოდი, როდესაც ქალაქის ამირა მთელი აღმოსავლეთ საქართველოს განმგებელია, ის აქ სახალიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას წარმოადგენდა და ასრულებდა ხალიფას ერთგული მოხელის მოვალეობას. IX საუკუნის დასაწყისიდან დგება ახალი ეტაპი: როდესაც არაბთა მფლობელობაში რჩება მხოლოდ საკუთრივ ქართლი, ამირა ხალიფას მოხელეა, მაგრამ ის უკვე აღარ არის მისი ერთგული, ამირებს უჩნდებათ დამოუკიდებელი პროვინციული მმართველის უფლებების მოპოვების სურვილები, ამირას ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის ტენდენციები.

ამიერიდან ძალთა თანაფარდობა და განლაგება ამიერკავკასიაში იცვლება. მაჰმადიანური ხელისუფლება საკუთრივ საქართველოში წარმოდგენილია ორი მხარის, სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლებისა და თბილისის ამირას სახით და ადგილობრივი მეფემთავრებიც, საკუთარი ინტერესების შესაბამისად ამ ორი ძალის გარშემო ჯგუფდებიან. IX ს-ის დასაწყისიდან სრულიად აშკარა ხდება თბილისის საამიროს სახალიფოდან გამოყოფის, ამირას მიერ დამოუკიდებელი გამგებლობის მოპოვების ტენდენცია. ამირების ეს მისწრაფება პირველ რიგში ვლინდება ხარკის მითვისებისკენ სწრაფვაში. ამ დროს ამირა ხარკს ვეღარ კრეფს მთელი ქართლიდან, რადგანაც მისი ხელისუფლება თბილისს და მის შემოგარენს ვეღარ სცილდება. თბილისიდან აკრეფილი ხარკი ამირას ხაზინაში მიდიოდა. ხალიფა კი კვლავინდებურად მოითხოვდა თბილისის ამირასაგან ხარკს. ამ ნიადაგზე IX ს-ში მიმდინარეობდა გამუდმებული ბრძოლა ამირასა და ხალიფას შორის, ჩვეულებრივ თბილისის ამირას დამორჩილება არმინიის ვალის ევალებოდა, მაგრამ ზოგჯერ ხალიფა გზავნიდა საგანგებო ლაშქარს, რადგან საქმე მარტო ხარკში არ იყო. თბილისის ამირასთან ხალიფას ბრძოლა გადაეხლართა წანარებთან ბრძოლას. წანარები სახლობდნენ დარიალის ხეობაში, დარიალს კი სახალიფოსათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც გადმოსასვლელს ჩრდილოეთ კავკასიიდან, საიდანაც არაბებს ემუქრებოდა ხაზართა შემოჭრა. არაბები ცდილობდნენ ხელთ ჰქონოდათ დარიალი, მთიელი წანარები კი არ იჩენდნენ მორჩილების სურვილს და ხშირად სასტიკად ამარცხებდნენ არაბთა ლაშქარს. ამრიგად ხალიფას ლაშქარს ბრძოლა უხდებოდა ერთდროულად თბილისის ამირასთან, წანარებთან, კახეთის სამთავროსთან, აგრეთვე ხშირად "აფხაზთა" მეფესთანაც, რომელიც უკვე ცდილობდა თავისი ხელისუფლების დამკვიდრებას აღმოსავლეთ საქართველოში. ხალიფას ლაშქარს ხშირად მხარს უჭერდნენ ტაოკლარჯეთის ქართველი ბაგრატიონები (მაგ. სახელდობრ ბაგრატ I, კურაპალატი), რომლებიც ტრადიციული მტრები იყვნენ თბილისის არაბი ამირებისა და ცდილობდნენ ხალიფას ლაშქრის გამოყენებას თავიანთი მეტოქეების წინააღმდეგ საქართველოში (აფხაზთა მეფე, თბილისის ამირა, კახეთის ქორეპისკოპოსი).

პირველ ცნობებს თბილისის ამირების კონფლიქტზე არმინიის ვალისთან და ხალიფასთან გვაწვდის არაბი ისტორიკოსი იაკუბი. მისი ცნობით ხალიფა ალამინმა (809 – 813) არმინიის ვალიდ დანიშნა უსეიდ იბნიაზიდი, რომელმაც დაატყვევა იაჰია იბნსაიდი (არმენიის ერთერთი ოლქის გამგებელი) და ისმაილ იბნშუაბი (თბილისის ამირა), შემდეგ შეიწყალა ისინი და გაათავისუფლა. ახლად გახალიფებულმა ალმამუნმა (813 – 833) გადააყენა იბნშუაბი და დანიშნა თბილისის ამირად მუჰამად იბნათაბი (813 – 814, 829). ეს უკანასკნელი განუდგა ხალიფას და წანარებთან შეერთებული ძალებით დაამარცხა მის წინააღმდეგ გამოგზავნილი არმინიის ვალი. მუჰამად იბნათაბის დასამორჩილებლად ახალი დამსჯელი ექსპედიცია გამოიგზავნა, ის გადააყენეს. მის მაგივრად თბილისის ამირად დაინიშნა შუაბიანთა სახლის წარმომადგენელი ალი იბნშუაბი (სახელის მიხედვით, როგორც ჩანს ის იყო ძმა ამირა ისმაილიბნშუაბისა). ეს უკანასკნელი ამირად ჩანს მხოლოდ 830 წელს. ხალიფამ ისიც გადააყენა და მის მაგივრად თბილისის ამირად დანიშნა ისჰაკ იბნისმაილ იბნშუაბი (ქართული წყაროებით საჰაკი) (830 – 853). როგორც ჩანს საჰაკი მანამდეც (817 წ.) იყო თბილისის ამირად, ის გადაუყენებიათ, მაგრამ იბრძოდა და "კუალად დაჯდა" თბილისის ამირად. სახელიდან ჩანს რომ ის იყო თბილისის

ამირა ისმაილ იბნშუაბის შვილი. საჰაკი დიდ ხანს მართავდა თბილისს და არ ემორჩილებოდა ხალიფას. ბრძოლა ცვალებადი შედეგებით მიმდინარეობდა, რაც საბოლოოდ დასრულდა მის წინააღმდეგ მოწყობილი დიდი ლაშქრობით და მისი სიკვდილით დასჯით. ამავე დროს სამხრეთ კავკასიაში აჯანყებებია სახალიფოს ხელისუფლების წინააღმდეგ. აჯანყებათა ჩასაქრობად ხალიფამ 852 წ. დიდი ლაშქრით გამოგზავნა ბუღა თურქი. ბუღა თურქი სასტიკად გაუსწორდა აჯენყებულებს, შემდეგ კი გაემართა საჰაკის დასასჯელად. ხალიფას ლაშქარს მიემხრო ბაგრატ I კურაპალატი, წინააღმდეგ კი გამოვიდა აფხაზთა მეფე. ბუღას ერთერთმა სარდალმა ზირაქმა და ბაგრატ კურაპალატმა დაამარცხეს აფხაზთა მეფე და გააქციეს. ზირაქს შეუპყრია ქართველი წარჩინებულნი კოსტანტიკახა და მისი ძე თარხუჯი 853 წლის 26 აგვისტოს და ბუღამ კოსტანტი ბაღდადში ხალიფა მუთავაქილთან გაგზავნა, რომელსაც მისთვის მაჰმადიანობის მიღება მოუთხოვია. ამ მოთხოვნის უარყოფის გამო 853 წლის 10 ნოემბერს კოსტანტის თავი მოკვეთეს. მისი წამება აღწერილია ანონიმურ ჰაგიოგრაფიულ ქართულ თხზულებაში: “ცხოვრებაი და წამებაი კოსტანტი კახისაჲ”. ბუღა თურქს 853 წ. 5 აგვისტოს აუღია თბილისი და გადაუწვავს ის და მოუკლავს ამირა საჰაკი. არაბი ისტორიკოსის ატტაბარის ცნობით ამ ხანძრის დროს თბილისში დაღუპულია 50 000 მცხოვრები. თბილისის აღებაზე, კახასა და მისი ძის შეპყრობაზე ცნობას გვაწვდის აგრეთვე ატენის კედელზე საღებავით შესრულებული წარწერა:

“თთუესა აგუსტოსსა ესა დღესა შაბათსა,

კრონიკონსა ოგსა (73 – ე. ი. 853 წ.)

ისმაიტელთა წელსა სლთსა,

ქალაქი ტფილისი დაწუა ბუღა და შეიპყრა ამირაი

საჰაკ და მოკლა. და მასსვე თთუესა აგვისტოსა

კვსა, დღესა შაბათსავე, ზირაქ შეიპყრა კახაი

და ძეი მისი თარხუჯი”.

თბილისის აღების შემდეგ ბუღა ცდილობს ამიერკავკასიაში არაბთა მთავარი სტრატეგიული მიზნის განხორციელებას: ჩრდილოეთ კავკასიის გადმოსასვლელების – დარიალის და დარუბანდის ხელში ჩაგდებას და გამაგრებას, მაგრამ კახეთთან ბრძოლა არაბებისათვის ამჯერადაც უშედეგო გამოდგა. იაკუბის ცნობით არაგვის მთიულთა მიერ უკუქცეული ბუღა ხალიფა მუთავაქილმა კავკასიიდან გაიწვია და არმინიაში მუჰამად იბნ ხალილი გამოგზავნა. ამ პერიოდში როგორც ჩანს გრძელდებოდა არმინიაში აჯანყებები, რის გამოც 878 წელს ხალიფამ ისევ მუჰამად ხალილის ძე გამოგზავნა. მუჰამადმა, შესძლო აჯანყების დროებით ჩაქრობა.

ბუღა თურქის ლაშქრობა ჩვენთვის ცნობილი უკანასკნელი ეპიზოდია ხალიფებისა და თბილისის ამირების ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლებისა. ამის შემდეგ წყაროებში აღარ ჩანს ცნობები ამ ბრძოლების შესახებ. ამირა საჰაკის სიკვდილით დასჯის (853 წ.) შემდეგ როგორც ჩანს, თბილისის ამირები ერთხანს მორჩილებდნენ არმინიის ვალის და უხდიდნენ ხარკს

ხალიფას. ამასთანავე ხალიფებს აღარ შესწევდათ უნარი, რომ საბოლოოდ აღეკვეთათ თბილისის ამირების სეპარატიზმი.

წყაროებით ცნობილია თბილისის რამდენიმე ამირა:

ისმაილ იბნშუაბი (დაახლოებით 809 – 813 წწ.). ეს იყო შუაბიანთა საგუარეულოს წარმომადგენელი, რომლის წინაპრები ჯერ კიდევ VIII ს-ის ბოლოს შეიძლება ისხდნენ თბილისში.

მუჰამედ იბნათაბი (813 – 814, 829 – 830 წწ.) ეს არ იყო შუაბიანთა საგვარეულოს წარმომადგენელი.

ალი იბნშუაბი (829 – 830 წწ.) ეს უნდა იყოს ისმაილ იბნშუაბის ძმა.

ისჰაკ იბნისმაილ იბნშუაბი – ქართული წყაროებით საჰაკი (830 – 853 წწ.). საჰაკი რამდენჯერმე განუდგა ხალიფას. საბოლოოდ ის სიკვდილით დასაჯა ბუღა თურქმა 853 წელს. საჰაკი იყო უკანასკნელი ამირა შუაბიანთა საგვარეულოდან.

გაბულოცი (ჩანს 878 – 822 წლებს შორის).

წყაროები 853 – 878 წლებში იხსენიებენ ამიერკავკასიის ოთხ ამირას, რომელთაც არსებულ რთულ ვითარებაში და ფაქტობრივად მთელი აღმოსავლეთის ამიერკავკასიის მორჩილებაში ყოლა ევალებოდათ, მხოლოდ თბილისის ამირად კი საჰაკის შემდეგ წყაროებში მოხსენიებულია გაბულოცი, რომელიც მემატიანეს ცნობით იყო “საჰაკის მონათაგანი”. მან მოისურვა თავისი სამფლობელოს გაზრდა და დაიქვემდებარა გარდაბანელნი. ამის გამო ის შეიპყრო გურამ აშოტის ძე ბაგრატიონმა და გაგზავნა ბიზანტიაში.

IX ს-ის 80-იან წლებიდან XI ს-ის 80-იან წლებამდე (ე. ი. თითქმის ორი საუკუნის მანძილზე) თბილისს განაგებდნენ ჯაფარიანთა დინასტიის წარმომადგენელი ამირები.

ჯაფარიბნალი (იხსენიება 914 წლის ახლო ხანებში). ეს არის პირველი ამირა თბილისში ჯაფარიანთა გვარიდან.

მანსორიბნჯაფარი (ჩანს, ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, X ს-ის 50-იან წლებში). მეორე ამირა ჯაფარიანების საგვარეულოდან, ჯაფარ იბნალის ძე, ეს იყო თბილისის პირველი ამირა, რომელმაც თავისი სახელით მოჭრა ფული. მისი სახელი, ხალიფა მუტის სახელთან ერთად აღნიშნულია ჰიჯრით 342 და 343 წლებში (ე. ი. 953-54 და 954-55 წწ.) თბილისში მოჭრილი არაბული ვერცხლის დირჰემებზე. მხოლოდ ხალიფას სახელით მოჭრილი უკანასკნელი ჩვენთვის ცნობილი თბილისური დირჰემი 942-43 წლისაა.

ჯაფარ იბნ მანსური (ჩანს ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით. X ს-ის 70-80-იან წლებში): მესამე ამირა ჯაფარიანების საგვარეულოდან, მანსორიბნჯაფარის ძე. მისი სახელი ხალიფა ატტაის სახელთან ერთად, აღნიშნულია ჰიჯრით 364, 366 და 370 წლებში (ე. ი. 974-75; 976-77 და 980-81 წწ.) მოჭრილ თბილისურ დირჰემებზე.

ალი იბნ ჯაფარი (ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით ჩანს X ს-ის 90-იან XI ს-ის 20-იან წლებში). მეოთხე ამირა ჯაფარიანთა საგვარეულოდან ჯაფარ იბნმანსურის ძე (საქართველოს

მეფეების ბაგრატ III-ის (978 – 1014) და გიორგი I-ის (1014 – 1027) თანამედროვე. მისი მონეტა უკანასკნელი თბილისური დირჰემია ამირას სახელით მოჭრილი. მომდევნო ამირა ჯაფარი ალბათ ასევე ჭრიდა ფულს, მაგრამ დღესდღეობით მისი მონეტა არ არის მიკვლეული. ამირა ალი მოხსენიებულია მელქისედეკ კათალიკოსის "დაწერილში" (მცხეთის სვეტიცხოვლის დოკუმენტი 1031 – 1033 წლებისა). ამ საბუთში აღნიშნულია, რომ ალიმ მელქისედეკის მცდელობით მოუხსნა მცხეთის საყდარს ამირას სასარგებლოდ დაკისრებული სხვადასხვა ნატურალური გადასახადები.

უცნობი ამირა (1065 – 1068 წწ.) არაბი ავტორის მუნეჯიმბაშის ცნობით, ჯაფარ იბნალის დარჩა ორი ვაჟი: მანსური და აბულჰეიჯა, რომელთაც ერთმანეთთან დაუწყიათ ბრძოლა თბილისის დასაკუთრებისათვის.

1068 წელს თურქთა სულტანის ალფარსლანის მეორე ლაშქრობის დროს მემატიანეს ცნობით, მას მხარი დაუჭირა თბილისის ამირამ. ეს ალბათ იყო ამირა ჯაფარ იბნალის ერთერთი ვაჟი, რომელიც ჩანს თბილისს დაეუფლა 1065 წ. ალფარსლანის დახმარებით მისი ქალაქში პირველი ლაშქრობის დროს.

ფადლონი (1068 წ.). სულტანმა ალფარსლანმა არ დაუფასა თბილისის ამირას ერთგულება. თბილისი და რუსთავი მან გადასცა განძის ამირა ფადლონს, რომელიც ფლობდა მცირე ხნით თბილისს.

სითილარაბი (1069 – 80-იანი წლების დასაწყისი). ბაგრატ IV-მ ალფ არსლანის საქართველოდან წასვლის შემდეგ დაიკავა თბილისი, განდევნა ფადლონი და გადასცა ქალაქი დმანელ სითილარაბს. სითილარაბის ამირობა გაგრძელდა XI ს-ის 80-იან წლებამდე. სავარაუდოა, რომ სითილარაბი, ისევე როგორც 1068 წელს მოხსენიებული ამირა, ჯაფარიანთა საგვარეულოდან იყო. ამას მხარს უჭერს არაბი ავტორის იბნალაზრაკ ალ ფარიკის ცნობა, რომ IX საუკუნის 80-იანი წლებიდან, ვიდრე XI საუკუნის 70-იანი წლების დასასრულამდე, ორასი წლის მანძილზე თბილისის ამირობა ჯაფარიანებს უპყრიათ. ამდენად IX საუკუნის 80-იანი წლებიდან დგება ახალი ეტაპი საამიროს ისტორიაში, როდესაც ამირები მხოლოდ ფორმალურად აღიარებენ ხალიფას უზენაესობას, რაც ხალიფების, როგორც მართლმორწმუნე მუსლიმთა უზენაესი ხელისუფლების ცნობაში გამოიხატება. ჯაფარიანი ამირები მონეტებსაც ხალიფთა სახელით ჭრიან. მაგრამ X საუკუნის 40-იანი წლებიდან ისევ გარდატეხა ხდება. ამირები ფორმალურადაც აცხადებდნენ თავის დამოუკიდებლობას და ხალიფას სახელთან ერთად თბილისში მოჭრილ ვერცხლის მონეტებზე თავის სახელსაც ათავსებდნენ.

ტაშირძორაგეტის ქართულსომხური სამეფო, ჩამოყალიბდა X ს-ის მეორე ნახევარში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, განაგებდნენ შირაკის სომეხი მეფეები ბაგრატუნთა საგვარეულოს უმცროსი შტოს წარმომადგენლის კვირიკეს მემკვიდრეები. სომხურ წყაროებში ამ მხარეს ეწოდებოდა "გუგარქი" ან "ქართველთა ველი" ("ვრაც დაშტ"); ქართულ წყაროებში მას შემდეგ რაც ქვემო ქართლის დიდ ნაწილს დაეუფლა ბაგრატუნთა ანისის სამეფო – ამ ტერიტორიას ეწოდა სომხითი, ვახუშტი ბაგრატიონი მას "ქართლის სომხითს" უწოდებს.

ეთნიკურად ქართულსომხური ნარევი, რწმენით – მართლმადიდებლურგრიგორიანული მოსახლეობით. სამეფომ იარსება ერთ საუკუნეზე ცოტა მეტ ხანს. მისი ცენტრი იყო ჯერ ციხექალაქი სამშვილდე, ხოლო 1065 წლიდან, როდესაც სამშვილდე საქართველოს მეფე ბაგრატმა დაიკავა – ცენტრი გახდა ლორე. 1118 წელს მეფე დავით IV – აღმაშენებლის მიერ ლორეს აღების შემდეგ, ისინი დამკვიდრდნენ ტავუშის და სხვა ციხეებში და XIII საუკუნის შუა წლებამდე ნომინალურად ატარებდნენ მეფის ტიტულს.

“ბრძოლა ქართლსა ზედა”, ასე უწოდებს XI ს-ის ქართველი ისტორიკოსი იმ ბრძოლას, რომელიც IX – X საუკუნეებში მიმდინარეობდა შიდა ქართლის გამო, რაც ობიექტურად ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის ბრძოლა იყო. შიდა ქართლი ესაა მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირო მდ. მტკვრიდან და თბილისიდან ლიხის ქედამდე და ტაშისკარამდე (ბორჯომის ხეობაში შესასვლელი), ჩრდილოეთით კავკასიონის ქედამდე. მებრძოლ მხარეთა ინტერესებს შიდა ქართლისადმი მრავალი ფაქტორი განსაზღვრავდა: ადგილმდებარეობა, როგორც ცენტრალურ რეგიონისა, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა მის როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრის მნიშვნელობას, შიდა ქართლზე გადიოდა და აქ უკავშირდებოდა ერთმანეთს ამიერკავკასიის მნიშვნელოვანი სტრატეგიული და სავაჭრო მნიშვნელობის მაგისტრალები. შიდა ქართლი გზებით დაკავშირებული იყო დასავლეთ საქართველოსთან (სურამის უღელტეხილი), სამხრეთ საქართველოსთან (მტკვრის ხეობა), ჩრდილო კავკასიასთან (დარიალის ხეობა), კახეთთან (გომბორის გადასასვლელი), სამხრეთით სომხეთთან და ა. შ. სახელდობრ ეს მიწაწყალი წარმოადგენდა იმ გზათა საყარს, რომელთა ნაწილს (მტკვრის ხეობა, დარიალი) ადგილობრივთან ერთად უძველესი დროიდან, საერთაშორისო მნიშვნელობაც ჰქონდათ. აღნიშნულმა გარემოებამ თავიდანვე შეუწყო ხელი შიდა ქართლის დაწინაურებას.

საერთოდ საქართველოს ისტორიაში გზების მფლობელობას ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა და მათი დაუფლებისათვის გამუდმებული ბრძოლა მიმდინარეობდა (ახლაც!).

შიდა ქართლი საქართველოს უძველესი დროიდან ერთერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რეგიონი იყო. ამასთანავე ქართული ქრისტიანობის ცენტრი, საიდანაც ქართული ქრისტიანული რწმენა და ქართული კულტურის გავლენა დანარჩენ საქართველოზე ვრცელდებოდა, და რომლის ირგვლივ მიმდინარეობდა კულტურული და საეკლესიო კონსოლიდაცია შიდა ქართლში – მცხეთაში იყო.

ინტერესს შიდა ქართლისადმი ისტორიული ტრადიციაც განსაზღვრავდა. შიდა ქართლი იყო ქართლის ძველი სამეფოს უმთავრესი დომენი, ქართლის მეფეთა თავდაპირველი ხელისუფლება სწორედ ამ მხარის მფლობელობას ემყარებოდა.

შიდა ქართლისათვის ბრძოლა VIII ს-ის ბოლოს და IX ს-ის დასაწყისში ახალი ქართული სახელმწიფოების შექმნისთანავე იძაბება. ამ დროს შიდა ქართლს კახთა მთავარი გრიგოლი ფლობდა, რომელსაც IX ს-ის დასაწყისში უპირისპირდება აშოტ კურაპალატი. აშოტი იკავებს შიდა ქართლის ნაწილს მდ. ქსნამდე და ეს მიწაწყალი ბაგრატიონთა სამთავროს

შემადგენლობაში შედის, ხოლო მიწაწყალი ქსნიდან არაგვამდე კახეთის სამთავროს შემადგენლობაში რჩება.

IX – X საუკუნეებში ბრძოლა შიდა ქართლისათვის ცვალებადი შედეგებით მიმდინარეობდა. მებრძოლი მხარეები სახალიფოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და თბილისის ამირას შორის ბრძოლას თავისი ინტერესებისათვის იყენებენ.

სახალიფოს ხელისუფლებამ ისარგებლა აშოტ კურაპალატის გარდაცვალებით და მის მემკვიდრეებს ჩამოართვეს შიდა ქართლი. ამის შემდეგ ბაგრატიონები ვეღარ ახერხებდნენ შიდა ქართლისათვის დამოუკიდებლად ბრძოლას და ცდილობენ თავის სასარგებლოდ გამოიყენონ ბრძოლა ხალიფას სარდლებსა და თბილისის ამირებს შორის. ამასთანავე შიდა ქართლისათვის ბრძოლაში აქტიურად იწყებენ ჩარევას აფხაზთა მეფეები. IX ს-ის შუა წლებში აფხაზთა მეფე გიორგიმ დაიკავა შიდა ქართლი და იქ ერისთავად ტახტის მემკვიდრე ბაგრატი დააყენა.

IX ს-ის ბოლოს შიდა ქართლისათვის ბრძოლაში სომეხი ბაგრატუნები ებმებიან. როგორც ჩანს, ამ დროისათვის აშოტ ბაგრატუნმა შეძლო ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილის, გუგარქის დაპყრობა.

სომეხი ბაგრატუნების ჩარევამ შიდა ქართლისათვის ბრძოლაში ძალთა ახალი გადანაცვლება გამოიწვია.

ამდროინდელ სომხეთში უძლიერესი შირაკის სამეფო იყო, რომელთან ერთადაც ვასპურაკანის სამეფო და სივნიეთის სამთავრო ცდილობდნენ ჩაბმას სამხრეთ კავკასიის საერთაშორისო პოლიტიკაში. სომეხი ბაგრატუნები პირველ რიგში ცდილობდნენ შიდა ქართლის დაპყრობას რაც სამხრეთ კავკასიაში ჰეგემონობას ნიშნავდა. სომეხი ბაგრატუნების შიდა ქართლისათვის ბრძოლაში ჩაბმა აფართოვებს ამ პროცესის ფარგლებს და ის იღებს სამხრეთ კავკასიის გაერთიანებისათვის ბრძოლის და ერთიანი სამხრეთკავკასიული ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნის ხასიათს.

IX ს-ის ბოლოს სამხრეთ კავკასიაში ერთმანეთს აფხაზთა და სომეხთა სამეფოები უპირისპირდებიან ერთმანეთს. ამ ბრძოლაში აშოტ კურაპალატის უმცროსი შტოს წარმომადგენლები (გვარამ მამფალი, მისი ძე ნასრი და გურგენ ერისთავთერისთავი) აფხაზთა მოკავშირენი იყვნენ, რადგან გვარამის სამფლობელოები ტაშირი და აბოცი სომხეთს ესაზღვრებოდა და მას არ აწყობდა სომეხთა მეფის გაძლიერება. დავით კურაპალატი და მისი ძლიერი ვასალი, კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში სომეხთა მეფეს უჭერდნენ მხარს. რომელთა დახმარებაც სურდა დავით კურაპალატს თავისი უძლიერესი მეტოქის, აფხაზთა სამეფოს დამარცხება. მისი მემკვიდრე ადარნასე კურაპალატი 891 წელს სომხეთში ჩადის, რათა მხარი დაუჭიროს სომეხთა მეფის სმბატის გამეფებას. ამ მისიას სერიოზული გართულება მოყვა, ის შეიპყრო სმბატის მეტოქე აბასმა, მაგრამ გამეფებულმა სმბატმა გაანთავისუფლა თავისი მოკავშირე.

IX ს-ის ბოლოს და X საუკუნის დასაწყისში აფხაზთა მეფემ კოსტანტიმ დროებით დაკარგა შიდა ქართლი. ის თავის დედაქალაქ უფლისციხითურთ სომეხთა მეფემ დაიკავა, მაგრამ მეფე კოსტანტიმ შეძლო შიდა ქართლის დაბრუნება. აფხაზთა მეფე კოსტანტი III-ის გარდაცვალების

შემდეგ მის შვილებს შორის ტახტისათვის ატეხილი ბრძოლის ვითარებაში დასავლურქართული სახელმწიფო დასუსტდა და ქართლი უფრო ზუსტად შიდა ქართლის ნაწილი მდ. ქსნამდე ადარნასე ბაგრატიონმა დაიკავა, ქსნის იქითა მხარე კახთა მეფეების ხელთაა.

დასავლეთ საქართველოში ტახტზე ასული მეფე გიორგი II-ის (922 – 957) წინაშე მწვავედ იდგა შიდა ქართლის პრობლემა, რომელმაც დაიბრუნა ის და იქ ერისთავად თავისი უფროსი ვაჟი კოსტანტი დააყენა.

შიდა ქართლის ძლიერი ფეოდალების, ტბელების და სხვათა შეგულიანებით, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ აფხაზთა მეფის მიერ მათი უფლებების შეზღუდვით, გადაიბირეს კოსტანტი ერისთავი და ის გადაუდგა მამას. კოსტანტი დამარცხდა და სათანადოდ დაისაჯა. ამის შემდეგ შიდა ქართლის ნაწილისათვის, მდინარეებს ქსანსა და არაგვს შორის, იბრძვის გიორგისძე ლეონი, ჯერ როგორც ქართლის ერისთავი, მამის გარდაცვალების შემდეგ როგორც აფხაზთა მეფე ლეონ III (957 – 968). ბრძოლა ცვალებადი შედეგებით მიმდინარეობს: ლეონის გარდაცვალების შემდეგ ქსანს აქეთა შიდა ქართლს კახეთის მთავარი უტევს და მთლიანად იერთებს მას. მაგრამ X ს-ის 70-იან წლებში შიდა ქართლის პრობლემა დიდი ქართველი სახელმწიფო მოღვაწის ივანე მარუშის ძის გეგმით და დავით III დიდის, ტაოს მეფის მიერ გადაწყდა.

თავი X. ქართული შუასაუკუნოვანი მონარქიის შექმნა

X ს-ის 70-იანი წლები ერთერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია საქართველოს ისტორიაში. საქართველოს ისტორიას მისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე გასდევს ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების ტენდენცია.

ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესების, შიდასეპარატისტული ძალების და გარეშე დამპყრობთა ძალისხმევის შემდეგ ქვეყანა იშლებოდა, შემდეგ, საზოგადოების პროგრესული ძალების მოღვაწეობის, ხელსაყრელი საგარეო პირობების ვითარებაში ქართული ქვეყნები ისევ ერთიანდებოდნენ, შემდეგ ისევ იშლებოდნენ...

ერთიანი აღმოსავლურქართული სახელმწიფოს, ქართლის სამეფოს ჩამოყალიბება, რომელიც დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილს, საკუთრივ ეგრისსაც მოიცავდა ძვ. წ. IV საუკუნეს, სახელდობრ, მეფე ფარნავაზის ხანას უკავშირდება. ქვეყნის ერთიანობის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეფე ვახტანგ I გორგასლის მოღვაწეობის ხანა (V ს-ის მეორე ნახევარი), როდესაც ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენლობაში დასავლეთ საქართველოს ნაწილიც შედიოდა.

VI – VII საუკუნეებში შიდა სეპარატისტული ძალების მოქმედების პირობებში, ბიზანტიისა და ირანის, შემდეგ ბიზანტიისა და არაბთა სახალიფოს ურთიერთშორის და საქართველოს დასაპყრობად წარმოებული ბრძოლების ვითარებაში, ქართული ქვეყნების პოლიტიკური

დაშლის პროცესი ღრმად წავიდა, მაგრამ VIII ს-ის შუა ხანებიდან იწყება ეროვნულ ძალთა გააქტიურების და კონსოლიდაციის პროცესი.

ბაგრატ ბაგრატიონის გამეფება. მეფობის პირველი წლები. X ს-ის 70-იან წლებში წყდებოდა ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების ბედი. ეს ეტაპი მნიშვნელოვანწილად იყო შეპირობებული საქართველოში მიმდინარე წინარე მოვლენებით. აუცილებელი იყო რეალურად მისაღები ოპტიმალური გეგმის შემუშავება არსებული შესაძლებლობების ფარგლებში. ასეთი ოპტიმალური გეგმა ქართლის ერისთავმა, დიდებულმა აზნაურმა იოანე მარუშისძემ შეიმუშავა. მას ალბათ ყავდა მომხრეთა და თანამოაზრეთა დასი, რომელთა შესახებ საისტორიო წყაროებმა ცნობები არ შემოგვინახეს.

ქართლის ერისთავი იოანე მარუშის ძე მნიშვნელოვანი პიროვნებაა X ს-ის 70-იანი წლების საქართველოს ისტორიაში. ის აფხაზთა მეფე დემეტრეს მიერ უნდა იყოს დანიშნული ქართლის (შიდა ქართლის) ერისთავად.

X ს-ის 70-იან წლებში ბიზანტიას საქართველოსათვის არ ეცალა, იმპერიაში დაძაბული შიდაპოლიტიკური ვითარება იყო. ტახტის მცირეწლოვანი მემკვიდრეების, ბასილისა და კონსტანტინეს დაქვრივებული დედა, დედოფალი თეაფანო, თვითონ სთხოვდა დახმარებას მეამბოხე ფეოდალების წინააღმდეგ დავით ტაოელს.

ამ დროს საფრთხე არც ჩრდილო კავკასიიდანაა მოსალოდნელი, ხაზართა სახელმწიფო არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

აღარც არაბთა სახალიფოა საშიში. იოანე მარუშისძე ჩანს კარგად არის ინფორმირებული მახლობელ აღმოსავლეთში არსებული ვითარების შესახებ და შესაბამისად ცდილობს გამოიყენოს საკუთარი ქვეყნის ინტერესებისათვის.

თავისი გეგმის სისრულეში მოსაყვანად იოანე მარუშის ძემ იმდროინდელი საქართველოს ქართული სახელმწიფოს ყველაზე ძლიერ მმართველს, მთელ საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში, მახლობელ აღმოსავლეთში, ბიზანტიაში ცნობილ და პატივცემულ სახელმწიფო მოღვაწეს დავით დიდ კურაპალატს მიმართა. იოანე მარუშის ძემ კარგად განსაზღვრა, რომ ძალა, რომელსაც ამ დროს შეეძლო ქვეყნის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი საქმის რეალურად სისრულეში მოყვანა, დავითი იყო.

იმ დროს როდესაც დასავლეთ საქართველოში უაღრესად მძიმე ვითარება შეიქმნა, უსინათლო თეოდოსის მეფობაში განუკითხაობა სუფევდა, იოანე მარუშის ძემ თავისი გეგმით დავით ტაოელს მიმართა. იოანე მარუშის ძეს კარგად ესმოდა, რომ ასეთ დიდ და ძლიერ პიროვნებას, როგორც დავიტ ტაოელი იყო, შეიძლება საკუთარი მიზნები და სურვილები ჰქონოდა და ის საქმეს დიდი სიფრთხილით შეუდგა და გააკეთა შესანიშნავი დიპლომატიური სვლა.

დასავლეთ საქართველოს სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე აფხაზთა უსინათლო მეფის თეოდოსის დის გურანდუხტის ვაჟი ბაგრატ ბაგრატიონი იყო. ბაგრატიონობით მას "ქართველთა მეფობა" მოსდგამდა. მართალია, ამ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო მისი პაპა ბაგრატ II,

“ქართველთა” მეფე და ცოცხალი იყო ამ ბაგრატის ვაჟი და ბაგრატის მამა გურგენიც, მაგრამ ტახტის კანონიერი მემკვიდრეობის პრინციპით, ბოლოს და ბოლოს “ქართველთა”მეფობა გურანდუხტის (გურგენის მეუღლის) და გურგენის ძეს ბაგრატს ეკუთვნოდა. ჩანს იოანე მარუშისძისათვის ისიც იყო ცნობილი, რომ უშვილო დავით ტაოელს შვილად და მემკვიდრედ, თავისი უახლოესი ნათესავი ბაგრატ გურგენის ძე გაეზარდა. “უშვილო იყო დავით კურაპალატი, წერს ქართველი მემატიანე, და ბაგრატ გაეზარდა შვილად, მპყრობელად ორისავე კერძოსა ტაოსა”.ამიერ ტაო, ბაგრატის მამას ეკუთვნოდა, იმერ ტაო – კი დავითს.

ითვალისწინებდა რა დავით ტაოელის პიროვნებას, იოანე მარუშისძემ მას აუხსნა თუ რა მდგომარეობა იყო “აფხაზთა” სამეფოში, რომ სრული განუკითხაობა სუფევდა შიდა ქართლში და შესთავაზა,შიდა ქართლი დავითს ან თვით დაეკავებინა, ან გადაეცა ის ბაგრატისათვის. აქ ერთი მომენტია გასათვალისწინებელი, იოანე მარუშისძემ კარგად იცოდა, რომ შიდა ქართლის პრობლემა დავით ტაოელის გარეშე ვერ გადაწყდებოდა.

დავით ტაოელს არც ხელისუფლების მოყვარეობა აკლდა და არც პატივმოყვარეობა, მაგრამ მან საკუთარ ინტერესებზე მაღლა ქვეყნის ინტერესები დააყენა. ის რეალური პოლიტიკოსი იყო. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ლეგიტიმური პრინციპის, ტახტის კანონიერი მემკვიდრეობის მნიშვნელობა. მას ამ პრინციპით შეიძლება ჰქონოდა პრეტენზია “ქართველთა” სამეფოზე და შესაბამისად შიდა ქართლზე, მაგრამ არავითარი უფლება არ ჰქონდა დასავლეთ საქართველოზე, რისი გაუთვალისწინებლობაც ყოვლად დაუშვებელი იყო, რადგან კარზე იყო მომდგარი “აფხაზთა” სამეფო ტახტის დაკავების საკითხი.

ქართველი მემატიანე საკმაოდ დაწვრილებით აღწერს მოვლენებს. დემეტრე “აფხაზთა” მეფის გარდაცვალების შემდეგ (975 წ.) დასავლეთ საქართველოში უსინათლო თეოდოსი გამეფდა.

ბუნებრივია, რომ უსინათლო თეოდოსის მეფობაში საქმეები აირია. “უპატრონობით” ისარგებლა კახთა მთავარმა და მოადგა უფლისციხეს. ამ დროს გაგზავნა თავისი მოციქული ქართლის ერისთავმა იოანე მარუშის ძემ, “რომელ იყო კაცი ძლიერი და ერმრავალი” თავისი წინადადებით დავით კურაპალატთან. დავით ტაოელი “წამოემართა ძალითა თვისთა ყოვლითა, და მოვიდა ქართლად”. ნიშანდობლივია, “რაჟამს ცნეს მოსვლა მისი კახთა, წარვიდეს ვითარცა მეოტნი და დაუტევეს ქართლი”. ქართლში მოსული დავით ტაოელი ქვახვრელს დადგა, სადაც მას ეახლა იოანე მარუშის ძე და დავითმა “აღიღო მისგან უფლისციხე”. რადგან ბაგრატი ჯერ სრულასაკოვანი არ იყო, თანაგამგებლად დაუტოვა მამა მისი გურგენი, და თვით ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით შეკრებილ საზოგადოებას მოახსენა: “ესე არს მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე; ამას დაემორჩილენით ყოველნი”. დავითმა სრულიად კონკრეტულად ჩამოაყალიბა ბაგრატის მემკვიდრეობითი უფლებები და მიუთითა, რომ მისი დამცველი თვით არის. ამის შემდეგ, ჩანს მდგომარეობის საბოლოო დამშვიდებამოწესრიგებამდე დავითმა “დაყვნა დღენი მცირედნი და წარვიდა ტაოს” (“მატიანე ქართლისა”).

ერთიანი ქართული შუასაუკუნოვანი მონარქიის პირველი მეფე ბაგრატ III (975/78 – 1014). იოანე მარუშისძეს, დავით კურაპალატს და საერთოდ ამ აქტის ინიციატორებსა და მონაწილეებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ამ მოვლენის დიდი ისტორიული მნიშვნელობა. თეოდოსის გარდაცვალების შემდეგ, ბაგრატს ალბათ აღარ ეყოლებოდა კონკურენტი დასავლეთ საქართველოს ტახტზე და ის მას უმტკივნეულოდ, გართულების გარეშე მიიღებდა, მაგრამ ჩანს, არსებობდა ძალები, რომელთაც არ მიაჩნდათ სასურველად მოცდა.

უსინათლო თეოდოსის მეფობამ დასავლეთ საქართველოში მდგომარეობის გართულება გამოიწვია, ყოველ შემთხვევაში ასეთ სურათს ხატავენ ის ძალები, რომელნიც აუცილებლად თვლიან ბაგრატის დასავლეთ საქართველოს მეფედ კურთხევას. ძნელია თქმა, მართლაც მძიმე მდგომარეობა იყო თუ არა დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ვითვალისწინებთ რა შუასაუკუნეების ეპოქის ხასიათსა და სტილს უსინათლო მეფის დროს ქვეყანაში არეულობა გამორიცხული არ უნდა იყოს. მემატიანეს სიტყვებით “განირყუნა ქვეყანა”, “შეიცუალა ყოველი წესი და განგება, პირველთა მეფეთაგან განწესებული”, რამაც საერთო მწუხარება გამოიწვია.

საქმის მოგვარება ისევ იოანე მარუშის ძემ იკისრა. იმავე მემატიანეს თანახმად, ბაგრატ ბაგრატიონის “აფხაზთა” მეფედ კურთხევის მოსურნე იყვნენ დასავლეთ საქართველოს და ქართლის ყოველნი დიდებულნი, აზნაურნი, ერისთავნი. იოანე მარუშის ძემ ისევ დავით ტაოელს მიმართა, დავით ტაოელი მერყეობს. მართალია, მან თავიდანვე კარგად იცოდა, რომ დასავლეთ საქართველოს ტახტი ბაგრატს უნდა დაეკავებინა, ეს აშკარად ჩანს უფლისციხეში წარმოთქმული სიტყვიდან, სადაც მან განაცხადა, რომ ბაგრატი არის “აფხაზეთის მკვიდრი” ე. ი. მემკვიდრე. მაგრამ ეს თეოდოსის გარდაცვალების შემდეგ იყო დაგეგმილი. საეჭვოა, რომ დავით ტაოელი რაიმე მიზეზის გამო ამ დროს პრინციპში ყოფილიყო ბაგრატის დასავლეთ საქართველოში გამეფების წინააღმდეგი, მან ხომ კარგად იცოდა, რომ საბოლოოდ ეს ტახტი მას უნდა რგებოდა. არ არის გამორიცხული, რომ დავით ტაოელი ცოცხალი თეოდოსის არსებობის ვითარებაში მიიჩნევდა ამ აქტს უკანონოდ. არც ის არის გამორიცხული, რომ მისთვის შეიძლება ცნობილი იყო საკითხის ამგვარი გადაწყვეტის მოწინააღმდეგეთა არსებობა.მართალია, იოანე მარუშისძემ და მისმა მომხრეებმა საბოლოოდ დაითანხმეს დავითი, მაგრამ, ნიშანდობლივია, რომ დავითმა დიდი ყოყმანის შემდეგ განაცხადა თანხმობა, და თანხმობისათვის “სიმტკიცე და მძევალნი” მოითხოვა.

რომ საქართველოს გაერთიანებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა საკუთრივ ქართლის ფლობას ჰქონდა, ეს კარგად დასტურდება იმ ორსაუკუნოვანი ბრძოლით “ქართლსა ზედა”, რომელიც მიმდინარეობდა ქართველ მეფემთავრებს შორის.

ამასთანავე, პირველ რიგში გასათვალისწინებელია ის, რომ დავითის თანხმობის და მხარდაჭერის გარეშე ეს აქტი ვერც ეხლა განხორციელდებოდა, რაც იმის აშკარა დასტურია, რომ საქართველოს გაერთიანება დავით ტაოელისფაქტობრივი ძალით იქნა მოყვანილი სისრულეში. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ დავითის ყოყმანს რეალური საფუძველი ჰქონდა. საქმე არც ისე იყო, როგორც იოანე მარუშის ძეს და მის მომხრეებს (და მათი პოლიტიკის მხარდამჭერ მემატიანეს) სურდათ წარმოედგინათ. წინააღმდეგობამ აფხაზეთშიც, დასავლეთ საქართველოში და ქართლშიც (აღმოსავლეთ საქართველოში) მალევე იჩინა თავი.

შიდა ქართლში წინააღმდეგობამ, ჯერ კიდევ ბაგრატის აფხაზეთს გამეფებამდე იჩინა თავი. ქართლის დიდებულმა აზნაურებმა შეკრეს პირი, შეუთანხმდნენ კახეთის მთავარს, “მოიყვანეს ლაშქარნი” კახეთით და გასცეს უფლისციხე, და შეიპყრეს გურგენ და, ძე მისი ბაგრატ და დედოფალი გურანდუხტ, წარიყვანეს კახეთად”.

საქმე ისევ მხოლოდ დავით ტაოელის ჩარევით მოგვარდა, ამ ამბის გაგებისთანავე დავითმა “გამოილაშქრა ყოვლითა ძალითა მისითა, მოვიდა თრიალეთს შთასვლად კახეთად”. კახელებმა როგორც კი დავითის გამოსვლის ამბავი გაიგეს მაშინვე გაათავისუფლეს ბაგრატი და მისი მშობლები, დატოვეს შიდა ქართლი და უფლისციხე, მაგრამ დაიკავეს შიდა ქართლში წირქვალის და გრუის ციხეები. მართალია, მემატიანე წერს, რომ კახელებმა დააბრუნეს უფლისციხე და ქართლი, მაგრამ წირქვალის და გრუას ციხეები შიდა ქართლის ტერიტორიაზე მდებარეობდა. კახეთის მთავარი ცდილობს განიმტკიცოს თავისი პოზიციები შიდა ქართლის იმ ნაწილში, რომელიც მას IX საუკუნის დასაწყისიდან ეპყრა და არა მხოლოდ ქსნამდე, არამედ მის დასავლეთითაც სურს ფეხის ჩადგმა. რაც კახთა მთავრის მომავალ გეგმებზე უნდა მეტყველებდეს შიდა ქართლის მიმართ.

აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით მემატიანეს ერთი რეპლიკა იქცევს ყურადღებას. “მას ჟამსა, წერს მემატიანე, ეპყრა უფლისციხე და ქართლი გურანდუხტს დედოფალს. ესე გურანდუხტ დედოფალი ასული იყო გიორგი აფხაზთა მეფისა და დედა ბაგრატისი”.

მართალია, ბაგრატი “აფხაზთა” მეფის გიორგის ასულის გურანდუხტის შვილი რომ იყო, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მომხდარ მოვლენებში და მემატიანე ამას აღნიშნავს კიდეც, მაგრამ, როდესაც უფლისციხის თავყრილობა ჩატარდა დავით ტაოელმა არასრულასაკოვან ბაგრატს “თანაგამგებლად დაუტევა მამა მისი გურგენ”, ეხლა კი უფლისციხის მპყრობელად მისი დედაა დასახელებული და საგანგებოდაა მითითებული მისი “აფხაზთა” მეფის ასულობა.

აშკარაა, რომ ბაგრატის წინააღმდეგ რაღაც ძალები მოქმედებენ, ეს კარგად იციან მისმა მომხრეებმა და ამიტომაა რომ ჩქარობენ მის დასავლეთ საქართველოში გამეფებას.

უფლისციხის აქტიდან სამი წლის შემდეგ ბაგრატი აფხაზთა მეფედ აკურთხეს, “და დაემორჩილნენ ყოველნი ბრძანებასა მისსა: რამეთუ განსრულებულ იყო ასაკითა”

წყაროებიდან არ ჩანს, თუ რამდენი წლის იყო ბაგრატი როდესაც უფლისციხეში აკურთხეს, მაგრამ უფლისციხის ყრილობიდან სამი წლის შემდეგ, როდესაც ის “აფხაზთა მეფედ” აკურთხეს, მაშინ უკვე “განსრულებულ იყო ასაკითა”, წერს ჩვენი მემატიანე. თუ ქართლში კურთხევიდან, რაც ივანე ჯავახიშვილის გამოანგარიშებით 975 წელს უნდა მომხდარიყო, სამი წლის შემდეგ ის სრულასაკოვანი გამხდარა, რაც ალბათ 16 წელს გულისხმობს, უფლისციხის თავყრილობის დროს ის 13 წლის უნდა ყოფილიყო. ამიტომ ბუნებრივია, რომ მასთან ერთად მამაც და დედაც არიან მოხსენიებულნი, რომელნიცშეიპყრეს კახელებმა, როგორც კი დავით ტაოელი გაიგულეს შიდა ქართლიდან.

ბაგრატი სახელმწიფოს მმართველობას 18 წლის ასაკში შეუდგა “აფხაზთა” მეფედ კურთხევიდან ორი წლის შემდეგ, ჩანს ეს ორი წელი “აფხაზთა” სამეფოს ისევ თეოდოსი განაგებდა.

ბაგრატ ბაგრატიონის დასავლეთ საქართველოში გამეფებასთან დაკავშირებით საინტერესოა XI სის სომეხი ისტორიკოსის ასოღიკის ცნობა, რომ ბაგრატის კურთხევის დროს დავით კურაპალატმა მოიწვია შირაკის მეფე სმბატ ბაგრატუნი. სომეხი მეფის მოწვევა ალბათ ორ მიზანს ისახავდა. პირველ რიგში გამორიცხული არ იყო მოწინააღმდეგე ძალების არსებობის შესაძლებლობა და სასურველი იქნებოდა დამხმარე ძალის ყოფნა, სმბატი ხომ, შუა საუკუნეებში არსებული ტრადიციის თანახმად, სამხედრო ძალის თანხლებით გაემგზავრებოდა საქართველოში. სმბატის მიწვევით დავით კურაპალატმა ბაგრატის მხარდამჭერი ძალის დემონსტრირება მოახდინა. ამასთანავე, კურთხევის ცერემონიალზე სმბატის თანდასწრება მიუთითებდა, რომ ბაგრატისკურთხევას ცნობდა მეზობელი სახელმწიფო, რაც ამაღლებდა ბაგრატის ავტორიტეტს და ამკვიდრებდა მისი გამეფების კანონიერებას. ასეთი პრაქტიკა შუა საუკუნეებში არსებობდა, და როგორც ზევითაც არის მოტანილი ფაქტები, ქართველი ბაგრატიონი მეფეებიც მონაწილეობდნენ სომხეთის სამეფოში მიმდინარე პროცესებში, ტახტზე დამტკიცების ცერემონიებში.

სამხრეთ კავკასიის მასშტაბით იმდროინდელი სომეხი ბაგრატუნების შირაკის სამეფო ერთერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო. სმბატი, რომელიც 977 – 990 წლებში მეფობდა, დაესწრო ბაგრატის “აფხაზთა” მეფედ კურთხევის აქტს, სადაც დავითი მაინც გარკვეულ სიფრთხილეს იჩენდა.

ბაგრატი დინჯი და ღრმად დაფიქრებული სახელმწიფო მოღვაწე იყო. მემატიანე მას ვახტანგ გორგასალს, გიორგი “აფხაზთა” მეფეს (დედის მამას) და დავით ტაოელს ადარებს.

ბაგრატმა ბრწყინვალედ განსაზღვრა, რომ თეოდოსისთან ერთად მეფობით ის დასავლეთ საქართველოში ვერ მოახერხებდა მდგომარეობის სტაბილიზაციას და უსინათლო ბიძა საიმედო ადგილას, ტაოს გაგზავნა დავით კურაპალატთან, “რათა ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, სასოება კეთილისა, გინა შიში უწესობისათვის მისა მიმართ აქუნდეს”.თეოდოსის, ალბათ, თავისი მომხრეები, დაახლოებული პირნი ყავდა, რომელნიც შეიძლება სარგებლობდნენ იმით, რომ ის მაინც კანონიერი მეფე იყო და ბაგრატს არ ემორჩილებოდნენ. ბაგრატმა ერთპიროვნული მმართველობა დასავლეთ საქართველოში ფაქტიურად თეოდოსის ტაოს გაგზავნით დაიწყო.

ბაგრატმა მართალია მიიღო ხელისუფლება, ის ნაკურთხი მეფეა, მაგრამ ფაქტობრივი ხელისუფლება მან თვითონ უნდა მოიპოვოს.

ისევე როგორც ქართულ სამეფოსამთავროთა შორის გაერთიანებისათვის მიმდინარე ბრძოლის დროს, ეხლაც უმთავრეს საზრუნავს ქართლში მდგომარეობის განმტკიცება წარმოადგენდა. როდესაც ბაგრატი დასავლეთ საქართველოში გადავიდა და იქ მეფედ ეკურთხა, ნომინალურად შიდა ქართლს მისი დედა გურანდუხტი განაგებდა, რომელიც უფლისციხეში იჯდა, მაგრამ ფაქტობრივად მიწაწყალი აქ დიდაზნაურებს, ტბელებს, ძამელებს, ფავნელებს, კორინთლებს, ფხვნელებს და სხვებს ჰქონდათ დანაწილებული, რომელნიც “თითოეულად

განაგებდეს საქმეთა ქართლისათა” (მატიანე ქართლისა). ისინი წინ აღუდგნენ ბაგრატის ხელისუფლებას, მათ ბრძოლას ტბელების საგვარეულო ედგა სათავეში, რომელიც ამ დროს შიდა ქართლის ერისთავობაზე აცხადებდა პრეტენზიას.

დასავლეთ საქართველოში საქმეთა მოგვარების შემდეგ, ბაგრატი ქართლში გადმოვიდა. შეიძლება მისი ამ დროს გადმოსვლა (980 წ.) იმითაც იყო გამოწვეული, რომ მისთვის ცნობილი გახდა ქართლში მის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა. ქართლში გადმოსული ბაგრატი თიღვას დადგა, იქვე ლიხის ქედის გადმოსასვლელთან, უფრო ღრმად შესვლა შეუძლებელი იყო, რადგან აქ მას დახვდნენ ქართლის აზნაურები ქავთარ ტბელის მეთაურობით. ბრძოლა იქვე ახლოს, მოღრისთან მოხდა, ბაგრატმა გაიმარჯვა, მოწინააღმდეგეთაგან ზოგი დაიღუპა ბრძოლაში, ნაწილი გადაიხვეწა, ნაწილი მეფემ ხელთ ჩაიგდო. თიღვაზე გადიოდა გზა დასავლეთ საქართველოდან შიდა ქართლში, რომელიც ზედა მოღრისის გავლით უფლისციხისაკენ მიემართებოდა და მოწინააღმდეგენი მას სწორედ უფლისციხისაკენ მიმავალ გზაზე დახვდნენ. გამარჯვებული ბაგრატი უფლისციხეს მივიდა, სადაც ჩაიბარა დედისაგან ციხე და განიმტკიცა რა ხელისუფლება შიდა ქართლში, მმართველობა ერთგულ მოხელეებს ჩააბარა და ისევ დასავლეთ საქართველოში გადავიდა.

ჩანს ბაგრატმა ვერ მოასწრო დასავლეთ საქართველოში ყველა პრობლემის მოგვარება, მაგრამ მიღებული ინფორმაციის გამო სასწრაფოდ გამოემართა ქართლს. ამასთანავე, ქართლში გართულებული მდგომარეობა მისმა მტრებმა ხელსაყრელ მომენტად ჩათვალეს, და ბაგრატი ისევ დასავლეთ საქართველოში გადავიდა და დედა თან წაიყვანა. იქ მან ამხილა ურჩნი, ჩამოართვა “დიდება” (მაღალი თანამდებობანი) და მათ მაგიერ “ერთგულნი და მისანდობელნი თვისნი” დანიშნა. “ვითარცა ხელოვანმან მენავეთმოძღვარმან განაგო ყოველი საქმე აფხაზეთისა”, გვამცნობს მემატიანე. საინტერესოა, რატომ წაიყვანა ბაგრატმა თან დედა, დედოფალი გურანდუხტი. შეიძლება გაარიდა მისი მტრების მიერ დედოფლის შეპყრობის საშიშროებას. არ არის გამორიცხული, რომ გურანდუხტი მას თავისი “აფხაზთა მეფობის” ცოცხალ დასტურად ესაჭიროებოდა დასავლეთ საქართველოში. შეიძლება გურანდუხტი ქართლის დიდაზნაურების გავლენისქვეშ იმყოფებოდა და ბაგრატმა მისი უფლისციხიდან მოშორება ამჯობინა, არც ეს ფაქტორი უნდა იყოს გამორიცხული.

ალბათ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ გურანდუხტის პიროვნებას დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს მისი ძის, მეფე ბაგრატ III-ის მიერ ქუთაისში აგებული ტაძრის წარწერები. ბაგრატის ტაძრის წარწერებში მასთან ერთად იხსენიებიან მისი მამა გურგენი, ცოლიც, შვილიც, მაგრამ სამშენებლო წარწერაში, რომელშიც ის “აფხაზთა და ქართველთა მეფედ” და კურაპალატად იწოდება, მასთან ერთად ტაძრის აღმაშენებლად მხოლოდ დედა “გურანდუხტ დედოფალია” მოხსენიებული, რაც აშკარად ხდის გურანდუხტის უფლებებს “აფხაზთა” სამეფოზე და აქედან მისი შვილის, ბაგრატის უფლებებს იმავე “აფხაზთა” სამეფოზე.

ახლად გამეფებული ახალგაზრდა ბაგრატის წინაშე რთული ამოცანა იდგა. მას უნდა განემტკიცებინა თავისი ხელისუფლება შიდა ქართლსა და დასავლეთ საქართველოში, შემდეგ ეზრუნა მისი სამეფოს გარეთ არსებული ქართული ქვეყნებისშემოსაერთებლად. როგორც

ხელისუფლების განმტკიცება, ისე ქართული ქვეყნების შემოერთება დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა, როგორც ქვეყნის შიგნით (ფეოდალური არისტოკრატია), ასევე მის გარეთაც (ბიზანტია, მაჰმადიანი მეზობლები).

დასავლეთ საქართველოში ერთდროულად ორი მეფის, უსინათლო თეოდოსის და ბაგრატის მეფობა დიდ სიძნელეებს ქმნიდა, წინ ეღობებოდა ხელისუფლების ცენტრალიზაციას. ბაგრატმა ამ სირთულის მოხსნა გადაწყვიტა. შეიძლება თვით უსინათლო თეოდოსის არც ჰქონდა ქვეყნის მართვის დიდი პრეტენზია, მაგრამ ფეოდალურ ქვეყანაში, სადაც როგორც წესი ყოველთვის წინააღმდეგობა ცენტრალურ, მეფის ხელისუფლებასა და ფეოდალური არისტოკრატიის ზოგ წარმომადგენლებს შორის, ბაგრატის გვერდით უსინათლო თეოდოსის არსებობა კარგ საფუძველს ქმნიდა ბაგრატის წინააღმდეგ შეთქმულებებისა თუ აშკარა გამოსვლებისათვის. ბაგრატმა თავისი უსინათლო ბიძა, როგორც უკვე ითქვა, ტაოს გაგზავნა დავით კურაპალატთან და ერთადერთი მეფე გახდა.

ბაგრატის შემდგომი ნაბიჯები ხელისუფლების ცენტრალიზაციისაკენ დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

ბაგრატის გამეფების საქმეში გადამწყვეტი როლი დავით ტაოელმა შეასრულა. ამასთანავე მან ბაგრატი თავის მემკვიდრედ გამოაცხადა, მაგრამ დავითი, რასაკვირველია, ბაგრატს თავისი სამეფოს საქმეებში არ ჩარევდა. პირველ რიგში გასათვალისწინებელია, რომ ბაგრატიონთა სახლში მოქმედებდა მმართველობის ის კოლეგიური პრინციპი, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. ამასთანავე, დავით ტაოელი ის პიროვნება არ იყო ვინც ვინმეს უფროსობას აიტანდა. ბაგრატი კი ერთიან საქართველოს ქმნიდა და მოხდა ინცინდენტი, რომელმაც საკმაოდ არასასიამოვნო შედეგები მოიტანა საქართველოსათვის.

როგორც ქართული წყაროს ანალიზიდან ჩანს, იოანე მარუშისძის გეგმა მიზნად ისახავდა ბაგრატის ხელისუფლების ქვეშ დასავლეთ საქართველოს, ქართლის და ტაოს შესვლას. ამ გეგმას მთლიანად დაეთანხმა დავით ტაოელი, როდესაც თავის სიტყვაში საგანგებოდ აღნიშნა, რომ ბაგრატი არის “მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა”. ამიერ ტაო ბაგრატს ხომ მამის ხაზით ეკუთვნოდა, იმიერ ტაო დავითის შვილობილობით, აფხაზეთი კი დედის ხაზით. მაგრამ დავით ტაოელი ალბათ ვარაუდობდა, რომ ბაგრატი აფხაზეთს თეოდოსის გარდაცვალების და იმიერ ტაოს მისი, დავით ტაოელის გარდაცვალების შემდეგ მიიღებდა. მაგრამ ჩანს ასე არ ფიქრობდა იოანე მარუშისძე, რომელმაც ბაგრატის გამეფება აფხაზეთში თეოდოსის სიცოცხლეშივე დაგეგმა, და არც ბაგრატი, რომელსაც იმიერ ტაოზე თავისი რეალური ხელისუფლების დამკვიდრება ჩანს დავით ტაოელის სიცოცხლეშივე სურდა.

ქართველი მემატიანის ცნობით, მეფე ბაგრატმა გადაწყვიტა გალაშქრება თავისი ურჩი ყმის კლდეკარის ერისთავის რატი ბაღვაშის წინააღმდეგ. მაგრამ მეფის მტრებმა ჩააგონეს დავით ტაოელს, რომ ბაგრატი “არა სადა წარვალს სხუაგან, არამედ განმზადებულ არს სიკუდილად შენდა”.

როგორც მოსალოდნელი იყო, დავით კურაპალატმა შეყარა ლაშქარი, უხმო მოკავშირეებს. მის დასახმარებლად მოვიდნენ ბაგრატ III-ის პაპა ბაგრატ II, “ქართველთა” მეფე (958 –

994),რომელსაც ეშინოდა რომ მისთვის მეფობა არ მიეტაცა მის შვილს გურგენს, ბაგრატის მამას, მოვიდნენ ანისის მეფე სუმბატი, მისი ძმა გაგიკი, კარის მეფე აბასი.

დავით კურაპალატი მოკავშირეებითურთ ჯავახეთში დლივს დაბანაკდა.

ბაგრატის მოკავშირე იყო მისი მამა გურგენი. დავითმა გაგზავნა გურგენის წინააღმდეგ ლაშქარი, რადგან ის მისკენ მოემართებოდა და დაამარცხა.

ბაგრატი თრიალეთში კარუშეთს მივიდა და იქ დაბანაკდა.

ქართველი ისტორიკოსი, რომელიც აღნიშნულ მოვლენებზე მოგვითხრობს, ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ბაგრატი რატის წინააღმდეგ საბრძოლველად იყო გამოსული. ცდილობს თხრობა გააბუნდოვნოს. მაგრამ ვერ ახერხებს სინამდვილის ბოლომდე დაფარვას, მისი სიტყვით კარუშეთს დაბანაკებულმა ბაგრატმა დავით კურაპალატის ბანაკში მზვერავი გაგზავნა და როდესაც იხილა, "რომელ ძალითა არა ეგებოდა წინააღდგომა დავით კურაპალატისა", მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება: ლაშქარი დატოვა თავის ადგილას და თვითონ "მარტო მივიდა წინაშე" დავითისა, "ითხოვა შენდობა და აუწყა, ვითარმედ: "სხვისა არა რომლისად მოვედ, გარნა არა მორჩილებისათვის რატისა". ძნელი სათქმელია, დაუჯერა თუ არა დავითმა ბაგრატს, მაგრამ, ჩანს, მას არ აწყობდა ბრძოლა ბაგრატთან, მან ბაგრატს რატის წინააღმდეგ ბრძოლის უფლება მისცა და კონფლიქტი უსისხლოდ მოგვარდა. "მითხრეს (ეუბნება დავით ტაოელი ბაგრატს – მ. ლ.), რომელ სიკუდილად ჩემდა გამოსრულ იყავ, გარნა აწ ვსცან დასტური, რომელ უბრალო ხარ, არამედ მითავისუფლებიხარ რატის ზედა: დაიმორჩილე ვითარცა სახედ გწადიან".

მეფე ბაგრატ III-ის სურვილი, დავით ტაოელის დამორჩილებისა და მისი სამეფოს ფაქტობრივი შემოერთებისა, სრულიად კანონზომიერი იყო და ბუნებრივად გამომდინარეობდა იმ საერთო ღონისძიებებიდან, რომელთაც ეს მეფე თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის მანძილზე ახორციელებდა. მაგრამ ამ ეტაპზე ეს ნაბიჯი ნაადრევი იყო, რადგან ძლიერი და სახელმოხვეჭილი დავით ტაოელის დამარცხება ბაგრატის ძალებს აღემატებოდა. ბაგრატს რომ დავითის წინააღმდეგ გალაშქრება ჰქონდა გადაწყვეტილი ეს ჩვენი მემატიანის ბუნდოვანი თხრობიდანაც ჩანს და XI ს-ის სომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ტარონაცის (ასოღიკის) ჩვენებითაც დასტურდება. ასოღიკი, რომელიც კარგად გათვიცნობიერებულია ამ ეპოქის საქართველოში მიმდინარე მოვლენებში, პირდაპირ აღნიშნავს, რომ აქ ბაგრატის და დავითის ლაშქარი იდგა ერთმანეთის პირისპირ.

არ არის გამორიცხული რომ დავითს ბაგრატის სამზადისის შესახებ რატი ბაღვაშმა შეატყობინა, რათა თავი დაეცვა.

არც ის არის გამორიცხული, რომ ბაგრატის გალაშქრებას დავით კურაპალატის წინააღმდეგ ბაგრატ "ქართველთა მეფესა" (II) და მის შვილს გურგენს შორის არსებულმა უთანხმოებებმაც შეუწყო ხელი. სომეხი ისტორიკოსი ასოღიკი ამ კონფლიქტის მთავარ მიზეზად აღნიშნულ უთანხმოებას თვლის. მისი სიტყვებით, ბაგრატ II თავის შვილს გურგენს (ბაგრატ III-ის მამას) აძევებდა მისი მამულიდან, და ამის გამო ბაგრატმა გაილაშქრა დავით კურაპალატისა და თავისი პაპის ბაგრატ II-ის წინააღმდეგ. ნიშანდობლივია, რომ ცნობა ბაგრატ II-სა და გურგენს შორის

არსებული სამამულო დავის შესახებ ქართველ მემატიანესაც მოეპოვება. იმ დროს როდესაც გურგენი ბაგრატ III-ის გვერდით იდგა, ბაგრატ II დავით კურაპალატის მოკავშირე იყო.

მართალია, კონფლიქტი დავითბაგრატს შორის მშვიდობიანად მოგვარდა, მაგრამ ბაგრატს ეს ნაბიჯი გარკვეულ საფასურად დაუჯდა, დავით კურაპალატმა ბაგრატ მეფეს მოსთხოვა სკორეთის ციხე რათა სუმბატ ბაგრატუნისათვის (977 – 989) გადაეცა დახმარების აღმოჩენის სურვილისათვის. მართალია, სკორეთის ციხის სომხებისათვის დათმობა სასურველი არ იყო ბაგრატ III-თვის, მაგრამ ის ამ დათმობაზე წავიდა. ესეც მიანიშნებს იმაზე, რომ ბაგრატი მთლად პირნათელი არ იყო ამ ისტორიაში. ნიშანდობლივია, რომ სკორეთის ციხე ქართველებმა სუმბატის სომეხთა მეფის გარდაცვალების შემდეგ დაიბრუნეს.

როგორც უკვე აღინიშნა, ბაგრატ ბაგრატიონი ერთიან საქართველოს ქმნიდა და მის მიერ ტაოს სამეფოს შემოერთების, თუ დავით ტაოელის დამორჩილების სურვილი კანონზომიერი იყო და ამ საკითხთან დაკავშირებით დგება ბაგრატ III-ის მიერ ამ ღონისძიების სისრულეში მოყვანის დროის ფაქტორი, რაც მჭიდროდ უკავშირდება ბიზანტიის იმპერიაში მიმდინარე მოვლენებს. იმპერატორ ბასილ II-ის (976 – 1025) წინააღმდეგ დიდი ბრძოლები მიმდინარეობდა. აღმოსავლეთის პროვინციების მმართველმა (სხოლათა დომესტიკმა) ბარდა ფოკამ თავი იმპერატორად გამოაცხადა (987 წ.). უმაღლესმა სამხედრო არისტოკრატიამ ფოკას მხარე დაიჭირა. 987 წლის ბოლოსათვის ბარდა ფოკამ მთელი მცირე აზია დაიმორჩილა. დავით ტაოელის 1000 კაციანი რაზმი მეამბოხე ფოკას მხარეზე იბრძოდა. ძნელია თქმა რამ განსაზღვრა დავითის ეს ნაბიჯი. ფოკასთან მას მართალია ძველი მეგობრობა აკავშირებდა, მაგრამ მხოლოდ მეგობრობით ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ვერ იქნებოდა მიღებული. დავით ტაოელი საქართველოს გაერთიანებისა და მისი სიძლიერისათვის იღვწოდა. ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის საიმპერატორო კარისაგან "სიცოცხლესავე შინა" მიღებულ კომპენსაციას ის იმპერიის ხელისუფლებისაგან სამემკვიდრეოდ და ე. ი. ერთიანი საქართველოსათვის გადასაცემად ვერ მიიღებდა. შეიძლება, როგორც უკვე ითქვა, მას იმედი ჰქონდა, იქნებ წინასწარი შეთანხმებაც არსებობდა, რომ დახმარების სანაცვლოდ ის ამ მიწებს სამემკვიდრეოდ მიიღებდა თავისი ძველი მეგობრის, ბარდა ფოკასაგან. მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. იმპერატორმა ბასილმა მთელი ძალების მობილიზება მოახდინა, დახმარებისათვის კიევის მთავარს ვლადიმერ სვიატოსლავის ძესაც მიმართა და მისგან 6000 დამხმარე ძალა მოუვიდა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო გადამწყვეტ ბრძოლებში. 989 წელს ბასილ კეისარმა აჯანყებული ბარდა ფოკა დაამარცხა, რომელიც ბრძოლის ველზე მოულოდნელად ჩამოვიდა ცხენიდან, დაწვა მიწაზე და გარდაიცვალა. შესაძლებელია მართებულია ვარაუდი, რომ ფოკა იმპერატორის მიერ მიგზავნილმა პირებმა მოწამლეს.

არ არის გამორიცხული, როდესაც ბასილი ყოველ შესაძლებელ ღონეს მიმართავდა აჯანყებული ფოკას წინააღმდეგ, მას მიემართა მეფე ბაგრატისათვის, რათა ის გამოსულიყო დავითის წინააღმდეგ, რომლის სამხედრო რაზმი ბასილის წინააღმდეგ იბრძოდა, ასე რომ ბაგრატის ეს გამოლაშქრება დავითის წინააღმდეგ სწორედ 988 წელს, შეიძლება ბიზანტიის იმპერატორის მიერ იყო პროვოცირებული. თუმცა არც ის შესაძლებლობაა გამორიცხული, რომ

ბაგრატმა ისარგებლა დავითის სამხედრო რაზმის აჯანყებულ ფოკას მხედრობაში ყოფნით და დავით ტაოელის მორჩილებაში მოყვანა მოინდომა.

ბასილმა მეამბოხეთა დამარცხების შემდეგ ყველა მის მოკავშირეთა დასჯა გადაწყვიტა და იბერიისაკენ გამოემართა. დავითმა ბასილს პატიება და დანდობა სთხოვა და შეუთვალა, რადგან ის მოხუცია, არ ყავს მემკვიდრე, რომ თავის სამფლობელოს გარდაცვალების შემდეგ იმპერიას უანდერძებდა. ამასთანავე, დავით ტაოელი თხოვს ბასილს მიიღოს მისი წარმომადგენლები, რომელნიც ფიცით დაამტკიცებენ ამ პირობას და აგრეთვე, დავითის გარდაცვალების შემდეგ გადასცემენ ბასილს ქალაქებს. XII ს-ის არაბისტორიკოსის იაჰია ანტიოქელის ამ ცნობის უტყუარობას თითქოს ადასტურებს დავით ტაოელის გარდაცვალების შემდეგ მომხდარი მოვლენები.

როგორც ვხედავთ, დავითმა შეცვალა უფლისციხეში წარმოთქმული სიტყვით მიცემული ანდერძი, რომ ის ბაგრატს თვლიდა თავის მემკვიდრედ, რაც ზემოთ მოთხრობილი მოვლენით უნდა იყოს გამოწვეული. მართალია, როგორც ითქვა კონფლიქტი დავითსა და ბაგრატს შორის უსისხლოდ დამთავრდა, მაგრამ საეჭვოა, რომ დავითმა დაიჯერა ბაგრატის განმარტება. არსებულ ვითარებაში მას არ აწყობდა ბაგრატთან ბრძოლა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ გართულებულ სიტუაციაში დავით ტაოელმა სამშობლოს მიწაწყალი ბასილის მხრივ მოოხრებისა და დარბევისაგან იხსნა. ამ ეტაპზე დავითს სხვა გზა არ ჰქონდა.

ნიშანდობლივია, დავით ტაოელი ამ მარცხის შემდეგაც განაგრძობდა ბრძოლას მაჰმადიან მფლობელთაგან სამხრეთ საქართველოს და სომხური მიწების გასანთავისუფლებლად, იმ იმედით, რომ ამ მიწებს შემდეგ მაინც ერთიან საქართველოს უანდერძებდა.

მაგრამ საქმე სხვანაირად წარიმართა, როდესაც 1001 წელს დავით კურაპალატი გარდაიცვალა ბიზანტიის იმპერატორმა დავითის ანდერძის აღსრულება მოითხოვა. სომეხი ისტორიკოსის არისტაკეს ლასტივერტცის ცნობით დავით კურაპალატი საიმპერატორო კარის მიერ მოსყიდულებმა მოწამლეს*.

ბიზანტიის საიმპერატორო კარისთვის დავით ტაოელი ბოლომდე სანდო არ იყო. იმპერატორ ბასილისათვის ალბათ ცნობილი იყო, რომ დავითი საბოლოოდ მისი სამფლობელოების ერთიანი საქართველოს სამეფოსათვის დატოვებას ფიქრობდა, და მან საკითხი მარტივად გადაჭრა, დავითი მოაწამლვინა. როგორც ჩანს, ეს ცნობა სიმართლეს გამოხატავს. როგორც კი დავითი გარდაიცვალა (თუ მოკლეს) იმპერატორ ბასილი II ტაოს გამოცხადდა საკმაოდ დიდი სამხედრო ძალითურთ. აქვე მოვიდნენ მეფე ბაგრატ III და მისი მამა გურგენი. ხელშეკრულების თანახმად ტაოელ ფეოდალებს უნდა გადაეცათ იმპერიის ხელისუფლებისათვის ციხეები, ე. ი. თავისი სამფლობელოები. ისმის კითხვა, რატომ მოვიდა ტაოს ბაგრატ მეფე, რისი იმედი ჰქონდა მას, იქნებ ფიქრობდა, რომ დამსახურებისათვის, რომელიც მას ბასილის წინაშე მიუძღოდა, თუ 988 წლის აქცია მართლაც ბასილის მიერ იყო ინსპირირებული, ბიზანტიის იმპერატორი დაუთმობდა მას დავითის მემკვიდრეობას, რადგან ბაგრატს კარგად უნდა ჰქონოდა შეგნებული, რომ ბრძოლით ის ამას ვერ მიიღებდა. მაგრამ დავით ტაოელის მემკვიდრეობა ძალიან დიდი ფასი იქნებოდა და ბასილი, რასაკვირველია,

ამაზე არ წავიდოდა. ბიზანტიის იმპერატორმა მიიღო დავით ტაოელთან დადებული ხელშეკრულებით დაპირებული სამფლობელოები, ბაგრატ მეფეს კურაპალატის ტიტული უბოძა, ხოლო მის მამას გურგენს – მაგისტროსის. ბაგრატიონთა გვარის მემატიანე შენიშნავს: ბასილმა შვილს მამაზე მაღალი ტიტული იმიტომ უბოძა, რათა მამაშვილი გადაემტერებინა ერთმანეთისათვის "ხოლო გურგენ ჭეშმარიტი და მართალი იყო და ვერა აღეძრა მისი ზაკვითა ამით მიზეზითა და ვერ უძლო ღონისძიებითა". კეისარმა ვერ მოახერხა მამა შვილს შორის მტრობის ჩამოგდება. არ არის გამორიცხული, კეისარი იმ ვითარებას უწევდა ანგარიშს, რომ ბაგრატი უკვე მეფე იყო. ასე იყო თუ ისე, ისტორიკოსის დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი, მიანიშნებს იმაზე, რომ მას ბასილის მზაკვრობა კარგად ესმის, მისი არ სჯერა, ამასთანავე ხაზს უსვამს ბიზანტიური ტიტულებისადმი დამოკიდებულებას იმდროინდელ საქართველოში. შეიძლება ანგარიშგასაწევია მოსაზრება, რომ ბაგრატისათვის კურაპალატის ტიტულის ბოძებით ბიზანტიის იმპერატორი იფართოვებდა თავისი გავლენის სფეროს და ფორმალურად მაინც ძლიერ ვასალს იძენდა. მართალია, ბასილმა თითქოს მოისყიდა მამაშვილი საკარისკაცო ტიტულების ბოძებით, მაგრამ ტაოში შეხვედრა უინციდენტოდ მაინც არ დამთავრდა. სამწუხაროდ, სომეხი ისტორიკოსი ასოღიკი, რომელიც ამ ამბებზე მოგვითხრობს ძალიან ბუნდოვნად გადმოგვცემს მომხდარ ამბებს. მაგრამ საფიქრებელია, რომ სისხლიანი შეტაკება, რომელიც ქართველებსა და ბასილის ლაშქარს შორის მოხდა გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ტაოელი აზნაურები ყველანი არ თანხმდებოდნენ სამფლობელოების გადაცემაზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველები დამარცხდნენ. მაგრამ, ჩანს ტაოში მდგომარეობა გართულებული იყო და ბასილი, რომელიც სომხეთში წავიდა, შემდეგ ისევ დაბრუნდა ტაოში. ის ოლთისში დაბანაკდა, დაიკავა ციხეები და მიუდგომელი ადგილები, ციხეებში თავისი მოხელეები ჩააყენა, და ის ქართველი აზნაურები, რომლებიც არ დამორჩილდნენ, იმპერიაში გადაასახლა.

ბიზანტიის იმპერიის მიერ სამხრეთ ტაოს ოკუპაცია უშუალო საფრთხეს უქმნიდა ჩრდილოეთ ტაოს, რითაც უნდა აიხსნას ის, რომ 1001 წელს ბასიანს ბასილთან შესახვედრად ბაგრატ მეფესთან ერთად ჩრდილო ტაოს მფლობელი ბაგრატის მამა გურგენიც გამოცხადდა. მიღებული მარცხის შემდეგ, როგორც კი ბასილი გაემგზავრა ტაოდან, 1001 წ. გურგენმა გამოილაშქრა და ასოღიკის სიტყვით შეიჭრა სამხრეთ ტაოში და დაიკავა ის.

სამწუხაროდ ჩვენი ცნობები მომხდარი მოვლენების შესახებ ძალიან მწირია. ჩვენ ხელთაა მხოლოდ სომეხი ისტორიკოსის ფრიად ბუნდოვანი თხრობა, რომელიც ამასთანავე ავლენს საკმაოდ არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებას გურგენისადმი; მაგრამ ამ თხრობიდან თითქოს სავარაუდო უნდა იყოს რომ გურგენმა მიაღწია იმას რომ იმპერიის ხელისუფლებამ მას სამხრეთ ტაოს რაღაც (მცირედი?) ნაწილი გადასცა. ასეთ დასკვნას თითქოს მხარს უნდა უჭერდეს მოვლენების ის განვითარება, რაც ხდება ბაგრატ III-ის გარდაცვალების და ტახტზე მისი ძის გიორგი Iის ასვლის (1014 წ.) შემდეგ ბიზანტიასაქართველოს ომის დაწყებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, თითქოს ნდობას იმსახურებს არისტაკესის (და ზოგი სხვა სომეხი ისტორიკოსის) ცნობა დავით ტაოელის იმპერატორის მიერ მოსყიდული პირების მიერ მოწამვლის შესახებ. ბასილ კეისარს ეჩქარებოდა საქართველოსა და სომხეთის მიმართ თავისი

დამპყრობლური გეგმების განხორციელება. იმიერ ტაოს დაკავებისთანავე მან ჩამოაყალიბა ე. წ. იბერიის "თემა" იმპერიის ადმინისტრაციული ერთეული თავისი მოხელის კატეპანით სათავეში, რითაც ფეხი ჩადგა საკუთრივ ქართულ მიწაზე, საიდან ახორციელებდა თავის შემდგომ გეგმებს, საქართველოსა და სომხეთის მიმართ.

ქართლსა და დასავლეთ საქართველოში მდგომარეობის განმტკიცებისა და დავით კურაპალატთან ურთიერთობის ასე თუ ისე მოგვარების შემდეგ, მეფე ბაგრატის წინაშე რეალურად დადგა კლდეკარის საერისთავოს საკითხი. 1089 წ. კლდეკარის ერისთავი რატი ბაღვაში ფლობდა ატენის ციხეს, მტკვრის სამხრეთით აგრეთვე თრიალეთს, მანგლისის ხევს და სკორეთის ციხეს, და "არა მორჩილებდა კეთილად ბაგრატ მეფესა". ჩამოთვლილ ქვეყანათაგან რატის, როგორც ბაღვაშთა სახლის ჩამომავალს ეკუთვნოდა თრიალეთი, დანარჩენი კი მის მიერ მიტაცებული ქართველთა მეფის სამფლობელო იყო. მართალია, რატი თითქოს არ უარყოფდა თავის მორჩილებას საქართველოს მეფის მიმართ, მაგრამ ბაგრატს არ აკმაყოფილებდა მორჩილების ეს ფორმა. ბაგრატი ერთიანი საქართველოსშექმნისათვის იღვწოდა, კლდეკარის ერისთავების ყმადნაფიცობის პირობით მორჩილება კი ვერ ეგუებოდა ერთიანი სახელმწიფოს წყობილებას. ბაგრატმა დაამარცხა რატი, მიიღო მისგან ქართლის სამფლობელოები, რატიმ შეავედრა მეფეს შვილი და "თჳით დაჴდა მამულსა თჳისსა არგვეთს".

მეფე ბაგრატ III, ერთიანი საქართველოს პირველი მეფე, რეალურად ქვეყნის ერთიანობის პირველი საფუძვლისჩამყრელი იყო. მან მთლიანად გაამართლა იმ საზოგადოებრივი დაჯგუფების იმედები და საკუთრივ იოანე მარუშისძის არჩევანი, რომელმაც მისი კანდიდატურა წამოაყენა. მან გაამართლა მასზე დაკისრებული რთული და საპასუხისმგებლო მისია, გამოიყენა ყველა გზა და საშუალება მიზნის მისაღწევად.

ბაგრატ მეფის საბრძანებელში გაერთიანდა ქართული ქვეყნების უდიდესი ნაწილი. ამდროინდელი საქართველოს ფარგლებს გარეთ იყო იმიერტაო, თბილისის საამირო, რომელიც ამ დროს თბილისის ოლქს და ქვემო ქართლის ნაწილს მოიცავდა, კახეთჰერეთი, რომელიც შემოერთებულ იქნა XI ს-ის დასაწყისში. ქვეყნის სათავეში იდგა მკაცრი ცენტრალისტური პოლიტიკის გამტარებელი, ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის მებრძოლი მტკიცე ნებისყოფის მეფე.

ჰერეთკახეთის ერთიან საქართველოსთან გაერთიანებამ შეაშფოთა განძის ამირა (ფადლონ I იბნ მუჰამედი 985 – 1031 წწ.), რომლის სამფლობელოც ეხლა უკვე საქართველოს სამეფოს ესაზღვრებოდა. დაიწყო თავდასხმები ქართულ მიწაწყალზე "ჟამითიჟამად მეკობროზით და პარვით რბევად და ტყუენვად ადგილითიადგილად" (მატიანე ქართლისა), მეფე ბაგრატმა შეკრიბა ლაშქარი, მოკავშირეობა სთხოვა სომეხთა მეფე გაგიკს, რომელიც სიამოვნებით დასთანხმდა, რადგან საკუთარი ინტერესებიც ჰქონდა განძის ამირასთან. განძის ამირას შეეშინდა მოკავშირეთა ლაშქრის და შამქორის ციხეში გამაგრდა. ბაგრატის ლაშქარმა "წარმოსტყუენა ქუეყანა რანისა" და შამქორის ციხეს მანქანები მიუყენა. ციხის დაცემის წინ ფადლონმა მოციქული მიუგზავნა, ბაგრატს დანდობა და საფასურად ხარაჯა და თავისი სიცოცხლის მანძილზე სამხედრო სამსახური აღუთქვა.

საკითხის გადასაწყვეტად მეფე ბაგრატმა სამხედრო საბჭო მოიწვია. დიდებულებმა შამქორის ბრძოლით აღება საეჭვოდ მიიჩნიეს. მართალია მემატიანე მთლად მართებულად არ მიიჩნევს დიდებულთა რჩევას, მაგრამ მეფე ბაგრატმა მიღო მათი რჩევა. არ არის გამორიცხული მეფეს მათი ბოლომდე თანადგომაც ეეჭვებოდა და დასდო ფადლონთან ზავი, ფადლონმა აღასრულა თავისი პირობა.

თითქმის გამუდმებული საომარი ოპერაციების ვითარებაში ბაგრატ მეფის დროს საქართველოში მნიშვნელოვანი სამშენებლო საქმიანობა მიმდინარეობდა. მის მეფობაშია აგებული ხცისის ტაძარი შიდა ქართლში, კაცხის – ზემო იმერეთში, ნიკორწმინდის – რაჭაში. ისტორიკოსი უშუალოდ მის მიერ აგებულად მოიხსენიებს ბედიისა და ქუთაისის კათედრალურ ტაძრებს. მეფე ბაგრატმა მოშალა გუდაყვის (ძიღანევის) ბერძნული საეპისკოპოსო კათედრა და შექმნა საეპისკოპოსო ბედიაში. ეს იყო იმ დიდი საქმის დაგვირგვინება, რომელიც მისმა წინაპრებმა "აფხაზთა" მეფეებმა დაიწყეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ბატონობის აღმოსაფხვრელად დასავლეთ საქართველოში. მეფემ უზრუნველყო ბედიის საეპისკოპოსო მამულებით, საეკლესიო ნივთებით. რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოქროს ბარძიმს, 999 წლის ქართული ასომთავრული წარწერით.

ბაგრატმა ააგო და აკურთხა ქუთაისის ეკლესია, ე. წ. ბაგრატის ტაძარი. ისტორიკოსი საგანგებოდ შენიშნავს, რომ ქუთაისის ტაძრის კურთხევის დროს მეფემ "შემოკრიბნა მახლობელნი, ყოველნი ხელმწიფენი და კათალიკოსნი, მღდელთმოძღუარნი, და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი, და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი, მამულსა და სამეფოსა მისისა მყოფნი და სხუათა ყოველთა სახელმწიფოთანი". ქუთაისის ტაძრის ასე საზეიმოდ კურთხევა, კურთხევაზე მეზობელ სახელმწიფოთა წარმომადგენლების მოწვევა, ქუთაისის საგანგებო მდგომარეობით, მისი დანიშნულებით იყო განპირობებული. მეფე ხაზს უსვამდა დედაქალაქში აგებული ტაძრის მნიშვნელობას.

ქუთაისის ტაძრის მნიშვნელობის თვალსაზრისით საყურადღებოა ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა, რომ მეფე ბაგრატმა ააგო ქუთაისის ტაძარი და იქ "დასვა ეპისკოპოზი".

ქუთაისის ტაძრის მშენებლობა მეფე ბაგრატმა "აფხაზთა" მეფედ კურთხევის შემდეგ მალე დაიწყო და 1003 წლისათვის დაამთავრა. ეს ტაძარი საქართველოს ერთიანობის სიმბოლო იყო.

ამავე X ს-შია აგებული ბედიის ტაძარი, რომელიც XI ს-ის ისტორიკოსის ცნობით (მატიანე ქართლისა) "შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ". ბედია მეფე ბაგრატს თავის საძვალედ ჰქონდა გამიზნული. ბედიის ტაძრის აგებას და საეპისკოპოსოს დაარსებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. მეფე ბაგრატი სწორედ დასავლეთ საქართველოს შუაგულში აარსებს შავი ზღვის სანაპიროზე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალი ძიღანევის (გუდავის) საპირისპიროდ საეპისკოპოსო კათედრას. ამ ტაძრის კედელზე მისი ფრესკა იყო გამოსახული, როგორც ქტიტორისა, ტაძრის მოდელით ხელში, ამ ტაძრისათვის შეწირულ ოქროს ბარძიმზე მოთავსებულ 999 წლის წარწერაში მბოძებლად მეფე ბაგრატი და მისი დედა დედოფალი გურანდუხტი არიან დასახელებულნი, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ბაგრატის კანონიერ უფლებებს დასავლეთ საქართველოზე "აფხაზეთზე".

ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევს XI საუკუნის ორივე ქართველი ისტორიკოსი, ე. წ. “მატიანე ქართლისა”ს ანონიმი ავტორი და ბაგრატიონთა გვარის მემატიანე სუმბატ დავითისძე. სუმბატი წერს: “ამან ბაგრატ მეფემან კურაპალატმან დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობელობით ჯიქეთითგან ვიდრე გურგანადმდე, და ადარნაბადანი და შირვანიმო ხარკე ყო სომხითისა ხელმწიფებითა. მეფე სპარსთა მეგობარ და ერთგულ ყო სიბრძნითა და ძლიერებითა თვისითა,უფროს სახლეულთა თვისთასა, და ბერძენთა მეფესაცა შიში აქუნდა ამისი ყოვლადვე”. “მატიანე ქართლისა”ს ავტორი წერს: “ესე ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე წარემატა ყოველთა ხელმწიფეთა ყოვლითა განგებითა. ამისდა შემპოვნედ და ამისდა მოაჯედ შეიქმნეს ყოველნი ჴელმწიფენი, მახლობელნი და მოთავულნი მამულისა და სამეფოსა მისისანი, მოლაშქრედ ვითარც თჳსნი და მისანდობელნი. და დაუმორჩილნა ღმერთმან ყოველნი მტერნი და წინააღმდგომნი მისნი; მომრავლდა დღეთა მისთა მშჳდობა და დიდი დაწყნარება ქუეყანასა”.

ეს შედარებები ალბათ გარკვეული თვალსაზრისით გადაჭარბებულია, მაგრამ მასში სიმართლის ელემენტებიც არის. ის ხომ მართლაც ჯიქეთიდან, აფხაზეთის ჩრდილო საზღვრამდინ ფლობდა ქვეყანას. რაც შეეხება გურგანამდე და სპარსთა ე. ი. მაჰმადიან მფლობელთა დამორჩილებას, თუ მოხარკეობას, განძის ამირა ფადლონი ხომ ნამდვილად იყო მისი მოხარკე. ძნელია თქმა, რამდენად ჰქონდა მისი შიში “ბერძენთა მეფესა”, მაგრამ ფაქტია, რომ ბასილ კეისარმა, მართალია, დავით კურაპალატის მემკვიდრეობა არ დათმო, მაგრამ კურაპალატის მაღალი პატივი უბოძა, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ მას სურდა მეფე ბაგრატთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდა.

აღსანიშნავია, რომ ქართველი მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს: “და ვთქუა ესეცა, რომელ შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა, არავინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა, და ყოვლითა გონებითა, ეკლესიათა მაშენებელი. იყო გლახაკთა მოწყალე და სამართლის მოქმედი ყოველთა კაცთათჳს”. მემატიანეს უკანასკნელი ფრაზა, რომ იყო “სამართლის მოქმედი” ქმნის საცთურს ამ ბაგრატის სახელს დაუკავშირდეს ქართული სამართლის ერთერთი მნიშვნელოვანი ძეგლის ე. წ. “ბაგრატ კურაპალატის სამართლის” შემოქმედება. საკითხის სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა, ვინ არის ამ ძეგლის შემომქმედი: ბაგრატ I კურაპალატი (826 – 876), მეფე ბაგრატ III, თუ მეფე ბაგრატ IV. ძეგლში დაცული რეალიები არ იძლევა საკითხის უცილობლად გადაჭრის შესაძლებლობას, თუმცა ვარაუდი, რომ ეს “ბაგრატ კურაპალატი” მეფე ბაგრატ მესამეა უსაფუძვლო შეიძლება არ არის. გაერთიანებულ სამეფოს შესაფერისი კანონმდებლობა ესაჭიროებოდა და ქვეყნის გამაერთიანებელ მეფეს ამაზე უნდა ეზრუნა. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ არსებობდა ბაგრატ I, კურაპალატის დროს შედგენილი სამართლის წიგნი, რაც ბაგრატ III-ის დროს გამოყენებულ იქნა და ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად გადამუშავდა.

ბაგრატ III-ის სახელს უკავშირდება ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტი ე. წ. “აფხაზთა მეფეთა დივანის” სახელწოდებით რომ არის ცნობილი “აფხაზთა” სამეფო კარზე ჩანს დგებოდა აფხაზეთის ერისთავთა (VI საუკუნიდან) და შემდეგ მთავართა და მეფეთა გენეალოგიური ნუსხა, ქრონიკა. ბაგრატ ბაგრატიონის “აფხაზთა” მეფედ კურთხევის შემდეგ ამ ნუსხას დაემატა

ბაგრატის სახელი და ის მასში იქნა შეყვანილი, როგორც “აფხაზთა” სამეფო სახლის კანონიერი მემკვიდრე. ეს იყო ბაგრატ IIIის მემორანდუმი, რომლითაც ის დოკუმენტურად ადასტურებდა თავისი მეფობის კანონიერებას დასავლეთ საქართველოში.

სახელმწიფოს ერთიანობის, მეფის რეალური ხელისუფლების, ქვეყნის რეალური პოტენციალის, ამასთანავე ფართო სავაჭრო ურთიერთობების დადასტურებაა მეფე ბაგრატ III-ის მიერ მოჭრილი მონეტა (ე. წ. ბაგრატ კურაპალატის მონეტა”), რომელზედაც ქართულთან ერთად მოთავსებულია არაბული წარწერებიც, რაც სრულიად კანონზომიერია, რადგან ამდროინდელი საქართველო არაბულენოვან მუსლიმური სამყაროს გარემოცვაში იმყოფებოდა და მის მიერ მოჭრილ მონეტას ამ სამყაროში მიმოქცევის საშუალება უნდა ჰქონოდა.

ქართველ მემატიანეს აქვს ერთი ასეთი ფრაზა, რომ ბაგრატმა “განამრავლა ლაშქარი, თჳსი უმეტეს ყოვლისა ჟამისა”. ამ ფრაზის საფუძველზე იქნებ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მეფე ბაგრატმა ლაშქრის გარკვეული რეორგანიზაცია მოახდინა. საქართველოს გაერთიანებამდე ყოველ ქართულ სახელმწიფოს თავისი ლაშქარი ყავდა, რომელიც ფეოდალურ პრინციპზე იყო აგებული. სახელმწიფოს სათავეში მდგომი მეფე, მთავარი, საკუთარ და ამ ფეოდალთა ლაშქარს ემყარებოდა, მაგრამ იმ მეფემთავართა ძალაუფლება მაინც უფრო სუსტი იყო ვიდრე ერთიანი საქართველოს მეფისა. გაერთიანების შემდეგ, როდესაც მეფე ბაგრატის სამეფოში შემოვიდა დასავლეთ საქართველო, “ქართველთა” სამეფო, შიდა ქართლი, კახეთი, ჰერეთი, არ არის გამორიცხული, რომ ლაშქრის მოწყობა ბაგრატ მეფემ მაინც რაღაც საერთო სისტემას დაუქვემდებარა. რასაკვირველია ლაშქრის ორგანიზაციის ფეოდალური პრინციპი ვერ შეიცვლებოდა, მაგრამ მეტი ცენტრალიზება, მეფის ხელისუფლებისათვის მეტად დამორჩილების აუცილებლობა ალბათ უნდა გაჩენილიყო, შეიძლება ამას გულისხმობდეს მემატიანე ზემოთ მოტანილ სიტყვებში. ამასთანავე ბაგრატ მეფე ანგარიშსრომ უწევდა დიდებულებს, რომელთა მიერ გამოყვანილი ლაშქრით იბრძოდა ეს, განძის ამირასთან ბრძოლაში კარგად გამოჩნდა.

ბაგრატი, როდესაც ის ქართლის გამგებლად დაადგინეს და უფლისციხეში დასვეს მას არავითარი ოფიციალური ტიტული არ ჰქონია, “ქართველთა მეფე” მისი მამა ბაგრატ II რეგვენი იყო, (“რეგვენი” – ძველ ქართულში ახალგაზრდას, მეამბოხეს ნიშნავს)”აფხაზთა მეფე” ბიძა (დედის ძმა) თეოდოსი”, კახეთს და ჰერეთსაც თავისი ქორეპისკოპოსები თუ მეფეები ყავდათ. პირველი ოფიციალური ტიტული, რომელიც მან მიიღო იყო “მეფე აფხაზთა” (ე. ი. დასავლეთ საქართველოს მეფე), შემდეგ 1001 წ. მან მიიღო “ქართველთა მეფის” და “კურაპალატის” ტიტულები. 1010 წ. კახეთისა და ჰერეთის შემოერთების შემდეგ მის ტიტულატურას ემატება მეფე რანთა (ჰერთა) და კახთა და ამ ეტაპზე საქართველოს მეფის ტიტულატურა ასე გაიმართა “მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, კურაპალატი”.

X სის 80იან წლებში გაერთიანდა ორი უდიდესი ქართული სახელმწიფო – დასავლეთ საქართველო ქართლის საერისმთავროთი და “ქართველთა” სამეფო (მისი უდიდესი ნაწილი). XI ს-ის დასაწყისში მას შეუერთდა კახეთი და ჰერეთი. ქართული ქვეყნების ეს გაერთიანება თავისი ხასიათით პრინციპულად განსხვავდებოდა იმ სამხედროპოლიტიკური კავშირებისაგან, რომელნიც IX – X საუკუნეებში გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ვითარებაში იქმნებოდა. ამ

კავშირებში დროებით ერთიანდებოდნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომელთაც საკუთარი ინტერესები ჰქონდათ, და რომელთა შორის მნიშვნელოვანი წინააღმდეგობანი არსებობდა.

X ს-ის დასასრულს შექმნილი გაერთიანება წარმოადგენდა ახალ ეტაპს ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. ამ გაერთიანებით გაუქმდა მთელი რიგი სამეფოსამთავროების პოლიტიკური დამოუკიდებლობა და საფუძველი დაედო ახალი პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებას მთელი საქართველოს მასშტაბით. ეს გაერთიანება ნიშნავდა ცენტრალიზებული ფეოდალური მონარქიის ტიპის სახელმწიფოს შექმნას. ცალკეული სამეფოების დამოუკიდებლობის ლიკვიდაციის და მმართველობის აპარატის შეცვლა, უკვე ახალი სახელმწიფოს ფარგლებში მიმდინარეობდა. შემდგომი განვითარება როგორც სამოქალაქო ისე სამხედრო სფეროში მმართველობის აპარატის ცენტრალიზაციის ხაზით ვითარდებოდა. გაერთიანება, რასაკვირველია, ვერ მოიტანდა ყველა შინაგანი წინააღმდეგობის მოსპობას, მაგრამ თუ ადრე ერთმანეთს დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები უპირისპირდებოდნენ, ახლა უკვე წინააღმდეგობანი ცალკეულ დაჯგუფებებს, ერთიანი ქვეყნის შიგნით არსებულ პარტიებს შორის არსებობდა.

გაერთიანება ქართლის ჰეგემონობით განხორციელდა და ამიტომაც ეწოდა ამ სახელმწიფოს "საქართველო", ე. ი. ქართველების სახელმწიფო და "ქართველი" იყო კახიც, ჰერიც,ეგრიც (დასავლელ ქართველი). ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება საკუთრივ ქართლის ირგვლივ იმდროინდელი საქართველოს უძლიერესი წარმომადგენლის დავით ტაოელის და ქართლის ერისთავის იოანე მარუშისძის გეგმით განხორციელდა, ეს გეგმა ბრწყინვალედ განახორციელა დიდმა მეფემ, ბაგრატ III-მ.

X ს. დასრულდა ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი საქართველოს ისტორიაში.

თავი XI. საქართველოს გაერთიანების თავისებურებანი

შუა საუკუნეებში ქვეყნების ეროვნული გაერთიანების პროცესი საერთო ევროპული მასშტაბით, დაახლოებით ერთიანი მოვლენებით ხასიათდება, მაგრამ, ამასთანავე ყველა ქვეყანაში ეს პროცესი თავისებურად მიმდინარეობდა, რაც კონკრეტული ისტორიული მოვლენებითაა განპირობებული.

ევროპაში ცენტრალიზებული მონარქიების შექნის პროცესი შუა საუკუნეების ადრეული, აღმავალი განვითარების ეტაპზე იწყება, მაგრამ ერთიანი ეროვნული სახელმწიფოები საბოლოოდ, ძირითადად შუა საუკუნეების გვიანდელ ეტაპზე ყალიბდება. ჩვენშიც, გაერთიანების პროცესი ევროპის ქვეყნების მსგავსად, ადრეულ შუა საუკუნეებში იწყება, ეს პროცესი საქართველოში დაჩქარდა და ერთიანი ქართული შუა საუკუნოვანი მონარქია ფეოდალურ ურთიერთობათა აღმავალი განვითარების და მისი განმტკიცების ეტაპზე შეიქმნა. ამასთანავე ჯერ გაერთიანება, ხოლო შემდეგ ხელისუფლების ცენტრალიზაცია, ქვეყნის ფეოდალურ ძალებსა და ფეოდალურ სისტემას ემყარებოდა. აღნიშნული გარემოებით იყო განპირობებული საქართველოს გაერთიანების პროცესის პირველ ეტაპზე (IX – X სს.) ქალაქების

და მოქალაქეთა ფენის სუსტი როლი. განსხვავებით ევროპის ქვეყნებისაგან, სადაც ქალაქები გაერთიანებისათვის მებრძოლი ძალების ერთერთ მთავარ საყრდენს წარმოადგენდნენ.

საქართველოს გაერთიანების ისტორიული პროცესის მნიშვნელოვანი თავისებურებაა ის გარემოებაც, რომ განსხვავებით დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან, სადაც გაერთიანება ერთი ცენტრის გარშემო მიმდინარეობდა, მაგ. რუსული ქვეყნების გაერთიანება მოსკოვის ირგვლივ, საფრანგეთში ფრანგული ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება პარიზის გარშემო და მოთავეობით მიმდინარეობდა, ჩვენში ერთიანი სახელმწიფოს შექმნა ქვეყნის ცენტრალური რეგიონის (შიდა ქართლის) დაუფლებისათვის ბრძოლას გულისხმობდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაც რეგიონებში დაიწყო.

რიგ ქვეყნებში ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება – ეროვნულგანმათავისუფლებელი ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობდა. ასე მაგ.: რუსეთში, ასე იყო საქართველოშიც, სადაც ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის ეროვნულგანმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათს ატარებდა, რაც აპირობებდა საზოგადოების ძირითადი ფენების აქტიურ მონაწილეობას ამ ბრძოლაში. ეს გარემოება მკაფიოდ წარმოაჩენს საქართველოს გაერთიანების პროგრესულ ისტორიულ მნიშვნელობას.

ვერც ეკონომიკური და ვერც სოციალური ფაქტორი ვერ განაპირობებდა ქვეყნის გაერთიანებას. ქართული ძალების კონსოლიდაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გარეშე ძალის ფაქტორს. ამ პროცესის სისრულეში მოყვანისათვის აუცილებელი იყო დამაჩქარებელი ფაქტორის არსებობა. ასეთ როლში ამ დროს არსებული საგარეო საფრთხე გამოდიოდა.

საქართველო გამუდმებულ შემოტევებს განიცდიდა დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან, ბიზანტიის, ხაზარების, არაბების, თუ სხვ. დამპყრობთაგან. უაღრესად მძიმე საგარეო მდგომარეობა საზოგადოების ყველა ფენის წინაშე გაერთიანებისა და მტრის წინააღმდეგ საერთო ძალით ბრძოლის აუცილებლობის საკითხს აყენებდა.

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა, როგორც არაერთგზის აღინიშნა, არაბთა და ბიზანტიელთა უღლის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად მიმდინარეობდა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ეტაპზე ეს ბრძოლა გაადვილებული იყო ხელსაყრელი ვითარებით, ბიზანტიისა და სახალიფოს შედარებითი დასუსტებით.

ეკლესია. ქართველი ხალხის კონსოლიდაციის პროცესში დიდი როლი ენიჭება ქრისტიანულ რწმენას და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას. ადრეულ საფეხურებზე ქრისტიანობის გავრცელება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ხელს უწყობდა აღმოსავლურ ქართული ეთნიკური ჯგუფების გაერთიანებას. შემდგომ ეტაპზე კი დასავლურ ქართული ეკლესიის შესვლა ერთიანი ქართული ეკლესიის შემადგენლობაში და მცხეთის ტახტისადმი დაქვემდებარება, წირვალოცვის მთლიანად ქართულ ენაზე გადასვლა, წარმოადგენდა ერთერთ უმთავრეს პირობას აღმოსავლეთდასავლეთ საქართველოს ინტეგრაციისათვის.

მცხეთის ტახტის, მცხეთის საკათალიკოსოს პოზიციების განმტკიცებას დასავლეთ საქართველოში ხელს უწყობდა, როგორც ამ დროს შექმნილი პოლიტიკური ვითარება, ისე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობა და მცხეთის ტახტის მიერ წირვალოცვის ქართულ ენაზე წარმოება.

დასავლეთ საქართველოს (ეგრისაფხაზეთის) მეფეთა თავიდანვე აშკარად გამიზნული ზოგადქართული პოლიტიკა მხარს უჭერდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინოპოლისაგან გამოყოფას და ამ ეკლესიის მცხეთის ეპარქიისათვის დაქვემდებარებას.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას მისი საეკლესიო გაერთიანება უსწრებდა წინ. იმ დროს როდესაც კახეთის საქორეპისკოპოსო, ქართველთა და ჰერეთის სამეფოები, ჯერ კიდევ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ, ეკლესიურად ისინი მცხეთას ექვემდებარებოდნენ.ხოლო დასავლეთ საქართველოს ეკლესია, თუ უფრო ადრე არა X საუკუნის შუა ხანებში მაინც. მცხეთის ეპარქიის იურისდიქციაში იმყოფებოდა.

ქართული ეკლესია ქვეყნის გაერთიანების ხელშემწყობი ძლიერი ფაქტორის როლში გამოდიოდა.

ეროვნული თვითშეგნება ხანგრძლივი დროის მანძილზე ყალიბდება და ერის, როგორც ისტორიული კატეგორიის, ერთერთი განმსაზღვრელია. ეროვნული თვითშეგნება, რიგ სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანწილადაა განპირობებული ტერიტორიული და ენობრივი ერთიანობით.

ქართული ეროვნული თვითშეგნების საწყისები ძვ. წ. II ათასწლეულიდან მოდის, როდესაც ყალიბდება დასავლურქართული და აღმოსავლურ ქართული ისტორიულკულტურული წრეები. მიუხედავად რიგი ადგილობრივი თავისებურებებისა და სხვაობისა, ეს ორივე ქართული კულტურული წრეა.

ქართული ეროვნული თვითშეგნების არსებობის საკითხთან დაკავშირებით გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულსა და III საუკუნის დასაწყისში აღმოსავლურ ქართული სახელმწიფოს, ქართლის სამეფოს შექმნას.

ისტორიულად ქართულ ქვეყნებს ერთიანობისაკენ ლტოლვა ახასიათებდათ, მაგრამ თუ ხელსაყრელ და საგარეო პირობებში ქართული ქვეყნები ერთიანდებოდნენ, არახელსაყრელ პირობებში იშლებოდნენ.

ყველა ვითარებაში, ერთიანი თუ დაშლილი, ეს ქართული სამყარო იყო. ქართული სამყარო მონოეთნიკური არასოდეს ყოფილა, მაგრამ ძირითადად ის ქართული ქვეყნებისგან შედგებოდა და ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი აქ ქართველი იყო.

საკუთრივ ქართველებისთვის, მრავალ სხვა ისტორიულად მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთად, ქრისტიანულმა რწმენამ დიდი წვლილი შეიტანა ყოველთა ქართველთა გაერთიანებასა და ერთიანი ქართული შუასაუკუნოვანი სახელმწიფოს, საქართველოს ჩამოყალიბების დიდ ეროვნულ საქმეში.

ქრისტიანობის გავრცელება და დამკვიდრება ადრეულ საფეხურზე, საქართველოს მთიანეთში ხელს უწყობდა აღმოსავლურქართულ ეთნოსების გაერთიანებას, ამავე დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინოპოლის სამწყსოდან გამოყოფას და მცხეთის ტახტის შემადგენლობაში შესვლას, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო დასავლელ ქართველთა ქართული ეროვნული თვითშეგნებით. დასავლეთ საქართველოში ბერძნულ ენასა და ბერძნულ ეკლესიას თავიდანვე დაუპირისპირდა ქართული ეკლესია მცხეთის საკათალიკოსოთი და ქართული ენით. დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინოპოლის სამწყსოდან გამოყოფას და საბოლოოდ მისი მცხეთის ტახტისადმი დაქვემდებარებას, ერთიანი ქართული ეკლესიის შემადგენლობაში შესვლის დიდ ეროვნულ საქმეში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ქართულ ეროვნულ თვითშეგნებასთან ერთად, დიდია დასავლურ ქართული სახელმწიფოს, ე. წ. “აფხაზთა” სამეფოს (IX – X სს.) მეფეთა როლი, რომელთაც ყველა ღონე იხმარეს, რათა ეს პროცესი ბოლომდე მიეყვანათ.

მართალია, მართლმადიდებლობა ბერძნული სარწმუნოებაა, მაგრამ ქართული ეროვნული თვითშეგნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართულ ენას. ქართული ენის მნიშვნელობა ეროვნული თვითშეგნებისათვის ზუსტადაა ჩამოყალიბებული დიდი ქართველი მწერლის, გიორგი მერჩულეს თხზულებაში გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობისადმი რომაა მიძღვნილი.

“ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი ყოველი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კვრიელეისონი ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად, უფალო წყალობა ყავ, გინა თუ უფალო შეგვიწყალენ”. მერჩულესათვის ეროვნულობის საზომი ენაა, წირვა ლოცვის ქართულად წარმოებაა ქალკედონიტები ბერძნებიც ხომ იყვნენ, ასე რომ ქართული ენაა ვინაობის განმსაზღვრელი.

ქართული ეროვნული თვითშეგნება საკმაოდ მყარად არსებობს შუასაუკუნოვანი ქართული ერთიანი სახელმწიფოს, საქართველოს ჩამოყალიბებამდე, რისი საფუძველიც უძველესი დროიდან ქართული ქვეყნების ერთიანობის შეგნებაა. საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა ცალკეული ეთნოგეოგრაფიული ერთეულები: კახეთი, ქართლი, იმერეთი, გურია, სვანეთი, აფხაზეთი და სხვა. აფხაზეთი ისეთივე ქართული ისტორიულგეოგრაფიული ერთეული იყო, როგორც მაგ. კახეთი, სვანეთი, რაჭა და სხვა. აფხაზი აფხაზეთის მცხოვრები იყო. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა IX ს-ის გამოჩენილი მოღვაწის ილარიონისადმი მიძღვნილი თხზულება, რომელსაც ეწოდება “ილარიონ ქართველის ცხოვრება” და რომლის დასაწყისშივე ვკითხულობთ, რომ ილარიონი იყო “ქვეყანით კახეთით”. შუასაუკუნოვანი ქართული მონარქია ჯერ ჩამოყალიბებული არ არის. აქ რამდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო არსებობს, ერთერთი ასეთია კახთა სამთავრო, ქორეპისკოპოსით სათავეში, მაგრამ მისი შვილი, ილარიონი ქართველია. ილარიონ ქართველის ცხოვრების მოკლე, უძველეს რედაქციაში წერია, რომ ილარიონი იყო “ქვეყანით კახეთით”. ასევეა ეს თვალსაზრისი გატარებული XI ს-ის მოღვაწის გიორგი მთაწმინდელის მიმართ, რომ ის იყო “ნათესავით ქართველი” და წარმოშობით სამცხიდან. უაღრესად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ IX ს-ში სინას მთაზე გადახვეწილი ქართველი ბერები ლოცულობენ “ყოველთა ამათა და

ყოველთა ქრისტიანეთა და უფროის ყველასათაყოველთა ქართველთათვის” (864 წლის ხელნაწერის მინაწერი) და “ქართლისა მშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისა, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემოქცევისა, ტყვეთა მოქცევისა”თვის ევედრებოდნენ ღმერთს.

ამ ეროვნულმა თვითშეგნებამაც განაპირობა ის, რომ დამპყრობლებმა (სასანიანთა ირანი, არაბები, რომლებიც სამი საუკუნე ისხდნენ აქ) ვერ მოახერხეს ამ ეროვნულ თვისებათა ამოძირკვა თავისი რწმენის დამკვიდრება. VIII ს-ის დიდი ქართველი მწერალი იოანე საბანისძე, შეძრწუნებულია იმ გარემოებით, რომ ზოგნი, სხვადასხვა მიზეზთა გამო ღალატობენ ეროვნულ რწმენას. მან მაღალ მხატვრულ დონეზე აჩვენა თავის თანამედროვე საზოგადოებას და მომავალ თაობებს, სასწავლებლად და სანიმუშოდ აუხსნა ამ ფასეულობათა დაცვის მნიშვნელობა და აუცილებლობა. მოუწოდა სიმტკიცისაკენ.

VII საუკუნიდან მოყოლებული მაჰმადიანები იწყებენ დაპყრობით ომებს და იქმნება იმპერია, არაბთა სახალიფო, რომელშიც არაბეთის ნახევარკუნძულთან ერთად შედიოდა ირანი, სამხრეთ კავკასიის დიდი ნაწილი, შუა აზია, სირია, პალესტინა, ეგვიპტე, ჩრდილო აფრიკა, პირენეის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი. ალბათ საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ მთელ იმპერიაში საქართველოსა და სომხეთის ჩრდილო ტერიტორიის ნაწილის გარდა, ვრცელდება მათი სარწმუნოება. ეს, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობა ქართველთა მყარმა სარწმუნოებრივმა და ეროვნულმა თვითშეგნებამ, IV საუკუნის დასაწყისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ. ეს ქართული ეროვნული თვითშეგნება განსაკუთრებით ღრმავდება და მტკიცდება ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის არსებობის პირობებში, რომელიც ზოგი შეფერხებებით XI ს-დან XV ს-ის ბოლომდე არსებობდა. ეს ეროვნული თვითშეგნება უმაღლეს საფეხურს აღწევს. საქართველოს ერთიანი ისტორიის “ქართლის ცხოვრების” ე. წ. წმინდა წიგნის ავტორს და ვეფხისტყაოსნის კულტურის შემქმნელ ერს ეს შეგნება ვერავინ და ვერაფერმა გამოუთხარა.

XV ს-ის ბოლოს უმძიმესი და ურთულესი საერთაშორისო და შინა ვითარების პირობებში ერთიანი საქართველო დაიშალა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ*. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიუხედავად ბაგრატიონთა სამეფო სახლის შიგნით, მის წევრებს შორის დრო და დრო არსებული დაპირისპირებებისა, სამივე სამეფოში მეფე მხოლოდ ერთიანი სამეფო სახლის წარმომადგენელი იყო.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ XVI – XVIII საუკუნეების ქართული საზოგადოება, მიუხედავად პოლიტიკურად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამეფოების არსებობისა, საქართველოს მაინც ერთ ქვეყნად აღიქვამდა. XVIII ს-ის ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი მოგვითხრობს რა დაყოფილი ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებზე, შემდეგ ყველას მოიხსენიებს, როგორც “საქართველონი” ასევე მთლიანად “საქართველოდ” მოიხსენიებს იგივე ავტორი კახეთის სამეფოს, ქართლის სამეფოს, საქართველოდ მოიხსენიებს ვახუშტი სხვადასხვა ქართულ სამეფოებს, აღწერს რა დასავლეთ საქართველოს მცენარეულ და ცხოველურ სამყაროს აღნიშნავს, რომ იქ ისევეა “ვითარცა სხუათა საქართველოთა შინა”.

ამ ეროვნული ერთიანობის შეგნების თვალსაზრისით დგება მეფე ვახტანგ VI-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საკითხი ე. წ. “ახალი ქართლის ცხოვრების” შექმნის შესახებ. ამ “ახალი ქართლის ცხოვრების”**. შექმნის მოთხოვნილება სხვადასხვა ფაქტორებით იყო გამოწვეული. ამჯერად, ყურადღებას იმსახურებს ერთი გარემოება, საქართველო ორ საუკუნეზე მეტი ხანია დაყოფილია, ვახტანგი ქართლის მეფეა, მაგრამ “სწავლულ კაცებს”, რომელთაც “ახალი ქართლის ცხოვრება” უნდა დაწერონ ის ავალებს არასაკუთრივ ქართლის ისტორიას, არამედ საერთოდ, მთლიანი საქართველოს ისტორიის დაწერას. პირველ ნაწილში (XI ს-მდე) ეს ნაშრომი ფაქტიურად მთლიანად “ქართლის ცხოვრების” ძველ ნუსხებს მიჰყვება, XIV – XVIII სსის ისტორიას ისინი თვითონ წერენ. მართალია “სწავლულმა კაცებმა” ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით დასახული ამოცანა სათანადოდ ვერ განახორციელეს, მათ მთლიანი საქართველოს ისტორია ვერ გამოუვიდათ, მათ ძირითადად XIV – XVII სსის ქართლის ისტორია დაწერეს, მაგრამ ავტორები საჭიროდ თვლიან თავი იმართლონ და აღნიშნავენ, რომ ეს სათანადო წყაროების სიმცირით და ხელმიუწვდომლობით აიხსნება. თუმცა ამ თავის მართლებას, თუ შეიძლება ასე ითქვას, აქვს თავისი მნიშვნელობა, მათ ესმით და შეგნებული აქვთ, რომ მსგავსად წინა ძველი ნაწილისა, ეს ნაწილიც საქართველოს მთლიანი ისტორია უნდა იყოს.

მიუხედავად პოლიტიკური დაშლილობისა, საზოგადოებრივი აზრი, რომ ეს ქვეყანა მაინც ერთიანია, ერთიანი ეროვნული თვითშეგნების არსებობის დადასტურებაა XVIII ს-ის დიდი ქართველი ისტორიკოსის, ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომი. ვახუშტი თავის კაპიტალურ ნაშრომს უკვე რუსეთში გადახვეწილი ამთავრებს, მის ნაშრომს ეწოდება “აღწერა სამეფოსა საქართველოისა” ე. ი. საქართველოს ისტორია, მისთვის საქართველო ერთი ქვეყანაა. აყალიბებს რა თავის კონცეფციას ვახუშტი წერს: “უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა ანუ იმერსა, მესხსა და ჰერკახსა რა რჯული ხარ* წამს მოგიგებს “ქართველი”.... და ჰკითხო რა წინათქმულთა მათ კაცთა: “რა ენა და წიგნი უწყი”, მოგიგებს მყის “ქართული”, რამეთუ არა იტყვის არა რჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთას, ანუ მესხთა და ჰერკახთასა, არამედ ქართულსა”. ვახუშტიმ კარგად იცის, რომ “იმერი” მეგრელი და სვანიცაა, და მათ თავისი სალაპარაკო ენა აქვთ, რის შესახებ ის თავთავის ადგილას წერს კიდეც, მაგრამ მისთვის მთავარია, რომ ყველა ესენი “რჯულით” ე. ი. ეროვნებით ქართველები არიან და ერთი საერთო ენა ქართული აქვთ, წირვალოცვის, მწერლობის სახელმწიფო მმართველობის ენად.

ქართული ეროვნული თვითშეგნება ვერ მოსპო ვერც XVI – XVIII საუკუნეების ძნელბედობამ, ვერც მეფის რუსეთის მცდელობამ. ილია ჭავჭავაძის და მისი სახელოვანი თანამებრძოლების ერთერთი მთავარი ამოცანა და დამსახურება ამ ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებაგანმტკიცება იყო. ეს ეროვნული თვითშეგნება ვერც კომუნისტურმა ე. წ. “ინტერნაციონალურმა” რეჟიმმა ამოძირკვა და ამ ეროვნულმა თვითშეგნებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილის ფარულ თუ აშკარა ბრძოლაში კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ.

თავი XII. სოციალურეკონომიკური ვითარება IX – X სს-ში

IX – X საუკუნეები მნიშვნელოვანი გარდაქმნების ხანაა საქართველოს ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ IX – X საუკუნეებში ისტორიული საქართველოს მიწაწყალზე რამდენიმე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობდა, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით ისინი დაახლოებით ერთ დონეზე იმყოფებოდნენ, რაც საერთო ერთიანი ძირებით და განვითარების საერთო ხაზითაა განპირობებული.

ამ პერიოდში შეიძლება ითქვას, გამქრალია მრავალფენიანობა ქვეყნის სოციალურ სტრუქტურაში და საზოგადოება ძირითადად ორ ძირითად სოციალურ ფენად აზნაურებად და გლეხებადაა ჩამოყალიბებული. ეს, არ ნიშნავს თითოეული ამ კლასის შიგნით სხვადასხვა სოციალური ფენების არ რსებობას. არსებობენ ერთმანეთისაგან ქონებრივად თუ უფლებრივად განსხვავებული დიდებული და რიგითი აზნაურები, გლეხობაში სხვადასხვა კატეგორიის მწარმოებლები არიან გაერთიანებულნი, რომელნიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან კუთვნილებით (სამეფო, საეკლესიო, სააზნაურო), ვალდებულებათა ნორმებით და სხვა ნიშნებით.

გლეხი სხვის მიწაზე მსხდომი სხვადასხვა ვალდებულებათა გამომღები მიწის მუშაა.

IX – X საუკუნეებში გლეხის ვალდებულებაა “ბეგარა”, რაც გულისხმობს, როგორც სამუშაო, ასევე ნატურალურ გადასახადს. ამავე ხანაში სავარაუდოა ფულადი გადასახადის არსებობაც.

ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სხვადასხვა სოციალური ფენების დამოკიდებულებას ამ პროცესისადმი.

გაერთიანების ხანისათვის ქართული აზნაურობა არ წარმოადგენდა ერთგვაროვან სოციალურ ფენას. ამდენად აზნაურთა სხვადასხვა კატეგორიების ინტერესები და შესაბამისად დამოკიდებულება ამ პროცესისადმი, არ იყო ერთგვაროვანი.

ერთიანი სახელმწიფოს არსებობა აზნაურთა ინტერესებსაც შეესაბამებოდა. მათ ესაჭიროებოდათ ძლიერი მხარდამჭერი და დასაყრდენი ცენტრალური ხელისუფლების სახით, რაც ფეოდალთა კლასს რაზმავდა გამაერთიანებელი ძალის ირგვლივ.

აზნაურები, რომელთაც სათავეში მეფე ედგა, იბრძოდნენ ძლიერი სახელმწიფოს შექმნისათვის, რასაც მისი კლასობრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესები განსაზღვრავდა. მაგრამ იგივე აზნაურები, განსაკუთრებით და უპირატესად მისი ზედა ფენა, დიდებული აზნაურების სახით, მძიმედ განიცდიდა საკუთარი უფლებებისა და დამოუკიდებლობის შეზღუდვას, რაც თან ერთვოდა ძლიერი ცენტრალისტური ხელისუფლების დამყარებას და, ამდენად, დიდებულ აზნაურთა დაჯგუფებები, თუ ცალკეული დიდებული აზნაურები გაერთიანების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. დიდებულ აზნაურებში წარმოდგენილი იყო, როგორც პროგრესული, ასევე რეაქციული ფრთაც, რომლის პოზიცია საზოგადო და პირადული ინტერესებითაა შეპირობებული. ყოველივე ეს ფეოდალიზმის შინაგან წინააღმდეგობათა გამოვლინებაა.

გაერთიანებისათვის მებრძოლი ხელისუფლების ერთერთ მნიშვნელოვან დასაყრდენს საქართველოს მწარმოებელი საზოგადოება წარმოადგენდა. მართალია, მწარმოებელი საზოგადოება ამ ხანაში ძლიერ განიცდიდა აზნაურთა შემოტევას, ექსპლუატაციის დამძიმების სიმძიმეს და იბრძოდა კიდეც მის წინააღმდეგ, მაგრამ მისთვის უაღრესად მძიმე იყო გარეშე ძალის უღელი. ის დიდი გადასახადები, რაც განსაკუთრებით საარაბო ხარკის და დამპყრობთა სასარგებლოდ არსებული ვალდებულებების სახით აწვებოდა მწარმოებელ საზოგადოებას, აგრეთვე მათი შემოსევების სიმძიმე, რაზმავდა მათ გამაერთიანებელი ძალების გარშემო. საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში მწარმოებელი საზოგადოება აქტიურ ძალას წარმოადგენდა და ეს აქტიურობა მისი რეალური მდგომარეობით და ინტერესებით იყო შეპირობებული.

ამდენად, ამ ეტაპზე საკუთარი ინტერესები აერთიანებდა ძირითად საზოგადოებრივ ფენებს და მათ საერთო მიზნისაკენ, ქვეყნის გაერთიანებისაკენ მიმართავდა. აღნიშნული გარემოება, რასაკვირველია, არ გამორიცხავდა მნიშვნელოვან წინააღმდეგობათა არსებობას და საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის ანტაგონისტური და ქვეყნის გაერთიანებისადმი მტრულად განწყობილი დაჯგუფებების არსებობას.

აზნაურთა შორის არსებული წინააღმდეგობანი გარკვეული თვალსაზრისით აფერხებდნენ საქართველოს გაერთიანებას, მაგრამ, რადგან საერთო ინტერესი უფრო ძლიერი და დიდი იყო, ის აერთიანებდა მათ და საერთო მიზნისაკენ მიმართავდა.

ეკონომიკური ვითარება. მნიშვნელოვან აღმავლობას განიცდის ამ პერიოდში სოფლის მეურნეობა, რაც მჭიდროდ უკავშირდება სასოფლოსამეურნეო ტექნიკის განვითარებას, იქმნება ახალი ქალაქები.

IX – X საუკუნეები მნიშვნელოვანი ეკონომიკური აღმავლობით აღინიშნება მთელ მახლობელ აღმოსავლეთში. დიდი მუსლიმური სახელმწიფოს, არაბთა სახალიფოს დასუსტება და დაშლა არ ნიშნავდა მასში შემავალი და მისი ბატონობისაგან განთავისუფლებული ქვეყნების ეკონომიკურ დაცემას. IX – X საუკუნეებში მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში (ხმელთაშუა ზღვის აუზი, წინა და შუა აზია, სამხრეთ კავკასია), ადგილობრივი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბების შედეგად, იწყება ამ ქვეყნების ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი აღმავლობა.

საქართველოში, რომელიც პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად მჭიდროდ იყო დაკავშირებული მახლობელი აღმოსავლეთის როგორც მაჰმადიანურ, ასევე ქრისტიანულ ქვეყნებთან მნიშვნელოვან ეკონომიკურ წინსვლას ჰქონდა ადგილი.

ამ პერიოდში საქართველოში საგრძნობლად მომრავლდა მოსახლეობა. უცხოელთა ბატონობის დროს გახიზნული მოსახლეობის ნაწილი ნელნელა ბრუნდებოდა მამაპაპათა ნასახლარებზე, იწყება მცხოვრებთაგან დაცლილი ადგილების ხელახალი დასახლება, მიტოვებული და გამოუყენებელი ფართობების სამიწათმოქმედოდ ათვისება.ყოველივე ამას ხელს უწყობდა ქვეყანაში მშვიდობის დამყარება, ახალი სასოფლოსამეურნეო იარაღების შემოსვლა, სასოფლოსამეურნეო ტექნიკის გაუმჯობესება.

სასოფლოსამეურნეო ტექნიკის გაუმჯობესების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიწის დასამუშავებელ ძირითად იარაღს გუთანს.

გუთანი, როგორც მიწის დასამუშავებელი ძირითადი სახვნელი იარაღი ჩვენში VIII საუკუნიდან თუ არა, IX საუკუნიდან მაინც უნდა იყოს დამკვიდრებული, რადგან არაბთა სახალიფოში, რომელთანაც ჩვენი ქვეყანა მაშინ მჭიდროდ იყო დაკავშირებული, სწორედ VIII საუკუნიდან შემოდის ხმარებაში მძიმე რკინის სახნისიანი სახვნელი იარაღი, რომელშიც რვა უღელი ხარი იყო შებმული.

გუთანმა შეცვალა მანამდე ხმარებაში მყოფი ძირითადი სახვნელი იარაღი ერქვანი. სახელწოდება "ერქვანის" "გუთნით" შეცვლა მხოლოდ სახელწოდების ცვლილება არ შეიძლება იყოს, ამ ცვლილებას მნიშვნელოვანი ხარისხობრივი განსხვავება განაპირობებდა. "გუთანი" ქართული ტერმინია.გამოჩენილი სომეხი მეცნიერის ჰაჭარიანის აზრით, ეს სიტყვა ქართულიდან არის შესული თითქმის ყველა კავკასიელი ხალხების ენებში: სომხურში, ინგუშურში, ჩაჩნურში, ბაცბურში, უდურში, ავარულში, ოსურში, ფორმით – გუთა, გოთამ, გუთონ, ქჲოთან და სხვ. რაც იმას ნიშნავს, რომ სახვნელი იარაღის ეს სახეობა ქართულიდანაა შესული ამ კავკასიელი ხალხების სამეურნეო ყოფაში. ეს კი ე. წ. ქართული "დიდი გუთანია", რკინის სახნისით, რომელიც თითქმის XIX სის შუა წლებამდე იყო ჩვენში ხმარებაში. დიდი გუთანი ერქვანთან შედარებით მიწას უფრო ღრმად ამუშავებდა, ამუშავებდა მაგარ ნიადაგს. მისი გამოყენება ხელს უწყობდა სამიწათმოქმედო ფართობის გაზრდას, დამუშავებული მიწების ათვისებას, ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას.

დიდ გუთანს საქართველოს ბარის ზონაში (ძირითადად ქართლის ბარში) იყენებდნენ. ბუნებრივი პირობების შესაბამისად, მაგ.: მთიან ზოლში უფრო მსუბუქი, ე. წ. "აჩაჩა" გუთანი გამოიყენებოდა.

საქართველოს ბუნებრივი პირობები, რელიეფის მრავალფეროვნება განსაზღვრავდა როგორც სასოფლოსამეურნეო იარაღების, ისე სოფლის მეურნეობის კულტურათა მრავალფეროვნებას. საქართველოში, სადაც უძველესი დროიდან იყო გავრცელებული სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგი, მემინდვრეობამებაღეობა, მებოსტნეობა, მელვინეობამევენახეობა, IX – X საუკუნეებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მევენახეობამელვინეობა. ვენახი აუცილებელი ელემენტი იყო როგორც სამოქალაქო, ისე საეკლესიო მფლობელთა მეურნეობაში. ამ დროს ხდება ტერმინების "ვაზი"ს და "ვენახი"ს მნიშვნელობის დაკონკრეტება. თუ ადრე "ვენახი" ერთ ძირ ვაზსაც ეწოდებოდა, ამ დროიდან "ვენახი" ვაზებით დარგული ბაღის, ხოლო "ვაზი" ერთი ძირის აღმნიშვნელად იხმარებოდა. ნიშანდობლივია, რომ ქართულ მხატვრობასა და რელიეფურ ქანდაკებაში X საუკუნიდან ხშირდება ვაზის ფოთლის, ყურძნის მტევნების, ვაზის გამოსახულება.

საერთო ეკონომიკური აღმავლობა IX – X საუკუნეებში თავს იჩენს მებაღეობა-მებოსტნეობაში. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ძველი ქართული სიტყვა "წალკოტი" ფართე ცნება იყო, მასში დეკორატიულ ხეებთან, ყვავილებთან ერთად იყო ხილის და საჩრდილობელი ხეებიც, ბოსტნეულიც. მაგრამ X საუკუნის წერილობით ძეგლებში, როდესაც უკვე "ვენახი" და

“ზვარი” მკვიდრდება, ჩნდება სპარსულიდან შემოსული “ბოსტანი” და “ბაღი”, ე. ი. “წალკოტი” დაიშალა, ცალკე გამოიყო “ვენახი”, “ბაღი”, “ბოსტანი”.

ბაღი და ბოსტანი იმდენად მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო ცხოვრებაში ქართველისათვის, რომ თბილისშიც ჰქონდათ გაშენებული. X ს-ის არაბი ისტორიკოსი და გეოგრაფი ისტახრი აღნიშნავს, რომ თბილისი აყვავებული ქალაქი იყო, სადაც უხვადაა ხილბოსტნეულის და სხვა ნათესები.

მიწათმოქმედებასთან ერთად IX – X საუკუნეების საქართველოს სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მესაქონლეობას. მსხვილი რქოსანი და წვრილფეხა საქონელი ფეოდალის ერთერთ მთავარ სიმდიდრეს წარმოადგენდა.ბასილ ზარზმელის ცნობით, დიდმა გიორგი ჩორჩანელმა, თავის მემკვიდრეებს დაუტოვა “აგარაკნი თავისუფლობით და საქონელი მრავალფერი და სიმრავლე სახედართა და ბროწეულთა”. ე. ი. სახნავსათეს მიწასთან ერთად – ცხენები, ძროხები, ხარები, ვირები. ხოლო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 829/30 წ. არაბებთან ბრძოლაში დამარცხებულმა კახეთის მთავარმა, საზავო ხელშეკრულების დადების დროს, კონტრიბუცია 2000 ცხენით და 30000 ცხვრით გადაიხადა.

როგორც არაერთგზის ითქვა, კარგად იყო ორგანიზებული საზამთრო და საზაფხულო საძოვრების გამოყენება. წმინდა ნინო ჯავახეთში, ფარავნის ტბასთან ხვდება მცხეთის შემოგარენიდან გამოსულ მწყემსებს, რომელნიც ჯავახეთის საზაფხულო საძოვრებზე აძოვებდნენ საქონელს, რაც მესაქონლეობის განვითარების ფართო მასშტაბებზე მიუთითებს და, აგრეთვე, აშკარას ხდის ცალკეულ რეგიონებს შორის სამეურნეო კავშირების არსებობას.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მორწყვის საქმის მოწესრიგებას, შემორჩენილი ნაშთები აშკარას ხდიან სარწყავი არხების, წყალსადენების ფართო ქსელის არსებობას.

საქართველოში ყოველთვის დიდი როლი ენიჭებოდა ნადირობას, გართობა-დროსტარებასთან ერთად მას სამხედრო წრთვნის დანიშნულებაც ჰქონდა. საქართველოს მეფეს თავისი ქვეშევრდომის ყველა ვალდებულებიდან განთავისუფლება შეეძლო “თვინიერ ლაშქარნადირობისა”. ლაშქარნადირობისაგან მხოლოდ ფიზიკურად უძლურთ ანთავისუფლებდნენ. ნადირობას, ამასთანავე, სამეურნეო დანიშნულებასაც ჰქონდა. ეს შემოსავლის ერთერთი წყარო იყო. ასევე შემოსავლის წყარო იყო მეთევზეობა (თევზჭერა), მეფუტკრეობა და სხვ.

IX – X საუკუნეების საქართველოში ქვეყნის ეკონომიკის მაღალ დონეზე უნდა მეტყველებდეს მრავალი ხიდებისა და კეთილმოწყობილი გზების არსებობა, რაც ხელს უწყობდა სხვადასხვა კუთხეების დაახლოებას, მათ შორის კავშირს, რაც სოფლის მეურნეობის თუ ხელოსნობის ნაწარმის გაცვლაგამოცვლის აუცილებლობით იყო გამოწვეული.

მიწისმფლობელობის ფორმები. სოფლის მეურნეობის შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსხვილი, კერძომესაკუთრული, მემამულური მიწისმფლობელობის დამკვიდრებას.

შუა საუკუნეებში მიწისმფლობელობის სხვადასხვა ფორმები არსებობდა, რომელთა შორის წამყვანი ფეოდალური მიწისმფლობელობა იყო. მიწის მფლობელი იყო სახელმწიფო (მეფე) და ფეოდალები (საერო ფეოდალური სახლები და ეკლესიამონასტრები).

ფეოდალის სამფლობელო შედგებოდა მამულის, კერძო მემკვიდრეობითი საკუთრებისა და პირობითი მიწისმფლობელობისაგან, მიწის ნაკვეთისაგან, რომელსაც ის იღებდა მეფისაგან სამსახურისათვის. მამული მემკვიდრეობით გადაეცემოდა.

IX – X საუკუნეების საქართველოში მიწისმფლობელობის სამამულო (მემკვიდრეობითი) და პირობითი (სამსახურისათვის) მიწისმფლობელობის სისტემა მყარადაა დამკვიდრებული. პირობითი მიწისმფლობელობა ქმნის საფუძველს ფეოდალური იერარქიისათვის.

წყალობა, როგორც ამ დროს ჩვენში არსებული ინსტიტუტი ევროპული ფეოდალიზმის კომენდაციას და ბენეფიციუმს უკავშირდება.

ფართოვდება ცნება "მამულის" მნიშვნელობა და საკუთრივ მემკვიდრეობით მიღებული საკუთრებისაგან, საერთოდ ფეოდალის მფლობელობაში მყოფ მიწის მნიშვნელობას იძენს.

მთავრის მამული შედგება მიწის სამფლობელოების და მრავალრიცხოვან ქვეშევრდომთაგან. სამცხის დიდ მთავარს გიორგი ჩორჩანელს რამდენიმე სასახლე აქვს, "რომლისა (გიორგი ჩორჩანელის – მ. ლ.) ტაძარნი შენ იყვნეს სანახებსა ჩორჩანისა და ზანავისასა, ხოლო უმრავლესთა ჟამთა ინადირობნ... და არეთა მათ ეშენა სახლი, რომელ ოდესმე ეწიოს ღამე, სადგურ ყვიან მას შინა". როგორც ვხედავთ, გიორგი ჩორჩანელს რამდენიმე სასახლე აქვს, ტყეში საგანგებო სანადირო სახლი. ასევე სასახლითა მფლობელნი არიან და სხვა მთავრებიც.

სახნავსათესი მიწის, ვენახის, ბაღის, ბოსტნის, ტყის გარდა დიდი ფეოდალის სიმდიდრე მრავალრიცხოვანი საქონლის (მსხვილფეხა, წვრილფეხა) მფლობელობაცაა.

ფეოდალის სასახლესთან იყო კარის ეკლესია. თუ მას არ ჰქონდა ეკლესია, სასახლეში საგანგებო ოთახი იყო გამოყოფილი მღვდელმსახურებისათვის აუცილებელი ყველა ნივთებით (ხატები, ჯვრები, საეკლესიო წიგნები...) სადაც წირვალოცვა ტარდებოდა. მათ ჰქონდათ საგვარეულო სასაფლაოები. სახლის კომპლექსში სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებიც შედიოდა (საჯინიბო, ბეღელი, ბოსელი...) საცხოვრებელი სახლი მომსახურეთათვის, საკუთრებაში ჰქონდა წისქვილი და სხვა სამეურნეო დანიშნულების ობიექტები. ფეოდალის სამფლობელოს გარკვეული ნაწილი საბატონო მიწები იყო, სადაც მეურნეობას მისი გლეხები ეწეოდნენ. ფეოდალთა სამფლობელოს უდიდესი ნაწილი გადაცემული ჰქონდათ გლეხებს მფლობელობაში, რომელნიც იხდიდნენ გადასახადს როგორც ნატურის, ისე ფულით და აგრეთვე ეკისრათ "სამუშაო", ბეგარა, ემსახურებოდნენ ბატონს საბატონო მიწებზე, ოჯახში, ევალებოდათ სამშენებლო სამუშაოებში მონაწილეობა, მუშაობა გზის გაყვანაზე, მშენებლობაზე...

გლეხის ძირითადი სამუშაო ერთეული იყო "ფუძე", რომელიც იმავე დროს იყო ძირითადი ფისკალური ერთეული, ყველა გადასახადი და ვალდებულება ფუძეზე იყო გაწერილი. ფუძისა და კომლის ერთიანობა, ძირითადად, ადრე შუა საუკუნეებისთვისაა დამახასიათებელი. გლეხის

ფუძე შედგებოდა სახნავსათესი (საყანე) მიწისაგან, ბაღისა და ბოსტნისაგან, ვენახისაგან, საცხოვრებელი სახლისაგან და დამხმარე სათავსოთაგან.

ქალაქები, ვაჭრობა, ხელოსნობა. IX – X საუკუნეების საქართველოში საქალაქო ცხოვრების ახალი ეტაპი იწყება, ეტაპი, რომელსაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში "ახალქალაქების ხანა" ეწოდება. ეს არის ძველი ქალაქების აღორძინებისა და ახალი ქალაქების წარმოშობის ხანა.

როგორც უკვე ითქვა, VIII – IX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს მიწაწყალზე არაბთა სახალიფოსაგან და ბიზანტიის იმპერიისაგან ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამეფოსამთავროები ჩამოყალიბდა, რაც ხელს უწყობდა როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას, რომლის მნიშვნელოვანი ცენტრები იყო თბილისი, არტანუჯი, ქუთაისი...

დამპყრობელი არაბები საქართველოში VIII საუკუნიდან თავის მონეტას ჭრიდნენ, რაც ფულზე მოთხოვნილებას ადასტურებს. VII – IX სს-ში აღმოსავლეთ საქართველოში მიმოქცევაში ძირითადად არაბული მონეტა იყო, ხოლო დასავლეთ საქართველოში ბიზანტიური, თუმცა X ს-ის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოშიც ჩნდება ბიზანტიური სპილენძის მონეტა. ეს უცხოური მონეტები აქ ადგილობრივ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლადაც იხმარებოდა.

ფულით ყიდულობდნენ მიწას, მაგ.: აშოტ კურაპალატმა "სოფლები ზოგი იყიდა საფასოთა", ფულით ყიდულობდნენ სამშენებლო მასალას, ხანცთის ეკლესიის მშენებლობის დროს "ქვა და კირი ყოველი სასწორითა იწონებოდა, რამეთუ იყიდდეს მაშენებელნი". ასევე ყიდულობდნენ სამშენებლო მასალას და ფულით ისტუმრებდნენ ხელოსნებსა და მუშებს ოშკის ტაძრის მშენებელნი.

ფართო სააღებმიცემო კონტაქტებზე, ფულზე მოთხოვნილების არსებობაზე მეტყველებს X სის მეორე ნახევარში დავით დიდი კურაპალატის და მეფე ბაგრატ III-ის მიერ საკუთარი მონეტის მოჭრა.

ვაჭრობააღებმიცემობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ადგილობრივ (საქართველოს ფარგლებში), ისე კავკასიურ და საერთაშორისო საგზაო მაგისტრალებს, რომელთა გარკვეული მონაკვეთი საქართველოზე გადიოდა. ამ გზებით, რომელთა მნიშვნელოვანი საკვანძო ცენტრები ამიერკავკასიაში დვინი და ბარდავი იყო, საქართველო სირიას, ერაყს, მცირე აზიას, ხაზარებს, სლავებს, სკანდინავიის ქვეყნებს უკავშირდებოდა.

ამდროინდელი ქართული სახელმწიფოების ფართო სავაჭროეკონომიკური კავშირების ნათელ სურათს IX – X საუკუნეებში აქ მოჭრილი მონეტების გეოგრაფია იძლევა. სახელდობრ, თბილურარაბული დირჰემები, ტაოს მეფე დავით დიდი კურაპალატის მონეტები აღმოჩენილია ვლადიმირის, კურსკის, ტულის, ხარკოვის, მინსკის, ოლონეცკის მხარეებში, ბალტიისპირეთში, ფინეთში, შვედეთში.

IX – X საუკუნეების საქართველოში მიმდინარეობს როგორც ახალი ქალაქების ჩამოყალიბება, ასევე ძველი ქალაქების აღორძინება.

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ახალი ფეოდალური ქალაქების ჩამოყალიბების პროცესი სხვადასხვა გზით მიმდინარეობდა. მაგ.: იტალიაში ქალაქთა უმრავლესობა რომაული ქალაქების აღორძინების საფუძველზე შეიქმნა; ევროპის ჩრდილო რეგიონებში, უმთავრესად ახალი ქალაქები წარმოიშვა. უმთავრესად ახალი ქალაქები წარმოიშვა შუა საუკუნეებში ჩვენს მეზობელ სომხეთში. ჩვენში ეს პროცესი გარკვეული თავისებურებით მიმდინარეობდა. მართალია ჩამოყალიბდა რიგი ახალი ქალაქი, მაგრამ ამასთანავე, აღორძინდა ზოგი ძველი ქალაქიც. ძველი ქალაქების აღორძინებას ალბათ ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს, თვითკმარი ეკონომიკური რეგიონის ცენტრში ყოფნა, სტრატეგიული მნიშვნელობა, დამოკიდებულება სავაჭროსამიმოსვლო გზებთან და სხვა ფაქტორები, ასეთი აღორძინებული ძველი ქალაქებია: ქუთაისი, რუსთავი, სამშვილდე, ხუნანი...

ამ პერიოდის საქართველოში მნიშვნელოვან ქალაქად ყალიბდება არტანუჯი. არტანუჯი მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ შექმნილი კლარჯეთის საერისთავოს ცენტრი იყო, მაგრამ შემდეგ მურვან ყრუს მიერ დანგრეულმა, დაკარგა მნიშვნელობა. არტანუჯზე გადიოდა გზა თბილისს ბიზანტიის ქალაქებს რომ უკავშირებდა, არტანუჯზე გავლით უკავშირდებოდნენ სომხეთის ქალაქები შავ ზღვას.

როდესაც აშოტ ბაგრატიონი იწყებს ახალი სამთავროს ორგანიზებას, მან რეზიდენციად არტანუჯი აირჩია. მან, წერს მემატიანე “პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელი პირველ ვახტანგ გორგასალს ციხედ აღეშენა,სახელით არტანუჯი. და იყო მოოხრებულ ბაღდადელისა მის ყრუობითგან. იგი განაახლა აშოტ და აღაშენა ეგრეთვე ციხედ და წინა კერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი და აღაშენა ციხესა და მას შინა ეკლესია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, და შექმნა მას შინა საფლავი თვისი, და დაემკვიდრა ციხესა მას შინა ცხოვრებად”.

შუასაუკუნოვანი ქალაქის კლასიკური აღწერილობაა: დედა ციხე, ციხის კედლების შიგნით საგვარეულო ეკლესია, საგვარეულო სასაფლაოთი, ციხის ირგვლივ ქალაქური დასახლება.

არტანუჯის მნიშვნელობა თანდათან გაიზარდა. X საუკუნის ბიზანტიელი ავტორი იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი წერს: “ადრანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი “რაბატიც” და დაბა ქალაქიც. აქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა და არმენიის და სირიის ყველა ქვეყნიდან, და ამ საქონლებიდან მას უამრავი ბაჟი შემოსდის. ადრანუჯის ციხის მიწაწყალი, ესე იგი არზენი დიდი და ნაყოფიერია და წარმოადგენს იბერიის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნის გასაღებს”.

ქალაქის სტატუსს იმკვიდრებს IX საუკუნეში დმანისი, უძველესი დროიდან მჭიდროდ დასახლებული პუნქტი.

IX – X საუკუნეების საქართველოში რამდენიმე “ახალქალაქი” წარმოიშვა, რომელთა შორის ერთერთი უმნიშვნელოვანესია ჯავახეთის ახალქალაქი.

ამ პერიოდს უკავშირდება საქართველოში თმოგვის, ოლთისის, თელავის საქალაქო ცხოვრების დასაწყისი.

X საუკუნის არაბი ისტორიკოსი (ალმუკადასი) თელავს ამიერკავკასიის დიდ ქალაქთა, თბილისის, შამქორის, განძის შირვანის გვერდით ასახელებს. თელავზე თბილისიდან შაქზე მიმავალი გზა გადიოდა.

VII საუკუნიდან იწყება ქუთაისის ხელახალი აღზევება, ჯერ ეგრისის სამეფოს დედაქალაქ ციხეგოჯთან ერთად, შემდეგ მთელი დასავლეთ საქართველოს, ხოლო X საუკუნის ბოლოდან ერთიანი საქართველოს დედაქალაქად. მართალია IV – VII საუკუნეებში ეგრისის დედაქალაქი ციხეგოჯი იყო, მაგრამ მრავალმა ფაქტორმა, მათ შორის სავაჭრო ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის გზებზე მდებარეობამ, არსებულმა ისტორიულმა ტრადიციამ, განაპირობა ქუთაისის ხელახალი აღზევება და დასავლეთ საქართველოში გადედაქალაქება. VIII სის ბოლოს და IX საუკუნის დასაწყისს უკავშირდება მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოები ქუთაისის ციხის გასამაგრებლად, სამეფო სასახლის განახლების, ქალაქთან დაკავშირებული გზების კეთილმოწყობისათვის. ქუთაისი გზებით იყო დაკავშირებული თბილისთან, შავი ზღვის სანაპიროსთან, სამხრეთ საქართველოს ქალაქებთან.

ამ პერიოდის საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული და თავისებური ადგილი უკავია თბილისს.

თბილისი ხალიფას მოხელის, ქართლის ამირას რეზიდენციაა. ამ დროიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება თბილისის საქალაქო ცხოვრებაში, განაშენიანებაში.

VII საუკუნეში თბილისი ორი ნაწილისაგან შედგებოდა, ციხე და საქალაქო დასახლება. რაც შეეხება მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირის დასახლებას, შედიოდა თუ არა ამ დროს ის ქალაქის შემადგენლობაში, იყო თუ არა ქალაქის ნაწილი, საკითხი სადავოა.

არაბულ საისტორიო მწერლობაში დაცული ძველი ირანული ტრადიცია, რომელიც კავკასიის მასშტაბით (და არა მხოლოდ კავკასიის) ჩატარებულ დიდ სამშენებლო სამუშაოებს, ირანის შაჰხოსრო ანუშირვანის სახელს უკავშირებს, ხოსრო ანუშირვანს თვლის თბილისის პირდაპირ, მტკვრის მარცხენა ნაპირზე არსებული ციხის აღმშენებლად, რომელსაც არაბული წყაროები სოღდებილს, ხოლო ქართული წყაროები საგოდებელს, საღუდებელს... უწოდებენ*. ალბათ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ VI საუკუნეში ირანელებს, აქ თავისი ხელისუფლების დამკვიდრებისას, გაემაგრებინათ მტკვრის მარცხენა ნაპირი და შეექმნათ თავისი საყრდენი. მაგრამ საკითხის სხვა მხარეა, შედიოდა თუ არა VI – VIII საუკუნეებში ის თბილისის შემადგენლობაში, თუ დამოუკიდებელი ციხე იყო. VIII საუკუნის 80იან წლებში, როდესაც დასაჯეს სიკვდილით აბო თბილელი, მისი მოწამეობრივი სიკვდილის აღმწერი იოანე საბანისძე წერს, რომ აბოს გვამი დასდეს ურემზე და გაიტანეს "გარეშე ქალაქსა, ადგილსა რომელსა საგოდებელ ეწოდების". ე. ი. VIII საუკუნის 80იან წლებში, მოვლენის თანამედროვის აღწერილობით, სოღდებილი "გარეშე ქალაქსა" იყო და ის ქალაქის შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენდა... სოღდებილი, თბილისის შემადგენლობაში IX საუკუნიდან ჩანს, როგორც მისი მესამე ნაწილი. VIII საუკუნის 80-იან წლებში არაბი ამირას სასახლე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დღევანდელი ბოტანიკური ბაღისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. IX საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც ხალიფას სარდალი ბუღა თურქი თბილისს მოადგა, ამირა საჰაკს მტკვრის მარცხენა

სანაპიროზე მდებარე სოღდებილის ციხე ჰქონდა გამაგრებული. IX საუკუნის დასაწყისიდან ხალიფას მოხელე ამირები იწყებენ არაბთა ცენტრალური ხელისუფლებისადმი ურჩობას და ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. ასეთ ვითარებაში, ამირა ალბათ ნაკლებად ენდობოდა თბილისის ქართულ მოსახლეობას და თავისი მთავარი საყრდენი მტკვრის მარცხენა ნაპირზე შეიძლებოდა გადაეტანა, სადაც IX – X საუკუნეების არაბი ავტორების ცნობებით, მან (საჰაკმა) ციხის გასამაგრებელი სამუშაოები ჩაატარა. ნიშანდობლივია, რომ XI საუკუნეში, როდესაც საქართველოს მეფე ბაგრატ IV (1027 – 1072) თბილისისათვის იბრძოდა, თბილისის მაჰმადიანური მოსახლეობა მტკვრის მარცხენა ნაპირზე იყო გამაგრებული, საიდანაც უწევდა წინააღმდეგობას ქართველ მეფეს. ჩანს ქალაქის მაჰმადიანური მოსახლეობა აქ მკვიდრდება და მაგრდება.

ბუღა თურქის შემოსევის დროს ამირა საჰაკმა თავისი ოჯახი სოღდებილის ციხეში დატოვა, ალბათ ამირასათვის ეს იყო ყველაზე საიმედო ადგილი.

ბუღა თურქის ლაშქრობა ამირა საჰაკისათვის მოულოდნელი არ იყო, ის ამისათვის ემზადებოდა. მას შეეძლო ესარგებლა ძველი ციხის ნაშთებით, აღედგინა, გაეფართოვებინა, გაემაგრებინა და დამკვიდრებულიყო მასში, თბილისის ქართული ქრისტიანული მოსახლეობისაგან მოშორებით.

IX საუკუნეში თბილისი ჩამოყალიბებული აღმოსავლური ქალაქის სახეს იღებს: ციტადელი კალა, საქალაქო დასახლება – რაბადი და ქალაქის დამცავი ციხე – სოღდებელი.

IX – X საუკუნეების თბილისი დიდი და მდიდარი ქალაქი იყო. ამდროინდელი არაბი ავტორების ცნობებით კავკასიაში სიდიდით ის მხოლოდ ბაბ ულბვაბს (დერბენდი) ჩამოუვარდებოდა. თბილისს ირგვლივ ალიზის ორმაგი კედელი ჰქონდა შემოვლებული, რომელშიც ხუთი კარი იყო დატანებული: მეიდნის, რომლითაც მოსახლეობა ციხის მეიდანს უკავშირდებოდა, კარის (ყარსის), საიდანაც გზა ქალაქ კარისაკენ მიემართებოდა, მცირე კარი, რომელიც ჩანს მტკვარზე ჩადიოდა, რაბადის კარი, რომლითაც ციხე თავის რაბადს უკავშირდებოდა, რაც ამდროინდელ თბილისში აღმოსავლური ქალაქებისათვის დამახასიათებელი რაბადის, საქალაქო დასახლების არსებობაზე მიუთითებს და სოღდებილის კარი, რომლითაც ის თავის მესამე ნაწილს, მტკვრის მარცხენა ნაპირზე არსებულ გამაგრებას უკავშირდებოდა. სოღდებილს თავისი კარები ჰქონდა.

თბილისის განაშენიანებასთან დაკავშირებით დგება X საუკუნის სომეხი ისტორიკოსის თომა არწრუნის ცნობის საკითხი, სახელდობრ, რომ თბილისს “ფაიტაკარანი” ე. ი. ხის ქალაქი ეწოდებოდა. ამასვე ეხმაურება არაბი ისტორიკოსების ცნობები, რომ თბილისი “ხის ქალაქია” და საკუთრივ ტაბარის ცნობა, რომ თბილისი ნაძვის ხის მასალისაგან იყო აგებული.

რომ თბილისის ციხის კედელი ხის არ იყო, ამაზე პირდაპირი მითითება აქვთ – IX – X საუკუნეების არაბ ისტორიკოსებს, მაგ.: იბნჰაუკალი წერს, რომ თბილისს ორმაგი ალიზის კედელი აქვს შემოვლებული. “ხის ქალაქში” ალბათ ქალაქის საცხოვრებელი სახლების მასალა იგულისხმება. ის გარემოება, რომ IX – X საუკუნეების არაბი ისტორიკოსების ცნობებში ზოგჯერ განსხვავებული ცნობებია თბილისის გალავნის, მისი კარების ოდენობის (სამი თუ ხუთი კარი)

შესახებ შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ ზოგი ავტორი საკუთრივ ციხის კედლებსა და კარებზე მოგვითხრობს, ზოგი – ქალაქის, საქალაქო დასახლების კედელსა და კარებზე.

853 წლის შემდეგ, როდესაც თბილისი ბუღა თურქმა გადაწვა, მის ხელახლა აღშენებასა თუ გამაგრებაზე თბილელ ჯაფარიან ამირებს უნდა ეზრუნათ.

ამგვარად, IX – X საუკუნეების თბილისი სამი ნაწილისაგან შემდგარი დიდი და კარგად გამაგრებული ქალაქი იყო.

არაბთა სახალიფო დიდი სავაჭრო იმპერია იყო, რომლის ხელშიც იყრიდა თავს აღმოსავლეთის ქვეყნების თითქმის მთელი ვაჭრობა. სახალიფოს ვაჭრებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ დასავლურ სამყაროსთან და ფაქტობრივად ისინი ფლობდნენ იმდროინდელი მსოფლიო ვაჭრობის სადავეებს. თბილისი აქტიურად იყო ჩაბმული ამ ვაჭრობაში. მასზე გადიოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალი მსოფლიო მნიშვნელობის გზები, რაც დიდად განსაზღვრავდა მის სტრატეგიულ და სავაჭრო მნიშვნელობასა და ადგილს ამდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის ცხოვრებაში. თბილისი სატრანზიტო ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. ამასთანავე თბილისში მის ირგვლივ მდებარე სოფლებიდან დიდი რაოდენობით შემოდიოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტები, აქვე ვაჭრობდნენ ადგილობრივი ხელოსნური ნაწარმით.

თბილისი გზებით იყო დაკავშირებული საქართველოს ყველა რეგიონთან, ჩრდილო კავკასიასთან, ბიზანტიასთან, სომხეთთან, სახალიფოს ცენტრებთან. საგანგებო მაგისტრალებით უკავშირდებოდა ის იმდროინდელ მნიშვნელოვან სტრატეგიულ და სავაჭროსახელოსნო ცენტრებს. განსაკუთრებით მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ თბილისი საგანგებო მაგისტრალით იყო დაკავშირებული ქალაქ ბარდავთან, ამიერკავკასიაში არაბთა უზენაესი ხელისუფლის რეზიდენციასთან.

ამ საქარავნო გზებით, მისი სხვადასხვა მონაკვეთების მეშვეობით, თბილისი უკავშირდებოდა მთელ იმ სამყაროს, რომელთანაც ურთიერთობა ჰქონდა არაბთა სახალიფოს.

ამ გზებით მოდიოდნენ სავაჭრო ქარავნები, ამ გზებით მოდიოდნენ არაბი მოხელეები და სახალიფოს სამხედრო ექსპედიციები ურჩი ქართველი მეფემთავრებისა და თავისი საკუთარი ურჩი ამირების დასასჯელად. თბილისის ფართო სავაჭროეკონომიკურ ურთიერთობებზე აშკარად მეტყველებენ აქ მოჭრილი არაბული მონეტები. ნიშანდობლივია, რომ ჩვენთვის ცნობილი თბილისში მოჭრილი პირველი არაბული მონეტა 704 – 705 წლებითაა დათარიღებული. იმ დროს, როდესაც სახალიფოში გატარდა სამონეტო რეფორმა, ხალიფა აბდ ალმალიქის ხალიფობაში (685 – 705), თბილისში სახალიფოს ხელისუფლებამ თავისი მონეტა მოჭრა. მართალია, შემდეგ დიდი ხნით წყდება თბილისში არაბული მონეტების მოჭრა (ყოველ შემთხვევაში ცნობილი არ არის ფაქტები), მაგრამ 825 წლიდან, არაბთა ხელისუფლების აქ თანდათან მომძლავრების დროიდან, თბილისში მოჭრილი არაბული მონეტების რიცხვი იზრდება, და ეს მონეტები ფართოდ ვრცელდება. თბილისში მოჭრილი არაბული მონეტები აღმოჩენილია რუსეთის ჩრდილო პროვინციებში, აღმოსავლეთ ევროპაში, რაც ფართო სავაჭრო კავშირების არსებობაზე მიუთითებს.

თბილისის ადგილზე იმდროინდელი მაჰმადიანური სამყაროს ცხოვრებაზე კარგად მიუთითებს ის ფაქტი, რომ თბილისი დატანილია X საუკუნის არაბულ სავაჭრო რუკაზე და აგრეთვე იმდროინდელი არაბი გეოგრაფებისა და ისტორიკოსების ცნობები მათი თანამედროვე თბილისის სავაჭროსაგზაო კავშირების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ IX – X საუკუნეებში თბილისი მოწყვეტილი იყო ეროვნულ პოლიტიკურ ორგანიზმს, სამეურნეო ცხოვრებით ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხესთან და განიცდიდა იმ ეკონომიკურ აღმავლობას, რასაც ადგილი ჰქონდა მთელ იმდროინდელ ქართულ სამყაროში და არა მხოლოდ ქართულ სამყაროში, საერთოდ სახალიფოში შემავალ ქვეყნებში. აღსანიშნავია ისიც, რომ IX საუკუნის მეორე ნახევრიდან თბილისში ნაკლებად იგრძნობოდა ხალიფთა ხელისუფლება. იმდროინდელი არაბი ისტორიკოსი მასუდი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ბუღა თურქის ლაშქრობის შემდეგ (853 წ.) თბილისელმა მუსლიმებმა დაკარგეს ავტორიტეტი, შეიზღუდა მათი სამფლობელოები და თბილისის ურთიერობა ისლამის ქვეყნებთან იმ ურწმუნოთა (ე. ი. ქრისტიანთა) ხელში გადავიდა, რომელნიც ყოველი მხრიდან ერტყნენ ქალაქს გარს.

თბილისი შენდება და მშვენდება, მასში სიმდიდრე გროვდება და X ს-ის სომეხი ისტორიკოსის (უხტანესის) ცნობით თბილისი სახელგანთქმული მდიდარი ქალაქია.

IX – X საუკუნეების არაბი გეოგრაფებისა და ისტორიკოსების ცნობებით თბილისი კეთილმოწყობილი, მდიდარი ქალაქია. აქ მტკვარზე მცურავი წისქვილებია მოწყობილი, სხვადასხვა სახის მარცვლეულთა დასაფქვავად, ქალაქის წყლით მომარაგებისათვის გამართულია წყლის საქაჩი მოწყობილობები, თბილისში მრავლადაა აბანოები, რომლებშიც მათი სიტყვებით, "უცეცხლოდ გამთბარი" წყალი მიედინება. ისინი საგანგებოდ უთითებენ ქალაქში სოფლის მეურნეობის პროდუქტების, განსაკუთრებით ხორბლის, თაფლის სიუხვესა და სიიაფეზე. სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ქალაქი ძირითადად თვითონ ამარაგებდა თავის მოსახლეობას. არაბი ავტორები საგანგებოდ წერენ თბილისის მცხოვრებთა სტუმართმოყვარეობაზე.

ქალაქში დიდი რაოდენობით იყო ბაღები, ბოსტნები, ის გარშემორტყმული იყო სასოფლოსამეურნეო სავარგულებით. თბილისს ირგვლივ ერტყა მდიდარ მოქალაქეთა ქალაქგარეთა სასახლეები, ვენახები, ბაღები, ბოსტნები, საძოვრები. ქალაქის გარშემო სასოფლოსამეურნეო სავარგულების არსებობა საერთოდ დამახასიათებელია შუასაუკუნოვანი ქალაქების (განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქალაქების) ცხოვრებისათვის.

საკვები პროდუქტების სიიაფეს განსაზღვრავდა, როგორც ქალაქში და მის შემოგარენში არსებული სასოფლოსამეურნეო სავარგულების არსებობა, ასევე ახლომახლო სოფლებიდან მრავლრიცხოვანი და მრავალფეროვანი საქონლის შემოტანა და სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოსული საქონლის სიუხვე.

იმდროინდელი თბილისის მოსახლეობის დიდ ნაწილს ხელოსნები და ვაჭრები შეადგენდნენ. აქაურ ხელოსანთა ხელით იყო დამზადებული ქალაქში აღმოჩენილი თიხის, მინის, ძვლის, ლითონის მრავალფეროვანი ნივთები, რომელთაც თვით მათი დამამზადებელი

ხელოსნები, ან თბილელი ვაჭრები ჰყიდნენ. მათთან ერთად თბილისში ამ ნივთთა და ფუფუნების საგანთა, სამკაულთა, მომხმარებელი მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებიც ცხოვრობდნენ. თბილისში საკმაოდ იყვნენ კულტის (სიონის, ანჩისხატის და სხვა ეკლესიათა) მსახურნი. თბილისის მოსახლეობა ეთნიკურად და სოციალურად ჭრელი იყო. არაბთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თბილისში მომრავლდა მუსლიმური მოსახლეობა. თბილისში, სადაც არაბთა მოხელის რეზიდენცია იმყოფებოდა ცხოვრობდნენ ამირას ოჯახის წევრები, მისი მრავალრიცხოვანი მოხელეები თავისი ოჯახებით, სამხედრო გარნიზონისა და მათი ოჯახის წევრები, მუსლიმური სარწმუნოების კულტის მსახურნი...

მართალია, ჩვენ არ გვაქვს ცნობები თბილისის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, მაგრამ არაბი ავტორების ცნობები, რომ თბილისში ბუღა თურქის მიერ დატრიალებული ტრაგედიის შედეგად 50000 მცხოვრები დაიღუპა, იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მოსახლეობა 100000-მდე შეიძლება ყოფილიყო. არ არის გამორიცხული, რომ დაღუპულთა რაოდენობა გადაჭარბებულია, მაგრამ ალბათ, არც თუ ისე დიდად. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შუასაუკუნოვან ქალაქებში საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობა იყო. მაგ.: იმდროინდელ შირვანში 40-50 ათასი მცხოვრები ივარაუდება, სამარყანდში 100-110 ათასი, კელნში და ლონდონში 40-50 ათასი. 100 ათასამდე მცხოვრებს ვარაუდობენ იმდროინდელ ვენეციაში, ფლორენციაში, XVI საუკუნის პარიზში...

თბილისის ქართლის სამეფოს დედაქალაქად დაფუძნებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქის კულტურული ცხოვრებისათვის, მაგრამ არაბთა მფლობელობის დამყარება და ის, რომ თბილისი დამპყრობთა ადმინისტრაციული ცენტრი და ხალიფას მოხელის რეზიდენცია იყო, ვერ შექმნიდა აქ პირობებს ქართული ეროვნული კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მაჰმადიანთა მფლობელობამ ვერ შეაჩერა ღრმა ეროვნული ფესვებისა და ტრადიციის მქონე კულტურული შემოქმედების შემდგომი განვითარება, რომელთანაც ბრძოლის ძალა დამპყრობლებს არ ჰქონდათ.

თბილისში არაბთა მფლობელობის დროს მოქმედი ქრისტიანული ეკლესიები იყო, აქ არსებობდა მნიშვნელოვანი ლიტერატურული სკოლა.

ამასთანავე, არაბთა ბატონობის დროს აქ ვაჭრებსა და ხელოსნებთან ერთად ცხოვრობდნენ მუსლიმური კულტურის მსახურნი, მუსლიმური ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები – ექიმები, ღვთისმეტყველნი, იურისტები, ისტორიკოსები, მწერლები...

მუსლიმ მოღვაწეთა შორის, რომელნიც თავისი ბიოგრაფიით თბილისთან იყვნენ დაკავშირებულნი, რაზეც მათი ნისბა – "ათთაფლისი", ე. ი. "თბილელი" მიუთითებს, იყვნენ, როგორც სუნიტურ, ასევე შიიტურ მიმდინარეობათა წარმომადგენლები. თუმცა იბნ ჰაუქალის (X ს-ის არაბი ისტორიკოსი) ცნობით, თბილელი მუსლიმები ორთოდოქსული სუნიტური მრწამსის მიმდევრები არიან, რაც იძლევა საფუძველს მოსაზრებისათვის, რომ შიიტები აქ, ისევე როგორც ისლამის აღმსარებელ მრავალ ქვეყნებში, უმცირესობაში იყვნენ. ამასთანავე ყურადღებას იმსახურებს ის გარემოებაც, რომ XI ს-ის არაბი ისტორიკოსის "ყუმის ისტორიაში" შიიზმის უმნიშვნელოვანესი ცენტრების, ქალაქების ყუმის და ქუფას გვერდით თბილისიცაა

მოხსენიებული, რაც შეიძლება აიხსნას თბილისის მნიშვნელოვანი წვლილით შიიტურ მოძრაობაში.

იმ მუსლიმ მოღვაწეთა არეალი, რომელთა ბიოგრაფია თბილისთანაა დაკავშირებული, საკმაოდ ფართოა და მოიცავს მახლობელ, შუა აღმოსავლეთს, მცირე აზიას.

ის გარემოება, რომ არაერთი ცნობილი მუსლიმი მოღვაწე არის "ათთაფლისი", თბილისის მაღალი კულტურული დონის მაუწყებელია. ძნელი მსჯელობა "ათთაფლისის" ნისბის მქონე ყველა მუსლიმ მოღვაწეთა ეროვნულ კუთვნილებაზე, აშკარაა რომ ისინი მუსლიმები არიან, მაგრამ, ნიშანდობლივია, რომ მათ შორის არიან ისეთებიც, რომელნიც იწოდებიან "ალქურჯი" ე. ი. "ქართველი", რაც ქართველ გამაჰმადიანებულ მოღვაწეთა არსებობის დასტური შეიძლება იყოს.

ჩანს იმდროინდელი თბილისი მუსლიმური მეცნიერების, საკუთრივ ღვთისმეტყველების მნიშვნელოვანი კერა იყო. ამ თვალსაზრისით საინტერესოა იბნჰაუქალის (X ს.) ცნობა, რომ თბილისში არა მხოლოდ სწავლობენ ჰადისებს, დიდი პატივისცემით ეპყრობიან მეცნიერებს.

როგორც ცნობილია, არაბთა მფლობელობის დროს საქართველოში ისლამი არ გავრცელებულა, მაგრამ ეს, რასაკვირველია არ გამორიცხავს ცალკეულ პიროვნებათა მიერ ისლამის მიღების შესაძლებლობას, რაზეც პირდაპირ მიუთითებს VIII საუკუნის ქართველი მწერალი იოანე საბანისძე, რომ "მფლობელთა ამის ჟამისათა (VIII ს.) ზაკულებითა მოძღვრებისაითა თვით თავით თვისით სჯულისდებისათა, განდგომილთა ქრისტეისგან, მრავალნი შეაცთუნნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა და ჭეშმარიტებასა ქრისტეის სახარებისასა შეეცოდნეს". ასეთ ფაქტებს ალბათ თბილისშიც ჰქონდა ადგილი, სადაც მათი მფლობელობა თითქმის სამ საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა, სადაც ქალაქის მოსახლეობას საქმიანი კონტაქტები ჰქონდა მუსლიმებთან და ზემოქმედების შესაძლებლობებიც მეტი იყო.

თბილელ მაჰმადიან მეცნიერებს, ღვთისმეტყველებს თავისი ურთიერთობანი ჰქონდათ თბილელ ამირებთან. ერთერთი მათგანი იყო აბუ მაჰამად ალჰასან იბნბუნდარ ათთაფლისი (X სის დასასრული XI ს-ის დასაწყისი), ცნობილი ლიტერატორი, გრამატიკოსი, ღვთისმეტყველი. მან ერთერთი წიგნი, რომელზედაც 50 წელი უმუშავია შეადგინა თავისი თანამედროვე თბილისის ამირა ალი იბნ ჯაფარიძისათვის. ეს თბილისის ის ამირაა, რომელმაც 996 წელს მის მიერ მოჭრილ მონეტაზე 991 წელს ტახტიდან ჩამოგდებული ხალიფა ატტაის სახელი მოათავსა, რაც არ იყო გამონაკლისი შემთხვევა. 5 წლის მანძილზე სახალიფოს აღმოსავლეთ პროვინციებში მონეტა ატტაის სახელით იჭრებოდა და ლოცვაშიც მის სახელს ახსენებდნენ. ჩანს, ამირა ტახტიდან გადაგდებული ხალიფას მხარდამჭერთა წარმომადგენელი იყო. შემდეგ მდგომარეობა იცვლება და მომდევნო წლებში იგივე ალი იბნჯაფარი მონეტას კანონიერი ხალიფას სახელით ჭრის. ამ ფაქტს ვიხსენიებთ შიიტი ღვთისმეტყველისა და გრამატიკოსის აბუ მუჰამად ალჰასან იბნბუნდარ ათთაფლისის მოღვაწეობასთან დაკავშირებით, რომელმაც თავისი წიგნი, როგორც უკვე ითქვა, თბილელი ამირა ალი იბნ ჯაფარისათვის შეადგინა. თბილისის ამ ამირას კავშირი შიიტ მოღვაწესთან, კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას მისი ხალიფასადმი დაუმორჩილებლობის შესახებ*.

ქართველ მეცნიერებს, მუსლიმური და ქრისტიანური სამყაროს სხვა ხალხებთან ერთად თავისი წვლილი შეჰქონდათ არაბულ კულტურაში და მათ შორის იყვნენ ის "თბილელნი" ("ათთაფლისი"), რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა, ასე თუ ისე, თბილისთან იყო დაკავშირებული.

IX – X საუკუნეების საქართველოში წარმოდგენილი იყო ხელოსნობის თითქმის ყველა ის დარგი, რაც საერთოდ ცნობილი იყო შუასაუკუნოვან სამყაროში. წერილობით წყაროებში დამოწმებული ცნობებით, თუ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალით დასტურდება, რომ სხვადასხვა დარგის ხელოსნები არსებობდნენ ქვეყნის ყოველ კუთხესა და მხარეში, მაგრამ, ძირითადად ისინი ქალაქებში იყვნენ თავმოყრილნი, სადაც ჰქონდათ თავისი სახელოსნოები, რომელნიც უმრავლეს შემთხვევაში სავაჭრო დუქნებსაც წარმოადგენდნენ, სადაც ისინი ყიდდნენ თავიანთი ხელოსნური წარმოების ნივთებს.

შუასაუკუნოვან საქართველოში, და საკუთრივ IX – X საუკუნეებში ფართოდ იყო გავრცელებული თიხის ნაწარმის დამზადება. ამზადებდნენ, როგორც საყოველთაოდ სახმარ მრავალფეროვან საოჯახო ჭურჭელს, თეფშებს, დოქებს, ქოთნებს, ჯამებს, ქვევრებს, სამშენებლო მასალას, აგურს, კრამიტს, შორენკეცებს და სხვ., ასევე მაღალმხატვრულ მოჭიქულ ჭურჭელს. კერამიკული სახელოსნოები იყო თბილისში, დმანისში, რუსთავში და სხვა ქალაქებში. მრავალი კერამიკული სახელოსნოს არსებობას განაპირობებდა მათ ნაწარმზე არსებული ფართო მოთხოვნილება.

მაღალ დონეზე იდგა ლითონისაგან სასოფლოსამეურნეო, თუ საომარი იარაღის წარმოება, ლითონის სხვადასხვა ჭურჭლის დამზადება. განვითარებული იყო მინის წარმოება. მინის წარმოების სახელოსნოებში, აგრეთვე ქალაქებში მოპოვებულია აუცილებელ სახმარ ჭურჭელთან ერთად მინის სამკაული. განსაკუთრებით საინტერესოა ფერადი მინის კენჭების (წითელი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე, ცისფერი, შავი, ოქროსფერი) წარმოება. ეს "მოზაიკური კენჭები" ადგილობრივი ეკლესიების მოხატვისათვის გამოიყენებოდა და ამ კენჭებით მოხატვის ოსტატები საქართველოს გარეთაც საქმიანობდნენ საკუთარი "მოზაიკური კენჭებით". ცნობილია, რომ კიევის სოფიის ტაძრის მოზაიკით შემკობაში ქართველი ოსტატებიც მონაწილეობდნენ საკუთარი მასალით.

ხელოსნობის უძველესი დარგებია ჭრაკერვა, ქსოვა, ქსლის ბეჭვა, ღებვა, მეხამლეობა (ფეხსაცმლის კერვა). იყვნენ წიგნის ამკინძავი ხელოსნები ე. წ. "ეტრატის შექმნის" ოსტატები.

ხელოსნობის მრავალი დარგი იყო დაკავშირებული მშენებლობის საქმესთან მშენებელთა სხვადასხვა სპეციალობები არსებობდა. იყვნენ ქვის მთლელნი, ქვით ხურონი, სამშენებლო კირის დამამზადებელნი, კირით ხურონი, კალატოზნი, ხეზე მუშაობის ოსტატები, ხით ხურონი. სამშენებლო დარგის ხელოსნებს თავისი გაერთიანება უნდა ჰქონოდათ, რომელთა სათავეში "გალატოზთა უხუცესი", "გალატოზთა გამგებელი" იდგა. მშენებელ ხელოსანთა მეთაურს "ხუროთმოძღვარი" ეწოდებოდა. საქართველოში დამზადებული ხელოსნური ნაწარმი იყიდებოდა როგორც ქვეყნის შიგნით, სადაც მას მრავალრიცხოვანი მომხმარებელი ყავდა, ასევე

ამ ნაწარმს ყიდულობდნენ აქ სხვადასხვა მხრიდან მოსული უცხოელები, ეს ნაწარმი საგარეო ბაზარზეც გადიოდა.

ამგვარად, IX – X საუკუნეები საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური წინსვლით აღინიშნება, რაც სოფლის მეურნეობის, ვაჭრობახელოსნობის, სასოფლოსამეურნეო ტექნიკის დაწინაურებაში, საქალაქო ცხოვრების აღმავლობაში და მთელ რიგ სხვა ფაქტორებში გამოიტახებოდა.

სოციალურმა ფაქტორმა და ქვეყნის ეკონომიკურმა დაწინაურებამ მნიშვნელოვანი წინაპირობა შექმნა ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის.

თავი XIII. კულტურა და იდეოლოგია IV – X საუკუნეები

IV – X საუკუნეები საქართველოს ისტორიაში ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნება, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი ენიჭება ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას.

შუასაუკუნოვანი ქართული კულტურა ქრისტიანული მოძღვრების ნიშნის ქვეშ ვითარდებოდა. საქრისტიანო წიგნების ქართულად თარგმნის მოთხოვნილებამ ხელი შეუწყო ეროვნული დამწერლობისა და მწერლობის განვითარებას.

ქართულმა დამწერლობამ ამ დროიდან მიიღო საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე და ის მთელ საქართველოში გავრცელდა.ქრისტიანობამ ხელი შეუწყო კულტურული კავშირის განმტკიცებას ქრისტიანულ სამყაროსთან.

მართალია, ქრისტიანობა ებრძოდა ძველ წარმართულ რწმენებს და აშკარაა, რომ ამ დროს ქართული წარმართული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები განადგურდა, ალბათ განადგურდა ძველი დამწერლობის ნიმუშებიც, მაგრამ, ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ ქრისტიანულმა რწმენამ აითვისა და შეითვისა ძველ ქართულ რწმენათა მნიშვნელოვანი ელემენტები, შეუჯერა ისინი ქრისტიანულ წესებს, გადაამუშავა, რამაც თავის მხრივ, განსაზღვრა ქართული ქრისტიანობის ზოგი თავისებურება და მისი ეროვნული ხასიათი.

ქართული დამწერლობა. ქართული კულტურის და კერძოდ ამ პერიოდის საქართველოს ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული დამწერლობის პრობლემას.

ამ პრობლემის ირგვლივ ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული.

განსხვავებული, ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებებია გამოთქმული ქართული ანბანის წარმოშობის დროის, მისი პროტოტიპის შესახებ. ანბანის არსებულ სამ სახეობას (ასომთავრული მრგვლოვანი, ნუსხა ხუცური კუთხოვანი, მხედრული) შორის ურთიერთმიმართების საკითხს, საკითხს იმის შესახებ, თუ ამ სამ სახეობას შორის რომელია უძველესი.

უნდა აღინიშნოს, რომ კ. კეკელიძის ვარაუდი ანტიკურ ხანაში დასავლეთ საქართველოში მწიგნობრობის ენად შეიძლებოდა ბერძნული ყოფილიყო გამოყენებული, ხოლო აღმოსავლეთ

საქართველოში არამეული, თითქოს გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს. როგორც ცნობილია, ანტიკური ხანის საქართველოს მიწაწყალზე დადასტურებულია, როგორც ბერძნული ისე ე. წ. არამეული წარწერების არსებობა. მცხეთაში აღმოჩენილია არამეული (ე. წ. არმაზული არამეულით)შესრულებული წარწერები და ბერძნული წარწერებიც. აქვეა აღმოჩენილი ბერძნულარამეული ბილინგვა; მცხეთა ხომ ამ ორი სამყაროს გადაკვეთაზე მდებარეობდა.

ქართული დამწერლობის უძველესი ძეგლები, როგორც ცნობილია, V საუკუნეზე ადრინდელი არ მოგვეპოვება. უძველესი ძეგლები საქართველოში ესაა ბოლნისის სიონის ასომთავრულით შესრულებული წარწერა, რომელიც 478 – 493 წლით თარიღდება და V ს-ის 30-იანი წლებით დათარიღებული პალესტინის ქართული მონასტრის იატაკის მოზაიკური წარწერა*.

V საუკუნის ყველა წარწერა, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს, შესრულებულია მრგვლოვანი ასომთავრულით.

ვფიქრობთ, მეცნიერულად დასაბუთებულია მოსაზრება, რომ ქრისტიანობის გავრცელებამ და სახელმწიფო კულტად აღიარებამ დღის წესრიგში დააყენა ქრისტიანული მწერლობის მშობლიურ, ქართულ ენაზე თარგმნის საკითხი, რამაც, თავის მხრივ განსაზღვრა ქართული ანბანის შექმნის აუცილებლობა, და რომ ეს ანბანი არის სწორედ მრგვლოვანი ასომთავრული, რაც არ გამორიცხავს ქრისტიანობამდე საქართველოში დამწერლობის არსებობას**

ქართული ანბანის პროტოტიპის ძიებისას მეცნიერებაში ორი თეორია ჩამოყალიბდა, ფინიკურარამეულიდან და ბერძნულიდან წარმომავლობის. ბერძნულიდან მომდინარეობის თვალსაზრისის წარმომადგენლები არიან: გარტჰაუზენი, დ. ბაქრაძე, დ. კარიჭაშვილი, პ. ინგოროყვა, ბოლო დროს ცნობილი ქართველოლოგი უინფრიდ ბოედელი, თ. გამყრელიძე.

თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა წამოაყენა ქართული ანბანის ფინიკურარამეულიდან წარმომავლობის თვალსაზრისი და ქართული ანბანის შექმნა ძვ. წ. VII ს-ით დაათარიღა.

ფინიკურარამეულ თვალსაზრისს, არმაზში აღმოჩენილი არამეული წარწერების შესწავლის საფუძველზე გარკვეული კორექტივით მხარი დაუჭირა გიორგი წერეთელმა, რომელმაც ქართულ და ბერძნულ ანბანთა შორის მსგავსება ქართულბერძნული კულტურული კონტაქტებით ახსნა და აღნიშნა, რომ ქრისტიანობის აღიარების შემდეგ ბერძნულის გავლენით მოხდა სემიტური ანბანის სისტემის, მარჯვნიდან მარცხნივ წერის, მარცხნიდან მარჯვნივ წერით შეცვლა და ანბანში ხმოვნების შეტანა.

1989 წელს გამოქვეყნდა თამაზ გამყრელიძის შრომა “წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა”, რომელიც ქართული ანბანის პროტოტიპად ბერძნულს მიიჩნევს. “ძველი ქართული წერილობითი სისტემის წარმომავლობა, წერს თ. გამყრელიძე, ბერძნული დამწერლობისაგან, ან უფრო ზუსტად, ძველი ქართული ანბანის შექმნისას წერილობით ნიმუშად და მოდელად ბერძნული ანბანის გამოყენება გვავარაუდებინებს ქართულ გრაფიკულ ნიშანთა შედგენაშეთხზვისას პირველ რიგში ბერძნული გრაფიკული სისტემის აღებას. ქართულ ასონიშანთა გრაფიკულ საფუძვლად შესაბამის ბერძნულ ნიშანთა მოხაზულობის გამოყენებას” ამასთანავე, თ. გამყრელიძის აზრით, იმ “სპეციფიკური” ქართული ბგერებისათვის, რომელთაც

არ დაეძებნებათ პროტოტიპი ბერძნულში, გამოყენებულ იქნა “სავარაუდო სემიტური გრაფიკული პროტოტიპები, რაც ასახავს იმ გავლენებს, რაც სემიტურ სისტემას შეეძლო მოეხდინა ძველი ქართული ანბანის შექმნისას”.

მრგვლოვანი ასომთავრულის გარდა ცნობილია ქართული დამწერლობის კიდევ ორი სახეობა: “კუთხოვანი ნუსხახუცური” და “მხედრული”.

ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით “კუთხოვანი ნუსხახუცური მკვიდრდება IX საუკუნიდან, ხოლო XI საუკუნიდან ხმარებაში შემოდის ე. წ. “მხედრული” დამწერლობა. თ. გამყრელიძის ვარაუდით ნუსხახუცურის ჩამოყალიბების პროცესის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად VII – VIII საუკუნეები უნდა მივიჩნიოთ, ხოლო ატენის სიონის X საუკუნით დათარიღებული წარწერების საფუძველზე, გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ეს წარწერები წარმოადგენენ ნუსხურიდან მხედრულზე თანდათანობით გადასვლის ნიმუშს (გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე).

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ანბანის ამ სამი სახეობის წარმოშობა გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება, სამივე სახეობა შემდეგაც განაგრძობს არსებობას პარალელურად, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ თითოეულ მათგანს თავისი გამოყენების ძირითადი სფერო აქვს. ასომთავრულით სრულდებოდა წარწერები, ხელნაწერებში სათაურები, ტექსტებში დასაწყისი ასოები, “ნუსხახუცური”, როგორც წესი, გამოყენებული იყო საეკლესიო დარგის თხზულებებში, ხოლო “მხედრული” – სამოქალაქო მწერლობაში (დოკუმენტები, საერო მხატვრული ლიტერატურა), თუმცა არის სამოქალაქო ძეგლების ხუცურად, და პირიქით, – საეკლესიოს მხედრულად შესრულების შემთხვევებიც. ზოგი მკვლევარის თვალსაზრისით კი (პ. ინგოროყვა, რ. პატარიძე...) ქართული დამწერლობის უძველესი სახეობა ე. წ. “მხედრული” შეიძლებოდა ყოფილიყო, რომელიც ძვ. წ. V საუკუნეში შეიქმნა, ხოლო ფარნავაზის დროს,ძვ. წ. 284 წ. ქართული მიღებული იქნა ოფიციალურ დამწერლობად სახელმწიფოებრივ ფარგლებში.

როგორც ცნობილია, განსხვავებით დასავლური ქრისტიანობისაგან (რომის პაპის იურისდიქციაში მყოფი ქვეყნები), რომელიც ღვთისმსახურების მხოლოდ ლათინურ ენაზე წარმოების უფლებას იძლეოდა, აღმოსავლური ქრისტიანობა (ბიზანტიური) მის იურისდიქციაში შემავალ ქვეყნებში, დასაშვებად თვლიდა ღვთისმსახურების მშობლიურ ენაზე წარმოებას, რაც ხელს უწყობდა საღვთისმეტყველო ლიტერატურის მშობლიურ ენაზე თარგმნას, და აგრეთვე ორიგინალური თხზულებების შექმნას.

ალბათ მართებული უნდა იყოს თვალსაზრისი, რომ ახალი ქართული ანბანის შექმნა ამ მოთხოვნილებითაც იყო განპირობებული. აღნიშნულმა გარემოებამ (სხვა ფაქტორებთან ერთად) მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში საერთოდ, მაგ.: სომხეთში, სირიაში და საკუთრივ საქართველოში ეროვნული მწერლობის და კულტურის აღმავლობას ქრისტიანობის პირველი საუკუნეებიდანვე. რაც შეეხება დასავლურ ქრისტიანულ სამყაროს, კულტურული განვითარების ის შეფერხება რაც ისტორიულად დადასტურებულია ქრისტიანობის ადრეულ საფეხურებზე, სხვა ფაქტორებთან ერთად ეროვნულ ენაზე ღვთის მსახურების აკრძალვის და აქედან გამომდინარე,სამწერლობო კულტურის განვითარების შეფერხებითაც შეიძლება იყოს განპირობებული.

ქართული ეროვნული კულტურის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საკუთარი ქართული ანბანის არსებობას, რომელიც, რამდენად უფრო ადრინდელი დროიდან შეიძლება არსებობდეს არ ვიცით, მაგრამ V საუკუნიდან რომ ნამდვილად არსებობს ფაქტია.

მწერლობა. საერთოდ საქართველოს და საკუთრივ ქართული კულტურის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მშობლიური ენის პრობლემას. V საუკუნიდან ქართულმა ენამ უდიდესი როლი შეასრულა, ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების, ერის გამთლიანების საქმეში. მცხეთის სამწყსოში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე წარმოებას (რაც ენის სახელმწიფო სტატუსს ნიშნავს) უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მწერლობის განვითარებისათვის.ქართულმა ენამ განსაკუთრებული როლი შეასრულა საერთოდ საქართველოს და განსაკუთრებით ამ პერიოდის საქართველოს ისტორიაში.

შუასაუკუნოვანმა საქართველომ ანტიკური ხანიდან მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა მიიღო. ამ ხანის ქართული კულტურა წინა პერიოდის ტრადიციებს ემყარებოდა, ის ეროვნულ ნიადაგზე იყო აღმოცენებული. მას აგრეთვე მჭიდრო კავშირი ჰქონდა მეზობელი ქვეყნების და ხალხების – ბიზანტიის, ირანის, არაბების, სირიელთა, სომხების და სხვა ხალხისკულტურასთან. ეს ურთიერთობა ამდიდრებდა ქართულ კულტურას და ხელს უწყობდა მის წინსვლას. თავის მხრივ ქართულ კულტურასაც შეჰქონდა თავისი წვლილი მეზობელ ხალხების კულტურულ განვითარებაში.

როგორც არაერთგზისაა აღნიშნული ქრისტიანობა წიგნიერი რელიგიაა. ის დამწერლობის ფართო გამოყენებას მოითხოვდა და ხელს უწყობდა მწერლობის განვითარებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ძირითადი საღვთისმეტყველო ლიტერატურის თარგმნას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა წირვალოცვის მშობლიურ ენაზე წარმოების უფლებისათვის. მართალია, დასავლური, ქრისტიანული ეკლესია წირვალოცვის უფლებას მხოლოდ ლათინურ ენაზე იძლეოდა, მაგრამ ამასთანავე, არსებობდა ე. წ. ტრილინგვისტური თეორია, რომელიც ღვთისმსახურების მხოლოდ იმ სამ ენაზე წარმოების უფლებას იძლეოდა, რომელზედაც განიკითხეს ქრისტე (ლათინური, ბერძნული, ებრაული). აღმოსავლური ქრისტიანულ (ბიზანტიური) ქალკედონური ეკლესია მართალია იძლეოდა მშობლიურ ენაზე წერალოცვის წარმოების უფლებას, მაგრამ როგორც უკვე ითქვა, ამისათვის პირველ რიგში აუცილებელი იყო საკუთარი დამწერლობის და საღვთისმეტყველო წიგნების თარგმანების არსებობა. ამ უფლების დასამტკიცებლად ინტენსიური მუშაობა გაიშალა ჩვენში ქრისტიანობის სახელმწიფო კულტად გამოცხადებისთანავე, აქტიურად დაიწყო საღვთისმეტყველო ლიტერატურის თარგმნა და უკვე V საუკუნის პირველ მესამედში (თუ უფრო ადრე არა) ქართულად თარგმნილი იყო ძველი და ახალი აღთქმის ბიბლიური წიგნები, ეპისტოლეთა წიგნები, “დავითნი”, აგრეთვე “მოწამეთა წიგნი” – წმინდანთა ცხოვრებანი... რომ V საუკუნეში ძირითადი საღვთისმეტყველო ლიტერატურა ქართულად თარგმნილი იყო. ეს წერილობით წყაროებში არსებული პირდაპირი თუ არაპირდაპირი მითითებების გარდა დოკუმენტურადაც დასტურდება პალიმფსესტებით, რომელთაც V – VI საუკუნეებში შესრულებული ბიბლიური ტექსტების ფრაგმენტების ქართული თარგმანები შემოგვინახეს*.

V – VI საუკუნეებში ქართული მწერლობის არსებობის შესახებ ცნობები უცხოურ წერილობით წყაროებშიც არის დაფიქსირებული, რაც მიუთითებს ურთიერთობაზე იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროსთან. ასურულ თხზულებაში, რომელსაც ეწოდება "წიგნი ერთა და ქვეყანათათვის", სემის, ქამის და იაფეტისაგან წარმოშობილ 73 მემკვიდრეთაგან 15 "წიგნისმცოდნეთა" შორის ასურელებს, ებრაელებს, ბაბილონელებს, ბერძნებს (იონელებს), სპარსელებს, სომხებს და სხვათა შორის დასახელებულნი არიან იბერნიც. ასეთი ხასიათის ცნობები სხვა თხზულებებშიც არის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, პალესტინაში უდიდესი ლავრის დამაარსებლის საბა განწმენდილის ანდერძს, რომელიც მან გარდაცვალების წინ (გარდ. 532 წ.) შეადგინა. საბას მიერ დაარსებულ ლავრაში სადაც ბერების უმრავლესობა ბერძნები იყვნენ, მათთან ერთად მოღვაწეობდნენ ასურელნი, სომეხნი, ქართველნი. რათა მოეწესრიგებინა მათ შორის ურთიერთობა (ჩანს ადგილი ჰქონდა ქიშპობას და ეროვნულ შუღლს), ლავრის დამაარსებელმა ანდერძში ყველას უფლებები განსაზღვრა. ანდერძში წერია: "არც იბერიელებს და არც ასურელებს უფლება არ უნდა ჰქონდეთ თავთავიანთ ეკლესიებში ჟამის წირვა შეასრულონ; მათ ამ ეკლესიებში შეკრებილთ, ნება ეძლევათ წართქვან ჟამნი და სამხრისაი, წარიკითხონ სამოციქულო და სახარება თავიანთ დედაენაზე, ხოლო ამის შემდეგ ისინი უნდა შეიკრიბნენ კათოლიკე ეკლესიაში და ყველა ძმებთან ერთად ეზიარნენ საღმრთოთა, უხრწნელთა და ცხოველმყოფელთა საიდუმლოთა". როგორც ანდერძის ამ ტექსტიდან ჩანს, ქართველებს (იბერებს) VI საუკუნის დასაწყისში დედაენაზე ჰქონდათ სახარება, სამოციქულო, ჟამნი სამხრისა და "ცხადია, ყოველივე ეს მეექვსე საუკუნის დასაწყისს ვერ გაჩნდებოდა, არამედ ადრე შეუმუშავებიათ" (კ. კეკელიძე). მშობლიურ ენაზე წირვალოცვას რწმენისა და ეკლესიის მდგომარეობის გარდა ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ისტორიისათვის, ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაგანმტკიცებისათვის. გასათვალისწინებელია ისიც, რა ენაზე მიმდინარეობს წირვალოცვა, ისაა სახელმწიფო ენა და მშობლიურ ენაზე წირვალოცვა ხელს უწყობს ეროვნული მწერლობის განვითარებას.

ქართულად თარგმნიდნენ ბერძნულიდან, სირიულიდან, სომხურიდან, არაბულიდან... თარგმნიდნენ ძირითადად საღვთისმეტყველო ლიტერატურას, ბიბლიურ წიგნებს, ფსალმუნს, აგრეთვე აგიოგრაფიულ ნაწარმოებებს.

თარგმნისას თავდაპირველად (ყოველ შემთხვევაში X საუკუნემდე და XI ს-ის დასაწყისშიც) შედარებით თავისუფალი თარგმანის ტრადიცია არსებობდა. ნათარგმნ ძეგლებში, საკუთარი ინტერესებიდან თუ ტრადიციებიდან გამომდინარე "ზოგიერთ შემთხვევაში ქართველი მთარგმნელები იძლეოდნენ არა წმინდა თარგმანს რომელიმე თხზულებისას ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არამედ ახალ ვერსიას ან რედაქციას ამ თხზულებისას". ამ თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა აქვს VI საუკუნის ანონიმი ავტორის თხზულებას, ევსტათე მცხეთელის მარტვილობას რომ ეძღვნება. ამ თხზულებაში მოცემულია ძველი და ახალი აღთქმის ფრაგმენტების თარგმანი. მართალია, ეს არის საღმრთო წერილის "თავისუფალი", "თავისებური" გადმოცემა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ თხზულებაში დაცულია საღმრთო წერილის ჩვენთვის ცნობილი პირველი ქართული თარგმანი. ასეთი თავისუფალი

თარგმანი საღვთო წერილის ტექსტისთვისაც დასაშვებად ითვლებოდა. ეს წესი კარდინალურად იცვლება XI საუკუნიდან (მეორე ნახევრიდან მაინც). ძველ თარგმანებს ამიტომ "ქართულ სახარებას", "ქართულ დავითნს" უწოდებენ (კ. კეკელიძე).

ფართოდ გაშლილმა მთარგმნელობითმა მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი ქართული სალიტერატურო ენის დახვეწას, ეროვნული მწერლობის განვითარებას.

VX საუკუნეების ქართული მწერლობა ნათარგმნთან ერთად წარმოდგენილია ორიგინალური ქართული საღვთისმეტყველო, აგიოგრაფიული თხზულებებით ("მარტვილობები", ცხოვრებები"), სასულიერო პოეზიის, საკუთრივ სამოქალაქო საისტორიო თხზულებით.

აქტიურად მიმდინარე მთარგმნელობით საქმიანობასთან ერთად ქრისტიანობის დამკვიდრების დროიდან იწყება ჰაგიოგრაფიული თხზულებების წერა.

VX საუკუნეებში შეიქმნა მდიდარი ორიგინალური მწერლობა. უძველესი ძეგლები ძირითადად აგიოგრაფიული ლიტერატურითაა წარმოდგენილი, როგორც "წამებათა", ისე "ცხოვრებათა" ჟანრის თხზულებებით.

ქრისტიანობის ოფიციალურ კულტად გამოცხადების შემდეგ, თითქოს ადგილი აღარ უნდა ჰქონოდა სახელმწიფო სარწმუნოებისათვის წამებას, მაგრამ ჯერ მაზდეან ირანელთა (IV – VI სს.), ხოლო შემდეგ მაჰმადიან არაბთა (VII – X სს.) ბატონობის პირობებში ქრისტიანული რწმენის წინააღმდეგ ბრძოლა და საკუთარი სარწმუნოების გავრცელება პოლიტიკურად დამორჩილებულ ქვეყნებში, დამპყრობთა მხრივ პოლიტიკური ძალაუფლების დამკვიდრების ერთერთი გზა იყო.

ქართული ადრეშუასაუკუნოვანი მწერლობა ძირითადად საეკლესიო ისტორიის დარგის თხზულებებითაა წარმოდგენილი. მწერლობის ამ დარგმა აღნიშნულ ხანაში განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია.

ადრესაშუალო საუკუნეებიდან დღეს ხელთ ფაქტობრივად (ერთად ერთი გამონაკლისის გარდა) მხოლოდ საეკლესიო ისტორიის თხზულებები გვაქვს (აგიოგრაფია).

VX საუკუნეებიდან ჩვენამდე უპირატესად საეკლესიო საისტორიო ხასიათის თხზულებებმა მოაღწიეს, ამავე დროს, სრულიად უდავოა ქრისტიანული საეკლესიო საისტორიო მწერლობის დიდი გავლენა სამოქალაქოსაისტორიო მწერლობაზე, მაგრამ სამოქალაქო საისტორიო მწერლობას მაინც აქვსგანვითარების საკუთარი გზები. რაც მთავარია ქრისტიანობის ხანის ქართულ სამოქალაქო საისტორიო მწერლობის საწყისები წინაქრისტიანული ხანის ქართულ საისტორიო აზროვნებაშია საძიებელი (ნ. ბერძენიშვილი). წინაქრისტიანული ხანის საქართველოს ისტორიის თხრობა მოცემული "მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ქრონიკაში, ან ლეონტი მროველის ავტორობით ცნობილ "მეფეთა ცხოვრებაში" იმის მაუწყებელია, რომ მათი დაწერის ხანაში დაცული იყო იმ ძველ ეპოქათა ისტორიის ამსახველი თხზულებები. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ წინაქრისტიანული ხანის ისტორიის მთელი რიგი ფაქტები, მოცემული ნაგვიანევი ხანის საისტორიო თხზულებებში, მთელ რიგ შემთხვევებში

დადასტურებას პოულობენ უცხოურ წერილობით წყაროებში, საქართველოში არსებული სხვადასხვაენოვანი წარწერებითა თუ მატერიალური კულტურის ძეგლებით. ნაგვიანევი ხანის ისტორიკოსები ვერ მოგვცემდნენ უტყუარ ცნობებს წინაქრისტიანული ხანის საქართველოს ისტორიისას, მათ განკარგულებაში ძველი წყაროები რომ არ ყოფილიყო (წერილობითი, თუ ზეპირი გზით მოღწეული შუა საუკუნეებამდე).

საფიქრებელია, რომ ქრისტიანობის ადრეულ საფეხურზე ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ამ ძველი წყაროების გარკვეული ნაწილი მაინც.

ქართულმა საისტორიო აზროვნებამ, რომელსაც თავისი განვითარების ხანგრძლივი გზა და საკუთარი ტრადიციები ჰქონდა ქრისტიანობის ხანაში, სასულიეროსაეკლესიო მწერლობის დიდი გავლენა განიცადა.

აგიოგრაფია. VX საუკუნეები ქართულ მწერლობაში ძირითადად აგიოგრაფიული თხზულებებითაა წარმოდგენილი. ქართული აგიოგრაფია ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა, ქრისტიანობისათვის წამებულთა და დიდ საეკლესიო პიროვნებათა ისტორიაა, ეს არის ეკლესიის ისტორია. ეკლესიის ისტორია ეროვნული ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

იმ პერიოდში, როდესაც მწვავედ დაისვა ეროვნული სარწმუნოების საკითხი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა საკუთარ საეკლესიო მოღვაწეებს და მათი მარტვილობის თუ ცხოვრების აღწერას.

როგორც ცნობილია, ეს საკითხი მწვავედ დააყენა ქართულ აზროვნებაში იოანე საბანისძემ. ხოლო შემდეგ იზრდება ინტერესი საკუთარი მარტვილებისა თუ საეკლესიო მოღვაწეებისადმი და, აქედან გამომდინარე, მათი ცხოვრებათა აღწერა ინტენსიურად მატულობს. ბასილი ზარზმელი თეორიულად ასაბუთებს გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრების აღწერის მნიშვნელობას და აუცილებლობას. გიორგი მერჩულე ჩივის, რომ კლარჯეთის დიდებულ უდაბნოთა გამოჩენილ მეუდაბნოეთა ღვაწლი თავის დროზე არ აღიწერა, ბევრი რამ უკვე დავიწყებას მიეცა. ამასვე ჩივიან რაჟდენ პირველმოწამის მარტვილობის აღმწერნი, ილარიონ ქართველის ცხოვრების ავტორი (IX ს.). კათალიკოზ ნიკოლოზ გულაბერისძე (1150 – 1178).

უკმაყოფილება ეკლესიის და საკუთრივ საეკლესიო მოღვაწეთა დამსახურების ისტორიის არასათანადოდ წარმოჩენისათვის XVIII საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაშიც იჩენს თავს. მეფე ვახტანგ VIის მიერ შედგენილ “სწავლულ კაცთა კომისიას” “ქართლის ცხოვრების” ერთერთ ნაკლად, რომლის შევსებასაც “კომისია” აუცილებლად თვლიდა ეკლესიის, დიდ საეკლესიო მოღვაწეთა წარმოჩენა მიაჩნდა. “სწავლულმა კაცებმა” ამ მხრივ გარკვეული სამუშაო ჩაატარეს და მათ მიერ რედაქტირებულშევსებულ “ქართლის ცხოვრების” ძველი ნაწილი არაერთი “მარტვილობითა” და “ცხოვრებით” შეავსეს*.

“ქართლის ცხოვრებაში” ეკლესიის და საეკლესიო მოღვაწეთა ისტორიისადმი დამოკიდებულების არსებულ ნაკლს სათანადო ყურადღება მიაქცია შუასაუკუნოვანი საქართველოს უდიდესმა ისტორიკოსმა ვახუშტი ბაგრატიონმა. აყალიბებს რა თავის კონცეფციას ისტორიის (“მატიანის”, როგორც ის უწოდებს) შემადგენელი ნაწილების შესახებ

აღნიშნავს, რომ “მოქმედების აღწერა”, რომელიც ამ ისტორიის ერთი შემადგენელი ნაწილია, თავის მხრივ “განიყოფების ორად – საეკლესიოდ და სამოქალაქოდ. საეკლესიო არს წმინდათა ცხოვრება და ქმნულება მათნი, ხოლო სამოქალაქო – ქმნულება სოფელსა შინაგანი დიდთა და მცირეთა”, და აღნიშნავს, რომ არსებული “ქართლის ცხოვრება” “ეკლესიის მატიანეს შეამოკლებს და სამოქალაქოსა მოგვითხრობს შესხმით და ვრცლად”.

ადრეშუასაუკუნეების ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობაში წარმოდგენილია როგორც მარტვილობათა ჟანრის თხზულებანი, ასევე გამოჩენილ საეკლესიო პიროვნებათა მოღვაწეობის აღმწერი თხზულებები (“ცხოვრება”).

ამ ხანის ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებებისათვის დამახასიათებელია გეგმიანი თხრობა, თხრობის ლაკონურობა, ძირითადად შემოწმებული და უტყუარი ფაქტების გადმოცემა. ამასთანავე, ამ ხანის აგიოგრაფიულ თხზულებებს, ისევე როგორც ყველა ხალხის შუასაუკუნოვან მწერლობას, ახასიათებს პროვიდენციალიზმი და ღვთიური სასწაულების რწმენა.

თავდაპირველად აგიოგრაფიული თხზულებები მონოფიზიტიზმის სულისკვეთებას გამოხატავდნენ, მაგრამ დიოფიზიტიზმის საბოლოო გამარჯვებისა და მართლმადიდებლური იდეოლოგიის გაბატონების შემდეგ აგიოგრაფიულმა თხზულებებმა სარიოზული წმენდაგადაკეთება განიცადეს, განიწმინდნენ “ღვარძლისაგან”, რისი კვალიც ასე თუ ისე შეინიშნება ზოგ მათგანში.

ამდროინდელ აგიოგრაფიულ თხზულებებში გამახვილებულია ყურადღება პატრიოტული სულისკვეთების ამსახველ მომენტებზე: ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, ქართველ პატრიოტთა თავდადება საკუთარი ქვეყნისა და სარწმუნოებისათვის, დიდ ქართველ ქრისტიან საეკლესიო მოღვაწეთა პატივისცემათაყვანისცემა, მართლმადიდებლური ქრისტიანობის სიწმინდეშეურყვნელობის, საკუთარ განმანათლებელთა იდეების სხვა რწმენათა (ცეცხლთაყვანისმცემლობა, მაჰმადიანობა) წინაშე ქრისტიანობის იდეური უპირატესობის ფაქტები უხვადაა წარმოდგენილი ამ თხზულებებში.

სტილი თხზულებებისა ძირითადად სადა და უბრალოა (განსხვავებით XIII საუკუნის ზოგი საისტორიო თხზულების მჭერმეტყველურრიტორიკულისაგან), ხოლო ენა ძველი ქართული ენის კლასიკურ ნორმებს ემორჩილება.

ამ ეპოქაში შექმნილ თხზულებათა ერთი ნაწილი მოგვითხრობს ქრისტიანობის დამკვიდრების ისტორიას და ამ მოვლენებთან დაკავშირებულ სირთულეებს და სიძნელეებზე. უპირველესი – წმინდა ნინოს მოღვაწეობისადმი მიძღვნილი თხზულებაა. ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს მოღვაწეობისადმი მიძღვნილი, ჩვენამდე მოღწეული ნაწარმოები X საუკუნის ე. წ. “შატბერდის კრებულში” და XIV საუკუნის “ჭელიშურ კრებულში” შესული თხზულებაა*. ამ თხზულებაში (“მოქცევაჲ ქართლისაჲ”) წმინდა ნინოს მოღვაწეობის მოკლე და ვრცელი ვარიანტებია წარმოდგენილი.

საკითხი იმის შესახებ თუ როდისაა ეს თხზულება დაწერილი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ეჭვი არაა, რომ თხზულება იმ სახით, როგორც ის X საუკუნის შატბერდის კრებულშია

შესული გამოსულია IX საუკუნის ავტორის (თუ რედაქტორის?) ხელიდან. მაგრამ დასადგენია "წმინდა ნინოს ცხოვრების" თავდაპირველად დაწერის თარიღი.

აღნიშნულ საკითხზე თავისი მოსაზრებები აქვთ გამოთქმული დ. ბაქრაძეს, ე. თაყაიშვილს, კ. კეკელიძეს, ივ. ჯავახიშვილს, პ. ინგოროყვას (VIII – X სს.) აგრეთვე არსებობს "ნინოს ცხოვრების" IV საუკუნით დათარიღების ცდაც (რ. სირაძე, მ. ჩხარტიშვილი).

ვფიქრობთ, მართებული უნდა იყოს ვარაუდი (თუ თვალსაზრისი?), რომ ისეთი დიდი მოვლენა ერისა და ქვეყნის ცხოვრებაში, როგორც ქრისტიანობის სახელმწიფო რწმენად აღიარებაა,აუცილებლად მაშინვე თუ არა ძალიან მალე მაინც იქნებოდა წერილობით ფიქსირებული.

მარცხი განიცადა სასანიანთა ირანის ხელისუფლების მცდელობამ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნებში ქრისტიანობის აღმოფხვრის და ცეცხლთაყვანისცემის დანერგვას რომ ისახავდა მიზნად.ირანის, ასევე შემდეგ არაბთა ხელისუფლება ცდილობდა თავისი პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცებისათვის ამიერკავკასიის ქრისტიანულ ქვეყნებში ბიზანტიის იმპერიის საპირისპიროდ, იმპერიისაგან გასამიჯნად აქ ანტიქალკედონური მრწამსისათვის მხარის დასაჭერად შეექმნა თვალსაზრისი ამიერკავკასიის სამივე ქვეყანაში (ალბანეთი, სომხეთი, ქართლი) ქრისტიანობის ერთი განმანათლებლის, გრიგოლ პართელის ქადაგების შესახებ. ამასვე ემსახურებოდა თეორიის ჩამოყალიბება ამ სამივე ეკლესიის ერთობის შესახებ (ს. ჯანაშია).

ამითაა ალბათ გამოწვეული გრიგოლ პართელის მოღვაწეობის განდიდება და მიჩქმალვა ნინოს მოღვაწეობისა. ნიშანდობლივია ნინოს ცხოვრების ნაგვიანევი ვარიანტის ავტორის განცხადება, რომ "წიგნი ქართლის მოქცევისაჲ... ვითარცა ტალანტი წინაპართაგან დაფარული, შემდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ვპოვეთო".

ქართველ მოღვაწეებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ სარწმუნოების და მრწამსის საკითხი განყენებული პრობლემა არ არის და ის მჭიდროდ უკავშირდება საკუთარი ქვეყნის პრესტიჟს, საერთაშორისო მდგომარეობასა და პოლიტიკას.

სომეხქართველთა სარწმუნოებრივი განხეთქილება, რასაც საფუძველი VI საუკუნეში ეყრება, თანდათან მწვავდება, მაგრამ VIII საუკუნიდან სომეხთა და ქართველთა პოლიტიკურეროვნული კონსოლიდაციის, ქართულსომხური პოლიტიკური ურთიერთობის გამწვავების ხანაში დაისვა სომეხთაგან გამიჯვნის საკითხი. შეიქმნა ჩამოყალიბებული პოლიტიკური კონცეფცია, რომელიც ასაბუთებდა უპირატესობას სომეხთა წინაშე და აღორძინდა წმინდა ნინოს კულტი.

ქრისტიანობის შემოსვლის და დამკვიდრების სირთულეების პრობლემისადმია მიძღვნილი ანონიმი ავტორის თხზულება "ცხრა ძმა კოლაელთა მარტვილობა".

ამ ძეგლს თავისებური ადგილი უკავია ადრეშუასაუკუნეების ქართულ მწერლობაში, მასში საუბარია იმ პერიოდზე, როდესაც საქართველოში ქრისტიანობა ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა გაბატონებულ რელიგიას და წარმართობას ედავებოდა (წმინდა ნინოს ცხოვრება აქ მოსატანი არაა, ის სულ სხვა გარემოებას უკავშირდება). თხზულებაში მოთხრობილია მცირეწლოვანი

ბავშვების მიერ ქრისტიანობის მიღების (მონათვლის) და მათი წარმართი მშობლების მიერ ამ ბავშვების ჩაქოლვის შესახებ.

ამ ძეგლის შინაარსი აშკარად მიუთითებს, რომ ქრისტიანებს არ ებრძვიან, ებრძვიან ქრისტიანობის პროპაგანდას. აქვე უაღრესად საინტერესო ცნობებია დაცული ქრისტიანობის ადრინდელი ხანის წესჩვეულებებისა და ადათების შესახებ.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ამ ძეგლის თარიღის საკითხის გამო. არავინ არ დავობს მასში აღწერილი ამბების დროზე (დაახლ. IV – V სს.) მაგრამ სადავოა თვით თხზულების დაწერის თარიღი. ის მერყეობს IV – V და IX სს-ეებს შორის.

“ცხრა ძმა კოლაელთა მარტვილობა” თავისი ხასიათით უცხოა IX საუკუნის ქართული სინამდვილისათვის, ამან შეიძლება ეჭვის ქვეშ დააყენოს მისი IX საუკუნით დათარიღების შესაძლებლობა, თუმცა იმ სახით, როგორც მან ჩვენამდე მოაღწია ეს თხზულება IX საუკუნეში შეიძლება იყოს შექმნილი ან იქნებ გადაკეთებულრედაქტირებული. რედაქცია შეიძლება ზოგი ტერმინების საკითხსაც ეხებოდეს.

ქრისტიანობისათვის წამების ფაქტები არაერთია ცნობილი VX საუკუნეების საქართველოს ისტორიაში რაც, როგორც უკვე აღინიშნა, გამოწვეულია სასანიანთა ირანის (IV – VI სს.) და არაბთა სახალიფოს (VIIX სს.) პოლიტიკური ბატონობით საქართველოში. ამ ფაქტორებისადმი არაერთი საგანგებო ნაწარმოებია მიძღვნილი.

მაზდეანური ირანის და მაჰმადიანური სახალიფოს ბატონობის პირობებში ქრისტიანობა მებრძოლ რელიგიად იქცა საქართველოში.

მაზდეანმაჰმადიანთაგან შევიწროვების პირობებში რწმენა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის სიმბოლოს წარმოადგენდა. ამ ხასიათის ყველა თხზულების ავტორი ერთ მთავარ მიზანს ისახავდა, აჩვენოს ქრისტიანობისათვის წამების იდეის კეთილშობილება და ხაზი გაუსვას წამებულთა სამარადისო დიდებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახით ქართული თხზულებანი სხვადასხვა ისტორიულ ვითარებაში და განსხვავებული ნიჭის, განათლებისა და უნარის ავტორთა მიერ იწერებოდა, ეს საერთო ტენდენცია ყველას ერთნაირად ახასიათებს.

ამ პერიოდის ქართულმა მწერლობამ მარტვილობის ჟანრის რამდენიმე ისტორიულბიოგრაფიული ხასიათის თხზულება დაგვიტოვა: იაკობ ხუცესის “შუშანიკის მარტვილობა”, ანონიმის “რაჟდენის მარტვილობა”, ანონიმი ავტორის “ევსტათე მცხეთელის მარტვილობა”, ანონიმის “დავით და კოსტანტინეს მარტვილობა”, იაონე საბანისძის “აბო თბილელის მარტვილობა”, ანონიმის “კოსტანტიკახის მარტვილობა”, სტეფანე მტბევარის “გობრონის მარტვილობა”, აქედან შუშანიკის, რაჟდენისა და ევსტათე მცხეთელის “მარტვილობანი” ქრისტიანობისა და მაზდეანობის დაპირისპირების, ხოლო დავით და კონსტანტინეს, აბოს, კოსტანტი კახის და გობრობის “მარტვილობანი” მაჰმადიანობასთან დაპირისპირების პრობლემას ეძღვნება.

წამების ჟანრის უძველესი, ჩვენამდე მოღწეული ნაწარმოები არის იაკობ ხუცესის “წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ”. თხზულების ავტორი იაკობი არის პიტიახშის კარის ხუცესი შუშანიკის პირადი მოძღვარი, როგორც ვარაუდობენ, შემდგომში ცურტავის ეპისკოპოსი და დვინის 506წლის საეკლესიო კრების მონაწილე.

იაკობი შუშანიკის თანამედროვეა და თხზულება დაწერილია 476 – 482 წლებში.

“შუშანიკის მარტვილობაში” V საუკუნის მეორე ნახევრის მახლობელი აღმოსავლეთის ფართო პოლიტიკური ისტორიის ფონზე მოცემულია აღმოსავლეთ საქართველოს ერთერთი კუთხის, ქვემო ქართლის საპიტიახშოს კონკრეტულისტორიული სურათი, პიტიახშ ვარსქენის ოჯახში დატრიალებული ტრაგედია, შეურაცხყოფილი მეუღლის, დამცირებული ქალის, გაუბედურებული დედის, ვარსქენის მეუღლის ტრაგედია.

451 წელს ირანელებთან ბრძოლაში დაღუპული გამოჩენილი სომეხი სარდლის ვარდან მამიკონიანის ასული ქართველი დედოფალი (როგორც მას ავტორი უწოდებს), თავს სწირავს რწმენას, როგორც თვითმყოფადობის სიმბოლოს და იტანს ენით აუწერელ ტანჯვას, შეურაცხყოფას და წამებას საკუთარი კარიერისტული მიზნისათვის სარწმუნოებიდან გადამდგარი მეუღლისაგან. “შუშანიკის მარტვილობა” მაღალმხატვრული ნაწარმოებია, ეს არის ცხოვრებისეული მოვლენების რეალისტურად გადმოცემის ჩვენამდე მოღწეული პირველი რომანი, მძაფრი ადამიანური ვნებებით, ბუნების მხატვრული აღწერილობით, დაწერილი მდიდარი, ადვილად გასაგები, შესანიშნავი ქართულით. ეს თხზულება არის უმნიშვნელოვანესი პირველწყარო V საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის.

იგივე, V საუკუნის II ნახევრის ქართლის ისტორია, სახელდობრ ბრძოლა ირანელთა ხელისუფლების წინააღმდეგ, აღწერილია თხზულებაში: “წამებაჲ და ღუაწლნი წმინდისა დიდისა მოწამისა რაჟდენისი”, რომლის ავტორი ცნობილი არაა. ამ თხზულების ჩვენამდე მოღწეული ტექსტი XII საუკუნისაა, მაგრამ, ვფიქრობთ, მართებული უნდა იყოს ვარაუდი, რომ თხზულების თავდაპირველი, შეიძლება უფრო მოკლე და მარტივი ვარიანტი, მომხდარი ფაქტის შემდეგ მალე უნდა დაეწერათ. ნაწარმოებში მოთხრობილია მეფე ვახტანგ გორგასლის ირანელი მეუღლის მამამძუძეს მიერ, რომელიც დედოფალს ქართლში ჩამოყვა, მაზდეანობის უარყოფის, ქრისტეს რწმენის აღიარების და ახალი სამშობლოს და ახლადმიღებული რწმენის დასაცავად ბრძოლის შესახებ, ქართლში შემოჭრილი თავისი თანამემამულეების წინააღმდეგ.

ირანელთა ხელში ტყვედ ჩავარდნილი რაჟდენი დიდ სიმტკიცეს იჩენს. მიუხედავად იმისა, რომ მამაპაპათა რწმენაზე დაბრუნების შემთხვევაში ირანელები მას არა მხოლოდ სიცოცხლის შენარჩუნებას, დიდ პატივსაც პირდებოდნენ, ის არ უარყოფს ქრისტიანობას, მტკიცედ დგას ახალ რწმენაზე და ეწირება კიდეც მას.

მართალია, “რაჟდენის მარტვილობა” მხატვრული ღირსებებით დიდად ჩამოუვარდება იაკობ ხუცესის თხზულებას, საერთოდ ვერ დგას “შუშანიკის მარტვილობის” დონეზე, მაგრამ მასში დახატულია ეპოქის რეალური სურათი, მოხსენიებულნი არიან სხვა წყაროებით ცნობილი ისტორიული პიროვნებანი. თვით რაჟდენის მარტვილობის ფაქტი ვახტანგ გორგასლის მეფობის ხანაში დადასტურებულია ჯუანშერის ავტორობით ცნობილ ვახტანგ მეფის “ისტორიაში”.

ნაწარმოების მთავარი აზრი ქრისტიანობის, როგორც რწმენის უპირატესობის იდეის წარმოჩენაა პოლიტიკურად გაბატონებული ირანელების სარწმუნოების წინაშე, თხზულება ამ იდეის დადასტურებას ისახავს მიზნად.

არც VI საუკუნის მეორე ნახევარში დაწერილი თხზულების "მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაი" ავტორია ჩვენთვის ცნობილი.

მთავარი თემა აქაც იგივეა, წარმოშობით სპარსის, სარწმუნოებით მაზდეანის გვირობანდაკის მიერ, რომლის ქრისტიანული სახელია ევსტათე, წინაპართა სარწმუნოების უარყოფა და ქრისტიანობის მიღება.

მხატვრული თვალსაზრისით ვერც ეს თხზულება დგას იაკობ ხუცესის ნაწარმოების დონეზე, ასეთი დიდი მნიშვნელობის ფაქტი მშრალადაა გადმოცემული. მაგრამ ნაწარმოები გაშლილია VI საუკუნის 40-50იანი წლების მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების, სასანიანთა ირანში შაჰ ხოსრო ანუშირვანის მიერ ქრისტაინეთა დევნის, ირანბიზანტიის დაპირისპირების ისტორიის ფონზე.

როგორც უკვე ითქვა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ თხზულებაში მოცემული ძველი და ახალი აღთქმის ფრაგმენტების თარგმანს. მართალია, ეს არის საღმრთო წერილის "თავისებური" გადმოცემა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ თხზულებაში დაცულია საღმრთო წერილის ჩვენთვის ცნობილი პირველი ქართული თარგმანი.

იგივე თემა (საკუთარი რჯულის უარყოფა) დგას VIII საუკუნის ქართველი მწერლის იოანე საბანისძის თხზულებაში "წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტეისა ჰაბოჲსი".

წარმოშობით არაბი, სარწმუნოებით მაჰმადიანი, გაბატონებული ერისა და ქვეყნის წარმომადგენელი, უარყოფს წინაპართა სარწმუნოებას, იღებს ქრისტიანობას და თავს სდებს ქრისტეს სარწმუნოებისათვის.

მართალია, ასეთივე ხასიათის ფაქტებია აღწერილი რაჟდენისა და ევსტათეს მოწამეობრივი ღვაწლისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებში, მაგრამ განსხვავებით თავის წინამორბედთაგან, რომელთაც რაჟდენის და ევსტათეს ქრისტიანული რწმენისათვის წამების სიკვდილი წარმოადგინეს როგორც კონკრეტული ფაქტი, იოანე საბანისძე მაჰმადიანი აბოს ასეთ საქციელს ფართოდ ანზოგადებს, ისლამის წინაშე ქრისტიანობის როგორც ჭეშმარიტი რწმენის დასასაბუთებლად. იოანე საბანისძე დიდი მწერალია.თავის თხზულებას ის წინასწარ შედგენილი გეგმით წერს. საბანისძის თხზულებაში აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად დასავლეთ საქართველოში არსებული ისტორიული ვითარებაცაა წარმოჩენილი, საინტერესოა ჩრდილოეთკავკასიელ ხაზართა მისეული შეფასება, ქართლში არსებული არაბთა რეჟიმის დახასიათება...

ამ ნაწარმოებებით ქართულმა აგიოგრაფიამ მხატვრული ფორმითა და ხერხებით წარმოაჩინა ქრისტიანული რწმენის იდეური უპირატესობა დამპყრობელთა(მაზდეანობა, ისლამი) სარწმუნოებაზე.

უცხოელთა ბატონობის პირობებში გაბატონებული ერის წარმომადგენლის მიერ თავის დადება დაპყრობილი ერის სარწმუნოებისათვის დიდი ზნეობრივი მაგალითი უნდა ყოფილიყო ყველასათვის, იმათთვის, ვინც შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი, ამქვეყნიურ სიკეთეთა მოსაპოვებლად მტრის სარწმუნოებას იღებდნენ., მერყეობდნენ. იოანე საბანისძე დიდი შინაგანი ექსპრესიით, მაღალმხატვრულად აღწერს შექმნილ ვითარებას. მისი "აბო თბილელის მარტვილობა" ასეთთა გამხნევებას, მერყევთა გამხნევებას, მერყევთა დამოძღვრას, რწმენისაგან განდგომილთა შერცხვენასა და შერისხვას ისახავს მიზნად.

მართალია რაჟდენისა და ევსტათე მცხეთელის "წამებათა" ავტორნი ვერც მათი ნაწარმოებების მხატვრული დონით და ვერც მოვლენის არსის წვდომისა და განზოგადებით ვერ გაუტოლდებიან იოანე საბანისძეს, მაგრამ მათ მიერ ფიქსირებული ფაქტები უკვე მრავლის მთქმელია.

არაბთა მფლობელობის ხანასთან დაკავშირებულ მოვლენებს არაერთი აგიოგრაფიული თხზულება მიეძღვნა. მართალია, თავდაპირველად არაბქართველთა ურთიერთობა მშვიდობიანად მოგვარდა, ხელშეკრულებით გაფორმდა, მაგრამ, როგორც ცნობილია, უცხოელთა ბატონობა ქართველ ხალხს უბრძოლველად არასოდეს მიუღია და ხელსაყრელი ვითარების შექმნისთანავე იწყება ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა არაბთა წინააღმდეგ, ბრძოლა რომელსაც თაობები, ერის საუკეთესო შვილები ეწირებოდნენ.

ქართველთა ხანგრძლივი წინააღმდეგობის დათრგუნვას ისახავდა მიზნად ის დამსჯელი ექსპედიციები, რომელნიც VIII საუკუნის 20-იანი წლებიდან განსაკუთრებით გააქტიურდნენ, რომელთა შორის თავისი მასშტაბებითა და შედეგებით VIII საუკუნის 30-იან წლებში მურვან ყრუს ლაშქრობაა ცნობილი.

ამ დიდი დამსჯელი ექსპედიციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთი ეპიზოდია აღწერილი უცნობი ავტორის თხზულებაში, რომელსაც ეწოდება "წამებაჲ და ღუაწლი წმინდათა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი".

არგვეთელი მთავრების, დავით და კოსტანტინეს ვაჟკაცური გარეგნობის, სულიერი სიწმინდის აღწერის შემდეგ ავტორი მათ თავდადებულ ბრძოლაზე მოგვითხრობს და მათ დამარცხებას და მტრის ხელში ჩავარდნას, მტრისმრავალრიცხოვნებით ("ვითარცა ქვიშაჲ სიმრავლითა") ხსნის. ავტორი არ იშურებს ხატოვან და მაღალფარდოვან გამოთქმებს მათი თავდაჭერილობის, ჭეშმარიტი ქრისტიანობის, უშიშროების დასახასიათებლად.

მიუხედავად ყოველგვარი მცდელობისა (დაშინება, მოსყიდვა...) არგვეთელი მთავრების გატეხვას და მათ მიერ რწმენის ღალატს, მურვან ყრუმ ვერ მიაღწია; და აღასრულა განაჩენი, დავით და კოსტანტინე სიკვდილით დასაჯეს.

ამის შემდეგ ავტორი მოგვითხრობს დამპყრობთა მიერ სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს აოხრებაზე, საგანგებოდ აღწერს ბრძოლას ანაკოფიასთან.

აგიოგრაფი ხატოვნად აღწერს წმინდათა ნეშტების დაკრძალვას.

არაბთა ბატონობამ, რომელმაც ჩვენში თითქმის სამი საუკუნე გასტანა, დიდი მსხვერპლი მოიტანა. მათ წინააღმდეგ ბრძოლა, სხვადასხვა სახითა და ფორმით, არ შეწყვეტილა. არაერთი შეწირულის გმირობა აღიწერა, ბევრის მსხვერპლი აღუნუსხავი დარჩა. როგორც უკვე ითქვა, განსაკუთრებით მნიშვნელოვან პიროვნებათა ღვაწლი, მათი თავდადება ქვეყნისა და რწმენისათვის, ალბათ, მომხდარი ფაქტის შემდეგ მალე ფიქსირდებოდა (წერილობით, შეიძლება ზეპირად), მაგრამ ყველა არ შემორჩა ისტორიას, თუმცა ზოგის ისტორიამ ნაგვიანევ ხანაში ხელახლა აღწერილის სახით მოაღწია ჩვენამდე. ასეთთა რიგს განეკუთვნება წმინდა არჩილის მოწამებრივი აღსასრულისადმი მიძღვნილი თხზულება, რომელიც მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგდროინდელ მოვლენებს უკავშირდება და რომელიც XI საუკუნის ისტორიკოსის (ლეონტი მროველის)ავტორობით არის ცნობილი.

ის ვითარება, რომელიც IX საუკუნის დასაწყისიდან შეიქმნა ჩვენში, ადგილობრივ მეფემთავრებს არაბთა ორი მებრძოლი მხარის თბილისის ამირებისა და ცენტრალური სახალიფოს ძალის გარშემო აჯგუფებს. თბილისის ამირათა და ხალიფათა ბრძოლა აქ თავისი ხელისუფლების დამკვიდრებისათვის ტრაგიკული შედეგების მომტანი იყო ქართველებისათვის.

ასეთი ტრაგიკული მოვლენის შესახებ მოგვითხრობს IX საუკუნის უცნობი ავტორის თხზულება “ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა მოწამისა კოსტანტისი ქართველისაჲ, რომელი იწამა ბაბილოვნელთა მეფის ჯაფარის მიერ”.

თხზულებაში აღწერილია 852 – 853 წლებში ხალიფა მუთავაქილის მიერ(847 – 861) ამიერკავკასიაში ბუღათურქის სარდლობით გამოგზავნილი დამსჯელი ექსპედიციის ლაშქრობის შესახებ. “მარტვილობა” ძალიან მოკლეა და მასში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ზოგად მსჯელობას სასულიეროსაისტორიო მწერლობის შესახებ. თვით გმირის ხანგრძლივი სიცოცხლის შესახებ (ის 85 წლისა იყო როდესაც აღესრულა მოწამეობრივად) მცირე ცნობებია. სახელდობრ – არაა ცნობილი, თუ ვინ იყო ის, ან რა ადგილი ეკავა იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში. მარტვილობაში ზოგადადაა ნათქვამი, რომ ის “იყო მთავარი ვინმე ქუეყანისა ქართლისასა, სანახებსა ზენა სოფლისასა, კაცი რომელსა სახელი ერქუა კოსტანტი, რომელსა ეწოდა კახი სახელად მამულისა მის ქუეყანისა. კაცი ესე იყო წარჩინებული ფრიად და დიდ ყოველსა ქუეყანისა ქართლისასა, ფრიადი სიმდიდრეჲ აქუნდა და მრავალი შუებაჲ აქუნდა ამის სოფლისაჲ, და განთქმულ იყო სახელი მისი ქუეყანათა შორიელთა, ვიდრემდის მეფეცა* მისმენილ იყო მისთვის”.

თხზულებაში არ არის აღნიშნული თუ სად მოხდა ბრძოლა. იყო თუ არა კოსტანტი თბილისის ამირას მოკავშირე IX საუკუნის შუა წლებში შექმნილ ვითარებაში ბუღას წინააღმდეგ.

როგორც აღვნიშნეთ, თხზულება ძალიან მოკლეა და შეიცავს ძუნწ ცნობებს მთავარი მოქმედი პირის საქმიანობის შესახებ, ამავე დროს თხზულებას შესავლის სახით წამძღვარებული აქვს ავტორის უაღრესად საინტერესო თეორიული მსჯელობა სასულიეროსაისტორიო მწერლობის წარმოშობის და განვითარების შესახებ. ავტორის თქმით, “დიდმან მან მოსე პირველად იწყო აღწერად შესაქმისა ცისა და ქუეყანისა, რომელი არასადა ეხილვა, არამედ

უწყებითა სულისა წმიდისაჲთა აღწერა იგი, ვითარცა თუალთა ხილული. და მისა შემდგომად აღწერნა სხაუნიცა წიგნნი, რომელთა შინა აუწყა გამოსვლაჲ იგი ძეთაჲ ისრაელისათაჲ შემდგომითიშემდგომად ვიდრე აღსრულებამდე მისა". მოსეს შემდეგ აღწერეს წინასწარმეტყველთა ქადაგებანი "რომელსა ქადაგებდეს მოსვლისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა და ხორციელად ღუაწლისა მისისათვის. ხოლო შემდგომად მოსვლისა უფლისასა ჩუენისა იესო ქრისტჱსა აღწერნეს ოთხნი ევანგელენი... ამისა შემდგომად საქმენი მოციქულთანი...", მაგრამ რადგან ქრისტიანობის მტრები არ დასცხრნენ და აიძულებდნენ მორწმუნეთ კერპთათვის ეცათ თაყვანი "ხოლო რომელნი არა ერჩდეს მათგანნი, მოსწყუედდეს მათ პირითა მახუილისაითა და ცეცხლითა დასწუევდეს". და რათა არა გამქრალიყო ამ მოძღვართა ნამოქმედარი და მემკვიდრეობას დარჩენოდა ცნობა მათი საგმირო საქმეების შესახებ "მაშინ აღვინმე დგეს კაცნი მორწმუნეთაგანნი. იწყეს აღწერად ცხორებაჲ წმიდათა მოწამეთაჲ".

როგორც ვხედავთ, უკვე IX საუკუნეში ქართულ ისტორიულ მწერლობაში გარკვეული შეხედულება ყოფილა სასულიეროსაისტორიო მწერლობის წარმოშობის და დანიშნულების შესახებ და ეს შეხედულება თეორიულად დასაბუთებული და გადმოცემული აქვს ავტორს. ეს გარემოება ამ ხანის ქართული საისტორიო აზროვნების მაღალ განვითარებასა და დახვეწილობაზე მიუთითებს და თვით ავტორის დიდი განათლებაზე მეტყველებს.

თხზულების ავტორი მოქმედების დროს ნაწარმოებში განსაზღვრავს ბიზანტიის დედოფლის ზეობით, ამავე დროს თხზულება უშუალო დამკვირვებლის მიერ დაწერილის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. აღნიშნულის საფუძველზე ივანე ჯავახიშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ "ამ თხზულების დამწერი საბერძნეთში მყოფი რომელიმე ბერი ხომ არ იყო".

ავტორი თხზულებისა, წერს კ. კეკელიძე, "არის თანამედროვე კოსტანტისი"... და მარტვილობა "უნდა იყოს დაწერილი 853 – 856 წლებში".

მარტვილობა, როგორც აღვნიშნეთ, მიუხედავად მისი სიმოკლისა, უაღრესად სანდო წყაროა, მნიშვნელოვანი ცნობების შემცველი IX საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის. ამასთანავე, ეს თხზულება მიუთითებს იმდროინდელი ქართული საისტორიო აზროვნების მაღალ დონეზე, რისი თქმის უფლებასაც იძლევა ავტორის თეორიული მსჯელობა სასულიეროსაისტორიო მწერლობის წარმოშობისა და მისი განვითარების გზების შესახებ.

ამავე ხასიათის თხზულებაა (შინაარისის თვალსაზრისით) X საუკუნის ქართველი ისტორიკოსის სტეფანე მტბევარ ეპისკოპოსის "წამება წმიდისა მოწამისა გობრონისი, რომელ განიყვანეს ყველის ციხით". ეს მარტვილობა "მე სტეფანე მტბევარ ეპისკოპოსმან, წერს ავტორი, – დავსწერე ბრძანებითა აშოტ ერისთავთა ერისთავისაჲთა". აქაც, ისევე როგორც კოსტანტი – კახის მარტვილობაში, აღწერილია მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთი ეპიზოდი, სახელდობრ, ყველის ციხის ალყა, ერისთავის მიხეილგობრონის შეპყრობა და წამება აბულ კასიმ აბუსაჯის მიერ.

"გობრონის მარტვილობა" დაწერილი უნდა იყოს 910 – 918 წლებში. ის მოგვითხრობს 907 – 914 წლებში აზერბაიჯანის საჯი ამირას აბულკასიმ აბუსაჯის ძის ლაშქრობის შესახებ. საჯი

ამირები ფაქტობრივად დამოუკიდებელი მმართველები იყვნენ, ფორმალურად თავს ხალიფთა ქვეშევრდომებად აცხადებდნენ და X საუკუნის დასაწყისში დიდ ბრძოლებს აწარმოებდნენ ამიერკავკასიის დასაპყრობად და ამას ხალიფას ხელისუფლების აღდგენისათვის ბრძოლად აცხადებდნენ.

ამირა საჯმა დალაშქრა სომხეთი, მიადგა ქ. დვინს. სომეხთა მეფე სუმბატმა თავის მოკავშირე აფხაზთა მეფესთან შეაფარა თავი. სომხეთიდან საჯი ამირა საქართველოსაკენ გამოემართა და მოადგა "ციხესა მას ყველისასა, რომელი იყო გურგენ ერისთავთერისთავისასა, რომელსა შინა იყუნეს აზნაურნი წარჩინებულნი და სანატრელი მოწამენ ქრისტენსი გობრონ მათ თანა". 28 დღე იდგა მტერი ციხის ალყად. ორასი გმირი იცავდა ციხეს. ბოლოს დანებდნენ. გამოიყვანეს ციხის დამცველნი და იგივე ისტორია გამეორდა. აბულ კასიმი გობრონისაგან სარწმუნოების შეცვლას და სამაგიეროდ დიდ პატივს პირდება და რადგან გობრონი არ თანხმდება მის წინადადებას, მასაც სიკვდილით სჯიან.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე ესაა ქართულ ჰაგიოგრაფიაში მარტვილობათა ჟანრის ბოლო თხზულება.

აღნიშნული ხანის ქართულ მწერლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აგიოგრაფიულ "ცხოვრებათა" ჟანრის თხზულებებს.

"ცხოვრებათა" ჟანრის უძველესი აგიოგრაფიული თხზულება ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ნაწარმოები უნდა იყოს.

"ცხოვრებათა" ჟანრის თხზულებათა გარკვეული ციკლი უკავშირდება ჩვენში ე. წ. "ასურელ მამათა" მოღვაწეობას, რომელთა ქართლში მოსვლას მკვლევართა ნაწილი V საუკუნით, ხოლო მკვლევართა უმრავლესობა VI საუკუნით ათარიღებს. ისინი ყველანი ერთდროულად არ მოსულან, მაგრამ მაინც თითქოს უფრო დასაბუთებული ჩანს მოსაზრება მათი მოსვლის საწყის ეტაპად VI ს-ის დასაწყისს რომ მიიჩნევს. სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა მათი ეროვნული კუთვნილების საკითხის ირგვლივ, ვინ არიან ისინი წარმოშობით, სირიელები, თუ სიარიაში განათლებამიღებული ქართველები. ვინ არიან ისინი მრწამსით: მონოფიზიტი ქრისტიანები, თუ ქალკედონელები. ამ სადავო საკითხებზე პასუხის გაცემა რთული და ძნელია, მაგრამ რადგან მათი საქართველოში მოსვლის დროისათვის ჩვენში კონფესიური პრობლემა ქალკედონიზმის სასარგებლოდ წყდებოდა, ეს "მამებიც" ალბათ ამ მრწამსის აღმსარებელნი და მქადაგებელნი უნდა ყოფილიყვნენ. აგრეთვე, ეროვნულ კუთვნილებაზე არანაკლები (მეტი თუ არა) მნიშვნელობა აქვს მათ დიდ ღვაწლს. წარმართობასთან ბრძოლას, ქართული ეკლესიის გავლენის სფეროების გაფართოვებისა და ქრისტიანობის განმტკიცების საქმეში.

მოიხსენებენ, როგორც წესი, 12 ან 13 სირიელ მამას, მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, ეს შეიძლება საკრალური ციფრი იყოს, და ისინი ალბათ მეტნი იყვნენ. როგორც ითქვა ამ "მამებს" უდიდესი ღვაწლი მიუძღვით ქართული ეკლესიის გაძლიერების საქმეში წარმართობასთან ბრძოლის პირველ ხანებში; ისინი არიან საქართველოში სამონასტრო ცხოვრების ერთერთი პირველი დამფუძნებელნი და ორგანიზატორები.

სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერია, რომ ქართველ მოღვაწეებს ეზრუნათ თავისი ქრისტიანული ეკლესიის ამ მოამაგეთა სახელების უკვდავსაყოფად. როგორც ვარაუდობენ მათი "ცხოვრებანი" ადრეც უნდა აღწერილიყო (VII საუკუნეში?), მაგრამ ჩვენამდე IX – X და შემდგომ საუკუნეებში დაწერილმა (თუ გადაკაზმულმა?) "ცხოვრებებმა" მოაღწიეს.

ინტერესი ამ დიდი პიროვნებების მოღვაწეობისადმი მნიშვნელოვანი იყო XI – XII და XVII – XVIII საუკუნეებშიც. აქვე უნდა შევნიშნოთ, როგორც არ უნდა ყოფილიყო მოსული "მამების" მრწამსი, IX – X საუკუნეების მათი "ცხოვრების" ავტორებისა თუ რედაქტორ-შემავსებლებისათვის ისინი მხოლოდ მართმადიდებელნი შეიძლება ყოფილიყვნენ. ასე რომ არ არის გამორიცხული რომ მათაც შეეხო მეტაფრასების ხელი.

"ცხოვრებათა" ტექსტებში მოთხრობილია მათი მოსვლისა და საქართველოს სხვადასხვაა კუთხეებში დამკვიდრების ამბავი, მათი მოღვაწეობა, ქრისტიანობის პროპაგანდაგანმტკიცების მიზნით. ავტორთა მიერ უხვადაა მოტანილი, როგორც ურყევი ჭეშმარიტება, მრავალრიცხოვანი სასწაულები დაკავშირებული მათ მოღვაწეობასთან.

ისტორიული წყაროების თვალსაზრისით, ასურულ მამათა "ცხოვრებების" მნიშვნელობა შედარებით მცირეა, მაგრამ ეს "ცხოვრებანი" გარკვეულ ინტერესს ბადებენ ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და მისი მიმართულებების გარკვევის თვალსაზრისით. ამ მხრივ ასურელ მამათა "ცხოვრებანი"გარკვეული თვალსაზრისით იმავე პოზიციაზე დგანან და იმავე შეხედულებების დამცველნპროპაგანდისტები არიან,რაც "წმინდა ნინოს ცხოვრების" შატბერდულ რედაქციაშია მოცემული. ასეთ მოსაზრებას ვაყენებთ მიუხედავად იმისა, რომ ეს "ცხოვრებანი" აშკარად მიუთითებენ ქართული ეკლესიის თუ საეკლესიო ტრადიციის კავშირზე სირიულ სამყაროსთან, რადგან მთავარი, რაც იდეურად აკავშირებს ამ "მამათა ცხოვრებებს" IX – X საუკუნეების ქართულ საისტორიო მწერლობასთან და საზოგადოებრივ აზროვნებასთან, ესაა: წმინდა ნინოს, ე. ი. საკუთარი განმანათლებლის კულტი და ქრისტიანობის იდეის პროპაგანდა საკუთარი წმინდანების მაგალითით.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საისტორიო მეთოდებისა და წერის ხერხების განვითარების თვალსაზრისით, ასურელ "მამათა ცხოვრებებს" ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალი არაფერი შეაქვთ და შინაარსობრივადაც ძირითადად სასწაულებზე აგებულ თხრობას წარმოადგენენ.

ამ ხანის ქართული ეკლესიის მიდრეკილებებისა და მიმართულების საკითხის გარკვევისათვის მნიშვნელობა აქვს ცნობილი ქართველი სასულიერო მოღვაწის ილარიონ ქართველის "ცხოვრებას".

ილარიონ ქართველი წარმოშობით კახეთიდან იყო, წარჩინებული ოჯახიდან. იმ დიდი დამსახურებისათვის, რომელიც ილარიონს მიუძღოდა ბერძნული ეკლესიის წინაშე, იმპერატორ ბასილ I-ის (867 – 886) ბრძანებით მისი ნეშტი კონსტანტინოპოლში გადმოუსვენებიათ და დაუსაფლავებიათ 876 წელს იმპერატორის ბრძანებით ილარიონის მოწაფეთათვის აგებულ ჰრომანას მონასტერში.

ილარიონის ცხოვრება და მოღვაწეობა ძირითადად სამშობლოს გარეთ მიმდინარეობდა, თუმცა დაახლოვებით 15 წელი მას მშობლიურ კახეთში გარეჯის უდაბნოშიაც დაუყვია.

ილარიონ ქართველის ცხოვრება და მოღვაწეობა სრულიად აშკარად ამჟღავნებს ქართული ეკლესიის მიერ ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას აღმოსავლურ, სომხურსირიულქრისტიანობასთან და კურსის დასავლეთისაკენ აღებას.

ილარიონ ქართველის მოღვაწეობა დაკავშირებულია იერუსალიმთან, ბითვინია კონსტანტინეპოლსა, მაკედონიასა და რომთან. ბითვინიის ოლიმპიაში ილარიონ ქართველმა საფუძველი ჩაუყარა ქართველთა სამონასტრო მშენებლობას.

ილარიონ ქართველის "ცხოვრება" უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ბიზანტიის იმპერიაში ქართველთა სამონასტრო კოლონიზაციისა და ბერძენქართველთა ისტორიული თუ ლიტერატურულკულტურული ურთიერთობის საკითხების შესასწავლად.

"ცხოვრების" ავტორის ტენდენცია და მისწრაფებაა აჩვენოს დასავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან ურთიერთობის მნიშვნელობა და პროპაგანდა გასწიოს დასავლეთის ქართულ მონასტრებში ქართველი ბერების მიზიდვის მიზნით.

"ცხოვრების" ჟანრის თხზულებათაგან ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბასილ ზარზმელის თხზულებას "ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი" და გიორგი მერჩულეს თხზულებას "შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაი მწიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაჲ და მის თანა ჴსენებაი მრავალთა მამათა ნეტართაჲ".

ბასილ ზარზმელის თხზულების დაწერის და მასში მოთხრობილი მოვლენების დათარიღება VII – X საუკუნეებს შორის მერყეობს.

ბასილ ზარზმელის "სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება" ერთერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა ადრეშუასაუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის, ხოლო მასში დაცული ცნობებით და შინაარსით – ეპოქის ერთერთი უაღრესად საინტერესო ძეგლია.

"სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში" სერაპიონისა და მისი თანამოღვაწეების მიერ სამცხის პროვინციაში სამონასტრო ადგილის ძიების ფონზე მოცემულია საქართველოს ამ ერთერთი კუთხის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ცოცხალი სურათი.

თხზულებაში, რომელშიც მოცემულია სამცხის სამონასტრო კოლონიზაციის სურათი, წარმოდგენილია იმდროინდელი საქართველოს ეკლესიამონასტრების ცხოვრება. იმდროინდელი ქართული ეკლესია საკმაოდ ძლიერი ორგანიზაცია იყო, განვითარებული იერარქიული სტრუქტურით. "სერაპიონზარზმელის ცხოვრებიდან" კარგად ჩანს ეკლესიამონასტრების ტენდენციები მსხვილი მამულების შექმნის, რაც სხვა წყაროებით, კერძოდ "გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებითაც" კარგად დასტურდება.

ისტორიული აზროვნების განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ თხზულებაში აღძრულ თეორიულ მსჯელობას გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრების აღწერის საკითხთან დაკავშირებით, თხზულების თანახმად, გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრების აღწერა საპატიო და აუცილებელი საქმეა. ავტორი თავის თხზულებას ასე

იწყებს: “ფრიად უკეუ შეუნიერისა და მრავალსაწადელისა და საღმრთოჲსა ქებისა და ბრწყინვალეთ შესხმისა ღირს არიან მოყუარენი ღმრთისანი და აღმასრულებელნი საღმრთოთა მცნებათა მისთანი”. მათ თვით უფალი ეუბნება, რომ “სახელები თქვენი აღწერილ არს ცათა შინა”. და რადგან მათი სახელები “ცათა შინაა” აღწერილი, რასაკვირველია, აუცილებელია მათი “ქვეყანასა ზედა” აღწერა.

ბასილ ზარზმელის თხზულებაში მოცემულია გარკვეული მოძღვრება საისტორიო ნაწარმოების ფორმისა და მისი წერის ხერხების შესახებ. ბასილ ზარზმელის თხრობის გეგმა ჰქონდა შედგენილი, მას არ დაუსახავს მიზნად სერაპიონის მთელი თავგადასავლისა და მოღვაწეობის აღნუსხვა. მას განუზრახავს “მცირე ესე სიტყჳსამიერი გამოხატვა ვრცელისა მის ფრიად საწადელისა ცხოვრებისაჲ მისისაჲ და აწინდელისა აქა შემოკრებისაჲ”. ასე რომ ბასილის ნაშრომი “შეიცავს მხოლოდ დიდი სურათის პატარა მონახაზს, დიდი მოვლენის მოკლე აღწერას”. ასეთი შერჩევითი და გამოკრებითი აღწერა ავტორისაგან სათანადო დახელოვნებას და ამავე დროს ტაქტს მოითხოვს. “მისი თხზულება ეხება რამდენიმე საკითხს და ავტორი ყოველთვის ჯერ აცხადებს, რის გამორკვევა, დაწერა და დამტკიცება ჰსურს, ხოლო შემდეგ მოჰყავს აღნიშნული აზრის დამასურათებელი და დამამტკიცებელი ცნობები და ამბები”. თხზულება დაყოფილია რამდენიმე ნაწილად, ყოველ ნაწილს წინ უძღვის სათაურის მსგავსი შინაარსის მაუწყებელი წინადადება, როგორც წესი, ავტორი მისდევს და იცავს მის მიერ შედგენილ გეგმასა და თხრობის წესს, მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში უშვებს გადახვევებს, რაც თხრობის ცხოველმყოფელობის გაძლიერებას ისახავს მიზნად. ასეთ შემთხვევებში ბასილი ყოველთვის მიუთითებს თავის “წიაღსვლებზე” (ივ. ჯავახიშვილი).

ამგვარად, ბასილ ზარზმელის “სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების” სახით ჩვენ გვაქვს ადრე შუასაუკუნეების ისტორიოგრაფიის ერთერთი საუკეთესო ნიმუში, რომელიც იძლევა მდიდარ მასალას ქვეყნის სოციალეკონომიკური თუ კულტურის ისტორიისათვის და რომელშიაც, ამასთან ერთად, მოცემულია ავტორის თვალსაზრისი ისტორიულ პიროვნებათა მოღვაწეობის აღწერის აუცილებლობის და აგრეთვე ამ “ცხოვრების” დაწერის გეგმისა თუ წესის შესახებ. აღნიშნული გარემოება ისტორიული თხზულების შედგენის ტექნიკის მაღალგანვითარებაზე მეტყველებს.

ამასთანავე, უნდა შევნიშნოთ, რომ “სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებას” ახლავს ერთი დიდი ნაკლი, ესაა თხზულების უთარიღობა. აღნიშნული გარემოება იწვევს მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას, და როგორც აღნიშნულია, ბასილ ზარზმელის მოღვაწეობის თარიღები VIX საუკუნეებს შორის მერყეობს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მიუხედავად თხზულების საერთო რეალური ხასიათისა, ის მაინც ხარკს უხდის შუასაუკუნოებრივ აზროვნებას და მოვგითხრობს სასწაულებზე. ეს სასწაულები საერთოდ ამოვარდნილია თხზულების შინაარსიდან, მისი სტილიდან და სრულიად სამართლიანია ივ. ჯავახიშვილის შენიშვნა, რომ “საბედნიეროდ ორიოდე ამგვარი “სასწაულმოქმედების” ამბავი ისტორიულს მოვლენას არ ეხება”.

ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ “სერაპიონის ცხოვრება” ხელუხლებლივ იმ სახით არ არის შენახული, როგორც იგი დაუწერია ავტორს”. კ. კეკელიძის აზრით “მეტაფრასული რედაქცია “ამ ცხოვრებისა” ეკუთვნის მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრის ავტორს და შესაძლებელია, სრულიად სამართლიანი იყოს ვარაუდი, რომ ეს სასწაულმოქმედებანი მეტაფრასის მიერაა შეტანილი.

გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრებისა და შემოქმედების აღწერილობამ, ფორმისა და შინაარსის მხრივ, განვითარების უმაღლეს საფეხურს X საუკუნის შუა წლების ქართველი მწერლის გიორგი მერჩულეს თხზულებაში მიაღწია.

გიორგი მერჩულეს თხზულების სრული სათაურია: “შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხოვრებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ ხანცთისა და შატბერდისა აღმაშჱნებლისაჲ და მის თანა ჴსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაი”.

თხზულების დაწერის თარიღად 950 წელია მითითებული.

“გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში” აღწერილია VIII – X საუკუნეების საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესები, კერძოდ, და სპეციალურად, ტაოკლარჯეთში გაშლილი დიდი სამონასტრო მშენებლობა, ამ მშენებლობის სულის ჩამდგმელორგანიზატორის გრიგოლ ხანცთელის და მის მოწაფეთა მოღვაწეობა.

როგორც ცნობილია, გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების აღმწერ თხზულებას ჩვენამდე პირვანდელი სახით არ მოუღწევია. 958 – 966 წლებში ის განუახლებია ბაგრატ ერისთავთერისთავს, რომელსაც მასში რამდენიმე სასწაული ჩაურთავს.

გიორგი მერჩულე, რომელმაც ღირსშესანიშნავი ნაშრომი შესძინა ქართულ მწერლობას, თვითონ თავის თხზულებას ძალიან მარტივ დანიშნულებას ანიჭებს. ავტორის სიტყვით ეს შრომა მან დაწერა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო “ნათესავითნათესავადმდე უკუნისამდე მოთხრობად ყოველთა, რაითამცა ერი დაბადებადი აქებდა უფალსა ხსენებისა მათისა დღესასწაულისა”. ამდენად, ეს “ცხოვრება” დღესასწაულის დროს ეკლესიაში საკითხავ წიგნად ყოფილა განკუთვნილი, რომ ეკლესიაში მყოფ მომავალ თაობას მოსმენის დროს ქება აღევლინა უფლისადმი.

როგორც ცნობილია, ამ თხზულებამ და ამავე მიზნით დაწერილმა სხვა თხზულებებმა გადალახეს თავისი თავდაპირველი დანიშნულების ფარგლები და ყოველმა მათგანმა თავისი შესაფერისი ადგილი დაიკავა ქართული კულტურის ისტორიაში და საკუთრივ ქართულ მწერლობაში.

გიორგი მერჩულეს თხზულებაში კიდევ უფრო გაღრმავებულია და მკვეთრადაა გამოხატული სასულიერო ხელისუფლების ის უპირატესობის იდეა საერო ხელისუფლების წინაშე, რაზეც გარკვეული მითითება, “სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაშიც” არის.

გიორგი მერჩულე თავის თხზულებაში აშკარად ატარებს სამოქალაქო ხელისუფლებაზე სასულიერო ხელისუფლების უპირატესობის აზრს.

სრულიად უდავოა, რომ სასულიერო ხელისუფლება ცდილობს მოიპოვოს უპირატესობა საერო ხელისუფლებაზე. ყველაზე მწვავედ ეს ტაოკლარჯეთში იგრძნობა, სადაც VIIIX საუკუნეებში დიდი სამონასტრო მოძრაობაა და სადაც ძლიერდება ეკლესიის შავი ფრთა. ამავე დროს, აქ ისეთი დიდი ავტორიტეტები არიან, როგორიცაა მიქელ პარეხელი, საბა იშხნელი, სერაპიონ ზარზმელი და განსაკუთრებით, გრიგოლ ხანცთელი, რაც აგრეთვე ასვამს დაღს დამოკიდებულებას საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც რომ ცნობებს ამ საკითხზე ჩვენ დიდ საეკლესიო მოღვაწეთა "ცხოვრებები" გვაწვდიან. ამ "ცხოვრებათა" ავტორები საერო და სასულიერო ხელისუფალთა ურთიერდაპირისპირების შემთხვევაში ცდილობენ უპირატესობა საეკლესიოსამონასტრო მოღვაწეებს მიანიჭონ. მაგრამ საქმის ნამდვილი ვითარება, მაინც იმავე წყაროების ცნობებით ხდება აშკარა.

IX – X საუკუნეები ის ხანაა საქართველოს ისტორიაში, როდესაც ერთიანი სამოქალაქო ხელისუფლება მთელი საქართველოს მასშტაბით ჯერ არ არსებობს, ხოლო ერთიანი საეკლესიო ხელისუფლება მთელი საქართველოს მასშტაბით უკვე არსებობს. საერო და საეკლესიო ხელისუფლებას შორის ჭიდილია.

სამხრეთდასავლეთ საქართველოში, ქართველთა სამეფოში, ქვეყნის დაქსაქსულობა და მთავართა სიმრავლე გავლენას ახდენს ადგილობრივ "ხელმწიფეთა" ძალზე და ხელსაყრელ პირობას ქმნის სასულიერო ხელისუფლების როლის წინ წამოწევისათვის. მაგრამ ეს ჭიდილი საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის გამოდის ცალკეულ სამეფოსამთავროთა ფარგლებიდან და მთლიანი საქართველოს მასშტაბით ვითარდება. დგება ქართული ეკლესიის მიერ ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისადმი თავისი დამოკიდებულების გამოვლენის საკითხი და, როგორც ცნობილია, ქართული ეკლესია ამ გაერთიანების მომხრედ, სამეფო ხელისუფლების გაძლიერების მომხრედ გამოდის და ქართველ მეფეთა ერთერთი უძლიერესი დასაყრდენია საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში, რაც თავისთავად წყვეტს საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის ჭიდილის საკითხს სამოქალაქო ხელისუფლების სასარგებლოდ.

ამგვარად, "გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში", როგორც IX – X საუკუნეების საქართველოს ცხოვრების ამსახველი საისტორიო ნაწარმოებში, სხვა მხარეებთან ერთად, აშკარად ვლინდება ამ ხანის იდეურპოლიტიკური ბრძოლის, საერო და სასულიერო ხელისუფლების დაპირისპირების მტკივნეული საკითხები და მიუხედავად ავტორის ტენდენციურობისა, მაინც ჩანს საერო ხელისუფლების უპირატესობა.

როგორც ცნობილია, აგიოგრაფიული თხზულებების თავდაპირველი დანიშნულება წმინდანთა ხსენების დღეს მათი მოღვაწეობის მრევლისათვის მოთხრობა იყო. ამ თხზულებებმა ადრე გადალახეს მათთვის მიკუთვნებული დანიშნულება. აქვე გვსურს შევნიშნოთ, რომ სწორედ მათი დანიშნულება უფლებას იძლევა ვარაუდისათვის, რომ ასეთი ხასიათის თხზულებები წმინდანის გარდაცვალების შემდეგ მალე უნდა დაწერილიყო. ხოლო შემდეგ ხდება მათი შევსება, რევიზია, გავრცობა.

საერო, საისტორიო მწერლობა. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებამ შექმნა საფუძველი ქართული ქრისტიანული მწერლობის წარმოშობისა და განვითარებისათვის. როგორც უკვე ითქვა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებშივე იქმნება ორიგინალური ქართული საისტორიო თხზულებები წმინდანთა "წამება" – "ცხოვრებები", ისტორიული "ქრონიკები".

წმინდანთა "წამება""მარტვილობები" დიდ გავლენას ახდენს სამოქალაქოსაისტორიო მწერლობის განვითარებაზე, მაგრამ ადრეშუასაუკუნეების ქართული საისტორიო მწერლობა ძირითადად ანტიკურ ხანაში არსებული ისტორიული ფაქტების ფიქსაციის ადგილობრივ ტრადიციას ეყრდნობა, ამასთანავე, ჩამოყალიბების პროცესში, ცდილობდა რა შეექმნა საკუთარი ქვეყნის ისტორიის ახალი ქრისტიანული კონცეფცია, განიცდიდა ქრისტიანული ისტორიული ლიტერატურის გავლენას, რომელიც თავის მხრივ, მსოფლიო ისტორიის ბიბლიურ სქემას ეფუძნებოდა.

ამასთანავე, იყენებდა მდიდარ ზეპირ ტრადიციაში ასახულ ხალხის უძველესი ისტორიის შესახებ არსებულ გადმოცემებს.

უძველესი საისტორიო ნაწარმოებები ჩვენში წინაქრისტიანულ ხანაში უნდა იყოს შექმნილი. მართალია, იმდროინდელ თხზულებებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ, მაგრამ მათი ცალკეული ფრაგმენტები შუასაუკუნოვან მატიანეებშია შესული.

წინაქრისტიანული ხანიდან ხელთა გვაქვს ისტორიული ხასიათის წარწერები არმაზულარამეულ, ბერძნულ, ებრაულ ენებზე.

ქრისტიანობის შემდგომდროინდელი ხანიდან უკვე ხელთა გვაქვს ქართულად შესრულებული საისტორიო ხასიათის წარწერები. საისტორიო ხასიათისაა ბოლნისის V საუკუნის წარწერები, VII ს. მცხეთის ჯვრის და სხვა წარწერები, რომელნიც ტაძრის მშენებლობაზე, მის მშენებლებზე მოგვითხრობენ. მართალია, ამ წარწერებს ვიწრო მიზნობრივი დანიშნულება აქვთ და ისინი არ იძლევიან ისეთი ფართო ისტორიული ხასიათის ინფორმაციას როგორსაც მაგ.: ასურეთის და ურარტუს მეფეთა წარწერები, ან ცნობილი ბეჰისტუნის წარწერა, რომელნიც დიდ ლაშქრობებს, მტერზე გამარჯვებებს აღნუსხავენ და უკვდავყოფენ, მაგრამ ქრისტიანობის შემდეგდროინდელი ქართული წარწერები ისტორიული მნიშვნელობის მოვლენების ფიქსაციას ისახავენ მიზნად. ჩანს ანტიკური ხანის საქართველოში არსებობდა დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენების ქვაზე ამოკვეთის ტრადიცია, რისი დასტურიცაა მცხეთაში მიკვლეული ე. წ. "გამარჯვების სტელა" ქართლის მეფისა.

ხალხური საისტორიო სიტყვიერება უპირატესად დიდ პიროვნებებზე, ქვეყნისა და ხალხის წინაშე დამსახურებულ მოღვაწეებზე, სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებზე მოგვითხრობს და ქებას ასხამს მათ. წინაქრისტიანულ ხანაში შექმნილია გარკვეული ტრადიცია და წარმოდგენა იმისა, თუ რა იმსახურებს მომავალ თაობათათვის გადაცემის უფლებას, რა და ვინ არის ისტორიის საგანი, ვისზე ითქმის ზეპირად თუ იწერება. ანტიკურ ხანაში შექმნილ ამ ტრადიციას განუხრელად აგრძელებს შუასაუკუნოვანი ქართული ისტორიოგრაფია.

ქართულად დაწერილი ჩვენამდე მოღწეული, პირველი ისტორიული ხასიათის ნაწარმოებები ჩვენში ქრისტიანობის მქადაგებელ მოციქულთა სწორის წმინდა ნინოს "ცხოვრება" და წმინდანად შერაცხილთა "წამება""ცხოვრებები" იყო.

ადრეშუასაუკუნეებში განათლებულ ქართულ საზოგადოებას ანტიკური ხანიდან მოყვებოდა ინტერესი საკუთარი თუ სხვა ხალხების და ქვეყნების ისტორიული წარსულისადმი. შუა საუკუნეებში ამ ინტერესმა ახალი სახე და ახალი მიმართულება მიიღო. კონკრეტულად გამოიკვეთა ინტერესი საკუთარი ქვეყნის თანმიმდევრული ისტორიისადმი, გაიზარდა მოთხოვნილება, როგორც საკუთარი ისე, მსოფლიო ისტორიის ცოდნისადმი. ე. წ. მსოფლიო ისტორია ეკლესიურქრისტიანული იდეოლოგიის და ისტორიოგრაფიის პრინციპებს ემყარებოდა და ადრეშუასაუკუნეებში ითარგმნებოდა მსოფლიო ისტორიის ამსახველი თხზულებები. X საუკუნემდე ბერძნულიდან ქართულად არაერთი საისტორიო ნაწარმოები ითარგმნა, მაგ.: ევსევი კესარიელის "საეკლესიო ისტორია", იპოლიტე რომაელის "ებისტოლჱ მოციქულთათჳს თუ სადა ქადაგეს, სახელი სამეოცდა ათთა მოციქულთაჲ", კირილე იერუსალიმელის სამი ისტორიული თხზულება. X საუკუნეში არაბულიდან თარგმნეს VII საუკუნეში ბერძნულიდან არაბულად ნათარგმნი "წარტყუენაჲ იერუსალჱმისაჲ" და სხვ.

ასეთი რიგის ნაწარმოებების თარგმნა ისტორიისადმი ინტერესისა და ისტორიული აზროვნების არსებობაზე მეტყველებს.

ისტორიისადმი ინტერესის გაზრდის ერთერთი მიმანიშნებელი შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ როგორც ჩანს ამავე პერიოდში (VIII – IX საუკუნეთა მიჯნა) დაამუშავეს ქართველებმა წელთაღრიცხვის საკუთარი ქართული სისტემა.

X საუკუნეში ქართულად შედგენილია კრებული, რომელიც "შატბერდის კრებულის" სახელწოდებით არის ცნობილი, რადგან გადაწერილია დღეს თურქეთის შემადგენლობაში მყოფ ქართული კულტურის ერთერთ უძველეს კერაში (შატბერდში). ეს კრებული წარმოგვიდგენს იმდროინდელი განათლებული საზოგადოებისათვის აუცილებელი ცოდნის სფეროს... ამ კრებულში, რომელსაც მართებულად უწოდებენ "სასწავლო წიგნს", შესულია ის თხზულებები, რომელთაც იმ დროისათვის საგანმანათლებლო და სასწავლო მნიშვნელობა ჰქონდათ. ასეთ ენციკლოპედიურ კრებულებს იცნობს ადრეშუასაუკუნეების მეცნიერული სამყარო, ასეთი კრებულები ჰქონდათ ქრისტიანულ ქვეყნებში, ბიზანტიაში, ძველ რუსეთში. ასეთი კრებულები ცოდნის მრავალ დარგს მოიცავდნენ. მათში უპირველეს ყოვლისა შეჰქონდათ საღვთისმეტყველო თხზულებები, საბუნებისმეტყველო ნაწარმოებები, ისტორიული, გრამატიკული ხასიათის ნაშრომები.

"შატბერდის კრებულის" შემდგენელმა თავი მოუყარა და "სასწავლო წიგნში" გააერთიანა ისეთი თხზულებები, რომელთაც ჰქონდათ საგანმანათლებლო და შემეცნებითი მნიშვნელობა, ეს "კრებული" ამასთანავე გამოხატავს იმ საზოგადოების ცოდნის დონეს და ინტერესებს, რომლისთვისაც ის იქმნებოდა.

ამ კრებულში, რომელშიც საღვთისმეტყველო და საბუნებისმეტყველო თხზულებებთან ერთად შეტანილია გრამატიკული ტრაქტატი და მოტანილია ბერძნული და ებრაული ანბანის

ნიმუშები, იმ ორი ენის ანბანის ნიმუშები, რომელთა ცოდნაც ჩანს აუცილებლად ითვლებოდა იმდროინდელი განათლებული ქართველისათვის, შეტანილია, აგრეთვე, ისტორიული ხასიათის თხზულება, რომელიც ითვლება იპოლიტე რომაელის "ქრონიკად". ეს არის ე. წ. "მსოფლიო ისტორია", რომელშიც კაცობრიობის ისტორია ადამითა და ევათი იწყება და მოცემულია ამ ისტორიის ბიბლიური სქემა. ჩანს ამ ნაწარმოებით ასწავლიდნენ მსოფლიოს ისტორიას, ხოლო საკუთარი ისტორიის შესასწავლად კრებულში შეტანილია "მოქცევაჲ ქართლისაჲ".

ქართული კულტურის განვითარებისათვის, რომელსაც ღრმა ეროვნული ფესვები და დიდი ტრადიციები ჰქონდა, შუასაუკუნეებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კულტურულ ურთიერთობას ბიზანტიასთან. პოლიტიკური და იდეოლოგიური კულტურული კურსის საბოლოოდ ბიზანტიისაკენ აღებამ და აღმოსავლური სამყაროსაგან იდეოლოგიურად გამიჯვნამ, განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართული ქრისტიანული კულტურის განვითარებაში.

ადრეშუასაუკუნეების ბიზანტიაში საისტორიო თხზულებათა რამდენიმე სახე არსებობდა, რომელთა შორის აღსანიშნავია ე. წ. წმინდა "ისტორია", რომელიც ძველი ელინური და ელინისტურრომაული ისტორიოგრაფიის ტრადიციებს აგრძელებდა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ე. წ. "თხრობის უწყვეტელობის" პრინციპი, რაც მომდევნო ხანის ისტორიკოსთა მიერ მისი წინაპრის თხზულების უშუალო გაგრძელებაში გამოიხატებოდა. IX საუკუნიდან ასეთ "ისტორიებთან" ერთად ჩნდება ახალი ჟანრი ე. წ. "საეკლესიო ისტორია".

ეს "საეკლესიო ისტორია" იგივე ისტორიაა, რომლის მიზანია აღწეროს მსგავსად წმინდა "ისტორიებისა", ესა თუ ის ეპოქა მთლიანად, აღწეროს პოლიტიკური, სამხედროეკონომიკური და სარწმუნოებრივი ვითარება, ხოლო განსხვავება ე. წ. "წმინდა ისტორიებისაგან" იმაში გამოიხატება,რომ "საეკლესიო ისტორიის" ავტორი სახელმწიფოს ცხოვრებაში მომხდარ ყოველგვარ მოვლენას ეკლესიის პოზიციიდან უდგება და თავის "საეკლესიო ისტორიაში" შეაქვს უპირატესად ის მასალები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ეკლესიის განმტკიცებას, მნიშვნელობა აქვს საეკლესიო ცხოვრებისათვის. ეს ე. წ. "საეკლესიო ისტორია" ქვეყნის ისტორიაა ფაქტობრივად, მის ცხოვრებაში ახალი იდეოლოგიის, ქრისტიანობის და მისი ორგანიზაციის, ქრისტიანული ეკლესიის მნიშვნელობისა და ადგილის საგანგებო წარმოჩენით.

შუასაუკუნეების ქართული ისტორიოგრაფია ქართველი ხალხის უცხო დამპყრობთა, სასანური ირანის, ბიზანტიის, არაბთა სახალიფოს წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში ვითარდებოდა, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა VX საუკუნეების ქართული საისტორიო ნაწარმოებების იდეური მიმართულება.

როგორც უკვე ითქვა, მიუხედავად იმისა, რომ IV სის 30იან წლებში ქრისტიანობა ჩვენში ოფიციალურ კულტად გამოცხადდა, სასანური ირანისა და არაბთა სახალიფოს მძლავრობის პირობებში, ის მებრძოლ იდეოლოგიას წარმოადგენდა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური დასუსტების, მთლიანად საქართველოს მასშტაბით ერთიანი ხელისუფლების არარსებობის ვითარებაში, დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის დიდ მამობილიზებელ ძალად იქცა. ქრისტიანობა ეროვნული იდეოლოგიის როლში გამოდიოდა და სარწმუნოებისათვის თავგანწირვათავდადება პოლიტიკური დამოუკიდებლობის, ეროვნული თვითმყოფობის

დაცვის სიმბოლოდ იქცა. მოძალადეებს კარგად ესმოდათ იდეოლოგიის მნიშვნელობა პოლიტიკური ბატონობისათვის, თუ ირანი და სახალიფო ერთის მხრივ ცდილობდნენ ამიერკავკასიის ქვეყნებში ქრისტიანობის აღმოფხვრას, მეორე მხრივ, როდესაც ასეთი რადიკალური ღონისძიება უიმედო ჩანდა, თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგის, ბიზანტიის იმპერიის საპირისპიროდ, იმპერიაში გაბატონებული ქრისტიანული მიმდინარეობის საწინააღმდეგო მიმართულებებს უჭერდნენ მხარს. ბიზანტიაც, თავის მხრივ, თავისი საკუთარი პოლიტიკური პოზიციის დაცვას იდეოლოგიაზე დაყრდნობითაც ცდილობდა. აღნიშნულმა გარემოებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქართლში, სომხეთსა და ალბანეთში ის დიდი იდეოლოგიური ბრძოლა, რომელმაც თავისი გავლენა მოახდინა ისტორიული აზროვნების განვითარებაზე.

ადრეშუასაუკუნეების მანძილზე ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა, რაც ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებით და ერთიანი ქართული სახელმწიფოს, საქართველოს შექმნით დაგვირგვინდა. აღნიშნული გარემოებანი ქმნიან საფუძველს ეროვნული თვითშეგნების ზრდის, საკუთარი სარწმუნოების, ეროვნული წმინდანებისა და სხვადასხვა მოღვაწეთა საკუთარი კულტურისადმი ინტერესის გაღრმავებისა და ყურადღების გამახვილებისათვის.

აღნიშნულმა მოვლენებმა განსაზღვრეს ამ ხანის ქართული ისტორიული აზროვნების განვითარების გზები და პოვეს ასახვა საისტორიო თხზულებებში. ამ ხანის მრავალ ნაწარმოებში დგას ქრისტიანობისათვის წამების იდეა. ამ ხანისათვის ნაწარმოებების ყველა ავტორი ერთ მთავარ მიზანს ისახავს, აჩვენოს ქრისტიანობისათვის წამების იდეის კეთილშობილება და ხაზი გაუსვას წამებულთა სამარადისო დიდებას.

განსაკუთრებული ადგილი უკავია იმდროინდელ ისტორიულ აზროვნებაში თხზულებას, რომელსაც ეწოდება “მოქცევაჲ ქართლისაჲ”. ეს არის ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული საისტორიო ნაწარმოები.

ამ ნაწარმოებში არის თხრობა ქართველთა წარმომავლობაზე, ქართლის სამეფოს წარმოქმნაზე, წინაქრისტიანული ხანის ქართლის მეფეთა საქმიანობაზე, ქალაქების მშენებლობაზე, არხების გაყვანაზე, შემდეგ, შედარებით ვრცლად მოთხრობილია ქართლის გაქრისტიანებაზე და შემდეგ, ისევ იმავე სტილით გრძელდება თხრობა.

ამ თხზულებას თუ შევუდარებთ, სხვა ხალხთა შუასაუკუნოვან საისტორიო თხზულებებს, ვნახავთ, რომ ეს არის ტიპიური შუასაუკუნოვანი ქრონიკა: ვინ გამეფდა, რა მოხდა, ვინ რა გააკეთა (ძალიან მოკლედ).

ამ თხზულების ე. წ. პირველ ნაწილს, რომელიც ყველა გამოცემაში არის “პირველი თავი” დიმიტრი ბაქრაძე “მოკლე მატიანეს” უწოდებს, კ. კეკელიძე, “უძველეს მატიანეს”, ე. თაყაიშვილი “მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკას”, ივ. ჯავახიშვილი “მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკას”... ჩვენ ამჯერად ეს “ისტორიული ქრონიკა” გვაინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ “ქრონიკა”ში თხრობა IX საუკუნემდეა მოყვანილი, მისმა პირველმა გამომცემელმა, ე. თაყაიშვილმა, გამოთქვა აზრი, რომ ეს “ქრონიკა” VII საუკუნეშია შედგენილი (40იან წლებამდე) და შემდგომი ხანის

ერისმთავართა და კათალიკოსთა სია მერეა დამატებული. ამ აზრს იზიარებენ პ. ინგოროყვა, ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი... ჩანს ეს ასე უნდა იყოს, რადგან VII ს. 40-იან წლებამდე მოვლენები მართალია მოკლედაა გადმოცემული, მაგრამ თხრობა მაინც ისტორიის გადმოცემას წარმოადგენს, ხოლო VII ს-ის 40-იანი წლებიდან მხოლოდ სიაა ერისმთავრების და კათალიკოსების. მაგრამ ამ "ისტორიული ქრონიკის" არც ეს პირველი ნაწილი ტოვებს ერთდროულად დაწერილის შთაბეჭდილებას. მასში სხვადასხვა ისტორიული ციკლის შემცველი ნაწილები შეიძლება იყოს გაერთიანებული. გამორიცხული არაა, რომ ეს "ისტორიული ქრონიკა" შუასაუკუნეებში არსებული ტრადიციის თანახმად "ჟამითიჟამად", ე. ი. დრო და დრო იწერებოდა და გარკვეულ ეტაპებზე ხდებოდა მისი შევსება. გ. მელიქიშვილს ეს "ქრონიკა" "ქართლის ცხოვრების" უძველეს ვარიანტად მიაჩნია.

ასეთი პირველი ციკლის თხზულება შეიძლება იყოს ქართლის ისტორია ქართლის სამეფოს დაარსების დროიდან გაქრისტიანებამდე, ნინოს ცხოვრებისა და პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანის ჩათვლით, იქამდე, სადაც მოთხრობილია მირიანის და პირველი ქრისტიანი დედოფლის, ნანას გარდაცვალების ამბავი.

ქრისტიანობა წიგნიერი რელიგია იყო და თავის პოზიციებს ეს ახალი მოძღვრება საისტორიო თხზულებებითაც იმტკიცებდა.

ქრისტიანობის სახელმწიფო კულტად აღიარებისთანავე ბიზანტიის იმპერიაში საგანგებო საისტორიო თხზულებები იწერებოდა, რომელნიც ამ მოვლენის შესახებ მოუთხრობდნენ იმდროინდელ საზოგადოებას. საქართველოში კარგად იყვნენ ინფორმირებულნი იმ კულტურულიდეოლოგიური პროცესების შესახებ, რასაც იმპერიაში ჰქონდა ადგილი. სათანადო წრეებში აქაც საგანგებოდ იზრუნეს, რათა ეს დიდი მოვლენა ქვეყნის ისტორიაში სათანადოდ აღწერილი ყოფილიყო და დაიწერა კიდეც "მოქცევაჲ ქართლისაჲ", ანუ ქართლის გაქრისტიანების ისტორია. მართებული შეიძლება იყოს ვარაუდი, რომ ამ თხზულების პირველი ნაწილი, სწორედ გაქრისტიანების შემდეგ მალე დაიწერა. ამდროინდელ ავტორს, რომლის მთავარი მიზანი ქვეყნის მოქცევის მოთხრობა შეადგენდა, საჭიროდ მიაჩნდა მოეთხრო იმ ქვეყნის ისტორია, სადაც ეს დიდი მნიშვნელობის მოვლენა მოხდა. მართალია ეს წინარე ისტორია ანუ "ქრონიკა" ძალიან მოკლე და სქემატურია, მაგრამ ამ ავტორისათვის, უკეთ რომ ვთქვათ იმდროინდელი იდეოლოგიისათვის წინარექრისტიანული ხანის ისტორია არის მხოლოდ შესავალი ნამდვილი, ჭეშმარიტი ისტორიისა, რომელიც ქრისტეს აღიარების შემდეგ იწყება.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ამ "ისტორიამ" IX საუკუნეში. IX საუკუნის მოთხოვნებს აღარ პასუხობდა ქართლის გაქრისტიანების მოკლე ისტორია, წმინდა ნინოს ცხოვრების ის მოკლე ვარიანტი და IX საუკუნეში შეიქმნა წმინდა ნინოს "ცხოვრების" ახალი ვარიანტი, რომელიც დაურთეს ამ თხზულებას. მაგრამ მხოლოდ ეს არ გაკეთდა. შეტანილ იქნა რიგი დამატებები, რედაქციული ცვლილებები. IX საუკუნის ავტორს VII ს-ის 40-იანი წლებიდან თავის დრომდე, ჩანს მწირი ცნობები ჰქონდა და ამიტომ მხოლოდ ერისმთავართა და კათალიკოსთა სია შეადგინა. არ არის გამორიცხული, და შეიძლება ეს უფრო სწორია, რომ IX ს-ის ავტორისათვის მთავარი ნინოს მოღვაწეობის ახალი, მისი დროისათვის აუცილებელი

ვარიანტის დართვა იყო საჭირო და ამიტომ მან მხოლოდ მოკლედ შეავსო ხარვეზი. არც ის არის გამორიცხული, რომ ეს "სია" ამ თხზულებას იმან დაურთო, ვინც ის "შატბერდის კრებულში" შეიტანა.

"მოქცევაჲ ქართლისაჲ"ს მკვლევართა წინაშე არაერთ სადავო საკითხს აყენებს. მაგრამ რადგან მასში მოტანილი ზოგი ცნობა დასტურდება ახლადაღმოჩენილი მასალით, ბერძნულარამეული წარწერებით, ბერძნულლათინური და სომხური ნარატიული საისტორიო თხზულებებით, უფლებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ ავტორი (თუ ავტორები) უძველესი ადგილობრივი მასალით სარგებლობდნენ.

იმდროინდელი ქართული საისტორიო აზროვნების საკითხთან დაკავშირებით დგება კაცობრიობის ისტორიის იმ პერიოდიზაციის პრობლემა, რომელიც აღნიშნული ხანის ევროპულ ისტორიოგრაფიაში შემუშავდა, რომელიც კაცობრიობის ისტორიას ოთხი მონარქიის პრინციპით ყოფდა: ასურეთბაბილონის, მიდიასპარსეთის, ალექსანდრე მაკედონელისა და რომის იმპერიის. შემდეგ შემუშავდა თვალსაზრისი, რომ რომის იმპერია არ დაცემულა, და რომ აგრძელებს არსებობას გერმანიის (რომის) საღვთო იმპერიაში. ჩანს ქართველი ისტორიკოსები და საკუთრივ "მოქცევაჲს" ავტორი იცნობდა ამ კონცეფციას და ქართლის სამეფოს შექმნას და ფარნავაზის მოღვაწეობას, ის სწორედ ამ კონცეფციას უკავშირებს. საინტერესოა, რომ "მეფეთა ცხოვრების", ავტორი (მხედველობაში გვაქვს ლეონტი მროველის ავტორობით ცნობილი თხზულება) ასევე პერიოდიზაციის ამ სისტემაზე აგებს თავის თხზულებას. რასაკვირველია, ქართველ ისტორიკოსებს ამ კონცეფციის ქართლის ისტორიისათვის მისადაგების საშუალებას რეალურად არსებული ვითარება აძლევს, ფარნავაზის მოღვაწეობისა და ქართლის სამეფოს წარმოქმნის ფაქტიური ვითარება, მაგრამ აქ ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია ალექსანდრე მაკედონელი ქართლში არ ყოფილა, ორივე ეს ისტორიკოსი ქართლის სამეფოს შექმნას ალექსანდრე მაკედონელის დროინდელ მოვლენებთან აკავშირებს და მის ქართლში მოსვლასაც აღნიშნავს. "მოქცევაჲ ქართლისაჲ" – აშკარას ხდის, რომ ქართველი ისტორიკოსები იცნობდნენ თავისი თანამედროვე ევროპულ ისტორიოგრაფიაში არსებულ კონცეფციას კაცობრიობის ისტორიის პერიოდიზაციის შესახებ.

აპოკრიფული, ეგზეგეტიკური ლიტერატურა. როგორც უკვე ითქვა "მეხუთე საუკუნის ნახევარში ქართულად უკვე არსებობდა ევანგელიᲐ ან სახარება, პავლე მოციქულის ეპისტოლენი... და ასერგასი ფსალმუნისაგან შემდგარი დავითნი" (კ. კეკელიძე).

საღვთისმეტყველო ლიტერატურის თარგმნა მთელი შუა საუკუნეების და საკუთრივ V – X საუკუნეების მანძილზე, აქტიურად მიმდინარეობდა (ქართულად ამ ლიტერატურას თარგმნიდნენ ებრაულიდან, ბერძნულიდან, სირიულიდან, არაბულიდან, სომხურიდან...).

კანონიკურ საღვთისმეტყველო ლიტერატურასთან ერთად უძველესი დროიდანვე თარგმნიდნენ ქართულად აპოკრიფულ თხზულებებსაც. მიუხედავად ოფიციალური ეკლესიის მიერ აპოკრიფული ლიტერატურის აკრძალვისა, აპოკრიფულ ლიტერატურას მაინც თარგმნიდნენ. საგანგებოდ დგებოდა აკრძალულ თხზულებათა სიები, თუმცა ფაქტიურად აპოკრიფულ თხზულებათა ნაწილი დასაშვებად ითვლებოდა.

V – VI საუკუნეების პალიმფსესტებში აპოკრიფული თხზულებების ფრაგმენტებია შემონახული.

აღსანიშნავია, რომ აპოკრიფულ თხზულებებს, მიუხედავად მათი არაკანონიკურობისა, თარგმნიდნენ გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწეებიც, მაგ., ექვთიმე და გიორგი ათონელები.

ადრევე გაჩნდა ჩვენში ბიბლიური ტექსტის განმარტებანი, ე. წ. ეგზეგეტიკური ლიტერატურა, ან თარგმანი განმარტებით. ასეთ თარგმანთა შორის უძველესია VI საუკუნის მეორე ნახევრის ანონიმი ავტორის "ევსტათე მცხეთელის მარტვილობაში" დაცული საღმრთო წერილის თარგმანი. ჩვენში შემორჩენილი უძველესი ეგზეგეტიკური ნაწარმოები თარგმნილი უნდა იყოს VIII საუკუნეში. ეს თარგმანები შეტანილია X საუკუნეში შედგენილ "შატბერდის კრებულში".

IX საუკუნეში თარგმნილია ათანასე ალექსანდრიელის თხზულებები VIII – IX საუკუნეებში ნათარგმნია გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმისათვის".

ეგზეტიკურ თხზულებებთან ერთად იქმნება დოგმატური ლიტერატურა, რომლის მიზანია ქრისტიანული მოძღვრების წინააღმდეგ მიმართული წარმართული და ებრაული ლიტერატურის კრიტიკა და აგრეთვე ქალკედონური მრწამსის სახელმწიფო მრწამსად აღიარების შემდეგ, მის წიაღში შექმნილი სხვადასხვა მიმდინარეობათა მიერ წამოყენებულ ბრალდებებთაგან თავის დაცვა, მისი ძირითადი დოგმების ჩამოყალიბება, რამაც შექმნა საფუძველი საკუთარი მოძღვრების ფორმულების, დოგმატების ჩამოსაყალიბებლად, შეიქმნა საგანგებო დოგმატური ლიტერატურა.

თავიდანვე დაიწყეს ძირითადი დოგმატიკური ლიტერატურის ბერძნულიდან ქართულად თარგმნა.

ქრისტიანული და საკუთრივ მართლმადიდებლური პრინციპების განმტკიცების, აგრეთვე, წარმართული, მაზდეანური, მაჰმადიანური და არამართლმადიდებლური ქრისტიანული რწმენების საწინააღმდეგოდ, ქრისტიანობის პირველი საუკუნეებიდანვე დიდი ლიტერატურა შეიქმნა. ასეთი თხზულებების ადრეულ თარგმანებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ, რომ ჩვენშიც იწერებოდა მაზდეანობის საპროპაგანდო თხზულებები ეს V ს. მობიდან ეპისკოპოსის მოღვაწეობიდან ჩანს, რომლის წიგნები დაწვეს (ჯუანშერი), რაც შეიძლება იძლეოდეს საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მისი საწინააღმდეგო წიგნებიც უნდა დაწერილიყო.

ქართველებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ანტიმონოფიზიტურ პოლემიკურ ლიტერატურას, როგორც ზოგადს, საერთო მონოფიზიტური მრწამსის წინააღმდეგ მიმართულს, ასევე ქართული მონოფიზიტური პოლემიკა ძირითადად სომხური მონოფიზიტიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული.

IX საუკუნიდან მოყოლებული ქართულად ითარგმნა ბერძნულად დაწერილი ანტიმონოფიზიტური თხზულებები და ქართულადაც დაიწერა ანტიმონოფიზიტური ნაწარმოებები.

ჯერ VI – VII საუკუნეებში სომხებს კათალიკოსი კირიონი ებრძოდა. მართალია კირიონის წერილებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ შინაარსი ჩვენთვის ცნობილია სომხურად შემორჩენილი ე. წ. “ეპისტოლეთა წიგნით”.

ცალკე განხილვის საგანია არსენ კათალიკოსის ნაშრომი, რომელიც ქართველთა და სომეხთა საეკლესიო განხეთქილების პრობლემას ეძღვნება.

ქართული ანტისომხური, ანტიმონოფიზიტური პოლემიკური მწერლობის ძეგლები სხვადასხვა კრებულებშია შესული და ამ პოლემიკის მწვავე ხასიათს აღადგენს.

მთელი ეს ნათარგმნი, თუ ნაწილობრივ ორიგინალური ეგზეგეტიკური და პოლემიკური ლიტერატურე აშკარას ხდის იმ დაძაბულ იდეოლოგიურ ბრძოლას, რომელსაც ჰქონდა ადგილი IV – XII საუკუნეების საქართველოში და რომლის კვალი ნაწილობრივ შემოგვინახა ქართულმა მწერლობამ.

ჰიმნოგრაფია. ადრეშუასაუკუნოვან ქართულ კულტურულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჰიმნოგრაფიულ შემოქმედებას, ქართულ ორიგინალურ სასულიერო პოეზიას. ჰიმნი ერთდროულად არის ლექსიც და მუსიკაც. ლექსად დაწერილ ჰიმნებს გალობდნენ ეკლესიაში.

ქართულ ჰიმნოგრაფიას, როგორც ვარაუდობენ, საფუძველი VII საუკუნეში ჩაეყარა, თავდაპირველად ჰიმნებს ბერძნულიდან თარგმნიდნენ. ბერძნულიდან თარგმნილი ჰიმნები შეტანილია პალესტინაში შედგენილ უძველეს ქართულ იადგარში. შემდეგ ორიგინალური ქართული ჰიმნებიც იქმნება. ქართულმა ჰიმნოგრაფიამ მაღალ საფეხურს მიაღწია X საუკუნეში, როდესაც შექმნილია დიდი იადგარი. 978 – 980 წლებში მრავალი ჰიმნის ავტორმა, მიქელ მოდრეკილმა, შეადგინა ჰიმნოგრაფიული კრებული, რომელშიც შეიტანა, როგორც ბერძნულიდან თარგმნილი, ისე მის დროის გამოჩენილი ჰიმნოგრაფების: იოანე მინჩხის, იოანე მტბევარის, სტეფანე სანანოძისძე ჭყონდიდელის, ეზრას, იოანე ქონქოსისძის; თავისი საკუთარი და სხვათა საგალობლები. აღსანიშნავია, რომ საგალობელთა დიდ ნაწილს დართული აქვს ნიშნები, ე. წ. ნევმები, რომელნიც, როგორც ვარაუდობენ, მიანიშნებენ ხმის აწევასა და დაწევაზე, რიტმზე. ე. მეტრეველის ვარაუდით, ეს კრებული სასწავლო დანიშნულების უნდა იყოს, რადგან მასში ლიტურგიკული ხასიათის შენიშვნებია, რომლებიც მგალობლების და მღვდელმსახურთა დამოძღვრას და განსწავლას ისახავს მიზნად.

ქართული საგალობლების კრებულებში წარმოდგენილია რთული და მდიდარი ქართული სამუსიკო დამწერლობა. რაც იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ის VII საუკუნეში მაინც უნდა იყოს ჩამოყალიბებული, როდესაც “საქართველოს ეკლესიებსა და მონასტრებში გზა გაიკაფა სასულიერო გალობის ქართულმა ეროვნულმა კილომ, მომზადდა ნიადაგი მისი მასობრივი სწავლებისათვის რამაც, თავის მხრივ, სამუსიკო ნიშნების გამომუშავების აუცილებლობა გამოიწვია (გრ. ჩხიკვაძე).

სამართლებრივი კულტურის საკითხები. ადრე შუასაუკუნეების საქართველოში მაღალ დონეზე იდგა სამართლებრივი კულტურა. დიდი გავლენა იურიდიული აზროვნების განვითარებაზე და იურიდიული ნორმების ჩამოყალიბებაზე უნდა ჰქონოდა ბერძნულ

(ბიზანტიურ) სამართლებრივ ნორმებს. ეს განსაკუთრებით ჩანს დასავლეთ საქართველოს მაგალითზე, რაც გასაგებიცაა, რადგან IV – VIII საუკუნეებში დასავლურქართული სახელმწიფოები სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სახით, მაგრამ, ძირითადად ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის სფეროში იმყოფებოდნენ. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ IX საუკუნემდე მაინც, სანამ დასავლეთ საქართველოს ეკლესია მთლიანად და საბოლოოდ გამოვიდოდა კონსტანტინოპოლის უშუალო დაქვემდებარებიდან, სახელმწიფო მმართველობის, ისევე როგორც საეკლესიო ღვთისმსახურების ენა ბერძნული იყო რაც, თავის მხრივ, დიდ გავლენას ახდენდა დასავლეთ საქართველოს კულტურაზე საერთოდ, და ამ კონკრეტულ შემთხვევაში იურიდიული ნორმების ჩამოყალიბებაზე, რაც ალბათ გათვალისწინებული იქნებოდა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწვეტის დროს. ამ თვალსაზრისით დიდ ინტერესს წარმოადგენს ეგრისის მეფე გუბაზის მკვლელობის გასამართლების ისტორია.

554 წელს ბიზანტიელი სარდლების რუსტიკესა და იოანეს გადაწყვეტილებით მოკლული ეგრისის მეფის მკვლელობის გასამართლება ეგრისელთა მოთხოვნით მოხდა. აშკარაა, რომ იმპერატორი იუსტინიანე ანგარიშს უწევდა ეგრისელთა მოთხოვნას და სასამართლო დაინიშნა ეგრისში. თუმცა გასამართლება ბიზანტიური კანონებით უნდა ჩატარებულიყო. აქ ყურადღებას იმსახურებს ადგილობრივი, კოლხი ბრალმდებლების მიერ წერილობითი საბუთის, იუსტინიანე იმპერატორის წერილის სასამართლოსათვის წარდგენის მოთხოვნა, რადგან რუსტიკე და იოანე გუბაზის სიკვდილით დასჯას იუსტინიანეს მოთხოვნით ხსნიდნენ. კოლხი ბრალმდებლები დანაშაულად უთვლიან გუბაზის მკვლელებს როგორც იმას, რომ მათ თვითნებურად გადაწყვიტეს მისი მოკვლა, აგრეთვე იმას, რომ მათ ჯერ სისრულეში მოიყვანეს თავისი განაჩენი, მოკლეს მეფე გუბაზი და მხოლოდ ამის შემდეგ ცდილობდნენ გუბაზის დანაშაულის მამხილებელი ფაქტების მოყვანას, რაც ქართველი ბრალმდებლის სიტყვებით, დაუშვებელია, როგორც მათი (ბერძნების), ასევე ბარბაროსთა (ე. ი. არაელინელთა, ამ შემთხვევაში ეგრისელთა) კანონებით.

ეს სასამართლო პროცესი, რომლის აღწერილობა და მიმდინარეობა მოთხრობილი აქვს VI ს. ბიზანტიელ ისტორიკოსს აგათიას, აშკარას ხდის, ამ პერიოდის საქართველოში მაღალი იურიდიული კულტურის, იურისტპროფესიონალთა არსებობას, რომელნიც გათვითცნობიერებულნი არიან არა მხოლოდ საკუთარ კანონებში, არამედ კარგად იცნობენ ბიზანტიის იმპერიის სამართლის საფუძველს.

ჩვენ სამწუხაროდ არ გვაქვს ხელთ ადრინდელი პერიოდის საკუთრივ ქართული საკანონმდებლო ძეგლები, მაგრამ წერილობით წყაროებში, ბასილ ზარზმელის, გიორგი მერჩულეს, თხზულებებში დაცული ცნობები იძლევიან საფუძველს თვალსაზრისისათვის, რომ იმდროინდელ საქართველოში საკმაოდ მკაცრად იყო ჩამოყალიბებული მნიშვნელოვანი იურიდიული ნორმები, მაგ.: ოჯახში მემკვიდრეობის გადაცემის წესი, “საუხუცესო”, უფროსი ძმის წილის ტრადიცია, დადასტურებულია ქალის მემკვიდრეობის, მზითვის, ანდერძის, როგორც იურიდიული დოკუმენტის არსებობის ფაქტი. ასევე გამომუშავებული იყო სისხლის სამართლის ისეთი რთული დებულება, როგორიცაა “ბრალის” ცნება.

ამასთანავე გასათვალისწინებელია ეკლესიამონასტერთა განჩინებაწესდებათა ე. წ. საკორპორაციო სამართლის ძეგლების არსებობა. ასეთი "წესი და განგებაჲ" ხანცთის ძმობას შეუდგენია IX საუკუნის დასაწყისში გრიგოლ ხანცთელის დროს. როგორც ჩანს, მან თვით ჩამოიტანა კონსტანტინოპოლის და ბიზანტიის სხვა მონასტერთა "წესები", ასევე საგანგებოდ შეუკვეთა, რათა გადაეწერათ პალესტინის განთქმული სავანის, საბაწმიდის "წესი". მის ხელთ არსებული ეს მასალა გრიგოლ ხანცთელმა, ჩანს, კრიტიკულად შეისწავლა, გაითვალისწინა ხანცთის მონასტრის მოთხოვნები, თავისებურებანი და გრიგოლ ხანცთელის ბიოგრაფის სიტყვით, "განაწესა წესი თჳსისა ეკლესიისაჲ და მონასტრისაჲ, სიბრძნით განსაზღვრული და მეცნიერებით განბრწყინვებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებილი, ვითარცა საფასეჱ დაულევნელთა კეთილთაჲ".

ათონის ივერთა მონასტერი საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებობდა, მაგრამ ქართული სამართლებრივი აზროვნებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ექვთიმე ათონელის ცხოვრებაში დაცულ ათონის კოლონიის წესწყობილების აღწერასა და იქ მოცემულ ამ სავანის კორპორაციულ სამართალს. მართალია, ეს "სამართალი" ექვთიმე ათონელის ცხოვრებაშია დაცული, მაგრამ უდავოა, რომ ის თუ უფრო ადრე არა, X საუკუნეზე გვიან საეჭვოა რომ იყოს შედგენილი.

ქართული სამართლებრივი კულტურის და სამართლებრივი აზროვნების ისტორიისათვის არამცირედი მნიშვნელობა აქვს ბერძნულიდან სჯულის კანონის თარგმნას. როგორც ცნობილია, ასეთი ძეგლების თარგმნა მაშინ ხდებოდა, როდესაც სამართლის ძეგლებზე მოთხოვნილება არსებობდა საზოგადოებაში.

ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით სჯულის კანონი ქართულად თუ უფრო ადრე არა VIII – IX საუკუნეებში მაინც უთარგმნიათ. თუმცა კ. კეკელიძის აზრით, "კანონიკურ კრებულთა თარგმანისათვის პირველად ხელი მოუკიდია ექვთიმე ათონელს... და ისიც გადმოთარგმნა არა იმ სახით, როგორც ის დედანში იყო, არამედ მისი შედგენილობისა და რედაქციის ცოტაოდენი შეცვლით ქართულ სინამდვილესთან შეფარდებით".

ექვთიმე მთაწმინდელის მიერ შედგენილი "მცირე სჯულის კანონი"ს ძირითადი ნაწილი, მართალია ბერძნული (ბიზანტიური) კანონიდანაა თარგმნილი, მაგრამ ის ფაქტობრივად არის ექვთიმე მთაწმინდელის ორიგინალური ნაწარმოები. მან 692 წლის მსოფლიო საეკლესიო კრების 102 მუხლიდან რამდენიმე მუხლი გამოტოვა და მათ მაგიერ შეიტანა ავტორიტეტულ წმინდა მამათა კანონიკური თხზულებებიდან ამოღებული ადგილები. ამასთანავე, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ამ კანონებს მან დაურთო მის მიერ დაწერილი მუხლები და ქართული სინამდვილიდან აღებული მასალები. კრებულში შესულ თვით ექვთიმე მთაწმინდელის განმარტებებს, ორიგინალურ შეხედულებებს, სისხლის სამართლის თეორიის ზოგ საკითხებზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ქართული სამართლებრივი აზრის ისტორიისათვის.

ამ კრებულს "მცირე სჯულის კანონი" თვით ექვთიმემ უწოდა და, როგორც ცნობილია, სხვა ასეთი სახელწოდების და შედგენილობის კანონიკური კრებული ცნობილი არ არის.

სამოქალაქო სამართლის და სისხლის სამართლის განრიგების ჩვენამდე მოღწეული უძველესი კანონმდებლობითი ძეგლი არის ე. წ. “ბაგრატ კურაპალატის სამართალი”. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში შეტანილი ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნს დართული აქვს “ბაგრატ კურაპალატის სამართალი”, რომელიც მოიცავს ამ სამართლის 99160 მუხლებს. მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა ამ ბაგრატ კურაპალატის პიროვნების განსაზღვრაშიც: ბაგრატ I (IX ს. 826 – 876),ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III (975 – 1014), მეფე ბაგრატ IV (1027 – 1072), თუ კიდევ რომელიმე სხვა ბაგრატი.

ვფიქრობთ, მართებულია თვალსაზრისი, რომ ამ “სამართლის” ავტორი ბაგრატ III-ა. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ბაგრატ I-ის დროს, IX საუკუნეში იყო შედგენილი კანონთა კრებული, რომელიც შემდეგ, გადამუშავდა, შეივსო ბაგრატ III-ის დროს, უკვე გაერთიანებული სამეფოს მოთხოვნათა და ინტერესთა შესაბამისად, ბაგრატ I-ის სამართალი, თუ ასეთი არსებობდა, ალბათ მხოლოდ საკუთრივ ქართველთა საკურაპალატოს ფარგლებს მოიცავდა და აუცილებელი შეიქმნა ბაგრატ III-ის სამეფოში შემავალი სხვა მხარეების ინტერესთა გათვალისწინებაც.

ეს კანონიკური ძეგლი უკვე გაერთიანებული ხანის სჯულდებაა, რომლის კანონმდებლობაში გათვალისწინებულია საზოგადოების ორი ძირითადი ფენის აზნაურთა და გლეხთა არსებობა, ამასთანავე, დადასტურებულია დიდებული, როგორც აზნაურთა უმაღლესი ფენის არსებობა. მასში გარკვევითაა განმტკიცებული სამღვდელოების პრივილეგირებული მდგომარეობა, აგრეთვე აზნაურთა მდგომარეობა. უმთავრესად განსაზღვრულია სისხლის სამართლის ნორმები: მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ცილისწამება, ქურდობა, სასჯელის სახეებია – სიკვდილით დასჯა, დასახიჩრება, დატუსაღება, დამნაშავის დაზარალებულისათვის გადაცემა, ქონებრივი სასჯელი. მთელი რიგი მუხლებისა ეხება სამართალწარმოების და სასამართლო წყობილების საკითხებს. “ბაგრატ კურაპალატის სამართალმა” გავლენა მოახდინა შემდგომი ხანის ქართული კანონმდებლობის განვითარებასა და ჩამოყალიბებაზე (ი. დოლიძე).

როგორც იურიდიული დოკუმენტების ჩვენებებიდან ჩანს, აღნიშნულ ეპოქაში სასამართლო პროცესისათვის მნიშვნელობა ენიჭებოდა წერილობით დოკუმენტებს, აუცილებელი იყო მოდავე მხარეთა მტკიცებების მოსმენა, არსებობდნენ სამართლებრივი ნორმების მცოდნე პირები, რომელნიც წერილობით საბუთებს მოითხოვდნენ და ეს მაშინ, როდესაც, როგორც ცნობილია, დასავლეთ ევროპაში, აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებში მიღებული იყო სადავო საკითხების გადაწყვეტის ბარბაროსული მეთოდები. ე. წ. ორდალიები – შანთით, დუელით გამოცდა. რაც იურიდიული კულტურის, და საერთოდ ხალხის დაბალი კულტურის მაჩვენებელია.

ფილოსოფიური აზროვნება. ქართული ფილოსოფიური აზროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანული მსოფლმხედველობის შექმნას და ქრისტიანობის დამკვიდრებას საქართველოში. მაგრამ ქრისტიანულ ფილოსოფიურ მოძღვრებას რთული და მძიმე ბრძოლა მოუხდა ჩვენში არსებული როგორც წარმართული, ასევე, აქ საკმაოდ მკვიდრად ფეხმოკიდებული მანიქველიზმისა და მაზდეანობის წინააღმდეგ. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ქრისტიანობის დამკვიდრების პირველ საუკუნეებში, ყოველ

შემთხვევაში IV – VI საუკუნეებში, მწვავე ბრძოლა მიმდინარეობდა ქრისტიანობის იმ ორ მრწამსს შორის, მონოფიზიტიზმსა და დიოფიზიტიზმს შორის, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის.

ფილოსოფიური აზროვნება საქართველოში ორგანულად იყო დაკავშირებული ბიზანტიის იმპერიაში მიმდინარე იდეოლოგიურ პროცესებთან.

451 წელს ქალკედონის კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, და შესაძლებელია მის გამო და მის წინააღმდეგაც, ირანის პოლიტიკური ზეწოლის ვითარებაში, ამიერკავკასიის სამმა სახელმწიფომ, ქართლმა, სომხეთმა და ალბანეთმა დვინის 506 წლის კრებით მონოფიზიტური მრწამსის დოქტრინა დააკანონეს, მაგრამ იმავე VI საუკუნის მანძილზე, ქართლში ვითარება იცვლება, რაც მჭიდროდ უკავშირდება ირანის პოლიტიკურ ზეწოლას და ქართული საზოგადოების ბიზანტიისაკენ, დასავლური კულტურისა და ცივილიზაციისაკენ ლტოლვას, განპირობებულს ქართული დასავლური მენტალიტეტით.

ქრისტიანობის პირველი საუკუნეების (IV – VI სს.) ბიზანტიის იმპერიის სინამდვილეში იდეური ბრძოლის მთავარ ფორმას წარმოადგენდა ბრძოლა რელიგიებსა და რელიგიურ მრწამსს შორის, წარმავალი წარმართობა ებრძოდა ქრისტიანობას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადრექრისტიანულ ფილოსოფიურ აზროვნებაში ძლიერ ნაკადად არის წარმოდგენილი ანტიკური ფილოსოფიის ელემენტები, ის გვიანანტიკური ფილოსოფიის გაგრძელებას წარმოადგენს, და ამავე დროს არის იდეური ბრძოლა რელიგიებსა და რელიგიურ მიმდინარეობებს შორის.

მიმავალი წარმართობა წინააღმდეგობას უწევდა ქრისტიანობას. ადრინდელი ბიზანტიური ფილოსოფიური აზროვნება დიდ ანგარიშს უწევდა ანტიკური ფილოსოფიის ისეთ წარმომადგენლებს, როგორებიც იყვნენ პლატონი, არისტოტელე და სხვანი. მაგრამ უკვე V საუკუნის მეორე ნახევრიდან, უფრო VI საუკუნის დასაწყისიდან დგება ანტიკურიდან საბოლოოდ შუასაუკუნოვან ფილოსოფიურ აზროვნებაზე გადასვლის ხანა (ს. ავერინცევი).

IX საუკუნის საქართველოში არსებული ფილოსოფიური აზროვნებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთ საქართველოში ფაზისთან არსებული უმაღლესი ფილოსოფიურრიტორიკული სკოლის არსებობას, ე. წ. ფაზისის აკადემიას. ამ სკოლაში არსებული ფილოსოფიური იდეების შესახებ მსჯელობა შესაძლებელია ამ სკოლაში აღზრდილთა ევგენიოსის და მისიშვილის თემისტიოსის ფილოსოფიური მრწამსის მიხედვით. ევგენიოსმა ამ სკოლაში შეიძინა თავისი ფილოსოფიური განათლება, ხოლო მისი შვილი თემისტიოსი (377 – 388), რომელიც ფაზისის სკოლაში მამის რჩევით ჩამოვიდა განათლების მისაღებად, აქ დაეუფლა რიტორიკულ ხელოვნებას.

ეს რიტორიკული (ე. ი. ფილოსოფიური შ. ნუცუბიძე) სასწავლებელი, სკოლა, რომელშიც ბიზანტიიდანაც ჩამოდიოდნენ განათლების მისაღებად, რაც ამ სკოლის მაღალ დონეზე მიუთითებს, რასაკვირველია არ იყო განკუთვნილი მხოლოდ უცხოელთათვის, ან აქ მცხოვრებ ელინთათვის, რომელნიც საეჭვოა, რომ დიდი რაოდენობით ყოფილიყვნენ აქ, მისი მთავარი დანიშნულება ადგილობრივი ახალგაზრდების აღზრდის საქმეს ემსახურებოდა.

ევგენიოსი ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია, როგორც არისტოტელიკი, თემისტიოსი ცნობილია, როგორც არისტოტელეს კომენტატორი, ამასთანავე, დიდ ყურადღებას უთმობდა პლატონის ფილოსოფიას (შ. ხიდაშელი).

IV საუკუნის ქართული ფილოსოფიური (წარმართული) აზროვნების თვალსაზრისით ფრიად საინტერესო პიროვნებაა ბაკური. იბერიის სამეფო სახლის წარმომადგენელი ბაკური 379 - 394 წლებში ბიზანტიის იმპერიაში იმყოფებოდა მაღალ თანამდებობებზე. ის თავისი მსოფლმხედველობით პოლითეისტია, ცნობილი ფილოსოფოსის ლიბანიოსის (314 - 393) თანამოაზრე, ქრისტიანობის საწინააღმდეგო განწყობილების მიმდევარი ნეოპლატონიკოსია. როგორც ჩანს, ის ქრისტიანობის საწინააღმდეგო მსოფლმხედველობის გამო იძულებული შეიქმნა გასცლოდა სამშობლოს (ივ. ჯავახიშვილი, შ. ხიდაშელი).

საქართველოში გავრცელდა ანტიქრისტიანული მანიქველობა. როგორც ვარაუდობენ ამ მოძღვრების მიმდევარი იყო მობიდანი (V ს.). "ესე იყო მოგჳ უსჯულო და შემშლელი წესთა, – წერს ქართველი ისტორიკოსი, – და ვერა უგრძვნია არჩილ მეფემან და ძემან მისმან უსჯულოება მობიდანისი, არამედ ჰგონებდეს მორწმუნედ და ვერცა განაცხადებდა ქადაგებასა სჯულისა მისისასა შიშისაგან მეფისა და ერისა, არამედ ფარულად წერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურებისასა, რომელი შემდგომად მისს დაწუა ყოველი წერილი მისი ჭეშმარიტმან ეპისკოპოსმან მიქაელ" (ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება).

თავისებური ადგილი უკავია ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში პეტრე იბერს (411 - 491), იბერიის მეფე ბუზმარის შვილს და მეფე ბაკურ დიდის შვილიშვილს, რომელიც 423 წ. ბიზანტიის კეისრის თეოდოსიუს II-ის მოთხოვნით, მძევლად იქნა გაგზავნილი კონსტანტინოპოლში. აქ მან ფართო განათლება მიიღო, შეისწავლა "ყოველივე სწავლულება საეკლესიო და საფილოსოფოსო". ეს რთული და დიდი ბიოგრაფიის მქონე პიროვნება, ნათლობის სახელით მურვანოსი (მურმანი?) ბერობის სახელით პეტრე, სირიული წყაროებით ნაბარნუგია.

პეტრე იბერიელი მხოლოდ დაიბადა საქართველოში, განათლება ბიზანტიაში მიიღო და მთელი ცხოვრება საქართველოს გარეთ მოღვაწეობდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ მას მიმოწერა ჰქონდა დედასთან, დედოფალ ბაკურდუხტთან, ბაბუის (მეფე ბაკურის) ძმასთან არჩილთან, უცხოეთში მყოფ (თავის თანამემამულე?) "სირიელ მამებთან". იერუსალიმში ააშენა მონასტერი, სასტუმრო სახლი იქ ჩასულ ქართველთათვის იერუსალიმის მახლობლად იუდეველთა (იორდანიის) უდაბნოში ააშენა ქართველთა მონასტერი და დააარსა სკოლა, სადაც ქართველებთან ერთად არაქართველებიც სწავლობდნენ. მიუხედავად ყოველივე ამისა, ძნელია მას ქართველი მოღვაწე ვუწოდოთ. თუმცა მის ფილოსოფიურ ნააზრევზე ალბათ მის მიერ დაარსებულ და მისი ხელმძღვანელობით არსებულ სკოლაზე, შეიძლება გარკვეული გავლენა ჰქონოდა მის თანამედროვე საქართველოში არსებულ მსოფლმხედველობას. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ პეტრე იბერი ქალკედონური მრწამსის მიმდევარი არ იყო. როგორც ვარაუდობენ ამიტომაა, რომ საქართველოში მას არ სცნობდნენ და ის მხოლოდ XII - XIII საუკუნეთა მიჯნაზე აღიარეს ჩვენში, შემდეგ წმინდანადაც შერაცხეს და ქალკედონიტად გამოაცხადეს, მაგრამ შემდეგ, ისევ ტაბუ დაადეს. XVIII ს-ის პირველ ნახევარში, სულხან საბა

ორბელიანის ძმამ, ნიკოლოზ თბილელმა მისი სახელი ისევ ამოიღო საეკლესიო წიგნებიდან, ხოლო ანტონ I-მა მისი სახელი განდევნა ქართული ეკლესიიდან.

თუ მართებულია მოსაზრება, რომ ე. წ. "სირიელი მამები" სირიაში განათლება მიღებული ეროვნებით ქართველები იყვნენ, და რომ მათ სწორედ პეტრე იბერის სკოლაში მიიღეს განათლება, მაშინ მისი გავლენა ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაზე ალბათ არამცირედი იყო. თუმცა, როგორც ცნობილია, არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომ სირიელი მამები წარმოშობით არ იყვნენ ქართველები და მრწამსით კი დიოფიზიტები იყვნენ. რომ ჩვენი თანამემამულე პეტრე იბერიელი, დიდი მოღვაწე იყო იმდროინდელ ბიზანტიის იმპერიაში, ეს უდავოა. თუ უდავოა აგრეთვე ნუცუბიძეჰონიგმანის თეორია, რომ პეტრე იბერი არის დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი შრომების ავტორი, აშკარაა მისი ფილოსოფიური შრომების დიდი გავლენა საერთოდ შუასაუკუნოვან ქრისტიანულ აზროვნებაზე და საკუთრივ ქართულ ნეოპლატონიზმსა და ქართულ ქრისტიანულ იდეოლოგიაზე. ქართული ადრეშუასაუკუნოვანი საზოგადოებრივფილოსოფიური აზრის განვითარებაჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ იდეურდოგმატურ ბრძოლას, რომელიც იმდროინდელ საქართველოში და საერთოდ ქრისტიანული მოძღვრების შიგნით არსებულ სხვადასხვა მიმართულებებს შორის არსებობდა.

მიუხედავად ქართული ორთოდოქსალური აზროვნების წარმომადგენელთა მცდელობისა უარეყოთ ჩვენში მწვალებლურ აზრთა არსებობა, ორთოდოქსულისაგან განსხვავებული გადახრები "გინა მარცხულ გინა მარჯუულ" (გიორგი მთაწმიდელი), ასეთი გადახრების არსებობა ჩანს ამ ეპოქის თხზულებებში.

იმ დიდმა "წმენდამ", რაც IX – X საუკუნეებში მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში ჩატარდა მწვალებლური "ღვარძლისაგან" ლიტერატურული ნაწარმოებების განსაწმენდად, რაც სპეციალურ ლიტერატურაში მეტაფრასირების სახელწოდებით არის ცნობილი, თავისი შედეგი გამოიღო, მაგრამ ზოგი რამ, ასეთი განსხვავებული თვალსაზრისის არსებობაზე რომ მიუთითებს, მაინც ჩარჩა მთელ რიგ თხზულებებში, ასეთთა რიგს განეკუთვნება ანონიმი ავტორის "ევსტათე მცხეთელის მარტვილობა", ე. წ. სირიელ მამათა მოღვაწეობის აღმწერი თხზულებები... იდეური ბრძოლა ნათარგმნ ძეგლებშიც ჩანს, მაგ. "ევსტრატის წამება", რომელიც IX – X საუკუნეებშია თარგმნილი და რომელიცშეიცავს საყურადღებო შეხედულებებს ანტიკური ფილოსოფიიდან". იდეური წინააღმდეგობების და ბრძოლის აშკარა ნიმუშია "სიბრძნე ბალავარისა" და სხვა ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებები. ასე რომ ადრეშუასაუკუნეების ქართული ფილოსოფიური აზროვნება მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის ვითარებაში იხვეწებოდა და ყალიბდებოდა, რაც იმდროინდელი ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების მაღალი დონის უტყუარი ნიშანია (შ. ხიდაშელი).

სწავლაგანათლება. სწავლაგანათლების ის სისტემა, რომელიც შუასაუკუნოვან საქართველოში ჩამოყალიბდა და ამ დროს მოქმედებდა, ბუნებრივია, ქრისტიანულ იდეოლოგიას ეფუძნებოდა და მისი მთავარი ამოცანა ქრისტიანული რწმენისა და მოძღვრების საფუძველზე აღზრდილი საზოგადოების ჩამოყალიბება, ხოლო სასწავლო დაწესებულებათა ერთერთი მთავარი დანიშნულება ქრისტიანული კულტის მსახურთა მომზადება იყო.

სწავლაგანათლების ორგანიზაციულმა სისტემამ ალბათ ზოგი რამ აითვისა წინაქრისტიანული ხანიდან, მაგრამ ქრისტიანული იდეოლოგია ვერ დაუშვებდა წარმართობის ხანის საგანმანათლებლო სისტემის არსებობას და მაგ.: ფაზისის რიტორიკული სკოლა და ამ ტიპის სხვა ფილოსოფიური აკადემიები, თუ ასეთები ანტიკური ხანის საქართველოში სხვაგანაც მოქმედებდნენ, ალბათ შეწყვეტდნენ არსებობას. ეს არ ნიშნავს, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო კულტად აღიარებისთანავე ჩვენში აღარ იზიარებდნენ ანტიკური სახელმწიფო ფილოსოფიური აზრის დიდი წარმომადგენლების შეხედულებებს ამა თუ იმ სახით. ანტიკური მდიდარი ფილოსოფიისადმი და საზოგადოებრივი აზროვნების პრობლემებისადმი დამოკიდებულება ადრეშუასაუკუნეების საქართველოში სათანადოდაა შესწავლილი ქართველ მკვლევართა მიერ (შ. ნუცუბიძე, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ხიდაშელი...).

სწავლააღზრდა ერთიანი პროცესი იყო, რომელსაც სხვადასხვა ფორმები და საფეხურები ჰქონდა. ერთი ფორმა იყო წარჩინებულთა შვილების უფრო დაბალი საზოგადოების ფენების წარმომადგენელთა ოჯახებში "გაბარება", სამეფო ოჯახის შვილების, წარჩინებულთა ოჯახებში მიბარება. აღზრდის ეს წესი გარკვეულ დრომდე მოქმედებდა სანამ სწავლის დრო დადგებოდა. ასეთი წესი მიზნად ისახავდა ბავშვის ზიარებას საზოგადოების შედარებით ფართო ფენების წარმომადგენლების ყოფასთან. როგორც ცნობილია, ეს ჩვეულება ჩვენში დიდხანს არსებობდა და შესანიშნავადაა აღწერილი და შეფასებული დიდი ქართველი მგოსნისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი წერეთლის მიერ.

მეფეთა და წარჩინებულთა შვილებისათვის ოჯახში იწვევდნენ სათანადო მასწავლებლებს, რომელთაც "მასწავლელი", "მზრდელი", "მოძღუარი" ეწოდებოდათ. ასევე აღმზრდელნი, "მასწავლელნი" თუ "მოძღვარნი" თავის აღზრდილთა მთელი ცხოვრების თანამგზავრნი და უახლოესი პირნიც იყვნენ ხოლმე. ქართლის მეფის ბუზმარის შვილის, მურვანოსის (პეტრე იბერი) აღმზრდელი იყო ცნობილი ფილოსოფოსი მითრიტადე ლაზი, რომელიც შემდეგ მისი ცხოვრების თანამგზავრი და გვერდში მდგომი იყო. უფლისწულ ვახტანგის (მეფე ვანტანგ გორგასლის) აღზრდაში პედაგოგების (ფილოსოფოსების) მთელი ჯგუფი იღებდა მონაწილეობას. ეს "ფილოსოფოსნი" ერთ და იმავე საგანს კი არ შეასწავლიდნენ მას, ალბათ სხვადასხვა დისციპლინებს. აღზრდის საკითხს მჭიდროდ უკავშირდება ე. წ. "მამამძუძეობა". "მამამძუძე", გამზრდელად, მეურვედ, მამის მაგიერადაცაა მიჩნეული.

ოჯახში აღზრდა, სათანადო მასწავლებელთა მიერ წარჩინებულთა ოჯახებში ჩვეულებრივ მიღებული წესი იყო. თეორიულ ცოდნასთან ერთად მეფეთა და წარჩინებულთა ოჯახის შვილებს სამხედრო მომზადებასაც აძლევდნენ. რისთვისაც სათანადო პირებს აბარებდნენ, მაგ: ვახტანგ უფლისწული მამამ ამ მიზნით საურმაგ სპასპეტს მიაბარა. ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა მეფე ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსის განცხადება, "რომელ შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლთა შინა აღიზარდნენ". აღზრდის ასეთი წესი მეფეთა ოჯახს გარდა საერთოდ წარჩინებულთა წარმომადგენლების ოჯახებშიც იყო მიღებული.

საოჯახო აღზრდა 67 წლამდე გრძელდებოდა, შემდეგ უკვე ბავშვებს აბარებდნენ სკოლაში. ექვსი წლის შეიყვანეს სკოლაში შემდგომში ცნობილი მოღვაწე ილარიონ ქართველი, დიდებული აზნაურის მირიანის ძე არსენი, შემდეგ ქართლის კათალიკოსი, ექვს წლამდე მამის სახლში

იზრდებოდა, ექვსი წლის იყო, როდესაც მისი სასწავლებლად მიბარება გადაწყდა. შვიდი წლის ასაკში მიაბარეს ტაძრისის მონასტერში ღვთის მსახურის იაკობის შვილი თეკლა, ხოლო შემდეგ მისი ძმა გიორგი მთაწმინდელი. დაწყებითი სასწავლებლები უმთავრესად ეკლესიამონასტრებთან იყო. ჩანს არსებობდა საერო კერძო სასწავლებლებიც. აღნიშნულ ხანაში ცნობები უმაღლესი ტიპის სასწავლებლების არსებობის შესახებ არ მოგვეპოვება, რითაც უნდა იყოს ალბათ გამოწვეული უმაღლესი განათლების მისაღებად უცხოეთის ქრისტიანული კულტურის ცენტრებში გამგზავრება.

ამდროინდელ საქართველოში არსებული სწავლააღზრდის სისტემა, რომელიც მნიშვნელოვნად ემყარებოდა ძველ ადგილობრივ ტრადიციებს, ამასთანავე სრულიად გასაგები მიზეზების გამო ბიზანტიაში არსებული საგანმანათლებლო სისტემის გავლენასაც განიცდიდა. როგორც ვარაუდობდნენ ამდროინდელ სკოლებში დამკვიდრებული იყო ბიზანტიაში არსებული სწავლების ტრივიუმისა და კვადრიუმის სისტემა, რომლის თანახმად ასწავლიდნენ: გრამატიკას, რიტორიკას, ფილოსოფიას (დიალექტიკას) და არისმეტიკას, გეომეტრიას, მუსიკას (გალობას), ასტრონომიას. აგრეთვე ასწავლიდნენ მოძღვრებას ადამიანის ბუნების შესახებ. როგორც ზემოთ განხილული შატბერდის კრებულის "სასწავლო წიგნიდან" ჩანს, საღვთისმეტყველო საგნებთან ერთად ასწავლიდნენ მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანეს (იმდროინდელი თვალსაზრისით) საკითხებს, უცხო (ბერძნულ, ებრაულ) ენებს, სამშობლოს ისტორიას, რომ ჩამოთვლილ დარგთა სწავლება მაღალ პროფესიულ დონეზე მიმდინარეობდა კარგად დასტურდება ფაქტიური ვითარებით. მაგ.: რიტორიკული ხელოვნებით ქართველი მოღვაწეები იმდროინდელ სამყაროში იყვნენ განთქმულნი. ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი (536582), აღწერს რა ეგრისის მეფის ვერაგულ მკვლელობებთან დაკავშირებული თავყრილობის შესახებ, ხაზგასმით აღნიშნავს ქართველ მოპაექრეთა მაღალ ორატორულ ხელოვნებას. მეფე გუბაზის მკვლელთა გასამართლებაზე ქართველ ბრალმდებელთა გამოსვლები მათი მაღალი პოლიტიკური და იურიდიული განათლების დონის, ლოგიკური აზროვნებისა და რიტორიკული ხელოვნების მაუწყებელია. ქართველ მოღვაწეებს თავისი ორატორული ხელოვნებით თავი უსახელებიათ იმპერიაშიც.

X საუკუნის ქართველი მწერალი გიორგი მერჩულე მოგვითხრობს რა გრიგოლ ხანცთელის მიერ შესწავლილ საგანთა შესახებ, საგანგებოდ მიუთითებს, რომ გრიგოლი, წარჩინებულ მშობელთა შვილი, რომელიც მისი ახლო ნათესავის ქართლის ერისმთავრის ნერსეს ოჯახში იზრდება, რომლის მეუღლე გრიგოლის მამიდა იყო, განსწავლული იყო ქართულად არსებულ მდიდარ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში, ამასთანავე სწავლობდა უცხო ენებს და სხვა ენებზე არსებულ ლიტერატურეს, ეცნობოდა ფილოსოფიურ ლიტერატურეს, საღვთისმეტყველოსთან ერთად საერო წიგნებსაც კითხულობდა და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, კითხულობდა თეოლოგიისათვის მიუღებელ "გარეშე" ლიტერატურასაც. მისი განათლება მას უფლებას აძლევდა თვით განესაჯა, რა იყო მისი მსოფლმხედველობისათვის მისაღები და რა არა.

VX სს - ის საქართველოში ოჯახში მიღებული განათლების შემდეგ სამონასტროსაეკლესიო თუ კერძო სკოლებში, როგორც უკვე ითქვა, სწავლას 67 წლის ასაკიდან იწყებდნენ. ასწავლიდნენ

ინდივიდუალურადაც და ჯგუფურად, ასაკობრივი პრინციპით სწავლა დაახლოვებით 16 წლამდე გრძელდებოდა... “აღზრდის პროცესში ძირითადი სასწავლო საგნები იყო: ქართული მწიგნობრობა, რისთვისაც ძირითადად აგიოგრაფიული ჟანრის თხზულებები გამოიყენებოდა, თეოლოგია, ფილოსოფია, ჰიმნოგრაფია, ლიტურგია (ეკლესია მონასტრებთან არსებულ სკოლებში), უცხო ენა ან ენები, მშობლიური ქვეყნისა და უცხო ქვეყნების მოკლე ისტორია და ბოლოს მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ” (სვ. გამსახურდია) ჰიმნოგრაფიის შესასწავლად იყენებდნენ ქართულ ჰიმნოგრაფიულ თხზულებებს.

ეკლესიამონასტრებთან სასწავლო პროცესებისათვის საგანგებო სემინარიები არსებობდა. ასეთი სემინარიების ნაშთები დღემდეა მოღწეული. სემინარიებს თავისი ბიბლიოთეკები ჰქონდათ. მართალია, ჩვენ ხელთ არა გვაქვს პირდაპირი მითითებები ამდროინდელ სკოლებში ბიბლიოთეკების არსებობის შესახებ, მაგრამ მომდევნო ხანის წყაროებში დაცულია ცნობები ეკლესიებში წიგნადი ფონდის არსებობაზე. ამ მხრივ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა XI სის 20-იან წლებში კათალიკოსპატრიარქ მელქისედეკის მიერ შედგენილ დოკუმენტში ჩამოთვლილი სვეტიცხოვლის ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების ნუსხა. ეს დოკუმენტი იძლევა ვარაუდის უფლებას, რომ ეკლესიამონასტრებში არსებობდა საკუთარი წიგნადი ფონდები, ბიბლიოთეკები. ეკლესიებსა და მონასტრებში ბიბლიოთეკების არსებობის შესახებ ასევე არაპირდაპირი, მაგრამ მნიშვნელოვანი ცნობა უნდა იყოს დავით ტაოელის კურაპალატის საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტი. დავით ტაოელი ბიზანტიის კულტურულ ცენტრებში საგანგებოდ უკვეთავდა რათა გადაეწერათ წიგნები (ხელნაწერები) და გამოეგზავნათ მისთვის. საინტერესოა, რომ ჩანს ეს მას არ აკმაყოფილებდა და მან გაგზავნა ბიზანტიაში მწიგნობარი, რომელსაც მისთვის უნდა გადაეწერა ხელნაწერები,ეს ხელნაწერები ტაოს სამეფოში არსებული წიგნადი ფონდის გამდიდრებას ისახავდა მიზნად.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა გიორგი მერჩულეს თხზულებაში დაცული ცნობა, რომ გრიგოლ ხანცთელის მიერ უბეს მონასტერში მამასახლისად დაყენებულ ილარიონს “აქუნდეს კეთილნი წიგნნი”. ეს ცნობაც თითქოს ადასტურებს მოსაზრებას, რომ ეკლესიებსა და მონასტრებში წიგნების (ბიბლიოთეკის) არსებობა თავიდანვე იყო გათვალისწინებული.

ყოველივე აღნიშნული, ვფიქრობთ იძლევა უფლებას ვივარაუდოთ, რომ ამ დროის საქართველოში სწავლააღზრდის საქმე კარგად იყო ორგანიზებული.

ამ პერიოდის საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართული ენის პრობლემა. ქართულ ენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ქრისტიანობის ოფიციალურ კულტად აღიარებისთანავე მიენიჭა. V ს. სომეხი ისტორიკოსის კორიუნის ცნობით, მეფე ბაკურმა (V ს.) “უბრძანა ერთს, ქართული ენის მცოდნე კაცს, ჯაღის, შეეკრიბა ბავშვები სხვადასხვა კუთხიდან, სადაც სხვადასხვა კილოკავზე ლაპარაკობდნენ, და ესწავლებინა მათთვის ერთი ენა, რომლითაც ქართველებმა ღვთის დიდება დაიწყეს”. ხოლო მოვსეს ხორენაცის ცნობით, იმავე მეფე ბაკურის და ეპისკოპოს მოსეს ინიციატივით შეუგროვებიათ სწავლების მიზნით ბავშვები, რომელიც ორ ჯგუფად გაუყვიათ. როგორც მართებულად ასკვნის კ. კეკელიძე, მოტანილი ცნობით აშკარაა, რომ ამ დროს ჩვენში არსებობდა ელემენტარული დაწყებითი სკოლები. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლების დაარსებაზე სახელმწიფო

ხელისუფლება, მეფე ზრუნავდა, და რაც მთავარია, მეფის მოთხოვნით ამ სკოლებში საგანგებოდ ასწავლიდნენ ქართულ ენას. V საუკუნიდან ქართულ ენაზე მწერლობისსხვადასხვა დარგის ბრწყინვალე ძეგლებია შექმნილი, საქართველო შესანიშნავი წარწერებითაა მოფენილი. სწორედ იმ დიდი მნიშვნელობის შედეგად, რაც მშობლიურმა ენამ ხალხისა და ქვეყნის ისტორიაში მოიპოვა, შეიქმნა უნიკალური ნაწარმოები "ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი", რომლის ავტორია იოანეზოსიმე. ამ თხზულების შესახებ კ. კეკელიძე წერს: "მეათე საუკუნეში ქართული ენის შესახებ ქართველებმა შექმნეს ერთგვარი თეორია, რომლითაც ქართული ენა არამც თუ გათანასწორებულია ბერძნულთან იქამდის, რომ "ისინი ორნი დანი არიან, ვითარცა მარიამ და მართა და მეგობარნი", არამედ უპირატესობაც კი აქვს მას მინიჭებული შემდეგ სიტყვებში: "ყოველი საიდუმლოჲ ამას შინა ენასა დამარხულ არს".

იოანე ზოსიმე მიზნად ისახავს შთააგონოს მკითხველს, რომ ქართული ენა, რომელიც დღეს ბერძნულთან შედარებით "მდაბალი და დაწუნებულია", სინამდვილეში "მძინარეა" და ის "შემკული და კურთხეულია". ქართული ენა ისეთივე თანასწორია ბერძნული ენისა, როგორი თანასწორიც იყო ნინო ელენესი, რომელთაგანიც ნინომ ქართველებს უქადაგა ქრისტეს სჯული, ხოლო ელენემ ბერძნებს. იოანე ზოსიმე სხვა ენებთან შედარებით უპირატესობას ქართულს ანიჭებს და აცხადებს, რომ მეორედ მოსვლისას ქრისტე ყველა ხალხს ქართულად განიკითხავს. საკითხის ამგვარ დაყენებასთან დაკავშირებით კ. კეკელიძე ასკვნის: "იოანეს მაღლა ეჭირა დროშა ეროვნული თვითშეგნებისა და პატივისცემისა. ის, მსგავსად იოანე საბანისძისა, თამამად უპირდაპირებს ერთმანეთს ქართულსა და ბერძნულ კულტურას და პირველს უპირატესობას ანიჭებს მეორეს წინაშე".

ხელოვნება. შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში, და საკუთრივ მის კულტურაში, განსაკუთრებული ადგილი უკავია ხელოვნებას. ამ პერიოდში ვითარდება და განვითარების მაღალ მხატვრულ დონეს აღწევს ხუროთმოძღვრებისა და სახვითი ხელოვნების თითქმის ყველა უმთავრესი დარგი.

შუასაუკუნოვანი ქართული ხელოვნების განვითარების ძირითად მიმართულებას, ბუნებრივია, ქრისტიანული მოძღვრების დოგმატები განსაზღვრავდნენ, მაგრამ ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ ადრეშუასაუკუნოვან ქართულ კულტურას საერთოდ და საკუთრივ ქართულ ხელოვნებას კავშირი ჰქონდა წინაქრისტიანული ხანის ქართულ კულტურასთან, მან ბევრი რამ აითვისა მისგან, მაგრამ, როგორც ცნობილია, აითვისა არა მონურად, არამედ შემოქმედებითად და ის თავისი ინტერესების სამსახურში ჩააყენა.

ქართულ კულტურას ყოველთვის ჰქონდა მჭიდრო კავშირი თავისი ახლო თუ შორეული მეზობელი ხალხების კულტურულ შემოქმედებასთან (სომხების, სპარსელების, ბერძნების, რომაელების, არაბების...), რაც ცხოველმყოფელ გავლენას ახდენდა მის განვითარებაზე, მაგრამ აქაც ის ითვისებდა იმას, რაც საკუთრივ ქართული ხელოვნების, მისი საკუთარი ეროვნული ინტერესებისა და გემოვნებისათვის იყო მისაღები. თავის მხრივ ქართულ კულტურას საერთოდ, და საკუთრივ ქართულ ხელოვნებას გარკვეული წვლილი შეჰქონდა შუა საუკუნეების მსოფლიო ხელოვნების განვითარებაში. ქრისტიანობის დამკვიდრებამ, შეიძლება ერთი მხრით შემოსაზღვრა ხელოვანთა შემოქმედება და ის გარკვეული თვალსაზრისით, ქრისტიანულ

დოგმებს დაუქვემდებარა, მაგრამ ამასთანავე, აშკარაა ქრისტიანული იდეოლოგიის დანერგვით როგორ ხდება თანდათან ანტიკური ხანის ნიველირების დაძლევა და ქართული ხელოვნება IV საუკუნიდან მოყოლებული, ადრეშუასაუკუნეების მანძილზე იღებს აშკარად გამოსახულ ეროვნულ სახეს.

ეს პროცესი განსაკუთრებით ცნობიერდება მაგ.: ქართული ხელოვნების ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგის ხუროთმოძღვრების განვითარებაში.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ჩვენამდე ადრეშუასაუკუნოვანი ქართული ხუროთმოძღვრების საკულტო არქიტექტურის შესანიშნავმა ძეგლებმა მოაღწიეს რასაც, სამწუხაროდ ვერ ვიტყვით სამოქალაქო არქიტექტურის ძეგლებზე, სასახლეებზე, საცხოვრებელ სახლებზე, ციხედარბაზებზე. მართალია, ასეთი ხასიათის ნაგებობათა არსებობას მოწმობენ წერილობითი წყაროები, მაგრამ ჟამთა სიავეს მათი მხოლოდ მცირედი ნაწილი გადაურჩა და ისიც ნანგრევების სახით. უმთავრესად საკულტო ძეგლების მშენებელნი საქართველოში, ბუნებრივია, ითვალისწინებდნენ იმ მკაცრ მოთხოვნებს, რასაც საეკლესიო მღვდელმსახურება, ეკლესიაში აუცილებლად შესასრულებელი რიტუალი მოითხოვდა. ამავე დროს, ჩანს, ისინი ითვალისწინებდნენ იმ ტრადიციასაც, რაც დამკვიდრებული იყო უფლის ბიოგრაფიასა და მის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ რეგიონებში, სირიაში, პალესტინაში. ამიტომ ალბათ ბუნებრივია ჩვენში უძველესი საკულტო შენობების აგებისას სირიასა და პალესტინაში არსებული მოდელების გათვალისწინება. ასეთი ბაზილიკური ტიპის ნაგებობებია ნეკრესის (IV სის ბოლო მეოთხედი), ძველი შუამთის (V ს.) ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლები. ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება ბოლნისის სიონს, ქართული ხუროთმოძღვრების ერთერთ უშესანიშნავეს ძეგლს, რომელიც V საუკუნის ბოლოს არის აგებული (გ. ჩუბინაშვილი).

უძველესი ჩვენამდე შემორჩენილი ქრისტიანული საკულტო ნაგებობანი ბაზილიკური ტიპისაა, რაც შესაძლებელია იმდროინდელი საეკლესიო ხელისუფლების მოთხოვნას წარმოადგენდა. მაგრამ, ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ეს ბაზილიკები ბრმად არ იმეორებენ თავის უცხოურ მოდელებს. როგორც ჩანს, ქართულ ხუროთმოძღვრებაზე დიდი გავლენა ჰქონდა ანტიკური ხანიდან მომდინარე ე. წ. "ცენტრალურ" ნაგებობათა ტრადიციაზე ჩამოყალიბებულ და აგებულ ძეგლებს, რომელნიც, როგორც ცნობილია, აღწერილია ანტიკურ წერილობით წყაროებში (ვიტრუვი) და დადასტურებულია ქართული გლეხური საცხოვრებელი სახლის "დარბაზის" არსებობით.

ქართულ ბაზილიკებს ახასიათებს მრავალი დასავლური ბაზილიკებისაგან განმასხვავებელი ნიშანი, ისინი უფრო სომხურ, სირიულ, მცირეაზიურ, "აღმოსავლურ ბაზილიკათა" ტიპს მიეკუთვნებიან და თავისებურ, დამოუკიდებელ ჯგუფს ქმნიან (ვ. ბერიძე).

ბოლნისის სიონი კარგად ავლენს თავისებურ თვისებებს ზოგადად ბაზილიკური ტიპის ფარგლებში. განსაკუთრებით საინტერესოა ჩუქურთმები, რომელნიც ტაძრის მთავარ მორთულობას შეადგენდნენ. აქ წარმოდგენილია მცენარეული მოტივები, რომელნიც ავლენენ მსგავსებას სასანურთან, აქვე წარმოდგენილია ორი ფრთოსანი ლომის ფიგურა, რომელთა შორის

ქურციკია, რაც უცხოა ქართული სინამდვილისათვის, ასევე გვხვდება ქრისტიანულ სამყაროში გავრცელებული ფარშავანგის, ირმის გამოსახულებანი. განსაკუთრებით საინტერესოა წარმართული ხანის წმინდა ცხოველის ხარის თავის ფიგურა, რქებს შორის ქრისტიანული სიმბოლოს, ჯვრის გამოსახულებით. ეს მოტივი ღრმად დამკვიდრდა ქართულ ქრისტიანულ სინამდვილეში, რისი დასტურიცაა მცხეთის სვეტიცხოვლის კარიბჭეზე წარმოდგენილი ხარის თავები რქებს შორის ჯვრებით.

ადრეულ შუასაუკუნეებში საქართველოში თავისებური ბაზილიკური ტიპი შემუშავდა, რომელსაც გ. ჩუბინაშვილმა სამეკლესიანი ბაზილიკა უწოდა, რადგან, გარედან ის ჩვეულებრივი ბაზილიკის ორფერდა სახურავიანი ნაგებობაა მაღალი შუა ნავით, შიგნით კი დაყოფილია არა ბოძებით, არამედ კედლებით. VVII საუკუნეებში შემუშავებულმა წმინდა ბაზილიკური ტიპის ნიმუშებმა შემდეგ საუკუნეებში მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადეს.

VI საუკუნის ბაზილიკებია: ურბნისის ტაძარი (შიდა ქართლში), წყაროსთავი (ჯავახეთში), თბილისის "ანჩისხატი", კაწარეთის სამება და ვაზისუბანი (კახეთში). ბაზილიკური ტიპის იმ ეკლესიებიდან, რომელთაც ბაზილიკის ე. წ. "წმინდა" ნიმუშები ეწოდებათ, აღსანიშნავია V – VII საუკუნეების ქვემო ბოლნისის, ნეკრესის, დმანისის ნაქალაქარში არსებული ეკლესიები. ეს ე. წ. სამნავიანი ბაზილიკები, როგორც ჩუბინაშვილი აღნიშნავს, წმინდა ქართული მოვლენაა და საქართველოს ფარგლებს გარეთ არ გვხვდება.

მიუხედავად იმისა, რომ ბაზილიკური ტიპის ეკლესიები ისევ შენდებოდა, VI საუკუნიდან თანდათან საქართველოში გუმბათიანი ეკლესიები იკავებენ პირველ ადგილს.

ქრისტიანული წესი, რიტუალი და სხვა მომენტები, რომელნიც გუმბათიან ტაძართა საერთო ნიშნებს იმუშავებს, გარკვეულ ერთიან მოთხოვნებს უყენებს მშენებლებს. საქართველოში შეიქმნა ჯვრის ტიპის რამდენიმე სახეობა, რომლის შემუშავებაში გარკვეული როლი შეასრულა სასანურმა არქიტექტურამ, მაგრამ რომელიც უმთავრესად ქართული გლეხური "დარბაზის" ტრადიციას ეფუძნება.

საქართველოში უკვე VI საუკუნიდანაა ცნობილი ჯვრის ტიპის რამდენიმე ნიმუში: შიომღვიმის მონასტრის ძველი ეკლესია, ძველი გავაზის ეკლესია, ნინოწმინდის კათედრალი, მცხეთის ჯვარი...

ქართული ხუროთმოძღვრების (და არა მხოლოდ ქართული) მშვენებაა მცხეთის ჯვარი, VI – VII საუკუნეთა მიჯნაზე, მცხეთის ერისმთავართა მიერ აგებული დიდებული ტაძარი, სრულყოფილი და დახვეწილი ფორმებით, ფასადზე ამშენებელთა რელიეფური ქანდაკებებით და ეპოქის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი წარწერებით. მცხეთის ჯვრის ტიპის ტაძრები VII საუკუნის საქართველოში არაერთი აიგო: ატენის სიონი, ჭყონდიდელის საეპისკოპოსო ტაძარი მარტვილში, ძველი შუამთა. ამავე ტიპისაა წრომის ტაძარი, სამწევრისის ეკლესია, საეპისკოპოსო ტაძრები იშხანი, ბანა... როგორც ვხედავთ გეოგრაფია ფართეა და მოიცავს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს და რაც მთავარია, საერთო გეგმარებასთან ერთად ყოველი მათგანი დამოუკიდებელი ძიებისა და შემოქმედების ნაყოფია. ჯვრის ტიპის ტაძრები ამჟღავნებენ გარკვეულ მსგავსებას, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის, განსაკუთრებით სომხეთის ამ

ეპოქისა და ამ ტიპის ტაძრებთან, მაგრამ ამასთანავე საგრძნობლად განსხვავდებიან მათგან სიმაღლით, ფასადებითა და ინტერიერის მხატვრული გადაწყვეტით.

აღნიშნული არქიტექტურული ტიპი შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას პოვებს VIII - X საუკუნეების ძეგლებში. VIII – IX საუკუნეებშია აგებული წირქოლისა და არმაზის ეკლესიები ქსნის ხეობაში. არმაზის ეკლესია უძველესი ნაგებობაა საქართველოში, რომელზედაც აგების თარიღია მითითებული, 864 წ. კახეთში ამ დროს აგებულია გურჯაანის ყველაწმინდა და ვაჩნაძიანის ყველაწმინდა. გურჯაანის ყველაწმინდა უნიკალური ძეგლია ქართულ სინამდვილეში, მას ორი გუმბათი აქვს. ამ ტიპის ორგუმბათიანი ნაგებობა ჩვენში სხვა არ მოიპოვება. X საუკუნეშია აგებული ოპიზის, დოლისყანის ეკლესიები სამხრეთდასავლეთ საქართველოში, ტაოკლარჯეთში, კუმურდოს ტაძარი ჯავახეთში, 964 წლის მნიშვნელოვანი წარწერითა და, რაც ფრიად იშვიათია ქართულ სინამდვილეში ხუროთმოძღვრის საკოცარის სახელით.

X საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებშია აგებული ოშკისა და ხახულის დიდებული საეპისკოპოსო კათედრალები ტაოში, ბიჭვინთის დიდი ტაძარი აფხაზეთში... როგორც ვხედავთ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა გეოგრაფია საკმაოდ ვრცელია და ის საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს მოიცავს.

საკულტო ნაგებობათა შთამბეჭდავი გარეგნული ფორმების მნიშვნელოვანი განსხვავება ერთი საერთო არქიტექტურული ტიპის პირობებში იმდროინდელი ქართველი ხუროთმოძღვრების მაღალ პროფესიულ ოსტატობასა და დახვეწილ გემოვნებაზე მეტყველებს. ამასთანავე ყურადღებას იმსახურებს ორნამენტთა, როგორც ტაძრის შემკულობის სიმდიდრე და დახვეწილობა. ალბათ გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ორნამენტის ძირითადი მოტივები, შეიძლება ითქვას არ მეორდება, რაც მათ შემსრულებელთა მდიდარი ფანტაზიის და ფართო მხატვრული განათლების მოწმობაა.

როგორც ითქვა, შედარებით ღარიბულადაა, რაოდენობის და დაცულობის თვალსაზრისით წარმოდგენილი ამდროინდელი სამოქალაქო არქიტექტურის ძეგლები. ამ ეპოქის საერო არქიტექტურის ძეგლთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია უჯარმის ციხექალაქს, როგორც დაცულობის, ისე მისი შესწავლილობის თვალსაზრისით. წერილობითი წყაროების ცნობებით ქალაქი უჯარმა III საუკუნიდან არსებობდა, ჩანს ის საუფლისწულო ქალაქი იყო. ვახტანგ გორგასლის დროს აქ დიდი სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა. უჯარმა ტიპიური შუასაუკუნოვანი ციხექალაქია, დედაციხე ციტადელით, გამაგრებული კედლით, საცავი კოშკებით, ციხის შიგნით საცხოვრებელი სახლით, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებით, კარის ეკლესიით, რაბადით. უჯარმის ციხე, რომლის ნანგრევებია შემორჩენილი დიდიზომის ქვის კვადრებითაა ნაგები, სწორი ე. წ. "გორგასლის" წყობით.

ამავე ხანის, ვახტანგ გორგასლის მიერ აგებულია ჭერემის ციხექალაქი თავისი საეპისკოპოსო ტაძრითა და სასახლით, ვახტანგის დროინდელია აგრეთვე ხორნაბუჯის ციხექალაქი, აგრეთვე საეპისკოპოსო ტაძრით. ამავე პერიოდს მიეკუთვნება დასავლეთ საქართველოში (სენაკთან) ციხექალაქი ციხეგოჯი, ბერძნული წყაროების არქეოპოლისი,

ეგრისის სამეფოს დედაქალაქი, სამზღუდიანი ქალაქი სასახლით, აბანოებით, სამეურნეო და საცხოვრებელი დანიშნულების ნაგებობებით, მკვიდრად, ლამაზად ნაგები კედლებით, სიმაგრეთა სისტემით. ამავე ხანისაა აღმოსავლეთ საქართველოს სასაზღვრო ზოლის გამაგრებაზე არსებული შორაპანი და სკანდა.

VIII - X საუკუნეებიდან შემორჩენილია ეპისკოპოსთა სასახლეები ჭერემსა და ნეკრესში, იყალთოს აკადემიის შენობა (IX - X სს.). ყურადსაღებია ის გარემოება, რომ შემორჩენილი სამოქალაქო ნაგებობები, როგორც წესი, ორსართულიანია. ქვედა სართული უფრო დაბალია და ჩანს დამხმარე სათავსოებისათვის იყო გამოყენებული, მეორე საცხოვრებლად, ერთი დიდი დარბაზითა და მცირე ოთახებით.

შუასაუკუნოვანმა ქართულმა ხელოვნებამ არ იცის მრგვალი ქანდაკება (კრძალავდა მართლმადიდებლური მრწამსი), აიკრძალა 451 წ. ქალკედონის კრებით, სამაგიეროდ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რელიეფურ ქანდაკებას. მცენარეთა და ცხოველთა რელიეფებთან ერთად საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი როგორც უფლის, ისე ისტორიულ პირთა პორტრეტები, მაგ.: მცხეთის ჯვრის მაშენებელნი, ოპიზის მაშენებელი აშოტ კურაპალატი, ქრისტიანული სიმბოლიკა, ქრისტეს და ღვთისმშობლის ამაღლება, ჯვარის ამაღლება, ანგელოზები და სხვა სცენები. აღსანიშნავია, რომ რელიეფური ქანდაკების პორტრეტული გამოსახულებანი არ ისახავენ მიზნად რეალისტური პორტრეტების დახატვას. ნიშანდობლივია საგრძნობლად დიდი თავი, დიდი ხელები, დიდი მეტყველი თვალები, რაც გარკვეული სულიერი განწყობის გამოხატულებადაა მიჩნეული, ხაზი ესმება სამყაროს არამატერიალურობას (ვ. ბერიძე, ნ. ალადაშვილი).

რელიეფური ქანდაკების ფრიად საინტერესო ნიმუშებია ქვის სტელები, რელიგიურმემორიალური ძეგლები, ოთხკუთხა ბოძები, კვადრულ ან საფეხურებიან პედესტალზე. ამ სტელებზე ზოგჯერ საყოფაცხოვრებო სცენებიცაა გამოსახული (კ. მაჩაბელი).

ხელოვნების ძეგლთა მნიშვნელოვან ჯგუფს ქმნიან მოზაიკები. ფრიად საინტერესო სიმბოლიკაა წარმოდგენილი ბიჭვინთის იატაკის მოზაიკურ მოხატულობაში, რომელსაც V - VI სს. ათარიღებენ. საინტერესოა ფრინველების, ცხოველების გამოსახულებანი, ირმები, ძროხა ხბოთი,"სიცოცხლის შადრევანი" და სხვ.

V - VI სს. შუხუთის (ლანჩხუთის მახლობლად) არსებული ადგილობრივი ქართველი წარჩინებულის სასახლის კომპლექსში მიკვლეული აბანოს იატაკის მოზაიკური მოხატულობა, აგრეთვე პალესტინაში, ბირელკუტის ქართული მონასტრის მოზაიკური მოხატულობა ჩვენში მოზაიკური ხელოვნების საკმაოდ მაღალ დონეზე მიუთითებს. ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა წრომის ტაძრის კონქში დაცული მოზაიკის ფრაგმენტი. მოზაიკის შემორჩენილი ფრაგმენტი და კონქის ნაწილში დაცული მოზაიკის არსებობის დამადასტურებელი მონაცემები იძლევიან უფლებას ვარაუდისათვის, რომ აქ გამოხატული უნდა ყოფილიყო ქრისტე, ხელში ქართულწარწერიანი გრაგნილით და ორი ანგელოზი (სმირნოვი, ჩუბინაშვილი).

ქართული სახვითი ხელოვნების უძველეს ნიმუშად მიაჩნია შ. ამირანაშვილს მცხეთის ე. წ.მცირე ჯვრის აფსიდაში შემორჩენილი მოზაიკის ფრაგმენტი, უკეთ რომ ვთქვათ მოზაიკის არსებობის დამადასტურებელი ნაშთები.

მონუმენტური ფერწერის შესანიშნავი ნიმუშია ატენის სიონის ფრესკები, რომლის ნაწილი, სახელდობრ გუმბათის ყელში, ჩამორეცხილია. ფრესკები შემორჩენილია საკურთხევლის აფსიდის კონქში: ღვთისმშობელი ყრმით, მის ორივე მხარეს მთავარანგელოზები მიქაელი და გაბრიელი, აქვე მათ ქვემოთ ქრისტეს მოციქულები არიან გამოსახულნი. საინტერესოა ქრისტეს გამოსახულება მედალიონში და სხვ. ატენის ფრესკები იმ დროს უნდა იყოს შექმნილი, როდესაც ბიზანტიური სკოლის გავლენა ჯერ მყარად არ იყო დამკვიდრებული ჩვენში. სტილისტურ თავისებურებაში, იგრძნობა ორიგინალური მხატვრული კულტურა, რომელმაც შემდეგ გარკვეული ტრადიციის ხასიათი მიიღო და შეინარჩუნა თავისი ეროვნული ხასიათი (შ. ამირანაშვილი). VIII - X საუკუნეების მცირედ შემორჩენილი ფრესკების ფრაგმენტები ავლენენ ანტიკური მხატვრული მემკვიდრეობის თანდათანი უარყოფის ტენდენციას, მართალია ქრისტიანობა მკაცრად მოითხოვდა სარწმუნოებრივი დოგმების დაცვას, მაგრამ წინაქრისტიანული ქართული ტრადიციული ხელოვნება, ჩამოყალიბებული გემოვნება, მაინც ახდენდა თავის გავლენას სარწმუნოებრივ თემატიკასთან დაკავშირებული ხელოვნების დარგებზე. უფრო მეტად ვლინდება ბიზანტიურისაგან განსხვავებული ეროვნული ტრადიციები საკულტო არქიტექტურაში, ნაკლებად ეკლესიათა მოხატულობაში, მაგრამ გარკვეულ თავისებურებასთან აქაც გვაქვს საქმე. ერთერთი ასეთი თავისებურების აშკარა დადასტურებაა დავით გარეჯელის ციკლი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში, სახელდობრ უდაბნოს გამოქვაბულში.

აღნიშნულთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულმა ეკლესიამ საკუთარი წმინდანები შეიყვანა და მათი ხსენების დღეები დაამკვიდრა საეკლესიო კალენდარში.

როგორც ცნობილია, ქართველი წმინდანის დავით გარეჯელის მოღვაწეობას საგანგებო აგიოგრაფიული თხზულება მიეძღვნა, და მისი მოღვაწეობა დეტალურად იყო დამუშავებული X საუკუნის დასასრულის ქართულ ფრესკულ მხატვრობაში.

ბიზანტიაში პატივს სცემდნენ თავის წმინდანებს მოწამეობრივი მოღვაწეობის, ასკეტური ცხოვრების, ღრმა საღვთისმეტყველო აზროვნებისათვის. დავით გარეჯელი არც მოწამე იყო, არც ასკეტი, არც საღვთისმეტყველო სკოლის დამაარსებელი. ბუნება, რომელიც ეგვიპტელ მეუდაბნოეთა თვალში სატანური შემოქმედება იყო ადამიანის შესაცდენად, დავით გარეჯელისათვის ბუნება, უფლის სიდიადის და სიკეთის გამოვლინება იყო. დავით გარეჯელს უყვარდა საუბარი ირმებთან, იცავდა ჩიტებს და ცხოველებს მონადირეთაგან და როგორც ასკვნის შ. ამირანაშვილი, ფრანცისკ ასიზელზე თითქმის სამი საუკუნით ადრე დავით გარეჯელმა განახორციელა თავმდაბლობა – მორჩილების იდეალი.

იმ დიდ მნიშვნელობაზე, რაც საქართველოში მონუმენტურ მხატვრობას და საკუთრივ ფრესკულ ფერწერას ჰქონდა მინიჭებული, აშკარად მეტყველებს XI საუკუნეში დადასტურებული მეფის კარის მხატვრის ინსტიტუტის არსებობა. შეიძლება არ იყოს

გამორიცხული, რომ ამ ინსტიტუტს ღრმა ფესვები აქვს საქართველოში რაზეც შეიძლება მიანიშნებდეს IV საუკუნის მცხეთაში მხატვართუხუცესის დახუროთმოძღვრის არსებობა, რაზეც მოგვითხრობს ავრელი აქოლისის საფლავის ქვის ბერძნული წარწერა.

საქართველოში ღრმა ფესვები აქვს ჭედურ ხელოვნებას და ანტიკური თუ წინარეანტიკური ხანის ჭედური ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებია ცნობილი. მაგრამ ქრისტიანობამ ხელოვნების ეს დარგიც, ძირითადად, თავისი იდეოლოგიის სამსახურში ჩააყენა. ყოველ შემთხვევაში ამაზე მეტყველებენ ჩვენამდე მოღწეული ქართული ჭედური ხელოვნების ნიმუშები.

ჩვენთვის საინტერესო ეპოქის ჭედური ხელოვნების ნიმუშები არც ისე მრავლადაა შემორჩენილი. ასეთი ხელოვნების ნიმუშად შ. ამირანაშვილს მიაჩნია გრიგოლ ღვთისმეტყველის მოოქროვილი ვერცხლის მცირე ხატი, V საუკუნისა, რომელიც ამავე დროის მცირე "კიდობანშია" მოთავსებული, რომელზედაც შემორჩენილია ადრექრისტიანული ხანისათვის ცნობილი ე. წ. "აყვავებული ჯვრის" გამოსახულება. ხატის წარწერის რიგი ასოების არქაიზმი იძლევა მისი V საუკუნით დათარიღების საშუალებას, რასაც მხარს უჭერს მასზე შემორჩენილი სახელი "საჰაკდუხტი", რომელიც მეფე ვახტანგ გორგასლის დედა შეიძლება იყოს. VIII - IX საუკუნეების მიჯნით ათარიღებს გიორგი ჩუბინაშვილი მარტვილის ენკოლპიუმის ზურგზე სევადით შესრულებულ ოთხ კომპოზიციას. იხილავს რა VIII - IX საუკუნეების ჭედური ხელოვნების ნიმუშებს. გ. ჩუბინაშვილი საგანგებოდ მიუთითებს რომ მათში თავს იჩენს, როგორც "შემოტანლი ნიმუშის გულმოდგინე გადმოცემა", ასევე ახალი (ადგილობრივი?) ტენდენცია, "სიუჟეტური სურათის გადმოცემა მხოლოდ პირობითი ხაზოვანი საშუალებებით, ზოგი ელემენტის ექსპრესიული გამოყოფით და მთელი კომპოზიციის დეკორატიული აგებით". IX - X საუკუნეების მიჯნას განეკუთვნება მარტვილის მეორე ენკოლპიუმი ჯვარცმის სურათით და დავითის, ბაგრატისა და ხოსროვანუშის წარწერით.

ეპოქის ჭედური ხელოვნების ნიმუშებს შორის განსაკუთრებით გამოიყოფა 886 წლით დათარიღებული ზარზმის "ფერიცვალების" ხატი, რომელიც წარმოადგენს ფუძემდებელ, ამოსავალ, ძეგლს შუასაუკუნეთა ქართულ ჭედურ ხელოვნებაში სკულპტურობის ევოლუციის გასაგებად. მარტვილის X საუკუნის ოქროს ჭედური ხატი, რომელზეც გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით, შ. ამირანაშვილის აზრით თუ ერთი მხრივ აშკარას ხდის, რომ ქართველი მხატვარი ან ხედავდა ბიზანტიურ ხატს, ან მის კოპირებას აკეთებდა, ამასთანავე, ამ მხატვარს მნიშვნელოვანი ცვლილება შეაქვს ღვთისმშობლის პოზაში, განსხვავებით ბიზანტიური პირობითი პოზისა, მისი ღვთისმშობელი უფრო თავისუფლად დგას, ბიზანტიური სტილისათვის დამახასიათებელი ტანისამოსის მკაცრი ხაზოვანი ნახატიც უფრო თავისუფალი მხატვრული სტილითაა შეცვლილი.

ეპოქის ჭედური ხელოვნების ფრიად საინტერესო ნიმუშია იშხანის დიდი საწინამძღვრო ჯვარი 973 წლის წარწერით და მასზე დაკრული ქრისტეს გამოსახულებით (გ. ჩუბინაშვილი).

X საუკუნეშია შესრულებული ოქრომჭედელ ასათის მიერ დავით დიდი, ტაოელის ვერცხლის ჯვარი. X საუკუნეს განეკუთვნება ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ

III-ის (“აფხაზთა” მეფის) მიერ ბედიის საეპისკოპოსო ტაძრისადმი შეწირული ოქროს ბარძიმი, 999 წლის შესანიშნავი ქართული ასომთავრული წარწერით.

ჭედური ხელოვნების მნიშვნელოვანი მხარეა გამოსახულების სკულპტურული გადაწვეტის მცდელობა. ჭედური ნივთების შესამკობად (თუ შეიძლება ასე ითქვას) გამოიყენება მოოქრვა, მოსევადება, შემდეგ ჭედურ ნივთებზე ჩნდება ძვირფასი ქვები.

ჭედურ ძეგლებს უკავშირდება მინანქრის ხელოვნება, რომლის უძველესი ნიმუშები ჩვენში VIII - IX საუკუნეებით თარიღდება. ტიხრული მინანქრითაა შემკული მაგ. მარტვილის მონასტრის VIII - IX სს. ენკოლპიუმი. ტიხროვანი მინანქრებით ამზადებდნენ მედალიონებს, ხატებისა და ჯვრების სამკაულებს, მრავალფიგურიან გამოსახულებებს (ლ. ხუსკივაძე).

შუასაუკუნოვან საქართველოში, როგორც უკვე ითქვა, არ განვითარდა მრგვალი ქანდაკება, რაც ქალკედონური მრწამსის აღმსარებელთათვის აკრძალული იყო. ასეთი აკრძალვა არ არსებობდა დასავლური ქრისტიანული სამყაროსათვის, რამაც იქ მრგვალი სკულპტურის განვითარებას შეუწყო ხელი.

ამ პერიოდის ქართულ ხელოვნებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხელნაწერი წიგნების მოხატულობას.

ძველ ქართულ ხელნაწერებზე მინიატურები არაა დადასტურებული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვითონ ხელნაწერები წარმოადგენენ მხატვრულ ნაწარმოებებს, ლამაზი და დახვეწილი ასოები, სხვა ფერით შესრულებული საზედაო ასოებით, რაც საკმაოდ სასიამოვნო განწყობილებას ქმნის.

უძველესი დასურათებული ხელნაწერები IX საუკუნისაა (897 წლის ადიშის ოთხთავი), X საუკუნის ჯრუჭის ოთხთავი (940 წ.). ეს ადრეული მინიატურები უკავშირდება, როგორც ადგილობრივ, ისე სირიულპალესტინურ ტრადიციებს. აქ დადასტურებულია წინა აზიაში შემუშავებული სქემები და ტიპები, რომელნიც თავისებურად არის გაცნობიერებული და წარმოდგენილი ქართველი მხატვრების მიერ (რ. შმერლინგი, ვ. ბერიძე, გ. ალიბეგაშვილი).

ქართული ხელოვნება და საკუთრივ არქიტექტურა უძველესი დროიდან თვალნათლივ ავლენს ქართული სამყაროს ერთიანობას. როდესაც ადრეშუასაუკუნეების საქართველო პოლიტიკურად ჯერ კიდევ არ იყო გაერთიანებული, ქართულ სახელმწიფოებში არსებობდა საკუთარი არქიტექტურული სკოლები: ტაოკლარჯული, აფხაზური, კახური, ჰერული, ქართლური, მაგრამ ყველა ეს სკოლები ერთიან ქართულ არქიტექტურულ სკოლაში ერთიანდებოდნენ და მის განშტოებებს წარმოადგენდნენ.

გაერთიანებამდე დიდი ხნით ადრე, ტაოკლარჯეთში, დასავლეთ საქართველოში, კახეთში, ქართლში პარალელურად წარმოიშვება და ვითარდება ერთნაირი არქიტექტურული და დეკორატიული თემები, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან ცალკეული ქართული მხარეების (აღმოსავლეთ, დასავლეთ, სამხრეთ საქართველოს) არქიტექტურა(ისევე როგორც ხელოვნების დარგთა უმრავლესობა), აღმოცენდა და ვითარდებოდა საერთო ნიადაგზე, მრავალსაუკუნოვანი

საერთო ქართული არქიტექტურისა და სამშენებლო ხელოვნების საერთო მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე (გ. ჩუბინაშვილი, ვ. ბერიძე).

* * *

ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული როლი მიუძღვით საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ ეკლესიამონასტრებს, რომელნიც მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრებს წარმოადგენდნენ.

ქართველებს ქრისტიანობის პირველი საუკუნეებიდანვე ჰქონდათ თავისი საეკლესიოსამონასტრო ცენტრები პალესტინაში, სინას მთაზე ანტიოქიის მახლობლად X საუკუნეში დაარსდა განთქმული ქართული მონასტერი ათონის მთაზე, სადაც მიმდინარეობდა ხელნაწერთა გადაწერა, თარგმნა, სამეცნიეროსთან ერთად ეს ცენტრები დიპლომატიური მისიების როლსაც ასრულებდნენ.

ქართულ სახელმწიფოთა მეთაურნი საგანგებოდ უკვეთავდნენ უცხოეთში მოღვაწე ქართველებს, რათა მათ ეთარგმნათ, გადაეწერათ წიგნები და გამოეგზავნათ საქართველოში. ასევე საგანგებოდ გზავნიდნენ თავის წარმომადგენლებს უცხოეთში, რათა გადაეწერათ და გაემრავლებინათ წიგნები.

უცხოეთში არსებული ქართული ეკლესიამონასტრები, გარკვეული თვალსაზრისით, კულტურული წარმომადგენლობების როლს ასრულებდნენ, ქართული სამყარო მათი მეშვეობით იმ შემოქმედების კურსში იყო, რაც მიმდინარეობდა ქრისტიანულ სამყაროში და აგრეთვე, მათი მეშვეობით ქართული კულტურაც გადიოდა უცხოეთში.

საქართველოში არსებულ ეკლესიამონასტერთაგან, როგორც ამდროინდელ კულტურის ცენტრებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ ოპიზას, შატბერდს, ტბეთს, ოშკს, ხახულს და სხვ. სადაც არაერთი ხელნაწერი გადაიწერა, შედგა კრებულები, დაიწერა ორიგინალური თხზულებები...

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულმა მწერლობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბერძნულ მწერლობაში, ქართულ თარგმანებშია შემონახული ბერძნული მწერლობის არაერთი ძეგლი (აგიოგრაფიული, კანონიკური...) რომელთა ბერძნული დედნები დაკარგულია და ბერძნულ მწერლობაში არსებული მთელი რიგი ხარვეზების შევსება ამ ქართული თარგმანებით ხერხდება.

პოლიტიკური თეორია, მეფის ხელისუფლების იდეოლოგია. პოლიტიკური თეორია და სამეფო ხელისუფლების, სამეფო საგვარეულოს იდეოლოგია, რომელიც ადრეშუასაუკუნოვან საქართველოში ჩამოყალიბდა, არის მთლიანი კონცეფცია, რომელიც განსაზღვრულია ქრისტიანული მსოფლმხედველობით, ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურეკონომიკური და კულტურული განვითარებით. ამ თეორიას საფუძვლად უდევს ქართველთა ეთნიკურეროვნული ერთობის თვითშეგნება. ეს თვითშეგნება, რომელიც თანდათან ყალიბდება ძვ. წ. II ათასწლეულიდან, გამოიკვეთა ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბებით

(ფარნავაზის ხანა), ამ თვითშეგნების განმტკიცების მნიშვნელოვანი საფეხურია V საუკუნის მეორე ნახევარი ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის ხანა, რომელმაც სცადა მონარქის განუსაზღვრელი უფლების დამყარება და რომელმაც მონარქიული იდეა ქრისტიანობას და სახელმწიფო ეკლესიას დაუკავშირა. ამ თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანია ვახტანგ მეფესა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის მომხდარი კონფლიქტის შედეგად კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიერ საგანგებოდ აღნიშნული ქრისტიანული შეგონება, რომ მეფეს ხელისუფლება ღვთის მიერ აქვს ბოძებული (ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება).

იმ მრავალ ფაქტორთა შორის, რომელთაც განაპირობეს მეფე ვახტანგის მიერ სამეფოს დედაქალაქის მცხეთიდან გადატანა, ალბათ ერთერთი სარწმუნოების ფაქტორიც იყო. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო აღსარებად გამოცხადება მცხეთაში მოხდა, ქრისტიანული რწმენის მრავალი სიწმინდე მცხეთასთან იყო (და არის) დაკავშირებული, მცხეთა მაინც იყო საუკუნეთა მანძილზე ქართული წარმართული სარწმუნოების ცენტრი. ეს მყარად იჯდა მცხეთის ისტორიაში, ხალხის მეხსიერებაში. ახალი დედაქალაქი, თბილისი კი, თავისუფალი იყო ასეთი წარსულისაგან.

ადრეშუასაუკუნეების საქართველოში, მიუხედავად მისი პოლიტიკური დაშლილობისა მყარი იყო ქართული ქვეყნების ერთიანობის შეგნება.

ქართული ქვეყნების ერთიანობის კონფცეფცია ლეონტი მროველის ავტორობით ცნობილ “მეფეთა ცხოვრებაშია” წარმოდგენილი*.

ქართული ქვეყნების ერთიანობის კონცეფცია ფაქტობრივად დადასტურებულია XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის, ანონიმი ავტორის თხზულებაში, “მატიანე ქართლისა”, რომლის თანახმად VIII ს. თითქმის მთელი საქართველო მეფე არჩილის სამფლობელოა. ავტორმა კარგად იცის, და ეს შესანიშნავად ჩანს მისი შრომიდან, რეალურად რა მდგომარეობაც არის ამ დროს, რომ საქართველო ფაქტიურად ორადაა გაყოფილი არაბებსა და ბიზანტიელებს შორის, მაგრამ მისთვის ეს მაინც ერთი ქვეყანაა და არჩილი მეფეა.

“მეფე” ქართველთა თვითშეგნებაში სახელმწიფოს არსებობის სიმბოლოა. მიუხედავად იმისა, რომ VI ს-ის 40-იან წლებში სასანიანთა ირანის ხელისუფლებამ გააუქმა ქართლში მეფობა 70-იან წლებში, როდესაც აღსდგა ეროვნული ხელისუფლება, ქართველი ისტორიკოსი წერს, წარჩინებულთა მიერ უპირველესად “განჩენილი” მეფედ ბერძენთა და სპარსთა შიშით”მეფედ ვერ იწოდა” და ერისმთავარს უწოდებდნენ. ამ “ერისმთავრებს” კარგად ესმოდათ, რომ ისინი “მეფეთა საყდართა ზედა” იხდიდნენ. ასე “მეფედ” აღიქვამდა მათ ქართული საზოგადოება და ასეა ეს წარმოდგენილი საისტორიო თხზულებაში. დამპყრობლები მოდიან, მიდიან, ქვეყანას ყოფენ, “მეფის”ხელისუფლებას აუქმებენ, ქართველებისთვის ეს ერთიანი ქვეყანაა და მას “მეფეც” ყავს. ამ თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს იწვევს XVIII ს-ის ქართული ისტორიოგრაფიის “ქართლის ცხოვრების” გაგრძელების, საკუთრივ ბერი ეგნატაშვილის და ვახუშტი ბაგრატიონის დამოკიდებულება XVII ს-ში ქართლში არსებულ მაჰმადიან ხელისუფალთა მიმართ. 1632 წ. ქართლში დანიშნული მაჰმადიანი ბაგრატიონი, ხოსრო მირზა, ქართული წყაროებით როსტომი, ფაქტიურად არის ვასალი ირანის პროვინციის განმგებელი, შაჰის მოხელე ხანი, მაგრამ ბერი

ეგნატაშვილი მას “მეფეს” უწოდებს. ასევე უწოდებს როსტომს და მის მემკვიდრეებს ვახუშტი “მეფეს”. მიუხედავად იმისა, რომ ვახუშტი საკმაოდ კრიტიკულადაა განწყობილი მათ მიმართ, ის მისთვის “მეფეა” სახელმწიფოს არსებობის სიმბოლოა. ამიტომაც იყო რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ ჩვენში მეფის გაუქმების შემდეგ, უშუალოდ სამეფო სახლის წარმომადგენლები, ყველანი რომ გადაასახლა საქართველოდან.

ეპოქის პოლიტიკური აზროვნებისა და სამეფო ხელისუფლების იდეოლოგიის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თეორიას ბაგრატიონთა სახლის ღვთიური წარმომავლობის და მათი ხელისუფლების ღვთისმიერობის შესახებ.

ბაგრატიონები წარმოშობით ძველი ქართული ისტორიულგეოგრაფიული პროვინციიდან, სპერიდან არიან (დღევანდელი ისპირი თურქეთში). ისტორიულ ასპარეზზე ისინი ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან გამოვიდნენ, ერთი მათი შტო სომხეთში დამკვიდრდა, და ისინი სომეხი ბაგრატუნები იყვნენ, ერთი შტო ალბანეთში, და ისინი ალბანელები იყვნენ, ერთი ქართლში, და ისინი ქართველი ბაგრატიონები არიან. სომეხმა ბაგრატუნებმა, რომელთაც IX ს. 80-იან წლებში მიიღეს “სომეხთა მეფობა”, XI ს-ის 40-იან წლებში დაკარგეს სამეფო (ანისის სამეფო) და მეფობაც. ასევე დაკარგეს მეფობა ალბანელმა ბაგრატიონებმაც.

ბაგრატიონთა აღზევებული სახლის წარმოშობის შესახებ V - XI საუკუნეების სომხურ და ქართულ საისტორიო მწერლობაში სხვადასხვა აზრებია გამოთქმული, ისინი სომეხთა ეპონიმის ჰაიკის, წარჩინებული ებრაელის შამბათის ჩამომავლებად არიან გამოცხადებულნი. ჩამოყალიბებულია თვალსაზრისი ქართველ ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის შესახებ.

ანტიკური ხანის ისტორიიდან ცნობილია სახელმწიფოთა სათავეში მდგომ პირთა გაღმერთების ფაქტები. ქრისტიანული იდეოლოგიისათვის მიუღებელია ადამიანის ღმერთად გამოცხადება, მაგრამ ქრისტიანობის ხანაში იქმნება თეორიები ცალკეულ მეფეთა, თუ მათი ხელისუფლების უფლის მიერ დადგინების შესახებ. ქრისტიანული მსოფლმხედველობისათვის მნიშვნელობა აქვს პავლე მოციქულის თვალსაზრისს რომ “ყოველი ჴელმწიფებასა მას უმთავრესისა დაემორჩილენ, რამეთუ არა არს ჴელმწიფებაო, გარნა ღმრთისაგან, და რომელნი იგი არიან ჴელმწიფებანი, ღმერთისა მიერ განწესებულ არიან” (თ. 13, მუხლი 1). ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ბაგრატიონთა მიმართ საქმე ეხება არა მხოლოდ მათი ხელისუფლების უფლის მიერ დადგინებას, არამედ თეორიას მათი ღვთიური წარმომავლობის შესახებ.

თვალსაზრისი ქართულ ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის შესახებ წერილობით წყაროებში პირველად დადასტურებულია გიორგი მერჩულეს თხზულებაში, გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას რომ ეძღვნება. გრიგოლ ხანძთელი მიმართავს აშოტ ბაგრატიონს (ეს ხდება IX საუკუნის დასაწყისში, თხზულება დაწერილია X საუკუნის შუა წლებში, 950 წელს): “დავით წინასწარმეტყუელისა და უფლისა მიერ ცხებულისასა შვილად წოდებულო ჴელმწიფეო, მეფობაი და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვიდრენ ქრისტემან ღმერთმან”, ხოლო XI ს-ის 30-იან წლებში ისტორიკოსმა სუმბატ დავითის ძემ საგანგებო

თხზულება უძღვნა ბაგრატიონთა სახლის ისტორიას, რომელშიც ამ გვარის ღვთიური წარმომავლობის გენეალოგიაა წარმოდგენილი.

X ს. ისტორიკოსის ჯუანშერის ცნობით, ქართლის პირველი ერისმთავარი, ქალის ხაზით ქართლის მეფე ვახტანგ გორგასლის შვილიშვილია. ბაგრატიონთა გვარის მემატიანეს სუმბატ დავითისძის თანახმად, ქართველ ბაგრატიონთა დინასტიის ფუძემდებელი ქართლის პირველი ერისმთავარი გუარამია.

თვალსაზრისი ბაგრატიონთა ებრაული წარმოშობის, სახელდობრ ღვთიური წარმომავლობის და მათი ხელისუფლების VI საუკუნეში დამკვიდრების შესახებ ასახულია X ს-ის ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაში, რომლის თანახმად იბერიელი ბაგრატიონები ქართლში 400 თუ 500 წლის წინ, ე. ი.V ან VI საუკუნეში დამკვიდრდნენ. იბერიელი ბაგრატიონების ღვთიური წარმომავლობის თვალსაზრისს სომხური მწერლობაც ცნობს, სახელდობრ X ს. ისტორიკოსი იოანე დრახანაკერტცი. XVIII ს-ის სწავლულკაცთა კომისიის და ვახუშტი ბაგრატიონის თანახმად, გვარამი “დედით იყო ხოსროიანი (ე. ი. ფარნავაზიანი) და მამით ბაგრატიონი”. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს VII ს-ის სომეხი ისტორიკოსის სებეოსის ცნობა, რომ ბაგრატიონები ფარნავაზიანთა განშტოებას წარმოადგენდნენ. მართალია, არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც, რომელიც სომხური წყაროებიდან მომდინარეობს. რომ პირველი ბაგრატიონი ერისმთავარი IX ს. მოღვაწე აშოტ დიდი იყო, მაგრამ ვფიქრობთ, უფლება გვაქვს მეტი ნდობა გამოვუცხადოთ ბაგრატიონთა გვარის მემატიანის, სუმბატ დავითის ძის ცნობას, და აგრეთვე კონსტანტინე იმპერატორის განცხადებას.რა დროიდანაც არ უნდა ვაღიაროთ მათი მეფობა, ფარნავაზიანებიდან, VI საუკუნიდან და თუნდაც IX საუკუნიდან (რაც არ მიგვაჩნია მართებულად), ბაგრატიონები ევროპის უძველესი სამეფო დინასტიაა და ისინი ყველაზე ხანგრძლივად ფლობენ მეფის ხელისუფლებას, XIX ს-ის დასაწყისში რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის და საქართველოში მეფობის გაუქმებამდე. კარგადაა ცნობილი, რა ხშირად იცვლებოდნენ სამეფო დინასტიები ქრისტიანულ ევროპულ სახელმწიფოებში. რუსეთში რომანოვებმა 300 წელი იმეფეს.

ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს დამკვიდრების შემდეგ, აქ რუსეთის ხელისუფლების მიერ მეფობის გაუქმებამდე, სამეფო ტახტის სხვა საგვარეულოს წარმომადგენლისათვის გადაცემა, ფაქტობრივად არ მომხდარა. XVI ს-ის დასაწყისში, როდესაც საქართველო სამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად დაიყო, სამივე სახელმწიფოში მეფობა მხოლოდ ერთიანი საქართველოს სამეფო სახლის წარმომადგენლებმა დაიმკვიდრეს. მართალია იყო ერთი ორი უშედეგო ცდა ტახტის არაბაგრატიონთა მიერ დაკავებისა, მაგრამ ქართველმა ხალხმა არაბაგრატიონი მეფედ არ მიიღო. თვითონ სახლის წევრებს შორის იყო დაპირისპირება, ქიშპობის შემთხვევებიც, მაგრამ დინასტიის შეცვლის საკითხი არ დამდგარა. ეს მათ ძირითადად თავისი მოღვაწეობით დაიმსახურეს.

საქართველოს დამორჩილების მსურველმა ბიზანტიის იმპერატორებმა, თუ ირანის შაჰებმა, კარგად იცოდნენ, რომ საქართველოს სამეფო ტახტზე არაბაგრატიონს ვერ დასვამდნენ, ამიტომ

იყო რომ მათ ყოველთვის ყავდათ ტახტის მაძიებელი ბაგრატიონები, რომელთა გამოყენებასაც ცდილობდნენ თავისთვის არასასურველი მეფეების წინააღმდეგ.

ალბათ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბიზანტიის იმპერიაში, სადაც დიდი იყო იმპერატორის განუსაზღვრელი უფლებებისათვის სწრაფვა, ვერც ერთმა დინასტიამ ვერ დაამკვიდრა თავისი საგვარეულოს ღვთიური წარმომავლობის იდეა, აღსანიშნავია, რომ ბიზანტიის იმპერიაში მონარქის ხელისუფლება მემკვიდრეობითი არ იყო. გაღმერთებული იყო იმპერატორის ტახტი, ბასილევსი, მისი ადგილი საზოგადოებაში, მისი რანგი, მაგრამ არა მისი საგვარეულო. ამასთანავე ბიზანტიაში შემუშავდა თეორია, რომ ღვთის მიერ არჩეული პირადად ბასილევსია, რაც ქმნიდა საფუძველს მონარქის ხელისუფლების მემკვიდრეობითობის წინააღმდეგ, რადგან უფალი ირჩევდა საუკეთესოს, ღირსეულს. იმპერიაში იყო იმპერატორის ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის წესის დანერგვის ცდები, მაგრამ ეს მხოლოდ დროებით ხერხდებოდა და ის ვერ განმტკიცდა. იყო იმპერატორის სიცოცხლეშივე მემკვიდრის კურთხევის ცდებიც, მაგრამ ძლიერი ოპოზიციის არსებობის პირობებში ვერც ეს განმტკიცდა.

განსხვავებით ბიზანტიის იმპერიისაგან, ჩვენში ადრევე დამკვიდრდა სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის წესი. ეს აშკარად ჩანს ანტიკურ ხანაშიც და ადრეშუასაუკუნეებშიც. ამასთანავე, აშკარად ჩანს ტახტის მამიდან უფროს შვილზე გადაცემის მყარად ჩამოყალიბებული პოლიტიკური დოქტრინის არსებობა. ნიშანდობლივია, რომ ამ პრინციპის დარღვევის ცდებს, როგორც წესი, მკაცრი რეაგირება მოსდევდა, რაც აშკარას ხდის ამ ტრადიციის სიძველესა და სიმყარეს, რასაც მხარს უჭერს აგრეთვე მემკვიდრის თანამოსაყდრედ დასმის წესის არსებობა.

ალბათ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ რუსეთში მეფის ხელისუფლების უფლის მიერ დადგინების თვალსაზრისი მხოლოდ XVI ს. ივანე IV მრისხანის დროს ცნეს.

მეფეს გვირგვინს ეკლესია უკურთხებს. ეს სამეფო ხელისუფლებისა და ქრისტიანული ეკლესიის ერთიანობის, ქრისტიანული სახელმწიფოს პოლიტიკური იდეოლოგიის გამოხატულება და დადასტურებაა. ყალიბდება ქრისტიანული სამეფო ხელისუფლებისა და ქრისტიანული სახელმწიფოს ერთიანობის, სახელმწიფოს რწმენის მეშვეობით გაძლიერება გადარჩენის კონცეფცია. ასეთი პოლიტიკური კონცეფციის ჩამოყალიბება, გარკვეული თვალსაზრისით, განპირობებულია არსებული რეალური ვითარებით, რთული საშინაო მდგომარეობით და უცხოელთა, უცხო რწმენის აღმსარებელი ძალების მოძალებით. ასეთ ვითარებაში იქმნებოდა თეორია ქართველთა ღვთისმშობლის წილხვდომობის შესახებ. ძნელია დაზუსტებით თქმა როდის ჩამოყალიბდა ეს თვალსაზრისი, მაგრამ ფაქტია, IX საუკუნეში, რა დროიდანაც გვაქვს “მოციქულთა მიმოსვლის წიგნი”, ამ თვალსაზრისის არსებობა უკვე დადასტურებულია. ანდრია პირველმოწამის “ცხოვრების” თანახმად საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი იყო და ანდრია პირველწოდებული ღვთისმშობლის მითითებით და მის ნაცვლად ეწევა აქ სამისიონერო მოღვაწეობას. იგივე აზრია გატარებული იღარიონ ქართველის “ცხოვრებაში”, სადაც “ცხოვრების ავტორის თანახმად ღვთისმშობელი პირდაპირ ამბობს, რომ მისმა ძემ ქართველები მას უწყალობა.

ასე ჩამოყალიბდა პოლიტიკური თეორია საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობის, საქართველოში ქრისტიანობის ღვთისმშობლის მითითებით ანდრია პირველწოდებულის მოციქულებრივი მოღვაწეობის, ბაგრატიონთა სამეფო სახლის ღვთიური წარმოშობის, ბაგრატიონთა სამეფო გვარის ხელისუფლების ღვთისმიერობის, უფლის მიერ დადგინებისა და დალოცვილობის შესახებ.

ქართულმა პოლიტიკურმა აზროვნებამ მეფის ხელისუფლებას ღვთაებრივი ძალის მფარველობა და ხელმძღვანელობა მოუპოვა.

* * *

VIII – X საუკუნეებში, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის და ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების ვითარებაში ყალიბდებოდა ქართველთა იდეურპოლიტიკური მრწამსი.

ქართულსომხურმა საეკლესიო განხეთქილებამ იდეურად საბოლოოდ გამიჯნა ერთმანეთისაგან სამხრეთ კავკასიის ორი უახლოესი მეზობელი საქართველო და სომხეთი (VII ს.)

არაბთა და ბიზანტიელთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლასთან ერთად იქმნებოდა მაჰმადიანურ არაბთა სახალიფოსთან და მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ერთმორწმუნე ბიზანტიის იმპერიასთან იდეური ურთიერთობის ფორმა.

მაჰმადიანური სახალიფოს პოლიტიკური ბატონობის პირობებში, საქართველოში აშკარად ჩამოყალიბდა ქრისტიანული რწმენის იდეური უპირატესობის კონცეფცია, “მძლავრთა” სარწმუნოების წინაშე.

არაბი მენელსაცხებლე აბოს მიერ წინაპართა რჯულის უარყოფა და ქრისტიანობისათვის მოწამეობრივი სიკვდილი, თბილისში მყოფ მაჰმადიანთა შიში, რომ აბოს დაუსჯელობის შემთხვევაში ის შეიძლება მაგალითი ყოფილიყო სხვათათვის, აშკარას ხდის, რომ საქართველოში (საკუთრივ თბილისში) ადგილი ჰქონდა დამპყრობელ მაჰმადიანთა შორის ქრისტიანობის მიღების ფაქტებს. ეს გარემოება შესანიშნავად გამოიყენა იოანე საბანისძემ (VIII ს.) თეორიული მსჯელობისათვის ქრისტიანობის, როგორც რწმენის უპირატესობის დასასაბუთებლად ისლამის წინაშე.

თავი XIV. XI საუკუნის დასაწყისიდან 80-იან წლებამდე

XI საუკუნის დასაწყისისათვის ფეოდალური საქართველო პოლიტიკურად გაერთიანებული სახელმწიფოა და სოციალურეკონომიკური თვალსაზრისითაც განვითარების ახალ, მაღალ საფეხურზე დგას. დავით დიდი კურაპალატისა და ქართლის ერისთავის იოანე მარუშისძის დასის დიდმა მცდელობამ თავისი დადებითი ნაყოფი გამოიღო. საქართველოს გაერთიანების

მოსურვე ჭეშმარიტ პატრიოტთა გავლენა იმდენად გაიზარდა, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველასათვის მისაღები კანდიდატი სამეფო ტახტისა დავით კურაპალატის შვილობილი ბაგრატ გურგენის ძე ბაგრატიონი – ბაგრატ III 975 წელს მეფედ გამოაცხადეს ქართლში, ხოლო 978 წელს – დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში). ეს ფაქტობრივად ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების მტკიცე საფუძველი იყო.

საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებაცენტრალიზაციას მოწინააღმდეგენიც ჰყავდა. ესენი იყვნენ დიდგვაროვან ფეოდალთა ერთი ნაწილი და საქართველოს ეკლესიის რეაქციული ფრთა, რომელსაც ზურგს უმაგრებდნენ უცხოელი დამპყრობლები (ბიზანტია, XI ს. 60იანი წლებიდან თურქსელჩუკები). პირველთ – დიდაზნაურებს, სამღვდელოების ერთ ნაწილს – თავიანთი გავლენისა და მდგომარეობის დაკარგვაშეზღუდვა აწუხებდათ, ხოლო მეორეთ – ბიზანტიას, თურქსელჩუკებს – საქართველოს გაერთიანებაგაძლიერება.

მეფესა და დიდგვაროვან ფეოდალებს შორის უთანხმოებამ, როგორც წინა თავშიც ვნახეთ, ჯერ კიდევ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის – ბაგრატ III-ის (975 – 1014 წწ.) დროს იჩინა თავი.

ბაგრატ III მიერ სწორად წარმართული აქტიური საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგად საქართველოს სამეფოს ტერიტორია იზრდებოდა. 1008 წელს, ბაგრატის მამის, გურგენის გარდაცვალების შემდეგ შავშეთკლარჯეთი, სამცხე და ჯავახეთი ერთიანი საქართველოს მეფის საგამგებლოში შემოვიდა. როგორც ჩანს, ბაგრატ III არავითარ ხერხსა და ღონეს არ იშურებდა ქვეყნის ტერიტორიის გასაფართოებლად. ენერგიული ზომები გაატარა კახეთისა და ჰერეთის მიმართ, რის შედეგადაც ეს ორი მნიშვნელოვანი მხარეც შემოიერთა.

ურთიერთობა ბიზანტიასთან.

საქართველოს პოლიტიკური გაძლიერების საპირისპიროდ ბიზანტიის გავლენა მასზე თანდათან სუსტდებოდა. XI საუკუნის ფეოდალური საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის კარდინალური საკითხები ერთმანეთთან უშუალოდ იყო დაკავშირებული. კერძოდ, ქვეყანაში მიმდინარე შინაპოლიტიკური ბრძოლები თავის გამოხატულებას პოულობდა საგარეო პოლიტიკაში. მნიშვნელოვანი პრობლემა XI საუკუნის პირველ ნახევარში ბიზანტიასთან ურთიერთობა იყო. კავკასიის საკითხს ბიზანტიის საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის დიდი ადგილი ეკავა. იყო დრო, როცა ბიზანტია საქართველოსა და სომხეთს მხარს უჭერდა და მათ გაძლიერებაზე ფიქრობდა, რადგან ეს უკანასკნელნი არაბთა სახალიფოსთან დასაპირისპირებლად ესაჭიროებოდა. XI საუკუნისათვის, როცა ბიზანტიის იმპერიისთვის არაბთა სახალიფოს საკითხი პრაქტიკულად არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგან მის ნანგრევებზე აღმოცენებული მაჰმადიანური საამიროები სერიოზულ მეტოქეობას ვეღარ გაუწევდნენ, უკვე საქართველოსა და სომხეთის გაერთიანებაში დაინახა საფრთხე. აქედან გამომდინარე, ბიზანტიის დამოკიდებულება კავკასიის ქვეყნებისადმი რამდენადმე შეიცვალა. ბუნებრივია, ბიზანტიის იმპერია ცდილობდა აქ თავისი გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებას. მით უმეტეს, რომ უკვე იგრძნობოდა ბიზანტიის იმპერიის დასუსტების

დასაწყისი. საიმპერიო კარი დიდი დაძაბულობის შედეგად ახერხებს თავისი სამფლობელოების დაცვას და ქვეყნის შიგნით ცენტრალური ხელისუფლების სიმტკიცის შენარჩუნებას.

ბიზანტიის იმპერიას არ აკმაყოფილებდა საქართველოსგან მხოლოდ ფორმალური აღიარება ბიზანტიის სუვერენობისა და იგი რეალურად ცდილობდა თავისი მდგომარეობის განმტკიცებას. ამ მისწრაფების აშკარა განხორციელების მაგალითი იყო XI ს. დასაწყისში სამხრეთი ტაოს ტერიტორიაზე (დავით კურაპალატის ყოფილი სამფლობელოების ბაზაზე) იბერიის თემის შექმნა.

სამხრეთ ტაოს სომხეთისთვისაც ჰქონდა მნიშვნელობა და შემთხვევითი არ იყო, რომ, როდესაც საქართველო ცდილობდა თავისი ტერიტორიის დაბრუნებას, მას მხარში სომხური სამეფოსამთავროები ედგნენ.

ბიზანტია-ბულგარეთის ომი და საქართველო. გიორგი I.

სამხრეთი ტაოს დაბრუნებისათვის ბრძოლის გზაზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო ბულგარეთის ომი (1014 - 1018 წწ.) ბიზანტიელთა აგრესიის წინააღმდეგ.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ბულგარეთის ურთიერთობა ბიზანტიასთან საქართველოს მსგავსად დაძაბული იყო. ბიზანტიას თავისი გარკვეული ინტერესები ჰქონდა ბულგარეთთან. აღსანიშნავია, რომ სწორედ 1001 წელს დაიწყეს ბიზანტიელებმა ბულგარეთის გეგმაზომიერი დაპყრობა. ბულგარელი ხალხი თავგანწირვით იბრძოდა დამპყრობლის წინააღმდეგ. ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყო 1014 წლიდან.

საერთოდ, ბულგარელი ხალხის ხანგრძლივმა და ძლიერმა წინააღმდეგობამ წაახალისა სხვა ქვეყნები. საქართველოს სამეფო კარმა ისარგებლა იმით, რომ ბიზანტია ბულგარეთის პრობლემით იყო დაკავებული, განსაკუთრებით 1014 წლიდან, და ბრძოლა დაიწყო სამხრეთი ტაოს მიწაწყლის გასათავისუფლებლად და შემოსაერთებლად. ამ ბრძოლას სათავეში საქართველოს მეფე გიორგი I (1014 - 1027 წწ.) ედგა. ქართველებს მხარში ამოუდგნენ სომხებიც. გიორგი Iმა ენერგიულად შეუტია და დაიკავა ყველა ის ციხე, რომელიც დავით კურაპალატმა კეისარს გადასცა.

ბულგარეთის მარცხმა (1018 წელს ბულგარეთი საბოლოოდ დაიმორჩილა ბიზანტიამ) შეცვალა საქართველოს მდგომარეობაც. ბასილმა ტაოს მიწაწყალი მოიკითხა და სასწრაფოდ მოსთხოვა გიორგი I-ს დაკავებული ციხესიმაგრეების დაცლა.

გიორგი I-ს არ შეუსრულებია იმპერატორის მოთხოვნა, რასაც ეს უკანასკნელი განურისხებია და ლაშქარი გაუგზავნია ქართველთა წინააღმდეგ, თანაც დაუვალებია, რომ ძალით დაეპყროთ სადავო ქვეყანა. ქართველებმა ბიზანტიელებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და ოლთისის ახლოს მომხდურნი გააქციეს.

საქართველოს ლაშქრის სარდლობას, ბიზანტიის ჯარის რაოდენობის შემოწმების შემდეგ, შებმა მიზანშეუწონლად ჩაუთვლია და უკან დახევა გადაუწყვეტია. უკან მიმავალ ქართულ ლაშქარს ბიზანტიელები დაედევნენ. გიორგი I-მა მტრის მოძრაობის ხელის შეშლის მიზნით გადაწვა ქ. ოლთისი. ლაშქრის სარდლობა არ ჩქარობდა ბრძოლის დაწყებას, მაგრამ

ბიზანტიელებმა იაქტიურეს, თვითონ შეებნენ საქართველოს ლაშქრის არიერგარდს შირიმნთან 1021 წელს. ბრძოლა პალაკაციოს (ჩილდირის) ტბის მახლობლად მომხდარა. ქართველებმა მედგარი ბრძოლით უკუაქციეს ბიზანტიელთა ჯარები, მაგრამ ბრძოლაში მოპოვებული უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და უკან დაიხიეს. ამან კიდევ უფრო გააქტიურა მტერი. ბიზანტიის ლაშქარმა შეტევა კოლაარტაანჯავახეთზე გამოვლით განავითარა და გაანადგურა ეს მხარე. შემდეგ თრიალეთში შემოიჭრა. გიორგი I-მა მოიშველია კახეთისა და ჰერეთის ძალები და ბრძოლის განახლება გადაწყვიტა. ზამთრის მოახლოებისა და, როგორც ჩანს, ქართველების მომაგრების ანგარიშის გაწევით, ბიზანტიის მბრძანებელმა ბრძოლის გაგრძელება მიზანშეუწონლად ჩათვალა და უკან გაბრუნდა, ტრაპიზონში მივიდა და იქ დაიზამთრა.

ნიშანდობლივია, რომ ბიზანტიასთან ბრძოლისას საქართველოს სხვადასხვა პროვინცია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული გამოვიდა, ამასთან ქართველმა ფეოდალებმა დაივიწყეს შუღლი, თავიანთი სეპარატისტული განწყობილებები, მტრობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან და გიორგი I-ს ამოუდგნენ მხარში. კახეთჰერეთიც კი, რომელთაც ისარგებლეს გიორგი I-ის მიერ ბიზანტიის წინააღმდეგ გამოსვლით და აღიდგინეს დამოუკიდებლობა, შემდეგ, როგორც მოკავშირენი, ჩაებნენ ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ბრძოლაში დაიღუპნენ მსხვილი ფეოდალები – კლდეკარის ერისთავი რატი ლიპარიტის ძე და ხურსი.

მთელი XI საუკუნის მანძილზე საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა გარკვეული სიმწვავით ხასიათდებოდა, მათი დამოკიდებულებაც მეტწაკლებად დაძაბული იყო.

ბაგრატ IV.

გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ, 1027 წელს გამეფდა მისი მცირეწლოვანი შვილი ბაგრატი (ბაგრატ IV – მეფობდა 1072 წლამდე). 1022 - 1025 წწ -ში მძევლად იყო კონსტანტინოპოლში. “მატიანე ქართლისაჲს” ავტორი აღნიშნავს, რომ “მასვე ჟამსა (ე.ი. ბაგრატის გამეფებისთანავე – რ.მ.) წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს: ვაჩე კარიჭისძე და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა”. ბიზანტიის კეისრის – კონსტანტინესათვის ეს, რა თქმა უნდა, გასახარელი იყო და მანაც “მოქცევასა ოდენ წელიწადისასა გამოგზავნა ურიცხვი ლაშქარი და მოაოხრნა იგივე ქუეყანანი, რომელნი ბასილი მეფესა მოეოხრნეს”.

1029 - 1030 წწ. ბიზანტიასთან ზავი დაიდო. ბაგრატის დედის, მარიამ დედოფლის თაოსნობით, ბიზანტიის იმპერატორმა ნიკოლოზ III-მ საქართველოს ახალგაზრდა მეფეს ცოლად მიათხოვა თავისი ძმის ბასილის ასული ელენე და მიანიჭა კურაპალატის პატივი. დედოფალი ელენე მალე გარდაიცვალა და ბაგრატ IV-მ ცოლად შეირთო ოსთა მეფის ასული შორენა. მალე ახალი შინა ომი დაიწყო.

ბიზანტია ყოველგვარ ხერხს მიმართავდა, რომ საქართველოს ციხე შიგნიდან გაეტეხა. მან ნაწილობრივ შეძლო კიდეც მოსახლეობის დაბალი ფენების თვალში თავისი მძარცველური პოლიტიკა გაემართლებინა. კერძოდ, ბიზანტიის მთავრობამ თავის ჯარს გამოაყოლა ტახტის მაძიებელი დემეტრე (ამგვარ ხერხს ბიზანტიელები ადრეც მიმართავდნენ). ეს უკანასკნელი

საქართველოდან გაქცეულიყო და ბერძნებს შეჰკედლებოდა. სამხრეთი საქართველოს ბევრი დიდი ფეოდალი მიემხრო დემეტრეს. საქართველოს მეფის წინააღმდეგ ბრძოლა კლდეკარის ერისთავის, ლიპარიტის მეთაურობით წარმოებდა. ბაგრატ IV მტერთან მორიგდა: ლიპარიტს ქართლის ერისთავობა უწყალობა, ბიზანტიელთა ჯარი და დემეტრე გიორგის ძე კი იძულებულნი გახდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ. ბაგრატ IV-სა და ლიპარიტს შორის ურთიერთობის ნათელი მაჩვენებელია "მატიანე ქართლისაჲში" დაცული 1047 წელს სასირეთის ჭალასთან ბრძოლის ეპიზოდი. იგი საინტერესოა იმითაც, რომ ბრძოლაში ვარიაგთა ("ვარანგთა") რაზმიც იღებდა მონაწილეობას. თხზულებაში აღნიშნულია: "... და მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი, და დააყენა ბაშს; გარდმოიტანა თანა შვიდასი კაცი, და მოვიდა ბაგრატ შიდათ ლაშქრითა; და ამათ ვარანგთა, მესხნი ვერღარა მოილოდინეს, მოვიდეს და შეიბნეს თავსა სასირეთსა ჭალისასა; გაიქცა შიდა ლაშქარი, და ომსა ამასვე შეიპყრეს აბუსერი და სხუანიცა დიდებულნი მისთანა, ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა".

ვარანგები შავი ზღვითა და შემდეგ მდინარე რიონით გამოვიდნენ ბაშამდე (როგორც ჩანს, ბაში მნიშვნელოვანი პუნქტი იყო მდ. რიონის სანაოსნო მაგისტრალზე), რომელიც მეფესა და მის ადმინისტრაციას ემორჩილებოდა (ბაგრატ IVის სატახტო რეზიდენციაც ხომ დასავლეთ საქართველოში – ქუთაისში იყო).

საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასთან ისე გართულდა და გამწვავდა, რომ ბაგრატ IV არათუ ემორჩილებოდა კეისარს, არამედ სერიოზულ მეტოქეობასაც უწევდა მას. ბაგრატმა ლიპარიტის დამორჩილებაც მოახერხა. მისი გამთავრებით უკმაყოფილო მესხმა აზნაურებმა 1058 წელს შეიპყრეს ეს ურჩი ფეოდალი და მეფეს მიჰგვარეს. ეს ფაქტი ბიზანტიის პოლიტიკის მარცხი იყო, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმეში კი წინ გადადგმული ნაბიჯი.

XI საუკუნის 60-70იან წლებში საგარეო პოლიტიკური ვითარება ერთგვარად გართულდა, რისი უშუალო მიზეზი თურქული მოდგმის ტომების სელჩუკების გამოჩენა იყო.

"დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს" დამაარსებლის – თოღრულბეგის (1038 - 1063 წწ.) მემკვიდრემ და საქმის გამგრძელებელმა სულთანმა ალფარსლანმა (1063 - 1072 წწ.) არაერთგზის დალაშქრა საქართველო (1065 წ., 1068 წ.). ქართველები ბაგრატ IV-ის წინამძღოლობით მხნედ ებრძოდნენ მომხდურ მტერს და ცდილობდნენ, რომ თურქსელჩუკებს ქართულ მიწაზე ფეხი არ მოეკიდებინათ. ალფარსლანი შეცვალა მალიქშაჰმა (1072 - 1092 წწ.), რომელმაც კიდევ უფრო გააფართოვა "დიდ სელჩუკთა სახელმწიფო".

თურქსელჩუკების შემოსევები უდიდეს ზიანს აყენებდა დაპყრობილ ქვეყნებს.

გიორგი II. "დიდი თურქობა".

ბაგრატ IV 1072 წლის 24 ოქტომბერს გარდაიცვალა, ტახტი დაიკავა გიორგი II-მ. აღსანიშნავია, რომ გამეფებისას გიორგი II უკვე ატარებდა კურაპალატის ტიტულს (ბაგრატ IV ჯერ კურაპალატის, შემდეგ ნოველისიმოსის, ხოლო ბოლოს სევასტოსის ტიტულს ატარებდა).

"მატიანე ქართლისაში" საგანგებოდაა ხაზგასმული ის მძიმე და რთული მდგომარეობა, რომელშიაც ერთიანი საქართველო XI საუკუნის შუა წლებში იმყოფებოდა: "ხოლო ჟამთა მისთა

(ბაგრატ IV-ის მეფობის ხანაში – რ.მ.) ქვეყანასა დაწყნარება არა ჰქონდა: “ეკლესიანი და გლეხნი, აზნაურნი და გლახაკნი ვერ იკითხვებოდეს”. ქვეყნის ასეთი მძიმე და დაძაბული მდგომარეობა გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, მწვავე პოლიტიკური და შინაპოლიტიკური ბრძოლით, რომელიც მთელი სიმძაფრით მიმდინარეობდა, ხოლო, მეორე მხრივ, გართულებული საგარეო ვითარებით (ბიზანტიასთან და თურქსელჩუკებთან ურთიერთობა). ასე რომ, გიორგი IIმ მოღვაწეობა მეტად რთულ პირობებში დაიწყო. იმ მძიმე მემკვიდრეობას, რომელიც მან მიიღო, ძალზე სერიოზული და ქმედითი ზომების გატარება თუ გამოასწორებდა.

გიორგი II-ს გამეფების (1072 წ.) შემდგომ ძალზე ცოტა ხნით მოუხდა მშვიდობიანად ყოფნა. მას განუდგნენ დიდგვაროვანი ფეოდალები – ნიანია ქვაბულის ძე, ივანე ლიპარიტის ძე და ვარდან სვანთა ერისთავი. “მატიანე ქართლისაჲ” გარკვევით აღნიშნავს, რომ ამ თავადებმა ისარგებლეს გიორგი II-ის სიახალგაზრდავით (“სიყრმით”) და “აუშალეს ქვეყანა”. დიდგვაროვან ფეოდალთა ეს გამოსვლა 1073 წლის ზაფხულში უნდა მომხდარიყო (გიორგი 1072 წლის ნოემბერდეკემბერში უნდა გამეფებულიყო. ამ დროიდან დიდგვაროვანთა გამოსვლამდე კი ერთი ზამთარი და ზაფხულის ნახევარი იყო გასული).

ნიანია ქვაბულის ძემ ქუთაისი დაიკავა და “წარუღო ქუთათისისა საჭურჭლე”. ივანე ლიპარიტის ძემ კახელები მოიშველია (“მოირთნა კახნი”) და ქსნისპირი დაიპყრო, ხოლო ვარდანმა სვანები ააჯანყა და საეგრო დაარბია. 1073 წლის ფეოდალთა განდგომის სირთულე საქართველოს სამეფოსათვის მისი გეოგრაფიული მასშტაბების სიფართოვეშიც იყო. ბუნებრივია, კახელების მოშველიება და მეფის საწინააღმდეგო ბრძოლაში ჩაბმა, სვანთა აჯანყება თუ სხვა (ქუთაისის საჭურჭლის მიტაცება, ქსნისპირის დაპყრობა) გამდგარ ფეოდალთა მიერ საკმაოდ დიდი ხნის ჩატარებული მუშაობის შედეგი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ასე სწრაფად ეს გამოსვლა დიდი მასშტაბისა ვერ გახდებოდა. არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ დიდგვაროვან ფეოდალთა 1073 წლის ზაფხულის გამოსვლა წლების მანძილზე მზადდებოდა. ამასთანავე გამოჩნდა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი (კახელები, სვანები) სამეფო ხელისუფლების პოლიტიკის უკმაყოფილოა და, როგორც ვნახეთ, მის წინააღმდეგაც გამოდის. აქ მარტო ვარდან სვანთა ერისთავის ან ივანე ლიპარიტის ძის ავტორიტეტი ვერ შეასრულებდა გადამწყვეტ როლს მეფის წინააღმდეგ მათი გამოსვლისათვის. როგორც ჩანს, უკვე იყო გარკვეული წინაპირობები იმისა, რომ მოსახლეობის ერთი ნაწილი დაპირისპირებოდა სამეფო ხელისუფლებას (მაგალითად, სვანები ეგრისისაგან შევიწროებულნი ჩანან).

საქართველოს სამეფო კარმა, გიორგი II-მ, როგორც ირკვევა, კარგად აწონდაწონეს შექმნილი ვითარება და დაიწყეს ღონისძიებების გატარება განდგომილთა დასამორჩილებლად. გიორგი II-მ გამდგარი დიდგვაროვნები დაიმორჩილა. “მატიანე ქართლისაჲ” აცხადებს: “... გიორგი მეფემან სძლია სიკეთითა, სიბრძნითა და ძჳრუხსენებელ იქნა”. ურჩი ყმების “წყალობით დაფარვა”, რა თქმა უნდა, გარკვეული უკანდახევა იყო სამეფო კარისა, მაგრამ მძიმე მდგომარეობაში (როგორც საშინაო, ასევე საგარეო თვალსაზრისით) ჩავარდნილი ქვეყნისათვის იქნებ საჭიროც იყო.

გიორგი II-ს, როგორც ჩანს, გარდა ძალისა, დიპლომატიაც ფართოდ გამოუყენებია. ალბათ, საქართველოს მეფემ მიზანშეწონილად არ ჩათვალა დიდ ფეოდალებთან მტრულ ურთიერთობაში ყოფნა (აქ იგი, ალბათ, რთულ საგარეო მდგომარეობასაც გარკვეულ ანგარიშს

უწევდა) და მიუხედავად იმისა, რომ ისინი უკვე დამორჩილებული ჰყავდა, გადაწყვიტა გარკვეულ დათმობებზე წასვლა. ეს დათმობა კი იმაში გამოიხატა, რომ ივანე ლიპარიტის ძეს სამშვილდე უბოძა, ხოლო მის ვაჟს ლიპარიტს მისცა ლოწობანი რუსთავის ნაცვლად (ეს უკანასკნელი კახელებს გადაეცა). ნიანია ქვაბულის ძემ საჩუქრად მიიღო თმოგვი "და სხუანი საქონელნი რჩეულნი". ვარდან სვანთა ერისთავმა "ასკალანა და უთაღებო ჯაყელთა" მიიღო.

ამგვარად, გიორგი II-მ "ყოველივე ერთგული და ორგული დაფარა წყალობითა, და დაიწყნარა მეფობა თჳსი".

საქართველოს მეფის მიერ გაცემული წყალობის საფასურად ქვეყნის შიგნით გარკვეული დროის მანძილზე მშვიდობიანობა იქნა მოპოვებული. ეს მშვიდობიანობა არ აღმოჩნდა ხანგრძლივი. ივანე ლიპარიტის ძე კვლავ განუდგა მეფეს. გიორგი II ქუთაისიდან სასწრაფოდ გადავიდა სამცხეში, საიდანაც მესხთა ლაშქრით სამშვილდეს მიადგა. აქ მას მაშველად კახთა მეფე აღსართანი მიუვიდა. ბუნებრივია, გამდგარი ფეოდალი ასეთ ძალებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა: "ვერ დადგა ივანე ციხეშიგან, მირიდა მთათა სამხრისათა". ამის შემდეგ აღსართანის შემწეობით ლიპარიტს ლოწობანი წაართვეს და სამეფოს შემოუერთეს. გიორგი II აქედან ჯავახეთში გადავიდა, სადაც მეფესა და ივანე ლიპარიტის ძეს შორის შეთანხმება მოხდა, ფეოდალმა ერთგულება შეჰფიცა მეფეს, თვითონ კი კლდეკარისა და სამშვილდის ერისთავად იქნა დამტკიცებული.

გაორგულებული ივანე, როგორც ჩანს, საქართველოს მეფეს მხოლოდ სიტყვით უცხადებდა თავის მორჩილებას, სინამდვილეში კი არცერთ ხელსაყრელ მომენტს არ უშვებდა ხელიდან, რომ მეფისათვის ემტრო. თანაც ივანე ლიპარიტის ძის მოქმედება სცილდებოდა საკუთარი თავისა და საგვარეულოს განდიდებისათვის ლტოლვას; ეს დიდგვაროვანი ფეოდალი ყოველგვარ ხერხს ხმარობს იმისათვის, რომ მეფესთან ბრძოლაში გამოიყენოს უცხო ძალებიც. აქ აშკარაა შინაპოლიტიკური ბრძოლის მწვავე საკითხების საგარეო ურთიერთობის პრობლემებში გადახლართვა. საქართველოს მეფესა და დიდგვაროვან ფეოდალებს შორის არსებულმა შინაპოლიტიკურმა ბრძოლამ თავისი გამოვლინება საგარეო პოლიტიკაშიც ჰპოვა.

ივანე ლიპარიტის ძის შემდგომი განდგომაც 1074 წელსვე უნდა მომხდარიყო ("კუალადცა გადგა ივანე"). ამჯერად მან გიორგი მეორის მეციხოვნეებს გამოსტყუა ქალაქი გაგი და განძის პატრონს ფადლონს გადასცა გარკვეულ საფასურად. ივანე ლიპარიტის ძე ცდილობს გარეშე მტერთან კავშირურთიერთობის დამყარებით გაიმაგროს თავისი პოზიციები ქვეყანაში. თუ არა ამას, სხვა რას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ "დიდ სელჩუკთა" სახელმწიფოს სულთანი მალიქშაჰი (10721092 წწ.), მთელი საქრისტიანოს მტრად მონათლული, გამოემართა თუ არა საქართველოსკენ დიდძალი ლაშქრით, ივანემ თავისი შვილი ლიპარიტი მიაგება წინ და "შეაწყნარა სულტანსა", ამით ივანე გარკვეული ნდობის მოპოვებას ცდილობს სულთანის წინაშე. ამავე მიზნით იგი მცირე ხანს სულთანთან დარჩენილა კიდეც. საფიქრებელია, რომ სულთანმა მალიქშაჰმა ივანე ლიპარიტის ძეს რაღაც დიდი სამსახური მოსთხოვა, რომლის შესრულება ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო და იძულებულიც კი გახდა სულთნის კარიდან გამოპარულიყო. ამ გარემოებას ძალზე განურისხებია მალიქშაჰი და ივანეს მკაცრად დასჯა განუზრახავს. ეს რომ სწორედ ასეა, ისიც მიგვანიშნებს, რომ მალიქშაჰმა თავისი დაპყრობითი საქმიანობა

საქართველოში სწორედ ივანეს მამულით დაიწყო: “და მოვიდა სულტანი, და მოადგა სამშვილდესა და წარუღო სამშვილდე, და ტყუე იქნა ივანე თავითა, ცოლითა და შვილისშვილითა, და ყოველთა აზნაურთა დედაწულითა, და დაიჭირა სამშვილდე სულტანმან” (მატიანე ქართლისა).

მალიქშაჰი რისხვად მოევლინა საქართველოს. სამშვილდის აღების შემდეგ მოარბია ქართლი, დიდი ნადავლი შეკრიბა და უკან გაბრუნდა. შემდგომ განძას დაესხა, ფადლონი ციხეში გამაგრდა, მაგრამ ვერ გაუძლო მტრის ესოდენ ძლიერ დაწოლას და იგი შეპყრობილ იქნა. განძის მმართველად მალიქშაჰმა სარანგი დასვა, თან ორმოცდარვაათასიანი ლაშქარი დაუტოვა. ამ უკანასკნელს ბევრი არ დაუყოვნებია და “ყოვლითა ლაშქრითა მისითა”, აგრეთვე განძის, დვინისა და დმანისის ამირების თანადგომით წელგამართული მოადგა საქართველოს.

საქართველოს მეფე გიორგი II სარანგის მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს არ დაუბნევია (შეიძლება იგი ელოდა კიდეც ამას). მან შეკრიბა მთელი თავისი ლაშქარი, მოიშველია აღსართან კახთა მეფე და ამგვარად მომძლავრებული მტერს ფარცხისთან დახვდა. დიდი ბრძოლა საქართველოს ლაშქრის გამარჯვებით დამთავრდა.

გიორგი II-ის ამ ძლევამოსილი გამარჯვების შესახებ საგანგებოდ მიუთითებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც (“რამეთუ დიდი ძლევა მოსცა ღმერთმან გიორგის”). მეტად რთული საშინაო და საგარეო მდგომარეობის დროს გიორგი II-ის მიერ ფარცხისთან ძლევამოსილი გამარჯვება მნიშვნელოვანი მოვლენაა. ამ გამარჯვებამ საშუალება მისცა საქართველოს მეფეს, სხვა ღონისძიებებიც განეხორციელებინა. გიორგი II-მ აიღო ანაკოფია და “მრავალნი ციხენი კლარჯეთისა, შავშეთისა, ჯავახეთისა და არტაანისა”. “მატიანე ქართლისაჲს” მიხედვით გიორგი II-ს აუღია კარის ციხექალაქი (“ციხექუეყანა”) და “სიმაგრენი ვანანდისა და კარნიფორისანი”, ხოლო თურქები გაუქცევია.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი კარის შემოერთებას საქართველოს სამეფოსთან გრიგოლ ბაკურიანის ძის სახელთან აკავშირებს. “ხოლო მუნ მოვიდა წინაშე მათსა (გიორგი მეფის წინაშე – რ.მ.) ზორვარი აღმოსავლისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი, და კარნუქალაქი და კარი... და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხექალაქი და მისნი მიმდგომი ქვეყანა”.

საერთაშორისო მდგომარეობის კიდევ უფრო გართულებამ (ბიზანტიელებმა საქართველოს სამხრეთდასავლეთით მდებარე პროვინციებზე თავიანთი გავლენა თურქსელჩუკების სასარგებლოდ დათმეს) ახალი საფრთხე შეუქმნა საქართველოს: ახლა მტერი ორი მხრიდან (დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან) ერტყა მას. თურქსელჩუკები აღვირახსნილ მოქმედებას ეწეოდნენ საქართველოს მოსახლეობის მიმართ: არბევდნენ, წვავდნენ, აოხრებდნენ, აჩანაგებდნენ მეურნეობას, ხოლო ქრისტიანი მოსახლეობა ტყვედ მიჰყავდათ.

საქართველოს მოსახლეობას არანაკლებ ზიანს აყენებდა მოღალატური გამოსვლები – “შინათგამცემლობა”. სწორედ “შინაგამცემითა ქრისტიანეთათა” ყველის ციხის გარემდგომს გიორგი II-ს თავს დაესხნენ დიდძალი თურქსელჩუკები ამირა აჰმადის მეთაურობით. გიორგი II იძულებული გახდა, თავის ლაშქართან ერთად გაქცევით არიდებოდა დიდძალ მტერს.

თურქსელჩუკებმა იავარჰყვეს საქართველოს დიდი ნაწილი, აურაცხელი ალაფი აიღეს და წავიდნენ.

XI საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისი თურქსელჩუკთა ურიცხვი ბრბოების ახალი შემოსევებით აღინიშნა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი “დიდი თურქობის” სახელით მოიხსენიებს ამ შემოსევებს და თარიღად 1080 წელსა სდებს (“რამეთუ ქრონიკონი იყო სამასი”). კალიასავით შეესიენ თურქები საქართველოს: “და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა”. ერთ დღეს დაუწვიათ თურქსელჩუკებს ქუთაისი, არტანუჯის და კლარჯეთის უდაბნონი. თოვლის მოსვლამდე დარჩნენ თურქსელჩუკები, მოჭამეს მთელი ქვეყანა და წავიდნენ. ასე გრძელდებოდა: გაზაფხულობით მოდიოდნენ თურქსელჩუკები, აოხრებდნენ ქვეყანას, ზამთრის მოახლოებისას კი უკან ბრუნდებოდნენ.

ქართველი ხალხი ძალზე მძიმე საფრთხის წინაშე დადგა – თურქსელჩუკების შემოსევა არსებითად განსხვავდებოდა ბიზანტიელთა და არაბთა ბატონობისაგან. თურქული მომთაბარული მეურნეობა საფუძველს აცლიდა ქართულ ფეოდალურ მეურნეობას, რაც ქვეყანას ერთიანად გადაშენებას უქადდა. “არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოხრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა, ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკჳდრნეს მას შინა... მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკუეთებულ, ხოლო ჩჩვილნი მიმოდატაცებულ... მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად წყლის ნაკადულთა, მრწყველნი ქვეყნისანი”.

გიორგი II ხედავდა ამ მძიმე მდგომარეობას (როგორც საქართველოში, ასევე მეზობელ ქვეყნებში) და ცდილობდა გამოსავალი მოენახა, რათა ქვეყანა საბოლოოდ განადგურებაგაჩანაგებას გადაერჩინა. მეფემ მოიწვია დიდებულები და მათთან მოთათბირების შემდეგ გადაწყვიტა ხლებოდა სულთან მალიქშაჰს. ეს გაბედული გადაწყვეტილება იყო და, ალბათ, ერთადერთი სწორი გზაც შექმნილ ვითარებაში. ერისა და ქვეყნის გადარჩენის მიზნით საქართველოს სულთნის ყველა მოთხოვნა უნდა შეესრულებინა.

საქართველო და მისი მეფე გიორგი II გამონაკლისი როდი იყო სულთანთან ხლებისა და თურქსელჩუკების სასარგებლოდ ხარკის მიცემის საქმეში.

თურქსელჩუკების შემოსევებმა უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა სომეხი ხალხი. სომეხი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე ფილარეტ ვარაჟნუნი, რომელიც მანაზკერტის ბრძოლის (1071 წ.) შემდეგ კილიკიის მმართველი გახდა, ქვეყნის გადარჩენის მიზნით 1086 წელს დიდი ძღვენით ეახლა სულთან მალიქშაჰს და მორჩილება გამოუცხადა. ფილარეტ ვარაჟნუნის ასეთმა ცდამ ვერ გაჭრა – მის მიერ შექმნილი სომეხთა სამთავრო თურქსელჩუკების ხელთ გადავიდა. ამდენად, ფილარეტ ვარაჟნუნის მისია მარცხით დამთავრდა.

რაც შეეხება მეზობელ აზერბაიჯანს, ჩვენ უკვე ვიცით, რომ მალიქშაჰმა განძა აიღო და მისი მმართველი ფადლონი (ფაზლუნი) ტყვედ ჩაიგდო. ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ, რომ ფარიბურზ შირვანშაჰი ეახლა მალიქშაჰს (მაშინ როცა ამ უკანასკნელმა არანზე გაიარა) და

ერთდროულად სამოცდაათი ათასი დინარი ხარკის სახით გადაიხადა, ყოველწლიურად კი ორმოცი ათასი დინარის გადახდა იკისრა. მოღწეულია ფარიბურზ შირვანშაჰის რამდენიმე მონეტა, რომლებზედაც აღნიშნულია სულთან მალიქშაჰისა და ხალიფა ელმუსთაზჰირბილლაჰას სახელები, რაც ხაზს უსვამს შირვანის დაქვემდებარებულ მდგომარეობას თურქსელჩუკებისადმი.

არსებობს ცნობა, რომლის შემწეობითაც მტკიცდება, რომ ფარიბურზ შირვანშაჰი ისპაჰანში ჩასულა მალიქშაჰთან თავისი მორჩილების დასადასტურებლად.

ამდენად, როგორც ვნახეთ, XI საუკუნის 70-80იან წლებში შირვანი, სომხეთი და საქართველო ერთნაირად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან თურქსელჩუკებისაგან. ამიტომ იძულებული ხდებიან, დათანხმდნენ ხარკის გადახდასა და სულთნის მორჩილებაზე, რისი საბოლოო მიზანი ერის არსებობის გადარჩენა იყო.

სწორედ ამიტომ, გიორგი II დიდებულთა თანხმობის შემდეგ ეახლა ისპაჰანში სულთან მალიქშაჰს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ გიორგი II “შეწყნარებულ იქნა მისგან (სულთნისაგან, – რ.მ.), ვითარცა შვილი საყუარელი” (ქართლის ცხოვრება). ბუნებრივია, თვით მალიქშაჰისათვის საქართველოს მეფის ასეთი მორჩილებით ხლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, გიორგი IIის მისიით კმაყოფილმა მალიქშაჰმა “ყოველი სათხოველი აღუსრულა მეფესა”. საქართველოს სამეფო გაათავისუფლა “ზედამარბეველთაგან” და კახეთი და ჰერეთი “მოსცა”. გიორგი მეფემ დიდი ხარკი იკისრა სულთნის სასარგებლოდ, რომელსაც გარკვეული დროის მანძილზე კრებდნენ და უგზავნიდნენ დამპყრობლებს (“რომელსა აიღებდეს ჟამთა მრავალთა”). რადგან ჰერეთკახეთზე სულთნისა და საქართველოს მეფის უფლებები არ ვრცელდებოდა, მალიქშაჰმა გიორგი IIს ჰერეთკახეთის შემოსაერთებლად ლაშქარი გამოაყოლა. აღნიშნულ ფაქტს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია იმდროინდელი ქართული მოსახლების ერთ ნაწილზე. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ საქართველოს დამპყრობელი და გამჩანაგებელი თურქსელჩუკების ბელადი მალიქშაჰი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ძალზე შექებული ჰყავს: “რამეთუ იყო კაცი იგი მალიქშა ვითარცა სიდიდითა კიდეთა მპყრობელობისათა შეუსწორებელ, ეგრეთვე სახითა სიტკბოებისათა და სახიერებითა აღმატებულ ყოველთა კაცთასა, რომლისანი მრავალ არიან და სხუანიცა ურიცხუნი საცნაურებანი, მართლმსაჯულებანი, მოწყალებანი ქრისტიანეთა სიყუარულნი, და, რათა არა განვაგრძოთ სიტყუა, ყოვლად უბოროტო რამე გონება ყოველითკერძო აქუნდა”.

ამას თან მოჰყვა ბრძოლა ვეჯინის ციხის აღებისათვის. ვეჯინის ალყა შემოდგომიდან დაზამთრებამდე გაგრძელდა. თოვლმა, ბუნებრივია, მძიმე პირობები შეუქმნა ციხეში მყოფთ. მაგრამ, ალბათ, გარკვეული მოსაზრებით, გიორგი IIმ ალყა მოხსნა, ხოლო ლაშქარს სუჯეთში, იორისპირსა და კახეთში მისცა გამოზამთრების საშუალება.

რაც შეეხება ვეჯინის ალყის ასე სწრაფად მოხსნას, იგი ალბათ გამოწვეული უნდა იყოს დასავლეთ საქართველოში მდგომარეობის გამწვავებით. გიორგი II-მ შესაძლებლად ჩათვალა

კახეთის საკითხის მოგვარების გადადება, რადგან ეს პრობლემა პრინციპულად უკვე გადაჭრილი იყო (სულთნის თანხმობა და მაშველი ლაშქარი ამის თქმის უფლებას იძლევა).

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კახეთის საკითხის მიმართ საქართველოს სამეფო კარის ყურადღების ერთგვარად შენელებამ კახთა მეფეს აღსართანს აქტიური მოქმედების საშუალება მისცა. ეს უკანასკნელი თვითონ ეახლა მალიქშაჰს, უარყო ქრისტიანობა, "შეეძინა სარკინოზთა სჯულსა, და ამით ღონითა აიღო სულტანისაგან კახეთი". სულთან მალიქშაჰს, ბუნებრივია, არც გიორგი II ეხატა გულზე და არც აღსართანი. ამიტომ იყო, რომ ერთხელ უკვე მიცემული კახეთი (გიორგი II-სათვის), მან ხელახლა "გაასაჩუქრა". ასე რომ, კახეთი კვლავ საქართველოს სამეფოს გარეთ დარჩა მალიქშაჰის შემწეობით. არ შეიძლებოდა ამ გარემოებას (კიდევ მრავალ სხვა მიზეზთან ერთად) მოსახლეობის გულისწყრომა არ გამოეწვია. "ამათ ესევითართა ჟამთა არავე დამშჳდნა ქუეყანა, არცრა იქმნა ლხინება კაცთა... დღეთა ჩუენთა მოიწია ჭირი".

ქვეყნის ისედაც გართულებულ მდგომარეობას თან დაერთო სტიქიური უბედურებანი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მინიშნებით, ამ დროს ისეთი დიდი მიწისძვრა ყოფილა, რომ "შეძრა ქვეყანა საფუძვლითურთ, ესოდენ სასტიკად, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტუერისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს". მიწისძვრები საქართველოში ერთი წლის მანძილზე გაგრძელებულა და მრავალი ადამიანი უმსხვერპლია. ყოველივე ამან კი ისეთი აზრი შექმნა საქართველოს მოსახლეობაში, რომ თითქოს სამეფო კარი და თვით საქართველოს მეფე გიორგი II ცოდვილნი იყვნენ და ღმერთმაც ეს უბედურებანი ამისათვის მოუვლინა საქართველოს ("ბუნებით მოწყალე და სახიერი ღმერთი ესოდენ განარისხეს, ვიდრემდის თჳთ მოიხადეს განჩინება რისხვისა").

XI საუკუნის 70-80იან წლები უაღრესად მძიმე პერიოდია ამიერკავკასიის ხალხების ცხოვრებაში. თურქსელჩუკების შემოსევებმა მძიმე განსაცდელში ჩააგდო სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მოსახლეობა; ეს უკანასკნელნი იძულებულნი გახდნენ დიდი ხარკის გადახდის საფასურად თავიანთი ეროვნულობა შეენარჩუნებინათ. ასე რომ, საქართველო და მისი მეფე გამონაკლისი არ ყოფილან. ასევე ართულებდა საქმეს ის გარემოება, რომ სამეფო ხელისუფლებას ბრძოლა უხდებოდა თავგასული ფეოდალების ე.წ. ცენტრიდანული, ქვეყნისა და მეფის საწინააღმდეგო მოქმედების ასალაგმავად.

იმდროინდელი საქართველო, ისევე როგორც კავკასიის სხვა ქვეყნები, განიცდიდნენ მწვავე კრიზისს, რომლიდან გამოსვლასაც გარკვეული პირობები და დრო სჭირდებოდა, და რაგინდ დიდი მოღვაწეც არ უნდა ყოფილიყო საქართველოს მეფე (ამ შემთხვევაში გიორგი II), იგი ამას ვერ შეძლებდა.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ გიორგი II-ის მოღვაწეობის ადრე არსებული შეფასების (სადაც აქცენტირებულია მისი სისუსტე) სერიოზული გადახედვა მოცემულია ქართველი და უცხოელი ისტორიკოსების კვლევებში. საქართველოს მეფის გიორგი IIის, როგორც პიროვნებისა და მეფის, მოღვაწეობა განხილული უნდა იქნას ეპოქის და იმ პირობების გათვალისწინებით, რომელშიც მას მოუხდა სახელმწიფოს მეთაურის მძიმე უღლის ტარება.

XI ს-ის 70-80იანი წლების საქართველოში შეიქმნა აბსოლუტურად ობიექტური პირობები ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დაქვეითებისა, რაც განპირობებული იყო, ერთი მხრივ, მძიმე და დამანგრეველი შემოსევებით, ხოლო, მეორე მხრივ, გამწვავებული შინაპოლიტიკური ბრძოლით.

როგორც ვხედავთ, XI საუკუნის მიწურულს საქართველოს საშინაო მდგომარეობა უკიდურესობამდე გაუარესდა. საერთოსახალხო და სახელმწიფოებრივმა საფრთხემ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი მოამწიფა.

თავი XV. დავით აღმაშენებელი

XI საუკუნის საქართველოს ძალა შესწევდა, რომ თურქსელჩუკთა ურდოებს გამკლავებოდა, მაგრამ ქართველთა მობილიზაცია არ ხერხდებოდა.

ასეთი მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობისა და მწვავე სახელმწიფოებრივი კრიზისის პირობებში საქართველოს სამეფო კარზე მოხდა გადატრიალება – ჯერ კიდევ ახალგაზრდა გიორგი II გადააყენეს და მისი ადგილი დავით გიორგის ძემ, დავით IV აღმაშენებელმა დაიკავა.

დავით აღმაშენებლის მემატიანე ამ მოვლენას ხატოვნად აღწერს: "... ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელმოდგამმან დავით, ღმრთისა მამისამან, და თჳთ სამეოცდამეთვრამეტემან შვილმან ამის დავითისმან, დავით".

მძიმე მემკვიდრეობა დახვდა თექვსმეტი წლის დავითს: თურქსელჩუკებისაგან განადგურებული ქვეყანა, მთებში გახიზნული, დამშეული მოსახლეობა, დაცარიელებული ციხექალაქები და სოფლები.

ღონისძიებები სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისა და ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის.

თურქსელჩუკების შემოსევამ არსებითად შეცვალა პოლიტიკური ვითარება კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში. დამარცხებულმა ბიზანტიის იმპერიამ პოლიტიკური სარბიელი თურქსელჩუკებს დაუთმო და ამ უკანასკნელთა გავლენის ფრთები მრისხანედ გადაეფარა ამიერკავკასიის ქვეყნებს: სომხეთს, ალბანეთს, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს.

მომთაბარე სელჩუკები სრულიად განსხვავდებოდნენ არაბებისა და ბიზანტიელებისაგან. ისინი დაპყრობილ ტერიტორიაზე სახლდებოდნენ და მეურნეობისათვის საჭირო მიწებს იკავებდნენ. სელჩუკების მეჯოგეურმომთაბარული მეურნეობა შეუთავსებელი იყო ქართულ ფეოდალურ მეურნეობასთან. პრიმიტიული მეურნეობა მკვიდრდებოდა მტკვრის, ალაზნის, ივრისა და არეზის სანაპირო ჭალებზე. მაღალგანვითარებული კულტურები (ბაღვენახები, პურეული და სხვ.) ადგილს უთმობდა საძოვრებს. თურქსელჩუკთა დაპყრობები გაცილებით უფრო დამანგრეველი და დამღუპველი იყო, ვიდრე არაბთა ან ბიზანტიელთა შემოსევები და ბატონობა. "თურქობა" საქართველოს ფეოდალურ მეურნეობას საფუძველს – მიწას აცლიდა და

მას გადაშენების საფრთხეს უქმნიდა. ასე შეფერხდა საქართველოს და საერთოდ კავკასიის გაერთიანებაცენტრალიზაციის პროგრესული საქმე.

საქართველოს სამეფო იმდენად დაკნინებული იყო, რომ მისი მეფის უფლებები მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა, "საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა, და სადგომი სამეფო წაღულისთავი". როცა მეფეს ქართლის ჭალაში ან ნაჭარმაგევს ნადირობა სურდა, წინასწარ აგზავნიდა კაცებს ადგილების დასათვალიერებლად და მხოლოდ შემდეგ გადმოდიოდა.

დავით IV აღმაშენებელმა შემოიკრიბა თავისი ერთგულები, რათა მათი მხარდაჭერით წარმატებით წარემართა ქვეყნის საქმეები. საქართველოს სამეფო კარი თავს უყრიდა ერთგულ მხედართა რაზმებს. სწორედ ერთგული მოლაშქრეებით ესხმოდა თავს თურქსელჩუკებს, ამარცხებდა მათ, და ამით მტრის შიშით მთაში გახიზნულ ქართველ მიწის მუშას ბარად ჩამოსვლის პირობებს უქმნიდა. დავით აღმაშენებელმა თურქსელჩუკები ქართლიდან თანდათან აჰყარა. ეს წვრილი გამარჯვებები ქართველ ხალხში საკუთარი ძალის რწმენას აღვივებდა. ქვეყანა თანდათან დაუბრუნდა სოფლის მეურნეობის ინტენსიურ წარმოებას. ქალაქები აღორძინების გზას დაადგა.

თურქსელჩუკთა ძლიერება სულ უფრო და უფრო შესუსტდა სულთან მალიქშაჰის სიკვდილის შემდეგ (1092 წლიდან). ეს, თავის მხრივ, საქართველოს პოლიტიკური ძლიერების წისქვილზე ასხამდა წყალს. გარეშე მტრის დასუსტებასთან ერთად აღარც შინაური ურჩი ფეოდალები წარმოადგენდნენ დიდ საფრთხეს.

ბრძოლა დიდგვაროვან მოწინააღმდეგეებთან და ქვეყნის შემომტკიცება.

დავით აღმაშენებელმა XI საუკუნის ბოლოს მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა დიდგვაროვან ფეოდალებს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მალიქშაჰის სიკვდილსა და ლიპარიტის განდგომას ერთმანეთთან აკავშირებს. მალიქშაჰი 1092 წელს გარდაიცვალა (გამეფდა 1072 წელს). ლიპარიტის ეს განდგომა 1092 წლის შემდგომ, კერძოდ 1093 წელს უნდა მომხდარიყო.

ბაღვაშები მსხვილი ფეოდალები იყვნენ IX - XIII საუკუნეების საქართველოში. მათი სამფლობელო იყო არგვეთი (ზემო იმერეთში). IX საუკუნის სამოცდაათიანოთხმოციან წლებში ამ გვარის წარმომადგენელი ლიპარიტ ბაღვაში (ლიპარიტ I) ეყმო (ვასალობაში შევიდა) დავით I ქართველთა კურაპალატს (876 - 881 წწ.), მიიღო მისგან მიწაწყალი თრიალეთში და შექმნა ძლიერი კლდეკარის საერისთავო. კლდეკარის საერისთავო მოიცავდა ატენის ციხეს, თრიალეთს, მანგლისხევს და სკორეთს. კლდეკარის საერისთავოს აღმოსავლეთით (ალგეთისა და სკორეთის ხეობებში) ესაზღვრებოდა თბილისის საამირო, სამხრეთაღმოსავლეთითა და სამხრეთით – სამშვილდისა და ზორაკერტის რეგიონები, სამხრეთდასავლეთით – ჯავახეთი, დასავლეთით – სამცხე, ხოლო ჩრდილოეთით – ქართლის საერისთავო, რომელსაც კლდეკარის საერისთავოსაგან თრიალეთის ქედი ყოფდა. კლდეკარის მფლობელის ხელში იყო ჯავახეთიდან თრიალეთზე გავლით ქართლში გადასასვლელი ერთადერთი გზა.

კლდეკარის საერისთავო საქართველოს ცალკეულ სამეფოსამთავროთა შორის პოლიტიკური ბრძოლის ნიადაგზე ჩამოყალიბდა და შექმნის უმალ აქტიურად ჩაება ამ ბრძოლაში [როგორც ჩანს, აფხაზთა (დასავლეთი საქართველოს) გაძლიერებული სამეფოს მესვეურებმა აიძულეს კლდეკარის ერისთავთა წინაპარი, დაეტოვებინა მამულობითი სამფლობელო – არგვეთი]. კლდეკარის საერისთავო დიდ როლს ასრულებდა საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში. კლდეკარის ერისთავები ითვალისწინებდნენ საქართველოს სამეფოს ურთიერთობას ბიზანტიასა და თურქსელჩუკთა სახელმწიფოსთან და შესაბამისად წარმართავდნენ თავიანთ პოლიტიკას. საერისთავოს არსებობის მთელ მანძილზე ისინი ცენტრალური სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგენი ჩანან (მცირე გამონაკლისის გარდა); კლდეკარის ერისთავების ურჩობამ, როგორც ზემოთაც ითქვა, თავი იჩინა ჯერ კიდევ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის – ბაგრატ III-ის დროს. ამ უკანასკნელის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდა რატი I ბაღვაში, რომელსაც ზურგს უმაგრებდნენ ქართლის დიდი აზნაურები. მეფემ ჯერ აზნაურები დაიმორჩილა, შემდეგ – რატი I ბაღვაში, აიღო თრიალეთი კლდეკარის ციხითურთ და კლდეკარის ერისთავად რატი I ბაღვაშის ძე ლიპარიტი დასვა. კლდეკარის საერისთავო განსაკუთრებით მომძლავრდა XI საუკუნის 30-იან წლებში, როცა კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ლიპარიტის ძე (ლიპარიტ IV), ბაგრატ IV-ის მცირეწლოვნების გამო, ქვეყნის ფაქტობრივი გამგებელი გახდა. იგი ცენტრალურ ხელისუფლებას ებრძოდა და თავისი მიზნების მისაღწევად არც გარეშე ძალის დახმარებას თაკილობდა. ბაგრატ IVის წინააღმდეგ (რომელმაც ორჯერ ჩაშალა ლიპარიტ IVის მიერ ორგანიზებული ლაშქრობა თბილისის საამიროს შემოსაერთებლად) ლიპარიტმა ბიზანტიელები მოიშველია. კეისარი კი თავისი გეგმის განხორციელებას შეუდგა და კლდეკარის საერისთავო საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად აქცია. 1058 წელს მესხმა დიდებულებმა შეიპყრეს კლდეკარის ერისთავი და მეფეს მიჰგვარეს. ბაგრატ IV-მ ლიპარიტ IV ბაღვაში იძულებით ბერად შეაყენა და ამდენად ბიზანტიასაც გამოაცალა დასაყრდენი.

XI საუკუნის 80-იან წლებში კლდეკარის საერისთავო თურქსელჩუკების მხარეზე აღმოჩნდა. კლდეკარის ერისთავი ივანე ლიპარიტის ძე 1074 წელს გიორგი IIს განუდგა. მან კახელები დაიხმარა და ქსნისპირა ადგილები დაიკავა, ქ. გაგი გამოსტყუა მეფის მეციხოვნეებს და საქართველოს მტერს – განძის ამირას ფადლონს – მიჰყიდა, თვითონ კი საქართველოს ასაოხრებლად მოსულ "დიდ სელჩუკთა" სახელმწიფოს სულთანს – მალიქშაჰს ეახლა მორჩილებით (ეს ნაბიჯი შემდგომში კლდეკარის ერისთავის მარცხით დამთავრდა). სწორედ ამ ივანე ლიპარიტის ძე ბაღვაშის შვილია ლიპარიტ ივანეს ძე (ლიპარიტ V), რომელიც დავით აღმაშენებელს განუდგა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ ლიპარიტი, რომელსაც ეპყრა თრიალეთი, კლდეკარი და "მიმდგომი მისი ქუეყანა", ერთხანს ერთგულობდა დავითს. როგორც ჩანს, იმდენად დიდი იყო მომხდური მტრის განდევნის სურვილი, რომ დიდგვაროვანი ფეოდალები ახალგაზრდა მეფეს ამოსდგომიან მხარში. ლიპარიტ ბაღვაშთან ერთად ჩვენ ვხედავთ ნიანია კახაბერისძესა და სხვა აზნაურებს, რომლებიც თანდათან შემოიკრიბნენ საქართველოს სამეფო კარის გარშემო. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მშვიდობიანობა და

შეთანხმებული საქმიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ლიპარიტის განდგომა მისი მამაპაპის კვალზე დადგომას ნიშნავდა (“იწყო მათვე მამულპაპურთა კუალთა სვლა”), ბაღვაშებსა და საქართველოს მეფეთა შორის საუკუნოვანი ბრძოლის გაგრძელებას მოასწავებდა. მეფემ თავგასული ქვეშევრდომის “ინება გაწურთა” და შეიპყრო იგი. ლიპარიტს მოუნანიებია ცოდვა. საქართველოს მეფემ “მითვე დიდებითა ადიდა და არა შეუცვალა”. ე.ი. ლიპარიტი გარკვეული მონანიების შემდეგ “მომტკიცებული მრავალთა და მტკიცეთა ფიცთა მიერ” გაათავისუფლა და ყველა მისი ძველი უფლება შეუცვლელად ცნო. ლიპარიტის გათავისუფლება 1093 წელსვე უნდა მომხდარიყო. როგორც ჩანს, ლიპარიტმა თავისი ფიცი და პირობა არ შეასრულა და საქართველოს მეფეს კვლავ გაუორგულდა – “განაცხადა მტერობა და უკუთურებასა იწურთიდა”.

საქართველოს მეფე დარწმუნდა, რომ ლიპარიტის მორჯულება ისევე არ შეიძლებოდა, “რამეთუ კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს” და კვლავ შეუპყრია. ეს აქტი ლიპარიტის გათავისუფლების მეორე, ე.ი. 1094 წელს მომხდარა. ორი წლის განმავლობაში პატიმრობაში ჰყოლია, შემდეგ კი საბერძნეთში გაუძევებია, სადაც გარდაცვლილა კიდეც. ასე რომ, ლიპარიტ ბაღვაშის ორი გამოსვლა მისივე მარცხით დამთავრდა. ამასთან, 1096 წელს ლიპარიტი გაძევებულ იქნა საქართველოდან.

ვერც რატი ლიპარიტის ძემ გამოიჩინა თავი სიკეთითა და საქართველოს მეფისადმი ერთგულებით. ისიც, მისი წინაპრების მსგავსად, სამეფო ხელისუფლებისა და ერთიანი ქვეყნის წინააღმდეგ იბრძოდა. “კაცი ორგული და ნანდვილვე ნაშობი იქედნესი” – ასე მწარე სიტყვებით “ამკობს” ისტორიკოსი კლდეკარის უკანასკნელ ერისთავს. ბუნებრივია, როცა საქართველოს მეფემ კვლავ ორგულობა იხილა ბაღვაშთა გვარიდან მომდინარე, მას ისღა დარჩენოდა, უკიდურესი ზომისათვის მიემართა. დავით აღმაშენებელმა გააუქმა კლდეკარის საერისთავო და მისი მიწაწყალი თავის სამეფოს შეუერთა (1103 წ.).

იმ ქმედითმა ღონისძიებებმა, რომლებიც დავით აღმაშენებლის მიერ XI საუკუნის მიწურულში იქნა გატარებული, ქვეყანა აღმავლობის გზით წაიყვანა. “მოეშენა ქვეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი”. საქართველოს მეფე უკვე აღარ ეპუებოდა თურქსელჩუკებს. ქვეყნის სრული დამოუკიდებლობა სწორედ მაშინ იქნა აღდგენილი, როცა ხარკის მიცემა შეუწყვიტეს თურქსელჩუკებს. ეს კი 1099 წელს მოხდა.

საქართველოს სამეფო კარმა ანტიოქიისა და იერუსალიმის აღებით ლახვარჩაცემული თურქსელჩუკების მდგომარეობის აწონდაწონისა და პოლიტიკური შეფასების შემდეგ (ბუნებრივია, შესაბამისად საკუთარი ძლიერების გათვალისწინებითაც) შესაძლებლად ჩათვალა ხარკის გადახდის შეწყვეტა. ამგვარად, საქართველომ დაკარგული დამოუკიდებლობა აღიდგინა 1099 წელს.

ასეთი დიდი პოლიტიკური წარმატების შემდეგ, ბუნებრივია, ჰერეთკახეთის საქართველოს ერთიან სახელმწიფო ორგანიზაციაში შემოყვანის საკითხი უაღრესად აქტუალურად დადგა.

დავით აღმაშენებელი აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა. რა გასაკვირია, რომ უკვე ძლიერ ქვეყანას დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია კახეთის მეფე კვირიკემ (“კაცი მეფობისავე თანა მეფექმნილი ვნებათა ზედა და ჭეშმარიტი ქრისტიანე”). დავით აღმაშენებელმა საქმე ზედაზნის

აღებით დაიწყო, რადგან იმდროინდელი კახეთისათვის ამ ციხეს მეტად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. “მოსცა ჟამი ღმერთმან მეფესა დავითს და წარუღო კვირიკეს ციხე ზედაზენი” (1103 წ.).

შემდგომში, როგორც ირკვევა, საქართველოს მეფეს ბაღვაშთა მამულობითი სამფლობელო (“მამული ლიპარიტეთი”) – არგვეთი გელათისათვის შეუწირავს. დავით აღმაშენებელი იმთავითვე ზრუნავდა გელათის მატერიალურ კეთილდღეობაზე და სწორედ ამიტომ “მისცნა დედასა ღმრთისასა სამსახურებლად მისსა წინაშე მდგომელთა მისთათჳს” მრავალი სოფელი. ამ შეწირულებით ეკლესიის მსახურთ საქართველოს სამეფო კარმა “უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა”. ამგვარად, კლდეკარის ერისთავების სამფლობელო მამული საეკლესიო (გელათის) საკუთრება გახდა. დავით აღმაშენებელმა, განსხვავებით ყველა მისი წინამორბედისაგან, – უკიდურესად გადამჭრელი ზომები მიიღო – დაამარცხა ბაღვაშები და გააუქმა კლდეკარის საერისთავო.

დავით აღმაშენებელს ერისთავებთან ბრძოლა ბაღვაშთა დამარცხებითა და კლდეკარის საერისთავოს გაუქმებით არ დაუმთავრებია. საქართველოს მეფე ყოველმხრივ ცდილობდა საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალიერისთავები დაექვემდებარებინა ფეოდალური მონარქიის მიერ შექმნილი სამეფო კარის ცენტრალური სამოხელეო აპარატისათვის. იგი “საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებს” “დარბაზით გამოსულ მოხელეებად” აქცევდა და უპირატესობასაც ამ უკანასკნელებს ანიჭებდა. დავით აღმაშენებლის დროს გაძლიერებულმა ვაზირის სამეფისკარო სამოხელეო ინსტიტუტმა გასაქრობად შეუტია ერისთავობის ძველ ინსტიტუტს.

დავით აღმაშენებელი ერისთავობას ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოსთვის შეუფერებლად თვლიდა, ყოველმხრივ ავიწროვებდა და ცდილობდა მის გაუქმებას.

* * *

ამ პერიოდის მნიშვნელოვანი მოვლენაა დიდგვაროვანი ფეოდალების ძაგან და მოდისტოს აბულეთისძეების ბრძოლა საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ.

ნიშანდობლივია, რომ ძაგანის (აბულეთისძეთა) საგვარეულო ტრადიციულ მტრობას უწევდა საქართველოს სამეფო კარს და ისტორიის მთელ მანძილზე მეფისადმი ერთგულებით არ გამოირჩეოდა.

დავით აღმაშენებელი შიომღვიმისადმი ბოძებულ “ანდერძში” ერთგვარი სინანულით აღნიშნავს, რომ მიუხედავად გარკვეული შეღავათებისა, რაც საქართველოს მეფეების მხრიდან ძაგანის წინაპართა მიმართ იყო განხორციელებული, არავის (ძაგანის გვარის წარმომადგენლებს) ერთგულებით არ დაუფასებია. ამდენად, საქმე გვაქვს მეტად სერიოზულ პრინციპულ ბრძოლასთან, რომელშიც ერთ მხარეს საქართველოს მეფე დგას, ხოლო მეორე მხარეს – დიდგვაროვანი ფეოდალი ძაგანი.

აბულეთისძეთა საგვარეულოს წარმომადგენელთა ერთერთ გამოსვლას – ღალატს საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ – ადგილი უნდა ჰქონოდა 10851089 წლებს შორის.

როგორც ჩანს, ეს გამოსვლა მარცხით დამთავრებულა, მოღალატეები დაუსჯიათ, მაგრამ უკიდურესი ზომები არ გაუტარებიათ.

რაც შეეხება დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმისადმი მიცემულ "ანდერძში" მოხსენიებულ (ძაგანისა და მოდისტოსის) მეფის საწინააღმდეგო მოქმედების ფაქტს, მას ადგილი უნდა ჰქონოდა დავით აღმაშენებლის მიერ ზედაზნის აღების (1103 წ.) შემდგომ. ამჯერად, ძაგანმა დაინახა თავისი უიმედო მდგომარეობა, საქართველოსა და მისი მეფის აღმავლობა და უკანასკნელი გაბრძოლება სცადა.

ძაგანს ხელთ უგდია "მძლავრობით" მცხეთის, წილკნისა და შიომღვიმის საეკლესიო მამულები. შიომღვიმე ძაგანს სიმაგრედ გადაუქცევია და თავის შეფარებაც იქ უცდია. რაც შეეხება მოდისტოსს, იგი წილკნის ეპარქიის ეპისკოპოსის პატივში აუყვანია და მისი მეოხებითაც არაერთი მიწა მიუტაცია.

დავით აღმაშენებელმა ძაგანის, ისევე როგორც ბევრი სხვა მოწინააღმდეგე ფეოდალების, აღვირახსნილი მოქმედება სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ალაგმა. საქართველოს მეფისაგან დევნილი ძაგანი იძულებული გახდა შიომღვიმის მონასტრისათვის შეეფარებინა თავი. აქ უკვე აღარ გაუმართლა ძაგანს. საეკლესიო მსახურებმა, როგორც ჩანს, აწონდაწონეს საქართველოს სამეფოს აღმავალი ძლიერება (არ გამოვრიცხავთ მათ პატიოსნებასაც მეფის საქმისათვის სამსახურში) და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე საქართველოს მეფეს მისცეს შეპყრობილი ძაგანი. თვით დავით აღმაშენებელი ამ ფაქტს აფასებს, როგორც ერთგულების გამოხატულებას მის მიმართ.

ამგვარად, ძაგანი და მისი მომხრეები შეიპყრო დავით აღმაშენებელმა. ფაქტია ის, რომ ძაგანი დავითს სიკვდილით არ დაუსჯია, მაგრამ მისთვის ყველა პატივი და ღირსება აუყრია. ნაწილი მისი მიწებისა "ნაქონები მისა – მიმართ თჳსებული და მღჳმეს ქონებანი მისნი საავაზაკონი და წარტყუენილი" მისთვის დაუტოვებია სიკვდილამდე. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ძაგანის შთამომავლობა ჰკარგავს ყოველგვარ უფლებას ზემოთ აღნიშნულ ქონებაზე.

ამავე პერიოდში ჩანს დავით აღმაშენებლის ბრძანებით შიომღვიმის ე.წ. ღვთისმშობლის მონასტრის მშენებლობის დაწყება, რომელიც იმ ერთგულების ერთგვარი საზღაური იყო, რაც მემღვიმეებმა ძაგანის შეპყრობით და მისი მეფისადმი გადაცემით დაიმსახურეს. 1124 წელს მონასტრის მშენებლობა დამთავრებული ჩანს.

კახეთ-ჰერეთის შემოერთება.

შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კახეთჰერეთის საკითხს. ჯერ კიდევ VIII საუკუნის ოთხმოციან წლებში გამოეყო ქართლის საერისმთავროს კახეთის სამთავრო. კახეთის სამთავრო IX საუკუნისათვის მსხვილი ფეოდალური ერთეული ჩანს. მერვემეცხრე საუკუნეებში სამთავროს ცენტრი უჯარმა იყო, მეათე საუკუნეში – ბოჭორმა, შემდეგ – თიანეთი. კახეთის მთავარი ქორეპისკოპოსის ტიტულს ატარებდა. შინაგან მმართველობას მთავრები ერისთავების საშუალებით ახორციელებდნენ. კახეთის მთავრები აქტიურად მონაწილეობდნენ ფეოდალური საქართველოს

პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლაში. 1010 წლიდან კახეთჰერეთი ერთიანი საქართველოს შემადგენლობაშია. ბაგრატ მესამემ ორწლიანი ბრძოლის შემდეგ მთლიანად დაიპყრო ჰერეთი და კახეთი. 1011 წელს დაატყვევა კვირიკე III (1009 - 1037 წწ.). სწორედ ამ კვირიკემ (ტყვეობიდან განთავისუფლებულმა) ისარგებლა გიორგი Iის დროს საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის გართულებით ბიზანტიასთან, დაიპყრო ჰერეთი და კახეთი და მეფედ იწოდა. ამიერიდან მთელი მეთერთმეტე საუკუნის მანძილზე კახეთის სამეფო ერთიანი საქართველოდან ცალკე სახელმწიფოს წარმოადგენდა; მისი მეფეები "კახთა და რანთა (ჰერთა) მეფის" ტიტულს ატარებდნენ.

კახეთის სამეფო მოიცავდა ტერიტორიას მდ. ქსნიდან ალჯიგანჩაიმდე და დიდოეთხუნძახიდან მტკვრამდე. მის ფარგლებში შედიოდა ჰერეთის სამეფოს აღმოსავლეთი ნაწილი – ახლანდელი აზერბაიჯანის ჩრდილოდასავლეთი ნაწილი (ბელაქნის, ზაქათლის, კახის და შაქის რაიონები). ახლად შექმნილი სამეფოს ცენტრი კვირიკე III-მ თელავში გადაიტანა. მისი მოღვაწეობის წლები აღმავლობით აღინიშნა.

კვირიკე III-ის შემდეგ, 1037 წელს კახეთის სამეფო ტახტზე ადის მისი დისწული გაგიკი, რომელიც იყო დავით "სომეხთა მეფის" შვილი. გვარად ბაგრატუნი. დავითი ტაშირზორაკერტის მეფე იყო. სომხურ ისტორიოგრაფიაში იგი დავით ანჰოლინის ("უმიწაწყლო") სახელწოდებითაა ცნობილი. დავით ანჰოლინს ცოლად ჰყავდა კვირიკე III-ის და, დავით ქორეპისკოპოსის ქალიშვილი (აფხაზთა მეფის ლეონ III-ის ასულისაგან). სწორედ ამათმა შვილმა გაგიკმა დაუდო საფუძველი კახეთის სამეფოში ტაშირზორაკერტის ბაგრატუნთა ანუ სომეხ კვირიკიანთა საგვარეულო შტოს. გაგიკის გარდაცვალების (1058 წ.) შემდეგ კახეთის სამეფო ტახტზე ადის მისი შვილი აღსართან I (1058 - 1084 წწ.), შემდეგ კვირიკე IV (1084 - 1104 წწ.) და 1104 წელს გამეფდა აღსართან II, იმავე 1104 წელსვე კახეთი საბოლოოდ მოექცა ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში. ამით სამუდამოდ მოეღო ბოლო სომეხ კვირიკიანთა დინასტიის იმ შტოს, რომელმაც 67 წელი იმეფა კახეთში.

ნიშანდობლივია, რომ კახეთის მეფეებს მხარს უჭერენ ტაშირზორაკერტის მეფეები. ეს განპირობებული იყო პოლიტიკური ინტერესებით. ტაშირზორაკერტი ქართლს უშუალოდ ემიჯნებოდა, თანაც ეს ტერიტორია ქართული მიწაწყლისაგან შედგებოდა და, ბუნებრივია, ქართველი მეფეები მასზე ხელს არ აიღებდნენ. ტაშირზორაკერტისათვის მიუღებელი იყო საქართველოს სამეფოსთან კახეთის სამეფოს გაერთიანება; ეს ძლიერი პოლიტიკური ერთეული საფრთხეს შეუქმნიდა თვით ტაშირზორაკერტის დამოუკიდებლობას. მართლაც, ისტორიის მსვლელობამ აჩვენა, რომ კახეთის შემოერთებისა და კვირიკიანთა სომხური შტოს მოსპობის შემდეგ, ტაშირზორაკერტის სამეფოც შემოუერთდა საქართველოს და ბოლო მოეღო ტაშირზორაკერტელ კვირიკიანებსაც.

დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პერიოდში კახეთის მეფეები იყვნენ კვირიკე IV და აღსართან II. "ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი" დიდი პატივისცემით მოიხსენიებს კვირიკე IV კახთა მეფეს: "კაცი მეფობისავე თანა მეფექმნილი ვნებათა ზედა და ჭეშმარიტი ქრისტიანე". ცხადია, ამგვარი დამოკიდებულების საფუძველი ჰქონდა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს. სწორედ კვირიკე IVს წაართვა დავით აღმაშენებელმა 1103 წელს უაღრესად დიდი მნიშვნელობის

სტრატეგიული პუნქტი – ზედაზნის ციხესიმაგრე: “მოსცა ჟამი ღმერთმან მეფესა დავითს და წარუღო კვირიკეს ციხე ზედაზენი”. წყაროებში (“ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი”, “დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი”) გადმოცემულ მოვლენათა განვითარება ადასტურებს, რომ 1103 წლისათვის, უკვე მომძლავრებულ საქართველოს სამეფოს კახეთის საკითხი გადაწყვეტილად მიაჩნდა. როგორც ჩანს, ამ ბედს შეგუებული იყო კვირიკე IVც. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ზედაზენი წინააღმდეგობის გარეშე დათმეს. ამ აქტით პრაქტიკულადაც წყდებოდა კახეთის საკითხი. ამას ისიც დაერთო, რომ მალე გარდაიცვალა კახეთის მეფე კვირიკე “და შემდგომად წელიწადისა ერთისა (ზედაზნის აღებისა და კლდეკარის საერისთავოს საქართველოს სამეფოსათვის შემოერთების შემდგომ, – რ.მ.) მიიცვალა მეფე კჳრიკე”, ე.ი. კვირიკე გარდაიცვალა 1103 წლიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, 1104 წელს. კვირიკე IVის ტახტი მისმა ძმისწულმა აღსართანმა (აღსართან II) დაიკავა. თავისი წინამორბედისაგან სრულიად განსხვავებით, მას მეფობისათვის არავითარი მონაცემი არა ჰქონია, ქარაფშუტა, ცუნდრუკი და უმეცრად უსამართლო ყოფილა. ასეთი მმართველის ხელქვეით მყოფი კახეთის შემოერთება, ცხადია, საქართველოს მეფისათვის აღარავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ დავით აღმაშენებელს ამ მიმართულებით გატარებული ჰქონდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. ჰერეთკახეთში საქართველოს მეფე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და ბევრი დიდებული მის პოლიტიკას მხარს უჭერდა, მით უმეტეს, როცა ეს პოლიტიკა მთელი საქართველოს გაერთიანებას ისახავდა მიზნად. 1104 წელს დიდმა აზნაურებმა არიშიანმა, ბარამმა და მათმა ბიძამ (დედის ძმა) ქავთარ ბარამისძემ შეიპყრეს და საქართველოს მეფეს გადასცეს კახთა მეფე აღსართანი. დავით აღმაშენებელმა ჰერეთი და კახეთი დაიკავა (“და აღიხუნა მეფემან ჰერეთი და კახეთი”).

ერწუხის ბრძოლა.

სეპარატიზმის მოსურვე და მეფის მოწინააღმდეგენი აშკარად თუ ფარულად იბრძოდნენ. როგორც კი ნახეს, რომ კახეთი და ჰერეთი საქართველოს მეფის ხელდებული და ერთიანი ქვეყნის შემადგენელი ნაწილი გახდა, ისინი მრავალი კახელითურთ გაეცალნენ მის საზღვრებს და დახმარება სთხოვეს განძის ათაბაგს, რომელიც თურქეთის სულთნის მოხელე იყო. სულთნისათვის, ბუნებრივია, ძნელადასატანი იქნებოდა საქართველოს ასეთი მომძლავრებაგაფართოება და ქართული ტერიტორიების ერთ მთლიან ერთეულად გამთელება. იგი, ცხდია, უკმაყოფილო იქნებოდა იმითაც, რომ დავით აღმაშენებელმა მტკიცედ ამოუკვეთა ფეხი საქართველოს ტერიტორიიდან სელჩუკებს და ხარკსაც აღარ აძლევდა. თავისი აქტიური საშინაო თუ საგარეო პოლიტიკით საქართველოს სამეფო კარი გამოიკვეთა მთელ მახლობელ აღმოსავლეთში, პრაქტიკულად იგი მზად იყო კავკასიის გაერთიანების დიდი პროგრესული საქმე მოეგვარებინა. განძის ათაბაგმა შეკრიბა დიდი ლაშქარი (“ურიცხუნი სპანი”). მასთან იყო მრავალი კახელი და “ქუეყნისა ერი” “მტერთავე განა გარემოდგომილი ჩვენდა”. ეს დიდი ძალა დაუპირისპირდა საქართველოს მეფეს. დავით აღმაშენებელმა მცირე ლაშქარი შეკრიბა და ერწუხთან გაუმართა ბრძოლა. ქართული ლაშქარი კარგად იყო გაწვრთნილი. საქართველოს მეფეს სამხედრო არსენალში ჰქონდა სტრატეგიული და ტაქტიკური სიახლენი. თავგანწირულ

ქართველ მოლაშქრეებს გონიერი ხელმძღვანელი ჰყავდათ დავითის სახით, რომელიც პრაქტიკული მაგალითით აღაფრთოვანებდა და რწმენას უნერგავდა თანამებრძოლთ.

“ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი” თვალსაჩინოდ აღწერს დავით აღმაშენებლის უშუალო მონაწილეობას ერწუხის ბრძოლაში. იგი არ ჰგავდა სხვა მხედართუფროსებს, რომლებიც ლაშქარს უკან უდგანან და იქედან აძლევენ განკარგულებას მეომრებს. დავითი წინ მიუძღოდა მებრძოლებს, ლომივით შეუძახებდა თავისი მაღალი ხმითა და ამხნევებდა მათ. იგი გრიგალივით ატყდებოდა თავს მოწინააღმდეგეს სხვადასხვა ფრთაზე (“უპირატეს ყოველთასა თჳთ წინა უვიდოდა და ვითა ლომი, შეუზახებდა ჴმითა მაღლითა, და ვითა გრიგალი მიდამო იქცეოდა”. გოლიათივით წინ მიიმართებოდა და თავისი ძლიერი, მტკიცე მკლავით მუსრს ავლებდა მტერს. მისი ხმლის ღარებიდან უკუმომდინარე სისხლმა უბეები აუვსო ისე, რომ ომის დამთავრების შემდეგ, როცა სარტყელი შეიხსნა, ეს დაგუბებული სისხლი გადმოიღვარა, მხილველები თავიდან შეეჭვებულან, მეფე ხომ არ დაჭრილაო. იმ დღეს დავით აღმაშენებელს სამი ცხენი მოუკლეს და “მეოთხესაღა ზედა მჯდომმან სრულ ყო მის დღისა ომი”.

ერწუხის ბრძოლაში დავით აღმაშენებელმა ძლევამოსილად გაიმარჯვა “... ქმნა წყობანი დიდნი და ჴმაგასმენილი იგი დიდი ძლევა”. ბრძოლის შედეგი მეტად მძიმე იყო მოწინააღმდეგისათვის. მან სრული განადგურება იგემა. თურქსელჩუკები გაიქცნენ; კახელებს გასაქცევი არსად ჰქონდათ და იძულებულნი იყვნენ დანებებულიყვნენ. კახეთის დიდებულები მორჩილების გუნებაზე დადგნენ. დავით აღმაშენებელი ლმობიერების გზას დაადგა. როგორც ჩანს, მკაცრი სასჯელი არ დაუდვია კახელი ფეოდალებისათვის. პირიქით, “მზეებრ მოჰფინა წყალობა ყოველთა ზედა მკჳდართა ქუეყანისათა”. დავითმა ფეოდალებს ციხესიმაგრეები ჩამოართვა და შიგ სამეფო რაზმები ჩააყენა. ნიშანდობლივია, რომ ციხესიმაგრეთა აღებისას დავითისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ (ეს ალბათ უაზრობაც იქნებოდა), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ “... თჳთმპყრობელობით დაიპყრა ჰერეთი და კახეთი და ნებიერად აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი”.

1104 წელს ერწუხის ბრძოლაში გამარჯვებით ჰერეთკახეთი საბოლოოდ იქნა შემოერთებული, რასაც უდიდესი მიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის, ამ უკანასკნელის ეკონომიკური და სამხედრო ძალების შესამჩნევად გაზრდის თვალსაზრისით. ამიერიდან უკვე აშკარად ძლიერ, ერთიან საქართველოს შეეძლო ფართო მასშტაბის – ეკონომიკური თუ პოლიტიკური – ღონისძიებების ქმედითად გატარება. მართლაც, აქედან (ჰერეთკახეთის შემოერთების შემდგომ) მოყოლებული, საქართველოს სამეფომ ბევრი ისეთი გრანდიოზული ნაბიჯი გადადგა, რომელმაც ქვეყანა იმდროინდელ წინა აზიასა და კავკასიაში ერთერთ გავლენიან და მოწინავე სახელმწიფოდ აქცია. ამ საქმეში, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღოდა საქართველოს სამეფო ხელისუფლებას, დავით აღმაშენებელს. საერთოდ, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა წარმოადგენს თანმიმდევრულად აღმავალ ერთ მთლიან ხაზს.

1089 - 1104 წლები საქართველოს ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი დროა, როდესაც თურქსელჩუკებისაგან დათრგუნვილი ქვეყანა და მისი მოსახლეობა ფაქტობრივად გათავისუფლდა მომხდურ დამპყრობთა უღლისაგან და მისი განვითარება აღმავლობის გზით წავიდა.

გარდაქმნები ეკლესიაში.

შუა საუკუნეების საქართველოში ეკლესია, თავისი მრავალრიცხოვანი მონასტრებით (შესაბამისად სამონასტრო მამულებით), მნიშვნელოვან საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ფაქტორს წარმოადგენდა.

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის საკითხი ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემაა. ეკლესია საქართველოში, ისე როგორც დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ ქვეყნებში, თავისი არსებობის გარკვეულ ეტაპზე დახმარებას საჭიროებდა. ამ დახმარებისათვის იგი იძულებული ხდებოდა სამეფო ხელისუფლებისათვის მიემართა. ასეთი ურთიერთობა თავის მხრივ განაპირობებდა ეკლესიის დამოკიდებულებას სახელმწიფოსადმი. საქართველოს სინამდვილეში ეკლესიას მისი არსებობის გარკვეულ საფეხურზე დაწინაურებული მდგომარეობა ჰქონდა. ქართლში მეფობის გაუქმებისა და ქვეყნის სამეფოსამთავროებად დაყოფის შემდგომ, როცა ერთიანი პოლიტიკური ცენტრი ქვეყნისათვის არ არსებობდა, ეკლესია (სახელდობრ მცხეთის საკათალიკოსო) თავისი მრავალრიცხოვანი და დიდი მამულებით, ასევე საეკლესიოადმინისტრაციული ქსელით ქვეყნის ფაქტობრივ გამაერთიანებელს წარმოადგენდა. შემდგომში უკვე ეკონომიკურად მომძლავრებული ეკლესიის ავტორიტეტი თანდათან მატულობს, იზრდება საეკლესიო ფეოდალური არისტოკრატია თავიანთი საყმოსამფლობელოებით, რომელთაც დამოუკიდებელი ადმინისტრაციული და სასამართლო უფლებები მოეპოვებოდათ. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ საეკლესიო მიწისმფლობელობა უპირისპირდებოდა ერისმთავრების მემამულეობას.

მეათე საუკუნეში დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო იდეოლოგიურად (საეკლესიოკულტურული თვალთახედვით) ერთიანი იყო. ამ პერიოდისათვის ფეხს იდგამს აზრი საეკლესიო ხელისუფლების საეროზე უპირატესობის შესახებ (“ჭეშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არა ვისსა ჴელმწიფებასა ქუეშე არიან” – გიორგი მერჩულე “ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა”). ამგვარი შეხედულება საქართველოსთვის იყო ახალი, საერთოდ კი ისტორიამ მრავლად იცის მსგავსი ფაქტები სხვადასხვა სახელმწიფოში. ავრელიუს ავგუსტინემ ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში ჩამოაყალიბა მოძღვრება სასულიერო ხელისუფლების საეროზე უპირატესობის შესახებ, რომელსაც შემდგომ პერიოდშიც მარჯვედ იყენებდნენ სასულიერო პირები, როცა ეს უკანასკნელნი საერო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

გიორგი მერჩულეს კონცეფციით მეფის საქმიანობას ღმერთი წინამძღვრობს, მეფეები განაგებდნენ მხოლოდ “ქვეყანას”, ქრისტე კი ქვეყანასაც და ზეცასაც, ყველა დაბადებულს. ამასთან მისი მეფობა უცვლელია, საუკუნო. ნიშანდობლივია საბა იშხნელის მიმართვა ბაგრატ კურაპალატისადმი: “დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა ჴელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთა. შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ; ხოლო ქრისტე ყოველთა დაბადებულთა, შენ წარმავალთა ამათ ჟამთა მეფე ხარ, ხოლო ქრისტე საუკუნო მეუფე და სრული ჰგიეს უცვალებელი, უჟამო, დაუსაბამო, დაუსრულებელი მეუფე ანგელოზთა და კაცთა”.

რუისურბნისის საეკლესიო კრება.

XII საუკუნის დასაწყისიდან დავით აღმაშენებელმა გამოკვეთა საერო ხელისუფლების უფლებები სასულიერო სფეროში. ამ პერიოდის საეკლესიო ხელისუფლების საფუძველს საქართველოში მემამულეობა შეადგენდა. დავით აღმაშენებელი სამამულო მიწათმფლობელობის გაღრმავებაში ხედავდა ცენტრალური ხელისუფლების საფრთხეს. რასაკვირველია, იგი უძლური იყო გზა გადაეღობა, დაემუხრუჭებინა ფეოდალიზაციის პროცესის შემდგომი გაღრმავება, რათა სახელმწიფო მიწისმფლობელობას გაემარჯვა სამამულოფეოდალურზე.

მაღალ საეკლესიო თანამდებობებზე, როგორც საერთოდ, ყველა ფეოდალურ ქვეყანაში, მხოლოდ დიდგვაროვნებს ნიშნავდნენ. საეკლესიო თანამდებობებზე ხშირად არაკეთილსინდისიერი, შემთხვევითი პირები ხვდებოდნენ. უფრო მეტიც, ბევრჯერ ეკლესია ყოველგვარი უმსგავსობის წამომწყები ხდებოდა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ თანამედროვეებსაც. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ "წმინდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს, და უღირსთა და უწესოთა მამულობით უფროს ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა, და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს, რომელნი ნაცვლად სჯულთა საღმრთოთა უსჯულოებასა აწურთიდეს მათ ქუეშეთა ყოველთა. და თჳთ სახლით უფლისათ და მღვდელთაგან გამოვიდოდა ყოველი უსჯულოება და ცოდვა". დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, როგორც ვხედავთ, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ "მამულობით უფროს, ვიდრე ღირსებით" იყვნენ დაწინაურებულნი სასულიერო თანამდებობებზე ("რამეთუ იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრნეს საყდრები"). იმავეს ადასტურებს დავით აღმაშენებლის თაოსნობით მოწვეული დიდი საეკლესიო კრება, რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში რუისურბნისის კრების სახელწოდებითაა ცნობილი. ეკლესიის დამოუკიდებლობა არ შეესაბამებოდა ძლიერი სახელმწიფოს სულ უფრო და უფრო მზარდ და განვითარებად ინტერესებს.

საქართველოს საბოლოო გაერთიანება ეკლესიის, ამ დიდი ფეოდალური ძალის, მონარქიასთან ურთიერთობის მოუგვარებლად წარმოუდგენელი იყო. ეკლესიის ცალკეული დაწესებულებები ზოგჯერ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსული ერისთავების დაცვას და შეფარებას კისრულობდნენ. ამით ეკლესია ხაზს უსვამდა (ზოგჯერ ებღაუჭებოდა) თავის პრიორიტეტს სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე.

სამღვდელოება წინააღმდეგობრივ გზაზე მხოლოდ XII საუკუნის პირველ მეოთხედში არ დამდგარა. ეს პროცესი გაერთიანებული საქართველოს არსებობის მთელ მანძილზე მიმდინარეობდა. საეკლესიო თანამდებობის ყიდვაგაყიდვა იმდენად ძლიერი იყო XI საუკუნის შუა წლების საქართველოში (განსაკუთრებით ბაგრატ IV-ის დროს – 1027 - 1072 წწ.), რომ მას პროგრესულ საეკლესიო მოღვაწეთა განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია. სამღვდელოების გადაგვარებაში თვით ბაგრატ IV-საც მიუძღოდა ბრალი, რადგან, ზოგ შემთხვევაში, სასულიერო თანამდებობებზე უღირსი პირების დანიშვნას თურმე თვითონაც ხელს უწყობდა.

XI საუკუნის 60-იან წლებში გიორგი მთაწმინდელმა სცადა ეკლესიის სწორ გზაზე დაყენება. იგი, ბაგრატ IV-ის მიწვევით, ათონის ივერთა მონასტრიდან 1060 წელს ჩამოვიდა საქართველოში. როგორც გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებიდან ("ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა") ჩანს, ბაგრატ IV-ს მიუმართავს გიორგისათვის, იმიტომ შეგაწუხეთო, "რათა ნაკლულევანება და ცთომა უწესო აღმოჰფხვრა სრულიად სულთაგან ჩვენთა, დაფარული დაფარულად გვამხილო, ხოლო ცხადი თვალუხვად განგვიმარტეო". ამ ცნობის მიხედვით, ბაგრატ IV-ს კარგად ჰქონდა შეგნებული ეკლესიაში არსებული "ნაკლოვანება და ცთომა უწესო". სწორედ ამიტომ, გიორგი მთაწმინდელისათვის მას ფართო უფლებები მიუცია.

გიორგი მთაწმინდელს სამშობლო დიდ განსაცდელში დახვდა. ქვეყანაში შიმშილობა იყო. იგი შეაძრწუნა ქვეყნის მდგომარეობამ. გაჭირვებაში მყოფ ხალხს გიორგი მთაწმინდელმა დიდი მზრუნველობა გაუწია – ეხმარებოდა ეკონომიურად, ამხნევებდა სულიერად, შეკრიბა უმწეოდ დარჩენილი ბავშვები, კვებავდა და ასწავლიდა მათ. გიორგი მთაწმინდელმა აღმოაჩინა სათავე ქართული ეკლესიის დაცემისა და ბაგრატ IV-სათვის სრულიად მოულოდნელად, "პირველად ყოვლისა აღლესა მახვილი მხილებისა მეფეთა მიმართ", რომლებიც ხელს კი არ უნდა უწყობდნენ უმსგავსობას ეკლესიაში, არამედ "გამოარჩევდეს კაცთა ღირსთა" და მათ ნიშნავდეს თანამდებობებზე. გიორგი მთაწმინდელის მხილება მეფეს სწორად მიუჩნევია და მისი წამოწყებისათვის მხარი დაუჭერია. მიუხედავად ამისა, ბაგრატ IV-მ რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარება საეკლესიო სფეროში მაინც ვერ მოახერხა. სამეფო ხელისუფლებას იმ დროისათვის საამისო შესაძლებლობა არ ჰქონდა საგარეო ურთიერთობათა გართულების გამო. ამგვარად, გიორგი მთაწმინდელმა ვერ შეძლო ეკლესიაში არსებული უწესობანი მოესპო. ბაგრატ IV-ის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც საქართველოს ტახტს გიორგი II განაგებდა, საერო და საეკლესიო დიდგვაროვნები კიდევ უფრო გაძლიერდნენ და უფრო მეტად დაუპირისპირდნენ სამეფო ხელისუფლებას. გიორგი II-მ მათ სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია. საქართველოს სახელმწიფოში XI საუკუნის მიწურულისათვის მეტად რთული მდგომარეობა შეიქმნა. ამ მხრივ გადამწყვეტი ღონისძიება მხოლოდ XII საუკუნის დამდეგს იქნა მიღებული.

პირველი ქმედითი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ ამ მიმართულებით გადადგა, 1104 წელს დიდი საეკლესიო კრების მოწვევა იყო, კრებისა, რომელიც რუისურბნისის კრების სახელითაა ცნობილი.

კრების გადაწყვეტილებათა ("მეგლისწერის") შესავალში აღნიშნულია, რომ კრება მოწვეული იყო "სანახებთა ქართლისათა მახლობლად ორთა საეპისკოპოსოთა რუისისა და ურბნისისა". აქედან გამომდინარე, კრებას უწოდეს რუისურბნისისა. ტექსტიდან კი ნათელია, რომ საეკლესიო კრება შედგა "სანახებთა ქართლისათა". ზუსტი ადგილი კრების მოწვევისა მინიშნებული არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ არც რუისსა და არც ურბნისში იგი არ ჩატარებულა. შიდა ქართლის სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტზე (რუისის და ურბნისის საეპისკოპოსთა ახლომდებარე) შეიძლება იყოს ვარაუდი კრების ჩატარების ადგილად, გამორიცხულია მხოლოდ ორი – რუისი და ურბნისი, რადგან "მეგლისწერაში" გარკვევითაა ნათქვამი, რომ კრება ჩატარდა რუისისა და ურბნისის საეპისკოპოსოების მახლობლად. უნდა ვიფიქროთ, რომ საეკლესიო კრება არ ჩატარებულა სასულიერო დანიშნულების შენობაში. სავარაუდოა, რომ იგი რომელიმე საერო (არ

არის გამორიცხული სამეფო) რეზიდენციაში ჩატარდა. ალბათ სადავო არ არის, რომ კრების მოწვევასა და მიმდინარეობას წარმართავდა დავით აღმაშენებელი. “მეგლისწერა” გვამცნობს, რომ კრება გაიმართა “ბრძანებითა... დავით... მეფისაჲთა”. არსენ ბერი მიმართავს დავით აღმაშენებელს “შესხმაში”: “რომელ მოსწრაფებით შემოკრება უბრძანე შენ” (საეკლესიო კრებაზეა ლაპარაკი – რ.მ.). “ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი” ხაზს უსვამს, რომ “... რამეთუ სამეფოსა თჳსისა კათალიკოსი, მღვდელთმთავარნი, მეუდაბნონენი, მოძღუარნი და მეცნიერნი შემოკრიბნა წინაშე მისსა” (დავით აღმაშენებლისა – რ.მ.). ე.ი. აშკარაა საქართველოს მეფის როლი (ეს საქმის შემდგომი მიმდინარეობითა და შედეგებითაც ჩანს) საეკლესიო კრების მოწვევამიმდინარეობაში. მეფეს დრო და ადგილი თვითონ შეურჩევია. ერთიც და მეორეც მისთვის მოსახერხებელი და სასურველი ყოფილა. შემთხვევითი არ არის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მინიშნება, რომ კრება მეფემ დანიშნა “დროსა და ადგილსა ჯეროვანსა”. ისტორიკოსის შემეცნებაში ჯეროვანი დრო და ადგილი სწორედ ისაა, რომელიც საქართველოს მეფისთვის იყო მისაღები და მოსახერხებელი. და ეს ადგილი იყო შიდა ქართლის სანახები რუისისა და ურბნისის საეპისკოპოსოთა მახლობლად. აღნიშნული კრება საგანგებო და განსაკუთრებული ყრილობა იყო, იგი მსოფლიო კრების დონეზე ჩატარდა.

ნიშანდობლივია, რომ მწიგნობართუხუცესი გიორგი მხარში ედგა დავით აღმაშენებელს მის სახელმწიფოებრივ და კულტურულ საქმიანობაში. იგი ქვეყანაში მიმდინარე ყველა დიდ გარდაქმნაში მეფის თანამზრახველი და თანამდგომი იყო. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუისურბნისის კრების მუშაობაში.

კრებას ესწრებოდნენ გიორგი მეორე (იგი “მეგლისწერაში” მეფეთმეფედ და ყოვლისა აღმოსავლისა და დასავლისა კესაროსად არის მოხსენიებული), ბიზანტიის დედოფალი მართა (გიორგი მეორის და) და სხვ.

საეკლესიო კრებამ განიხილა იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხები. პირველი რიგის ამოცანად დაისახა უღირს თანამდებობის პირთა გადაყენება (“განკუეთა”).

დავით აღმაშენებელს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ის სიძნელეები, რომელიც კრების მსვლელობას წინ გადაეღობებოდა. ბუნებრივია, ის პირები, ვისაც თანამდებობები ეკავათ, არც ისე ადვილად დათმობდნენ გაბატონებულ მდგომარეობას.

დიდი საეკლესიო კრება “მრავალი დღე” გაგრძელებულა. დასმული საკითხების პრინციპულმა ხასიათმა და მათი გადაწყვეტის სირთულემ განაპირობა კრების სამუშაო დღეთა სიმრავლე. ყველა პრობლემა დაწვრილებით (“გამოწულილვით”) განუხილავთ და გადაუწყვეტიათ: “დღეთა მრავალთა ფრიადითა გამოწულილვითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომა განმარტეს, კეთილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს”.

კრებამ საქართველოს სახელმწიფოსა და მისი მეფის დავით აღმაშენებლის პოლიტიკა, მათი მომხრეთა ხაზი გაატარა და მიიღო სათანადო გადაწყვეტილებები, რომელსაც ეწოდება “მეგლისწერაჲ წმიდისა და ღმრთივ შეკრებულისა კრებისაჲ”.

რუისურბნისის საეკლესიო კრების წარმატებით ჩატარებისა და მისი დადგენილებების დიდი მნიშვნელობა კარგად ესმოდათ თანამედროვეებს. “მეგლისწერა” საეკლესიო კრებაზეა

მიღებული და ამდენად იგი გამოხატავს ამ კრების მონაწილეთა უმრავლესობის აზრს. ეს უმრავლესობა კი კრებას, როგორც ჩანს, ფრიად მნიშვნელოვან მოვლენად სთვლიდა, როგორც საქართველოსთვის, ასევე მთელი საქრისტიანოსთვის. "მეგლისწერა" ჩამოთვლის მანამდე ჩატარებული ქრისტიანული ეკლესიის კრებებს (ნიკეის, კონსტანტინოპოლის, ქალდეკონისა და სხვ.), აღნიშნავს, რომ თითოეულ ამ კრებაზე მიღებულ იქნა კანონები.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს მეფის მიერ საეკლესიო კრების მოწვევა, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა საერთოდ, "მეგლისწერაში" შედარებულია ბიზანტიის იმპერატორებთან (კონსტანტინე, თეოდოსი, მარკიანე, იუსტინიანე და სხვ.), რომლებიც თვითონ იწვევდნენ საეკლესიო კრებებს და სასულიერო ცხოვრების მოწესრიგებაზე ფიქრობდნენ.

საქართველოს ეკლესიაში სწორედ მსოფლიო კრებათა მიერ დადგენილი კანონების დაცვის საქმე ვერ იყო მოწესრიგებული. ამდენად საეკლესიო კრების წინაშე მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხი იდგა. კრების მონაწილეებმა "... დღეთა მრავალთა ფრიადითა გამოწულილვითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომა განმართეს, კეთილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს". ვახუშტი ბაგრატიონიც ამასვე ადასტურებს: "განამტკიცეს 12 კრებათა დამტკიცებული ჭეშმარიტი სარწმუნოება".

დიდმა საეკლესიო კრებამ "მეგლისწერის" სახით დააკანონა შემდეგი:

განკვეთა ("უცხოვყვენით მღდელობისაგან") ის პირები, რომლებიც "ვერღირსებით" იყვნენ მოხვედრილი დიდ საეკლესიო თანამდებობებზე. მათ ნაცვლად კრებამ შეარჩია სხვა, უფრო ღირსეული პირები, რომლებიც ასაკითაც და თავიანთი საქმიანობითაც უფრო შეეფერებოდნენ ასეთ თანამდებობებს. ამ პუნქტში სამღვდელო პირთა ასაკის ხსენება შემთხვევითი არ უნდა იყოს. საფიქრებელია, რომ სხვადასხვა გზით "უასაკოებიც" ინიშნებოდნენ მაღალ თანამდებობებზე. ეს "მეგლისწერის" შემდეგ მუხლშიაც ნათლად ჩანს.

დაკანონდა სამღვდელო პირთა ხელდასხმის წესი. განისაზღვრა ასაკი, რომლის უადრეს არ ეგებოდა საეკლესიო თანამდებობებზე ხელდასხმა. მაგალითად, 35 წელი ეპისკოპოსთათვის, 30 – მღვდელთათვის, 25 – დიაკონთათვის, 8 – წიგნის მკითხველთათვის.

საეკლესიო კრებამ აკრძალა ხელდასხმით ერთსა და იმავე დღეს ერთი თანამდებობიდან მეორე და მესამე ხარისხზე აყვანა. როგორც ჩანს, ეს "უწესოჲ წესი ჴელთდასხმათა" ფართოდ ყოფილა გავრცელებული. კრებამ აუცილებლად ჩათვალა, რომ საეკლესიო იერარქიულ კიბეზე აღმასვლა უნდა მომხდარიყო ყველა საფეხურის საფუძვლიანად გავლის, გარკვეული გამოცდილების შეძენის შემდეგ.

სამღვდელოების მისწრაფება მექრთამეობისაკენ აშკარადაა გამოვლენილი კრების დადგენილების ("მეგლისწერის") სათანადო მუხლში, სადაც საგანგებო ზომებია გათვალისწინებული ამ უმსგავსობის წინააღმდეგ: "ხოლო ქრთამისათვის და საფასისა, რომელსა მიიღებდნენ ჴელთდამსხმელნი ჴელთადასხმადთაგან... განჩინებად ვიკადრებთ ჩვენცა, რათა მოისპოს ეგევითარი – იგი ეკლესიისაგან და აღიჴოცოს მღდელობისაგან" და სხვ.

აიკრძალა მოხმარება, რა მიზნითაც არ უნდა ყოფილიყო, ყოველგვარი საეკლესიო (მათ შორის შეწირული) ნივთებისა. თუ ვინმე დაარღვევდა ამ კანონს, მას სასჯელი ელოდა.

აიკრძალა ეკლესიის გარეშე ნათლისცემა და გვირგვინის კურთხევა.

აიკრძალა გვირგვინის კურთხევა "ჩჩჯლთა ქალყმათა". თუ მშობლებს გადაწყვეტილი ჰქონდათ დამოყვრება, ნება ეძლეოდათ პატარები დაეწინდათ, ხოლო დაქორწინება მხოლოდ განსაზღვრულ ასაკში იყო დაშვებული. ჯვარდასაწერი ქალი 12 წლისაზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

კათალიკოსს და ეპისკოპოსებს დაევალათ, ქორეპისკოპოსებად "სჯულისა და საღთოთა წიგნთა მეცნიერი" აერჩიათ, რათა უბიწოდ დაეცვათ ყველა საქრისტიანო წესი, "არარაჲ მათგანი განსცეს ქრთამისათჳს, არცარაჲ განყიდოს ვერცხლად".

კრებამ დაგმო მონასტრებში მოძღვართა სიმრავლე (ზოგჯერ თურმე მათი რიცხვი ოცდაათსაც აღწევდა. ადგილი ჰქონდა მათ შორის უთანხმოებას, რასაც ხშირად შფოთი მოჰყვებოდა) და დაადგინა, რომ, როგორც წესი, მონასტერში ერთი მოძღვარი უნდა ყოფილიყო, მხოლოდ დიდ მონასტრებს ჰქონდათ ორი მოძღვრის ყოლის უფლება.

აიკრძალა მონასტრებთან ვაჭრობის (ბაზრობის) გამართვა.

"ძეგლისწერის" შემდეგი მუხლები ("განწესება ჟამისწირვისა", "მწვალებელთა და წარმართთათვის" და სხვ.) შინა საეკლესიო საქმიანობის მოწესრიგებას ეხებოდა.

ცალკე მუხლი აკანონებს ქორწინების წესს ("კურთხევა გჳრგჳნთა ქორწინებით") – "რამეთუ ესე ერთგან კურთხეულნი მამაკაცი და დედაკაცი ნუუკუე შეირაცხნენ ნახევარ მემრუშედ ცოლქმრად". ქორწინების წესის დარღვევისათვის კანონი სამღვდელო პირთა დასჯასაც ითვალისწინებდა.

"ძეგლისწერის" საგანგებო მუხლით ("განჩინება სოდომური ცოდვისათვის") კრებამ აკრძალა სხვადასხვა უწესობანი, რომელიც დამკვიდრებული ყოფილა საერო და საეკლესიო პირთა შორისაც.

საეკლესიო კრებამ კატეგორიულად მოითხოვა ხატისა და ღმერთის თაყვანისცემა. ღმრთის მაგინებელი და შეურაცხმყოფელი "ძეგლისწერის" მიხედვით, "თანამდებ იყოს... განკანონებისა".

როგორც ვხედავთ, სრულიად საქართველოს დიდ (რუისურბნისის) საეკლესიო კრებას ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიუღია. თვით ეს კრება დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული საეკლესიო რეფორმის პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია. XII საუკუნის პირველი მეოთხედისათვის პირადი ღირსებების მიხედვით საეკლესიო თანამდებობებზე სასულიერო პირთა დანიშვნა უდიდესი მნიშვნელობის გადაწყვეტილება იყო. ყველა კანონი (მუხლი), რომელიც საეკლესიო კრებამ "ძეგლისწერის" სახით მიიღო, თავისთავად ცალკეულ რეფორმას წარმოადგენდა ეკლესიაში.

“მეგლისწერის” ანალიზი ერთხელ კიდევ ხაზგასმით მიგვანიშნებს იმ დიდი, დაძაბული ბრძოლის შესახებ, რომელიც მეფესა და დიდგვაროვან ფეოდალებს, კერძოდ, ეკლესიას შორის არსებობდა. მემკვიდრეობის წესი ეკლესიის მართვაგამგებლობაში ტრადიციულად კარგა ხნის დაკანონებული იყო. ამჯერად კი ეკლესიაში არსებული დარღვევები, ამ ორგანიზმის დამორჩილებით დაინტერესებულმა საქართველოს სამეფო კარმა მარჯვედ გამოიყენა და თავის მოწინააღმდეგე (ამავე დროს გარკვეული დარღვევების ჩამდენი) საეკლესიო პირები მოაშორა ეკლესიას, ნაცვლად კი სამეფო პოლიტიკის მომხრენი დანიშნა. დავით აღმაშენებლის მიერ ასეთი ფართო მასშტაბის კრების ჩატარება და ქმედითი ჩარევა საეკლესიო საქმეებში თავისთავად მეტყველებდა მეფის გაზრდილ უფლებებზე სასულიერო საქმეებში. საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკა იმდენად აქტიური და მძლავრი იყო, რომ ეკლესია შეურიგდა (რა თქმა უნდა, იძულებით) მის მიმართ მეფის უფლებების გაზრდას.

ამგვარად, XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში სახელმწიფომ თავისი გავლენა მკვეთრად გაავრცელა ეკლესიაზე. ამიერიდან დიდი ფეოდალები ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ძლიერ მოკავშირეებს კარგავენ მღვდელმთავრების სახით. დავით აღმაშენებლის საეკლესიო პოლიტიკა, რომელიც მნიშვნელოვანი ნაწილი იყო იმ დიდი სამეფისკარო პოლიტიკისა, ქვეყნის ცენტრალიზაციას და კულტურის წინსვლას რომ ემსახურებოდა, წარმატებით გადაჭრის ჩარჩოში მოექცა. საქართველოს სამეფოს მიერ გარკვეული წარმატებების მოპოვების შედეგად ჩამოყალიბდა მეფის მკვეთრად გამოსახული ძალაუფლება. ამას, თავის მხრივ, ხელი შეუწყო სამეფო ხელისუფლების მიერ გატარებულმა მნიშვნელოვანმა ღონისძიებამ, ჭყონდიდლისა და მწიგნობართუხუცესის თანამდებობების გაერთიანებამ – ჭყონდიდელმწიგნობართუხუცესობის შემოღებამ.

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობის დაწესება.

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობის დაწესება ქრონოლოგიური თვალსაზრისით დაემთხვა ფეოდალური საქართველოს იმ პერიოდს, როცა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა ქვეყანაში განხორციელებული. თვით ამ თანამდებობის შემოღებაც XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს სამეფო ხელისუფლების რეფორმატორულ საქმიანობას უნდა მიეწეროს. ისევე, როგორც ამ დროს გატარებული სხვა რეფორმები, ეს ღონისძიებაც გარკვეული აუცილებლობით იყო ნაკარნახევი და ფეოდალური ქვეყნის განვითარების კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა.

მწიგნობართუხუცესის თანამდებობა არსებითად განსხვავდებოდა ფეოდალურ საქართველოში არსებული ყველა სხვა სადარბაზისკარო “ჴელისაგან”. ყველა სხვა “ჴელი” მიწისმფლობელობასთან იყო დაკავშირებული და ამდენად ორ ბუნებას ამჟღავნებდა. ერთი მხრივ, ხელისუფალი დამოკიდებული იყო მეფის წყალობისაგან და ამიტომ მეფის ძლიერებისათვის უნდა ებრძოლა, მეორე მხრივ, დამოუკიდებელი მემამულე იყო, რაც აიძულებდა, საკუთარ თავსა და სამფლობელოზე მეტი ეზრუნა, მეფის გაძლიერებისათვის კი მაინც არ შეეწყო ხელი. ფეოდალური ეპოქის ყველა “ჴელის” (გარდა მწიგნობართუხუცესისა) საერთო დამახასიათებელი თვისება ის იყო, რომ ყოველთვის სამემკვიდრეოდ გადაქცევის მიდრეკილებას იჩენდა.

არც ერთი ამ თვისებათაგანი არ ჰქონდა მწიგნობართუხუცესს. იგი მონაზონი იყო და ამიტომ, ბუნებრივია, მიწისმფლობელობისგან შორს იდგა. ასევე ვერ გამოიჩენდა თანამდებობის სამემკვიდრეოდ გადაქცევის მიდრეკილებას (მონაზონს არ შეიძლებოდა ჰქონოდა ქალაქი ან სოფელი საკუთრებად თუ სახარაჯოდ. მას არც მემკვიდრეები ჰყავდა). ამდენად მწიგნობართუხუცესობა მთლიანად მეფის ცენტრალურ ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული და, ბუნებრივია, მწიგნობართუხუცესი ასეთი ხელისუფლების გაძლიერების თავგამოდებული მომხრე იყო. თავის მხრივ, მეფე დაინტერესებული იყო, რომ მისი ერთგული მოხელე მწიგნობართუხუცესი დაწინაურებული ყოფილიყო. ეს დაკავშირებული იყო ცენტრალისტური ხელისუფლების გამარჯვებასთან იმ შინაპოლიტიკურ ბრძოლებში, რომელსაც საქართველოს მეფე დიდგვაროვან საერო და საეკლესიო ფეოდალებთან აწარმოებდა. ეს საქმე დავით აღმაშენებელმა თავის სასარგებლოდ გადაჭრა და ამის შემდგომ მწიგნობართუხუცესის "სახელოს" აღზევებადაწინაურებას შეუდგა. სწორედ დავით აღმაშენებლის მიერ უნდა იყოს მინიჭებული მწიგნობართუხუცესისათვის "ობოლთა და ქვრივთა და მომძლავრებულთა მოჩივართა" განკითხვის ფუნქცია.

მწიგნობართუხუცესი იყო მეფის მრჩეველი ("განმზრახი") და სახელმწიფო მოღვაწეობაში მეფის თანამშრომელი ("თანაგანმკაფელი"). ერთ ქართულ კარაბადინში მწიგნობართუხუცესის შესახებ საინტერესო ცნობაა დაცული: "ქრისტეს მიერ პატრონმან ჭყონდიდელმან, მისმან მწიგნობართუხუცესობამან, პროტოუპერტიმოსმან და ვაზირთა ყოველთა უპირველესმან, კაცმან გონებამოზავმან და საღმრთოჲთა მსჯავრითა მართლმსაჯულმან და ჴელის ამპყრობელმან უღონოთა და ქურივთამან". ეს ცნობა ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს მწიგნობართუხუცესის დაწინაურებულ მდგომარეობას საქართველოს სამეფო კარზე და გვამცნობს, რომ იგი ამასთანავე არის "მართლმსაჯული და ხელისამპყრობელი უღონოთა და ქურივთა". ჟამთააღმწერელი იმასაც უმატებს, რომ მწიგნობართუხუცესის მოვალეობას "სამეფოსა და სახლის განგება" შეადგენდა. უფრო მეტიც, "ხელმწიფის კარის გარიგებაში" ნათქვამია, რომ მწიგნობართუხუცესი "ვითა მამა არს მეფისა, აგრე ყველა საურავი უმისოდ არ იქნების". ზემომოტანილი ცნობებიდან დასტურდება ის დიდი მნიშვნელობა და გავლენა, რომელიც მწიგნობართუხუცესს ჰქონდა.

დავით აღმაშენებლის დროს მწიგნობართუხუცესი ვაზირია და ეს ვაზირობა – სხვა მოხელეთა შორის მისი უპირველესობის მაუწყებელი ნიშანია. ქართულ წყაროებში ვაზირები XII საუკუნის უწინარეს არა გვხვდებიან, თუმცა ყველა ის ქართული პოლიტიკური ინსტიტუტი, რომელიც XII საუკუნიდან არაბული ვაზირის სახელწოდებას ატარებს, საქართველოში ადრევე არსებობდა. არ არის გამორიცხული, რომ ქართული ვაზირი და სავაზირო თავისთავადი მოვლენაა, აღმოცენებული ძირითადად ქართული "უხუცესთა" ინსტიტუტიდან.

საქართველოს მეფე საეკლესიო საქმეებში, როგორც საერო პირი, უშუალო მონაწილეობას ოფიციალურად ვერ მიიღებდა. საგულისხმოა ზემოთ უკვე დამოწმებული ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა, რომ დავით აღმაშენებელი დიდ (რუისურბნისის) საეკლესიო კრებას ესწრებოდა როგორც რიგითი წევრი, ე.ი. მისი, როგორც მეფის, უფლებები (ფორმალურად მაინც!) შეზღუდული იყო ამ კრებაზე. მეფის უფლებები შეზღუდული მხოლოდ ამ საეკლესიო კრებაზე არ ყოფილა. იმდროინდელი საეკლესიო დოგმატების მიხედვით, როგორც უკვე

შევნიშნეთ, სასულიერო სფეროს მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში მეფე ვერ მონაწილეობდა. დღის წესრიგში დადგა გადამჭრელი ზომების მიღების საკითხი, რათა ეკლესია მეფის ხელისუფლებას საბოლოოდ დამორჩილებოდა. ამ მეტად სერიოზული მიზნის მისაღწევად უნდა გამონახულიყო ისეთი გზა, რომელიც უმტკივნეულოდ დაუმორჩილებდა ეკლესიას სამეფო ხელისუფლებას. ამისათვის ყველაზე უფრო გავლენიანი საეკლესიო პირი სახელმწიფო მმართველობაში უნდა მოეყვანათ, ან კიდევ რომელიმე მაღალი "სახელოს" მფლობელისათვის დიდი საეკლესიო თანამდებობა მიენდოთ, სამეფო კარისათვის დაეახლოებინათ და ამ გზით ეკლესია სამეფო ხელისუფლებისათვის დაემორჩილებინათ. სწორედ ამ მიზნით დავით აღმაშენებელმა ორი თანამდებობა – ჭყონდიდლისა და მწიგნობართუხუცესისა შეაერთა. აქედან მოყოლებული მწიგნობართუხუცესად მაღალი საეკლესიო თანამდებობის პირი, ჭყონდიდელი ინიშნებოდა. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ საეკლესიო პირთაგან დავით აღმაშენებელმა ჭყონდიდელი შეარჩია. X საუკუნეში დაარსებული ჭყონდიდის საეპისკოპოსო კათედრა თანდათან აღზევდა და XI საუკუნის შუა წლებში, ბაგრატ მეოთხის დროს, უწარჩინებულეს კათედრად იქცა მთელს დასავლეთ საქართველოში. ასე იყო დავით აღმაშენებლის დროსაც, და სრულიად გასაგებია თუ რატომ შეჩერდა არჩევანი ჭყონდიდელზე. ზედმეტია მტკიცება იმისა, რომ საქართველოს მეფის მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოსათვის. მეფის უერთგულესი მოხელე მწიგნობართუხუცესი ამავე დროს საეკლესიო სფეროში გავლენიანი თანამდებობის – ჭყონდიდლობის მატარებელიც გახდა. ამიერიდან მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსიც უნდა ყოფილიყო. ასე შეიქმნა ჭყონდიდელმწიგნობართუხუცესის თანამდებობა, რომლის მფლობელი ერთსა და იმავე დროს მეფის მოხელეც იყო და დიდი საეკლესიო თანამდებობის პირიც. ამ ახალი "ხელის" მეოხებით საქართველოს მეფეს საეკლესიო საქმეებში ფართოდ და აქტიურად ჩარევის ასპარეზი მიეცა. ეს, თავის მხრივ, მეფის ცენტრალური ხელისუფლების ეკლესიაზე უშუალო გავლენას ნიშნავდა.

ჭყონდიდელმწიგნობართუხუცესობა 1104 - 1105 წლებში ჩანს დაწესებული, რადგან საქართველოს სამეფო ხელისუფლების ეს ნაბიჯი დიდი (რუისურბნისის) საეკლესიო კრების (კრება, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, 1104 წელს იქნა მოწვეული) გადაწყვეტილებათა ლოგიკური გაგრძელებაა და, ბუნებრივია, მისი სისრულეში მოყვანა ამ კრების შემდეგ აღარ დაყოვნდებოდა, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელი რეფორმის გასატარებლად ნიადაგი უკვე შემზადებული იყო. თუ არა ამ რეფორმისათვის მზადებას, სხვას რას უნდა მიეწეროს ის ამბავი, რომ მწიგნობართუხუცესის თანამდებობაზე ჩვენ ვხედავთ განათლებულ ბერს, გიორგის – სასულიერო საქმეებში სათანადოდ გაწაფულ პიროვნებას, რომელიც აქტიურად მონაწილეობს საეკლესიო ცხოვრებაში. ცხადია, დავით აღმაშენებელს აღნიშნული რეფორმის გატარება წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული და განსაზღვრული.

ამდენად, 1104 - 1105 წლებში უნდა მომხდარიყო საქართველოს სახელმწიფოსათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი – ჭყონდიდელმწიგნობართუხუცესის ინსტიტუტების გაერთიანება. ამ თანამდებობის პირველი მფლობელი გახდა გიორგი ბერი, დიდი საეკლესიო კრების ყველაზე უფრო აქტიური მონაწილე.

ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ისტორიულ განვითარებასა და ჭყონდიდელმწიგნობართუხუცესის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას შორის ღრმა ორგანული კავშირი არსებობს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხმამაღლა აცხადებს, რომ ამიერიდან "მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცთომელსა, ყოვლად შუენიერსა და დაწყობილსა, კეთილწესიერებასა ლოცვისა და მარხვისასა".

ჭყონდიდელმწიგნობართუხუცესის მაღალ, დაწინაურებულ მდგომარეობაზე თვალნათლივ მიგვანიშნებს ქართული სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლი, როგორიცაა "ხელმწიფის კარის გარიგება". ნიშანდობლივია, რომ არსებული წესის შესაბამისად მეფედ კურთხევის შემდეგ, დედოფლისა და კათალიკოსის მომდევნოდ, ვაზირთა შორის უწინარეს ჭყონდიდელმწიგნობართუხუცესს უნდა მიელოცა მეფისათვის.

საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ XII საუკუნის პირველ მეოთხედში მკვეთრი რეფორმები გაატარა სასულიერო სფეროში, რამაც სახელმწიფოს დადებითი შედეგები მოუტანა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ღონისძიებებს მხოლოდ დროებითი ხასიათი ჰქონდა. დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ შინაპოლიტიკური ბრძოლა კვლავ გამოცოცხლდა. დავით აღმაშენებლის მემკვიდრის დემეტრე პირველის მეფობის დროს სამეფო ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის დამოკიდებულების შესახებ ჩვენ პირდაპირი ცნობები არ გაგვაჩნია, ხოლო გიორგი მესამის დროს, როგორც ჩანს, საეკლესიო დიდგვაროვანმა ფეოდალებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვეს და მკვეთრად დაუპირისპირდნენ სამეფო ხელისუფლებას. როცა გიორგი მესამე ორბელთა ხელმძღვანელობით ამბოხებულ დიდგვარიანთა წინააღმდეგ იბრძოდა, ეკლესიის მესვეურებმა კრება მოიწვიეს (ეს კრება სრულიად საქართველოსი იყო. მას დაესწრო "ყოველნი სამეფოჲსა... მონაზონნი და ეპისკოპოსნი იმერნი და ამერნი, კათალიკოზი, მოძღუარნი და ყოველნი მეუდაბნოენი") და აჯანყების ჩაქრობის შემდეგ უკან მობრუნებულ გიორგის ეკლესიის საგადასახადო შეუვალობის აღდგენა მოსთხოვეს (თვითონ მეფეს კრების მოწვევის მიზეზად მიაჩნია "დაჭირვებულობა ეკლესიათაჲ და განრყუნაჲ სასჯულოთა საქმეთა"). 1178 წელს გიორგი მესამე იძულებული გახდა გაეცა საქართველოს ეკლესიის შეუვალობის განახლების სიგელი. დოკუმენტის მიხედვით გიორგი მესამის სურვილი და საეკლესიო კრების მოთხოვნა ერთმანეთს შეესაბამებოდა. ეს, რასაკვირველია, ასე არ იყო. "სიგელი" გამოხატავდა მეფისა და სამეფო ხელისუფლების პოზიციას, უფრო სწორად სურვილს – საზოგადოების თვალში დაეცვათ სამეფო კარი და იძულებით გაკეთებული, საკუთარი ნების აღსრულებად ჩაეთვალათ.

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულების მოდელი XII საუკუნის საქართველოში ასეთია: ეკლესია სახელმწიფო ხელისუფლების, მეფის დიდ გავლენას განიცდის (განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის მეფობის დროს), თუმცა XII საუკუნის მეორე ნახევარში ადგილი აქვს ამ გავლენის გარკვეულ შესუსტებას.

საქართველოს საბოლოო შემომტკიცება.

XII საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქვეყნის საბოლოო შემომტკიცების საკითხმა. მართალია, მტერი თითქმის მთლიანად განდევნილი იყო, მაგრამ, ვიდრე ამიერკავკასიის აღმოსავლეთი (შირვანი, რანი) და სამხრეთი (სომხეთი) თურქსელჩუკთა ხელში იყო და საქართველოსთან მიმდებარე ყაბალაგანძაანისში თურქსელჩუკები ბატონობდნენ, საფრთხე მაინც მოსალოდნელი იყო. საქართველოს უშიშროების დაცვის საქმე მოითხოვდა ომის გატანას ქვეყნის საზღვრებს გარეთ. კავკასიის მომმე ხალხები თვითონაც ებრძოდნენ მომხდურ თურქსელჩუკებს და ყოველთვის მზად იყვნენ, მხარში ამოსდგომოდნენ მებრძოლ ქართველებს საერთო მტრის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ამიერკავკასიის ხალხებს ერთი მოსაზრება ამოძრავებდათ – განედევნათ სელჩუკი დამპყრობლები თავიანთი მიწაწყლიდან, რასაც ამიერკავკასიის პოლიტიკური გაერთიანება მოჰყვებოდა. გამაერთიანებლის როლში საქართველო გამოდიოდა.

ამდენად, საქართველოს სახელმწიფომ, მისმა სამეფო კარმა იკისრა მეტად დიდი და რთული ისტორიული ამოცანა, რომლის განხორციელებაც საგანგებო ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა. პირველ რიგში დადგა სამხედრო რეფორმების გატარების აუცილებლობა.

* * *

საქართველოს სამეფო კარს კარგად ჰქონდა აწონილდაწონილი სამხედრო რეფორმების გატარების დიდი მნიშვნელობა და ისიც გეგმაზომიერად, თანდათანობით შეუდგა ამ საქმეს. უპირველესად საჭირო იყო ლაშქრის ორგანიზაციის მოწესრიგება. გიორგი IIის დროიდან მოკიდებული, ფაქტობრივად მოშლილი იყო ფეოდალური ლაშქარი, დაცემული იყო დისციპლინა. დავით აღმაშენებელმა, როგორც ზემოთაც ითქვა, შემოიკრიბა ერთგული მოლაშქრეები და მათგან მუდმივი, ძლიერი პირადი გვარდია – მონა სპა შექმნა. ამასთან საქართველოს მეფემ ქვეყნის ცალკეულ მხარეებში თავისი ერთგული, ღირსეული მოხელეები დანიშნა და, ბუნებრივია, მათ მიერ გამოყვანილი ლაშქარიც მეფის ერთგული იყო. დავით აღმაშენებელმა დიდი ყურადღება დაუთმო მოლაშქრეთა შორის დისციპლინის განმტკიცებას. მეფემ ქვეითი ჯარის დიდი ნაწილი ცხენოსანი რაზმებით შეცვალა. მის საბრძოლო არსენალში ახალი ტაქტიკური და სტრატეგიული ხერხები იყო. დავით აღმაშენებელი ფართოდ იყენებდა მზვერავებს, რომელთაც მემატიანე მსტოვრებს უწოდებს. “მსტოვარნი” თვალყურს ადევნებდნენ მტრის მოძრაობას და დროულად აცნობებდნენ ლაშქრის სარდლობას. მსტოვარი ქვეყნის მოთვალთვალის – ჯაშუშის მოვალეობასაც ასრულებდა: “არცა სამეფოსა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირედთა საქმე ქმნილი, კეთილი გინა სიტყვა ბოროტი თქმული – არა სია დაეფარვოდა...”. სამეფო ხელისუფლებამ ძლიერი საპოლიციო აპარატი შექმნა, რომელსაც სათავეში მანდატურთუხუცესი ჩაუყენა.

დავით აღმაშენებელს კარგად ჰქონდა აწყობილი სამობილიზაციო სისტემა. მუდმივ მზადყოფნაში იყო სასიგნალო კოშკები, პირდაპირი და ესტაფეტის წესით მოქმედი "ჭენებითმავალნი", რომელთა საშუალებით წვევის წიგნები ან მეფის სიტყვიერი ბრძანება გადაიცემოდა. დიდი ყურადღება მიექცა ლაშქრის ზურგის სამსახურსაც – ლაშქრის საკვებით, სხვადასხვა საჭურვლითა და საბრძოლო ტექნიკით მომარაგებას.

დავით აღმაშენებლის დროინდელი ლაშქრისათვის დამახასიათებელია მეფისა და მონასპის წინა ხაზზე ბრძოლა, განსხვავებით წინანდელისაგან, როცა მეფე მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში გადადიოდა წინა პლანზე.

ფაქტობრივად დავით აღმაშენებელმა ჩაუყარა საფუძველი ქართული ლაშქრის იმ სტრატეგიულ და ტაქტიკურ სიახლეებს, რომლებმაც დასრულებული ორიგინალური სახე XII - XIII სს. მიიღეს.

შემოღებული იქნა საგანგებო სამხედრო უწყებისა და მისი ხელმძღვანელის – ამირსპასალის თანამდებობა, რამაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული ლაშქრის ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელობის განმტკიცებაში. ნარატიული და ეპიგრაფიკული წყაროების შესწავლაშეჯერების შედეგად გაირკვა: ა) "ამირსპასალარის" არსებობა ეპიგრაფიკული მასალით დასტურდება XII ს. პირველ მეოთხედში; ბ) დავით აღმაშენებლის თანამედროვე ივანე ლიპარიტის ძე იყო მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი; გ) ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობა, დავით აღმაშენებლის მეფობის გარკვეული დროიდან, ორბელების ხელში იყო; დ) ორბელები ფლობდნენ ამ თანამდებობას დავით აღმაშენებლის ძის – დემეტრე Iის მეფობაშიც. ამ დროს საქართველოს სამეფოს მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი ჯერ ივანე, ხოლო შემდეგ სუმბატ ივანეს ძე ორბელი იყო; ე) დავით V-ის მეფობის დროს ორბელებმა დროებით დაკარგეს აღნიშნული თანამდებობანი, მაგრამ XII ს. 60-იანი წლებიდან ისევ დაიბრუნეს და შეინარჩუნეს 1178 წლამდე.

როგორც ვნახეთ, დავით აღმაშენებელმა ქმედითი ღონისძიებების გატარებით დასრულებული სახით ჩამოაყალიბა საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური სამოხელეო აპარატი შესაბამისი უწყებებით, რომელთა სათავეშიც "უხუცესები" იდგნენ. სახელმწიფოს საშინაო საქმეებს მანდატურთუხუცესი განაგებდა, სამხედრო საქმეს – ამირსპასალარი (მისი პირველი თანაშემწე ამირახორი იყო). ცალკე უწყება განაგებდა სამეფო ფინანსებს. უწყების სათავეში მეჭურჭლეთუხუცესი იდგა. როგორც ირკვევა, ეს უწყება და მეჭურჭლეთუხუცესის სახელოც XI - XII საუკუნეების მიჯნაზე ჩნდება, დავით აღმაშენებლის დროს (პირველ მეჭურჭლეთუხუცესად იხსენიება ივანე ვარდანის ძე, სვანთა ერისთავი).

დავით აღმაშენებელი გეგმაზომიერად ატარებდა ღონისძიებებს ფეოდალური ქვეყნის ცენტრალიზაციისა და სამხედრო ძლიერებისათვის. 1110 წელს გიორგი ჭყონდიდელმწიგნობართუხუცესის, მისი დისწულის თევდორეს, აბულეთისა და ივანე ორბელის მოხერხებული მოქმედების შედეგად აღებულ იქნა ქ. სამშვილდე ("სიმარჯჳთ მოიპარეს სამშვილდე").

1110 წელსვე იქნა აღებული და შემოერთებული ქ. ძერნა.

1115 წელს აღებული იქნა რუსთავი.

რუსთავის დაკარგვამ დიდი პრობლემები შეუქმნა თურქსელჩუკებს – ისინი ვეღარ ბედავენ საზამთრო ადგილებზე დგომას, მით უმეტეს, რომ დავით აღმაშენებელი მიღწეულით არ კმაყოფილდებოდა. სათანადო დაზვერვის (“რამეთუ მოიმსტვარნის მეფემან”) შემდეგ “უგრძნეულად” ესხმოდა თავს სელჩუკებს და მუსრს ავლებდა (“და ესე არა ერთგზის ანუ ორგზის, გინა სამ, არამედ მრავალგზის”).

1116 წელს, ზამთარში ტაოს ჩამოდგნენ დიდძალი თურქსელჩუკები, დავით აღმაშენებელმა ხერხი იხმარა (“მოიჯელოვნა”): ქართლის ლაშქარს მზადყოფნის საიდუმლო ბრძანება მისცა, თვითონ კი ქუთაისში წავიდა. ამით მოადუნა მტრის ყურადღება. თებერვალში მეფის ბრძანებით ქართლისა და მესხთა ლაშქარი კლარჯეთს შეიყარა. თვითონაც შიდასპით შეუერთდა მათ და მოულოდნელად დაესხა თავს გულდამშვიდებით მყოფ სელჩუკებს. დავით აღმაშენებლის მოლაშქრეებმა მოსრეს მტერი, “აღიღეს დედაწული მათი, ცხენები, ცხოვარი, აქლემები და ყოველი ნაქონები მათი”.

1117 წელს დავით აღმაშენებელმა აიღო ციხექალაქი გიში და შეიპყრო ასათ და შოთა გრიგოლისძენი. გიში წუქეთის საერისთავოს ცენტრი, ამასთან ფეოდალური საგვარეულოს – გიშელების, იგივე გრიგოლის ძეთა რეზიდენცია იყო. იმავე წელს დავით აღმაშენებელმა თავისი ძე დემეტრე შირვანს გაგზავნა “სპითა ძლიერითა” სალაშქროდ. დემეტრე დავითის ძემ, “ქმნნა ომნი საკჯრველნი, რომელთა განკჯრვნა მხილველნი და მსმენელნი”, აიღო ციხე ქალაბორი, ურიცხვი ტყვე წამოიყვანა და დიდძალი ალაფი წამოიღო. ასე ძლევამოსილი წარუდგა უფლისწული მეფეს.

1118 წელს, ადრე გაზაფხულზე, ბზობას, დავით აღმაშენებელმა ნახიდურს ზატიკი (სააღდგომო ზეიმი) გადაიხადა. აქ მას მოახსენეს თურქსელჩუკების მიერ ჯავახეთში ბეშქენ ჯაყელის მოკვლის შესახებ. მიუხედავად დიდებულთა წინააღმდეგობისა, დავით აღმაშენებელმა სასწრაფოდ გაილაშქრა და რახსის (არაქსის) პირას მდგომ სელჩუკებს დაესხა თავს. “მოსრა სიმრავლე მათი, და წამოიღო ტყუე და ალაფი ურიცხჳ”.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1118 წელს დავით აღმაშენებლის მიერ ციხექალაქ ლორის აღებას. ეს ქალაქი 1065 წლიდან კვირიკიანების დინასტიის მიერ შექმნილი ტაშირზორაკერტის სამეფოს ცენტრი გახდა. ლორე მდებარეობდა მაღალ სამკუთხა პლატოზე. ორი მხრით ხეობები იცავდა, მესამე მხრით – ციხესიმაგრეთა კედლების სისტემა. დავით აღმაშენებელმა ლორე თავისი მიმდებარე ტერიტორიით საქართველოს შემოუერთა და განსაკუთრებული სამხედრო მნიშვნელობის გამო ამირსპასალართა რეზიდენციად აქცია.

დავით აღმაშენებელმა 1118 წლის ივლისში ერთ დღეში აიღო აგარანი. “ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისა” მოგვაგონებს, რომ იმავე აგარანის აღებას დავითის პაპა ბაგრატი სამ თვეს მოუნდა.

პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად ზეაღმავალი საქართველოსათვის, რომლის საშინაო და საგარეო გეგმები სულ უფრო მზარდი და მრავლისმომცველი იყო, აუცილებელი იყო ლაშქრის გამრავლებისათვის ქმედითი, გონივრული ზრუნვა. სახელმწიფოსა

და მისი მეფის მიერ დასახული დიდი ამოცანების გადასაწყვეტად საკმარისი არ იყო ის ღონისძიებები, რომელიც დავით აღმაშენებელმა თავისი მეფობის პირველ ეტაპზე სამხედრო საქმის ორგანიზაციის მიზნით გაატარა. ლაშქრის სიმრავლე განსაკუთრებით საჭირო გახდა მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა ზედიზედ აიღო მრავალი ციხექალაქი. რა თქმა უნდა, გამუდმებულმა ბრძოლებმა ქართული ლაშქარი დაღალა და რიცხობრივად შეამცირა. ამასთან, მოპოვებული გამარჯვებების განმტკიცების მიზნით ლაშქრის ერთი ნაწილი "ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად" იქნა განწესებული.

ამოცანა მნიშვნელოვანი იყო – ლაშქარი ისე უნდა გამრავლებულიყო, რომ ქვეყნის ზეაღმავალი ეკონომიკის განვითარება არ შეფერხებულიყო, ე.ი. მატერიალური დოვლათის მწარმოებელი მასა არ უნდა მოწყვეტილიყო თავისი ძირითადი სამუშაოდან. საქართველოს სამეფო კარმა ლაშქრის გამრავლება არაქართული წარმოშობის მოლაშქრეთა ჩამოსახლების გზით გადაწყვიტა. ჯერი ყივჩაყებზე შეჩერდა.

ყივჩაყები კავკასიონის ჩრდილოეთით, მდ. დონიდან მოკიდებული კასპიის ზღვამდე ცხოვრობდნენ. ისინი განვითარების დაბალ საფეხურზე იყვნენ. ამასთან კარგი მოლაშქრენი, ნების დამყოლნი და უპრეტენზიონი იყვნენ. დავით აღმაშენებელს ცოლად ჰყავდა ყივჩაყთა მთავრის ათრაქა შარაღანის ძის ასული გურანდუხტი და კარგად "უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე, და წყობათა შინა სიმხნე, სისუბუქე და მიმოსვლა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასამჭირველობა და ყოვლითურთ მომზავებლობა ნებისა თჳსისა".

გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ ყივჩაყები კიევის დიდი მთავრის ვლადიმერ მონომახის მიერ გამოდევნილი იყვნენ რუსეთიდან.

არსებობს ცნობა იმის თაობაზე, რომ დავით აღმაშენებელმა ყივჩაყთა ჩამოსახლების საკითხი, მას შემდეგ რაც თვით ყივჩაყთაგან მიიღო თანხმობა, შეათანხმა ვლადიმერ მონომახთან. დავით აღმაშენებელი თავად გაემგზავრა ოსეთს გიორგი ჭყონდიდელმწიგნობართუხუცესთან ერთად. მას ოსეთის მეფემთავრები მიეგებნენ და "ვითარცა მონანი დადგნენ მის წინაშე". დავითმა დარიალის უღელტეხილი დაიკავა, მძევლები ჩამოართვა ოსებსა და ყივჩაყებს და ამგვარად შექმნა "გზა მშვიდობისა – ყივჩაყთათვის".

"გზა მშვიდობისა", რა თქმა უნდა, მხოლოდ ყივჩაყთა ლაშქრის გადმოსაყვანად არ სჭირდებოდა დავითს. ასეთი პირობა საჭირო იყო და აუცილებელი იმ მნიშვნელოვანი კულტურული ურთიერთობისათვის, როგორც საქართველოსა და სამხრეთ კავკასიისა თუ "ჩრდილოჲს" ქვეყნებს შორის არსებობდა იმ დროს. დავითის ეს საქმიანობა – დარიალის კარის ხელში აღება – იყო არა თავდაცვის აქტი ჩრდილოეთიდან მოწოლილ მომთაბარეთა შემოსევის წინააღმდეგ, არამედ ღონისძიება, რომელიც კავკასიის მთიანეთსა და ამიერკავკასიის ხალხებზე გავლენის გაზრდას ემსახურებოდა. ეს ერთი ტეხილი იყო დარიალის გზის ისტორიაში... გზის ეს მშენებლობა იმ დროის საქმეა, როცა საქართველოში (ეს ადგილი სულ ისტორიული საქართველოსი იყო) "კლდეკარებსა" და "გზაჭრილებს" აკეთებდნენ, როცა დარიალით კარებს კი არ კეტავდნენ, არამედ ფართოდ აღებდნენ.

ყივჩაყები გადმოყვანილი იქნენ საქართველოში. დავით აღმაშენებელმა, მისივე ისტორიკოსის ცნობით, “ყივჩაყნი დააყენა ადგილთა მათ მარჯუეთა დედაწულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი”. ე.ი. დავით აღმაშენებელმა საქართველოში გადმოიყვანა ყივჩაყთა ორმოცი ათასი ოჯახი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი არ ასახელებს ადგილს, რომელზეც ყივჩაყები დასახლდნენ, ისე კი ამბობს, “ადგილთა მათ მარჯუეთა” დააყენაო დავით აღმაშენებელმა. საფუძვლიანი უნდა იყოს ვარაუდი, რომ ყივჩაყების დასასახლებლად გამოყენებული იყო უმთავრესად ის ადგილები, რომლებიც ჯერ არაბთა, ხოლო შემდეგ თურქსელჩუკთა მძლავრობის დროს დაცარიელდა. ყივჩაყთა სწრაფი გაქრისტიანება და მათი შერწყმა ადგილობრივ (ქართულ) მოსახლეობასთან საქართველოს სამეფო კარის ინტერესებში იყო. დავით აღმაშენებელმა ყივჩაყები რაზმებად დაყო და დაუნიშნა სპასალარები, ამასთან უზრუნველჰყო ისინი საჭურვლითა და ცხენებით. ყივჩაყები მალე გაქრისტიანდნენ: “უმრავლესი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითიდღე, და სიმრავლე ურიცხვი შეეძინებოდეს ქრისტესა”.

ყივჩაყთა თითოეული ოჯახის ფეოდალური ვალდებულება იყო თითო მოლაშქრე მუდმივად მიეცა ქვეყნისათვის. ყივჩაყებს მიეცათ მიწა და უშუალოდ ჩაებნენ ფეოდალური საქართველოს ცხოვრებაში. მათი განსხვავება ქართველი გლეხისაგან სახელმწიფოსადმი ვალდებულებადამოკიდებულებაში უნდა გამოხატულიყო. სხვა მხრივ კი ყივჩაყი მოსახლეობა, როგორც ჩანს, თავისუფალი იყო.

ყივჩაყთა გადმოყვანისათვის ქმედითი ღონისძიების გატარება დავით აღმაშენებელმა 1118 წლის მეორე ნახევარში დაიწყო (ლორისა და აგარანის აღების შემდეგ) და უნდა ვიფიქროთ, რომ 1119 წელს მთლიანად მოაგვარა ეს საქმე (დაასრულა ყივჩაყთა ჩამოსახლება). იმავე 1119 წელს ჩაატარა ძირითადი საწვრთნელი სამუშაო (“ჟამიერად და წესიერად ალაშქრებდა მათ”).

ამგვარად, 1118 - 1119 წლებში ძირითადად გადაწყდა მუდმივი ლაშქრის შექმნის პრობლემა. ამ ლაშქრის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ ყივჩაყები. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით ისინი ორმოცი ათასი იყვნენ. მათ გარდა მუდმივ ლაშქარში, როგორც დასტურდება, ქართველებიც იყვნენ. ვახუშტი ბაგრატიონისა და იოანე ბატონიშვილის მტკიცებით, დავით აღმაშენებელს ჰყავდა სამოცი ათასიანი მუდმივი ლაშქარი. აქედან თუკი ორმოცი ათასი ყივჩაყი იყო, ბუნებრივია, დანარჩენი ოცი ათასი ქართველი იქნებოდა. ვახუშტი ამ ლაშქარს “მარადის მცველს” უწოდებს, იოანე ბატონიშვილი კი აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელს “ყოველთვის მზად ჰყვა როჭიკით სამოცი ათასი მხედარი კაცი”.

ნიშანდობლივია, რომ დავით აღმაშენებელმა მუდმივი ლაშქრის წევრებს წინანდელთან შედარებით განსხვავებული “პატივი” მიაგო (ვახუშტი ბაგრატიონი). როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელი ლაშქარს “როჭიკით” (კვება, ჯამაგირი) ინახავდა. მან აკრძალა ომების დროს წამოღებული ნადავლის მოლაშქრეთა შორის განაწილება (“არღარა განიყოფოდა საჭურჭლე სპათა ზედა”).

როგორც ირკვევა, დავით აღმაშენებელმა საგანგებო გადასახადიც შემოიღო – საყივჩაყო, რომელსაც შესაბამისი მოხელეები მესაყივჩაყეები კრებდნენ.

ყივჩაყი მოლაშქრეები დავით აღმაშენებლის შემდგომ პერიოდშიც გვხვდება საქართველოში, მაგრამ, განსხვავებით დავითის დროინდელი ყივჩაყებისაგან (რომლებიც მუდმივად ჩამოსახლდნენ საქართველოში, ფეოდალურ უღელში შეებნენ. ამასთან მუდმივი ლაშქრის მნიშვნელოვანი ბაზაც შექმნეს), შემდეგდროინდელნი, როგორც მართებულად მიუთითებდა ივ.ჯავახიშვილი, დაქირავებულნი არიან და არა მუდმივმოლაშქრენი. მართლაც ასეთებია გიორგი მესამის დროს "ყივჩაყთა რაოდენი ათასი კაცი უბრძანის, მოვიდიან" (ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე), თამარის დროს "ყივჩაყნი ახალნი" ("ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი") და ა.შ.

ყივჩაყების როლი მუდმივ ლაშქარში, რასაკვირველია, დიდია, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დავით აღმაშენებელს ისინი არასოდეს ჰყოლია ძირითად დასაყრდენ ძალად.

უპირველესად მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ დავით აღმაშენებელი ფეოდალი მეფე იყო და საერთოდ ყველა დიდგვაროვან ფეოდალს კი არ ებრძოდა, არამედ მხოლოდ თავის მოწინააღმდეგეებს (ასეთნი დიდებულთა შორის, ბუნებრივია, უმცირესობა იყო). ამასთან არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ რეაქციონერ დიდებულებთან (აბულეთისძეები, ბაღვაშები) და ქვეყნის შიგნით მყოფ თურქსელჩუკებთან ბრძოლა დავით აღმაშენებელმა ყივჩაყთა ჩამოსახლებამდე ბევრად უფრო ადრე დაამთავრა. 1118 - 1119 წლებში საქართველოს სამეფო კარის წინაშე სხვა, იმ დროისათვის უფრო არსებითი პრობლემები იდგა. საქართველოს სამეფო კარისა და მისი მეფის წარმატებები იმ ქმედითი ღონისძიებებით იყო განპირობებული, რომელიც XII საუკუნის დასაწყისში გატარდა.

* * *

თურქსელჩუკები როგორც კი მეფეს შორს დაიგულვებდნენ (მათი მსტოვრების მონაცემების მიხედვით), დასაზამთრებლად "ჩამოდგებოდნენ" ხოლმე. 1120 წლის თებერვალში დავით აღმაშენებელი ჯერ გეგუთში წავიდა, იქიდან კი ხუფათს გადავიდა. სელჩუკებმა "სცნეს რა სიშორე მისი ჩამოდგეს ბოტორას, დიდნი ფრიად, და დაიზამთრეს". მეფეს მხედველობიდან არ გამოჰპარვია მტრის მოქმედება, სწრაფად "გარდამოიფრინვა", თოთხმეტ თებერვალს დაესხა თავს და ერთიანად გაავლო მუსრი, თანაც ქართველებმა დიდძალი ტყვე და ალაფი იგდეს ხელთ.

შემდეგ დავით აღმაშენებელმა შირვანის ქალაქი ყაბალა აიღო, გამობრუნდა ქართლში, სწრაფად შეკრიბა ლაშქარი, ჩავიდა შირვანს, "მაისსა შჳდსა, არბია ლიჟათათ", ვიდრე ქურდევანამდე და ხიშტალანთამდე. 1120 წლის ნოემბერში დავით აღმაშენებლის ლაშქარმა "მოსრნა და იავარყვნა" თურქსელჩუკები აშორნიას და სევგელამეჯს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გადმოგვცემს რა სელჩუკთა ამ მწარე მარცხის შესახებ, აღნიშნავს, რომ დავითმა მტერს "არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა".

1121 წლის მარტში დავით აღმაშენებელი დაესხა ხუნანს და ისე გაანადგურა მტერი, რომ აღარავინ დარჩა “მთხრობი ამბისა”; იმავე წლის ივნისში ბარდავის საზამთრო საძოვრებზე დაბანაკებული სელჩუკები დაარბია.

საქართველოს სამეფო კარის მერ გატარებული ენერგიული ღონისძიებები და აქტიური ბრძოლის ტაქტიკა საქართველოს საბოლოოდ შემოსამტკიცებლად იყო გამიზნული (საქართველოს დედაქალაქი თბილისი ჯერ კიდევ არ იყო შემოერთებული). დავით აღმაშენებელმა შორს გარეკა თურქსელჩუკები და მათი გავლენა მახლობელ აღმოსავლეთზე საფუძვლიანად შეარყია.

“ესევითართა ჭირთაგან შეიწროებულნი თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განძელტფილელდმანელნი წარვიდეს, და ყოველსა სპარსეთსა შეიღებნეს შავად, რომელთამე პირნი, და რომელთამე ხელები, და რომელნიმე სრულიად; და ესრეთ მოუთხრეს ყოველნი ჭირნი, მოწევნულნი მათ ზედა, რომლითა აღძრნეს წყალობად თჳსა, და იქმნა გლოვა ფრიადი შორის მათსა” – გადმოგვცემს დავით აღმაშენებლის მემატიანე.

სომეხი ისტორიკოსი მატთეოს ურჰაეცი, აღნიშნავს რა 1121 წელს დავით აღმაშენებლის მიერ სელჩუკთა დიდი ლაშქრის დამარცხების ფაქტს, გადმოგვცემს, რომ ამ მარცხის შემდეგ “დარჩენილებმა თურქთა ჯარისაგან დიდი უბედურების გამო შემოიხიეს ტანისამოსი, მიწას იყრიდნენ თავში და შავად შემოსილნი თავდაუბურავნი ხმამაღლა მოთქვამდნენ, განძაკში თავიანთ სულთანთან მელიქ ტაფარის ძესთან ხმამაღლა ჩიოდნენ და ტიროდნენ თავიანთ დაღუპვას, ხოლო სხვებმა მიაღწიეს არაპკთა ოლქს კარმიანის ქვეყანაში, ამირა ხაზის არდუხის ძეს და დიდი ტირილით თავიანთი მომხდარი დაღუპვა უამბეს”. ამ უკანასკნელმა კი ბრძანა შეკრება დიდი ლაშქრისა და საქართველოზე გალაშქრება.

სხვა ისტორიული წყაროებიც ქართველთა მიერ მუსლიმანთა შევიწროებას ასახელებენ დიდგორის ბრძოლის გამომწვევ მიზეზად.

ასეთი საერთო საფუძვლის მიღმა დიდგორის ბრძოლას გააჩნდა უფრო კონკრეტული მიზეზები, რაც გამოხატული იყო დავით აღმაშენებლის პოლიტიკაში, მის დამოკიდებულებაში საქართველოს ქალაქებთან და კერძოდ თბილისთან.

სამეფო ხელისუფლება გარკვეულ პერიოდში თავისი ინტერესებისათვის იყენებდა ქალაქებს, ამ ახალ სოციალურეკონომიკურ ძალას – ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაპირისპირებულ დიდგვაროვან ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ქალაქები თავის მხრივ ხელს უწყობდნენ ერთიანი ხელისუფლების გაძლიერებას, ცდილობდნენ ფეოდალური დაქუცმაცებულობის მოსპობასა და ქვეყნის გაერთიანებას. თავის მოწინააღმდეგე ძალებზე გამარჯვება დავით აღმაშენებელმა, სხვა ღონისძიებებთან ერთად, ქალაქებთან კავშირის ბაზაზე განახორციელა.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დამოუკიდებელი საქალაქო თვითმმართველობის არსებობა საქართველოს ძლიერი ფეოდალური მონარქიის შიგნით დამოუკიდებელი ერთეულის ყოფნას ნიშნავდა. დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილ ძლიერ თვითმპყრობელურ ხელისუფლებას და ერთიან, ცენტრალიზებულ ძლიერ მონარქიას აღარ შეეძლო

დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების მოთმენა. ამიტომ საქართველოს სამეფო კარი, დავით აღმაშენებელი, იწყებენ ბრძოლას ერთ დროს თავის მოკავშირე ქალაქების წინააღმდეგ, მათი დამორჩილებისათვის.

ქალაქებისათვის ბრძოლა ეტაპებად წარმართა საქართველოს სამეფო კარმა. პირველი და მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი XII საუკუნის ოციანი წლების დასაწყისისათვის დასრულდა, როცა დავით აღმაშენებელმა თავის მორჩილებაში მოიყვანა ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები, როგორიცაა სამშვილდე, რუსთავი, ლორე, გიში და სხვ. მაგრამ საქართველოს უპირველესი ქალაქი თბილისი ჯერ კიდევ არ იყო შემოერთებული, ასევე დამოუკიდებლად იყო დმანისიც.

მიუხედავად დავით აღმაშენებლის განსაკუთრებულად ფრთხილი დამოკიდებულებისა თბილისისადმი, ქალაქის იმდროინდელმა ხელისუფლებამ – "უხუცესებმა" კარგად იგრძნეს დამოუკიდებლობის დაკარგვის რეალური საფრთხე და ყოველგვარად ცდილობდნენ თავიდან აეცდინათ იგი. ქალაქების დამორჩილების ახალი ეტაპი იყო დავით აღმაშენებლის მიერ ბრძოლის დაწყება თბილისისათვის, რაც პრაქტიკულად 1120 წლიდან ხდება (ამ დროიდან იწყება დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის შევიწროება). პირველი წარმატება თბილისის შემოერთების გზაზე იყო ის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ თბილისელებმა (საქალაქო თვითმმართველობამ) ათი ათასი დინარი ხარკი იკისრეს საქართველოს მეფის სასარგებლოდ და ამასთანავე შეთანხმდნენ, რომ ამიერიდან თბილისში უნდა ყოფილიყო მეფისნაცვალი ათი მხედრით. ყოველივე ეს იმის დასტური იყო, რომ თბილისი საქართველოს მეფის მფარველობას აღიარებდა. როგორც ჩანს, საქართველოს სამეფო ხელისუფლებასა და ქალაქებს შორის მდგომარეობა უკიდურესად მწვავდებოდა. "ქალაქთა კავშირის" ძალები არ იყო საკმარისი საქართველოს ძლიერი ლაშქრის გასამკლავებლად, ამიტომ ეს უკანასკნელნი დახმარების ხელს მეზობელი მუსლიმანური ქვეყნებისაკენ იწვდიან.

ამგვარად, საქართველოს ძლიერი სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ერთი მხრივ, საქართველოდან ფეხამოკვეთილი თურქსელჩუკები, ხოლო მეორე მხრივ, დამოუკიდებელი ქალაქები. ამ ვითარებამ განაპირობა არსებითად დიდგორის ბრძოლა.

თავი XVI. დიდგორის ბრძოლა

ძველი ისტორიკოსების (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, მატთეოს ურჰაეცი, ალფარიკი) მოწმობით, განდევნილმა თურქსელჩუკებმა და თბილისის, დმანისისა და განძის მმართველთა წარმომადგენლებმა მუსლიმ მფლობელებს შორის დაიწყეს დახმარების ძებნა. ისინი პირველ რიგში სპარსეთის სულთანთან მივიდნენ, ხოლო შემდეგ სხვა მუსლიმან მფლობელებსაც ეახლნენ. ალფარიკის მიხედვით, თბილისის მმართველობის წარმომადგენლებმა 1121 წელს თხოვნით მიმართეს მარდინისა და მაიაფარიკინის პატრონს ნეჯმადდინ ილღაზის, რათა მოსულიყო და ქალაქს დაპატრონებოდა. ილღაზის დიდძალი ლაშქარი შეუკრებია და თბილისისკენ წამოსულა. ამ დროისათვის თბილისში ქრისტიანული (ძირითადად ქართული, ნაწილობრივ სომხური) მოსახლეობის ძლიერი ფენა იყო. არც ის უნდა უგულვებელვყოთ, რომ თბილისში დიდი რაოდენობით უნდა ყოფილიყო ებრაული მოსახლეობაც. მუსლიმანურ

მოსახლეობას რომ მნიშვნელოვნად ჭარბობდა ქრისტიანული მოსახლეობა, იქიდანაც ჩანს, რომ დავით აღმაშენებელმა თბილისის შემოერთების უმალ სწორედ მოსახლეობის ამ ნაწილისაგან მოითხოვა არ შეევიწროებინათ მუსლიმანები. საერთოდ, ყველა ერის მოსახლეობას, რომელიც თბილისელად, ქალაქის მკვიდრად ითვლებოდა, ერთი ინტერესები ჰქონდა.

ასე რომ, დიდგორის ბრძოლის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზი იყო დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოდან თურქსელჩუკების განდევნა, დამოუკიდებელი ქალაქების დამორჩილებისათვის წარმატებული ბრძოლა და შექმნილი საგარეო ვითარება, რომელიც აიძულებდა მუსლიმანური სამყაროს მესვეურთ ძლიერი საქართველოს სახელმწიფოს სახით თავიანთი დიდი მტერი დაენახათ და ერთად შეკავშირებულთ სამკვდროსასიცოცხლო ომი გამოეცხადებინათ მისთვის.

დახმარების საძებნელად დაძრული თურქსელჩუკები და განძელთბილელდმანელნი პირველ რიგში სპარსეთის სულთანთან მივიდნენ, ხოლო შემდეგ სხვა მუსლიმან მფლობელებს მიმართეს. მუსლიმანთა გაერთიანებული ლაშქრის საქართველოზე თავდასხმის ორგანიზატორი და წამომწყები ჩანს ერაყის სელჩუკიანთა გამგებელი, სულთანი მაჰმუდ მუჰამედის ძე (11171131 წწ.). მაჰმუდ მუჰამედის ძე დაუყოვნებლივ გამოეხმაურა თბილისელთა თხოვნას. მან მიმართა მუსლიმანებს “ვინც კი სადმე იყო დამასკო და ალეპოდან მოკიდებული, ყველას, მოლაშქრეობის შემძლებელს” მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს წინააღმდეგ ომში.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის, სომეხი მატთეოს ურჰაეცის, არაბი ისტორიკოსების იბნ ალჯაუზისა და იბნ ალასირის ცნობათა შეჯერების შედეგად დგინდება კოალიციური ლაშქრის მეთაურები:

ნეჯმ ადდინ ილღაზი – ბაღდადის გამგებელი, ციხესიმაგრე მარდინის, მაიაფარიკინისა და ალეპოს მფლობელი.

დურბეიზ (დუბეის) სადაყას ძე – არაბეთის მეფე.

თოღრულ მოჰამედის ძე – ყაზვინის, ზენჯანის, გილანის, ახანისა და განძის გამგებელი. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სულთანიც ყოფილა.

თუღან არსლან კუზიანი – თურქი ამირა, ბითლისისა და არზანის პატრონი.

განძის ათაბაგი, რომელიც სულთნის ბრძანებით, “მისითა ძალითა” გამოსულა. როგორც მიიჩნევენ, იგი განძის იმ დროის მფლობელის თოღრულ მოჰამედის ძის ათაბაგი ქენთოღდი უნდა იყოს.

კოალოციური ლაშქრის შემადგენლობაში დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ასახელებს “ყოველთა სომხეთისა ამირათა”. ესენი არიან სომხეთის ტერიტორიის ცალკეული გამგებლები – ამირები, რომლებიც სულთნის ბრძანებით ლაშქრობენ საქართველოს წინააღმდეგ.

მუსლიმანთა კოალიციური ლაშქარი მრავალრიცხოვანი იყო. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ მტრის მოლაშქრენი “შეიმტკიცნეს სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღჳსა, რომლითა აღივსო ქუეყანა”.

კოალიციური ლაშქრის რაოდენობის შესახებ სხვადასხვა ავტორთა ციფრობრივი მონაცემები გაზვიადებული ჩანს. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ მტრის ლაშქარი დიდგორის ბრძოლისას 300 000 მეომრისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი.

რამდენი მოლაშქრე გამოიყვანა დავით აღმაშენებელმა? გოტიეს ცნობით დავით აღმაშენებელი 80 000 მხედრით გავიდა საბრძოლველად. ეს მონაცემიც გაზვიადებულია. უფრო დასაჯერებელია მატთეოს ურჰაეცის ცნობა, რომლის მიხედვითაც დავით აღმაშენებელს ბრძოლის ველზე გამოუყვანია 55 600 მოლაშქრე. აქედან – 40 000 ქართველი, 15 ათასი ყივჩაყი, 500 ალანი, 100 ევროპელი მეომარი. როგორც ვხედავთ, უმრავლესობა (ორ მესამედზე მეტი) ქართველია. შემთხვევითი არ არის, რომ გადამწყვეტ მომენტში ქართული ლაშქრის ძირითად ძალას ქართველები შეადგენდნენ. 500 ალანი დაქირავებული მოლაშქრე ანუ "როქის სპაა". ლაშქარში მყოფი "ფრანგნი" (ევროპელი რაინდები), როგორც ჩანს, ჯვაროსნული ომების დროს სხვადასხვა გზით საქართველოში მოხვედრილი ევროპელები იყვნენ.

1121 წლის 12 აგვისტო...

მტერი შემოვიდა "თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელიც თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა". თრიალეთისა და დიდგორის შერჩევა შეკრების ადგილად განპირობებული იყო იმით, რომ აქედან მტერი ადვილად წამოვიდოდა თბილისზე მცხეთის შემოვლით.

საქართველოს ჯარი დავით აღმაშენებელმა დიდგორს განალაგა. დიდგორსა და მანგლისისკენ მიმავალი გზა ნიჩბისის ხევს მიჰყვება. დავით აღმაშენებლის ლაშქარმა ორ მთას შუა დაიბანაკა.

დიდგორის მდებარეობის სტრატეგიულმა მნიშვნელობამ განაპირობა დავით აღმაშენებლის მიერ მისი ბრძოლის ადგილად შერჩევა.

ფრანგი გოტიე გადმოგვცემს, რომ დავით აღმაშენებელმა ბრძოლის დაწყების წინ მგზნებარე მოწოდებით მიმართა თავის ლაშქარს: "... მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთს რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდეც რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკარით და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტიოთ".

შეტევა ქართველ მოლაშქრეებს დაუწყიათ. არაბი ისტორიკოსი იბნალასირი მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის ლაშქრობის დაწყების შესახებ: "ორივე ლაშქარი საბრძოლველად მოემზადა. წინ გამოეყო ორასი ყივჩაყი მეომარი. მუსლიმებმა იფიქრეს დასანებებლად მოდიანო და არავითარი საწინააღმდეგო ზომები არ მიიღეს. წინა მებრძოლებმა ისრები დაუშინეს მუსლიმებს. მუსლიმთა რიგები შეირყა, დაბნეულობამ იჩინა თავი. შორსმყოფებმა ეს დაბნეულობაარეულობა რომ იხილეს, იფიქრეს უკანდახევა იწყებაო და თავადაც გაიქცნენ. ჯარი

უწესრიგოდ იხევდა უკან და ერთმანეთისთვის დიდი ვნება მოჰქონდათ. ბევრი ამ ჭყლეტვაში დაიღუპა. ქართველები დაედევნენ და ათი ფარსაგის (დაახლოებით 70 კილომეტრი, – რ.მ.) მანძილზე სდიეს. ხოცავდნენ და ტყვედ იგდებდნენ მტერს. უმრავლესობა დახოცეს. 4 ათასი კი ტყვედ ჩაიგდეს".

არაბი იბნ ალსირისა და ფრანგი გოტიეს ცნობები 200 მეომრის დაწინაურებისა და მათგან ბრძოლის დაწყების შესახებ ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა გოტიე ამ მეომრებს ფრანგებად (ჯვაროსნებად) მიიჩნევს, ხოლო იბნ ალსირი ყივჩაყებად.

დავით აღმაშენებელს, როგორც ჩანს, მართლაც გამოუყენებია ეს ტაქტიკური ხერხი. საქართველოს მეფის ამ ჩანაფიქრს ყურადღება მიაქციეს სამხედრო ხელოვნების ისტორიის მკვლევარებმა და ამგვარი ნაბიჯი ბრძოლისას იმ ეფექტურ ნაბიჯად მიიჩნიეს, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველთა წარმატებას თურქსელჩუკთა წინააღმდეგ.

დავით აღმაშენებლის მიერ ღრმად ჩაფიქრებული ეს დიდმნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაცია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ბრძოლის წარმართვისა და შედეგისათვის, ამასთან დიდ წვრთნასთან ერთად რისკსა და თავგანწირვასაც მოითხოვდა, ძნელად დასაჯერებელია ყივჩაყებისათვის ან ფრანგებისათვის (ჯვაროსნებისათვის) მიენდოთ.

როგორც დასტურდება, დავით აღმაშენებლის მიერ წარგზავნილმა ორასკაციანმა რაზმმა თავისი მისია შეასრულა: დააბნია მტერი და არევდარევა შეიტანა მის რიგებში. მაშინ საქართველოს ლაშქარმა მოწინააღმდეგეს ფლანგებიდან შეუტია. "მეფემან დავით უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა... წინა განაწყო სპა მისი, და... ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერად ყო". დავით აღმაშენებლის სარდლობით საქართველოს ლაშქარი დიდგორის ველს ნიჩბისის ხევიდან მიუახლოვდა. მთავარ ძალას მეფე ედგა სათავეში, ხოლო ლაშქრის ნაწილს მეფის მემკვიდრე დემეტრე დავითის ძე ხელმძღვანელობდა, რომელიც დიდგორის ერთერთი მთიდან დაეშვა და მთის ძირას დაბანაკებულ თურქსელჩუკთა ლაშქარს შეუტია. მატთეოს ურჰაეცი ხატოვნად გადმოგვცემს ბრძოლის მიმდინარეობას: "იქმნა სასტიკი ბრძოლა ორი მთის შორის, ისე რომ, ლაშქართა საშინელი ხმაურისაგან ეს მთები იძახოდნენო".

პირველი შებრძოლებისთანავე მტრის ბანაკი შეირყა, აიყარა და გაიქცა. ქართველი ისტორიკოსის ამ ცნობებს მატთეოს ურჰაეციც ადასტურებს. სომეხი ისტორიკოსი წერს, რომ "იმ დღეს იქნა სასტიკი და საშინელი ამოწყვეტა თურქთა ჯარებისა და აღივსნენ გვამებით მდინარენი და მთათა ხევები და ყოველნი მთათა ქარაფნი დაიფარნენ". თურქსელჩუკთა კოალიციური ლაშქრის მწარე მარცხს ვერც მუსლიმანი ისტორიკოსები ფარავენ. ალფარიკი აღნიშნავს, რომ "მოიკლა მუსლიმანთაგან უთვალავი რაოდენობა და დარბეული იქნენო". იბნ ალასირის ცნობით, "მაჰმადიანთა ლაშქრის უმეტესობა დაიღუპა ბრძოლის ველზე". ილღაზი, დაჰკარგა რა მთელი ლაშქარი, თავში დაჭრილი, უიარაღო და დამშეული დაბრუნდა შინ.

დიდგორის ბრძოლის აღმწერი ყველა ისტორიკოსი მიუთითებს იმ დიდ ზარალზე, რაც თურქსელჩუკთა კოალიციურმა ლაშქარმა განიცადა. დიდძალი ტყვე და ალაფი იგდეს ხელთ ქართველებმა.

ამგვარად, ქართველმა მოლაშქრეებმა, დავით აღმაშენებელმა, 1121 წლის 12 აგვისტოს მუსლიმურ კოალიციურ ჯარებთან გადამწყვეტ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ეს გამარჯვება ძალუმად ეხმაურებოდა კავკასიის ხალხთა ინტერესებს – მათ ერთობლივ ბრძოლას უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ. დიდგორთან გამარჯვებას ფართო მასშტაბის საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა. მემატიანეებმა ამ გამარჯვებას "ძლევაჲ საკვირველი" უწოდეს.

ჯაფარიანთა საგვარეულოს გადაშენების შემდეგ (უკანასკნელი ჯაფარიდი ამირა 1082 წელს გარდაიცვალა), ალფარიკის მიხედვით, ორმოცი წლის განმავლობაში თბილისში "ძალაუფლება მისი ხალხის ხელში იყო, და ყოველ თვეს განაგებდა ერთი მათგანი". თბილისის გამგებლობის "ხალხის ხელში გადასვლა" ქალაქის თვითმმართველობის ქალაქის დამოუკიდებლობაში გადაზრდას ნიშნავდა.

შუა საუკუნეების თბილისში საქალაქო თვითმმართველობის საბჭოსმაგვარი დაწესებულება ყოფილა, რომლის წევრებს მაშინ "ქალაქის ბერებს" ეძახდნენ.

არაბი ალფარიკის ცნობებზე დაყრდნობით, გამოითქვა მოსაზრება, რომ თბილისში არსებობდა დასავლეთ ევროპის ქალაქების კომუნისდაგვარი წყობილება, როცა ქალაქს მართავდა "ქალაქის საბჭო". ასეთი "საბჭოს" წევრნი უნდა ყოფილიყვნენ ის "ქალაქის ბერები", რომელთაც იხსენიებს მატიანე და, შესაძლებელია, საბჭოს სათავეში მდგომი პირები იყოს ხალხი, რომელთა შესახებ ალფარიკი ამბობს, "რიგრიგობით ეჭირათ თითო თვე ხელში ქალაქ თბილისის გამგებლობაო".

ქართული და უცხოური წყაროების განხილვაშეჯერების საფუძველზე ზუსტდება, რომ "ქალაქის მოხუცებულნი" ანუ "ქალაქის ბერნი" ქალაქის უხუცესებს, თავკაცებს, მამასახლისებს, საქალაქო საქმეთა გამგებელთ, "ქალაქის უფროსებს", საქალაქო საბჭოს წევრებს ეწოდებოდა.

"მატიანე ქართლისა" ნათლად გვიჩვენებს, რომ "ტფილელნი ბერნი" ქალაქის მოსახლეობის, მისი ზედაფენის გარკვეული ნაწილია, რომლებიც მეფეს ეახლნენ და თბილისის აღება სთხოვეს. საინტერესოა, რომ ბაგრატ მეოთხეს, რომელიც "წარემართა ტფილისად", წინ შეეგებნენ "ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმანი, ცხენოსანნი... და ყოველი ერი ქუეითი დაკაზმული..." ამ ცნობიდან სრულიად აშკარაა, რომ "ქალაქის ბერნი" პრივილეგირებული, მაღალი საქალაქო ფენების წარმომადგენლები არიან, ისინი "დარბაზის მოხელეებზე" ანუ "დარბაზის ყმებზე" მაღლა იდგნენ.

"ტფილელნი ბერნი" ("ქალაქის ბერნი") თავისი მნიშვნელობით შეესატყვისებოდა "თბილელ უხუცესთ" ("ქალაქის უხუცესთ") და ამ ტერმინით, როგორც ჩანს, შუა საუკუნეების თბილისის საქალაქო თვითმმართველობისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტი აღინიშნებოდა. გამოთქმულია ვარაუდი, რომ "ვეფხისტყაოსანში" დამოწმებული ტერმინი "ქალაქის კრებული" "ქალაქის ბერთა" საბჭოს აღმნიშვნელი უნდა იყოს.

დიდგორის ბრძოლის ძლევამოსილად გადახდის შემდგომ დავით აღმაშენებელმა თბილისს მიაშურა და "მეორესა წელსა აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელ

მონებული სპარსთა, და დაუმკვიდრა შვილთა თჳსთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ”. ეს მოხდა 1122 წელს (“ქორონიკონი იყო სამას ორმოცდაორი”).

როგორც ჩანს, თბილისის მცხოვრებლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს მეფეს და ეს უკანასკნელი იძულებული გახდა ცეცხლითა და მახვილით შესულიყო ქალაქში. დავით აღმაშენებელმა დიდი სიმკაცრე გამოიჩინა – ბევრი დახოცა, ხუთასი კაცი წვეტიან სარზე წამოასვა და წამებით მოკლა.

ქართველთა ტოლერანტობა.

დავით აღმაშენებელმა თბილისის შემოერთების შემდეგ დედაქალაქი კვლავ აქ გადმოიტანა. მას მუსლიმური მოსახლეობის, საერთოდ, სხვა ეროვნების ხალხისა და სხვა სარწმუნოების აღმსარებლების მიმართ შემწყნარებლური პოლიტიკა გაუტარებია.

უცხოელთა და სხვა სარწმუნოების მქონეთა უმეტესობა სომხები (გრიგორიანები), არაბები, სპარსელები და თურქები (მუსლიმანები) იყვნენ. XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლება თავის რელიგიურ პოლიტიკაში ატარებდა სარწმუნოებათა თავისუფლების – რჯულშემწყნარებლობის პრინციპს.

საქართველოში მაჰმადიანთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ფრიად საინტერესო ცნობა აქვს მოცემული ალფარიკს. მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა თბილისი საქართველოს შემოუერთა, მაშინვე გასცა ბრძანება მუსლიმთა რელიგიის ხელშეუხებლობის შესახებ. უფრო მეტიც, გარკვეული პრივილეგიები მიანიჭა მათ. ასე მაგალითად, ... ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მუსლიმები ცხოვრობდნენ, არავის ჰყოლოდა ღორი და არავის დაეკლა იგი მათ შორის, მან (დავით აღმაშენებელმა, – რ.მ.) მოჭრა მათთვის მონეტა (ფული) ხალიფასა და სულტანის სახელით: და მისცა მათ უფლება აზანისა (ლოცვაზე მოწოდებისა) და თავისუფლად ლოცვისა. დაუდო მათ პირობა აგრეთვე, რომ არც ქართველი, არც ებრაელი და არც სომეხი არ შევიდოდა ისმაილის (მუსლიმების) აბანოში, და რომ პარასკევ დღეს მინბარიდან ილოცავდნენ ხალიფასა და სულტნისათვის და არა მისთვის (დავით აღმაშენებლისთვის, – რ.მ.). იგი კეთილად ეპყრობოდა მუსლიმანებს, მათ სარწმუნოებას, მეცნიერებას, ხალხსა და სუფიებს (ალფარიკი).

მუსლიმთა უფლებები პრივილეგირებულ მდგომარეობაშია ეკონომიკურ და ფინანსურ დარგებშიც. დავით აღმაშენებელმა ისინი ერთი წლით გაათავისუფლა სხვადასხვა გადასახადებისაგან. სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ ყოველწლიურად გადასახადი თითოეული მუსლიმანისათვის სამ დინარს შეადგენდა, მაშინ როცა თვით ქართველები უფრო მეტს იხდიდნენ. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ამგვარი დამოკიდებულება მაჰმადიანი მოსახლეობისადმი დაცული იყო დავით აღმაშენებლის შემდგომ დემეტრე Iის (11251156 წწ.) დროსაც (ალფარიკი). ამდენად, მუსლიმანთათვის საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ მინიჭებული უფლებები სტაბილურ სამართლებრივ ხასიათს ატარებდა.

არაბი ისტორიკოსის იბნალჯაუზის ცნობით, დავით აღმაშენებელი თავის შვილთან დემეტრესთან ერთად პარასკევობით მეჩეთში დადიოდა, ლოცვას ესწრებოდა და წასვლისას

დიდძალ ფულს სწირავდა. მუჰამედ ალჰამავის დაცული აქვს ცნობა იმის შესახებ, რომ დავით აღმაშენებელი ისლამის დიდი მცოდნე იყო და განჯის ყადის ხშირად იმაზეც კი ეკამათებოდა, თუ ყურანი როგორ და საიდან წარმოსდგაო.

დავით აღმაშენებელი ყოველმხრივ უწყობდა ხელს საქართველოში მცხოვრებ სომხებს, რათა ამ უკანასკნელთ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ. შემთხვევითი არ იყო, რომ საქართველოს მეფემ ძველი ციხეგორი აღადგინა, დააარსა ქალაქი და შიგ სომხები ჩაასახლა, რომელთათვისაც პრივილეგირებული პირობები შეიქმნა.

უფლებრივად ქრისტიან მოსახლეობასთან იყვნენ გათანაბრებული ებრაელებიც.

ამგვარი რჯულშემწყნარებლობითი პრინციპები, რომელიც დავით აღმაშენებლის მეფობის დროიდან (XI საუკუნის მიწურული, XII საუკუნის პირველი მეოთხედი) დაინერგა, დამახასიათებელი იყო მთელი XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკისათვის. არაქრისტიანი მოსახლეობის მფარველობით გამოირჩეოდა დავით აღმაშენებლის მემკვიდრე დემეტრე პირველი. ალფარიკი გვარწმუნებს, რომ მან პირადად ნახა მეჩეთში დემეტრე I, რომელმაც ლოცვის მოსმენის შემდეგ 200 ოქროს დინარი შესწირა.

სახელმწიფოს სიძლიერისათვის სხვა კომპონენტებთან ერთად საჭირო იყო ცხოველი ვაჭრობის განვითარება. ამისთვის, ბუნებრივია, მძლავრი სავაჭრო ფენის არსებობის აუცილებლობა შეიქმნა. ვაჭრები საქართველოში ძირითადად სომხები, მუსლიმები და ებრაელები იყვნენ და, რა თქმა უნდა, მათი შეუწყნარებლობა სხვა რჯულზე ყოფნის გამო ქვეყნისათვის გაუმართლებლად უსარგებლო იქნებოდა. განვითარებული ვაჭრობა ქვეყნის ცენტრალიზაციის საქმეს ემსახურებოდა, და ვაჭართა ფენასთან სამეფო ხელისუფლების ცუდი დამოკიდებულება მეფის მოწინააღმდეგე ფეოდალთა წისქვილზე დაასხამდა წყალს. საქართველო მუსლიმანური ქვეყნების გარემოცვაში იმყოფებოდა და მისთვის სახელმწიფოს შიგნით მცხოვრები უცხო ქვეშევრდომების მხრიდან მხარდაჭერა აუცილებელი იყო.

შემთხვევითი არ იყო ის, რომ გზებზე საგანგებო სახლები აშენდა, სადაც უცხოელ ვაჭრებს უფასოდ შეეძლოთ ღამისთევა. ამის გარდა დავით აღმაშენებელმა ბევრი ხიდები ააგო "მდინარეთა სასტიკთა ზედა... გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვაფენილ ყვნა". ეს ყველაფერი შეუფერხებელი მიმოსვლისათვის კეთდებოდა. ითვალისწინებდა რა მუსლიმურ სამყაროსთან ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის საქმეს, საქართველოს სამეფო კარმა XII საუკუნის პირველ მეოთხედში არაბულწარწერიანი მონეტები მოჭრა, რომელთაც შეუფერხებელი გასავალი ექნებოდა აღმოსავლეთის სამყაროში.

შირვანისა და ანისის გათავისუფლება.

1123 წელს თურქთა სულთანმა მაჰმუდმა შირვანზე ილაშქრა და ქ. შამახია აიღო, შირვანშაჰი შეიპყრო და ელჩის ხელით დავით აღმაშენებელს შეურაცხმყოფელი წერილი გამოუგზავნა. შირვანი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა იყო. მას დაცვა ესაჭიროებოდა, კადნიერ სულთანს კი სათანადო პასუხის გაცემა. დავით აღმაშენებელმა სასწრაფოდ შეკრიბა ორმოცდაათი ათასი მოლაშქრე და საბრძოლველად მოემზადა. შეშინებული სულთანი აიყარა და "ფრიად რამე

სიმდაბლით და არა სულტნურად” ითხოვა “გზა სამლტოლვარო”. სულტნის დასახმარებლად მოსული რანის ათაბაგი აღსუნღული მოადგა შამახიას და ბრძოლა გაუმართა ქართველებს, მაგრამ სასტიკად დამარცხდა.

1124 წლის მარტში დავით აღმაშენებელმა დმანისი აიღო. 1124 წლის აპრილში ქართულმა ლაშქარმა დაიკავა შირვანის ციხეები ღასანნი და ხოზოანდი და “მიმდგომი მათი ქვეყანა”, იმავე წლის მაისში სომხითის ციხეები: გაგნი, ტერონაკალი, ქავაზინნი, ნორმედი, მანასგომნი და ტალინჯაქარი.

საქართველოს ძლიერი სამეფო დიდგორის ბრძოლისა და შემდგომ მოპოვებული წარმატებების წყალობით, იწყებს ბრძოლას სომხეთის ყოფილი ტერიტორიების თურქსელჩუკებისაგან გასათავისუფლებლად. 1124 წლის აგვისტოში დავით აღმაშენებელს ეახლნენ “მწიგნობარნი ანელთა თავადთანი” და სთხოვეს ანისის დაკავება. საქართველოს მეფე ოციათასიანი ლაშქრით ძლევამოსილად შევიდა ანისში, სამოცი წელი ტყვეობაში მყოფი ქალაქი გაათავისუფლა და თავის სამეფოს შემოუერთა. დავითმა ანისის მისგითად ქცეული ტაძარი გაათავისუფლა და ტაძრის ამშენებელი ბერძენთა დედოფლის საფლავს (აქ იყო დედოფალი დაკრძალული) სამჯერ ჩასძახა: “გიხაროდენ შენ წმიდაო დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა ხელისაგან”.

სომხეთის საკითხის მოგვარების შემდეგ, დავით აღმაშენებელი შირვანს მიუბრუნდა. 1124 წლის შემოდგომაზე ილაშქრა შირვანზე, “აღიღო ქალაქი შამახია და ციხე ბირიტი, სრულად ყოველი შირვანი”.

საქართველოს სამეფოს პოლიტიკური საზღვრები გაფართოვდა – ნიკოფსიიდან (ადგილი თანამედროვე სოჭსა და ტუაფსეს შორის) დარუბანდის ზღვამდე და ოსეთიდან არეგაწამდე (სამხრეთი სომხეთი). განუზომლად გაიზარდა საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღტაცებით აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელმა “სულტანი დასვა მოხარკედ თვისა, ხოლო მეფე ბერძენთა ვითარცა სახლეული თჳსნი; დასცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროზნი, მრწემად მოიყვანნა მეფენი, ხოლო მონად ხელმწიფენი; მეოტად წარიქცივნა არაბნი, იავარად ისმაიტელნი, მტუერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი”.

ეკონომიკური მდგომარეობა.

დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულმა მრავალმხრივმა ღონისძიებებმა განაპირობა წარმატებები ქვეყნის ეკონომიკური მომძლავრების საქმეში. განვითარების მაღალ დონეს მიაღწია სოფლის მეურნეობამ და ხელოსნობავაჭრობამ.

სოფლის მეურნეობა. XI - XII სს.ში შეიმჩნევა სასოფლოსამეურნეო ტექნიკის პროგრესი, რაც თავის მხრივ სხვადასხვა დარგების განვითარებას განაპირობებდა. წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდა მემინდვრეობასა (მარცვლეული კულტურების მოყვანა) და მევენახეობას. დაწინაურებული იყო მეხილეობამებაღეობაც.

სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით დგინდება, რომ საქართველოში ითესებოდა: იფქლი, დიკა, ქრთილი, ქერი, ფეტვი, ცერცვი, ოსპი და სხვ. ამავე პერიოდში სავარაუდებელია "დოლის პურის" ჯიშის ხორბლის არსებობა.

ფართოდ იყო გავრცელებული სამრეწველო დანიშნულების მქონე ტექნიკური მცენარეები: სელი, კანაფი და სხვ. სელის კულტურა ძველთაგანვე იყო განვითარებული და შემდეგშიც ფეოდალური საქართველოს მეურნეობამრეწველობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა. იგი თაფლთან და ცვილთან ერთად, რასაც დიდი რაოდენობით იძლეოდა განვითარებული მეფუტკრეობა, ცხოველი აღებმიცემობისა და საგარეო ვაჭრობის საგანი იყო. ვარაუდობენ, რომ აღნიშნული პერიოდის საქართველოში მოჰყავდათ ბამბა და ბრინჯი.

ძველთაგანვე განვითარებული დარგი იყო მევენახეობა. XII საუკუნეში იგი ახალ აღმავლობას განიცდის. არ არის შემთხვევითი, რომ XI - XII საუკუნეების ქართულ მხატვრობასა და ქანდაკებაში ხშირია ყურძნის მტევნისა და ვაზის ფოთლის გამოსახულებები. სავარაუდებელია, რომ იმ დროის საქართველოში ღვინოსაც დიდი რაოდენობით აწარმოებდნენ და იგი ექსპორტის საგანიც იყო.

საგულისხმოა, რომ ღვინო და ხილი მრავალგზის იხსენიება "ვეფხისტყაოსანში". დიდი ადგილი ეკავა განვითარებულ მებაღეობამებოსტნეობას, რაზედაც ისტორიული წყაროები საგანგებოდ მიუთითებენ.

მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მაღალგანვითარებულ მეცხოველეობას. ეს დარგი უპირატესად მთიან რაიონებში იყო გავრცელებული. განვითარებული იყო როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა მესაქონლეობა. საქონლის ჯოგი ფეოდალის მეურნეობის ორგანულ ნაწილს შეადგენდა. საქართველო განსაკუთრებით განთქმული იყო საუკეთესო ჯიშის ცხენებით, რომლებიც ექსპორტის საგანს შეადგენდნენ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მისდევდნენ მეაბრეშუმეობას. აბრეშუმი ექსპორტის საგანიც იყო.

საქალაქო ცხოვრება. XII საუკუნის პირველ მეოთხედში განვითარების ახალ საფეხურზე ადის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება. საქართველოს ეკონომიკაში წამყვანი ადგილი თბილისსა და ქუთაისს ეჭირა. დავით აღმაშენებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქალაქების მშენებლობასა და მოქალაქეთათვის (ხელოსნები, ვაჭრები) ხელსაყრელი პირობების შექმნას. გზების პირას ქარვასლები და თავშესაფრები ააგო, სადაც უცხოელ ვაჭრებს უფასოდ შეეძლოთ ღამის გათევა. დავით აღმაშენებლის დროს გორის ციხე და მასთან მიმდებარე დაბა ქალაქად იქცა. ამ პერიოდში აღორძინდა ქალაქი ჟინვანი.

დავით აღმაშენებლის დროს დაწინაურებული ჩანს ქალაქები: აღმოსავლეთ საქართველოში – თბილისი, რუსთავი, ატენი, გორი, უფლისციხე, ჟინვანი, სურამი, ალი, ზოვრეთი, დმანისი, არტანუჯი, ახალქალაქი, ახალციხე, ბარალეთი, თმოგვი, ოლთისი, სამშვილდე, ოძრხე, ხუნანი, არტაანი, თუხარისი, თელავი, ხორნაბუჯი; დასავლეთ საქართველოში – ქუთაისი, ვარდციხე, შორაპანი, პეტრა, ბათომი, ფოთი, ცხუმი, ბიჭვინთა, ნიკოფსი.

ქალაქები ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრებს წარმოადგენდნენ. დავით აღმაშენებლის დროის ქალაქების აღმავლობა განაპირობა განვითარებულმა ხელოსნობავაჭრობამ, სატრანზიტო გზებთან სიახლოვემ და სავაჭრო კავშირურთიერთობამ (ექსპორტიმპორტმა). დაწინაურებული ჩანს მეთუნემეკეცეობა, მეჭურჭლეობა, მეავეჯეობა, ოქრომჭედლობა.

ქართველ ვაჭარ ხელოსანთა გვერდით ბევრი მუსლიმანი იყო. ხელოსანთა უმეტესი ნაწილი არათავისუფალი იყო. ისინი ბატონყმობის უღელში იყვნენ შებმულნი და საქონელს მთლიანად ბაზრისთვის კი არ აწარმოებდნენ, არამედ "საფასის გარეშე" მუშაობდნენ თავიანთი "პატრონებისათვის". ცალცალკე იყვნენ "შეწირული ხელოსნები", "ყმა ხელოსნები" და "მსახური ხელოსნები".

"შეწირული ხელოსნები" ეკლესიამონასტრებს ყავდათ. "ყმა ხელოსნები" თავიანთ "პატრონებზე" იყვნენ მიჯაჭვული და მათი ნებასურვილის მიხედვით საქმიანობდნენ. "მსახური ხელოსნები" სამუშაოს შესრულებისათვის სასყიდელს ან სხვა გასამრჯელოს იღებდნენ.

საქართველოს ქალაქების ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავათ ვაჭრებს. ისინი ხელოსნურ ნაწარმს ასაღებდნენ. ეს ვაჭრები საქალაქო ცხოვრების არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში იღებდნენ მონაწილეობას.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სამეფო ხელისუფლება სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის, სხვადასხვა დარგის განვითარების, საქალაქო ცხოვრების (ხელოსნობავაჭრობის) აღორძინების ხელშეწყობის შედეგად ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას აღწევდა.

საფინანსო ღონისძიებები.

დავით აღმაშენებელმა მნიშვნელოვანი ფინანსური ღონისძიებებიც გაატარა.

როცა არაბთა ბატონობა საბოლოოდ შესუსტდა (X საუკუნის დამლევი), საქართველომ გარკვეული ურთიერთობა დაამყარა ბიზანტიასთან. ამან თავისი ასახვა ჰპოვა ქართული მონეტის გარეგნობაში. მონეტაზე გაქრა მუსლიმური ნიშნები და მისი ადგილი დაიკავა ქრისტიანულმა ემბლემამ – ჯვარმა ან კიდევ ღვთისმშობლის გამოსახულებამ. ძირითადი წარწერები ქართულია და შეიცავს არა მარტო მეფეთა სახელებს, არამედ მათ ბიზანტიურ ტიტულებსაც. ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ იმდროინდელი მონეტა მხოლოდ ვერცხლისაა. ასეთებია მაგალითად: დავით კურაპალატის, ბაგრატ მეოთხის, გიორგი მეორის, დავით აღმაშენებლის მონეტები.

დავით აღმაშენებელმა გააგრძელა ვლაქერნის გამოსახულებიანი მონეტების მოჭრა და მანვე დაუსვა წერტილი ამ ტიპის ფულის შემდგომ წარმოებას. ბაგრატ მეოთხისა და გიორგი მეორის მონეტებთან შედარებით ვლაქერნის გამოსახულება აქ გაუხეშებულია: დავით აღმაშენებლის მონეტის წონამ დავით კურაპალატის მონეტის წონასთან შედარებით ერთიხუთად იკლო. წონის დაკლება თანდათანობით ხდებოდა და სხვადასხვა მიზეზით იყო გამოწვეული.

აღსანიშნავია, რომ მონეტების გაუარესება მხოლოდ საქართველოსათვის არაა დამახასიათებელი, – მსგავს პროცესებს ადგილი ჰქონდა ახლო აღმოსავლეთის თითქმის ყველა

ქვეყანაში, რაც სპეციალისტების აზრით, აღმოსავლურ ქვეყნებში იმ დროს გავრცელებული “ვერცხლის კრიზისის" შედეგია.

იმდროინდელი წერილობითი წყაროები ქართული ფულის ზომისა და წონის თანდათანობით შემცირების მიზეზების შესახებ ცნობებს არ იძლევიან. “ვერცხლის კრიზისს” შეიძლება გამოეწვია ჩვენში მონეტების წონის შემცირება, მაგრამ ეს არ უნდა იყოს არსებითი და ძირითადი იმიტომ, რომ საქართველო XII საუკუნის პირველ მეოთხედში ეკონომიკურად მოძლიერებული ქვეყანაა და ხაზინაც მდიდარი აქვს. თანაც, მონეტათა შემცირება რომ მხოლოდ “ვერცხლის კრიზისის” ბრალი იყოს, ვლაქერნის გამოსახულების კარგად ამოკვეთას რაღა დაუდგებოდა წინ.

ეკონომიკურად დაწინაურებულ საქართველოში ფულის კურსი თანდათან მტკიცდებოდა. ფულის კურსის სიმტკიცე მის სამონეტო ფუნქციას დამოუკიდებელს ხდიდა მისი წონისაგან, ე.ი. უფრო ნაკლები წონის მქონე ვერცხლის მონეტას შეიძლებოდა წინანდელი ფუნქცია შეესრულებინა.

ცნობილია დავით აღმაშენებლის მიერ მოჭრილი ახალი ტიპის მონეტა (იგი 1949 წელს, გ.ჩუბინაშვილმა სვანეთში მოიპოვა და ჩამოიტანა), რომელსაც ადრე გიორგი მეორეს მიაკუთვნებდნენ, მაგრამ შემდგომი კვლევის შედეგად შეჯამდა ზედწერილების ნაწყვეტები და ეს ზედწერილი შემდეგნაირად აღდგა: “ქრისტე, ადიდე დავით აფხაზთა მეფე და სევასტოსი”. ეს მონეტა ტიპოლოგიურად არ განსხვავდება ბაგრატ მეოთხისა და გიორგი მეორის მიერ მოჭრილი ფულისაგან. აქედან დასკვნა: დავით აღმაშენებელი თავისი ფინანსური მოღვაწეობის პირველ ეტაპზე იმავე სქემის მიხედვით სჭრიდა ფულს, როგორითაც ბაგრატ მეოთხე და გიორგი მეორე, შემდგომში კი მან მონეტის ტიპი შეცვალა.

XII საუკუნის პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერი საქართველოსათვის დამახასიათებელია ნუმიზმატიკის “სპილენძის ხანა”. სპილენძის მონეტებს იძულებითი ვერცხლის კურსი ჰქონია. ეს მონეტები საკრედიტო ფულის ფუნქციას ასრულებდა.

სპილენძის მონეტები, რომლებიც საქართველოდან გადიოდა, ალბათ ოქროსა და ვერცხლის ფუნქციას ასრულებდა. ამნაირი საკრედიტო მონეტების არსებობაზე იმდროინდელი არაბი მოგზაური ალფარიკიც იტყობინება. ამასთან დაკავშირებით, მეტად საინტერესოა გვირგვინოსანი მხედრის გამოსახულებიანი სპილენძის მონეტა, რომელსაც ასეთი არაბული წარწერა აქვს: “მეფე მეფეთა დავით, ძე გიორგისი, მახვილი მესიისა”.

როგორც ჩანს, XI - XII საუკუნეების მიჯნისათვის საქართველოში სამონეტო ტიპის შეცვლის პირობები შეიქმნა. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ვლაქერნის ღვთისმშობლის გამოსახულებიანი მონეტის ტიპი ერთგვარ ცვლილებას განიცდის სწორედ ამ დროს, ხოლო XII საუკუნის პირველ მეოთხედში ეს სამონეტო ტიპი ძირფესვიანად იცვლება (ფაქტურა, წარწერების შინაარსი). არაბი ისტორიკოსი ალფარიკი ხაზგასმით მიუთითებს, რომ სამონეტო საქმეში ცვლილება სწორედ დავით აღმაშენებელს შეუტანია. იგი აღწერს დავითის მიერ ახლად მოჭრილ ფულს, რაც ნათლად ადასტურებს, რომ მუსლიმანური ტიპის არაბულ ზედწერილიანი მონეტის მომჭრელი დავით აღმაშენებელი ყოფილა.

ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში ინახება დავით აღმაშენებლის მოჭრილი მონეტა, რომლის შუბლზე დავით აღმაშენებლის გამოსახულებაა მოთავსებული. მეფე წვერებიანია, მას ხელთ უპყრია სფერო. გამოსახულების მარცხენა მხარეს მოთავსებულია ასომთავრული წარწერა “ლს” (დთ – დავით), ხოლო მარჯვნივ “მეფე” (მეფე). მონეტის ზურგის ცენტრში ჯვარია მოთავსებული ჩარჩოში. ირგვლივ ასომთავრული წარწერაა (ქარაგმით): “ქრისტე, დავით მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა”. მონეტა შეიცავს დავით აღმაშენებლის პორტრეტსა და მის სრულ სამეფო ტიტულს, რომელიც ეხმოვანება XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს პოლიტიკურ ძლიერებას.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს სამეფო კარმა გაატარა მნიშვნელოვანი ფინანსური ღონისძიებები, რაც შემდეგში გამოიხატა:

1. შეიცვალა მონეტის ტიპი.

2. მონეტის ტიპის არსებით ცვლილებასთან ერთად განმტკიცდა ფულის კურსი.

* * *

დავით აღმაშენებელმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სამართლის საკითხებს. მის სახელთანაა დაკავშირებული “საჯო კარის” გარდაქმნა, რომელიც მუდმივმოქმედ სასამართლოს წარმოადგენდა. ახალი სამართლებრივი სისტემა მოსახერხებელი და ადვილად მისადგომი გახდა მოსახლეობის ფართო ფენებისათვის.

თავი XVII. საგარეო პოლიტიკა

დავით აღმაშენებლის საგარეოპოლიტიკურ თვალსაწიერში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჩრდილოეთის ქვეყნებსა და ხალხებს.

ქართული ნარატიული წყაროების უძველესი ცნობები რუსვარანგებისა და ქართველების კონტაქტის შესახებ XI საუკუნეს განეკუთვნება (სუმბატ დავითის ძის თხზულება “ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა” და უცნობი ავტორის “მატიანე ქართლისა”). საგულისხმოა, რომ რუსქართველთა შეხვედრის ერთ ფაქტს აღწერს სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ტარონაცი (ასოლიკი). ზემოხსენებული ცნობები XI საუკუნისაა, მაგრამ სავარაუდოა, რომ ქართველთათვის ცნება “რუსი”, ისე როგორც რუსი ხალხი, ადრეც არ ყოფილა უცნობი. თუნდაც ის ფაქტი, რომ სუმბატ დავითის ძე “რუსს” ყოველგვარი კომენტარის გარეშე იხსენიებს, დასტურია იმისა, რომ ეს ცნება XI საუკუნემდეც არ იყო უცხო ქართველთათვის. “რუსის” ბადალი ტერმინებია ქართულ მატიანეებსა და საბუთებში მოხსენიებული “ვარანგი” (ვარიაგი) და “სკვითი”. ქართული წყაროები იცნობენ ტერმინ “სკლავ”საც (სლავი). ეს ტერმინი ზოგ შემთხვევაში “ბორღალთან” (ბულგარელი) არის გაიგივებული.

ქართველთა და ვარანგთა ურთიერთობის შესახებ მეტად საინტერესო ცნობაა დაცული “მატიანე ქართლისა”ში. თხზულებაში იქ, სადაც ლაპარაკია საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხესა და კლდეკარის ერისთავს ლიპარიტ ბაღვაშს შორის ურთიერთობის გამწვავების შესახებ აღნიშნულია, რომ მათ ბრძოლაში მონაწილეობდა სამი ათასი “ვარანგი” (ვარიაგები).

ამ კონკრეტულ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, თუ ვის მხარეზე იბრძოდნენ ვარანგნი. ჩვენი დაკვირვებით, ვარანგნი სწორედ საქართველოს მეფეს უმაგრებდნენ მხარს. ასე ესმოდა ეს ფაქტი ვახუშტი ბაგრატიონსაც, რომელიც აღნიშნავდა: “ხოლო ბაგრატს მოერთნენ სამი ათასი ვარანგნი; მოიყვანა მეფემან შვიდასი მათგანი და შიდა ქართველნი...” და ა.შ. ნიშანდობლივია, რომ ვარანგები შავი ზღვითა და მდინარე რიონით მოვიდნენ ბაშამდე (როგორც ჩანს, ბაში მნიშვნელოვანი პუნქტი იყო რიონის სანაოსნო მაგისტრალზე), რომელიც მეფესა და მის ადმინისტრაციას ემორჩილებოდა (ბაგრატ მეოთხის სატახტო რეზიდენციაც დასავლეთ საქართველოში – ქუთაისში იყო).

ამგვარად, “მატიანე ქართლისა” ნათელყოფს, რომ უკვე XI საუკუნის შუა წლებში ქართველებსა და ვარანგებს არა მხოლოდ შორეული ნაცნობობა, არამედ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ.

“რუსი” ბერძნულიდან ქართულ ენაზე გადმოღებულ არაერთ ნაწარმოებში გვხვდება. პავლე ალეპოელის ცნობით, დავით აღმაშენებლისათვის დახმარება აღმოუჩენიათ რუსეთში, დამხმარე ძალა მიუციათ, რომელთა საშუალებითაც მტერი უნდა განედევნათ. ამ ძალაში ყივჩაყები უნდა იგულისხმებოდეს. რუსი მემატიანეები ვლადიმერ მონომახს მიაწერენ ყივჩაყების განდევნას “რკინის კარებს” იქით საქართველოში, და არა საქართველოს მეფეს, რომელმაც ეს ღონისძიება უშუალოდ გაატარა. რუსი მემატიანის კატეგორიულ ცნობაში ჩვენ უნდა დავინახოთ ის ფაქტი, რომ კიევის დიდმა მთავარმა მართლაც მიიღო მონაწილეობა ყივჩაყთა გადმოსახლებაში. ეს “მონაწილეობა” თავის მხრივ დავით აღმაშენებელსა და ვლადიმერ მონომახს შორის მოლაპარაკებას უნდა გულისხმობდეს.

საყურადღებოა XII - XIII საუკუნეების ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა მახლობელი აღმოსავლეთის სულთნებთან მიმოწერაში დაცული ქართველ მეფეთა ტიტულატურები, რომლითაც მათ მუსლიმანი მფლობელები მოიხსენიებენ. აი ზოგიერთი მათგანი. “აბხაზის პატრონად” არის სახელდებული მეფე დავითი: “...ქრისტეს მოწაფეთა გვირგვინისა; ტახტთა და გვირგვინთა მემკვიდრეობით მპყრობელისა; აღმოსავლეთისა და დასავლეთის სტეფანოსისა, ქრისტეს სარწმუნოების მცველისა; აბხაზის, შაქის, ალანისა და რუსის მეფეთამეფისა” და ა.შ. სხვა წერილში ვკითხულობთ: “... აბხაზთა მეფეთამეფეს; რუმისა და რუსის მარზბანის; ქრისტეს სარწმუნოების შემწის (დღეგრძელიმც ჰყოს ალლაჰმა მეუფება მისი და მარადი ჰყოს სამეფო მისი)...”; ან კიდევ: “... ქვეყანათა მფარველი, გურჯის, აბხაზის, ალანის, შაქისა და ხაზარის მეფეთა მეფე...”. პირველ ორ შემთხვევაში “აბხაზი” ნიშნავს სრულიად (აღმოსავლეთ და დასავლეთ) საქართველოს. ეს აღმოსავლეთის სხვა ავტორებთანაც კარგად ჩანს. მაგალითად, ხაყანი შარვანი (XII ს.) გვამცნობს, რომ “აბხაზს მოსახლე გავხდი და ქართულად მოლაპარაკე”. მესამე წერილში აბხაზი და გურჯი ერთადაა ნახსენები. ე.ი. აბხაზი არ არის ნახმარი სრულიად საქართველოს მნიშვნელობით (სავარაუდებელია იგი დასავლეთ

საქართველოს გულისხმობდეს). საინტერესოა წერილების ადრესატის “რუსის მეფეთმეფედ”, ან “რუსის მარზბანად”, ან კიდევ “ხაზარის მეფეთამეფედ” მოხსენიება. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, აქ “ხაზარი” ჩანს “რუსის” ბადალი. ამის დადგენა ქართული წყაროებითაც შეიძლება. ხაზარეთის ყოფილი ტერიტორია თამარის პირველი ისტორიკოსის (“ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი”) მიერ რუსეთად არის მიჩნეული. “ქართლის ცხოვრების” სხვადასხვა ნუსხებში (დადიანისეული, მაჩაბლისეული, ფალავანდიშვილისეული და სხვ.), იქ სადაც ხაზარეთზეა ლაპარაკი, არშიაზე წერია: “ხაზარეთი რუსეთიაო”.

როგორც ცნობილია, რუსი არა მარტო თანამედროვე რუსეთის ჩრდილო ნაწილს ეწოდებოდა, არამედ იმიერკავკასიაში დაფუძნებულ გარკვეულ ერთეულსაც (რუსთა ერთ გარკვეულ შტოს) აღნიშნავდა და ამავე მნიშვნელობით იყო ნახმარი ეს ტერმინი ქართველი ადრესატებისადმი გამოგზავნილ წერილებში. ეს რუსი მოწყვეტილი იყო პირვანდელ საცხოვრისს და ჩრდილოეთიდან ემეზობლებოდა საქართველოს. როგორც ჩანს, ეს ერთეული ბაგრატიონთა სამეფო სახლის გავლენის ქვეშ მოქცეულია XII საუკუნეში.

დავით აღმაშენებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან, განსაკუთრებით ოსებთან და ყივჩაყებთან ურთიერთობას. ოსები (ალანები) გამოირჩეოდნენ სხვა ჩრდილოკავკასიელი ეთნიკური ელემენტებისაგან თავისი სოციალურეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონით. ალანთა სამეფოს (“მულქ ალალანი”) მნიშვნელოვანი ტერიტორია ეკავა კავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში.

მეგობრული და კეთილი იყო ქართველსომეხთა ურთიერთობა. სომხური ტერიტორიები დავით აღმაშენებლის დროიდან მოკიდებული საქართველოს უშუალო შემადგენლობაში შედიოდა. (ეს დამოკიდებულება თემურლენგის შემოსევამდე გაგრძელდა).

* * *

საქართველოს სამეფო კარი დიდ ყურადღებას უთმობდა შირვანთან ურთიერთობის საკითხს. მას შემდეგ რაც კახეთჰერეთი შემოერთებული იქნა, შირვანი საქართველოს უშუალო მეზობელი გახდა და შირვანშაჰთან ურთიერთდამოკიდებულებას უფრო დიდი მნიშვნელობა მიეცა. გარკვეული პოლიტიკური შინაარსი იყო ჩადებული 1116 წელს დავით აღმაშენებლის ასულის თამარის და შირვანშაჰის მემკვიდრის ქორწინებაში.

როგორც ჩანს, ქორწინების აქტმა დავით აღმაშენებლის მოლოდინი არ გაამართლა. მან რამდენიმეჯერ დალაშქრა ეს ქვეყანა. შირვანის ციხექალაქებში საქართველოს მეფის გარნიზონები ჩადგნენ, საქმეთა გამგებლად კი ვაზირი სვიმეონი – ჭყონდიდელმწიგნობართუხუცესი და ბედიელალავერდელი დაინიშნა. აქედან მოკიდებული შირვანი იყო ფეოდალური საქართველოს შემადგენლობაში. სწორედ ამ დროიდან (XII საუკუნის ოციანი წლები) ატარებდნენ ქართველი მეფეები “შირვანშაჰის” ტიტულს.

ურთიერთობა ჯვაროსნებთან. ნიშანდობლივია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვები: “ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს”. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, როგორიც თურქსელჩუკებისათვის ხარკის შეწყვეტა და ქვეყნის მოშენებაგაძლიერება იყო, იერუსალიმისა და ანტიოქიის აღებას უკავშირებს.

ჯვაროსანთა გამოჩენამ, მათმა წარმატებებმა ახლო აღმოსავლეშთი, დავით აღმაშენებლის პოლიტიკის გატარებას შეუწყო ხელი. თავის მხრივ საქართველოს მეფის წარმატებული ბრძოლა თურქსელჩუკებთან ჯვაროსნების წისქვილზე ასხამდა წყალს. ამიტომ იყო, რომ ჯვაროსნების მიერ ახლად დაარსებული სამთავროები თურქსელჩუკთა განდევნისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ საქართველოს თავიანთ მეგობრად თვლიდნენ.

წყაროებიდან აშკარაა, რომ დავით აღმაშენებელი მეტად პოპულარული იყო ჯვაროსანთა შორის. იოანე ბატონიშვილის “კალმასობაში” დაცულია ცნობა, რომ იერუსალიმის მეფეს ბოლდუინ II-ს (1119 - 1131 წწ.) გარკვეული კავშირი ჰქონდა დავით აღმაშენებელთან. ისინი საიდუმლოდაც ხვდებოდნენ ერთმანეთს.

დავით აღმაშენებელი და მისი დროის საქართველო კასპიის კარის დამცველად და თურქსელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჯვაროსანთა “წინაბურჯად” მოიხსენიებოდა. საქართველო ჯვაროსნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა.

საქართველოსა და ჯვაროსნების ურთიერთობას მეტად საინტერესოდ გამოხატავს ამ უკანასკნელთა დამოკიდებულება იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრისადმი. ჯვაროსნების მიერ 1099 წელს იერუსალიმის აღების შემდეგ დაარსდა დასავლეთევროპული ტიპის მსხვილი სამხედროფეოდალური სახელმწიფო, რომელსაც იერუსალიმის სამეფო ეწოდებოდა. ამ დროიდან მოკიდებული სამეფოს ტერიტორიაზე მდებარე მართლმადიდებლური ტაძრები ლათინებმა დაისაკუთრეს, მაგრამ ქართველთა ჯვრის მონასტერს ხელი არ ახლეს. ჯვაროსანთა ეს მოქმედება განაპირობა იმ სამხედროპოლიტიკურმა ურთიერთობამ, რაც ქართველებსა და ჯვაროსნებს შორის იყო. ჯვაროსნები, თურმე, ბევრ სიმდიდრეს სწირავდნენ ქართულ მონასტრებს, რის გამოც ისინი საგანგებოდ მოიხსენიებიან აღაპებში.

დიდგორის ბრძოლის დროს დავით აღმაშენებლის ლაშქარში ჯვაროსნების (“ფრანგნი”) მონაწილეობა ასევე მიგვანიშნებს საქართველოს კონტაქტებზე ევროპის ქვეყნებთან.

* * *

დავით აღმაშენებლის მრავალმხრივი მოღვაწეობა გამოირჩეოდა დიდი მასშტაბურობით. წინ ქვეყნის წინსვლის დიდი გეგმები ისახებოდა... სწორედ ამ დროს “... ჟამსა ზამთრისასა,

მშვიდობასა და დაწყნარებასა ყოვლისა სამეფოსასა, არა გარეგნად მენაკიდურესა, არამედ საშუალო თვისთა სამეფოთა ადგილთა", საქართველოს დედაქალაქ თბილისში გარდაიცვალა დავით აღმაშენებელი.

ეს იყო 1125 წლის 24 იანვარი. ორმოცდაცამეტი წლის ასაკში გარდაიცვალა "მესიის მახვილად" შერაცხული საქართველოს მეფე, რომელმაც ოცდათექვსმეტი წელი მეფობისა ქვეყნის გაძლიერებისა და აღმავლობის საქმეს მოახმარა. იგი დაიკრძალა მის მიერვე აგებულ და სამეფო საძვალედ დადგენილ გელათის მონასტერში.

ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

საქართველოს სამეფო ტახტი დავით აღმაშენებლის მემკვიდრემ დემეტრე I-მა (1125 - 1156 წწ.) დაიკავა.

თავი XVIII. დავით აღმაშენებლის მემკვიდრენი

დემეტრე პირველის მეფობის დროს მუსლიმური სახელმწიფოები აახლებენ ბრძოლას სამხრეთ კავკასიის მიწების ხელში ჩასაგდებად. ქართველები იძულებული ხდებიან ზოგი ადგილი დაუთმონ მტერს (მაგ., ანისი მუსლიმი მფლობელის ხელთ გადავიდა ყმადნაფიცობის პირობით). 1138 წელს ქართველებმა განძა აიღეს, მაგრამ ვერ შეინარჩუნეს, და ეს ქალაქი კარგა ხანს დარჩა მუსლიმთა საყრდენ პუნქტად საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

დიდაზნაურები კვლავ იწყებენ ბრძოლას თავიანთი სოციალურეკონომიკური მდგომარეობის შესაფერისი პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის. დიდ ფეოდალთა ჯგუფის მხარდაჭერით, დემეტრე მეფეს ტახტს ეცილებოდნენ ჯერ მისი ძმა ვახტანგი, შემდეგ უფროსი შვილი დავითი. ამ უკანასკნელმა მამას მეფობაზე ხელი ააღებინა და თვითონ მიიტაცა სამეფო გვირგვინი. დავითს ერთი წელიც არ უმეფია. იგი გარდაიცვალა. ტახტი კვლავ დემეტრე პირველმა დაიკავა და 1156 წელს ტახტზე უმცროსი შვილი გიორგი (მეფობაში გიორგი III) აიყვანა.

გიორგი III-ის პოლიტიკის ძირითად ხაზს, წინამორბედ მეფეთა მსგავსად, მუსლიმურ ქვეყნებთან ბრძოლა შეადგენდა. ეს ბრძოლა გარკვეული წარმატებებით აღინიშნა. 1161 წელს გიორგი მეფემ ანისზე გაილაშქრა, ქალაქი აიღო, ამირსპასალარს – ივანე ორბელს მიანდო მისი მართვაგამგებლობა, თანაშემწედ კი დიდებული სარგის მხარგრძელი დაუნიშნა. გამარჯვებულმა მეფემ ანისის მცხოვრებთ, განურჩევლად ეროვნებისა, დიდი წყალობა უყო (ზოგიერთი ცნობით, 40000 დრაჰკანი მისცა და ტყვედ წაყვანილი ქრისტიანები გამოისყიდა ტყვეობიდან).

1162 წელს ქართველები უფრო სამხრეთისკენ მიიწევენ. გიორგი მეფემ "მიმართა დიდად ქალაქად და სახელგანთქმულ დვინად, აწ რომელ არს არარატისა ძირსა ზღვარი სომხეთისა და ადარბადაჯანისა". დვინიც საქართველოს მეფის ძალაუფლებას დამორჩილდა.

ანისისა და დვინის დაკარგვამ მაჰმადიანთა ამირები სასტიკად განარისხა. საქართველოს ასეთმა აქტიურობამ ისინი აიძულა, უფრო მეტის ერთსულოვნებით შეკავშირებულიყვნენ და

ქართველებისათვის წინააღმდეგობა შეერთებული ძალით გაეწიათ. ხლათის მფლობელი დიარბექირის მმართველი, შაჰი არმენად წოდებული და არზრუმის ამირა დაიძრნენ საქართველოს წინააღმდეგ "და მომართეს ქუემოკერძოსა ქუეყანასა სომხითისასა და მოადგეს ციხესა გაგისასა, აიღეს იგი და მოაოჴრნეს ყოველი საზღვარნი".

გაუგია თუ არა ეს ამბავი გიორგი მეფეს, სასწრაფოდ "გამოასხნა ოვსნი და ქუეყანანი დიდძალნი და მომართა სულტანსა... ვითარცა ცნა ესე სულტანმან, ათაბაგმან და ყოველთა ფალავანთა და დიდებულთა მათა, თქუეს ვითარმედ: "არა არს კაცი დღეს პირისპირ შემბმელი გიორგისი და მისთა ლაშქართა ქუეყანასა ზედა; მივრიდოთ თავი და ვეფაროთ". მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქარი უკუიქცა დამარცხებული (ისტორიკოსთა ცნობით, ლაშქარს ელდიგუზ ათაბაგი სარდლობდა).

რაკი მაჰმადიანებმა უკან დაიხიეს, საქართველოს ლაშქრის თავკაცობას და თვით გიორგი მეფეს საქმე დამთავრებულად მოსჩვენებიათ. განცხრომისა და დროსტარებისათვის მოუცლიათ. მოწინააღმდეგეებს კი ლაშქრობის დამთავრება არც უფიქრიათ. პირიქით, მათ საქართველოს ლაშქრის მდგომარეობის დაზვერვა მოახერხეს სხვადასხვა გზით და ანისს შეუტიეს. ეს ქართველთათვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და "სივლტოლვე" აირჩიეს.

სომეხი ისტორიკოსი ვარდან ბარძბერდეცი თავის "ისტორიაში" გადმოგვცემს, რომ ოთხი წლის განმავლობაში ანისს მტრისგან მოსვენება არ ჰქონია. საქართველოსაც თანდათან უჭირდა ბრძოლა ანისისათვის. ამიტომ, როდესაც ელდიგუზ ათაბაგი თვით შემოეხვეწა გიორგი მეფეს ზავს, საქართველოს მეფე კმაყოფილი დათანხმებულა. თანაც "უბოძა ანისი თვისსავე მემამულესა და ითაყვანა თავისა თვისისა ყმადა". ამრიგად, ანისის ახალი მუსლიმი მმართველი საქართველოს მეფის ხელქვეითი და მორჩილი გამხდარა.

ამავე პერიოდში გიორგი მესამემ ილაშქრა შირვანში, სადაც მისი დისწული აღსართანი მეფობდა. შირვანშა საქართველოს მეფის ყმადნაფიცად ითვლებოდა. ამიტომ როდესაც იგი, "დაჭირებული დარუბანდელთა ხაზართაგან", შველას შეეხვეწა საქართველოს მეფეს, გიორგი მესამე ჯარით მიეშველა 1167 წელს. ქართველთა მხედრობა მივიდა დარუბანდის კარამდე, მოაოხრა მუსკურისა და შარაბამის ქვეყანა და აიღო ქალაქი შაბურანი. როგორც "ისტორიანი და აზმანი" გადმოგვცემს, შაბურანი საქართველოს მეფეს აღსართანისათვის უწყალობებია.

შირვანის შემომტკიცება საქართველოს პირდაპირ ინტერესებს ემსახურებოდა. აბრეშუმით მდიდარი შირვანი შემოსავლის წყარო იყო საქართველოსათვის, შირვანის დაკავებით ქართველები საფრთხეს უქმნიდნენ განძას, რომელიც თურქების მთავარი საყრდენი იყო ამიერკავკასიაში. და ბოლოს, საქართველო თანამიმდევრულად ატარებდა ქრისტიანული ქვეყნების შემოკრებისა და მათი ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების პოლიტიკას.

1173 წელს, სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობით, გიორგი მესამეს ანისი აუღია, ქალაქის ამირა კი თან წაუყვანია. განაწყენებული თურქები ქალაქს მოსდგომიან. ანისის მცხოვრებთა დაჟინებული თხოვნითYივანე ამირსპასალარმა ანისის თურქებისათვის დათმობაზე უარი თქვა.

შირვანისა და სომხეთის დიდი ნაწილის შემომტკიცება საქართველოს სამეფო კარის შორსგახედული პოლიტიკის და აგრეთვე მისი მეფის – გიორგი მესამის, როგორც ძლიერი და ნიჭიერი მხედართუფროსის, დამსახურებას უნდა მიეწეროს.

როგორც ვხედავთ, XII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველო პოლიტიკურად ძლიერი ქვეყანაა. მას საკმაოდ დიდი გავლენა და ავტორიტეტი აქვს მოპოვებული საერთაშორისო მასშტაბით, საქართველოს მეფე ძლიერია და პატივდებული. რაც შეეხება ქვეყნის საშინაო მდგომარეობას, აქ უფრო რთულადაა საქმე. XII საუკუნის მეორე ნახევარში ფეოდალური საქართველო განვითარების ისეთ სტადიაში იმყოფებოდა, რომ ეს სირთულე აშკარად გამოჩნდა.

ამიტომ არ ყოფილა შემთხვევითი, რომ, როცა საქართველომ თავისი ძლევამოსილებით შორს გაითქვა სახელი მეზობელ სახელმწიფოებში, თვითმპყრობელი მეფისა და სამეფო კარის წინააღმდეგ ქვეყნის შიგნით დიდი და ძლიერი აჯანყება მომზადდა.

ორბელთა ამბოხება. XII საუკუნის მეორე ნახევარში ფეოდალური საქართველოს საზოგადოების განვითარება მეტად რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა, რომლის ერთერთი ნიშანი იყო ფეოდალური წარმოებიდან გამოძევებულთა, ე.წ. “გლახაკთა” სიმრავლე, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდა მატერიალური დოვლათის მწარმოებელ მოსახლეობას. საზოგადოების განვითარებაში კრიზისის მომასწავებელი იყო “მეკობრეთა” სიმრავლე (“მეკობრენიც” ფეოდალური წარმოებიდან გამოძევებულნი იყვნენ).

გაძლიერებული დიდებული აზნაურები ვეღარ ეგუებოდნენ მეფის თვითმპყრობელობას და შეუვალობაზე ფიქრობდნენ. უკმაყოფილონი იყვნენ დიდაზნაურთა ხელქვეით მყოფი აზნაურები, რადგან მათ (იმის გამო რომ დიდაზნაურებს მორჩილებდნენ) აღზევების იმედი გადაწურული ჰქონდათ.

დიდგვაროვანი ფეოდალები ყოველთვის, როგორც კი საშუალება მიეცემოდათ, ცდილობდნენ განდგომოდნენ და დაპირისპირებოდნენ მეფეს. მეფეებიც, თავის მხრივ, მეტნაკლებად წარმატებით ებრძოდნენ ამ ცენტრიდანულ ძალებს და ცდილობდნენ განემტკიცებინათ ცენტრალური სახელმწიფოებრივი აპარატი.

XII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში საკმაოდ დაწინაურებული ჩანს ეკონომიკურად და სოციალურად ფეოდალთა ერთი ჯგუფი. ესენი არიან: ამირსპასალარი ივანე ორბელი, ივანე ვარდანის ძე, შოთა ძე ართავაჩოს ძისა, ქართლის ერისთავი ლიპარიტ სუმბატის ძე, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე და სხვ. მათ დაწინაურებას რამდენადმე ხელი შეუწყო თვით მეფის წყალობებმა. ასეთი წყალობების გაღებაში გიორგი მესამე პირველი არ ყოფილა და არც უკანასკნელი. ერთი რამ ცხადია, რომ როდესაც მეფეები წყალობას გასცემდნენ, ეს გარკვეული იძულებით ხდებოდა, რადგან ბოძება ხდებოდა ამა თუ იმ დიდ ფეოდალზე მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი გარკვეულ ავტორიტეტს მოიპოვებდა მოსახლეობაში. მეფე კი ცდილობდა ასეთი პიროვნება თავის ერთგულებაში ჰყოლოდა, ამიტომ იკლებდა უფლებასა და სიმდიდრესაც და ამა თუ იმ ფეოდალს გადაულოცავდა.

ივანე ორბელი და მასთან ერთად ფეოდალთა გარკვეული ჯგუფი საკუთარი მცდელობითა და მეფის შემწეობით ეკონომიკურად და სოციალურად დაწინაურებულნი არიან და იწყებენ ბრძოლას მათი მდგომარეობის შესაბამისი პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის.

დიდმა ფეოდალებმა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის საბაბად დემნა უფლისწული გამოიყენეს. დემნა დავით V-ის შვილი იყო და მისი ტახტზე აყვანა საზოგადოების თვალში შესაძლოა გამართლებულიყო. აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო ფეოდალთა დიდმა ჯგუფმა ივანე ორბელის ხელმძღვანელობით.

აჯანყების მონაწილეებს, რომელიც 1177 წელს დაიწყო, გეგმის მიხედვით უნდა აეღოთ ძლიერი ციხექალაქები, გამაგრებულიყვნენ და ერთიანი ძალით დაემხოთ გიორგი III, მის ნაცვლად კი დემეტრე (დემნა) გაემეფებინათ. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში დემეტრე ფიქტიური მეფე იქნებოდა და მისი სახელმწიფო მმართველობა დიდ ფეოდალთა ხელში აღმოჩნდებოდა.

როგორც კი შეატყობინეს სახატეს მდგარ მეფეს ამბოხების შესახებ, სასწრაფოდ თბილისში წავიდა და იწყო ერთგული ლაშქრის შეგროვება. მეფემ მოკლე დროში შემოიკრიბა ირგვლივ თავისი ერთგულები და საკმაო ლაშქარიც შეაგროვა.

აჯანყების მსვლელობა ასე წარიმართა: თავდაპირველად მეამბოხეებმა კაიანისა და კაიწონის მეციხოვნეები და მხედართუფროსები დაითანხმეს მეფის წინააღმდეგ გამოსვლაზე. საჭირო იყო მოსახლეობასაც შეეწყო ხელი აჯანყებულებისათვის. აჯანყებულთა შეთანხმების მიხედვით, პირველნი შაქის, ჰერეთისა და კახეთის მხარეების მთავრები აჯანყდნენ. ხოლო კაიანისა და კაიწონის მმართველები თავიანთ ციხეებში გამაგრდნენ და მათი მოსაზღვრე მეფის მხარეები აიკლეს. ამის შემდეგ დემნა უფლისწულის, ამ “ახალი მეფის” მეთაურობით (რომელიც ორბელებმა გადაბირებით აგარაკის სიმაგრეში მიიყვანეს და მეფედ გამოაცხადეს) აჯანყებულებმა ყველა თავისი თანამზრახველის შეკრება მოინდომეს, რადგან პირდაპირ მეფეზე მისვლა, როგორც ჩანს, ვერ გაბედეს. განზრახვა ერთი იყო – მეფის შეპყრობა. ამ დროს გიორგი III თანდათან იკრებდა ძალას. თავის ლაშქარს დიდ წყალობას შეპირდა (ლაშქრის შემადგენლობაში დვალეთისა და ქართლის მხარის საზღვრებში მყოფი მეომრებიც იყვნენ) და ივანე ორბელის მამულს მიაშურა, იავარჰქმნა და სასახლეები გადაწვა, შემდეგ კი ამბოხებულთა წინააღმდეგ გაემართა.

აჯანყებულები, ბუნებრივია, თვალყურს ადევნებდნენ გიორგი მესამის ამგვარ გაძლიერებასა და მოქმედებას, რასაც შეუშინებია ისინი და მერყეობა დაუწყიათ. ივანეს მომხრე ბევრ დიდებულს სანანებლადაც კი გაუხდა, რომ მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა. მერყეობამ მეამბოხეთა შორის გარკვეული განხეთქილება გამოიწვია. დიდებულებმა იწყეს დემეტრეივანესაგან ჩამოშორება და გიორგი მესამესთან მისვლა. პირველი – დიდი გამრეკელი ჩამოშორდა მეამბოხეთა ბანაკს და მეფეს მიუვიდა. მის მაგალითს მიბაძა გრიგოლ ანელმაც. ამის შემდეგ ბევრი დიდებული ჩამოსცილდა განდგომილებს და მეფის მომხრეთა დასს შეუერთდა. გიორგი მესამემ დიდებულები მაღალი პატივით მიიღო.

გაძლიერებულმა საქართველოს მეფემ “შემყრელმან ლაშქართა თბილისით ქალაქით მიმართა სომხითის მთასა” და თავზარი დასცა მეამბოხეებს (“აოტნა, გააქცივნა”).

ივანე ორბელმა შეიტყო თუ არა, რომ მეფე ლაშქრით მის წინააღმდეგ მოემართებოდა, მთელი თავისი ქონება სამშვილდის ციხეს შეაფარა (“სადაც იყო საუნჯე წინაპართა მისთა”), რამდენიმე მეციხოვნე დატოვა, თვითონ კი თავისი ჯარით დემნასთან ერთად ლორეს ციხეში გამაგრდა.

ივანე ორბელის ბანაკი იმცროზოდა და სუსტდებოდა, ხოლო გიორგი მესამე ძლიერდებოდა და თანდათან უფრო და უფრო აქტიურად მოქმედებდა აჯანყებულთა წინააღმდეგ. მან აჯანყებულებს “მოუხუნა ყოველნი სიმაგრენი და ციხენი”, მეამბოხეებს ჩამოშორდა და მეფეს მიუვიდა სარგის მხარგრძელი “შვილითა და ძმისწულითა მისითა”. საქართველოს მეფემ “შეიყვარა და შეიტკბო იგი”. გიორგი მესამე ენერგიულ სამხედრო მოქმედებაზე გადავიდა, თან დიპლომატიურ მოლაპარაკებასაც ეწეოდა ივანე ორბელთან. მოციქულების პირით იგი შერიგებას სთხოვდა ამბოხებულ ამირსპასალარს, მაგრამ ეს უკანასკნელი არ თანხმდებოდა გარკვეული დათმობების გარეშე.

რაკი მშვიდობიანი მოლაპარაკებით ვერ მიაღწია სასურველ შედეგს, გიორგი მესამემ ძალას მიმართა. შეკრიბა ჯარი, აჯანყებულებს ლორეს ციხეში მიადგა და ალყა შემოარტყა. სომეხი ისტორიკოსის დავით ქობაირელის ცნობით, ამ დროს ივანე ორბელს დამხმარე ძალა მოუდიოდა, მაგრამ როცა ამ უკანასკნელთ თვალით უხილავთ გიორგი მესამის ძლევამოსილი ლაშქარი, თავგზა აბნევიათ და უბრძოლველად უკან გაბრუნებულან. მეფის მოლაშქრეები სხვა ციხეებში გამაგრებულებსაც გაუსწორდნენ და ერთიანად ყველა მორჩილების ხასიათზე დააყენეს. აჯანყებულთა შორის არევდარევა დაიწყო. თვით დემეტრეს (დემნა) საბელი გადმოუშვია ციხიდან, გამოპარულა და მეფესთან მისულა. როცა დიპლომატიამ არ გასჭრა, მეფემ ძალას მიმართა და “ამირსპასალარი და სხუანი, რომელნი დარჩეს ციხესა შინა, გამოასხეს”.

საქართველოს მეფემ მკაცრად დასაჯა მეამბოხეები: ივანე ორბელს თვალები დასთხარეს, აჯანყების ბევრი მოთავე სიკვდილით დასაჯეს (“ორბელნი მეფემან იპყრნა და დახოცნა”). დემეტრე უფლისწულს თვალები დასთხარეს და დაასაჭურისეს. ამ უკანასკნელი აქტით გიორგი III-მ ძირიანად მოსპო მომავალში რაიმე გაუგებრობა ტახტის მემკვიდრეობის თაობაზე, რადგან დემეტრე ამიერიდან უშთამომავლოდ უნდა გადაშენებულიყო.

გიორგი III-მ ორბელთა მამულები თავის ერთგულებს (ვინც შეთქმულთა წინააღმდეგ მეფის მხარეზე იყო) უწყალობა. მათ შორის დიდი ნაწილი – ნაყივჩაყარ ყუბასარს, რომელიც ერთგულებასთან ერთად თავისი ღირსებებითაც გამოირჩეოდა. მეფემ იგი საქართველოს ამირსპასალარად დანიშნა. ასევე “უგვარო” აფრიდონი დააწინაურა მსახურთუხუცესის თანამდებობაზე.

ორბელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ გიორგი III-მ სამეფო ტახტზე თანამოსაყდრედ აიყვანა თავისი ქალი – თამარი: “განრჩევითა და გამორჩევითა, განგებითა და გაგონებითა ზენისა მის ხუედრისა შარავანდედთა მნებებელისათა მეფე ყო თამარ, თანადგომითა ყოველთა

პატრიარქთა და ეპისკოპოზათა, დიდებულთა იმიერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა”.

თავი XIX. მეფე თამარი

გიორგი III-ს ცოლად ჰყავდა ოსთა მეფის – ხუდანის ასული ბურდუხანი. ეს ქორწინება XII საუკუნის 50იან წლებში მოხდა და მას გარკვეული პოლიტიკური მიზანიც ჰქონდა – ჩრდილოეთის მეზობლებთან კავშირის განმტკიცება. თავისთავად ბურდუხანი გამორჩეული ქალი ყოფილა. ერთხანს ცოლქმარი უშვილოდ ყოფილან, რის გამოც ძალზე წუხდნენ. გარკვეული დროის შემდეგ “ინება ზეგარდმო მოწყალებამან ღმრთისამან და იწყო მობერვად ნიავმან ამომან, და იშვა მათგან ქალი, ქმნილკეთილი, ყოვლითურთ უნაკლულო და შესატყვისი”.

თამარი იმ დროისათვის სათანადო აღზრდაგანათლებას იღებდა. მასზე განსაკუთრებულად მზრუნველობდა მამიდა (დემეტრე Iის ასული, გიორგი III-ის და) რუსუდანი, რომელიც ხორასნის სულთნის ცოლყოფილი იყო და დაქვრივების შემდეგ საქართველოს დაბრუნებოდა. ფაქტობრივად თამარი თავის დასთან – რუსუდანთან ერთად მამიდის კარზე იზრდებოდა. რუსუდანი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი იყო; იგი აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფოს მართვაგამგეობაში; მან მნიშვნელოვანი დიპლომატიური მისია შეასრულა ელდიგუზ ათაბაგთან გიორგი III-ის შეთანხმებაში ქ.ანისის გამო (დაახლოებით 1165 წ.). ბუნებრივია, თამარიც აქტიურად ადევნებდა თვალს პოლიტიკურ ცხოვრებას, იმ დიდ საშინაო თუ საგარეო დუღილს, აგრერიგად რომ მოიცვა საქართველო. თამარს თავისი გონიერებით ადრევე მიუქცევია თანამედროვეთა ყურადღება. ამიტომაც იყო, რომ ორბელთა ამბოხების ჩახშობის შემდეგ გიორგი III-მ თამარი თანამმართველად გაიხადა... მაგრამ აქამდე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. როცა გიორგი III ამბოხებულ დიდგვაროვან ფეოდალებს ებრძოდა, საეკლესიო მოღვაწეებმა კრება მოიწვიეს და ამბოხების ჩახშობის შემდეგ უკან მობრუნებულ გიორგის ეკლესიის შეუვალობის აღდგენა მოსთხოვეს. ეს კრება 1178 წელს შემდგარა. გიორგი III-ის მიერ გაცემული “საქართველოს ეკლესიის შეუვალობის განახლების სიგელი” გვამცნობს, რომ გიორგი III გადაწყვეტს “ეკლესიათა სამეფოჲსა ჩუენისათა ყოვლისა ბეგრისა უსამართლოჲსათა და დაჭირებულისაგან” ხსნასა და გათავისუფლებას.

1179 წელს გიორგი III-მ თავად დაადგა თამარს “გჯრგჯნი ოქროსა თავსა მისსა, ოქროსა მის ოფაზისა, აღხმული იაკინთთა, ზმირთა და სმარაგდოთა მიერ”. დიდებულნი ლიტანიობდნენ თამარის წინაშე. მეფე დიდებულებს აფიცებდა თამარის ერთგულებაზე. ამ დიდი ზეიმის შემდეგ სახელმწიფოში ცხოვრება ჩვეული წესით მიდიოდა. გიორგი III კვლავ აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის მართვაგამგეობაში. მას, გეგუთში მყოფს, მეტად სამწუხარო ცნობა მიუვიდა – თამარი ბურდუხან დედოფლის გარდაცვალებას ატყობინებდა. მეფე სასწრაფოდ ჩავიდა დედაქალაქში. მთელმა საქართველომ დაიტირა დედოფალი. იგი დიდი მწუხარებით, ამასთან, პატივით დაკრძალეს.

მამაშვილის თანამმართველობა გრძელდებოდა. 1179 წელს საგანგებო საკანონმდებლო კრება მოუწვევიათ, რომლის მიზანი ქვეყანაში გახშირებული პარვისა და ყაჩაღობის მოსპობა იყო. კრებამ მეკობრეების მიმართ დააწესა სასჯელის უმაღლესი ზომა – ჩამოხრჩობა, თანაც იგი განურჩეველი იყო ყველა დამნაშავისათვის, რა სოციალური ფენისაც არ უნდა ყოფილიყო იგი. მკაცრ ზომებს თავისი შედეგი მოჰყოლია – ეს ბოროტმოქმედება ერთხანს აღმოფხვრილა საქართველოში.

1184 წლის 27 მარტს, ვნების კვირის სამშაბათს, კახეთში გარდაიცვალა გიორგი III, “ბრძანებითა მპყრობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოსა და სამხრისა”. თბილისში, ისნის ციხეში მყოფ თამარს შეატყობინეს მამის გარდაცვალება. პატრიარქმა და დიდებულებმა სამშვილდეს მყოფ რუსუდანს ამცნეს ეს ამბავი და თბილისში ჩამოიყვანეს.

დიდის მწუხარებით დაიტირეს სრულიად საქართველოს მეფე გიორგი III. “ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი” დეტალურად აგვიწერს შავი ძაძით შემოსილ სამეფო პალატას, სადაც თამარისა და რუსუდანის გვერდით არიან მგლოვიარე “მიქაელ პატრიარქი ყოველითა ეპისკოპოზითურთ მდგომი, და ვაზირი ანტონი და ამირსპასალარი ყუბასარ, და სხუანი ხელისუფალნი: ყუთლუ არსლან მეჭურჭლეთუხუცესი, ვარდან დადიანი ჩუხჩარხი, ჭიაბერი მეჯინიბეთუხუცესი, აფრიდონ მსახურთუხუცესი, ივანე და დიდებულნი, აზნაურნი, მონანი და მოყმენი”. გიორგი III “ჟამისა სიძნელისაგან” მცხეთაში დაუმარხავთ და იმავე წელს გადაუსვენებიათ საქართველოს მეფეთა ტრადიციულ საძვალეში – გელათში.

ძალზე დიდი ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდა გიორგი III-ს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბითაც.

თამარის გამეფება.

დიდგვაროვანი ფეოდალები, მართალია, დათრგუნვილი იყვნენ, მაგრამ ბრძოლას საბოლოოდ წაგებულად არ თვლიდნენ და ხელსაყრელ დროს უცდიდნენ, რათა სამეფო ხელისუფლების საწინააღმდეგო ზრახვები განეხორციელებინათ. ასეთი დრო გიორგი IIIის გარდაცვალების შემდეგ დადგა. მიუხედავად იმისა, რომ თამარი ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში იყო გამეფებული (1179 წ.), დიდგვაროვანმა ფეოდალებმა, როგორც ჩანს, არ მიიჩნიეს ეს საკმარისად და მისი ხელახლა მეფედ კურთხევა გადაწყვიტეს. ეს უკვე ფაქტობრივი პროტესტი იყო გიორგი III-ის ნამოქმედარის, მისი პოლიტიკის მიმართ. ამასთანავე, ხაზგასმულად უნდა წარმოჩენილიყო ფეოდალთა დიდი უფლებები. საინტერესოა თამარის პირველი ისტორიკოსის პოზიცია (იგი ხომ გიორგი III-ისა და თამარის აპოლოგეტია!), რომელიც ყოველგვარი გაკვირვების გარეშე გადმოგვცემს თამარის ხელახლა მეფედ კურთხევის პროცესს.

თითქოს თამარი არც კი ყოფილიყოს გიორგი III-ის თანამოსაყდრე სამეფო საქმეებში, ისე იქცევიან დიდგვაროვანი ფეოდალები. “შემყრელთა შჯდთავე ამის სამეფოსა” სთხოვეს რუსუდან დედოფალს დამოციქულება თამართან, რათა ამ უკანასკნელმა “ჴელყოს ჴელითა მეფობასა და კურთხევითა გჯრგჯნოსანყოფად აღვიდეს, და ამაღლდეს და დაჯდეს საყდართა თჳსთა მამათასა აღპყრობითა და აღძღუანებითა ძელისა ცხოვრებისათა...” ამგვარად, ერთხელ უკვე ფაქტობრივად გამეფებული თამარი, მეორედ უნდა ეკურთხებინათ მეფედ.

წარმოუდგენელია თვით რუსუდანსა და თამარს ვერ შეეცნოთ ფეოდალთა ზრახვები და არ სცოდნოდათ, თუ საით უმიზნებდნენ ისინი. თამარის ისტორიკოსი კი ამბობს: “ამისმან (თამარის მეორედ კურთხევის – რ.მ.) მსმენელმან, მომწონებელმან და მაჯერებელმან დედოფალმან უბრძანა და მოახსენა თამარსა”. ალბათ, რუსუდან დედოფალს განუჭვრეტია, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობდა და იძულებით მიუღია ამ საქმის მოწონების პოზა. საინტერესოა “ისტორიათა და აზმანთა შარავანდედთანის” ავტორის მინიშნება იმის შესახებ, რომ თამარი “დიდებულთა შჳდთავე სამეფოთასა” წინადადებას “ძალითასამე დამორჩილ იქმნა”. თამარი ხუთი წელი მამასთან ერთად ინაწილებდა ქვეყნის მეფობის ხვედრს. იგი შეგუებული იქნებოდა მომავალში ამ ხვედრის მთლიანად დაუფლების აზრთან. გიორგი III-ის მიერ თავის დროზე მისი გათანამმართველებაც ამ მიზანს ემსახურებოდა. “ძალითასამე დამორჩილ იქმნა” – საერთოდ მეფობაზე უარის თქმასა და შემდეგ ძალით დათანხმებას კი არ უნდა ნიშნავდეს, არამედ იმას, რომ თამარი წინააღმდეგი იყო დიდებულთა მიერ წამოყენებული მისი მეორედ კურთხევის იდეისა მაგრამ, როგორც ჩანს, რუსუდან დედოფალმა დაარწმუნა იგი, რომ სხვა გამოსავალი არ იყო და თამარიც იძულებული გახდა დათანხმებულიყო. ეს კი, თავის მხრივ, დიდგვაროვან ფეოდალთა გამარჯვებას უდრიდა.

მეფედ კურთხევის ცერემონიალი ისე შესრულდა, რომ ხაზგასმულ იქნა დიდგვაროვანთა უფლებები. “აღმყვანელთა საყდართა და საჯდომთა მამაპაპეულთა აღსუეს მზე იგი... და მოიღეს გჳრგჳნი...”. “აღმყვანელნი”, რომელთაც თამარი “აღსუეს” და გვირგვინი “მოიღეს”, დიდგვაროვანი ფეოდალები არიან: “ვინათგან ლიხთიმერთაგან იყო წესი დადგმად გჳრგჳნისა თავსა სამეუფოსა, აწვიეს... მთავარეპისკოპოსი ქუთათელი ანტონი საღირისძე, მიღებად გჳრგჳნისა”. ისტორიკოსი გამოყოფს თამარ მეფისათვის, როგორც ლაშქრის მთავარსარდლისათვის, ხმლის გადაცემის სიმბოლურ ცერემონიალს: “და ცალისკერძისა კახაბერი, ერისთავი რაჭისა და თაკუერისა, და სრულ ყვეს მოხელეთა სჳანთა და დიდებულთა ვარდანისძეთა, საღირისძეთა და ამანელისძეთა მოღება და დადება ჴრმლისა”. როგორც ჩანს ამ დიდებულებს უფლება აქვთ “სრულყოფისა” და ხელდასხმისა. ჩვენ ასე მკვეთრად გამოსახული მეფედ კურთხევის ცერემონიალი ქართულ წერილობით წყაროებში არ მოგვეპოვება. ამდენად, ტრადიცია იყო ეს თუ მხოლოდ თამარის მეფედ კურთხევის დროს მოხდა, ამის შესახებ რაიმეს გადაჭრით თქმა ძნელია. უფრო საფიქრებელია, რომ ასეთი სრულყოფილი სახით ძველი დიდგვაროვანი სახლების განსაკუთრებული მნიშვნელობა ტახტის მემკვიდრის სამეფო უფლებით აღჭურვის საქმეში სწორედ თამარის მეორედ მეფედ კურთხევისას იქნა წარმოჩენილი. “თაყუანისცეს, დალოცეს და ადიდეს სპათა შჳდისავე სამეფოსათა. და დაიპყრა ჟამიერად თჳთოეულმან თჳსი ადგილი”. აქ “ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი” გვაძლევს ცნობას იმის შესახებ, რომ მეფის ძალაუფლების სრულყოფისათვის საჭიროა “შჳდსავე სამეფოსათა” წარმომადგენლების “დალოცვა” და “დიდება”.

აქედან, ფაქტობრივად, დაიწყო დიდგვაროვანთა პროტესტი არსებული (ჯერ კიდევ გიორგი მესამისეული) სამეფისკარო პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს პროტესტი შემდგომში უფრო გაიზარდა და გამძაფრდა. ფეოდალებმა “იმიერთა და ამიერთა” ერთხმად გამოაცხადეს, რომ გიორგი III-ის დროს დაწინაურებულ უგვარო მოხელეებს აღარ დაემორჩილებოდნენ.

დიდგვაროვანთა მოთხოვნებიდან ნათელია, რომ მათ ძველი წოდებრივი უპირატესობის აღდგენის სურვილი ამოძრავებდათ და წოდებრიობა პირად ღირსებებზე მაღლა დაუყენებიათ. საგულისხმოა, რომ მეფის პოლიტიკის მოწინააღმდეგეებს ყველა უგვარო მოხელის გადაყენება კი არ მოუთხოვიათ, არამედ მხოლოდ რამდენიმესი, ალბათ, სამეფო ხელისუფლების ყველაზე ერთგული პირებისა. ასეთებად მიჩნეულ იქნენ ამირსპასალარი ყუბასარი და მსახურთუხუცესი აფრიდონი.

რთულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ, აგრეთვე გაფიცულთა სიმტკიცემ და სიძლიერემ განაპირობა საქართველოს სამეფო კარის მხრივ დათმობაზე წასვლა და მეფის ერთგული მოხელეების სახელმწიფო მმართველობიდან მოშორება. ამდენად, გაფიცულმა დიდგვაროვნებმა ახალი გამარჯვება იზეიმეს.

ფეოდალთა შორის ახალი პრობლემები წარმოიშვა, თუ ვის უნდა ჩაეგდო ხელთ გათავისუფლებული ადგილები "და ბრძოლამყოფთა ჴელისუფლებისა და დიდებისათჳს ურთიერთს დაუწყეს ზიდვა".

ყუთლუარსლანის გამოსვლა.

დიდგვაროვან ფეოდალთა მოთხოვნებთან უშუალო, ორგანულ კავშირშია სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყება ყუთლუარსლან მეჭურჭლეთუხუცესის ხელმძღვანელობით. აჯანყებას მკვეთრად ჩამოყალიბებული პროგრამა და მტკიცედ განსაზღვრული პოლიტიკურორგანიზაციული გეგმა ჰქონდა.

საქართველოს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებულთა ბელადი ყუთლუარსლანი "სიმდიდრით ამაღლებულია". მან თავისი დამსახურების წყალობით სამეფო ხელისუფლებისაგან მაღალი თანამდებობა – მეჭურჭლეთუხუცესობა მიიღო.

ყუთლუარსლანი თავისი თანამდებობითა და წარმოშობითაც საქალაქო წრეებთან იყო დაკავშირებული. არ შეიძლება გაუთვალისწინებელი იყოს შევსებული "ქართლის ცხოვრების" ცნობა – "გვარითა უაზნოთა აღამაღლებს სიმდიდრე" – რომელიც სწორედ ყუთლუარსლანსა და მისი პოლიტიკური დასის წევრებს უნდა შეეხებოდეს. აკად. ივ.ჯავახიშვილი თვლიდა, რომ სწორედ ეს "სიმდიდრით ამაღლებულნი" უნდა იგულისხმებოდნენ თამარის მეორე ისტორიკოსის ხსენებულ "სიმდიდრით ალაღებულთა" ქვეშ. ეს ის ხალხია, რომელნიც "ურთიერთისა მტერობად მოიცლიდეს და ბრძოლად, ვითარ ყვესცა ვიეთმე დაწყებასავე ამისსა მეფობისასა მისვე დრკუსა ძირისა ნაყოფთა ლიპარიტეთთა...". "სიმდიდრით ალაღებულნი" და "ამაღლებულნი" ქალაქის მოსახლეობის ზედა ფენიდან გამოსული – მსხვილი ვაჭრები და ამ წრიდან დაწინაურებული პირები უნდა იყვნენ.

არ არის გამორიცხული აჯანყებაში ფეოდალური არისტოკრატიის მონაწილეობაც. მხედველობაშია ფეოდალთა ის ნაწილი, რომელიც თავისი საქმიანობით ახლოს იყო საქალაქო წრეებთან და ინტერესებიც თანხვედრილი ჰქონდათ. ამასთანავე მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" პირდაპირ მიგვანიშნებს გამოსვლის მონაწილეთა ნაირფეროვან შემადგენლობაზე (ალბათ ეს

ყუთლუარსლანის პოლიტიკური პროგრამის სიფართოვემ განსაზღვრა). კერძოდ, სხვათა შორის მონაწილეობდნენ “დიდებულნი” და “ლაშქარნი”, რომელთა შემადგენლობა სხვადასხვაგვარი იყო.

რა მიზანს ისახავდა ყუთლუარსლანის დასის გამოსვლა? ყუთლუარსლანის პროგრამა კონსტრუქციული ხასიათისა იყო. იგი მოითხოვდა, რომ სამეფო კარის გვერდით ახალი დაწესებულება შექმნილიყო – “კარავი”, რომელიც სამეფო ხელისუფლებისაგან სრულიად დამოუკიდებელი იქნებოდა (“ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა საღოდებლისასა”). შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ კარვის დადგმა ყუთლუარსლანმა სწორედ ისნის ველზე მოითხოვა, ე.ი. სამეფო სასახლის მახლობლად. ეს მომენტი, თავის მხრივ, ხაზს უსვამდა მეფესთან და მის კართან “კარაველთა” დაპირისპირებას. არსებითი კი ყუთლუარსლანის დასის პოლიტიკურ პროგრამაში ის იყო, რომ “კარაველები” სახელმწიფო ხელისუფლების მმართველობის ძირითადი სადავეების ხელში აღებას ითხოვდნენ. აი როგორ წარმოედგინათ მათ “კარავის” როლი: “დასხდომილნი მუნ შიგა განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს მეფესა და დედოფალსა: მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებულნი ჩუენი”. როგორც ამ ოფიციალური მოთხოვნიდან ჩანს, გაფიცულები იბრძოდნენ საკანონმდებლო უფლებებისათვის, მათ უნდა განეგოთ ქვეყნის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი: “მიცემისა და მოღებისა” და “წყალობისა და შერისხვისანი” (აქ უნდა იგულისხმებოდეს სხვადასხვა სამოხელეო თანამდებობის წყალობა და საჭიროების შემთხვევაში დამნაშავე თანამდებობის პირთა დასჯა, ე.ი. უზენაესი მართლმსაჯულების უფლება).

საქართველოს მეფეს “კარავის” მუშაობაში მონაწილეობა არ უნდა მიეღო, საქმეების გარჩევაში არ უნდა ჩარეულიყო. ყუთლუარსლანის პოლიტიკური პროგრამის მიხედვით, მას მხოლოდ გადაჭრილ (“განგებულ”) საკითხებს აცნობებდნენ. მეფეს სისრულეში უნდა მოეყვანა “კარავის” გადაწყვეტილებები. ცნობას ყუთლუარსლანის გამოსვლის შესახებ სამეფო კარი აღშფოთებით შეხვდა და გაკადნიერებული მეჭურჭლეთუხუცესი შეიპყრეს. ყუთლუარსლანის დასის წევრებმა (“თანშეფიცულებმა”) ამ აქტს შესაბამისი რეაქციით უპასუხეს: “შეიყარნეს და უკუაგდეს თამარს”, მოითხოვეს თავიანთი ბელადის განთავისუფლება უვნებლად, თანაც სამეფო სასახლეზე გასალაშქრებლად მოემზადნენ.

საქართველოს მეფემ საკითხის დიპლომატიური გზით მოგვარება არჩია: აჯანყებულებს ორი საპატიო მანდილოსანი გაუგზავნა მოსალაპარაკებლად. ესენი იყვნენ: ქართლის ერისთავთერისთავის რატის დედა ხუაშაგ ცოქალი და დიდგვაროვანი ფეოდალების – სამძივართა დედა კრავაი ჯაყელი. ამ ნაბიჯმა გაამართლა. გაფიცულები მეფის სურვილს დაჰყვნენ. ამასთან უვნებლობისა და ხელშეუხებლობის დასტური მიიღეს, ყუთლუარსლანი კი გაათავისუფლეს.

ამგვარად, ყუთლუარსლანის პოლიტიკურმა დასმა ვერ შეძლო თავისი პროგრამის განხორციელება, ვერ მოახერხა სახელმწიფო ძალაუფლების მეფესთან გაყოფა. გამოსვლის შედეგად შეიძლება ჩაითვალოს “დარბაზის” უფლებების ერთგვარი გაფართოება და მის შემადგენლობაში მოქალაქეთა ზედა ფენების წარმომადგენელთა შეყვანა.

თამარის სახლობის საკითხი.

თამარის ზარზეიმით კურთხევის შემდეგ ახალგაზრდა მეფექალმა მტკიცედ მოჰკიდა ხელი სახელმწიფოს მართვაგამგებლობას. მისი ბრძანებით, მწიგნობართუხუცესჭყონდიდლის და ვაზირის თანამდებობა ანტონმა მიიღო; ამირსპასალარად დაინიშნა სარგის მხარგრძელი, მანდატურთუხუცესად – ჭიაბერი. მეჭურჭლეთუხუცესობა მეფემ უბოძა კახაბერ ვარდანისძეს, მსახურთუხუცესობა – ვარდან დადიანს, ჩუხჩარხობა – მარუშიანს, ამილახოროობა – გამრეკელ თორელს, რომელიც სარგის მხარგრძელის შემდეგ ამირსპასალარადაც დაინიშნა.

ვინ არიან თამარის დროის ერისთავნი?

ბარამ ვარდანის ძე – სვანთა ერისთავი;

კახაბერ კახაბერის ძე – რაჭისა და თაკუერის ერისთავი;

ოთაღო შარვაშისძე – ცხუმის ერისთავი;

ამანელის ძე – არგუეთის ერისთავი;

ბედიანი – ოდიშის ერისთავი;

რატი სურამელი – ქართლის ერისთავი;

ბაკურყმა ძაგანის ძე – კახეთის ერისთავი;

ასათ გრიგოლის ძე – ჰერეთის ერისთავი;

ბოცო ჯაყელი – სამცხის ერისთავი.

გამეფების უმალ თამარის სამეფო საქმიანობის თვალსაწიერში სასულიერო სფერო მოექცა. მეფემ მიზნად დაისახა საეკლესიო საქმეთა მოწესრიგება, იერუსალიმიდან მოიწვია ნიკოლოზ გულაბერისძე და საგანგებო საეკლესიო კრება ჩაატარა. თამარმა საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა კრებაზე და “წარვიდა პალატად თვისად”. კრებამ უღირსი საეკლესიო პირები გადააყენა და მათ ნაცვლად “საღმრთონი კაცნი” დანიშნეს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვერ შეძლეს მეფისა და საზოგადოებისათვის არასასურველი კათალიკოსის მიქელ მირიანის ძის გადაყენება.

აღნიშნულ კრებას, მას შემდეგ რაც საეკლესიო საკითხების განხილვა დასრულდა, საერო პირები შემოემატნენ: “შემოვიდეს ყოველნი სპასალარნი და ერისთავნი სამეფოსანი” და მოითხოვეს ერთობლივ გადაეწყვიტათ თამარის სახლობის საკითხი, რათა “ზოგად იღუაწონ შემოყვანებად სიძისა თამარისათვის”.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია თბილისის ამირას აბულასანის წინადადებამ, თამარისათვის რუსი უფლისწულის, ანდრია ბოგოლიუბსკის შვილის – იურის (იგივე გიორგის) შერთვის შესახებ. როგორც ჩანს, აბულასანს ამ დროისათვის (1185 წლის დამლევი) ჰქონდა თავისი მოსაზრების გამოთქმის უფლება, ე.ი. იგი სამეფო დარბაზის სრულუფლებიანი და თანაც გავლენიანი წევრი იყო.

გარკვეული მსჯელობის შემდეგ მიღებული იქნა აბულასანის წინადადება.

გიორგი (იური) უფლისწული, როგორც აღინიშნა, როსტოვსუზდალის დიდი მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის შვილია. ანდრიას გარდაცვალების შემდეგ ნოვგოროდის სამთავროში მდგომარეობა შეიცვალა. შინაურმა აშლილობამ იურის ნოვგოროდიდან გაძევება გამოიწვია.

1176 – 1177 წლებში ანდრია ბოგოლიუბსკის ძმამ ვსევოლოდმა (ქართული წყაროებით სალავათი) მთლიანად დაიპყრო ადნრიას სამფლობელო და თავის უფლებებში მოცილე აღარავინ გააჩერა სუზდალის სამთავროში. ამ მოქმედების შედეგი იყო თვით იური უფლისწულის ექსორიაქმნა მისი სამთავროდან. ეს უკანასკნელი ამის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოჩნდა.

დარბაზის წევრებისთვის მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ იური ანდრიას ძე დიდგვაროვანი ფეოდალი, ქრისტიანი იყო, თანაც მართლმადიდებელი. ამ მხარემ საკითხის გადაჭრაში არსებითი როლი შეასრულა. თუმცა დიდებულებს, როცა ისინი უპირატესობას იურის კანდიდატურას აძლევდნენ, ამ დებულებით არ უნდა ეხელმძღვანელათ. მათთვის უფრო საინტერესო იყო ის გარემოება, რომ იგი გადმოხვეწილი იყო, ექსორიაქმნილი, და თავისი დასაყრდენი ძალებიც საქართველოს სამეფოს მაღალ წრეებში უნდა ეძებნა. ეს კი დიდებულთა გარკვეულ ნაწილს უქმნიდა შანსს ახალ ვითარებაში თავის გამოჩენისა და გავლენის სფეროთა გაფართოებისათვის.

იური ადნრიას ძე, რომელიც იმ ხანად ყივჩაღეთში იმყოფებოდა, საქართველოს, კერძოდ, თბილისის დიდვაჭრებისათვის, კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი. არ არის გამორიცხული, რომ მისი თამარისათვის ქმრად შერთვის საკითხზე რაიმე წინასწარი მოლაპარაკებაც ყოფილიყო გამართული იურისთან.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ თვით საქართველოს მეფე ჩანს ამ საქმის წინააღმდეგი. “ცხოვრება მეფეთმეფისა თამარისი” გადმოგვცემს თამარის პასუხს შეთავაზებულ წინადადებაზე: “კაცნო, ვითარ ღირს (არს) შეუტყობელი ესე ქმნად? არა ვიცით კაცისა ამის უცხოსა ქცევა და საქმე, არცა მჴედრობისა, არცა ბუნებისა, და არცა ქცევისა. მაცალეთ, ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე, განა სიდრკუე მისი”.

რუსი უფლისწულის ჩამოყვანის წინააღმდეგი ჩანს დიდებულთა ერთი ნაწილიც, რომლებიც “ვიეთნიმე დაღონებულობით” გამოიყურებიან ნებადაურთავი ქორწილის დანიშვნის შემდეგ. საინტერესოა თამარის მეორე ისტორიკოსის პოზიციაც. იგი ხაზს უსვამს, რომ თამარის სახლობის საკითხი დარბაზმა “ესე ვერა კეთილად განაგეს”. იგი უკმაყოფილოა სასიძოს ჩამოსაყვანად გაგზავნილი მოციქულის დონისა (აქ თბილისელი დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელია მხედველობაში) – “რამეთუ არცა კაცი იგი ღირსი საქმისა წარავლინეს”, ამასთანავე, “არცა მისსა მეცნიერ იყვნეს, რომელსა იგი მოიყვანებდეს”. ისტორიკოსი გვარიანობასა და შესახედაობას ვერ უწუნებს ჩამოყვანილ იური ანდრიას ძეს, თუმცა მაინც აღნიშნავს – “რამეთუ არარს მეცნიერ იყვნეს ჩვეულებისთჳს მისისა”.

ამრიგად, იური უფლისწულის საქართველოში ჩამოყვანა და თამარ მეფის ქმრად ხელდასხმა ქვეყნის მმართველი სოციალური წრეების გარკვეული, საკმაოდ მნიშვნელოვანი ჯგუფის გეგმით იყო ხორცშესხმული და მათ პოლიტიკურ ინტერესებს შეესაბამებოდა.

ბუნებრივია, სხვადასხვა სოციალური წრეების წარმომადგენლები თავისებურად ფიქრობდნენ ამ ახალი იარაღის (იური ანდრიას ძის საქართველოს სამეფო სახლში შესვლა) საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენებას.

თამარის ორივე ისტორიკოსი ერთხმად აღიარებს, რომ იური უფლისწულს ცუდი თვისებები აღმოაჩნდა. როგორც ისტორიკოსები გვაუწყებენ, თამარ მეფეს აღნიშნულის შესახებ დარბაზისათვის მოუხსენებია, რომელსაც მიუღია გადაწყვეტილება იური ანდრიას ძის საქართველოდან ექსორიაქმნის – გაძევების შესახებ. საქართველოდან განდევნილ რუს უფლისწულს ერთხანს კონსტანტინოპოლისათვის შეუფარებია თავი. აღნიშნული ფაქტი ქორწინებიდან ორიორნახევარი წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო. თუკი თამარისა და იური ადნრიას ძის ქორწინებას 1185 წლისათვის ვივარაუდებთ, მაშინ ყოფილი "მეფექმრის გაძევება" 1187-88 წწ. მომხდარა.

ამდენად, იმ დასმა (აბულასანი და სხვ.), რომელსაც იური ანდრიას ძე ეყრდნობოდა, ვერ შეინარჩუნა თავისი მაღალი, დაწინაურებული მდგომარეობა და მარცხი განიცადა. ეს, ბუნებრივიცაა, მათთან უფრო ძლიერი ფენის, ძლიერი მოწინააღმდეგის დაპირისპირების შედეგი იყო.

საგულისხმოა, რომ იური უფლისწულის საქართველოდან განდევნისა და აბულასანის (მან მეჭურჭლეთუხუცესის სახელო დაკარგა) გარკვეული მარცხის შემდგომ დასებს შორის ბრძოლა არ შეწყვეტილა. როგორც ჩანს, საქალაქო ზედაფენის წარმომადგენლები და მათზე მიმხრობილი სამეფისკარო პოლიტიკის უკმაყოფილო დიდგვაროვან ფეოდალთა ერთი ნაწილი თავიანთ საქმეს საბოლოოდ წაგებულად არ თვლიდნენ და კვლავ ცდილობდნენ დაკარგული მდგომარეობის მოპოვებააღდგენას.

სწორედ ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს იური ანდრიას ძის აჯანყება – მისი ბრძოლა საქართველოში კვლავ დამკვიდრებისათვის.

იური უფლისწულის საქართველოდან განდევნის შემდგომ (განსაკუთრებით თამარის დავით სოსლანზე დაქორწინების შემდგომ) საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკა დიდგვაროვანი ფეოდალების მიმართ თანამიმდევრული და მტკიცე გახდა, რამაც გარკვეული საფუძველი შეუქმნა მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო ფეოდალთა ნაწილს მოქალაქეთა ზედა ფენებთან – დიდვაჭარფინანსისტებთან ერთად ეფიქრათ რუსი უფლისწულის დაბრუნებაზე. საინტერესოა, რომ ისტორიული წყაროები აჯანყების ორგანიზატორთა შორის "მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალს" ასახელებენ. საფიქრებელია, რომ აჯანყების ორგანიზატორებსა და იური ანდრიას ძეს შორის გარკვეული წინასწარი შეთანხმება (ყოველი შემთხვევისთვის მოლაპარაკება) არსებობდა მეფისა და სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოქმედების გაშლის შესახებ. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ იური ანდრიას ძე, რომელიც საქართველოდან ექსორიაქმნის შემდეგ კონსტანტინოპოლში იყო, შემდეგ კარნუქალაქში აღმოჩნდა, სადაც იგი მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალს შეხვდა. როგორც ჩანს, მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი გარკვეულმა სოციალურმა ჯგუფმა (დასმა) გააგზავნა

მოციქულად კარნუქალაქს. ამდენად, იური ანდრიას ძე გამოემართა საქართველოსკენ კვლავ გარკვეული სოციალური წრეების მოწვევით.

საქართველოში ჩამოსულ იური ანდრიას ძეს "მიუდგეს იმიერნი, რათა რუსი სასახლესა შინა შეყვანილ ყონ". სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილი ეს აჯანყება, როგორც ჩვენს ისტორიოგრაფიაშია მიჩნეული, 1191 წელს უნდა მომხდარიყო.

ვინ არიან აჯანყებულთა რიგებში? ვინ ჩაიდინა "საქმე ყოველთა ძუელთა გინა ახალთაგან უბოროტესი?". თამარის პირველი ისტორიკოსი გარკვეული თანამიმდევრობით ჩამოთვლის მათ: გუზანი, კლარჯეთისა და შავშეთის პატრონი, ბოცო – სამცხის სპასალარი, ვარდან დადიანი – მსახურთუხუცესი ("ლიხთაქით პატრონი ორბეთის და კაენისა, ლიხთიქით ნიკოფსიამდის უცილობელად ქონებისა"). მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლისას ისტორიკოსი ვარდან დადიანს ბოლოს ასახელებს, იგი მაინც აჯანყებულთა ძირითად, ცენტრალურ ფიგურად უნდა მივიჩნიოთ. ჯერ ერთი, თავისი თანამდებობით იგი სხვა აჯანყებულ დიდგვაროვან ფეოდალებზე მაღლა დგას (თავისთავად ესოდენ მაღალი ხელის – მსახურთუხუცესობის მატარებელი პირის მეფის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოსვლა საგულისხმო მოვლენაა. აქ უთუოდ მეფესა და მსახურთუხუცესს შორის ურთიერთობის გამწვავებასთან უნდა გვქონდეს საქმე), ამასთანავე იგი თავისი მოქმედებით ყველაზე აქტიურია. სწორედ ვარდან დადიანმა მიიმხრო და "შეყარა" სვანეთი, აფხაზეთი, საეგრო, გურია, რაჭა, თაკვერი და არგვეთი და "აფიცა რუსისა გამეფებისა და მისის მეფეყოფისათჳს დიდებულნი და ლაშქარნი ქუეყანისანი". უფრო მეტიც, ვარდანმა ქვეყნის ლაშქარი გაგზავნა გუზანთან. აქედან რუს უფლისწულთან ერთად შეერთებული ძალით მეამბოხენი გადავიდნენ სამცხეში, სადაც მათ დახვდათ ბოცო სამცხის სპასალარი სხვა მესხ აზნაურებთან ერთად "და ვინცა მისი მიმდგომი იყო".

აჯანყებულებმა, როგორც ირკვევა, იური გეგუთს გადაიყვანეს და იქ მეფედაც კი გამოაცხადეს.

თამარ მეფე თავიდანვე არ ყოფილა მოსურვე აჯანყებულებთან შებმისა და ამ რთული საკითხის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა განუზრახავს. ამ მიზნით მას საგანგებო მოციქულებიც კი გაუგზავნია აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად. "... თევდორე პატრიარქსა და ანტონი ქუთათელსა... და სხუათა ეპისკოპოსთა გზავნიდის, ოდესმე შინაურსა ეჯიბსა და მესტუმრესა", მაგრამ, როგორც ჩანს, მეამბოხეები მყარად იდგნენ თავიანთ განზრახვაზე და მეფესთან მშვიდობიან შერიგებაზე არ დათანხმებულან.

ის პერიოდი, რომელიც მოლაპარაკებას დასჭირდა, თამარმა თავისი ძალების მობილიზებისათვის გამოიყენა.

როგორც ირკვევა, აჯანყებულები ორად გაიყვნენ. ერთმა ნაწილმა გადალახა ლიხის მთა, ააოხრა ქართლი და ნაჭარმაგევამდე და გორამდე მოვიდა. მეორე ნახევარმა "დადიანთა წინაძღომითა" (მხედველობაში ვარდან დადიანი უნდა იყოს – რ.მ.) გადაიარა რკინისჯვარი, ჩავიდა ციხისჯვარს, შემდეგ დაწვეს ქალაქი ოძრხე. აჯანყება თანდათან იზრდებოდა. ოძრხესთან შეყრილან ბოცო და მესხნი, "ვინცა იყვნეს მიმდგომნი მათნი". აჯანყებულებმა იციან ის ამბავი, რომ საქართველოს მეფეს გასდგომია "ქურდვაჭრისა იქით... ყოველი სომხითი: ივანე

ვარდანისძე, პატრონი გაგისა; მაყა, პატრონი კაიწონისა (კაენი თვით ვარდანისი იყო), სხუანი მის ქუეყანასა აზნაურისშვილნი”. ბუნებრივია, რომ ასეთი ფართო მასშტაბის აჯანყებაში დიდ ადგილს მოსახლეობის დაბალი ფენებიც დაიჭერდნენ, უშუალო ბრძოლისათვის მათი ძალა იქნებოდა გამოყენებული. მეამბოხეებს გადაუწყვეტიათ: “პირველად აღება ჯავახეთისა, თმოგჳსა და ახალქალაქისა, კუალად თრიალეთისა და სომხითისა”.

ბუნებრივია, საქართველოს სამეფო კარი გულხელდაკრეფილი არ დალოდებია აჯანყებულთა მოქმედებას. საგანგებო ბრძანება მიეცა ამირსპასალარს – გამრეკელს, “ოთხთა მხარგრძელთა და სხუათა თორელთა, ზემოთა და ქუემოთა, წასვლა და მიგებება წინა ქუეყანასა ჯავახეთისასა”. თამარის ლაშქარს ერთგულად დარჩენილი მესხებიც შეუერთდნენ. მოწინააღმდეგენი მტკვრის სხვადასხვა მხარეს დაბანაკდნენ, ხოლო შებრძოლება მოხდა “ჴიდსა ზედა”. მებრძოლები სიბნელემ გაჰყარა. როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ არ ჩანდა თუ ვის მხარეზე იხრებოდა გამარჯვების სასწორი. ბჭობა გაიმართა ორივე ბანაკში. მეამბოხეებს გადაუწყვეტიათ, უკან დაეხიათ და ციხესიმაგრეში გამაგრებულიყვნენ. სამეფო ლაშქარი დაედევნა მტერს. მეამბოხეები კვლავ შეეცადნენ გარიდებას. თმოგვსა და ერუშეთს შუა გაიმართა დიდი ომი. თამარმა სძლია მოწინააღმდეგეებს.

საჭირო იყო მეამბოხეთა მეორე ნახევრისთვისაც მიეხედათ. საქართველოს ლაშქარი გაემართა ქართლისაკენ, მაგრამ მათ ბრძოლა აღარ დასჭირდათ. გაუგიათ თუ არა ქართლში მყოფ მეამბოხეებს თავიანთ მოლაშქრეთა ნაწილის დამარცხება (“ამოწყუედა და გაქცევა”) ჯავახეთში, თვითონაც გაქცეულან (“მსწრაფლ იჴმიეს გარდავლა”). ამრიგად, ეს ბრძოლა აჯანყებულთა დამარცხებით დამთავრდა. მძიმე დღეში ჩავარდნენ ძლეული მეამბოხეები, რადგან “თამარსა ზედა ესე უსახური საქმე იკადრეს”. მძიმე განაჩენის მოლოდინში თავიანთი სრული მორჩილების ნიშნად “რომელნიმე მოვიდეს ყელსაბელ მობმითა”. ბევრმა პირდაპირ მისვლა და მორჩილების გამოცხადება ვერ გაბედა სასჯელის შიშით. მხოლოდ საგანგებო შუამავლობის შემდეგ (ამ შუამავლების პირით დიდებულები საქართველოს მეფის წინაშე ცოდვებს ინანიებდნენ და შენდობაპატიებას ეაჯებოდნენ) გადმოვიდნენ ლიხთიმერიდან დიდებულები და თან იური უფლისწულიც გადმოიყვანეს. გამარჯვებულ სამეფო კარს, ალბათ, გარკვეული მოსაზრებით, დიდი სისასტიკე არ გამოუჩენია დამარცხებულ მეამბოხეთა მიმართ. იური ანდრიას ძე სრულიად უვნებელი გაუშვიათ თამარის ბრძანებით. იგი კვლავ ბიზანტიაში წასულა, რაც შეეხება ამბოხების სხვა თავკაცებს, არც ისინი სჩანან ისე დასჯილი, როგორც ეს კანონით იყო გათვალისწინებული, თუმცა თანამდებობები კი ჩამოურთმევიათ. აჯანყების მოთავისათვის – ივანე ვარდანისძისათვის მსახურთუხუცესობა წაურთმევიათ და ეს საპატიო ხელი ივანე სარგისის ძისათვის უბოძებიათ. თამარის პირველი ისტორიკოსი ასახელებს სხვა “შეწყალებულებსაც”, ერთგულების გამოჩენისათვის დაჯილდოებულებს. მათ შორის არის ზაქარია ვარამის ძე, რომელსაც უბოძეს “გაგი ქურდვაჭრითა განძამდის მრავლითა საკუთარითა და მრავლითა სანახევროთა ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა”. სხვა ერთგული დიდებულებიც უხვად იქნენ დაჯილდოებული. გამრეკელის გარდაცვალების შემდეგ ამირსპასალაროზა ზაქარია მხარგრძელს ებოძა. თანაც მის სამფლობელოებს ქალაქი რუსთავიც მიუმატეს. მანდატურთუხუცესმა ჭიაბერმა დამატებით მიიღო “ჟინვანი, ქალაქი და ციხე,

მრავლითა მთიულეთითა”. სარგის ვარამის ძეს უბოძეს თმოგვი, დანარჩენებიც “შეიწყალნეს თვითოეულნი თჳსითა წესითა: რომელნიმე ახლად დალოცვითა, რომელნიმე მომატებითა”.

იური ანდრიას ძე ქვეყნის დასაკავებლად მეორედაც გამოჩნდა. ამჯერად ეს არანის მხრიდან მოხდა. კონსტანტინოპოლიდან წამოსულმა რუსმა უფლისწულმა შეჰყარა განძისა და არანის ლაშქარი და შემოიჭრა საქართველოში – კამბეჩანის მხარეში, დაარბია ეს მხარე და ნადავლიც ბევრი აიღო. ხორნაბუჯის პატრონი საღირ მახატლისიძე მცირე ლაშქრით დაედევნა მოწინააღმდეგეს, შეებრძოლა თავგანწირვით და დაამარცხა კიდეც. იური ანდრიას ძე სხვა გადარჩენილ მებრძოლებთან ერთად გაიქცა და “გარდაიხუეწა”.

“სვეუბედური რუსის” გაძევების შემდეგ ძლიერი საქართველო (“შვიდივე ესე სამეფო”) სამეფო ტახტის მომავალზე ფიქრობდა და თამარის უშვილობას სწუხდა.

რუსის გაძევების უმალ გამოჩნდნენ თამარის ქმრობის მსურველნი. ესენი იყვნენ სხვადასხვა ქვეყნების მეფეთა შვილები, ქრისტიანი და მუსლიმი უფლისწულები. ბევრი კანდიდატი ქმრობისა უარით გაისტუმრეს. თამარის პირველი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ თამარის ქმრობის მონატრულმა მუტაფრადინმა (“სალდუხის ძის ძემან”) მშობლების წინააღმდეგობის მიუხედავად, “დამგდებელმან მუჰამედისამან, სჯულისა ტკბილისამან” თავშეუკავებელი საქციელი ჩაიდინა – თვითონ მოვიდა საქართველოში, რომ საქმე თავათ გაერიგებინა. მას თან ახლდნენ მრავალი დიდებული, ხოჯაები და საჭურისები, მონები და მხევლები. მუტაფრადინმა მდიდრული ძღვენი ჩამოიტანა “თუალისა და მარგალიტისა, საჭურჭლეთა და ლართა თანა ავაზებისა და ტაიჭებისა სიმრავლითა”. ქმრობის კანდიდატი დიდებულებს პატივით მიუღიათ. იგი საქართველოში საკმაო ხანს დარჩენილა. ნადირობა და დროსტარება არ დაუკლიათ. თამარის ღირსად არ მიუჩნევიათ და “დაამხუეს ქედმაღლობა ტრფიალისა მისისა”. თამარის მაგიერ მუტაფრადინს შერთეს გიორგი III-ის უკანონო შვილი – “ერთი ხარჭთაგანისა ნაშობი, რეცა სახელდებული შვილად მეფისა”.

მუტაფრადინის გასტუმრების შემდგომ “რეცა დარბაზობისა სახედ” საქართველოში ჩამოვიდა აღსართან შირვანშაჰი, რომელიც თამარის ქმრობის ღირსად ჩათვლის შემთხვევაში “რჯულის დაგდების” მზადყოფნაში იყო. იგი დიდი ძღვენით ჩამოვიდა. პატივის მიგება არც აღსართანისთვის დაუკლიათ. თამარს კი მტკიცე პასუხი მიუცია: “კუალად აღარა შესძინედ ესე ვითართა თქმად”.

მეფე თამარის მოტრფიალე უცხოელ უფლისწულთა შორის ბერძენთა მეფის მანოელის შვილიცაა დასახელებული.

ზეპირსიტყვიერებამ თამარის ქმრობის მოსურნე კიდევ ბევრი უფლისწულის ამბავი შემოინახა...

“არა რომელთა მე გამომირჩიონ, გარნა რომელნი მე გამოვირჩივნე” – “ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის” ხაზგასმა “სახარების” ამ მცნებაზე რამდენადმე მიგვანიშნებს, რომ შვიდივე სამეფოს მესვეურებთან ერთად თვით საქართველოს მეფექალის სურვილით გადაწყდა მისი სახლობის საკითხი. “იყო სახლსა შინა დედოფლისა რუსუდანისსა მოყმე ეფრემის ძეთაგანი, რომელ არიან ოსნი, კაცნი მძლენი და ძლიერნი ბრძოლასა შინა”. თვით მეფისწულს ქართული

ნარატიული ძეგლები კეთილად მოიხსენიებენ: “მოყმე იყო ფერადნაკუთად კარგი, ბეჭბრტყელი, პირადტურფა და ტანად ზომიერი, ორთავე კერძოთა გუართაგან სახელმწიფო”. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით დავით სოსლანი ბაგრატიონთა ოსური შტოს წარმომადგენელი იყო. იგი დედის მხრიდანაც ენათესავებოდა მეფეს. გიორგი Iის შვილს დემეტრეს ანაკოფიაში დარჩა შვილი დავითი, რომელიც, როგორც ზემოთაც ითქვა, გაიქცა ოსეთში ბებია ალდესთან ერთად, სადაც იქორწინა ოსთა მეფის ასულზე და იწოდა ოსთა მეფედ. დავითს შეეძინა შვილი ათონი, ათონს – ჯადარონი, ხოლო ჯადარონს დავით სოსლანი.

თამარმა დიდუბის სასახლეში იქორწინა. ქორწილი გრანდიოზული და სანახაობრივად საინტერესო იყო. დავით სოსლანი ღირსეული ვაჟკაცი გამოდგა. მან მალე გაითქვა სახელი მშვილდოსნობასა და ცხენოსნობაში, ცურვასა და ასპარეზობაში. დავითი ღრმად განათლებულიც იყო.

ქორწინება 1189 წელს მოხდა; აქედან მოკიდებული, დავით სოსლანი მტკიცედ ჩადგა საქართველოს სახელმწიფოს სამსახურში და ღირსეულ მეუღლეობას უწევდა მეფე თამარს.

შემთხვევითი არ არის, რომ შოთა რუსთაველმა “ვეფხისტყაოსანში” ღვთის ხოტბის შემდეგ ქებით მიმართა თავის პატრონებს:

“ვის ჰშვენის, – ლომსა, ხმარება შუბისა, ფარშიმშერისა,

მეფისა მზის თამარისა, ღაწვბადახშ, თმაგიშერისა, –

მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა, შერისა,

ვისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ, მი, შერისა”.

აქ, როგორც ვხედავთ, რუსთაველი აქებს მეფეს, ღაწვბადახშოვან და თმაგიშეროვან მზეთამარს და მის ლომს, რომელსაც უხდებოდა ხმარება შუბისა და ფარშიმშერისა (ფარხმლის). ეპილოგში ეს ლომი უკვე საკუთარი სახელითაა (დავით) მოხსენიებული. ამდენად, თამარის ლომი მისი მეუღლე დავითია.

ამიერიდან მეფე თამარი და დავით სოსლანი შეთანხმებულად განაგებდნენ ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეებს: მათ მიზანსწრაფული მოქმედებითა და გონივრული მცდელობით ქვეყანაში მშვიდობიანი ცხოვრება დაამკვიდრეს, გადაჭრეს ბევრი საშინაო პრობლემა და საგარეო ურთიერთობების დამყარებაც მოხერხებულად მოაგვარეს.

მას შემდეგ, რაც იური ანდრიას ძე დამარცხებული “წარვიდა, მასვე მისსა სუეუბედურსა გზასა”, ქვეყნად მშვიდობა, სიხარული და ერთობა სუფევდა. “ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი” ამ ვითარებას ამაღლებულად გადმოგვცემს: “ერთბამად ძოვდეს ლომი და ხარი, და იხარებდეს ვეფხი თიკანთა თანა, და მგელი ცხუართა თანა. განდიდნა სახელი თამარისი ყოველსა ზედა პირს ქუეყანისასა, და ლაშქრობდა დავით ბრძანებითა და გამორჩევითა თამარ სუეალექსანდრიანისათა და იმარჯუებდა შეწევნითა ზეგარდმოთა”.

1191 წ. ამირსპასალარად დაინიშნა ზაქარია სარგისის ძე მხარგრძელი, რომელიც “ლორის პატრონი” იყო. მას თამარმა რუსთავიც მიუმატა. მანდატურთუხუცეს ჭიაბერს “მოუმატეს და

უბოძეს ჟინვანი, ქალაქი და ციხე, მრავლითა მთიულეთითა”. შეიწყალეს სარგის ვარამის ძე, იგი დალოცეს და უბოძეს თმოგვი. წირქუალელნი, ზარტიბისძენი, გრიგოლისძენი, ჭიაბერისძენი, მახატლისძენი, თორღასძენი – “შეიწყალნეს თითოეულნი თვისითა წესითა: რომელნიმე ახლად დალოცვითა, რომელნიმე მომატებითა”.

მემატიანე გულისტკივილით გადმოგვცემს, რომ გუზანმა თვისი ორგულობა გამოაჩინა – შაჰარმენთან წავიდა და თანაც საქართველოს ჩამოაცილა ტაოსკარი, ვაშლოვანი და სხვა ციხეები. მას ზოგიერთი სხვა (სამძივარი, მეღვინეთუხუცესი და სხვ.) ფეოდალიც მიემხრო. მოღალატეებმა კოლის მთას შეაფარეს თავი. მათ წინ მოეგებნენ ზაქარია ფანასკერტელი და “ძინიელნი, კალმახელნი, ყრმანი კარგნი და პატრონისაგან შეწყალებულნი”. მათ შეიტყვეს, რომ შაჰარმენის ლაშქრით მოსულა მოღალატე გუზანის შვილი, რომელსაც დედა და დაძმები უნდა წაეყვანა და ციხეებში კი თურქნი შეეყენებინა. მომხდურთა ლაშქარი მრავალრიცხოვანი იყო, რის გამოც ზაქარია ფანასკერტელსა და მის მცირერიცხოვან თანამებრძოლებს დაჭირვებული ომის გადახდა მოუხდათ. მათ გაიმარჯვეს, გუზანის ცოლშვილიც ხელთ იგდეს, ციხესიმაგრეებიც თავისად მიითვალეს.

საქართველოს სამეფოსთვის საზეიმო გახდა ტახტის მემკვიდრის დაბადება – 1192 წელს ტაბახმელას თამარმა “შვა ძე”, რომელსაც გიორგი დაარქვეს. გიორგის ლაშასაც (განმანათლებელს) უწოდებდნენ. მთელმა საქართველომ ზეიმით აღნიშნა მემკვიდრის დაბადება.

თავი XX. შამქორისა და ბასიანის ბრძოლები

თამარი ყოველმხრივ ცდილობდა მამის – გიორგი III-ისა და დიდი პაპის დავით აღმაშენებლის პოლიტიკის გაგრძელებას. ძლიერი და მოქნილი სამხედრო ძალა სამეფო კარს საშუალებას აძლევდა ხელთ ჰქონოდათ ინიციატივა და საკადრისად გამკლავებოდნენ თურქსელჩუკებს, საჭირო შემთხვევაში შეტევაზეც კი გადასულიყვნენ.

შევიწროებული სელჩუკები ერთიანდებიან და ბაღდადის ხალიფას სთხოვენ დახმარებას ქრისტიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ბრძოლას სათავეში აბუბექრი ჩაუდგა და დიდძალი ლაშქრით საქართველოს ყმადნაფიც შირვანს მიადგა. საქართველოს გარკვეული ვალდებულება ჰქონდა შირვანის მიმართ და როცა თხოვნაც მიიღო, თამარმა ლაშქრის შეკრების ბრძანება გასცა. ბრძოლა შამქორთან მოხდა 1195 წელს, 2 ივნისს. მეორე დღეს – 3 ივნისს ქართველთა ლაშქარმა შამქორი აიღო – “შამქორელთა ითხოვეს მშვიდობა და მონება”.

დავით სოსლანი შამქორიდან განძას წავიდა. მას წინ გამოეგებნენ დიდებულნი და დიდვაჭარნი, ყადი და მულიმნი” და ქალაქში შეუძღვნენ.

შამქორში ძლევამოსილმა გამარჯვებამ და განძის დაკავებამ ნათელი გახადა საქართველოს სამხედრო ძალის უპირატესი სიმძლავრე მახლობელ აღმოსავლეთში. კიდევ უფრო განმტკიცდა საქართველოს გავლენა ჩრდილო კავკასიის ხალხებზეც.

1196 წელს საქართველოს ამბერდი შემოუერთდა, 1199 წელს – ანისი. 1201 წელს ქართველებმა ბიჯნისი აიღეს.

საქართველოს სამხედრო წარმატებები შემაშფოთებელი იყო თურქული სამყაროსათვის. სწორედ ამიტომ საქართველოს ზეაღმავალი ძლიერების შესაფერხებლად მომზადდა ლაშქრობა, რომლის მოთავე რუმის სასულთნო იყო. სულთანმა რუკნადინმა შეკრიბა სხვადასხვა მუსლიმური ქვეყნების მოლაშქრეები და საომრად გაემზადა. რუკნადინმა საგანგებო მოციქული გაუგზავნა თამარს. მოციქულმა კადნიერი წერილი გადასცა საქართველოს მეფეს, თანაც "არასაკადრებელი სიტყვებით" მიმართა: "უკეთუ მეფემან თქუენმან დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმან ცოლად; და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულტნისა". ამ სიტყვის მოსმენის შემდეგ ზაქარია მხარგრძელმა ისე ძლიერ "უხეთქა ხელითა პირსა", რომ რუკნადინის ელჩი მკვდარივით დაეცა ძირს. მოსულიერებული ელჩისთვის კი უთქვამს: "თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენისა აღმოკვეთა იყო შენი სამართალი და მერმედა თავისა, კადნიერად კადრებისათვის".

სულთნის ელჩი პასუხის მოლოდინში კარგა ხანს გააჩერეს. ამასობაში თამარმა ლაშქარი შეკრიბა და გულმხურვალე დალოცვის შემდეგ ბასიანისაკენ გაუშვა. აქ სულთნის ჯარი იყო დაბანაკებული. როცა ქართველთა ლაშქარი ერთი დღის სავალზე მიუახლოვდა მტერს, მაშინ გაუშვეს სულთნის ელჩი და წერილიც გაატანეს რუკნადინთან.

1203 წელს გაიმართა ბასიანის ბრძოლა – "იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი". ქართული ლაშქრის საერთო ხელმძღვანელობას დავით სოსლანი ეწეოდა. ქართველებმა ძლევამოსილი გამარჯვება მოიპოვეს. მათ რუკნადინის მოკავშირე სულტნებიც დაატყვევეს. კოალიციური ლაშქარი პრაქტიკულად განადგურდა. ქართველმა მოლაშქრეებმა დიდძალი ალაფი ჩაიდგეს ხელთ.

გამარჯვებულ ლაშქარს თამარი ვარძიაში შეხვდა. თბილისში დიდი ზეიმი გაიმართა ბასიანის ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავად. ამ გამარჯვებით საქართველომ უზრუნველჰყო სამხრეთი საზღვრების სრული უსაფრთხოება.

ძლიერი საქართველოს სამეფოს გავლენის გავრცელება სამხრეთით დასრულდა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ტრაპიზონის სამეფოს შექმნით. თამარმა აქტიური საბრძოლო მოქმედებები აწარმოა შავიზღვისპირეთში და "წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამსონი, სინოპი, კერასუნდი, კოტიორა, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლაღონისა და პონტოსანი". სწორედ ამათგან შეიქმნა ერთი სახელმწიფო – ტრაპიზონის სამეფო, რომლის სათავეში თამარმა ჩააყენა ბაგრატიონთა ნათესავი ალექსი კომნენოსი: "მისცა ნათესავსა თვისსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილს, რომელი იყო მაშინ თვით წინაშე თამარ მეფისა შემოხვეწილი".

1185 წელს ბიზანტიის იმპერატორი ანდრონიკე კომნენოსი ტახტიდან ჩამოაგდეს და მოკლეს. სამეფო ტახტი ანგელოსთა საგვარეულოს წარმომადგენლებმა დაიკავეს. გადარჩნენ ანდრონიკეს შვილიშვილები, მანოელის ვაჟები – ალექსი და დავითი, რომლებმაც თავშესაფარი თამარის კარზე ჰპოვეს. სწორედ ეს – ალექსი კომნენოსი გახდა ტრაპიზონის იმპერიის მეთაური.

ტრაპიზონის იმპერია საქართველოს ქვეშევრდომი, მისი ყმადნაფიცი ქვეყანა იყო. მის არსებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთიდან ბიზანტიელთა და სამხრეთდასავლეთიდან რუმის თურქთა სასულთნოს შემოტევათა უკუსაგდებად.

საქართველოს წარმატებები საგარეოპოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად, კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა ქვეყნის საშინაო მდგომარეობაზე.

1207 წელს გარდაიცვალა დავით სოსლანი. დიდად იგლოვა საქართველოს სამეფომ: "იტირეს და იტყებდეს და დაუტყვეს მწუხარება ყოვლისა მკვიდროვანსა". დავით სოსლანსა და თამარს ორი შვილი ჰყავდა – ლაშაგიორგი და რუსუდანი. მამის გარდაცვალების შემდეგ ლაშაგიორგი თამარის თანამოსაყდრე გახდა.

თამარი აგრძელებს წარმატებულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას. 1210 წელს ქართულმა ლაშქარმა თავრეჟი (თავრიზი) აიღო; შემდეგ მიანა, ზენჯანი, ყაზვინი და რომგურამდე მივიდა. XIII ს-ის ათიანი წლების ბოლოს საქართველოს სამეფოს ყმადნაფიცები იყვნენ: ეზინკისა და ხლათის სასულთნოები, არზრუმის საამირო და სხვ. თურქული სამფლობელოები სამხრეთ კავკასიასა და სპარსეთის ადერბაიჯანში.

* * *

საქართველოს ძველთაგანვე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა კავკასიის მთიანეთისა და სამხრეთ კავკასიის მთისწინა ქვეყნებთან. საქართველოს მეფეები მჭიდრო სამხედროპოლიტიკურსა და კულტურულ ურთიერთობას ამყარებდნენ ჩრდილოეთის მეზობლებთან. ჩერქეზოსები და დურძუკღუნძები აქტიურად მონაწილეობდნენ კავკასიის ერთიანი დიდი ფეოდალური სამყაროს წარმოქმნაში და, ცხადია, ისინი ვერ დარჩებოდნენ იმ სამყაროს გარეთ, რომელიც ხსენებული პროცესის შედეგად საქართველოს მოთავეობით წარმოიქმნა.

თამარის მეფობის ბოლო პერიოდში იმიერკავკასიელი მთიელები საქართველოს მეფის ყმადნაფიცთა შორის იყვნენ და ერთიანი საქართველოს ძლიერ კულტურულ გავლენას განიცდიდნენ.

არაერთი ქართული სიტყვა შევიდა ჩრდილო კავკასიელი ხალხების ლექსიკურ ფონდში, გავრცელდა ქართული მწერლობა, ხშირია ქართული წარწერები, შეიმჩნევა ქართული სტილის გავლენა არქიტექტურაში.

საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის ურთიერთობაში ერთობ მნიშვნელოვანი მომენტია მცდელობა ამ უკანასკნელთა გაქრისტიანებისათვის. დიდოელებისა და ძურძუკების, ისე როგორც სხვა ტომების გაქრისტიანებისათვის ბრძოლა დაკავშირებულია თამარ მეფის სახელთან. დღესდღეობით სამეცნიერო ლიტერატურაში ეს დებულება სადავო არ არის. აღიარებულია, რომ "Активная деятельность христианской церкви в Дагестане связана с именем царицы Тамары, в правление которой предпринимались неоднократные попытки

христианизировать северокавказские народы” (История Дагестана, I, М., 1974, с.214). აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ ყოფილა დიდოელებისა და ფხოველების აჯანყება.

XII საუკუნის დასაწყისში (1212 წ.) დიდოელები და ფხოველები აჯანყდნენ. აჯანყება ქრისტიანიზაციისა და ფეოდალიზაციის პროცესმა გამოიწვია. თამარმა მთიელთა გამოსვლის ჩასახშობად საგანგებო ექსპედიცია გააგზავნა ივანე მხარგრძელის ხელმძღვანელობით. აჯანყებაში დიდძალი ხალხი მონაწილეობდა – “ურიცხვი კაცი დიდოი და ფხოვი”. სამეფო ხელისუფლებას სამი თვე დასჭირდა აჯანყების ჩასახშობად. ქართული ლაშქრისგან შევიწროებულმა მთიელებმა ზავი ითხოვეს, ერთგულების პირობა დადეს და ხარაჯა გაიღეს.

თავი XXI. სოციალურეკონომიკური მდგომარეობა

პოლიტიკურ წარმატებებთან ერთად XII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველო მკვეთრი ეკონომიკური აღმავლობის გზას დაადგა: დაწინაურებული იყო სოფლის მეურნეობა, რასაც ნათლად ადასტურებს იმდროინდელ საქართველოში არსებული მრავალი სარწყავი არხი. სარწყავი სისტემა და, შესაბამისად, სარწყავი ფართობები კარგ პირობებს ქმნიდა მარცვლეული კულტურების, მევენახეობისა და მეხილეობამებაღეობის განვითარებისათვის. ნიშანდობლივია, რომ მოსავლიანობის გაზრდა მხოლოდ სათესი ფართობების გადიდებით კი არ ხდებოდა, არამედ მეურნეობის ინტენსიფიკაციითაც, რაც სამეურნეო პროგრესის მაჩვენებელია.

მაღალგანვითარებულ სოფლის მეურნეობასთან ერთად დაწინაურებული იყო ხელოსნობაც, რაც, თავის მხრივ, ვაჭრობის განვითარების საფუძველს ქმნიდა. განვითარებული იყო საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის დაწინაურებამ საქალაქო ცხოვრების აღმავლობა განაპირობა. მეფე თამარის დროს ქალაქებს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდათ.

სოციალური თვალსაზრისით XII საუკუნეში (წინა XI საუკუნიდან მოკიდებული) გაგრძელდა ჯერ კიდევ შემორჩენილი თავისუფალი მიწის მუშაკთა ფენის შემდგომი ეკონომიკური დამორჩილება. გაქრა არსებითი განსხვავება “გლეხსა” და “ყმას” შორის. გლეხი დამაგრდა ფეოდალის მიწაზე და მის სასარგებლოდ ბეგარასა და სხვა სამსახურვალდებულებას იხდიდა.

XII საუკუნის საქართველოში ფართოდ იხმარებოდა სახვნელი იარაღი – გუთანი. ე.წ. “დიდი გუთანი” მაღალი განვითარების იარაღი იყო. იგი მეტნაკლები კონსტრუქციული ცვლილებებით საქართველოდან გავრცელდა კავკასიის ხალხებში, რომელთაც აქედან გადაიღეს თვით იარაღის სახელწოდებაც.

XII საუკუნის საქართველოს სოფლის მეურნეობაში გამოიყენებოდა ძველთაგანვე გავრცელებული ბარი, თოხი, ნიჩაბი, ნამგალი, ცული, სასხლავი დანები და სხვ. იარაღები. ამგვარი ინვენტარი, ძირითადად დგამჭურჭელთან ერთად, გლეხის ოჯახის საკუთრებას შეადგენდა. საქართველოში ბუნებრივი პირობების შესაბამისად გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის ტრანსპორტი. სხვადასხვა მასალის (მათ შორის ვარძიის ფრესკაზე მოცემული

გამოსახულება) საფუძველზე მტკიცდება, რომ XII ს-ის საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ორბორბლიანი ურემი.

XII - XIII საუკუნეების საბუთებიდან ჩანს, რომ სასოფლოსამეურნეო ტექნიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა წყლის წისქვილს. როგორც ჩანს, წყლის წისქვილი იმდროინდელ თითქმის ყველა სოფელს ჰქონია. ამასთან ერთად საოჯახო სახმარად გავრცელებული ყოფილა ხელის წისქვილები.

თამარის დროინდელ საქართველოში დიდი სარწყავი არხები და წყალსადენები იყო გაყვანილი ტირიფონის ველზე, რუისურბნისის მიდამოებში, მუხრანში, სამგორში, კახეთსა და გაღმა მხარეში.

ალაზნის ველის მორწყვას ისახავდა მიზნად თამარ მეფის დროს აგებული სარწყავი არხი, რომელიც სათავეს იღებდა სოფ. ალვანის პირდაპირ, მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, მიედინებოდა 119 კოლომეტრზე და, როგორც გამოანგარიშებულია, რწყავდა 53 000 ჰექტარ მიწის ფართობს (მაგისტრალური არხის გამტარუნარიანობა უდრიდა 24 კუბმ/წამში, ჰიდრომოდული – 45 ლიტრს წამში, არხის ერთი კილომეტრის სიგრძეზე მოსული მორწყული ფართობი – 445 ჰექტარს). იმავე ეპოქაშია აგებული სამგორის ველის ძველი სარწყავი არხი. სხვადასხვა ისტორიული ცნობებით დასტურდება, რომ მდინარე იორის მეშვეობით ირწყვებოდა სამგორის ველი. წყალსადენთა შორის თავისი განსაკუთრებული სისტემით გამოირჩეოდა ნადარბაზევის წყალსადენი.

XII ს-ის საქართველოში ტექნიკის მაღალ დონეს ზემოდასახელებულ ნაგებობათა გარდა თვალნათლივ ამტკიცებს ვარძიის, დმანისის, გეგუთისა და თბილისის წყალსადენები.

სარწყავი სისტემის ფართო ქსელის არსებობა მიწის ფართობის ინტენსიურად გამოყენების საშუალებას იძლეოდა (აქ გასათვალისწინებელია სხვადასხვა სახის მაღალი დონის სასოფლოსამეურნეო ინვენტარი, გამწევი ძალა და გადაზიდვის საშუალებებიც). სამეურნეო ფართობის გადიდებასთან ერთად სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია მოსავლიანობის გაზრდას განაპირობებდა. სრულიად ბუნებრივია, რომ ამ პერიოდის საქართველოში პურეული (იმ დროის საქართველოში სხვადასხვა სახის პური მოჰყავდათ) და პარკოსანი (ოსპი, ცერცვი, ხანდური და სხვ.) კულტურები უხვმოსავლიანი იყო. მევენახეობის და მეხილეობამებაღეობის განვითარებასაც ინტენსიური რწყვა უწყობდა ხელს.

საქართველოში (უპირატესად მთიან ზონაში) ძველთაგანვე განვითარებული იყო მეცხოველეობა. დაწინაურებული იყო როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა მესაქონლეობა.

ძველთაგანვე განვითარებული მევენახეობა XII საუკუნეში ახალ აღმავლობას განიცდის. მევენახეობამეღვინეობასთან დაკავშირებული სამეურნეო დანიშნულების ნაგებობაინვენტარისაგან ჩვენში მრავლადაა აღმოჩენილი და შესწავლილი XI - XIII სს. საწნახელები და სხვა ნივთები.

ფართოდ იყო გავრცელებული სამრეწველო დანიშნულების მქონე ტექნიკური მცენარეები: სელი, კანაფი და სხვ. სელის კულტურა ძველთაგანვე იყო განვითარებული და შემდეგშიც

ფეოდალური საქართველოს მეურნეობაში მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა. იგი თაფლთან და ცვილთან ერთად, რასაც დიდი რაოდენობით იძლეოდა განვითარებული მეფუტკრეობა, ცხოველი აღებმიცემობისა და საგარეო ვაჭრობის საგანი იყო. აღნიშნული პერიოდის საქართველოში მოჰყავდათ ბამბა და ბრინჯი. სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა განვითარებულ მებაღეობამებოსტნეობას.

XII საუკუნეში საქართველოში ინტენსიურად მისდევდნენ მეაბრეშუმეობას. აბრეშუმი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იწარმოებოდა და ქვეყნის გარეთაც გადიოდა საექსპორტოდ. მეაბრეშუმეობის ფართოდ განვითარებაზე მიანიშნებს საგლეხო გადასახადის – "საყაჭობოს" (აბრეშუმზე გადასახადი) არსებობა.

ხელოსნობა, ვაჭრობა.

თამარის ეპოქა მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის, საერთოდ საქალაქო ცხოვრების განვითარებაში. ამ პერიოდის ქალაქები ქვეყნის ან რეგიონის პოლიტიკურ და ამასთან ერთად სავაჭრო და სახელოსნო ცენტრებს წარმოადგენდნენ. ქალაქები დაინტერესებული იყვნენ ფეოდალური კარჩაკეტილობის ლიკვიდაციით და ყოველგვარად უჭერდნენ მხარს ქვეყნის გაერთიანებაცენტრალიზაციას.

XII საუკუნის საქართველოში საქალაქო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ცენტრები თბილისი და ქუთაისი იყო. დაწინაურებული იყვნენ ქალაქები: რუსთავი, ატენი, გორი, ჟინვანი, დმანისი, არტანუჯი, ახალქალაქი, ახალციხე, ბარალეთი, თმოგვი, ოლთისი, სამშვილდე, ოძრხე, ხუნანი, არტაანი, თუხარისი, ხორნაბუჯი, თელავი, ვარდციხე, შორაპანი, პეტრა, ბათუმი, ფოთი, ცხუმი, ბიჭვინთა, ნიკოფსი. ასევე იყო ქალაქური ტიპის დასახლებები – დაბები: მცხეთა, უჯარმა, ჭერემი, მანგლისი, აწყური, ლორე, ნაჭარმაგევი, გეგუთი, ბოლნისი, ჟალეთი, გაგი, ბოჭორმა და სხვ. აღნიშნული დასახლებები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში.

აღნიშნული პერიოდის საქართველოში დაწინაურებული ჩანს ხელოსნობის სხვადასხვა დარგი: მეთუნეობამეკეცეობა, მეჭურჭლეობა, მჭედლობა, კალატოზობა, დურგლობა, მეხამლეობა, ოქრომჭედლობა, მეპურეობა, მენელსაცხებლობა, წიგნების გადაწერა, აკინძვა და სხვ. ხელოსნობის სხვადასხვა დარგის ფართოდ გავრცელებასა და განვითარებას მოწმობს არა მარტო ისტორიული წერილობითი წყაროები, არამედ ამ პერიოდის ხელოსნობისა და მატერიალური კულტურის ძეგლები.

საქართველოს ქალაქებში, რომლებიც ხელოსნურ წარმოებასთან ერთად, სავაჭრო ცენტრებიც იყვნენ, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ ვაჭრებს. ისინი ხელოსნობის ნაწარმს ასაღებდნენ. ამასთან ვაჭრები საქალაქო ცხოვრების ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრაში მონაწილეობდნენ. ზოგჯერ მათ სახელმწიფო საქმეებსაც ანდობდნენ. საქართველოს ქალაქები აქტიურად მონაწილეობდნენ საგარეო ვაჭრობაშიც. ნიშანდობლივია, რომ XIXIII სს. დოკუმენტების მიხედვით მოხმარების თითქმის ყველა საგანი იყიდებოდა.

შუა საუკუნეების საქართველოს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა არაბებთან, ირანთან, ბიზანტიასთან, სომხეთთან, ეგვიპტესთან, ჩინეთთან, რუსეთთან და სხვ. ქვეყნებთან. მუსლიმური ქვეყნებიდან იმპორტის სახით შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის ქსოვილები, ნელსაცხებლები, შაქარი, ძვირფასი თვლები, ცხენის მოკაზმულობა, სხვადასხვა ძვირფასი ლითონები და სხვ. ბიზანტიიდან შემოჰქონდათ ქსოვილები ("ბერძნული"), ოქროქსოვილები, სამღვდელთმსახურო ნივთები და სხვ.

მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ექსპორტსაც. აქედან გაჰქონდათ სხვადასხვა სახის ქსოვილები – მატყლის, აბრეშუმისა და ბამბის ნაწარმი, კერამიკის ნივთები. ჩვენ უხვად გვხვდება უცხოური ფული (მონეტები) საქართველოში და პირიქით, ქართული ფული სხვა ქვეყნებში, რაც თავის მხრივ ცხოველ სავაჭრო ურთიერთობაზე მიუთითებს.

XII საუკუნის საქართველო მდიდარი იყო, ფულის კურსი – მტკიცე. ეს თავის მხრივ უზრუნველყოფდა ფულის მყარ და ინტენსიურ მიმოქცევას. აქტიური ფინანსური პოლიტიკა ეკონომიკის წარმატებით განვითარებას განაპირობებდა. ყოველივე ამას კი საქართველო პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მაღალ ასპარეზზე გაჰყავდა.

სამოხელეო წყობის ზოგიერთი საკითხი.

XII საუკუნეში (დავით IV აღმაშენებლიდან მოკიდებული) და XIII საუკუნის ათიან წლებში საქართველოს სამეფო კარზე ვაზირი მხოლოდ ერთი იყო – მწიგნობართუხუცესჭყონდიდელი. თამარის დროს საქართველოს სამეფოს მთავრობას "დარბაზის რიგის" მაღალი რანგის მოხელეები შეადგენდნენ, რომელთა სათავეშიც იდგა მეფის უპირველესი მოხელე – მწიგნობართუხუცესჭყონდიდელი. XIII საუკუნეში ვაზირი ეწოდებოდა უწყების გამგებელ სხვა უხუცესებსაც. საერთოდ ამ საუკუნის ათიან წლებში ეყრება საფუძველი სავაზიროს. ეს მოვლენა დაკავშირებული იყო ათაბაგის ინსტიტუტის შემოღებასთან. ათაბაგობის დაწესება მწიგნობართუხუცესჭყონდიდლის სახელოს წინააღმდეგ დიდებულთა ბრძოლის ლოგიკური შედეგი იყო.

მეფე თამარის ზეობის დროს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის თანამდებობა ეკავათ:

- ანტონ გნოლისთავისძეს 1178 - 1185 წწ.
- მიქაელ მირიანისძეს 1185 - 1190 წწ.
- ანტონ გნოლისთავისძეს 1190 - 1203/04 წწ.
- თეოდორეს 1205 წდან

თავისი უფლებრივი მდგომარეობით საქართველოს სამეფო კარზე მწიგნობართუხუცესჭყონდიდლის შემდეგ აპირსპასალარი იდგა. აპირსპასალარი საქართველოს ლაშქრის მთავარსარდალი იყო, განაგებდა მონასპას. ომის დროს სახელმწიფო დროშა მას ებარა. სავაზიროს სხდომაზე სამხედრო საქმეების განხილვისას მეფის შემდეგ პირველი სიტყვა მას ეკუთვნოდა. მეფედკურთხევის დროს ხმალს იგი არტყამდა მეფეს. აპირსპასალარობის არსებობა სავარაუდებელია დავით აღმაშენებლის დროიდან. წყაროებში პირველად გიორგი III-ის დროსაა

ნახსენები. XII საუკუნის ბოლო ოცწლეულსა და XIII საუკუნის პირველ ათწლეულში ამირსპასალარები იყვნენ:

- ყუბასარი 1178 - 1184 წწ.
- სარგის მხარგრძელი 1185 - 1187 წწ.
- გამრეკელი თორელი 1187 - 1189 წწ.
- ჭიაბერი 1190 წ.
- ზაქარია მხარგრძელი 1191 - 1212 წწ.

ამირსპასალართან თავისი პატივით გათანაბრებული იყო მანდატურთუხუცესი. იგი ფაქტობრივად მანდატურების უფროსი იყო და ხელმძღვანელობდა საპოლიციო უწყებას. მანდატურთუხუცესს ხელმწიფის კარზე წესრიგის დაცვა და სხვა ადმინისტრაციული ფუნქციები ევალებოდა. მანდატურთუხუცესის საგანგებო სამოხელეო ნიშანი იყო ე.წ. სამანდატურო არგანი (ოქროს ჯოხი). იყო შემთხვევები, როცა მანდატურთუხუცესის და ამირსპასალარის თანამდებობებს ერთი პირი ფლობდა. ასე მაგალითად, მეფე თამარის დროს ყუბასარი იყო ამირსპასალარიცა და მანდატურთუხუცესიც, ასევე ორივე სახელოს ფლობდა ჭიაბერი და ზაქარია მხარგრძელი.

მეფე თამარის დროის მანდატურთუხუცესები:

- ყუბასარი 1178 - 1184 წწ.
- ჭიაბერი 1185 - 1195 წწ.
- ზაქარია მხარგრძელი 1195 - 1202/03 წწ.
- შალვა ახალციხელი 1202/03 - 1215 წწ.

“დარბაზის რიგის” მოხელეთა შორის მეოთხე ადგილზე იყო მეჭურჭლეთუხუცესი. ქართულ ნარატიულ წყაროებში ეს ტერმინი XII საუკუნიდან ჩნდება, მაგრამ თვით სახელო, როგორც “ხელმწიფის კარის გარიგება” მიუთითებს, უძველესია ქართული ფეოდალური მონარქიის თანამდებობათა შორის. მეჭურჭლეთუხუცესი განაგებდა საჭურჭლეს, რომელშიც ფულთან ერთად სახმარი და სახარჯო ქონება ინახებოდა. მეჭურჭლეთუხუცესს ჰყავდა მოადგილე (“საჭურჭლის ნაცვალი”). მეჭურჭლეთუხუცესს ემორჩილებოდნენ საჭურჭლის მუქიბი (იყო საღვინის, საჭურჭლის და საგანმგეოს მუქიბები, რომლებიც სამეურნეო მოხელეები ჩანან “ხელმწიფის კარის გარიგებისა" და სულხანსაბა ორბელიანის განმარტებით) და მუშრიბი (ბაჟისა და გადასახადის აკრეფის ზედამხედველი). როგორც ფინანსთა მინისტრს, მეჭურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდნენ “ძველი ქალაქნი, ვაჭარნი, სავაჭრო” და “ქალაქის ამირანი”. მეჭურჭლეთუხუცესს ჰქონდა სამოხელეო ბეჭედი. არ გამოირიცხებოდა, რომ მას ერისთავთერისთავის, სპასალარის ან სხვა თანამდებობაც ჰქონოდა.

მეჭურჭლეთუხუცესები (XII საუკუნის 80-იანი წლებიდან XIII საუკუნის 10-იან წლებამდე):

- ყუთლუარსლანი 1178 - 1185 წწ.
- კახაბერ ვარდანისძე
- აბულასანი 1185 - 1188 წწ.
- შოთა

- შალვა ახალციხელი 1188 - 1202/02 წწ.
- ოვსიყმა 1202/03 - 1220 (დაახლ.) წწ.

მეჭურჭლეთუხუცესის შემდეგ "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" მოიხსენიებს მსახურთუხუცესს. თამარის მეფობის წინა ხანაში მსახურთუხუცესი ერთერთი უკანასკნელთაგანი უნდა ყოფილიყო მოხელეთა შორის. თამარის ისტორიკოსი, გიორგი IIIის გარდაცვალების დროს, მას ჩუხჩარხისა და მეჯინიბეთუხუცესის შემდეგ და ამირახორის წინ იხსენიებს. მსახურთუხუცესის თანამდებობის აღზევება მეფე თამარის დროს დაიწყო, თანდათან გაძლიერდა და რუსუდანის დროს (12221245 წწ.) სავაზიროს წევრიც გახდა. მსახურთუხუცესის ფუნქციები სამ სფეროს – სალაროს, მეფის საწოლისა და მისსავე კერძო მეურნეობას მოიცავდა.

მეფე თამარის დროს მსახურთუხუცესის თანამდებობას ფლობდნენ შემდეგი პირები:

- აფრიდონი 1178 - 1184 წწ.
- ვარდან დადიანი 1185 - 1191 წწ.
- ივანე მხარგრძელი 1191 - 1212 წწ.

თამარ მეფეს, როგორც ზემოთაც აღინიშნა, შესაძლებლად ჩაუთვლია ათაბაგის ინსტიტუტის შემოღება და ეს ხელი ივანე მხარგრძელისათვის უბოძებია: "ყოცა მეფემან და უბოძა ათაბაგობა".

ივანე მხარგრძელის მიერ მიღებული ათაბაგის თანამდებობა, როგორც აღვნიშნეთ, მკვეთრად განსაზღვრული შინაარსითაა. იგი მეფის მემკვიდრის მეურვედ უნდა ჩაითვალოს და, როგორც ჩანს, რანგიც სამოხელეო წყობაში განსაზღვრული აქვს. "ჴელმწიფის კარის გარიგებაში" ათაბაგი ჭყონდიდელმწიგნობართუხუცესის შემდეგ იხსენიება და ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესს უთანაბრდება პატივით. ათაბაგი "დიდი და საპატიო" მოხელეა. მეფის მიერ მოწვეული საგანგებო თათბირების დროს ათაბაგის ადგილი განსაზღვრულია "ჭყონდიდელს ქვემოთ" ამირსპასალართან ერთად.

თამარის მეფობის დასასრულს თანდათან გამოიკვეთა და არსებითად ჩამოყალიბდა ახალი ვაზირის (ათაბაგის) თანამდებობა, რამაც დასაბამი მისცა ჭყონდიდელმწიგნობართუხუცესის სახელოს ერთგვარ დაქვეითებას და წანამძღვრები შეიქმნა სრულყოფილი სავაზიროს ჩამოყალიბებისათვის.

ამგვარად, თამარის მეფობის ბოლო წლებში სამეფო ხელისუფლების ერთგვარი შესუსტების ტენდენცია შეიმჩნა, რისი გამოსწორებაც ლაშაგიორგიმ სცადა და აქტიური ღონისძიებებიც გაატარა. ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების სიძლიერეს, ისე როგორც საერთოდ ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ წინსვლას, გარკვეული დროით შემაფერხებელი ზღვარი ხვარაზმელებისა და მონღოლების შემოსევებმა დაუდო.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრები.

1188 წელს გელათისადმი გაცემულ შეწირულების სიგელში მეფე თამარი ასე წარმოგვიდგება: "ქ.სახელითა ღმრთისაითა მე, თამარ ბაგრატუნიანმან, ნებითა ღმერთისაითა აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფემან და დედოფალმან, შარვანშა და

შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუითმფლობელმან ვინებე...". ქართველ მეფეთა ტიტულატურების შინაარსი მეტად მნიშვნელოვანია. იგი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, კერძოდ, მფლობელობის არეზე (საზღვრებზე). ზემომოტანილ ტიტულატურაში სწორედ ქართველი მეფის მფლობელობაში მყოფი ქვეყნებია ჩამოთვლილი: აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა (ტაშირზორაკერტი), შარვანშა (შარვანი) და შაჰანჰა (შირაკის სამეფო) – აქ შვიდი სამეფოა ჩამოთვლილი, რომელიც მეფე თამარის გამგებლობაში შემოდიოდა. ნიშანდობლივია, რომ ქართულ წყაროებში არაერთგზისაა სწორედ "შვიდი სამეფო" მოხსენიებული და არაფერია უჩვეულო, რომ მეფე თამარის ტიტულატურა და ისტორიული წყაროების ("ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი") მონაცემები ერთამანეთს თანხვდება.

სრულიად საქართველოს მეფის თამარის ტიტულატურაში რეალურად აისახა XII საუკუნის მიწურულისა და XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს პოლიტიკური სიძლიერე და გეოგრაფიული სიდიდე. მართლაც ამ დროს საქართველო ვრცელი და მრავალეროვანი სახელმწიფოა, რომელშიც საკუთრივ ქართული ტერიტორიების გარდა სხვა მიწებიც შედიოდა და არაქართული მოსახლეობაც მრავლად იყო. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სახელმწიფო, სამეფო კარი დაპყრობილი თუ შემოერთებული ქვეყნების მიმართ ცალხაზოვან პოლიტიკას არ ატარებდა. აქ მრავალი პოლიტიკური ფაქტორი მოქმედებდა, დიდი ადგილი ეკავა დიპლომატიასაც. მეფე თამარის შორსმჭვრეტელური პოლიტიკის (ეს არც მის წინამორბედ მეფეებს აკლდათ) წყალობით, საქართველოს სახელმწიფო ზოგ ქვეყანას უშუალოდ იერთებდა – "სამეფოდ იჭერდა". ეს უპირატესად იმ შემთხვევაში ხდებოდა, როცა დაპყრობილ ან შემოსაერთებელ ქვეყანაში ქრისტიანული მოსახლეობა სჭარბობდა. ამ ქვეყანაში მმართველობის ისეთივე სისტემა მყარდებოდა, როგორიც თვით საქართველოს სახელმწიფოში იყო. ის ქვეყნები, სადაც მოსახლეობა არაქრისტიანი, უპირატესად მუსლიმური სარწმუნოების მიმდევარი იყო, საქართველოს სახელმწიფოსთან სხვა დამოკიდებულებაში იყვნენ. ეს უკანასკნელი არჩევდა, რომ ასეთი ტიპის დამოკიდებული ქვეყნები "ყმადნაფიცობის" პირობით ყოფილიყვნენ სახელმწიფოსთან, ე.ი. საქართველოს მეფესთან ვასალური დამოკიდებულება ჰქონოდათ. ამასთან ეს ქვეყნები გარკვეული ოდენობის ხარკს უხდიდნენ საქართველოს. საკუთრივ მოხარკე ქვეყნებიდან საქართველოს სამეფო კარი ზოგისგან ერთდროულად იღებდა ხარკს, ზოგისგან კი რეგულარულად.

XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს მოხარკე და ყმადნაფიცი ქვეყნები მეტი ჰყავდა, ვიდრე "სამეფოდ დაჭერილი", შემოერთებული მიწები.

ქვეყნების "სამეფოდ დაჭერა", ე.ი. მიწების უშუალოდ საქართველოს საზღვრებში მოქცევა– შემოყვანა ინტენსიურად დავით IV აღმაშენებლის დროს დაიწყო XII საუკუნის პირველ მეოთხედში და შემდგომ ხანაში კიდევ უფრო გაფართოვდა. XIII საუკუნის დასაწყისისათვის "სამეფოდ დაჭერილ" მიწათა რიგში იყო შირვანის დასავლეთი ნაწილი და ჩრდილოეთი სომხეთი.

როგორი იყო სასაზღვრო ხაზი, რომელიც საქართველოსა და მასზე უშუალოდ შემოერთებულ არაქართულ ტერიტორიებსა და ყმადნაფიც ან მოხარკე ქვეყნებს შორის გადიოდა?

“ჩავჰყარე ზღვაში სამნები

ხმელეთი ჩემსკენ მავიგდე” –

ხმამაღლა აცხადებს ერთ ხალხურ ლექსში მეფე თამარი. მართლაც ფართო, ვრცელი იყო თამარის დროის საქართველო. საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთის საზღვარი ჟამთააღმწერლის მიხედვით, ჩაღანუსუნზე ანუ თეთრ წყლებზე გადიოდა. თეთრი წყლის აღმოსავლეთით საქართველოს ყმადნაფიცი შირვანი მდებარეობდა. არსებობს ჟამთააღმწერლის სხვა ცნობა, რომელიც კიდევ უფრო აზუსტებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარს აღმოსავლეთით – რომ ეს საზღვარი გადიოდა თეთრ წყალსა და შამახიის მთის ძირას (თეთრი წყალი შამახიას მთის დასავლეთ ფერდობს ჩამოუდის). საკუთრივ საქართველოს ეთნიკური საზღვარი კი უფრო დასავლეთით – გიშის წყალზე გადიოდა. ადგილს, რომელიც საქართველოს სახელმწიფო და ეთნიკურ საზღვრებს შუა იყო, ყაბალა ერქვა.

მთელი დასავლეთი საქართველო სრულიად საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. ასე რომ, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი დასავლეთით შავ ზღვამდე აღწევდა.

სამხრეთი საზღვარი აღწევდა კარნუ ქალაქამდე. “ყოველი სომხითი” ქურდვაჭრის იქითა (აღმოსავლეთი) მხარეა (ბასილი ეზოსმოძღვარი), რომელშიც იგულისხმება კაენისა (მდ. აღსტევის ხეობაში) და კაიწონის (მდ. ქურდვაჭრის – დებედის მარჯვენა მხარეს) ციხეები. უფრო რომ დავაზუსტოთ, ესაა გარდაბანი, ე.ი. ტერიტორია, რომელიც ქურდვაჭრის (მდ. დებედა) ხევსა და მდ. აღსტევს შორის მდებარეობდა (ჟამთააღმწერელი). შამქორის მიმდგომი ქვეყანა საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთით მდებარე საზღვრისპირა მხარე ყოფილა. ამ მხარეში ნაგულისხმევია გელაქუნის ტბასა და მდ. მტკვარს შორის მოქცეული ტერიტორია.

საერთოდ, საქართველოს სამხრეთი საზღვარი ჩანს მდ. რახსი და ნახჭევანი (“ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი”).

თამარის დროინდელი საქართველოს სამხრეთდასავლეთი საზღვარი სპერია (“ჯავახეთით სპერამდის”). აღმოსავლეთით მეფე თამარის მიერ “დაჭერილი” ტერიტორია გაგსა და განძას შორის მდებარეობდა. გაგი მდ. დებედის ქვემო წელზე მდებარე ციხეა. ამგვარად, მდ. დებედა ჩანს ის სამანი, რომლის სამხრეთითა და აღმოსავლეთით თამარის მიერ შემოერთებული მიწებია. ამ ტერიტორიის უკიდურესი მიჯნა აღმოსავლეთით არის განძა (განძის საათაბაგო, რანი), სამხრეთით – მდინარე არეზი ანუ რახსი, ხოლო სამხრეთდასავლეთით – ჭოროხის ზემო წელზე მდებარე პროვინცია – სპერი (სპერი და მისი მიმდებარე ჭანეთი მეფე თამარის მიერ დაარსებულ ტრაპიზონის იმპერიაში შედიოდა).

XIII საუკუნის ათიანი წლების საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი გადიოდა კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ და საკუთრივ ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილი (დვალეთი, ხევი, თუშეთი) უშუალოდ სამეფოში შემოდიოდა. ჩრდილოდასავლეთით უკიდურესი წერტილი

ნიკოფსი იყო, ჩრდილოაღმოსავლეთით კი – შამახიის მთა. კავკასიონის (ე.ი. საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის) მიღმა მდებარეობდა საქართველოს ყმადნაფიცი (ვასალური) ქვეყნები: ქაშაგეთი, ოვსეთი, დურძუკეთი, დიდოეთი, ღუნძეთი, ლეკეთი, დარუბანდი. საქართველოს ყმადნაფიცები იყვნენ აგრეთვე აღმოსავლეთი შირვანი და რანი.

საქართველოს ხარკს უხდიდნენ: ხლათის სასულტნო, ერზინკის სასულტნო, კარნუქალაქის საამირო, ნახჭევანის საამირო (ქართული ნარატიული ძეგლების გარდა, ამას ადასტურებს არაბი იბნ ალასირიც).

რაც შეეხება ტრაპიზონის სამეფოს – ეს იყო თამარის მიერ შექმნილი, საქართველოს სახელმწიფოს გავლენის სფეროში მყოფი იმპერია. მისი დამოკიდებულება საქართველოსთან განსაკუთრებული იყო.

ამგვარად, XII - XIII საუკუნეების მიჯნის საქართველო ვრცელი ქვეყანა იყო. მისი საზღვრები შორს იყო გადაჭიმული და რეალურად მეტყველებდა სახელმწიფოს ძლიერებაზე. შემთხვევითი არ არის, რომ ხალხმა დიდი იმპერიის მპყრობელად წარმოგვიდგინა სახელოვანი მეფე:

“პონტოს ზღვით გურგანის ზღვამდე,

ამერნი ხაზარეთამდე,

თვით გელაქუნი ჩრდილო კერძ,

მპყრობელი სულ ყივჩაყამდე”.

“ცხოვრება მეფეთმეფისა თამარისის” ავტორმა ბასილი ეზოსმოძღვარმა ხმამაღლა განაცხადა, რომ წინაპართა მიერ დატოვებული ტერიტორია მეფე თამარმა ერთი ორად გაზარდაო და დაასკვნა: “გარნა ლომი ბრჭალთაგან საცნაურ არს და თამარ საქმეთაგან”.

თავი XXII. XI - XII სს. კულტურა

XI - XII სს. ერთიანი და ეკონომიკურად ძლიერი ფეოდალური საქართველოს წინსვლა მის განათლებაკულტურაშიც გამოიხატა. საქართველოში მოხდა ქრისტიანული (ბიზანტიური) და მუსლიმური კულტურების შეხვედრაშერწყმა.

XI - XII საუკუნეები საერო ლიტერატურის განვითარებითა და აგრეთვე ქართული მხატვრობის, ჭედური ხელოვნებისა და არქიტექტურის აღმავლობით აღინიშნა. ქართული საერო ლიტერატურის განვითარება ქართული ფეოდალური ერის კონსოლიდაციის უდავო მოწმობა იყო. აღნიშნული პერიოდის ქართული ხელოვნების (მხატვრობა, ჭედურობა, ხუროთმოძღვრული ძეგლები) დონე ქართველთა მყარი ერთობის თვალნათელი მაჩვენებელია.

განათლება.

ქვეყნის მაღალ კულტურას განსაზღვრავდა სწავლააღზრდის საქმე, რაც იმდროინდელ საქართველოში ფრიად დაწინაურებული იყო. სკოლები ძირითადად ეკლესიამონასტრებთან

არსებობდა. სწავლააღზრდის სისტემას ფაქტობრივად ქრისტიანული იდეოლოგია განსაზღვრავდა. თუნდაც ის ფაქტი, რომ მეოთხე საუკუნეში ფოთის მახლობლად არსებობდა კოლხეთის რიტორიკული სკოლა, სადაც ქართველ ახალგაზრდებთან ერთად უცხოელებიც იღებდნენ განათლებას და სადაც სწავლება, როგორც ვარაუდობენ, ქართულ და ბერძნულ ენებზე მიმდინარეობდა, ჩვენში სწავლაგანათლების ძველი ტრადიციების აშკარა დასტურია. ალბათ ეს სკოლა ერთადერთი არ იყო საქართველოში. საქართველოში რიტორიკული სკოლების გვერდით სხვადასხვა ქალაქებში უსათუოდ იქნებოდა დაწყებითი საფეხურის სკოლებიც. არ არის შემთხვევითი, რომ მაგალითად ოპიზის, ოშკის, შატბერდის, ბერთას, ხანძთის და სხვ. მონასტრებთან ხშირად გვხვდება შენობები, რომლებიც აქვე არსებული სკოლებისათვის (სემინარიებისათვის) იყო განკუთვნილი.

XI - XII საუკუნეების საქართველოში ეკლესიამონასტრებთან არსებული სკოლები ოფიციალური სახისა იყო, სადაც ასწავლიდნენ თეოლოგიას, ჰიმნოგრაფიას, ლიტურგიკას, ისტორიას და ქართულ მწიგნობრობას. ამასთან ერთად გავრცელებული იყო კერძო (საშინაო) სწავლება სამეფო კარისა და დიდგვაროვან ფეოდალთა ოჯახების შვილებისათვის.

დიდი ტაძრები არა მარტო საკულტოსამონასტრო დანიშნულებისა იყო, არამედ სასწავლოსასკოლო ცენტრებსაც წარმოადგენდნენ.

XI - XII სს. საქართველოში სასკოლო განათლების დაწინაურების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბიზანტიური განათლების სისტემის ახლო გაცნობამ. ბევრმა ქართველმა მიიღო განათლება ბიზანტიის სკოლებში, ზოგი მათგანი კი შემდგომ დიდ მოღვაწედ მოგვევლინა (მაგ., ეფრემ მცირე). გიორგი მთაწმინდელმა 80 ქართველი ყმაწვილი წაიყვანა ბიზანტიაში განათლების მისაღებად და ივერთა მონასტერში სამსახურისათვის.

ფრიად განსწავლული მეფე დავით IV აღმაშენებელი რეალურად ფიქრობდა ერის განათლებაზე. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია სომეხ მემატიანეს ვარდან ბარძმერდეცს, რომელიც აღნიშნავს, რომ დავითი "ძლიერ ზრუნავდა ცოდნისმოყვარე ივერიის ხალხზე". ცოდნის მიღების მიზნით საქართველოს მეფეს ორმოცი ბავშვი აურჩევია და საბერძნეთში გაუგზავნია, "რათა ესწავლათ ენები, შეესრულებინათ თარგმანები და ჩამოეტანათ, რაც მათ გააკეთეს კიდევაც. სამი ამათგანი შემდეგში ცნობილი გახდა თავისი მოღვაწეობით".

დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოში, როგორც ჩანს, არაერთი სკოლა და აკადემია იყო, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი გელათს უკავია. დავით აღმაშენებელმა 1106 წელს დააარსა ტაძარი, რომელიც იყო "აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა", განთქმული თავისი "სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმართლითა, და მოქმნულობისა შეუსწორებლობითა". ეს იყო გელათი, სადაც დაფუძნებული იქნა ქართული განათლებისა და კულტურის მნიშვნელოვანი კერა – გელათის აკადემია. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გელათს უწოდებს "ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად...". როგორც ჩანს, გელათი საეროფილოსოფიური და სასულიერო განათლების მნიშვნელოვანი კერა გახდა.

უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო გელათის აკადემიის სათანადო კადრებითა და მატერიალური ბაზით უზრუნველყოფა. საქართველოს მეფე სწავლულმეცნიერებს ეძებდა არა მარტო თავის სამეფოში, არამედ "ქუეყანისა კიდეთად". დავით აღმაშენებელი მაღალი კრიტერიუმებით უდგებოდა სწავლულთა შერჩევას. "სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციელთა სათნოებითა აღსავსეობა". მეფემ გამოძებნა და "შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკული ყოვლითა სათნოებითა". გელათის აკადემია დაარსებულა 1106 - 1110 წლებში, ე.ი. ტაძრის მშენებლობის გასრულებამდე. გელათის ტაძრის მთელი კომპლექსი დემეტრე პირველის დროს დასრულდა.

გელათის აკადემია განვითარებული ფეოდალიზმის ხანის პირველი აკადემიაა; იგი რეალური მოთხოვნილების ნიადაგზე შეიქმნა და უწინარა იმ იდეოლოგიურ მოძრაობას, რომელიც გზას უკაფავდა ქართულ რენესანსს.

XII საუკუნის ათიან წლებში მოსულა გელათის აკადემიაში სამოღვაწეოდ იოანე პეტრიწი. იგი დავით აღმაშენებელს მოუწვევია. იოანე პეტრიწიც მინდობია საქართველოს მეფეს და მთელი ძალით შესდგომია მოღვაწეობას. 1114 წელს გელათის აკადემიაში მოღვაწეობა დაიწყო ქართველმა სასულიერო მოღვაწემ, ფილოსოფოსმა, მწერალმა და ჰიმნოგრაფმა არსენ იყალთოელმა. წყაროებში არსენი ვაჩესძედაა მოხსენიებული. იგი წარმოშობით იყალთოდან ყოფილა, განათლება ბიზანტიაში მიუღია (მისი მასწავლებლები იყვნენ მიქაელ ფსელოსი და იოანე ნომოფილაქსი); ერთხანს შავ მთაზე მოღვაწეობდა ეფრემ მცირის ხელმძღვანელობით. არსენ იყალთოელი თეოფილე ხუცესმონაზონთან და იოანე ტარიჭისძესთან ერთად ჩამოსულა საქართველოში და გელათის აკადემიაში დაუწყია მოღვაწეობა. აქვე უთარგმნია მას "დიდი სჯულისკანონი".

გელათის აკადემიაში მოღვაწეობდნენ ქართული მეცნიერებისა და კულტურის ყველაზე უფრო გამოჩენილი პირები, რამაც მისი, როგორც უმაღლესი კულტურული და სასწავლო კერის, მნიშვნელობა უაღრესად გაზარდა და ფრიად ავტორიტეტული გახადა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მსგავსად (იგი იერუსალიმსა და ათინას ადარებდა მას) გამოჩენილი ქართველი მოღვაწე, პოეტი იოანე შავთელი მაღალ შეფასებას აძლევს გელათს და რომსა და ელადას ადარებს თავის პოემაში "აბდულმესიანი".

გელათის აკადემიას, როგორც წყაროებიდან ჩანს, მოძღვართმოძღვარი ხელმძღვანელობდა, რომელიც, ბუნებრივია, მეტად განათლებული და ამასთან პატივცემული პირი იყო.

გელათის აკადემიის ისტორიის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისი შენობის ნაშთებს. ასეთადაა მიჩნეული მონასტრის ეზოში უზარმაზარი გრძელი დარბაზის ნანგრევები ფანჯრის კამარებით. დადასტურდა, რომ ეს შენობა, რომელიც დარბაზებისა და ოთახებისაგან, ამასთან სპეციალური დანიშნულების სათავსოებისაგან (საჯდომები მსმენელთათვის, კათედრა მოძღვართათვის, თახჩები სახელმძღვანელოებისათვის, დიდი ფანჯრები, ცალკე შესასვლელი) შედგებოდა, საერო ხუროთმოძღვრების ძეგლია. გელათის აკადემია, როგორც ჩანს, უზრუნველყოფილი იყო მდიდარი მატერიალური ბაზითაც.

გელათის აკადემიაში, ისე როგორც იმდროინდელი ბიზანტიის სქოლასტიკურ უმაღლეს სკოლებში, ისწავლებოდა მეცნიერების შვიდი ძირითადი დარგი: გრამატიკა, ფილოსოფია, რიტორიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა და ასტრონომია.

ამ პერიოდის საქართველოში კულტურულსაგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრები, გელათის გარდა, სხვაც იყო. უმაღლესი სასწავლებელი იყო იყალთოში – იყალთოს აკადემია. ეს დასტურდება მონასტრის ეზოში შემორჩენილი შენობის ნანგრევებით, რომლებიც საერო ნაგებობისა უნდა იყოს. ნანგრევებში ჩანს თახჩაფანჯრები, კათედრის ფუძე და სხვ. იყალთოს აკადემიის დამაარსებელი და მისი პირველი ხელმძღვანელი (რექტორი) იყო არსენ იყალთოელი, რომელიც XII საუკუნის ოციან წლებში გელათიდან იყალთოში წასულა.

უმაღლესი სწავლების სხვა კერებიდან გადმოცემა გრემს ასახელებს.

ცხადია, ფეოდალური საქართველოს ძლიერ, ცენტრალიზებულ სახელმწიფოში ბევრი იქნებოდა სასწავლო ცენტრები, მაგრამ, სამწუხაროდ, ცნობები მათ შესახებ არ შემოგვრჩა.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ იმდროინდელ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ გელათის აკადემიაში, გარდა დასახელებული შვიდი ძირითადი საგნისა, ისწავლებოდა საქართველოს ისტორია და მედიცინაც, რომ XIII საუკუნის დასაწყისში თარგმნილი სამკურნალო ხასიათის "წიგნი სააქიმოჲ" სასწავლო დანიშნულების სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო, რომელიც გელათის აკადემიაში მედიცინის საგნის სწავლების საქმეს ემსახურებოდა.

ერთი სიტყვით, XI - XII სს. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება მაღალ აკადემიურ დონეზე იყო. ამ სასწავლებლების კურსდამთავრებულნი მაღალგანსწავლულნი იყვნენ.

ქართული მწიგნობრობის კერები საზღვარგარეთ.

ფეოდალური საქართველოს სამეფო ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევდა კულტურული ცენტრების გამრავლებას საზღვარგარეთაც. ამ მხრივ განსაკუთრებით დავით აღმაშენებელი გამოირჩეოდა. მრავალმხრივ და ღრმად განათლებულ საქართველოს მეფეს თავისი დამხმარე ხელი შორს გაუწვდენია საზღვარგარეთული სავანეებისათვის: "... აღავსო ზღუა დ ხმელი ქუელის საქმემან მისმან, რამეთუ ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვისთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კვიპრისა, შავისა მთისა, პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა, უფროსღა საფლავი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, და მყოფნი იერუსალემისანი თვითოფერთა მიერ შესაწირავთა განამდიდრნა". საზღვარგარეთ ქართული კულტურულსაგანმანათლებლო ცენტრების გაჩენა დავით აღმაშენებლის დიდი გავლენისა და ავტორიტეტის ნათელი მაჩვენებელია საერთაშორისო მასშტაბით.

საზღვარგარეთული კულტურულსაგანმანათლებლო ცენტრებისადმი დიდ ყურადღებას იჩენდა მეფე თამარიც. იგი მრავალ შესაწირავს აგზავნიდა უცხო სავანეთა მოსახმარად, უყურადღებოდ არ ტოვებდა ქართველ მორწმუნეებს და "მათ კერძოთა ეკლესიათა, მონასტერთა

და ერთა ქრისტიანეთა მოიკითხჳდის”. განსაკუთრებით იერუსალიმზე ზრუნავდა საქართველოს მეფე. ამ ეკლესიამონასტრებს უგზავნიდა “ბარძიმ ფეშხუმებსა და სიწმიდეთა საბურავებსა და მონაზონთა და გლახაკთათვის ოქროთა აურაცხელთა”.

საზღვარგარეთ კულტურულსაგანმანათლებლო ცენტრების არსებობა დავით აღმაშენებლისა და თამარის დროის საქართველოს ეკონომიკურ სიძლიერესა და საერთაშორისო მასშტაბით მაღალ პოლიტიკურ პრესტიჟზე მიანიშნებდა.

საზღვარგარეთის ქართულ კულტურულსაგანმანათლებლო ცენტრებში (ივერიის მონასტერი ათონის მთაზე, მონასტერი შავ მთაზე, სირიაში; პეტრიწონის მონასტერი, ბულგარეთში და სხვ.) ფართო ლიტერატურულფილოსოფიური და მთარგმნელობითი მუშაობა გაიშალა. ამ პერიოდში შეიქმნა არაერთი ორიგინალური ნაწარმოები და ითარგმნა ქართულ ენაზე მსოფლიო კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა ეროვნული მეცნიერებისა და მწერლობის წინსვლაგანვითარებას.

საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველებიდან შორს გაითქვეს სახელი გიორგი მთაწმინდელმა, ეფრემ მცირემ, გიორგი ხუცესმონაზონმა (მცირემ) და სხვებმა.

ხელოვნება.

XI - XII საუკუნეების საქართველოში განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის ხუროთმოძღვრება. ამ პერიოდში შეიქმნა შუა საუკუნეების საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი ტაძრები, რომლებშიაც მკაფიოდ გამოჩნდა ახალი სტილისტიკური ნიშნები. XI საუკუნის ძეგლებია – ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, სვეტიცხოველი მცხეთაში, ალავერდის კათედრალი კახეთში, სამთავისის ტაძარი ქართლში, ნიკორწმინდის მონასტერი რაჭაში და სხვ.; XII საუკუნისა – გელათის მონასტრის დიდი ტაძარი, თიღვის გუმბათოვანი ეკლესია, იკორთის, ბეთანიის, ქვათახევის ტაძრები და სხვ.

გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის დროს აიგო ქუთაისის ტაძარი, რომელიც ბაგრატის ტაძრის სახელითაა ცნობილი. ამ ტაძრის მშენებლობა 1103 წელს დაუმთავრებიათ (“ოდეს განიმტკიცნა იატაკი, ქორონიკონი იყო 223”). სამხრეთისა და დასავლეთის კარიბჭეები მდიდრულადაა მოჩუქურთმებული (ისინიც XI საუკუნის პირველი ნახევრისაა). მიუხედავად იმისა, რომ XVII ს. ბოლოს მომხდურმა თურქებმა დაანგრიეს – ჩამოიქცა გუმბათი, კამარები; XIX საუკუნეში დაინგრა დასავლეთის კარიბჭეც, ძეგლი დღესაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ტაძრის ყველა ნაწილი ჰარმონიულადაა ურთიერთშერწყმული. წინათ ტაძარი მოზაიკით ყოფილა შემკული.

სვეტიცხოვლის ახლანდელი ტაძარი XI ს. პირველი მესამედის (1010 - 1029 წწ.) ნაგებობაა. იგი ქართლის კათალიკოსის მელქისედეკის თაოსნობით ხუროთმოძღვარ არსუკიძეს აუგია. მიუხედავად გარკვეული დაზიანებისა და შემდგომ შეკეთებისა, სვეტიცხოველმა შეინარჩუნა თავისი სიდიადე, ფორმათა დახვეწილობა. მონუმენტურია შენობის საერთო იერი, გრანდიოზულია შიდა სივრცეც.

ქუთაისისა და მცხეთის ტაძრებს ენათესავება ალავერდის კათედრალი, იგი ყველაზე მაღალი ტაძარია საქართველოში; არსებითად პირვანდელი სახითაა შემორჩენილი. გამორჩეულია სამთავისის ტაძარი, რომელიც 1030 წელსაა აგებული ვაჩე ყანჩაელის ძის ილარიონ სამთავნელის (სამთავისის ეპისკოპოსი) მიერ. ძეგლი შემკულია ბრწყინვალე ჩუქურთმებით. თაღები, ჯვარი, საპირე, კვადრატები – მთლიანსა და უწყვეტ ანსამბლს ქმნიან. სამთავისი პრაქტიკულად წინამორბედია განვითარების იმ საფეხურისა, რომელიც XII საუკუნის ქართულ ხუროთმოძღვრებაში გამოვლინდა.

XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია: იშხნის ტაძარს (რომელიც ივანე მორჩაისძემ გადააკეთა და ჩუქურთმებით შეამკო), ნიკორწმინდას – რელიეფებითა და ჩუქურთმებით უმდიდრეს ძეგლს (1110 - 1114 წწ.), სამთავროს კათედრალს, მანგლისის ტაძარს. ამ დროს აგებული ერთნავიანი ეკლესიებია: ხცისი (1102 წ.), ფოკა, სავანე (1046 წ. ხუროთმოძღვარი ჰარამაჲ), ქორეთი და სხვ.

XII საუკუნის ქართულ ხუროთმოძღვრებას გელათი უდგას სათავეში. აქ აშენდა: ღვთისმშობლის სახელობის დიდი ტაძარი, წმიდა გიორგის ეკლესია, სამრეკლო და აკადემიის შენობა.

მთავარი ტაძრის კედლები და კამარები მოხატულია. საკურთხევლის კონქში ღვთისმშობლისა და ორი მთავარანგელოზის მოზაიკური გამოსახულებაა. გელათის მოზაიკისა (მას 1125-30 წწ. ათარიღებენ) და ფრესკების შერწყმა უნიკალურია. კომპოზიციის ცენტრში ფეხზე მდგომი ღვთისმშობელია გამოსახული. მას ხელში ჩვილი იესო უჭირავს. აქეთიქით გაბრიელ და მიქელ მთავარანგელოზები უდგანან. ფიგურები ოქროსფერ ფონზეა წარმოდგენილი. მოზაიკის ყველა დეტალი (პლასტიკური თუ ფერადოვანი) დიდი ოსტატობითაა შესრულებული და დავით აღმაშენებლის ეპოქის მონუმენტური ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშია.

დავით აღმაშენებლის ბრძანებით იქნა აგებული შიომღვიმის ზემო ეკლესია (ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი). დავით აღმაშენებლის ასულს თამარს აუგია თიღვის (შიდა ქართლი, ახლანდელი ზნაურის რაიონი) გუმბათოვანი ეკლესია (მკაცრი, ასკეტური სტილისა). ამავე პერიოდშია აშენებული მშვენიერი ჩუქურთმებით შემკული ეკლესია საორბისში. დავით აღმაშენებელს დიდი საამშენებლო საქმიანობა გაუშლია: “რაოდენნი ეკლესიანი აღაშენნა, რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვაფენილ ყვნა...”.

XII საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XIII საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში შეიქმნა გუმბათოვანი ტაძრები, რომლებიც მაღალი მხატვრული ღირსებებით ხასიათდებოდა. ეს ეკლესიატაძრები დასახლებული ცენტრებისაგან საკმაოდ მოშორებით ტყიან ხეობებშია აგებული. ისინი წინა საუკუნის გრანდიოზულ ტაძრებთან შედარებით უფრო მომცრონი არიან და ინტიმურ შთაბეჭდილებას ტოვებენ. ძეგლთა ამ ჯგუფში, როგორც ხელოვნებათმცოდნეები მიუთითებენ, დეკორატიულობა და რაფინირება მწვერვალს აღწევს, მაღალ დონეზეა ოსტატობა. ტაძართა ფასადებზე თანდათან ქრება წინანდელი თაღები; ეფექტი ემყარება კედლის

კონტრასტულ დაპირისპირებას უხვად მოჩუქურთმებულ სარკმელთა საპირეებთან. შეცვლილია შენობის პროპორციებიც: გუმბათის ყელი შენობასთან შედარებით ძლიერ აზიდულია. ამ ტიპის ტაძრებია: იკორთა (1172 წ., ქართლში), ბეთანია (ვერეს ხეობაში), ქვათახევი (ქართლში), ფიტარეთი (ქვემო ქართლში), წუღრუღაშენი (ქვემო ქართლში), დმანისის კარიბჭე (ქვემო ქართლში), ერთაწმინდა (ქართლში) და სხვ. ამავე ჯგუფს განეკუთვნება აგურით ნაშენი ორი ტაძარი: ტიმოთესუბანი და ყინწვისი, ერთნავიანი ეკლესიები: ლამაზი საყდარი (ხრამის ხეობაში; აღსანიშნავია, რომ მის წარწერაში თამარ მეფე და დავით სოსლანი მოიხსენიებიან), მაღალაანთ ეკლესია (ქართლი), კაზრეთი (ქვემო ქართლი), გუდარეხი (ქვემო ქართლი), ლურჯი მონასტერი (თბილისი) და სხვ.

XI საუკუნის საერო ნაგებობათა შორის მნიშვნელოვანია გელათის სასახლე (ამ სასახლის ერთი ნაწილი უფრო ძველია), რომელსაც სააგარაკო ან სანადირო დანიშნულება ჰქონდა. ეს სასახლე, როგორც შემორჩენილი ნანგრევებიდან ჩანს, გრანდიოზული იყო, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ თუ ამ ტიპის ნაგებობა ესოდენ დიდი იყო, მაშინ, უნდა ვიფიქროთ, რომ ძირითადი სამეფო სასახლეები სატახტო ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი) კიდევ უდრო მასშტაბური იქნებოდა.

საქალაქო სახლების ნაშთები აღმოჩნდა დმანისისა და სამშვილდის ნაქალაქარებში, გუდარეხის სამონასტრო ანსამბლში. სტილის თვალსაზრისით სამოქალაქო შენობები ახლოს არიან საეკლესიოსთან, მათი განსხვავება ძირითადად ფუნქციური ხასიათისაა.

საერო ნაგებობათაგან განსაკუთრებულადაა მოსახსენებელი გელათის აკადემიის შენობა (XII ს. სამონასტრო ანსამბლში). იგი ერთსართულიანია, შედგება დიდი საკრებულო დარბაზისა და ორი შესასვლელი კარიბჭისაგან.

ქართულ ხუროთმოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კლდეში გამოკვეთილ სამონასტრო კომპლექსებს – დავით გარეჯსა და ვარძიას. დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი (დავით გარეჯელმა დააარსა) რამდენიმე მონასტრისგან შედგება (დავითის ლავრა, ბერთუბანი, უდაბნო, ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური და სხვ.). კლდეში მრავალი სენაკია გამოკვეთილი, აქვეა სატრაპეზო, ეკლესია, სამლოცველო. ბევრი მათგანი მოხატულია კიდეც.

ვარძიის ხუროთმოძღვრული კომპლექსის მშენებლობა გიორგი მესამემ დაიწყო და მისმა ასულმა – თამარმა დაასრულა. სენაკები აქაც მრავლადაა (რამდენიმე ასეულია). ვარძია მტრისაგან თავდაცვის საქმესაც ემსახურებოდა. მნიშვნელოვანია დიდი ეკლესია, რომლის კედლები ფრესკებითაა დაფარული. აღსანიშნავია, რომ აქაა გამოსახული გიორგი III-ისა და თამარის პორტრეტები.

ვარძიის მახლობლად მთაშია გამოკვეთილი იმავდროინდელი ვაჰანის ანუ ვანის ქვაბები, რომელსაც ასევე სამონასტრო დანიშნულება ჰქონდა. შემორჩენილია კლდეში გამოკვეთილი სხვა კომპლექსებიც (მაგ., სამსარის გამოქვაბული ჯავახეთში).

XI - XII სს. მნიშვნელოვანი საინჟინრო ნაგებობებია შიომღვიმესხალტბის წყალსადენი (აგებულია თამარის დროს), ბესლეთისა (სოხუმთან) და დონდალოს (აჭარაში) ხიდები. განვითარებული იყო ციხესიმაგრეთა მშენებლობის საქმე. ისინი მიუვალ კლდეებზე შენდებოდა

იმ მიზნით, რომ მოხერხებულად დაეცვათ გზები, ხეობები ან ქალაქები. ამ დროის ციხესიმაგრეებს სათოფურები არ გააჩნიათ (ეს ბუნებრივია, რადგან ისინი შენდებოდა ცეცხლსასროლი იარაღის შემოსვლამდე). ნიშანდობლივია, რომ ციხესიმაგრეები ისეა შერწყმულშეზრდილი კლდეებთან (რომლებზედაც გაშენებულია), რომ ერთი მთლიანის შთაბეჭდილებას ქმნიან. მძლავრი და მონუმენტურია სამხრეთ საქართველოს ციხეები: ხერთვისი, აწყური, ოქროს ციხე, თმოგვი და სხვ.

XI - XII საუკუნეებში მნიშვნელოვან აღმავლობას აღწევს სახვითი ხელოვნება. თუ XI საუკუნის პირველ ნახევარში შეიმჩნევა სკულპტურულობისაკენ სწრაფვა, შემდგომ პერიოდში ეს ინტერესი ნაკლებად ჩანს, რელიეფები იშვიათად გვხვდება ეკლესიათა ფასადებზე. ოქრომჭედლობაში (განსაკუთრებით XII საუკუნეში) წინა პლანზე დეკორატიულობა (ორნამენტი) ჩნდება. ორნამენტულობის თვალნათელი ნიმუშია ხახულის ხატი გელათიდან, რომელიც მსოფლიო ოქრომჭედლობის უნიკალური ნაწარმოებია (თარიღდება XII საუკუნის პირველი ნახევრით). თამარის დროს მოღვაწეობდნენ ოქრომქანდაკებლები ბექა და ბეშქენ ოპიზარები. ბექა ოპიზარის შექმნილია წყაროსთავის სახარების ყდა (ჯვარცმისა და ვედრების სცენებით) და ანჩისხატის მოჭედილობა (ღვთისმშობლის, იოანე ნათლისმცემლისა და სხვა წმინდანების ფიგურებითა და ორნამენტული არშიებით). ბეშქენ ოპიზარის ნახელავია ბერთის სახარების ყდა.

XI - XII საუკუნეების საქართველოში ოქრომჭედლობის რამდენიმე სტილი შეიმჩნევა. გვაქვს მთელი რიგი სკოლებისა (ოპიზის, ტბეთის, გელათის), რომლებმაც გარკვეულად დამოუკიდებელი მონუმენტური სახე შეიმუშავეს ხელოვნებაში. ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები არაფრით ჩამოუვარდებოდა ბიზანტიურს, ბევრი მათგანი კი მნიშვნელოვან ადგილს იჭერს მსოფლიო მასშტაბითაც.

XI - XII სს. მნიშვნელოვანი წინსვლა ჩანს ქართული კედლის მხატვრობაში. შემორჩენილია დავით აღმაშენებლის მხატვრის, ე.წ. “მეფის მხატვრის თევდორეს” მიერ მოხატული სვანეთის ტაძრების: იფრარის “თარნგზელი” (1096 წ.), კვირიკესა და ივლიტეს ეკლესია (ლაგურკა) კალაში (1111 - 1112 წწ.), წმ. გიორგისა – ნაკიფარში (1130 წ.) კედლები.

ამ ტაძართა მოხატულობა წარმოდგენას გვაძლევს XIX - II საუკუნეების ქართული მონუმენტური მხატვრობის სტილზე, ფერწერის მანერასა და იკონოგრაფიაზე. დაწვრილებითი განხილვის დროს ნათელი ხდება მხატვრის (და ალბათ ქართული მხატვრობის) შემოქმედების განვითარების დინამიკის, ევოლუციის დანახვა – იფრარის მკაცრი მონუმენტური სტატიკური კომპოზიციიდან და ნახატიდან – ნაკიფარის მეტ დინამიკურობასა და დეკორაციულობამდე.

ზემოხსენებულ თევდორე მეფის მხატვრის მიერ შესრულებულ სამ მხატვრობასთან სიუჟეტთა შერჩევით, მათი განაწილებითა და საერთო მიდგომით მეტად ახლოს დგას სოფელ წვირმის მაცხვარიშის ეკლესიის მოხატულობა, სადაც საინტერესო ჯგუფური სცენაა წარმოდგენილი – სვანი ფეოდალები ხმალს აბამენ, ე.ი. მეფედ აკურთხებენ, დემეტრე პირველს, ანგელოზი კი გვირგვინს ადგამს თავზე. შედარებითი მხატვრულსტილისტური ანალიზის საფუძველზე დაშვებულია შესაძლებლობა თევდორეს მონაწილეობისა ამ ტაძრის მოხატვაში.

საერთოდ იმ დროის მონუმენტურ მხატვრობაში თევდორე მეფის მხატვრის დიდი გავლენა შეიმჩნევა. რაც შეეხება მაცხვარიშის ეკლესიის მხატვრობას, მისი უშუალო შემოქმედია XII საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი მხატვარი მიქაელ მაღლაკელი. ამაზე გვაუწყებს შემორჩენილი საქტიტორო წარწერა, სადაც გარკვევითაა მინიშნებული, რომ ეკლესია მოიხატა დემეტრე Iის მეფობის მეთხუთმეტე წელს (ე.ი. 1140 წელს) "ჴელითა მიქაელ მაღლაკელისათა".

ცალკეა აღსანიშნავი ატენის სიონის მოხატულობა, რომელიც XI საუკუნის მიწურულს განეკუთვნება და რომელმაც მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო. ალბათ მართებულია მოსაზრება, რომ ატენის სიონის მოხატულობა სტილისტური თვალსაზრისით წინ უსწრებს იფრარის მოხატულობას და რომ იგი ლიპარიტ ბაღვაშის მიერ ატენის ქვეყნის დაკარგვის შემდგომაა შესრულებული. ასევე სწორი უნდა იყოს დასკვნები, რომ ატენის სიონის მოხატულობაში დავით IV აღმაშენებელი პირველად აისახა მეფის რანგით. საქტიტორო რიგი (თავში გიორგი მწიგნობართუხუცესი, ხოლო ბოლოში გიორგი II) რეალურად ასახავს შესაბამისი პერიოდის შინაპოლიტიკურ სიტუაციას. საერთოდ ატენის სიონის მოხატულობა XI საუკუნის ქართული მონუმენტური მხატვრობის ერთი შესანიშნავი ძეგლთაგანია. კომპოზიციური დახვეწილობა და მეტყველი ნახატი, შინაგანად ძლიერი სახეები გვაფიქრებინებს, რომ ძეგლი დიდმა ხელოვანმა მოხატა.

XI - XII საუკუნეების საქართველოს მხატვრული ხელოვნებისათვის დამახასიათებელია მოხატულობის მკაცრი მონუმენტურობა. მოხატულობა ჰარმონიულად ეთანხმება ინტერიერის ხუროთმოძღვრულ დანაწევრებას, დიდია ცალკეულ გამოსახულებათა ზომები, მონუმენტურია თვით სცენების აგებულებაც; პროპორციები სწორია, დახვეწილია სახის მოდელირება, სახეები ძლიერი და მეტყველია.

ამ დროის საქართველოში ფერწერის რამდენიმე მიმართულებას გამოჰყოფენ. ერთი ასეთია ტაოკლარჯეთში ჩამოყალიბებული საზეიმომონუმენტური ხასიათის ძეგლები (ოთხთა ეკლესიის, იშხანის, ხახულის, ოშკის, ტბეთის ფრესკები). მისგან ხასიათით განსხვავებულია დავით გარეჯის მონასტრების მხატვრობა, სადაც ფართოდაა წარმოდგენილი დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლი. მეტად მნიშვნელოვანია რაჭის სოფ. ზემოკრიხის ეკლესიის მხატვრობა (XI ს.), სადაც სვანეთის ძეგლების მსგავსად, ადგილობრივი ფეოდალების საინტერესო პორტრეტებია მოცემული.

XII - XIII სს. მონუმენტური მხატვრობის უმნიშვნელოვანეს ძეგლებში (ვარძია, ბეთანია, ყინწვისი, ბერთუბანი, ახტალა) კომპოზიციის მეტი დეკორაციულობა და დინამიკურიბა შეიმჩნევა; ნახატები დახვეწილია, ფერები უმაღლესი ოსტატობითაა შეხამებული. აღსანიშნავია ისტორიულ პირთა, განსაკუთრებით თამარის პორტრეტები. ვარძიის ეკლესიაში ჯერ კიდევ გაუთხოვარი თამარია გამოსახული, მის წინ აქ მამამისი გიორგი III დგას. ბეთანიასა და ყინწვისში თამართან ერთად გიორგი III და ლაშაგიორგია გამოსახული. ბეთანიაში მხოლოდ თამარია (მამის გარეშე) ლაშაგიორგისთან ერთად. ამ პორტრეტების შინაარსი აშკარად განსაზღვრავს ქრონოლოგიასაც. ვარძიის პორტრეტი უადრესია, ბერთუბნისა კი ყველაზე გვიანდელი.

იმდროინდელი მხატვრობიდან განსაკუთრებული ადგილი უკავია ანგელოზის ფიგურას ყინწვისში (“აღდგომის” სცენა), რომელიც თავისი ღრმა ადამიანურობითა და ლირიზმით აშკარად აჩვენებს, რომ ქართული მხატვრობა მიადგა ახალ ამოცანათა მიჯნას. ესაა პრობლემა, რომელსაც იტალიური აღორძინების ხელოვნება ისახავდა მიზნად. მაგრამ ამ მონაპოვართა შემდგომი განვითარებისათვის ისტორიულმა გარემოებამ საქართველოში ვერ შექმნა სათანადო წანამძღვრები.

XI - XII სს. საქართველოს ხელოვნებაში თავისი ადგილი ჰქონდა ხელნაწერი წიგნების გაფორმებას, მინიატურებს. შემორჩა შუა საუკუნეების წიგნის მხატვრული გაფორმების ხელოვნების იშვიათი ნიმუშები. ამ ხანის ქართული წიგნებისათვის დამახასიათებელია ლამაზი კალიგრაფია, მრავალფეროვანი ორნამენტი და დახვეწილი მინიატურული მხატვრობა.

საქართველოში ძველთაგან იყო ცნობილი ოქროს, ვერცხლის, სპილენძის ნაკეთობათა მინანქრით შემკობა. ქართულ ხელოვნებაში უმთავრესად ტიხრული მინანქარია ცნობილი. XII საუკუნის საქართველოში ტიხრული მინანქრის ხელოვნება ისეთსავე მაღალ საფეხურზე იყო, როგორც ხუროთმოძღვრება და კედლის მხატვრობა. ამის ნათელ მაგალითად მარტო ხახულის ხატის მინანქრები იკმარებდა. ამჟამად შემორჩენილია ღვთისმშობლის სახე, ხელები და შარავანდის ნაწილი. საერთოდ ქართული მინანქარი გამოირჩევა განსაკუთრებული ფერებით (ხორცისფერი, გამჭვირვალე მწვანე) და კოლორიტის სიღრმით.

XI - XII საუკუნეების საქართველოში განვითარდა გამოყენებითი ხელოვნებაც. იმ დროის მაღალ დონეზე შესრულებული კერამიკული თუ ლითონის ჭურჭელი აშკარად ადასტურებს ყოფაცხოვრებაში ხელოვნების ღრმად შეჭრას. უთუოდ დიდი ადგილი ეკავა მხატვრული ქსოვილის (ოქროქსოვილი, ე.წ. ოქსინო) წარმოებასაც.

ერთიანი საქართველოს სამეფო კარი (განსაკუთრებით დავით აღმაშენებელი, თამარი) დიდ ყურადღებას უთმობდა განათლებისა და კულტურახელოვნების წინსვლის საქმეს. იგი პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამდა სხვადასხვა ქვეყნებთან კულტურულსაგანმანათლებლო კონტაქტების დამყარებისათვის. მუსლიმი მწერლები იმასაც გვამცნობენ, რომ დავით აღმაშენებელს ცალკე სახლიც კი აუშენებია უცხო ქვეყნების მეცნიერთა, ფილოსოფოსთა და პოეტთათვის. საქართველოს მეფეები ნივთიერადაც ეხმარებოდნენ მათ და დროდადრო დარბაზობებსაც უმართავდნენ. ბუნებრივია, ქართველ მოღვაწეებს კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცეოდა. ამიტომ სრულიად ნათელია ის მაღალი დონე, რასაც XI - XII საუკუნეებში მიაღწია ლიტერატურამ, ისტორიოგრაფიამ და ფილოსოფიამ.

ლიტერატურა.

XI საუკუნიდან ფართოდ ხდება საქრისტიანო ლიტერატურის ქართულად გადმოღებათარგმნა, იქმნებოდა ორიგინალური შრომებიც. გიორგი ათონელმა ღვთისმეტყველების დარგის სამოცზე მეტი ნაშრომი თარგმნა. რიგი ადრე თარგმნილი წიგნებისა (მაგ., “დავითნი”, “სახარება”, “წიგნი სამოციქულოჲ”) ხელახლა უთარგმნია, გაუსწორებია და შეუჯერებია ბერძნულ ტექსტებთან. მის კალამს ეკუთვნის ორიგინალური ნაშრომი “ცხოვრებაჲ იოანესი და ეფთვიმესი”.

ქართულ ორიგინალურ თუ თარგმნილ მწერლობას თავისი ამაგი დასდო ეფრემ მცირემ. მისი შრომებიდან მნიშვნელოვანია “მოსახსენებელი მცირე სვიმეონისათვის ლოღოთეტისა”. სვიმეონ ლოღოტეტი მეტაფრასტული ლიტერატურის ფუძემდებელია და მის შესახებ გამოკვლევა ნათელს ჰფენს ამ მიმდინარეობას ბიზანტიურ ლიტერატურაში. ეფრემ მცირეს ნათარგმნი შრომებიდან აღსანიშნავია: “ეკლესიასტე”, “ცხოვრება იოანე დამასკელისა” და სხვ. ეფრემ მცირის მოწაფემ არსენ იყალთოელმა თარგმნა გიორგი ამარტოლის “ხრონოღრაფი”, “დიდი სჯულისკანონი”, “დოღმატიკონი” და სხვა მრავალი საღვთისმეტყველო ნაწარმოები.

XII საუკუნის დასაწყისიდან ფართოდ ვითარდება ქართული საერო მწერლობა, შეიქმნა საერო პოეზია. ამ დროის ქართული მწერლობის მაღალ დონეზე მიუთითებს პროზაული ნაწარმოებები “ამირანდარეჯანიანი” და “ვისრამიანი” და სახოტბო პოემები ჩახრუხაძის “თამარიანი” და შავთელის “აბდულმესიანი”. ამ პერიოდში შეიქმნა მსოფლიო ლიტერატურის შედევრი შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსანი”.

ისტორიოგრაფია, ფილოსოფია. XI - XII საუკუნეებში განვითარდა და მაღალ დონეზე ავიდა ისტორიული აზროვნება. პრობლემატიკის მიხედვით ისტორიული მეცნიერება არ ჩამოუვარდება იმ დროის მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ისტორიულ აზროვნებას. ქართულმა საისტორიო მწერლობამ კვლევის ობიექტად გაიხადა ხალხთა მონათესავეობის, ქართული ენის წარმომავლობის, ქართული დამწერლობისა და ქართული სახელმწიფოს წარმოშობის პრობლემები. ჩნდება განმაზოგადებელი ისტორიული შრომების შექმნის ტენდენცია. ლეონტი მროველი, ჯუანშერი, სუმბატ დავითისძე, “მატიანე ქართლისაჲ”ს ავტორი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ბასილი ეზოსმოძღვარი და “ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის” ავტორი – ჰქმნიან დიდ პრობლემურ ისტორიებს, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ წარსულისა თუ მათი თანამედროვეობის შესწავლის საქმეში. მათ თავიანთი შრომებით განუზომელი სამსახური გაუწიეს თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას, საქართველოს ისტორიის შესწავლას.

XI საუკუნის ისტორიკოსი ლეონტი მროველი თხზულებაში “ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა” ცდილობს გადმოგვცეს ქართველ ტომთა წარმოშობის პრობლემა, ქართული ენისა და დამწერლობის წარმოშობის საკითხი, თავდაპირველი რელიგიური რწმენა, საქართველოში სამეფო ხელისუფლების წარმოშობა და სხვ. ლეონტი მროველმა საქართველოს ისტორია მეხუთე საუკუნემდე მოიყვანა.

ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი (XI ს.) თავის თხზულებით “ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა” ფაქტობრივად აგრძელებს ლეონტი მროველის თხრობას. ეს თავისებური ისტორიული ეპოსია, რომელიც ვახტანგ გორგასლის ცხოვრებას აღწერს (ზოგჯერ გადაჭარბებულ, ნახევრად ზღაპრულ ამბებსაც გადმოგვცემს).

ამავე პერიოდისაა სუმბატ დავითისძე, რომელსაც ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიკოსს უწოდებენ მისი თხზულების “ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა”ს გამო. მემატიანე მეტად საინტერესოდ გადმოგვცემს ტაოკლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიას. ეს ის საგვარეულოა, რომელმაც სათავე დაუდო ერთიანი საქართველოს სამეფო დინასტიას. ამასთან

საგულისხმოა ავტორის კონცეფცია ბაგრატიონთა მეფობის უპირატესობის შესახებ დიდგვაროვან აზნაურთა ხელისუფლებასთან შედარებით. “მატიანე ქართლისაჲ”ს ავტორი უცნობია. მან მოგვცა საქართველოს ისტორია VIII საუკუნიდან XI საუკუნის 80იან წლებამდე. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება “ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი” სრულიად ახალი ეტაპია ქართულ ისტორიოგრაფიაში. მაღალი ეროვნული თვითშეგნების ავტორი მეფის მომხრეთა დასს ეკუთვნის და სამეფო ხელისუფლების ღვთისნებობის თეორიას იზიარებს. იგი ძლიერი სამეფო ხელისუფლების დამცველია, დავით აღმაშენებელს გვიხატავს სხვადასხვა დროის მსოფლიოს ისტორიულ მოღვაწეებთან შედარების საფუძველზე.

ძველ ქართულ ისტორიოგრაფიაში უთუოდ დიდი ადგილი უკავია თამარის ორ ისტორიკოსს. “ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი”, რომელიც “არც ერთ სხვა საუკეთესო ქართულ საისტორიო ძეგლს არ ჩამოუვარდება. ამასთანავე იგი დიდი ნდობის ღირსიც არის და ამის გამო ისტორიისათვის ძვირფას წყაროდ უნდა ჩაითვალოს” (ი. ჯავახიშვილი). თამარის მეორე ისტორია: “ცხოვრება მეფეთმეფისა თამარისი” შინაარსობრივად და კონცეფციურად XII საუკუნის ქართული საისტორიო მწერლობის დიდი წარმატების მაჩვენებელია.

ძველი საქართველოს საისტორიო აზროვნების უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს “ქართლის ცხოვრების” არსებობა, რომელიც თანდათან იქმნებოდა და პირველად კრებული სწორედ XII საუკუნეში შედგა. “ქართლის ცხოვრება” იყო ფეოდალური საქართველოს ცივილიზაციის მნიშვნელოვანი იდეურპოლიტიკური ბაზისი.

XI - XII საუკუნეების ქართულმა ისტორიოგრაფიამ მოიხადა თავისი ვალი – საზოგადოებას მოაწოდა საქართველოს ისტორია.

XI - XII საუკუნეებში განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია ფილოსოფიურმა მეცნიერებამ, რაშიც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერო კულტურის განვითარებას და მის მსოფლმხედველობრივ საფუძვლებს. ქართულ ფილოსოფიაში ყალიბდება ახალი შეხედულებანი ადამიანზე და მის დანიშნულებაზე. მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ჰუმანიზმი, რომელიც პოეტურსა და ფილოსოფიურ გამოხატულებას პოულობს “ვეფხისტყაოსანში”. იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებაში, მის ლიტერატურასა და ხელოვნებაში ჰუმანისტური იდეების სიძლიერემ საფუძველი მისცა მეცნიერებს, მათში რენესანსის აშკარა ნიშნები დაენახათ.

XII საუკუნის საზოგადოებრივპოლიტიკური და იდეოლოგიური მოძრაობა თუ ზოგადად ცხოვრება იმდროინდელი ფილოსოფიური აზროვნების ბაზისზე იდგა. ქართულ აზროვნებაში განმტკიცდა სამეფო ძალაუფლების შარავანდედითმოსილობისა და ღვთისსწორობის იდეა. XII საუკუნეში საქართველოს ძლიერი სამეფო ხელისუფლება მოწინავე ძალა იყო. ის იყო მოთავე ეროვნული კონსოლიდაციისა, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული გაერთიანების გარანტი.

XII საუკუნის საქართველოს მეფეთა (განსაკუთრებით დავით აღმაშენებლისა და მეფე თამარის) მოქმედებასა და მათ მიერ ამა თუ იმ საკითხთა გადაჭრაში აშკარად ჩანს ექვთიმე მთაწმინდელისა და ეფრემ მცირეს ჰუმანისტური იდეალების გავლენა.